ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა

თქმულნი 1860 – 1870 წლებში

ტომი პირველი

გამოცემა მეოთხე

ქუთაისი.
სტამბა „ძმობა“, კაზაკოვის ქუჩა № 17.
1913 წ.

[illegible]

[illegible]

სარჩევი.

სიტყვა, თქმული გელათის სობოროსა შინა, ჟამსა სამწყსოსა გვერდი
შინა შესვლისასა, 1860 წ. სეკტ. 8-სა 1
მოძღვრება, თქმული ქუთაისს, დღესა სამწყსოსა შინა შესვლისასა 5
სიტყვა, თქმული ახალ-წლის დღესა, ქუთაისის სობოროში . 9
სიტყვა ახალ წელიწადს ნათქვამი 12
სიტყვა კვირიაკესა ზედა შემდგომად ნათლის-ღებისა . . . 15
სიტყვა კვირიაკესა შემდგომად ნათლის-ღებისა 19
სიტყვა მიგებების დღესასწაულისა 22
მოძღვრება კვირიაკესა მეზვერისა და ფარისეველისასა . . . 25
მოძღვრება კვირიაკესა მეზვერისა და ფარისეველისასა . . . 29
მოძღვრება მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკესა . . . 32
სიტყვა მეზვერის და ფარისეველის კვირიაკესა 37
სიტყვა ფარისეველის და მეზვერის კვირიაკესა 40
სიტყვა მეზვერის და ფარისეველის კვირიაკესა 43
სიტყვა, მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკესა 46
სიტყვა, მეზვერის და ფარისევლის კვირიაკესა 49
სიტყვა კვირიაკესა უძღებისასა 52
სიტყვა კვირიაკესა ხორციელისასა 56
სიტყვა კვირიაკესა ყველიერისასა 61
სიტყვა ყველიერის კვირიაკესა 64
მოძღვრება ოთხშაბათსა დიდმარხვის პირველის კვირიაკისასა . 68
მოძღვრება პარასკევს დიდმარხვის პირველ კვირიაკესა . . 71
მოკლე მოძღვრება დიდმარხვის პირველი კვირიაკის პარასკევს,
ზიარებად მომზადებულთადმი 74
დიდ მარხვის პირველ პარასკევს 76
სიტყვა პირველსა კვირიაკესა ზედა დიდ-მარხვისასა . . . 79
მოძღვრება მართლ-მადიდებლობის კვირიაკესა . . . 81
მოძღვრება დიდ-მარხვის მეორესა კვირიაკესა 85
სიტყვა მეორესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა 89
სიტყვა მესამესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა 92
სიტყვა დიდ-მარხვის მესამესა კვირიაკესა 97
სიტყვა, მესამესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა 101
სიტყვა, დიდმარხვის მესამესა კვირიაკესა 104
მოძღვრება დიდ-მარხვის მეოთხესა კვირიაკესა 107
მოძღვრება მეხუთესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა . . . 111
მოძღვრება ხარების დღესა 115
სიტყვა ხარების დღესა, თქმული ქუთაისის სობოროში . . . 119
სიტყვა ხარებასა ზედა 123

სიტყვა ხარების დღესა 127
სიტყვა, თქმული ქუთაისს ხარების დღესა 131
სიტყვა ხარების დღესა, თქმული ქუთაისს 134
მოძღვრება დღესა ხარებისასა, თქმული ქუთაისს 138
მოძღვრება ბზობის კვირიაკესა ზედა 141
სიტყვა ბზობის კვირიაკესა 145
მოკლე მოძღვრება დიდსა ხუთშაბათსა ზედა 148
მოკლე მოძღვრება დიდს ხუთშაბათს, ფეხის ბანვაზე . . . 151
მოკლე მოძღვრება თქმული დიდს ხუთშაბათს ზიარებულთადმი. 153
მოძღვრება ზიარებად გამზადებულთა მიმართ 154
მოძღვრება ზიარებად გამზადებულთადმი 157
სიტყვა დიდს პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე 160
ნაცვლად ქადაგებისა ლოცვა, თქმული დიდს პარასკევს ჯვარ-
ცმის გარდამოხსნაზე 165
სიტყვა კვირა-ცხოვლობაზედ 168
სიტყვა კვირიაკესა განრღვეულისასა 171
სიტყვა კვირიაკესა განრღვეულისასა 175
სიტყვა განრღვეულისა კვირიაკესა 179
სიტყვა კვირიაკესა განრღვეულისასა 183
სიტყვა კვირიაკესა სამარიტელისასა 187
სიტყვა, კვირიაკესა ზედა შობიდგან ბრმისასა 191
სიტყვა ამაღლების დღესა 194
სიტყვა ამაღლებასა ზედა 197
მოძღვრება სულის წმიდის მოფენის დღესა 201
სიტყვა თქმული დღესა სულის წმიდის მოფენისასა . . . 205
მოძღვრება კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა 209
სიტყვა კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა 213
სიტყვა მეორესა კვირიაკესა 216
სიტყვა მესამესა კვირიაკესა ზედა, თქმული ქუთაის, ჩყჯბ-სა წ. . 220
მოძღვრება გ-სა კვირიაკესა ზედა 224
სიტყვა გ-სა კვირიაკესა ზედა 229
სიტყვა კთ-სა ივნისს, პეტრე-პავლობის დღესა. 233
სიტყვა პეტრე-პავლობის დღესასწაულსა 237
სიტყვა პეტრე-პავლობის დღესა 240
მოძღვრება იდ-სა კვირიაკესა ზედა 243
სიტყვა დღესა ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის მიძინებისასა . 247
მოძღვრება ნათლის-მცემლის თავის კვეთის დღესა . . . 249
სიტყვა დღესა ღვთის-მშობლის შობისასა. 253
მოძღვრება თქმული გელათს ღვთის მშობლობას 258
სიტყვა თქმული გელათის სობოროში, ს-სა სეკტემბერს. . . 263
სიტყვა ყოვლად წმიდისა მარიამის შობის დღესა 269

მოძღვრება, თქმული გელათის მონასტერში, ⍸-სა სეკტემბერს . 272
სიტყვა, თქმული გელათს, ⍸-სა სეკტემბერს 274
სიტყვა, თქმული ღვთის მშობლის შობის დღეს, გელათს . . 278
სიტყვა იდ-სა სეკტემბერს, ჯვარის ამაღლებასა ზედა . . . 281
მოძღვრება კვირიაკესა შემდგომად ჯვარის-ამაღლებისასა . . 285
სიტყვა იე-სა კვირიაკესა ზედა 288
მოძღვრება იე-სა კვირიაკესა ზედა 292
სიტყვა, ივ-სა კვირიაკესა, თქმული ქუთაისის სობოროში . . 296
სიტყვა, თქმული ბ-სა ოკტომბერს მოწამეთის მონასტერში . . 299
მოძღვრება ბ-სა ოკტომბერს მოწამეთის მონასტერში . . . 303
მოძღვრება ი⍸-სა კვირიაკესა ზედა 306
სიტყვა ი⍸-სა კვირიაკესა ზედა 310
სიტყვა ით-სა კვირიაკესა ზედა 317
სიტყვა ით-სა კვირიაკესა 321
სიტყვა მეოცესა კვირიაკესა 325
მოძღვრება კა-სა კვირიაკესა ზედა 328
სიტყვა კა-სა კვირიაკესა 332
მოძღვრება კბ-სა კვირიაკესა ზედა 336
სიტყვა ოც და მეორესა კვირიაკესა, თქმული ქუთაისს . . . 340
მოძღვრება კბ-სა კვირიაკესა 345
სიტყვა ოც და მეორესა კვირიაკესა 347
სიტყვა კბ-სა კვირიაკესა 351
მოძღვრება ოც და ორს კვირიაკესა 355
სიტყვა იბ-სა კვირიაკესა 358
სიტყვა ტაძრად-მიყვანებასა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისასა 361
სიტყვა კდ-სა კვირიაკესა 365
სიტყვა კდ-სა კვირიაკესა 370
სიტყვა კე-სა კვირიაკესა 373
სიტყვა კე-სა კვირიაკესა 377
სიტყვა კე-სა კვირიაკესა 381
სიტყვა კე-სა კვირიაკესა 385
სიტყვა კგ-სა კვირიაკესა 390
სიტყვა კვ-სა კვირიაკესა 393
სიტყვა კზ-სა კვირიაკესა 396
სიტყვა ოც და მეშვიდესა კვირიაკესა ზედა, თქმული ქუთაისს . 400
სიტყვა კზ-სა კვირიაკესა ზედა 405
სიტყვა კზ-სა კვირიაკესა 409
სიტყვა კ⍸-სა კვირიაკესა 413
მოძღვრება ქრისტეს შობის წინა კვირიაკესა ზედა 417
სიტყვა კთ-სა კვირიაკესა ზედა 421
სიტყვა კთ-სა კვირიაკესა 425

სიტყვა კთ-სა კვირიაკესა ზედა 429
სიტყვა ლ-სა კვირიაკესა ზედა 434
სიტყვა ლბ-სა კვირიაკესა ზედა 436
სიტყვა პატიოსნებასა ზედა 439
სიტყვა ახალთა სასამართლოთა ზედა 444
სიტყვა პირუტყვების შებრალებაზე 448
მოკლე მოძღვრება ბედნიერებასა ზედა 452
მოძღვრება, ვინ არს იესო ქრისტეს მტერი და მოყვარე . . . 454
სიტყვა განზრდისათვის შვილთა 458

მოძღვრებანი, თქმულნი სოფლების ეკკლესიათა შინა.

მოძღვრება, თქმული სოფლის ვანის ეკკლესიის კურთხევაზედ . 462
მოძღვრება თქმული სოფელს ჩხარს 466
მოძღვრება სოფელ ფარცხანაყანევის ეკკლესიის კურთხევაზედ 469
მოძღვრება, თქმული მირქმის დღესა და ფარცხანაყანევის ეკკლე-
სიის კურთხევაზედ 473
მოძღვრება, თქმული დაბასა ხონს 476
მოძღვრება, თქმული რაჭის უეზდის სოფ. სადმელის ეკკლესიის კუ-
რთხევაზედ 480
მოძღვრება რაჭის უეზდის სოფლის ზნაკვის ეკკლესის კურთხე-
ვაზედ 483
მოძღვრება, თქმული სოფელს ბანოჯას ეკკლესიის კურთხევაზედ 487
მოძღვრება, თქმული ოსთადმი კუდაროს ხეობის ეკკლესიაში . . 490
სიტყვა, თქმული სოფლის სვირის ეკკლესიასა შინა 494
სიტყვა, თქმული სოფლის ბახვის (გურიაში) ეკკლესიის კურთხე-
ვაზედ 497
მოძღვრება, თქმული რაჭის უეზდის სოფლის ცახის ეკკლესიის
კურთხევაზედ 501
მოძღვრება, თქმული ხონის სობოროშიმ ჩყდვ-სა 504
მოძღვრება, თქმული რაჭის უეზდის სოფლის სორის ეკკლესიასა შინა 508

განმარტება მამაო ჩვენოისა.

პირველი მოძღვრება 512
მეორე მოძღვრება 515
მესამე მოძღვრება 518

განმარტება, ანუ ახსნა ცხრათა ნეტარებათა.

მოძღვრება პირველი 521
მოძღვრება მეორე 524
მოძღვრება მესამე 527
მოძღვრება მეოთხე 529

განმარტება, ანუ ახსნა ეფრემ ასურის ლოცვისა.

მოძღვრება პირველი 532
მოძღვრება მეორე 535
მოძღვრება მესამე 537
მოძღვრება მეოთხე 541

სიტყვა,

თქმული გელათის სობოროსა შინა ჟამსა სამწყსოსა შინა შესვლისასა, ჩყჲ წელ. სეკტ. ⷭ-სა.

კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს
(გალატ. ვ, ე).

ვცან რა ნება ღვთისა და განჩინება უმაღლესისა მთავრობისა, რათა ვიყო მე მწყემსად ძველისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა, ვიწყე გულის-ზრახვად დიდთა მათ და მძიმეთა ვალთათვის, რომელთა ამიერითგან თანამდებ ვარ ტვირთვად წინაშე წმიდისა ამის ეკკლესიისა. მაშინ მოვიხსენე სიტყვანი პავლე მოციქულისანი: **კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს.** ხოლო რა ტვირთი არს ეპისკოპოსობა, ამასაც ახსნის იგივე მოციქული: **ჯერ-არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართ-მოყვარე სწავლულ** (ა. ტიმ გ, ბ.); მოვიხსენე აგრეთვე სიტყვანი, რომელნი იმავე მოციქულმან მისწერა ტიტეს, მისგან ეპისკოპოსად ხელ-დასხმულსა: **ჯერ-არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფად, ვითარცა ღვთისა მონისა; ნუ თავხედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მეღვინე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელისა შემძინელ, არამედ სტუმართ მოყვარე, კეთილისა მოყვარე, წმიდა, მართალ, ღირს, მომთმინე** (ტი. ა, ზ.). მახსოვან კვალადცა სხვანი მრავალნი სწავლანი, მცნებანი, მხილებანი და დარიგებანი, რომელითა მაცხოვარი ჩვენი მოძღვრებდა თვისთა მოციქულთა, ხოლო შემდეგ მოციქულნი განაღვიძებდენ თვისთა მოადგი-

ლეთა – ეპისკოპოსთა. არა ვარ, კვალადვე, უმეცარ ყოვლი-
სათვის, რასაცა ქრისტიანენი ეძიებენ და მოითხოვენ თვისთა
მწყემს-მთავართაგან; და ოდეს მე წარმოვიდგენ ყოველთა მათ
არა მცირეთა სათნოებათა, რომელნი უნდა შეამკობდენ მარა-
დის ეპისკოპოსსა, და მრავალთა მათ შრომათა, ჭირთა, მოთმი-
ნებათა და წინააღმდგომთა გარემოებათა, რომელნი ყოველ-
თვის შეემთხვევიან მას, უკეთუ ბეჯითად და ერთგულად შეუ-
დგება იგი თვისსა მსახურებასა, შევკრთები სულითა და ვიტ-
ყვი: ვითარ შევსძლო მე უღირსმან და უძლურმან ტვირთვა
ესოდენისა მძიმისა ტვირთისა!

ჭეშმარიტად, ძმანო ქრისტიანენო, არა მსუბუქ არს ტვირ-
თი მღვდელ-მთავრობისა, არა მცირეთა სათნოებათა ითხოვს
მისგან საღმრთო წერილი: პირველი და თვით მიუცილებელი
სათნოება, რომელსა მოითხოვს მისგან პავლე მოციქული,
არს უბრალოება ანუ უბიწოება: **ჯერ-არს ეპისკოპოსისა,** – იტ-
ყვის იგი, – **რათა უბრალო იყოს;** ანუ სხვაგან: **ჯერ-არს ეპისკო-
პოსისა უბიწო-ყოფად,** ვითარცა ღვთისა მონისა. ცხად არს მი-
ზეზი ამისა, ვინაითგან ეპისკოპოსი, რომელი სხვათა ასწავებს
სიწმიდესა და მოითხოვს, რათა ყოველნი უბრალოდ და უბი-
წოდ ატარებდენ თვისს ცხოვრებასა, თვით პირველი უნდა აძ-
ლევდეს მათ სახესა კეთილად ცხოვრებისასა, – არა თუ მხო-
ლოდ სიტყვითა, არამედ საქმითაცა და ყოვლითა ცხოვრებითა
თვისითა. გარნა ადვილ არსა აღსრულება ესე ვითარისა მცნე-
ბისა? ვინ არს იგი რომელი სცხოვრებს სოფლად კაცთა შო-
რის და არა სცოდავს? ვინ იპოება ქვეყანასა ზედა, რომელმან
დაიცვა თავი თვისი უბიწოდ, თუმცაღა ერთი მხოლო დღე იქ-
ცეოდა იგი კაცთა შორის? უმეტეს ამისა, ვითარ შესძლოს
ეპისკოპოსმან დამარხვა უბიწოებისა. დამძიმებულმან მრავალ-
თა საქმეთა და ზრუნვათა მიერ, გარემოცულმან მრავალთა
პირთაგან, რომელნიცა ეძიებენ მხოლოდ თავისა თვისისა
სარგებლობასა? მხოლოდ ერთსა ღმერთსა მადლითა თვისითა
ძალ-უძს დაიცვას ეპისკოპოსი უბრალოდ და უბიწოდ.

მეორედ, ეპისკოპოსსა, სიტყვისამებრ პავლე მოციქულისა,
მართებს, რათა იყოს ფრთხილ. ყოველი სხვა კაცი უფრთხილ-
დება მხოლოდ ერთსა თავსა თვისსა, გარნა ეპისკოპოსი ათასსა
და ბევრეულსა. მიანდო რა მას ღმერთმა სიტყვიერი სამწყსო,
მოითხოვს მისგან, რათა ყოველსა წამსა ფრთხილ და მღვიძა-
რე იყოს. რათა არცა ერთი ცხოვარი, მისდამი მინდობილი,
არა წარწყემდეს მისითა ბრალითა. ვინაითგან ღმერთი გამოი-
კითხავს მისგან სულსა თვითოეულისა წარწყმენდილისა ცხო-
ვარისასა. ვაი იმ მღვდელ-მთავარსა და მღვდელსაცა, რომელ-

მა დაუდევნელობითა თვისითა დაუკარგა ღმერთსა რაოდენიმე სული, გამოსყიდული სისხლითა უფლისათა! რა პასუხს მისცემს იგი წინაშე საშინელისა ქრისტეს სამსჯავროისა? გარნა უკეთუ თვითეულსა კაცსა უმძიმს ფრთხილ-ყოფა და განმტკიცება თავისა მხოლოდ თვისისა კეთილსა კვალსა ზედა, რაოდენ უძნელეს არს ეპისკოპოსისათვის, რათა გაუფრთხილდეს თავსაცა თვისსა და მრთელსა სამწყსოსა თვისსა, და თუმცაღა მრავალი ეცადოს, თუმცა არც ღამე მოისვენოს და არცა დღე. და ყოველი თვისი სწავლა და ღონე მოახმაროს თვისსა სამწყსოსა, – შეუძლიანა ბოლოს გულ-მოსვენებით სთქვას, რომელ ყოველივე კარგად განაგო და კეთილად აღასრულა ვალი თვისი? ნეტარ არს მღვდელ-მთავარი იგი, რომელსა ძალ-უძს ჰპოვოს რაოდენიმე ღირსნი თანა-მწირველნი და შემწენი, რომელნიცა მოინდომებენ გულს-მოდგინედ აღასრულონ ვალი თვისი და მით შეუმსუბუქონ მას უღელი! ადვილად აღასრულებს თვისსა მოვალეობასა ეპისკოპოსი, გარემოცული კეთილთა და ღირსთა სამღვდელოთა მიერ, რომელნი ყოველთვის თანაზიარ-ექმნებიან შრომათა, ჭირთა და განსაცდელთა მისთა; ხოლო რავდენ შესაბრალებელ იქმნება მღვდელ-მთავარი იგი, რომელიცა შემწეობისა წილ ნახავს თვისთა შორის სამღვდელოთა უმეტესს ჭირსა და განსაცდელსა!

გევედრები, შორს ჰყავ ჩემგან, მაცხოვარო, მწარე ესე განსაცდელი. გთხოვ თქვენცა, საყვარელნო ძმანო, თანამწირველნო ჩემნო, არ დამიმძიმოთ, არამედ აღმიმსუბუქოთ მსახურება ჩემი; ფრთხილ იყოს თვითეული თქვენ შორის სამწყსოსა ზედა თვისსა, რათა არცა ერთი ყვედრება გქონდესთ მორწმუნეთა შორის, არამედ იქმნებოდეთ მათთვის სახედ სიტყვითა და საქმითა.

მესამედ, წმიდა მოციქული პავლე მოითხოვს მღვდელ-მთავრისაგან, რათა იყოს არა თუ მხოლოდ უბრალო, არამედ შემკულ, ესე იგი, მქონებელი ყოველთა სათნოებათა.

მსახურება ეპისკოპოსისა მით უმეტეს ძნელ არს, რომელ ყოველნი მორწმუნენი მარადის მას უმზერენ, მისგან ელიან მოძღვრებასა და სულიერსა სწავლასა. არა ძალ-უძს მას დაჰფაროს რომელიმე თვისი თვისება, ანუ მოქმედება. ვითარცა სანთელი, აღნთებული და დადგმული მაღალსა ადგილსა ზედა, ჰნათობს გარემო თვისსა და სჩანს შორიდგანვე, ეგრეთვე არს ცხოვრება კეთილისა ეპისკოპოსისა; ხოლო ცხოვრება და ყოფაქცევა უღირსისა მღვდელ-მთავრისა ემსგავსება საკვამლესა, სახლის სართულსა ზედა ატანილსა, რომლითგან გამომავალი კვამლი აბნელებს ჰაერსა და სჩანს შორიდგანვე. ამისათვის

ეპისკოპოსი მარტო ვერც სცხონდება და ვერც წარწყმდება: კეთილი ეპისკოპოსი აცხოვნებს მრავალთა, ხოლო უღირსი წარსწყმდეს უმრავლესთა. გარნა რასა იტყვის უფალი იესო ქრისტე ცუდთა და მაცთუნებელთა კაცთათვის? **რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდამომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამოთუიკიდოს წისქვილი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა** (მათ. იჸ, ვ); და თუ ისრეთ არს თქმული ყოველთა უბრალოთა დამაბრკოლებელთა კაცთაზედა, რაიღა უნდა ვსთქვათ ეპისკოპოსსაზედა, რომელი დამწყსისა წილ დააბრკოლებს მორწმუნეთა! საშინელ არს ამისი წარმოდგენა! ამისათვის, ძმანო, ვითარი კრძალულება და მეცადინეობა მართებს მღედელ-მთავარს, რაოდენითა სათნოებითა ჯერ არს შემკული იყოს იგი, ვინაითგან თანამდებ არს მისცემდეს მაგალითსა დიდთა და მცირეთაცა. მდიდართა და ღარიბთა, ერთა და მღვდელთა. ცუდი სოფელი ესე იხარებს-ცა, ოდეს ხედავს ეპისკოპოსსა არა ჯეროვნად მცხოვრებსა, ვინაიდგან ცუდად მცხოვრებნი პირნი თავსა თვისსა ამართლებენ მიმხედველნი ცუდისა ყოფაქცევისა მისისა, და უკეთუ კეთილნიცა და ღირსნი ეპისკოპოსნი ზოგჯერ ვერ განერინებიან გესლიანსა ენასა ბოროტთა კაცთასა, ვითარ უკვე განერინების სუსტი და უღირსი?

არა უმიზეზოდ ვიტყვი, ძმანო, ამას ყოველსა; არა უმიზეზოდ ვცდილობ გამოვხატო თქვენ წინაშე სიმძიმე მომავალისა მსახურებისა ჩემისა. განზრახვა ჩემი მას შინა მდგობარეობს, რათა აღვადგინო გულსა შინა თქვენსა მონაწილეობა და თანამგრძნობელობა ჩემისა მსახურებისა, რათა იყოთ თქვენცა ყოველნი შემწედ და აღმასუბუქებელ ტვირთისა ჩემისა. საგანი ანუ ჰაზრი მსახურებისა ჩემისა არს სულიერი წარმატება თქვენი, და უკეთუ თქვენ ყოველნი აღმოჩნდებით მეცადინედ და მოშურნედ კეთილსა ქრისტიანულსა მოქალაქობასა შინა, მაშინ ფრიად ადვილ და სანუგეშო იქმნება ჩემთვის მსახურება ესე ჩემი.

დარწმუნებულ ვარ, რომელ თქვენ ყოველთა გსურთ მიიღებდეთ ჩემგან რომელსამე სარგებლობასა სულიერსა, ხოლო მეც უმეტეს ყოვლისა ვნატრობ. რათა მქონდეს თქვენ შორის რომელიმე სულიერი ნაყოფი; გარნა ამას შინა ერთი მხოლოდ არს ღონე – ქრისტეანული სიყვარული; სადაცა არა სუფევს სიყვარული, მუნ არცა ერთი სულიერი ნაყოფი გამოჩნდება. ამისათვის, ძმანო ჩემნო ყოვლად საყვარელნო, შევიძინოთ სიყვარული ურთიერთობრივი და შეუდგეთ ამიერითგან წრფელსა გზასა უფლისასა. ნაკლულელევანებათა ჩემთა აღავსებდეს სიყვარული

თქვენი, ვინაიდგან კაცი ვარ და ყოველი კაცობრივი არა შორს არს ჩემგან. დარიგებათა და მოძღვრებათა ჩემთა მიიღებდეთ გულ-მოდგინებით და სცდილობდეთ აღასრულოთ იგინი. მხილებანი ჩემნი, უკეთუ ჭეშმარიტ იქმნებიან, თუმცაღა ფიცხელ იყვნენ, ნუ გულისწყრომასა აღადგინებენ თქვენ შორის, არამედ სინანულსა და აღსარებასა.

დასასრულ, აღვავლინოთ მხურვალე ვედრება ზეცად, რათა მოწყალემან ღმერთმან არა უქმად და უნაყოფოდ გამოაჩინოს მომავალი მსახურება ჩემი თქვენ შორის, არამედ რომელმან მყო მე მწყემს-მთავრად სიტყვიერისა თვისისა სამწყსოისა, მანვე, სახიერმან, მომცეს ძალი და გონება, რათამცა კეთილად აღვასრულო ნება მისი და არცა ერთი სული ჩემისა სამწყსოისა წარუწყმიდო უფალსა ჩემსა, არამედ ძალ-მედვას კადნიერებით წარვსთქვა უკანასკნელსა და საშინელსა სამსჯავროსა შინა ქრისტესსა: აჰა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან (ისაია. ᲗᲔ, ᲘᲗ). ამინ.

მოძღვრება

თქმული ქუთაისს, დღესა სამწყსოსა შინა შესვლისასა, ჩყᲯ წელსა, სეკტემბ. იბ-სა.

ძმანო ქრისტიანენო! დღეს წაკითხულისა სახარებისაგან გესმათ თქვენ იგავი, რომელი მაცხოვარმან ჩვენმან ჰრქვა მოწაფეთა თვისთა. სასუფეველი ღვთისა, – სთქვა უფალმან, ემსგავსება კაცსა, რომელმან მოუწოდა თვისთა მონათა და მისცა მათ ტალანტნი, ანუ დიდ-ფასნი ვერცხლნი, თვითეულსა ძალისამებრ მისისა. ერთსა მათგანსა მისცა ხუთი ტალანტი, მეორესა ორი, ხოლო მესამესა ერთი და უბრძანა მათ, რათა ამუშაონ, ანუ ასარგებლონ იგინი და განამრავლონ. პირველმან მონამან ასარგებლა ხუთი თვისი ტალანტი და მოიგო სხვა ხუთი; ესრეთვე ქმნა მეორემან: ორითა მით ტალანტითა მოიგო სხვა ორი; ხოლო მესამე წარვიდა და დაჰფლა ტალანტი თვისი მიწასა შინა და მით დაღუპა იგი. შემდეგ რაოდენისამე ჟამისა მოუწოდა კაცმან მან მონათა თვისთა, აქო და განადიდა ორნი იგი მონანი, რომელთა კეთილად მოიხმარეს თვისნი ტალანტნი, ხოლო აყვედრა და მისცა სასჯელსა უხმარი იგი მონა, რომელმან არა მოიხმარა ვერცხლი თვისი.

რასა ნიშნავს, ძმანო, იგავი ესე? ნიშნავს შემდეგსა: კაცი იგი, რომელმან დაურიგა ტალანტნი, არს თვით ღმერთი; მონანი, რომელთა მიიღეს ვერცხლი, ვართ ჩვენ ყოველნი ადამიანნი; ხოლო ტალანტნი ნიშნავენ ყოველსა ნიჭსა, ესე იგი, გონებასა, ანუ სწავლასა, სიმდიდრესა, ანუ კეთილ-შობილებასა, თანამდებობასა, ანუ პატივსა, ერთის სიტყვით ყოველსა, რასაცა ღმერთი მისცემს კაცსა. ორნი იგი მონანი, რომელთა განამრავლნეს ვერცხლნი თვისნი და მიიღეს უფლისაგან ქება და აღმატება, მოასწავებენ ქრისტეანეთა მათ, რომელნი კეთილად და სასარგებლოდ ხმარობენ ყოველთა ღვთისაგან მიმადლებულთა ნიჭთა; ხოლო უხმარი იგი მონა ნიშნავს კაცსა მას, რომელი მცონარებითა, უზრუნველობითა, და ცუდის ყოფაქცევითა დაღუპავს თვისთა ნიჭთა.

აწ, ვსცანით რა მნიშვნელობა იგავისა ამის, ვეცადნეთ და გამოვიყვანოთ მისგან ჩვენთვის სწავლა და სულიერი დარიგება.

პირველად ვიტყვი ჩემზედა: განგებამან ღვთისამან დამადგინა მე მწყემს-მთავრად ძველისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა. დიდ არს ტალანტი ესე! არა ვარ ღირსი ესოდენისა ნიჭისა! გარნა, ძმანო ჩემნო, ვინაიდგან ღმერთმან ინება მოცემა ჩემთვის ტალანტისა ამის, მე უნდა ვასარგებლო იგი, განვამრავლო, მოვიგო სულიერი ნაყოფი, რათა წარუდგინო იგი უფალსა დღესა განკითხვისასა. ხოლო ვითარითა სახითა ძალ-მიძს ვასარგებლო ტალანტი ჩემი? მსახურება ანუ საქმე ჩემი მას შინა მდგომარეობს, რათა გასწავლიდე თქვენ, განგანმტკიცებდე და გამოვაჩენდე თქვენ შორის სულიერსა ნაყოფსა სათნოებისასა. ხოლო, ძმანო ჩემნო, თქვენ უნდა შემეწიოთ ამ საქმეში; თქვენ უნდა მიიღებდეთ ჩემგნით სწავლასა და დარიგებასა გულ-მოდგინებით და აღასრულებდეთ მათ. უკეთუ თქვენ შორის ვპოვებ სულიერსა წარმატებასა, უკეთუ თქვენ ყოველთა გიხილავ კეთილად და სათნოებით მცხოვრებთა, მაშინ მადლობას შევსწირავ უფალსა და ვიტყვი, რომელ არა ამაოდ დავკარგე ტალანტი ჩემი.

აწ ვიტყვი თქვენზედა: რომელნიმე აქა მდგომარეთაგანნი არიან სამოქალაქოსა მსახურებასა შინა, ანუ ესრეთ წოდებულნი ჩინოვნიკნი. მათ მიუღიათ ღვთისაგან ტალანტი იგი, რათა ემსახურონ მართლ-მსაჯულებასა, ჰყონ სიმართლე, განამართლონ უბრალონი, დასაჯონ სჯულის-გარდამსვლელნი, ამაყნი და მტაცებელნი. უკეთუ იგინი ესრეთ იქმონენ, არა დაუღუპავთ ტალანტი თვისი; ხოლო უკეთუ, სიმართლისა წილ, იქმონენ უსამართლობასა, უკეთუ გამოჩნდებიან თავხედნი, უწყა-

ლონი, მოქრთამენი, მაშინ მიიღებენ ღვთისაგან ნაწილსა უხ-
მარისა მის მონისასა.

ზოგნი თქვენ შორის არიან მოვაჭრენი. ვაჭრობა არის
დიდი ტალანტი, ვინაიდგან ვაჭრობა დიდად საჭირო არს ქვე-
ყნისათვის, და კეთილნი ვაჭარნი დიდსა სარგებლობასა მისცე-
მენ სოფელსა; გარნა ვაჭარმა უნდა დაიმარხოს პატიოსნება,
ეკრძალოს მოტყუებასა, სიხარბესა, მისცეს რაოდენიმე ნაწი-
ლი მონაგებისა მისისა გლახაკთა და ეკკლესიათა, და მაშინ
მიიღებს იგი ღვთისაგან მეორესა საუკუნესა შინა დაუფასე-
ბელსა სიმდიდრესა.

გარნა უმრავლესნი მცხოვრებთა შორის ამა ქალაქისათა
არიან მდაბალნი მუშაკნი, რომელნიცა ოფლითა თვისითა ზრდი-
ან თავთა თვისთა; – ესენიცა უნდა მადლობღენ უფალსა და
არა იფიქრონ, რომელ ფრიად მცირე არს ტალანტი მათი და
არ მიემსგავსნენ მონასა მას, რომელი ემდურებოდა უფალსა
თვისსა, მიიღო რა ერთი მხოლოდ ტალანტი. თუმცაღა მცი-
რეთ გვეჩვენება ტალანტი მათი, გარნა ოდეს ღრმად განვი-
ხილავთ, მაშინ მივხვდებით, რომელ მცირენიცა მუშაკნი არა
რაითა დაკლებულ არიან სხვათა შორის. პირველი და თვით
მიუცილებელი ნივთი, ანუ ტალანტი ქრისტეანეთათვის არს
კეთილი სარწმუნოება, კეთილ-მსახურება, კეთილი ყოფა-ქცე-
ვა, – ერთი სიტყვით, სათნოება; ხოლო გზა სათნოებისა გაშ-
ლილ არს ერთობ ყოველთათვის. უმეტეს ამისა, მე ვგონებ,
რომელ მცირენი და ღარიბნი მუშაკნი უმახლობელეს არიან სა-
თნოებისადმი, ვიდრემდის მდიდარნი და აღმატებულნი პატი-
ვითა, ვინაიდგან თვით სიმდიდრე და სიმრავლე პატივისა ხში-
რად აბრკოლებს ამათ სვლად გზასა ზედა სათნოებისასა.

ეხლა ვსთქვათ რაოდენიმე ჰაზრი საზოგადოდ ამ ჩვენი ქვეყ-
ნისათვის. უფალმან ღმერთმან არ მოაკლო არცა ერთი ტალანტი,
ანუ ნიჭი ამ ჩვენ მხარესა. ქვეყანა ესე ემსგავსება სამოთხესა,
მშვენიერი მდებარეობით და ნაყოფიერებით, ესრეთ რომელ
არცა ერთი სხვა მხარე კავკასის აქეთ არ აჯობებს მას. ხალხსა
ჩვენსა, მადლითა ღვთისათა, აქვს ყოველი ნიჭიერება, ადვი-
ლად მიიღებს განათლებასა, ადვილად შეითვისებს ყოველსა
სასარგებლოსა საქმესა და ცოდნასა; გარნა, ჭეშმარიტებასა ვი-
ტყვი: ვიდრე აქამომდე ვერ ვასარგებლეთ ჩვენ მრავალნი და
დიდნი ჩვენნი ტალანტნი, დავმარხეთ მიწასა შინა საუნჯე ჩვე-
ნი, ღვთისაგან მიღებული, და მით ვემსგავსენით მესამესა მო-
ნასა. ხოლო აწ ვეცადოთ, ძმანო ჩემნო, და ვიწყოთ ბაძვა
ორთა მათ სახიერთა მონათა. კვალად ვიტყვი: მრავალი მოგვ-

ცა ღმერთმან ტალანტი და ყოველივე დაფარულ და დამარ-
ხულ გვქონდა ვიდრე აქამომდე; ხოლო აწ, მადლითა ღვთი-
სათა, მოიწია მარჯვე ჟამი, რათა ვასარგებლოთ და განვამრავ-
ლოთ ყოველი ნიჭი ჩვენი. ხოლო უმეტეს ყოვლისა იმას ვე-
ცადოთ, რათა გამოვიცვალოთ ყოფაქცევა, შევიძინოთ შიში
ღვთისა, ვინაიდგან კეთილი ქრისტიანული ყოფაქცევა არს და-
საწყისი ყოვლისა წარმატებისა. მოვიხმოთ სიტყვანიცა იგი,
რომელნი გვესმა დღეს წაკითხულისა სამოციქულოისაგან: **ნუ-
რავინ ნურა რაითა ნურცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რათა
არა იგმოს მსახურება ეგე თქვენი.**

ძმანო ჩემნო საყვარელნო! ჩვენ ვართ მართლ-მადიდებელ-
ნი ქრისტიანენი; ხოლო ქალაქსა ამას შინა არიან მრავალნი
სხვა სჯულისანი. ჩვენ მოგვცა ღმერთმან ტალანტი ესე დაუ-
ფასებელი მართლ-მადიდებლობისა და ამისთვის თანა-გვაძს
განვამართლოთ ნიჭი ესე ღვთისა. უკეთუ ყოფაქცევა ჩვენი
იქმნება კეთილი, მაშინ სჯულიცა ჩვენი განმართლდება და
სახელი ქრისტესი მიიღებს ქებასა და ეკლესია ჩვენი აღემატე-
ბა; ხოლო უკეთუ ცხოვრება ჩვენი არა იქმნება მგზავსად სჯუ-
ლისა ჩვენისა, მაშინ სახელი ჩვენი და წმიდა ეკლესია მიიღებს
შეურაცხებასა სჯულის აღმსარებელთა შორის. ვითარი სირ-
ცხვილი მიეცემა დიდს და კეთილ-შობილს კაცსა, რომლისა
ძე არს უღირსი, განრყვნილი, უგუნური? ესრეთივე სირცხვილი
იქმნება ჩვენისა ეკლესიისათვის და სარწმუნოებისათვის, უკეთუ
ვსცხოვრებთ უღირსად. ქრისტემან ღმერთმან გვიწოდა ჩვენ
ძედ ღვთისად, მოგვცა სახელი თვისი და საშინელ არს, უკეთუ
ჩვენგან იგმოს სახელი მისი. ამისათვის, ძმანო, ვეცადოთ და
განვამართლოთ სჯული ჩვენი, და მადლი უფლისა იყოს შემწე
ჩვენი. – ამინ.

სიტყვა,

თქმული ახალწლის დღესა, ჩყბ-ს, ქუთაისის სობოროში.

პირველსა დღესა ახლისა წლისასა, ძველისა ჩვეულებისა-
მებრ, ჩვენ ყოველნი, ძმანო ქრისტიანენო, მივულოცავთ ახალ-
სა წელსა და ვლოცავთ ურთიერთთა, მსურველნი ყოვლისა სი-
კეთისა და წარმატებისა. არცა მე უარ-ვყოფ ჩვეულებასა ამას,
ვინაიდგან არ არის იგი ურიგო ანუ წინააღმდეგი სჯულისა;

მეც მსურს, მოგილოცო თქვენ ახალი ესე წელიწადი. გარნა
რა ვისურვო მე თქვენთვის და ყოვლისა ჩემისა სამწყსოი-
სათვის, და როგორ უნდა დავლოცო ყოველნი სულიერნი
ძენი და ძმანი? ნუ თუ მეც ისრე დაგლოცო, როგორც ურთი-
ერთარს გაქვსთ ჩვეულება, ესე იგი რათა ღმერთმან მრავალი
ამისთანა წელიწადი დაგასწროს, ტკბილად დაგაბეროს, გა-
გამდიდროს და სხვანი! რასაკვირველია, არც ეს არის ური-
გო და კიდეც ვსთხოვ ღმერთსა ყოველი ესე მოგანიჭოს თქვენ
თვისითა მადლითა. გარნა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, მეგუ-
ლება უმჯობესი რაიმე გითხრა თქვენ და უძვირფასესი ამათ
ყოველთა ვისურვო თქვენთვის. რა? მე ვარ სულიერი თქვენი
მოძღვარი, და ახლა ჩვენ ყოველნი ვდგევართ ტაძარსა შინა
ღვთისასა. ყოველი სოფლიური დაუტეოთ სოფელსა და ჩვენ
ვიფიქროთ რაიმე სულიერი. პირველად, მსურს და ვევედრები
ღმერთსა, რომ ამ მდგომარე წელიწადსა ჩვენ ყოველნი უმჯო-
ბესნი შევიქმნეთ სულითა და გულითა. მსურს, რომ სულიე-
რობა მოგვემატოს, ესე იგი, არა თუ მხოლოდ გარეშეობით
ვასრულებდეთ სჯულსა ჩვენსა, არამედ სრულიად; არა თუ
მხოლოდ მოვისმენდეთ წირვა-ლოცვასა ეკლესიაში, არამედ
რაც ეკკლესიაში გვესმის, მას სოფელში და სახლში აღვასრუ-
ლებდეთ; არა თუ მხოლოდ მოვნათვლიდეთ შვილთა ჩვენთა,
არამედ აღვზრდიდეთ ქრისტიანობრივად; არა თუ ერთხელ მხო-
ლოდ წელიწადში ვეზიარებოდეთ და მერმეთ კვალადვე მივა-
ქცევდეთ გულსა უწინდელთა ცოდვათადმი; არამედ, რაც ერ-
თხელ მოვინანეთ, იმას მეორედ აღარ ვიქმოდეთ. ერთის სიტყ-
ვით, თვით საქმით ვიყვნეთ ქრისტეანენი.

მეორედ, ვინაიდგან დღევანდელი დღე ცხადად გვაჩვენებს
ჩვენ, ვითარ მოკლე არიან დღენი ცხოვრებისა ჩვენისანი, და
თვითეული ჩვენგანი ერთითა ნაბიჯითა მიეახლა სიკვდილსა და
საფლავსა, ვინაიდგან მოაკლდა ცხოვრებასა მისსა ერთი წელი,
ამისათვის ვისურვებ და ვევედრები ღმერთსა, რათა დანაშთე-
ნი დღენი ცხოვრებისა ჩვენისანი მოგვახმაროს კეთილად და
სულისა ჩვენისათვის სასარგებლოდ; რათა უქმად დროებას
არავინ ატარებდეს, ქალები ლოტოს თამაშობითა არ კარგავ-
დენ დროებასა, არამედ მოახმარებდენ ოჯახსა თვისსა; რათა
კაცები ქაღალდის თამაშობითა არ ღუპავდენ მრავალთა
ჟამთა; ღამეს დღედ არ გარდააქცევდენ და დღეს ღამედ, ერ-
თის სიტყვით, რათა ღმერთმან მადლითა თვისითა შეგვაგონოს,
თუ ვითარ ძვირფასი არის კაცისათვის ყოველი წამი. ბოლოს
ვისურვებ და მხურვალედ ვევედრები ღმერთსა, რათა მოგვ-
ცეს ჩვენ ერთობა და სიყვარული რომელი არს ნიშანი, დამამ-

ტკიცებელი სულიერისა წარმატებისა, საუნჯე დაუფასებელი, გვირგვინი ქრისტიანობისა.

ახლა, ძმანო ჩემნო ყოვლად საყვარელნო, ვინაიდგან მე დაგლოცე თქვენ და ვისურვე თქვენთვის ყოველი, რაც ვიცოდი უმჯობესი, თქვენ გმართებთ დამლოცოთ მე და ისურვოთ ჩემთვის რაიმე კარგი. რა არის ჩემთვის საჭირო და რა უნდა ისურვოთ თქვენ ჩემთვის?

პირველად, ევედრენით ჩემთვის ღმერთსა, რათა მომცეს ძალი და მადლი კეთილად და ჯეროვნად ვემსახურო წმიდასა ეკკლესიასა, ესე იგი თქვენსა ცხოვრებასა, ვინაიდგან თქვენ და ჩვენ ყოველნი შევადგენთ ეკკლესიასა ღვთისასა. მეორედ ისურვეთ ჩემთვის, რათა სიტყვათა და დარიგებათა ჩემთა ჰქონდესთ კეთილი ნაყოფი და მოქმედება, რათა ყოველთა მსმენელთა ჩემთა იცნან, რა მსურს მე და რასა ვცდილობ. არიან ვიეთნიმე პირნი, რომელნი მემდურებიან მე სწავლისა და მხილებისა ჩემისათვის, არ მოსწონთ საქმენი ჩემნი; ევედრენით ღმერთსა, რათა სცნან ესე ვითართა პირთა, რომელ მე თანამდებ ვარ ისრე ვიქცეოდე, როგორც სჯული და სინიდისი მიბრძანებენ მე; შეიტყონ, რომელ მე თუ მხოლოდ ის ვქმენი და ის ვსთქვი, რაც მათ იამებათ. მეშინიან, პირველად, არ გამოვჩნდე ღვთის წინააღმდეგი და მეორედ მათიც მავნებელი და წარმაწყმედელი.

ბოლოს, საყვარელნო ძმანო, ერთობ ყოველნი მივიქცეთ მხურვალითა ვედრებითა მაცხოვრისადმი, რათა იყოს ჩვენდა შემწე და მფარველ განმავალობასა შინა ახლისა ამის წლისასა. თუმცა ცოდვილნი ვართ, მაცხოვარო ჩვენო! თუმცა არ ვასრულებთ ჯეროვნად შენთა მცნებათა; გარნა მაინც შენნი ვართ, შენსა სახელსა ვესავთ ძველითგანვე, ვითარცა წინაპარნი ჩვენნი, ეგრეთვე ჩვენ; ვითარცა იგინი დაიცევ მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის ვიდრე აქომამდე და ქვეყანა ესე ჩვენი შეიყვანე მყუდროსა ნავთ-საყუდელსა შინა, ეგრეთვე ჩვენთვის იყავ შემწე და მფარველ უკუნისამდე. ამინ.

სიტყვა,

ახალს წელიწადს ნათქვამი. *)

მართლმადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

ამა ქვეყნიერთა კაცთა შორის არსებობს ერთი შესანიშ-
ნავი და სასარგებლო ჩვეულება: როგორც რომ გათავდება
ძველი წელიწადი და დადგება ახალი, მაშინ ყოველი მოხე-
ლე და ყოველი თანამდებობის აღმასრულებელი კაცი შეად-
გენს თავის საქმის ანუ თანამდებობის წარმოების ანგარიშსა
და წარუდგენს თავის უმფროსსა, ანუ თვითონვე მოიხმარს.
მაგალითად, კაცი, რომელსაც აბარია სასამართლო, შეადგენს
ანგარიშსა, რაოდენი საქმე წარმოებდა მისს სასამართლოში
წარსულის წლის განმავლობის დროს, რავდენი მათგანი გა-
თავდა და რავდენი დარჩა გაუთავებელი და რისთვის. ვინც
სასწავლებლის უფროსია, მან უნდა შეადგინოს ანგარიში, რა-
ოდენი მოწაფენი სწავლობდნენ მისს სასწავლებელში, რო-
გორ სწავლობდენ და იქცეოდნენ; სახელმწიფო ხაზინადარი შე-
ადგენს ანგარიშსა, რაოდენი ხაზინის ფული შემოვიდა და გა-
ვიდა წარსულს წელში; გონიერი ვაჭარი დაჯდება ამ ჟამად
და გამოიყვანს ანგარიშსა, როგორ წარმოებდა მისი ვაჭრობა,
რა მოიგო მან წლის განმავლობაში; თუ დაინახა რომ ბევრი
ვერაფერი მოიგო, ანუ, ვინიცობაა, კიდეც წააგო, მაშინ იგი
ცდილობს შეიტყოს, რა იყო მიზეზი ამისი, რამ დააბრკოლა
მისი ვაჭრობა.

ცხადია, თუ რისთვის გაჩნდა კაცთა შორის ესრეთი ჩვეუ-
ლება და რა სარგებლობა წარმოსდგება აქედგან. ესრეთი ან-
გარიშის შედგენით გონიერი კაცი მოიმატებს გამოცდილებასა,
იგი შეიტყობს, რა შეეწევა მის საქმის წარმატებასა და რა დაა-
ბრკოლებს მას, და ესრეთ მომავლის წლისათვის საქმეს უმჯო-
ბესად დააწყობს. საუბედურად ჩვენ ყოველთა გვავიწყდება
ერთი ანგარიში, რომელიცა უსაჭიროესია, და უმეტესად სა-

*) რომელ სიტყვებსაც ვარსკვლავი უზის, ისინი პირველად იბეჭდებიან.

სარგებლო არის თვითეულისათვის; რომელი? ქრისტიანული
ზნეობითი ცხოვრების და ყოფაქცევის ანგარიში წარსულის
წლის განმავლობაში.

მიეც, ძმაო ქრისტიანე, დღეს ანგარიში შენ სინდისსა და
ღმერთსა, და შეიტყე, როგორ განატარე წასრულ წელს ქრი-
სტიანული შენი ცხოვრება – სიწმინდით და კრძალულებით,
ანუ დაფანტულად და უზრუნველად? მოუმატე შენ წარსულის
წლის განმავლობაში რომელიმე მადლი და სიკეთე, ანუ უწინ-
დელთა ცოდვათა შენ დაუმატე ახალნი ცოდვანი? უმჯობესი შეი-

ქმენი სულიერად, ანუ უარესი? მიუახლოვდი ღმერთსა, ანუ უმეტესად განეშორე მისგან? მოიშალე რომელნიმე ცუდნი ჩვეულებანი, ბოროტნი მიდრეკილებანი, ანუ, სამწუხაროდ, იგინი უმეტესად განძლიერდენ შენს ბუნებაში? ესრეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქნება შენთვის, ვიდრე სხვანი, ვინაიდგან ადამიანის ყოველი საქმის და შრომის წარმატება დამოკიდებულია შინაგანთა მისთა თვისებათა და მიდრეკილებათა ზედა. კეთილ გონიერი ქრისტიანე ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სულიერს მდგომარეობასა, შენ წელიწადში ერთხელ მაინც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე.

და ესრედ: უკეთუ შენ ხარ ვაჭარი, როდესაც იწყებ შენი ვაჭრობის ანგარიშის შედგენას, მაშინ ისიც ჰკითხე შენ თავს: რა სახით აწარმოებდი ვაჭრობასა, სიმართლით, ანუ მოტყუებით? აღებ-მიცემაში გახსოვდა შენ, რომ სჯული შენი ყოველს საქმეში მოითხოვს სიმართლესა და პატიოსნებასა, ანუ, სამწუხაროდ, შენ მხოლოდ იმას ფიქრობდი, რაც შეიძლება და რა სახითაც შეიძლება მომეტებული მოგეგო, ერთი სიტყვით გახსოვდა შენ, რომ კაცი ჯერეთ უნდა იყოს ქრისტიანე და მერმე ვაჭარი?

თუ ხელმწიფის სამსახურში ხარ, როდესაც შეადგენ შენი სამსახურის ანგარიშსა, მაშინ ესეც ჰკითხე შენს თავს: როგორ ასრულებდი სამსახურსა, კეთილ სინდისიერად, ანუ ბრუნდეთ? საქმის წარმოებაში შენ, იქნება, გახსოვდა მარტო ფორმა, ანუ გარეგანი სახე საქმისა და არა შინაგანი მისი მნიშვნელობა? შენ, იქმნება, იმას ცდილობდი, რომ შენთა უფროსთა თავი მოაწონო და ჯილდოები მიიღო, და არა იმას, რომ მოყვასთა შენთა მისცე სარგებლობა და შემწეობა? ერთი სიტყვით, იქნება, შენ დაგავიწყდა, რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმასრულებელი, ანუ უმჯობეს არს, ქრისტიანობა და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დაამშვენებდეს.

უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირ-მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინიდისსა. რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსულის წლის განმავლობაში? გახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ უწინარეს ყოველთა პატიოსნება, შრომის მოყვარეობა,

ერთი სიტყვით, ქრისტიანობა.

მოკლედ, ვინც გინდა იყო შენ, რომელსაც გინდა საქმეს ასრულებდე, ამ ახლის წლის პირველს დღეს ანგარიში მიეც შენ თავსა, რა სახით ასრულებდი შენ საქმეს, ქრისტიანულად, ანუ მგზავსად წარმართთა, რომელთა ახსოვდათ მხოლოდ ერთი გარეგანი კერძო საქმისა, ესე იგი მარტო თავის მოყვარეობა და წუთისოფლის სარგებლობა; ქრისტიანე კაცს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველს, თვით უმცირესს საქმეს აქვს ზნეობითი კერძო; ქრისტიანემ, რომელსა ახსოვს ქრისტე იესოს სწავლა, ყოველი თავისი საქმე ისე უნდა წაიყვანოს, რომ იგი შეეწეოდეს ღვთის სასუფევლის გავრცელებასა კაცთა შორის.

ვევედროთ ღმერთსა, რათა მომავალ წელსა ჩვენ ყოველთა მოგვცეს მშვიდობა და წარმატება ყოველთა პატიოსანთა ჩვენთა საქმეთა შინა და რათა უმეტესად ყოველთა შინა საქმეთა ვასრულებდეთ მისსა ღვთიურსა ნებასა. ამინ.

სიტყვა,

კვირიაკესა ზედა შემდგომად ნათლის-ღებისა, თქმული ქუთაისს, ჩყდ-სა წელსა.

უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან გამოუცხადა თავი თვისი სოფელსა და იწყო ქადაგება სახარებისა თვისისა შემდგომად ნათლის-ღებისა იოანესაგან იორდანესა შინა, ხოლო პირველნი სიტყვანი ქადაგებისა მისისანი იყვნენ ესენი: **შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.** მერმეცა მრავალგზის ახსენებდა მაცხოვარი სიტყვათა შინა თვისთა სასუფეველსა ღვთისასა და უხმობდა მსმენელთა შესვლად მას შინა; და ვინაიდგან წარსულს კვირიაკესა შინა ჩვენ ვიდღესასწაულეთ ნათლის-ღება იესო ქრისტესი, არ იქმნება უდროო, დღეს ჩვენ ვიფიქროთ, რაი არს სასუფეველი ღვთისა, რომლითა მაცხოვარმან ამ ჟამად იწყო ქადაგება თვისი, და რა უნდა ჰქნას კაცმან, რათა ეღირსოს შესვლად სასუფეველსა ამას შინა.

რომელნიმე ქრისტიანენი შეცდომით ფიქრობენ, ვითომც სასუფეველი ღვთისა იქმნება მხოლოდ ცათა შინა მომავალსა საუკუნესა; გარნა მაცხოვარი არ იტყოდა: მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა; არ შეაგონებდა მსმენელთა, რათა მიეღოთ სასუფეველი ესე და შესულიყვნენ მას შინა. არა ძმანო, სასუფეველი ცათა არის და დაიწყობა ქვეყანასა ზედა, კაცთა შო-

რის; იგი არის უხილავი, შინაგანი ცხოვრება კაცისა, ოდეს კაცი დაუმორჩილებს გულსა თვისსა სიმართლესა სახარებისასა და ატარებს ცხოვრებასა თვისსა მგზავსად მცნებათა მაცხოვრისათა, ანუ ვითარცა აღგვიხსნა მოციქულმან პავლე: **არა არს სასუფეველი ღვთისა საჭმელ და სასმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდათა.** (რომაელ იდ, იზ)

ცხოვრებასა კაცისასა აქვს ორი კერძო: ერთი შინაგანი უხილავი, მეორე გარეგანი ხილული. პირველსა შეადგენენ ყოველნი სულიერნი თვისებანი და მოქმედებანი კაცისანი, ესე იგი ჰაზრი, ფიქრი, განზრახვა, სურვილი, მიდრეკილებანი, სიყვარული ანუ სიძულვილი, მხიარულება ანუ მწუხარება. ერთი სიტყვით, ყოველი, რასაც კაცი გრძნობს გულსა შინა თვისსა. ხოლო მეორე არის ყოველი ხილული მოქმედება კაცისა: ლაპარაკი, მოძრაობა და სხვანი გარეგანნი მოქმედებანი. ცხად არს, რომელ ყოველი გარეგანი მოქმედება კაცისა და მრთელი მისი გარეგანი ხილული ცხოვრება დამოკიდებულ-არიან შინაგანთა თვისებათა ზედა მისის სულისათა. ესე იგი ყოველნი საქმენი კაცისანი არიან ესრეთნი, ვითარნიცა არიან მისნი სულიერნი თვისებანი და მიდრეკილებანი, ვინაიდგან კაცი მხოლოდ იმას იქმს და გამოაჩენს, რაიცა აქვს გულსა და გონებასა შინა. გარნა ოდესცა მაცხოვარი გვეტყვის: **მოახლებულ არს სასუფეველი ცათა,** მიიღეთ და შედით სასუფეველსა შინა ღვთისასა, ამით გვასწავებს ჩვენ, რათა დაუმორჩილოთ გული და სული ჩვენი სახარებასა ღვთისასა. რათა ყოველი შინაგანი ცხოვრება სულისა იყოს დაწყობილ მგზავსად მცნებათა სახარებისათა, ჰაზრნი და სურვილნი, თვისებანი და მიდრეკილებანი, სიყვარული და სიძულილე, ყოველივე დაემორჩილოს სიტყვასა ღთისასა. გარნა ოდესცა შინაგანი ყოველი ჩვენი ცხოვრება დაემორჩილება სახარებასა, მაშინ გარეგანნიცა მოქმედებანი ჩვენნი იქმნებიან კეთილ, მაშინ მრთელი ჩვენი არსება შევა სასუფეველსა შინა ღვთისასა.

რაი ვქნა, მეტყვის ვინმე, დიახ მსურს რომ მეც ვიყო მოქალაქე ღვთის სასუფევლისა; ვინ არ ისურვებს ამას? გარნა ცოდვა და უძლურება ჩემი არ მიშვებენ მე; სოფელი და თვით ხორცნი ჩემნი მაყენებენ მე. ესე ყოველი უწყოდა მაცხოვარმან და ამისათვის სთქვა: **შეინანეთ, მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა.** ერთი მხოლოდ არს პირობა, რომლითა კაცს შეუძლიან შევიდეს სასუფეველსა შინა ღვთისასა – მონანება. კაცსა, რომელსა კვალადვე უყვარს ცოდვა, რომლისა გული აღვსებულ არს ბოროტითა მიდრეკილებითა, მხოლოდ მონანებითა შეუძლიან შევიდეს სასუფეველსა შინა ღვთისასა. გარნა რაი არს მონანება და როგორ უნდა მოინანოს კაცმან, ამას

გვასწავლის ჩვენ დღეს წარკითხულის სახარებისაგან მაგალითი ცოდვილის დედაკაცის მონანებისა: ოდეს მაცხოვარი იყო სახლსა შინა სვიმონ ფარისეველისასა, დედაკაცი იგი, არა მიმხედველი მისა, რომ ცოდვა და სირცხვილი მისი ცხად იქმნებოდა ესოდენსა კრებასა შინა, დავარდა ფერხთა ქვეშე მაცხოვრისათა, ცრემლითა თვისითა დაბანა იგინი და თმითა თავისა თვისისათა წარხოცა. იგი არ იტყოდა არცა ერთსა სიტყვასა; მხოლოდ ოხვრა მისი და ცრემლნი ცხად ჰყოფდენ, თუ ვითარ დამძიმებულ იყო სინიდისი მისი, ვითარ რცხვენოდა მას ცოდვისა თვისისა, ვითარ სწუხდა იგი უღირსებისა გამო თვისისა და ვითარითა მდუღარითა გულითა და სასოებითა გამოითხოვდა იგი ღვთისაგან შენდობასა. ესრეთ უნდა მოინანო შენცა, ძმაო ჩემო; ესრეთ უნდა გრცხვენოდეს შენცა ცოდვისა შენისა; ესრეთ უნდა სწუხდე უღირსებისა შენისათვის, უკეთუ გსურს მოიგო სასუფეველი ცათა. სასუფეველი ცათა ემგზავსება მდიდარსა და წარჩინებულსა ქალაქსა, რომლისა მოქალაქენი და მოვაჭრენი არიან ფრიად მდიდარნი და ჩინებულნი. შეუძლიანა გლახაკსა და ღარიბსა რომელსამე გაერიოს მოქალაქეთა მათ შორის და მიიღოს პატივი მათთანა, უკეთუ პირველად არ შეიძინა მან სიმდიღრე? ეგრეთვე, უკეთუ ქრისტიანემან არ შეიძინა სულიერი სიმდიდრე, რომელ არს საუნოება, არ იქმნება შერაცხილ შორის მოქალაქეთა სასუფეველისა ცათასა.

ახლა, ძმაო ჩემო საყვარელო, განიცადე თავი შენი, შესრულხარა შენ სასუფეველსა შინა ცათასა, მიგიღია შენ მოქალაქობა სულიერისა ამის სუფევისა, ანუ ვიდრე აქამომდე ღარიბ ხარ შენ სულითა და ვერ შერაცხე თავი შენი შორის მოქალაქეთა ზეციერისა სუფევისათა? დიდიხანია სასუფეველი ესე რეკს კარსა გულისა შენისათა და ცდილობს, რომ შევიდეს იგი მას შინა, გარნა ვაი თუ ვიდრე აქამომდე ვერ ხედავს იგი, რომელ შენ აღგესრულებინოს პირობა მონანებისა; ვიდრე აქამომდე ვერ ხედავს, რომ შენ უარ გეყო სოფელი და ცოდვა მისი. ნუ მეტყვი, ძმაო: მე ქრისტიანე ვარ და ნათელმიღებიეს; მე მრწამს სახარება, დავდივარ ეკკლესიაში და თავის დროზედ ვეზიარები. კეთილი არს ესე ყოველი და არც შეიძლება უიმისოთ კაცი შევიდეს სასუფეველსა შინა ცათასა; გარნა შეიძლება, რომ კაცმა ყოველი ესე აღასრულოს და მაინც არ იყოს მოქალაქე სასუფეველისა ცათასა; ვინაიდგან თუმცა ამას ასრულებს, გარნა გული მისი მაინც დამორჩილებულ არს ცოდვისადმი, მაინც უყვარს მას სოფელი უმეტეს ღვთისა.

ძმაო ჩემო საყვარელო! მრთელი გული და ცხოვრება შენი უნდა დაუმორჩილო სახარებასა; არ შეგიძლიან ემსახურო ორთა უფალთა, ესე იგი სოფელსა და ღმერთსა. ღმერთი არ მიიღებს ნახევარსა გულისა შენისასა; მას სურს, რომ მრთელი გული და გონება შენი მას ეკუთვნოდეს და მრთელი გული მას შესწირე. დიდ არს, ძმაო, და სანატრელ წოდება ესე შენი, რომლითა გიწოდა შენ ღმერთმან, რათა იყო მოქალაქე ღვთის სასუფევლისა. მაცხოვარმან დანერგა ქვეყანასა ზედა სასუფეველი ესე და ჩვენ ქრისტიანეთა მოგვანდო განვრცელება, განმტკიცება და განძრიელება მისი. თვითეული ჩვენგანი უნდა იხმარდეს ყოველსა ღონის-ძიებასა, რათა შეეწიოს განვრცელებასა სუფევისა მისისასა: უკეთუ ცხოვრება შენი კეთილ არს და სათნო, უკეთუ სიტყვითა და საქმითა შენ ცდილობ განავრცელო და განამტკიცო სასუფეველი, მაშინ იცოდე, რომ შენ ხარ მეგობარი ქრისტესი, ვინაიდგან შენ აღსრულებ საქმესა მისსა, შენ ხარ შემწე მისი; ხოლო უკეთუ ცუდითა შენითა ყოფა-ქცევითა აბრკოლებ ძმასა შენსა, გამოჩნდები ქრისტეს მტრად, ვინაიდგან შენ არღვევ შენობასა მისსა, შენ აოხრებ სასუფეველსა მისსა. – გვიხაროდეს, ძმანო, ჩვენ ყოველთა, ვინაიდგან ღმერთმან ჩვენ ქრისტიანეთა მოგვცა მოქალაქობა თვისისა სასუფეველისა; გარნა ვეკრძალნეთ და ფრთხილ ვიყვნეთ, რათა უღირსებითა ჩვენითა არ დავკარგოთ უმაღლესი ესე პატივი. ამინ.

სიტყვა,

კვირიაკესა შემდგომად ნათლის-ღებისა.

მიერითგან იყო იესო ქადაგებად და სიტყვად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა (მათ. დ. იზ.)

უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მიიღო რა ნათლისღება იორდანესა შინა იოანნესაგან, მაშინვე აღვიდა უდაბნოდ, ვითარცა თქმულ არს სახარებასა შინა: აღმოიყვანა იგი სულისაგან გამოცდად. ორმეოცის დღის მარხვა, ლოცვა და მერმეთ გამოცდა ეშმაკისაგან იყო უკანასკნელი მისი მომზადება დიდისა მის მსახურებისათვის, რომლისათვისცა იგი მოავლინა ზეცით

მამამან მისმან ქვეყნად. ფრიად აღმაშენებელ და მასწავლებელ
არს ჩვენთვის, ძმანო ქრისტიანენო, მოთხრობა სახარებისა ამ
საგანზედ. უკეთუ სულმან ბოროტმან გაბედა და მიეახლა გა-
მოცდად უწმიდესისა ქრისტეს არსებისა რავდენ უმეტე-
სად გამოსცდის იგი კაცსა ცოდვილსა! უკეთუ მან იფი-
ქრა, რომელ შეუძლია ჰპოვოს ცუდი რაიმე ქრისტე
იესოსა შინა და აცთუნოს იგი, რავდენ უმეტეს შეუძლია ეს-
რედ იფიქროს მან და კიდეც დარწმუნდეს, რომელ ჩვენ ცო-
დვილ არსებაში იგი იპოვნის მრავალთა ცუდთა ვნებათა და
მიდრეკილებათა, რომელთა საშუალებით ხშირად ჩაგვაგდებს
ჩვენ იგი ცოდვასა შინა. გარნა აჰა მაცხოვარი თვისითა საკუ-
თარითა მაგალითითა წინათვე გვაჩვენებს ჩვენ, რა სახით და
რა საშუალებით აცდუნებს სულიერი მტერი კაცსა; მაშასადამე
განვიხილოთ მოკლედ მოთხრობა სახარებისა ამ საგანზედ.

პირველი გამოცდა ეშმაკისაგან მაცხოვარისა იყო შემდგო-
მითა სახითა: ვინაიდგან მაცდური ხედვიდა, რომელ იესო,
ქრისტე, ვითარცა კაცი ორმოცის დღის მარხვისა, ლოცვისა
და მოღვაწეობისაგან ჰგრძნობდა შიმშილსა და სისუსტესა,
იფიქრა გამოცდა მისი მოუთმენლობითა და ხორციელითა მი-
სითა დაღონებითა. მიუხდა მას გამომცდელი იგი და ჰრქვა:
უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა, სთქვი, ქვანი ესე პურ იქმნენ. იქნება
მაცდური იმას ფიქრობდა, რომ მაცხოვარსა, ჰქონდეს დიდგუ-
ლობა და ამპარტავანება და მოინდომოს გამოჩენა თვისისა ძა-
ლისა სასწაულითა, გარნა მაცხოვარმან გააქარვა მანქანება
ეშმაკისა, მიუგო რა მას სიტყვითა ღვთისათა: **არა პურითა ხო-
ლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გა-
მოვალს პირისაგან ღვთისა.** აქედამ ისწავე, ძმაო ჩემო, რომელ
სულიერი მტერი ყოველთვის, პირველად გამოგცდის შენ მო-
უთმენლობისა, მოწყინებისა და დაღონებისა შენისაგან. უკეთუ
სული შენი არ არის ამაღლებული სხეულსა შენსა ზედა, უკე-
თუ იგი დამონებული არს ხორციელთა გრძნობათა და საჭი-
როებათა, მაშა-სადამე მაცთუნებელი ხშირად შთაგაგდებს შენ
აქედამ მრავალსა ცოდვასა შინა.

ნახა რა მაცთუნებელმან, რომელ იესო ქრისტე არ ემო-
ნება სხეულსა თვისსა, გამოსცვალა მანქანება თვისი და მიუდ-
გა პირდაპირ სულიერთა გრძნობათა და მიდრეკილებათა. მან
იფიქრა, რომელ, იქმნება იესო ქრისტეს ჰქონდეს სულში რო-
მელიმე ამპარტავანება. მაშინ აღიყვანა მაცდუნებელმან იესო
მაღალსა სართულსა, ანუ სახურავსა ტაძრისასა და უთხრა მას:
**უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქეეყა-
ნად, რამეთუ წერილ არს, ვითარმეღ ანგელოზთა მისთა და უბრძა-**

ნებიეს შენთვის და ხელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი. გარნა ვერცა ამპარტავანება იპოვნა მაცდურმან გულსა შინა მაცხოვრისასა. **წერილ არს,** უპასუხა მაცხოვარმან: არა **განსცადო უფალი ღმერთი შენი.** იქედგანაც ისწავლე, ძმაო ჩემო, რომელ თუ მეტად თავის მომწონე ხარ, დიდი გული გაქვს და დიდი ჰაზრი შენს თავზე, მაცთური ისარგებლებს ამით და შთაგაგდებს რომელსამე ცოდვასა შინა. სწორეთ ამის მსგავსი გამოცდა იქმნება ეშმაკისაგან, უკეთუ ერთმან ვინმემ იფიქრა თავის გულში: მე დიდი კაცის შვილი ვარო, ბევრი ყმები მყვანან, ჩემთვის სირცხვილია შრომა და მუშაობა; ანუ ვინმემ თუ იფიქრა, მე მდიდარი ვარ, საჭირო არ არის ჩემთვის მუშაობა; ანუ სხვამ ვინმემ იფიქრა, მადლობა ღმერთს მე წმიდათ ვატარებ ჩემ ცხოვრებას, ჩემში მტერი ვერ ნახავს სიცუდესა. ყოველი ესრეთი ჰაზრი ადგილს აძლევს ეშმაკსა მიახლებად და გამოცდად კაცისა.

მესამედ, ეშმაკმან იფიქრა, იქმნება იესო ქრისტეს გულში იყოს დიდების და პატივის მოყვარება. აღიყვანა იგი მთასა მაღალსა, უჩვენა მას ყოველნი სოფელნი და დიდება მათი და ჰრქვა მას: **ესე ყოველი მოგცე შენ, უკეთუ დავარდე და თაყვანი მცე მე.** აჰა, ძმანო, უსაშინელესი მანქანება სულიერისა მტერისა ჩვენისა. ყოველთვის, როდესაც იგი გააჩენს ჩვენს გულში რომელსამე ცოდვის სურვილს, წინაპირველად შეაგონებს კაცს, ვითომც იგი იმ ცოდვისაგან მიიღებს დიდებასა და ბედნიერებასა. მაგალითებრ, ანგაარი კაცი ოდესაც იღებს ქრთამს, ფიქრობს, ბედნიერი და დიდი კაცი შევიქმნებიო. გარნა იმასაც მიხედე, რასა იტყვის მაცდუნებელი: **უკეთუ თაყვანის მცე მე, ესე ყოველი მოგცე;** მაშასადამე ყოველი ცოდვის აღსრულება არს ეშმაკის თაყვანის-ცემა; ყოველი სარგებლობა და კმაყოფილება, გამომავალი ცოდვისაგან, ეშმაკის მსახურება არის, მაშასადამე ღვთის უარის ყოფა. როდესაც გაგიჩნდეს, ძმაო, გულში რომელიმე ბოროტი და ცუდი ჰაზრი, მაშინ შენც განრისხდი ეშმაკსა ზედა, ვითარცა მაცხოვარი, და უთხარ მას: **წარვედ ჩემგან მართლ უკუნ, სატანა.**

დაასრულა რა მაცხოვარმან ორმეოცისა დღისა მარხვა და მზადება, მობრუნდა იორდანის კერძოდ და მუნ იწყო ქადაგება და სწავლა: **მიერიდგან იწყო იესომ ქადაგება და სიტყვად: შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა.** პირველი სიტყვა მაცხოვრისა იყო სასუფეველსა ზედა ცათასა: **შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა.** სასუფეველი ცათა, ვითარცა აღხსნის მრავალგზის სამღრთო წერილი, არის

სუფევა ანუ დამკვიდრება და უფლება კაცთა შორის ჭეშმარიტებისა, მშვიდობისა და უმეტესად სიყვარულისა, ერთის სიტყვით, ოდეს კაცთა შორის ნაცვლად ცოდვისა ჰსუფევს და მოქმედებს მადლი და ჭეშმარიტება. სასუფეველი ღვთისა არის და უნდა იყოს პირველად თვითოეულის კაცის გულში, მეორედ თვითოეულსა ოჯახსა ანუ სახლსა შინა, მესამედ მრთელსა სოფლის ანუ ქვეყნის საზოგადოებასა შინა.

სასუფეველი ღვთისა არის შენს გულში, ძმაო ჩემო, მაშინ, ოდესაც შენ ხშირად ფიქრობ და გიყვარს სჯული შენი, ესე იგი ქრისტიანობა, როდესაც შენ ემორჩილები ჭეშმარიტებასა და სიმდიდრესა ღვთისასა და თუმცა უძლურებისა გამო კაცის ბუნებისა შთავარდები შემთხვევით, რომელთამე ცოდვათა შინა, გარნა განგებ და წინაგანზრახვით ცუდს საქმეს არ იზამ.

სასუფეველი ღვთისა არს იმ სახლში, ანუ ოჯახში, სადაცა ჰსუფევს მშვიდობა, ერთობა და სიყვარული, სადაცა მშობელნი აჩვენებენ შვილთა თვისთა კეთილთა მაგალითთა, შვილნი ემორჩილებიან და პატივს სცემენ მშობელთა თვისთა, ერთის სიტყვით, იმ სახლში, რომელიცა სიწმიდითა, სიმართლითა, ემსგავსება თვით ეკკლესიას. ბოლოს სასუფეველი ღვთისა არს მრთელად სოფლის ანუ ქვეყნის საზოგადოებაში, მაშინ, ოდესაც შემხედველი საზოგადოებისა მის ნახავს, რომელ იქ ჰსუფევს მშვიდობა, სიმართლე და უმეტესად – წმიდა, კეთილი ზნეობა.

და ესრეთ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, უკეთუ გვსურს, რათა მოეახლოს და კიდეც დაიმკვიდროს აქ, მცხოვრებთა შორის ამა ქალაქისათა სასუფეველმან ღვთისამან, შევინანოთ ცოდვანი ჩვენნი, ვითარცა იტყვის მაცხოვარი, **შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს** სასუფეველი ღვთისა. ამინ.

სიტყვა,

მიგებების დღესასწაულისა

*

მართლმადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

დღეს, ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, ვითარ-

ცა უწყებულ არს თქვენდამი, ჩვენ ვდღესასწაულობთ მირქმასა, ანუ მიგებებასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა მოხუცებულის სვიმეონ მართლისაგან. ძველს სჯულში იყო დაწესებული, რომელ მეორმოცეს დღესა, მშობელნი პირმშოსა თვისსა შვილსა მიიყვანდნენ ტაძრად და შესწირვიდენ ღმერთსა, ვინც მდიდარი იყო მდიდარსა შესაწირავსა და ღარიბი კაცი ორსა მტრედის მართვესა. ეს სჯული აღასრულეს მშობელთა იესო ქრისტესა. როდესაც განვიდა ორმეოცი დღე შემდგომად იესო ქრისტეს შობისა, მიიყვანეს იგი ტაძრად, ილოცეს და შესწირეს ღარიბის კაცისათვის დადებული შესაწირავი, რადგან ისინი იყვნენ ღარიბნი, ორნი მართვენი ტრედისანი. როდესაც ყოვლადწმიდა მარიამი და იოსები შევიდნენ ტაძარში, მიეგება მათ ერთი უკიდურესსა მოხუცებულებასა შინა მყოფი კაცი, მართალი სვიმეონ. ამას სულისა წმიდისაგან ჰქონდა გამოცხადებული, რომელ იგი არა იხილავდა გემოსა სიკვდილისასა, ვიდრემდის თვალითა თვისითა არ ნახვიდა მაცხოვარსა სოფლისასა, იესო ქრისტესა. მან მიიღო ჩჩვილი იესო მკლავთა ზედა თვისთა, აკურთხა ღმერთი, დალოცა მშობელნი მისნი და ბოლოს წარმოსთქვა: **აწ განუტევე მონა შენი, მეუფე, მშვიდობით.**

ამაში მდგომარეობს, ძმანო ჩემნო, აწინდელი დღესაწაული. იგი გვაძლევს ჩვენ მრავალთა ზნეობითთა სწავლათა, არამედ მიხედე, ძმაო, რა ბეჯითად და მტკიცედ ასრულებენ მშობელნი ქრისტესნი ყოველთა წესთა და საღმრთოთა ჩვეულებათა. მაცხოვარი იესო ქრისტე იყო ძე ღვთისა; მისთვის რა საჭირო იყო მისვლა ტაძარში და შეწირვა მსხვერპლისა?! გარნა ეს ჰქმნა მან, რათა მოგვცეს ჩვენ სახე, რათა ჩვენ გვახსოვდეს ყოველნი სჯულის დებანი და საღმრთონი ჩვეულებანი და მტკიცედ ვასრულებდეთ მას. გარდა ამისა ეს ჰაზრიც დაუმატე: იესო ქრისტე მოვიდა ქვეყანაზე მისთვის, რათა გააუქმოს ძველი სჯული და მოგვცეს ჩვენ ახალი უწმიდესი და უმაღლესი სჯული. გარნა, ვიდრემდის გამოაცხადებდა იგი ახალსა ამა საღმრთოსა სჯულსა, მან იწყო და შეუდგა აღსრულებად ყოველთა ძველის სჯულის ბრძანებათა. დიდება სულგრძელებასა და გარდამოსვლასა შენსა, უფალო! შემოქმედი ცისა და ქვეყნისა მიიღებს უძლურსა ბუნებასა მონისასა; უწმიდესი და გამოუცდელი ყოვლისა ცოდვისა მერვესა დღესა იქმნების წინადაცვეთილ, ვითარცა ერთი ცოდვილთაგანი კაცი. მპყრობელი ცისა და ქვეყნისა მეორმოცესა დღესა შინა, ვითარცა უსუსური ყრმა, ყოვლად წმიდისა დედისა თვისისაგან იქმნების მიყვანილ ტაძრად და შესწირავს შესაწირავსა ღარიბთა კაცთა,

ორსა მართვესა მტრედისასა. ესრეთ დაიმდაბლა მან თავი თვისი, რათა გვასწავლოს ჩვენ სიმდაბლე; ესრეთ დაემორჩილა იგი სჯულსა, რათა გვასწავლოს ჩვენცა მორჩილება სჯულისა.

მეორედ, განიხილე, ძმაო, და იფიქრე რა დიდი სასარგებლო და მიუწთომელი საქმე ყოფილა ხშირად სიარული ტაძარში ლოცვისა და მსხვერპლისა შესაწირავად. ღვთის მშობელი მარიამ იყო უზენაესი ქერუბიმთა; სვიმონ მოხუცებულა იყო კაცი მართალი და წმიდა; ანნა წინასწარმეტყველი, რომლისა სახელი უთუოდ გესმა სახარებისაგან, თუ იყავი ცისკარზედ, იყო ძლიერ მოხუცებული და უძლური; აჰა ესერა ამათ ყოველთა ვხედავთ დღეს შეკრებილთა და მლოცველთა ტაძარში. თუმცა დღე ესე არ იყო მათთვის დღესასწაული, არამედ უბრალო, ნიადაგი დღე. გარნა შენ, რომელი ხარ კაცი ცოდვილი, რომლისათვის ფრიად საჭიროა განწმედა სინიდისისა მრავლითა და ხშირითა ლოცვითა, შენ არათუ უბრალო დღეს, არამედ მრავალ გზის დღესასწაულშიდაც დააკლდები წირვა-ლოცვასა, რომელთამე უბრალოთა და არა პატივსაცემელთა მიზეზთა გამო და ხანდისხან გარეშე ყოვლისა მიზეზისა. ნუთუ შენ უწმიდესი ხარ ყოვლად წმიდისა დედოფლისა, ნუთუ შენ უმართლესი ხარ მართლისა სვიმეონისა, რომელნი არაოდეს არ დააკლდებოდენ ეკლესიურსა ლოცვასა? ნუ იქმნები მცონარე! ნუ სჩაგრავ სულსა შენსა! რა იცი, რა დროს მოგივა შენ მადლი ლოცვისა? რა იცი, რომელს დღეში უმეტესად შეიწყნარებს ღმერთი ლოცვასა შენსა? იქმნება იმ დღეს, როდესაც შენ დაგეზარა ეკკლესიაში წასვლა, რომ წასულიყავი საყდარში, მადლი სულისა წმიდისა შეეხებოდა გულსა შენსა; იქმნება იმ დღეს მოელოდა სული შენი განმართლებასა და ცხონებასა: იქმნება იმ დღეს, მსგავსად სვიმეონ მართლისა, შეიძლებოდა შენი გულის სიღრმისაგან წარმოთქმად წინაშე ღვთისა: **აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი.**

ნუ დაუტევებ აგრეთვე შეუნიშვნელად, რა საკვირველი ღვთის მოყვარე და მსასოებელი იყო წინასწარმეტყველი ანნა, რომლისა სახელსა ახსენებს დღევანდელი სახარება. იგი იყო ქვრივი ოთხმოცდა ოთხის წლისა, ქმართან სცხოვრებდა მხოლოდ შვიდი წელი. დანარჩენი ცხოვრება თვისი გაატარა ტაძრის ეზოში, **რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა დღე და ღამე,** იტყვის დღევანდელი სახარება (ლუკ. ბ, ლზ.). ნეტავი ერთი მაინც მსმენელთაგანი ქალი ერთ წამს დაფიქრდეს და ჰკითხვიდეს თავის გულში თავის თავს: რომელი ცხოვრება სჯობს, მისი დაფან-

ტული, ამაო, აღელვებული, ჭორითა და ბოროტ სიტყვაობი-
თა აღვსებული, ანუ ანნა ქვრივისა, რომელი დღე და ღამე
არ **განეშორებოდა ტაძარსა ლოცვითა, ვედრებითა და მსახურებითა?**
ამას რომ ჰკითხვიდეს ვინმე თავის თავს, მისი სინიდისი და
გული შეატყობინებდა, რა საშინელი და სამწუხარო განსხვა-
ვება არის შორის მისა და ანნა წინასწარმეტყველსა, და მიი-
ღებდა იგი დიდსა სწავლასა და მხილებასა. ამინ.

მოძღვრება,

კვირიაკესა მეზვერისა და ფარისევლისა.

ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად
ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი
მეზვერე (ლუკ. იჱ, ი).

ორნი კაცნი შევიდნენ ტაძარსა შინა ლოცვად, ვითარცა
გვესმა დღეს წარკითხულისა სახარებისაგან. ერთის კაცის ლო-
ცვა იქმნა ნაყოფიერი: ღმერთმან მიუტევა მას მრავალნი მის-
ნი ცოდვანი და გამოვიდა იგი ეკკლესიისაგან განმართლებუ-
ლი. მეორისა კაცისა ლოცვა დაშთა უნაყოფოდ; არათუ არ
მიიღო მან მიტევება ცოდვათა, არამედ უმეტესად დამძიმდა
მისი ცოდვა. რა იყო, ძმანო, ამის მიზეზი? დიდად საჭირო
არს ჩვენ ყოველთათვის გამოვიკვლიოთ ეს საგანი: ჩვენ ყო-
ველნი აღვდივართ ტაძარსა შინა ლოცვად, მაშა-სადამე საჭი-
რო არს ჩვენთვის შევიტყოთ: რომელი ლოცვა გაამართლებს
კაცსა და რომელი არა.

რა სახით ილოცეს ამ ორთა კაცთა? **ფარისეველი იგი წარ-
სდგა და ამას ილოცვიდა თვისაგან: ღმერთო, გმადლობ შენ, რამე-
თუ არა ვარ, ვითარცა სხვანი კაცნი; მტაცებელ, ცრუ და მემრუშე,
გინა ვითარცა ესე მეზვერე; ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა; ათე-
ულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა.** აჰა ვითარ აღ-
სწერს მაცხოვარი ლოცვასა ფარისეველისასა! რისთვის დაშთა
ეს ლოცვა უნაყოფოთ? ამას არ უნდა დიდი განმარტება: თვით
შენ ჰგრძნობ, ძმაო ჩემო, რომ უგუნურთა ამათ სიტყვათა შინა
ფარისეველმა გამოაჩინა ერთი მხოლოდ ამპარტავნება თვისი.
აქ მე სხვა რაიმე უნდა გითხრა, ძმაო: როდესაც გესმის შენ
ეს უგუნური ლოცვა ფარისეველისა, არ გაგახსენდებაა რაიმე

მგზავსი ამისი ცხოვრებისა შენისაგან? მაღალნი და უგუნურნი სიტყვანი ფარისევლისანი არ მოგაგონებენა შენ საკუთართა შენთა ანუ რომლისამე მცნობისა შენისა სიტყვათა? ხშირათ დავემსგავსებოდით ჩვენ, ძმანო ჩემნო, ფარისეველსა ამას. ვინ იცის, რაოდენ-გზის ზოგიერთი კაცი ამართლებს თავის თავს, მგზავსად ფარისეველისა ამის, მით, რომელ იგი, მადლობა ღმერთსა, არ არის ქურდი, კაცის მკვლელი, მეშრუშე! რაოდენ გზის მოხდება, რომელ ოდესაც მამა თავის შვილს ანუ უფროსი თავის ქვეშევრდომს დაემდურება და აყვედრებს რომელსამე ცუდსა საქმესა, მაშინ იგი იტყვის: მადლობა ღმერთს, მე ხომ ქურდი და კაცის მკვლელი არა ვარო. ანუ ოდესაც მოძღვარი ამხილებს თავის მოწაფეს და უხსნის, რა ცუდი საქმე უქნია, მაშან იგი იტყვის: მადლობა ღმერთს, ჩემზედ უარესიც არიანო. ერთის სიტყვით, თითქმის ყოველ კაცს აქვს ის ცუდი და მავნებელი ჩვეულება, რომ იგი თავის თავს ამართლებს მით, რომელ არიან ბევრნი მას ზედა უარესნი: **არა ვარ მე, ვითარცა სხვანი კაცნი, ანუ ვითარცა მეზვერე.** ჰოი უგუნურებასა შენსა, ფარისეველო! შენი თავი დიდათ მიგაჩნია მხოლოდ მისთვის, რომელ არიან ზოგნი შენზედ უარესნი, არა ხარ შენ ყოველთა უცუდესი. უკეთუ გსურს შენ, ძმაო, შეიტყო შენი სულიერი მდგომარეობა, არა შენსა უარესსა, არამედ შენზედ უმჯობესსა შეადარე შენი თავი; ცხოვრება შენი, ყოფაქცევა და სიცოცხლე შენი გაზომე საღმრთოითა მით საზომითა, რომელი გიჩვენა შენ მაცხოვარმან სიტყვითა და საქმით.

არა ვარ მე, ვითარცა სხვანი კაცნი, ანუ ვითარცა მეზვერე. ვსთქვათ, რომ შენ სწორედ არა ხარ მსგავსი ძლიერ ცუდთა კაცთა, გარნა ემსგავსებია კაცთა წმიდათა? ვსთქვათ, რომ შენ არა ხარ ბოროტის-მომქმედი, გარნა არ არის საკმაო შენთვის მხოლოდ ის, რომ ცოდვა არ გქონდეს, არამედ მადლი უხდა ჰქმნა, სათნოება უნდა შეიძინო. ღმერთმან შენ გიწოდა სიწმიდისათვის, სათნოებისათვის, სასუფევლისათვის. უკეთუ არ მიმდინარეობს შენი ცხოვრება უმჯობესისადმი, მაშა-სადამე რით გამართლდები?

არა ვარ მე, ვითარცა სხვანი კაცნი, ანუ ვითარცა მეზვერე: რა არის, ძმაო ჩემო, სიტყვათა ამათ შინა შესანიშნავი და განსაკვირვებელი? ის, რომელ ესრეთთა მაღალთა სიტყვათა სწორედ ის კაცი ამბობს ხშირად, რომელიცა ნამდვილად ემსგავსება ცუდთა კაცთა და არის აღვსებული ყოვლითა ბოროტებითა. კაცი წმიდა, ღვთისმოყვარე და ღვთისმოშიში ვერ გაბედავს და ვერც მოიფიქრებს თქმად ესრეთთა სიტყვათა; იგი

არის თავმდაბალი და თვით მცირედიცა ცოდვა, უკეთუ შეემ-
თხვია მას, შეაშინებს და შეჰმუსრავს გულსა მისსა; იგი სიმ-
დაბლესა შინა თვისსა ყოველთვის ჰრაცხს თავის თავს დანა-
შაულად და ცოდვილად ღვთის წინაშე; მას არა აქვს იმედი
თავის თავისა, არამედ ღვთისაგან ელის განმართლებასა. შენ
მხოლოსა შეგცოდე ღმერთო! მე მხოლომან განვამწარენ წია-
ღნი მამულნი შენნი! უარესი ვარ მე და უცოდვილესი ყოველ-
თა კაცთა! აჰა, რას ლოცულობდნენ მარადის უდიდესნი წმი-
დანი, რომელნი იყვნენ აღვსებულ სულითა წმიდითა და სას-
წაულ-მოქმედნი! ხოლო ფარისეველი იქადის; იგი არათ ჰრაცხს
ზოგიერთსა ცოდვასა, იმას ცოდვად მიაჩნია მხოლოდ უსაში-
ნელესი ცოდვანი, ვითარცა მტაცებლობა, მრუშება, კაცის
კვლა; უკეთუ ესენი არ უქმნია მას, იმას თავისი თავი მიაჩნია
წმიდად.

გარნა, რას გვეტყვის კიდევ ფარისეველი ესე? იგი გვა-
ჩვენებს ჩვენ, ვითომც მას აღუსრულებია მრავალნი სათნოება-
ნი: **ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვ-
ლისაგან მონაგებისა ჩემისა.** აჰა სათნოებანი ფარისეველთა! მარ-
ხვა და მსხვერპლის შეწირვა არის გზა მიმყვანებელი სათნოე-
ბისადმი და არა თვით სათნოება; ვინც იმარხავს, მსხვერპლს
შესწირავს, წირვა-ლოცვას ისმენს, გარნა შინაგანი სიწმიდე
არ მოემატა, სულით და გულით უმჯობესი არ შეიქმნა, ის
ემსგავსება კაცსა მას, რომელი გზასა ზედა სდგას და წინ არ
მიდის. ცხად არს, რომ ესრეთი კაცი მოჩვენებისათვის, ესე
იგი ფარისევლობით აღასრულებს ესრეთთა გარეგანთა სა-
ქმეთა.

ახლა მივიქცეთ მეზვერისადმი და შევიტყოთ, როგორ
ლოცულობდა იგი: **ხოლო მეზვერე იგი შორს სდგა და არა იკა-
დრებდა თვალთაცა ზე აღხილვად, არამედ იცემდა მკერდსა და
იტყოდა: ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას!** ცხად არს, თუ ვი-
თარითა სიმდაბლითა, გრძნობითა და შემუსრვილითა გულითა
ლოცულობდა მეზვერე იგი; იმან შეიგნო თვისი მდგომარეო-
ბა, იგი აღარ ატყუებდა თავის თავს. ვინ იცის, იქმნება, ისიც
კი ორ-გზის იმარხვიდა, ვითარცა ფარისეველი შაბათსა; უთუ-
ოთ იგიც ათეულსა აძლევდა მონაგებისაგან თვისისა, ვინაიდ-
გან იგიცა იყო ურია; ხოლო ურიანი მტკიცედ აღასრულებ-
დნენ ესრეთთა მცნებათა. გარნა როგორღა გაახსოვდებოდნენ
მას ესრეთნი ფუჭნი საქმენი, ვინაიდგან გული მისი იყო შემუ-
სვრილ, მას ახსოვდა მხოლოდ თვისი უღირსება და თვისი
ცოდვა.

ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა! ბევრს სიტყვას არ ამბობს

იგი; ნაცვლად სიტყვათა ისმის ოხვრა მისი და გულის-ცემა. ვინც ღრმად ჰგრძნობს, ვისიც გული არის აღელვებული, იგი ბევრს ვერა რას იტყვის; ან რათ უნდა ღმერთსა სიტყვანი შენნი, ძმაო! ღმერთი ჰხედავს შენს გულს, იგი ჰხედავს, რა გრძნობით მიდიხარ შენ ეკკლესიაში. სთქვი შენცა, ძმაო, სიღრმისაგან გულისა შენისა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას, და ღმერთი მიმხედველი გულისა შენისა სიმდაბლისა და გრძნობისა, გილხენს და გაცხოვნებს შენ. ამინ.

მოძღვრება,

კვირიაკესა მეზვერისა და ფარისეველისასა.

აწინდელსა კვირიაკესა წმიდამან ეკკლესიამან დააწესა წაკითხვა სახარებაში მეზვერისა და ფარისეველის იგავისა, მისთვის, რათა ჩვენ, მსმენელნი იგავისა ამის, ვეკრძალებოდეთ ფარისევლურს ცოდვასა და ვბაძვიდეთ მეზვერის სიმართლესა და მონანებასა.

ფარისევლობა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, არის ერთი უსაშინელესთა და უმძიმესთა ცოდვათაგანი, რომელნი ჰბუდობენ გულსა შინა კაცისასა. იგი მით უმეტესად არის მძიმე და მავნებელ, რომელ თითქმის ძვირად მოიპოვება ქვეყანაზედ კაცი რომლითამე სახითა, ანუ რომელთამე შემთხვევათა შინა არა მოზიარე ამ ცოდვისა. რასა შინა მდგომარეობს ფარისევლობა? იგი მდგომარეობს მას შინა, ოდესაც კაცი გარეგანითა თვისითა, ვითომც წესიერითა და მოსაწონითა ყოფაქცევითა, მხოლოდ დაჰფარავს შინაგანთა თვისთა უმსგავსთა და უშვერთა თვისებათა; ოდეს იგი მოაჩვენებს თავსა თვისსა, ვითარცა კეთილსა და მართალსა, გარნა თვით კი არ არის ესრეთი და მით ატყუებს ქვეყანასა; ერთი სიტყვით, ოდეს იგი მიითვისებს სახესა სათნოებისასა, მაშინ ოდეს ძალი სათნოებისა შორს არს გულისა მისისაგან. გარნა რისთვის ვცდილობთ ჩვენ ფარისევლობის აღწერასა სუსტითა ენითა ჩვენითა? თვით მაცხოვარმან ვრცლად აღწერა შესაძრწუნებელთა სიტყვათა შინა ფარისევლობა და მოქმედება მისი. ფარისეველნი, სიტყვისამებრ მაცხოვრისა, ყოველთა საქმეთა მათთა იქმენ **საჩვენებლად კაცთა** (მათ. კგ, დ.); იგინი შესჭამენ სახლთა ქვრივთასა და **მერმე გრძლად ილოცვენ** (მუხ. იგ.); აღასრულებენ მხო-

ლოდ მცირეთა და გარეგანთა მცნებათა და დაუტევებენ **უმძიმესსა სჯულისასა, სამართალსა და სიყვარულსა;** განსწმედენ გარეგანსა ჭურჭლისასა, ხოლო შინაგანი მისი სავსე არიან **ნატაცებითა და არა-წმიდებითა** (კე). იგინი ემსგავსებიან **საფლავთა განგოზილთა, რომელი სჩანედ გარეშე მშვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძვალებითა მკვდართათა. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიიღებთ უმეტესსა სასჯელსა; ცოფნო და ბრმანო, გველნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარმე განერნეთ სასჯელსა მას გეენიისასა.** აჰა, ვითართა საშინელთა სიტყვათა შინა აყვედრებდა მაცხოვარი ფარისეველთა! რას ნიშნავს ეს, ძმანო ჩემნო? როგორ მოხდა, რომელ ყოვლად მშვიდი იგი და ყოვლად მოწყალე, განხორციელებული ცოდვილთა-თვის უფალი თითქმის დაივიწყებდა მოთმინებასა და შებრალებასა, ოდეს უბნობდა ფარისეველთა ზედა? ღვთაებრივითა სიბრალულითა აღვსებული იგი, რომელმან შეიწყნარა ცოდვილი ქალი, ღირსი სიკვდილისა, რისთვის აღწერდა ესრეთთა ფიცხელთა და მრისხანეთა სიტყვათა შინა ბოროტებასა ფარისეველთასა? სჩანს, ძმანო ჩემნო საყვარელნო, რომელ საშინელ არს ცოდვა ფარისევლობისა! რისათვის? მისთვის, რომელ ფარისეველი ცხოვრებითა თვისითა თითქმის შეაგინებს თვით სათნოებასა; იგი ზოგჯერ სხვათა კაცთაცა შეაძულებს ღვთის-მსახურებასა; იგი განაუქმებს ღვთის-მოყვარებასა და მრავალთა კაცთა დაუბრკოლებს სულის ცხონებასა. **ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისევგლნო ორგულნო, რამეთუ დაჰხშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქვენ შეარახვალთ და შემავალთა არა უტევებთ შესვლად** (მთ. კგ, იდ). რა სახით? ესრეთ, რომელ კაცი გულ-წრფელი, მხედველი ფარისევლობითის ყოფა-ქცევისა, ხშირად უკუნ-იქცევა ღვთის მსახურებისაგან.

ჩვენ ვსთქვით, რომელ თითქმის არ მოიპოვება კაცი, სრულიად უცხო ამ ცოდვისა. ჭეშმარიტად, ძმაო ჩემო! ყოველთვის, ოდესცა შენ ნაცვლად გულის გაწმედისა და ცუდთა ჩვეულებათაგან განშორებისა, ჰმალავ ცოდვასა სიღრმესა შინა გულისა შენისასა და მიიღებ კეთილსა გარეგანსა სახესა, ფარისევლობასა შინა შთავარდები. ფარისევლობ, ოდეს შენ პირის-პირ კაცს აქებ და ეფერები და პირ-იქით ცუდათ ახსენებ მას; ფარისეველი ხარ, ოდეს ელაპარაკები რა შენზედ უფროსს კაცსა, ამბობ არა იმას, რასაც გული გეტყვის, არამედ რაც იამება იმ კაცს; არა სიმართლეს იტყვი, არამედ რასაც მოითხოვს შენი საკუთარი სარგებლობა. ფარისეველი ხარ, ოდეს შენ ერთს კაცს აქებ, არა მისთვის, რომელ იგი ღირსი

არის ქებისა, არამედ მისთვის, რომ იგი არს მოყვარე და მე-
გობარი შენი, ხოლო მეორეს განკითხავ მისთვის, რომელ
იმას აქვს შენთან მცირე-ოდენი უკმაყოფილება; ოდეს ენითა
შენითა ამტკიცებ დიდსა სიყვარულსა სიმართლისა და სათნო-
ებისასა, ხოლო საქმით კი უმართლო ხარ. რა არის, თუ არა
ფარისევლობა, ოდეს სინიდისი გამხილებს შენ რომელთამე
ცოდვათა-თვის და შენ კი პირ-მოთნედ იტყვი: ღმერთი მოწ-
ყალე არისო, რა ვქმნაო, კაცი სუსტი არისო, სხვანიც ესრეთ
სცხოვრობენ, ვინ არის უცოდველი ქვეყანაზედაო, თავის დრო-
ზედ მოვინანებო; ყოველთა შინა ესე ვითართა შემთხვევათა
კაცი ცხადად ეზიარება ფარისევლობის ცოდვასა.

გარნა აქ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, მე გამოვითხოვ ნე-
ბასა, ვითარცა სულიერი თქვენი მოძღვარი და მზრუნველი,
გადავსდგა კიდევ ერთი ნაბიჯი და ვაახლო სიტყვა ჩემი თქვენ-
დამი. ვინაიდგან სიტყვა ჩვენი არის ფარისევლობასა ზედა,
მაშასადამე იგი უნდა იყოს პირ-უთნეველი და განშორებული
ფარისევლობისაგან. და ესრეთ, ვიტყვი პირ-უთვნელად, ჩვენ
მცხოვრებთა ამ ქვეყანისათა გვაქვს საკუთარი მიდრეკილება
ფარისევლობისადმი. ეს გამოჩნდება უმეტესად მით, რომელ
ხშირად სიტყვანი ჩვენნი არიან წინააღმდეგნი საქმეთა ჩვენთა,
და გარეშეობა ჩვენი არ ეთანხმება შინაგანსა ჩვენსა. ის მარ-
თალია, რომელ ყოველთა მცხოვრებთა ჩვენის ქვეყანისათა,
ვიწყოთ დაბალის ხალხისაგან ვიდრე აზნაურთ და თავადთადმდე,
აქვსთ და იციან უმეტესი ზრდილობა და თავაზობა, ვიდრე
სხვათა კავკასიის მცხოვრებთა, გარნა ისიც უნდა აღვიაროთ,
რომელ ამ ზრდილობას და თავაზობასა ხშირად გაერევა ფა-
რისევლობა. ვგონებ, რომ უმჯობესი და ყოვლად საქები ზრდი-
ლობა ის არის, როდესაც კაცი იქცევა გულწრფელად.

ვიცნოთ, ძმანო, თავნი ჩვენნი; ნუ ვიქნები პირმოთნენი
ნურაოდეს, ნურცა თავთა წინაშე ჩვენთა, ნურცა წინაშე სხვა-
თა, არამედ გულ-წრფელად აღუაროთ ღმერთსა ნაკლულევა-
ნებანი ჩვენნი. ვევედროთ ღმერთსა, რათა მადლითა თვისითა
განაქარვოს და აღმოჰფხვრას ყოველი ფარისევლობა გულ-
თა შინა ჩვენთა და მოგვცეს სული წრფელი და მართალი.
ამინ.

მოძღვრება,

მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკესა.

„ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი მეზვერე“ (ლუკ. იჱ, ი).

მრავალნი ცოდვანი სტანჯავენ ქვეყანასა ამას შინა დაცემულსა ბუნებასა კაცისასა, გარნა არცა ერთი მათგანი არ არის უსაშინელესი ფარისევლობისა, მისთვის რომელ არცა ერთი მათგანი ეგრეთ არ მოეკიდება გულსა კაცისასა, ვითარცა ფარისევლობა; არცა ერთი მათგანი იმ ზომად არ მოინადირებს სულსა მისსა და ისრე ღრმად არ შთანერგდება ბუნებასა შინა მისსა. ყოველნი სხვანი ცოდვანი მხოლოდ ერთ დროს და ერთს ჰასაკსა შინა მოეკიდებიან კაცსა, ფარისევლობა სიყრმითგან საფლავამდის მისდევს მას; ყოველი სხვა ცოდვა გაეერევა და გამოჩნდება მხოლოდ ზოგიერთთა საქმეთა შინა, ეს კი ყოველ სიტყვაში და ყოველ საქმეში; ფარისევლობა ყოველ მოქმედებას გასვრის და გააუწმინდურებს, ყოველ ჰაზრს და სიტყვას მისცემს რაღასაც ცუდად განსხვავებულს ფერს; გარნა უმაღლესი სიცუდე ფარისევლობისა ის არის, რომელ იგი ატყუებს კაცსა. კაცი მყოფი ფარისევლობასა შინა ფიქრობს, ვითომც იგი არის კეთილი და სათნო ღვთისა.

რა არს, ძმაო, ფარისევლობა? გავიცნათ იგი დღეს. აღვწეროთ მისი ნიშნები; ვიცნათ მახლობლად ეს საშინელი მტერი ჩვენი, რათა არ შემოგვეპაროს იგი ჩუმათ და არ წარიტაცოს ჩვენი გული. დიდი კრძალვა და სიფრთხილე მართებს ყოველს კაცსა, რათა დაიცვას თავი თვისი ცბიერისა ამის და მატყუებელისა მტრისაგან, ვინაითგან იგი ვითარცა ერთი მოლიქნე და ცრუდ-მომფერებელი მეგობარი, უეცრად შეეპარება ადამიანს გულში და მოინადირებს სულსა მისსა.

დღეს წარკითხულის სახარებისაგან იგავი კარგად აღწერს ფარისეველის მოქმედებათა და გაგვაცნობს ჩვენ მისთა თვისებათა.

ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას, ესრეთ იწყო მაცხოვარმან იგავი ესე, – **ერთი ფარისეველი და ერთი მეზვერე. ფარისეველი იგი წარსდგა და ამას იტყოდა თვისაგან: ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხვანი.** ამ სიტყვებისაგან იცან, ძმაო, რომელ პირველი თვისება ფარისევლობისა არის ამპარტავნება ანუ გულ-დიდობა; ფარისეველი შევიდა საყდარ-

ში ლოცვად და ნაცვლად ლოცვისა წარსდგა, ესე იგი წინ დადგა, და იწყო ქება თავის გულში თვისის თავისა. რა საშინელი ამპარტავნება და გულ-დიდობა უნდა ჰქონდეს კაცსა, უკეთუ იგი საყდარშიაცა, დროსა ლოცვისასა, არ იქცევა თავ-მდაბლად, არამედ იქაც ახსოვს თვისი გულ-დიდობა, იქაც ეძიებს პატივსა და წინდგომასა, იქაც მისთვის შევა, რათა აჩვენოს სხვათა თვისი დიდ-კაცობა და სიმდიდრე. ახლაც არიან მრავალნი მსგავსნი ამ ფარისეველისა! ახლაც მრავალნი არ იკადრებენ საყდარში თავ-მდაბლად ქცევასა. მეტადრე სოფლებში, არათუ მრავალნი ეძებენ წინ-დგომასა, არამედ ეჯავრებათ, თუ მათ სიახლოვეს დადგა ვინმე დაბალი და ღარიბი კაცი. დროსა ლოცვისასა გულ-მაღლად იხედვენ გარემო თვისა, პირის სახეზედ გამოხატული აქვსთ რაღაც ამპარტავნება, პირ-ჯვარს მძიმედ იწერენ, ვითომც არცკი კადრულობენ პირ-ჯვრის დაწერასა და დიდად ავალებენ ღმერთსა თვისის პირ-ჯვრის დაწერითა. მოკლედ, ახლაცა ვიეთნიმე ქრისტიანენი, რომელთა აქამომდე არა უცვნიათ სული ქრისტესი, დაემსგავსებიან ძველთა მათ ფარისეველთა. გარნა მივიქცეთ კვალად იგავისადმი და ვიხილოთ, ვითარ ილოცვიდა ფარისეველი თავის გულში.

ფარისეველი იგი წარსდგა და ამას იტყოდა თვისაგან: ღმერთო გმადლობ, რამეთუ არა ვარ ვითარცა სხვანი კაცნი მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზვერე..... რა ლოცვა იყო ეს ლოცვა! ლოცვაში კაცი შიშით და ძრწოლით უნდა აღუარებდეს ღმერთსა უღირსებასა თვისსა და გამოითხოვდეს მისგან ცოდვათა შენდობასა, და თუგინდ მლოცველი ჰგრძნობდეს თავის გულში, რომ მან შეძლებისამებრ თვისისა დაიცვა სჯული ქრისტესი და არა თუ არ შთავარდნილ-არს რომელთამე დიდთა ცოდვათა შინა, არამედ მადლითა ღვთისათა დაუმარხავს მცნებანი ღვთისანი, მაშინაც ამას უნდა მიაწერდეს ღვთის მადლსა და მადლობასა შესწირვიდეს ღმერთსა, და გამოითხოვდეს მისგან, რათა მომავალს დროსაცა შინა დაიცვას იგი ცოდვათაგან. გარნა ფარისეველი იგი იქებს თავის თავს და რით იქებს იგი თავს? მით, რომ იგი არ არის ცრუ, მემრუშე და მტაცებელი. რა ქება არის ეს? ესრეთ შეუძლიან იქოს თავი თვით უბოროტესმა ავაზაკმა. გარნა აქ, ძმაო, მიაქციე საკუთარი ყურად-ღება ამ სიტყვებს: **არა ვარ, ვითარცა სხვანი კაცნი, ანუ ვითარცა ესე მეზვერე.** ეს სიტყვები გამოაჩენენ მეორესა ხაზსა ფარისევლობის ხასიათისასა, ანუ მეორესა მისსა თვისებასა; ეს თვისება არის შეურაცხ-ყოფა, ანუ დაკნინება მოყვსისა: **არა ვარ ვითარცა სხვანი კაცნი...** მე არ ვემსგავ-

სები სხვათა კაცთა, მე სხვაზედ უმჯობესი ვარ, სხვანი ცუდნი არიან.

არ გენიშნებაა აქ, ძმაო, ზოგიერთის შენის მცნობის თქმულობა და ლაპარაკი? ეს უგუნური სიტყვა ფარისევლისა არ მოგაგონებსა ზოგიერთთა ახლანდელთა ქრისტიანეთა ლაპარაკსა? არ გახსოვსა, რას იტყვიან ზოგიერთნა და იქმნება შენც გითქვამს, და იქმნება, ვინ იცის, მეც მითქვამს ამის მსგავსი სიტყვა? მართალია, ესრეთ პირ-და-პირ არ იტყვი შენ: მე სხვაზედ უმჯობესი ვარო, მაგრამ ზოგჯერ შენის ლაპარაკისაგან პირ-და-პირ ის ჰაზრი გამოდის, რომ შენ არა ხარ, ვითარცა სხვანი კაცნი. როდესაც შენ მოჰყვები და იწყებ ვრცლად განკითხვასა მოყვასთა შენთასა, მჭევრ-მეტყველად აღწერ მათთა შეცთომათა და სიცუდესა, დასცინი მათთა საქმეთა და თვისებათა, – მაშინ შენ საუბარში ისმის რაღაც მსგავსი ამ ფარისეველის სიტყვისა, თითქოს იმას ამტკიცებ, რომ შენ არა ხარ მსგავსი იმ კაცისა, რომელსა განიკითხავ, შენ ისრეთ არ შესცდები, შენ ჭკვიანი ხარ..... სწორეთ ესრეთი ჰაზრი გამოდის ხშირად შენის საუბრისაგან. იქმნება შენ თითონაც არა გრძნობ ამას, მაგრამ ფრთხილად იყავ: ფარისევლობა დიდად მზაკვარია; იგი ხშირად შენდა უცნობლად დაიბუდებს შენს გულში, იგი ზოგჯერ შენდა შეუტყობლად მიაბრუნებს შენთა სიტყვათა და საქმეთა მუნ, სადაცა შენ არ გსურდა..... გარნა მივიქცეთ კვალად ფარისევლისადმი.....

მან ესრეთ განაგრძო თავის გულში ლოცვა: **ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა.** ვაიმე, ძმაო, რა საშინელი და ზარ-დამცემელი ჰაზრი გამოდის სიტყვათა ამათგან! თურმე მარხვა და სხვერპლის შეწირვა ორ-ნაირი ყოფილა! თურმე მარხვაცა და სხვერპლის შეწირვაცა ზოგჯერ გამოდის არა სინანულისა და ღვთის-მოყვარებისა, არამედ ამპარტავანებისაგან! თურმე შესაძლებელი არის მარხვაცა და მსხვერპლის შეწირვაცა ნიშნავდეს და მოასწავებდეს არა მადლსა და ღვთის-მსახურებასა, არამედ ერთსა მხოლოდ ცოდვასა და ღვთის-წინააღმდეგობასა! რისთვის იქებდა ფარისეველი თავსა, უკეთუ ეს ესრეთ არ იყოს! რაი არს და რას ნიშნავს ჭეშმარიტი მარხვა და სხვერპლის შეწირვა? მეტი არაფერი, მხოლოდ გლოვა, მონანება, შეწუხება, ტირილი და ღვთის ვედრება. როდესაც კაცი ჭეშმარიტად მარხულობს, ამითი ნიშნავს, რომ იგი არის შეწუხებული ცოდვათა თვისთათვის. რითღა შეუძლიან მას სიქადული? არა! ამ ფარისეველმა არ იცოდა, რა არის ჭეშმარიტი მარხვა და სხვერპლის შეწირვა. მისი მარხვა ყოფილა ნაყოფი მისისა ორგულობისა

და ამპარტავნობისა; მას უმარხავს მხოლოდ თავის მოწონებისათვის და პატივის მიღებისათვის. აჰა, ძმაო, კიდევ ერთი ხაზი ანუ ნიშანი ფარისეველის სახისა. იგი თუ რაიმეს იქმს, მხოლოდ გარეშეობით და მოჩვენებით. თუ მარხულობს, მხოლოდ კაცთა საჩვენებლად; მსხვერპლს შესწირავს და გლახაკს მისცემს მოწყალებას მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვანი დაინახვენ, და ესრეა ყოველ საქმეში და ქცევაში. თუ ლაპარაკში იგი გარწმუნებს, რომ არის მეგობარი და კეთილის მსურველი, ნუ დაუჯერებ; როდესაც მწუხარითა სახითა გელაპარაკება რომელსამე ცოდვასა და უსამართლოებასა ზედა, ვითომც მას ეძაგებოდეს ის უმართლოება, ნუ დარწმუნდები; უთუოდ იგი არის პირველი მოქმედი იმ უსამართლოებისა. რაოდენი არიან ესრეთნი პირნი ჩვენ შორის, რომელნი მრისხანითა სახითა და ფიცხელთა სიტყვათა შინა განიკითხავენ მოყვასთა თვისთა; გაიგონებ რა, იფიქრებ: ამაზედ უმჯობესი კაცი არ არისო, ამას ყოველი ცუდი საქმე ეძაგებაო; გარნა ვინ იცის, იქმნება მას არ ჰქონდა შემთხვევა, თორემ პირველი იგივე აღასრულებდა იმ საქმეს, რომელსაც ესრეთ განიკითხავს. მაგალითებრ, რავდენი იქმნება ჩვენ შორის ისრეთი პირი, რომ, როდესაც შემთხვევა არა აქვს და არ შეუძლიან ქრთამის აღება, მაშინ გულ-მოსული და გაფიცხებულიი სწყევლის ქრთამსა და ქრთამის ამღებსა, გარნა როდესაც მიეცა შემთხვევა, თითონ სხვაზედ უარესად იწყებს ქრთამის აღებასა.

ესრეთი იყო ლოცვა უგუნურისა მის ფარისეველისა და ესრეთნი არიან სამნი მისნი ბოროტნი თვისებანი ესე იგი: ამპარტავნება, მოყვსის შეურაცხ-ყოფა და პირში მოფერება ანუ მოტყუება!

ხოლო უკეთუ გსურს შეიტყო, ძმაო ჩემო, რაი არს ჭეშმარიტი ლოცვა და მონანება, მიაქციე ყურად-ღება ლოცვასა მეზვერისასა: **ხოლო მეზვერე იგი შორს ჰსდგა და არა იკადრებდა თვალთაცა ზე აღხილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო მილხინე ცოდვილსა ამას!** მონანული მეზვერე, შემუსვრილი და შეწუხებული ვერ ჰბედავდა წინ დგომასა.... იგი შორს სდგა.... იგი ესრეთ იყო შეწუხებული თვისის საკუთარის გრძნობისაგან, რომელ თითქმის თავის თავი ეძაგებოდა მას. იგი ვერ ჰბედავდა ზე აღხილვად და გარემოს თვისსა მიხედვად; იგი მხოლოდ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა!

წინააღმდეგ ფარისეველის ვრცლად მოთხრობისა, იგი წარსთქვამს მხოლოდ ოთხთა ამათ ლექსთა: **ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას!**

გარნა ვითარსა უღრმესსა გრძნობასა და სიმდაბლესა გამოაჩენს მისი მოკლე სიტყვა!

იგი თავს აღარ იმართლებს, მსგავსად ფარისეველისა. მან იგრძნო, რომ აქა ყოველი თავის გამართლება იქმნებოდა ერთი მხოლოდ მზაკვარება და სიცრუე; იგი მხოლოდ სწუხს, სტირის და იცემს მკერდსა და იტყვის: **ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას.**

ღმერთო გვილხინე ჩვენცა ცოდვილთა! ესრეთ სიღრმისაგან გულისა წარვსთქვათ ჩვენცა, ქრისტიანენო: ღმერთო გვილხინე ჩვენცა, რომელნი სიტყვით და საქმით ხშირად დავემსგავსებით ფარისეველსა ამას, გარნა არა გვაქვს მონანება მეზვერისა: **ღმერთო გვილხინე ჩვენცა ცოდვილთა ამათ!** ამინ.

სიტყვა,

*

მეზვერის და ფარისევლის კვირიაკესა

> გეტყვი თქვენ, გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი იგი ამაღლდეს, და რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი იგი დამდაბლდეს. (ლუკ. იჱ, იგ).

იგავსა შინა, დღეს წაკითხულსა, მაცხოვარმან აღწერა რა ლოცვა ფარისეველისა და მეზვერისა, ესრეთ დააბოლოვა სიტყვა თვისი: **გეტყვი თქვენ, გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისეველი იგი.** ამ სიტყვებისაგანა სჩანს, ძმაო ჩემო, რომელ ლოცვა ანუ გაამართლებს კაცს, ანუ გაამტყუნებს. შენ სდგახარ აქ, ძმაო, და ლოცულობ, ხოლო სული წმიდა, რომელი ისმენს ლოცვასა შენსა და გამოსცდის გულსა შენსა, მაშინვე შეადგენს განჩინებასა შენ სულზე; იგი იქავე, ანუ გაგამართლებს შენ, ანუ გაგამტყუნებს, ანუ გაგწმენდს, ანუ დაგსჯის თვით ლოცვისა შენისაგან: **და გარდამოვიდა ესე, განმართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისეველი...**

რით გამართლდა მეზვერე? მით რომ მან თითონ გაიმტყუნა თავი თვისი წინაშე ღვთისა: **ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას!** ამის მეტს იგი აღარაფერს ამბობდა. შენც კი ხშირად იტყვი, ძმაო ჩემო, ესრეთსა სიტყვასა, მაგრამ რასა გრძნობ მა-

შინ? ღმერთი სიტყვას არ მიჰხედავს, იგი განიცდის გულის
გრძნობას. ჰსჩანს რომ მეზვერემ კარგათ მოიგონა ყოველი
თვისი ცუდი საქმე, სჩანს რომ იგი ფრიად შესწუხდა გულითა
თვისითა, მან მოიძაგა თვისი ცოდვა, შემუსვრილითა სულითა
და დამდაბლებულითა გულითა ევედრებოდა იგი ღმერთსა.
გარნა ესეც არ იქნებოდა საკმაო მისდა განსამართლებლად,
უკეთუ სულსა წმიდასა ამასთანავე არ დაენახა გულსა შინა
მისსა, რომელ მან ესრეთ მოიძულა ცოდვა, რომ იგი აღარ
მიიქცევა კვალად მისდამი; ისე ღრმად და მტკიცედ გადასწყვი-
ტა თავის გულში განშორება ცოდვისაგან, რომ იგი ამიერიდ-
გან აღარ იქმნებოდა მუშაკი ცოდვისა, არამედ მსახური ღვთი-
სა. აჰა, რისთვის გამართლდა მეზვერე იგი, თუმცა იყო დიდი
ცოდვილი!

რისთვის გამტყუნდა ფარისეველი? რისთვის დასაჯა იგი
სულმან წმიდამან? მისთვის, რომელ მან თვითონ გაიმართლა
და აღამაღლა თავი თვისი. თუმცა არ ჰქონდა მას დიდი სათ-
ნოება, გარნა თავი თვისი დიდად მიაჩნდა. ნაცვლად მონანე-
ბისა და შეწუხებისა მან ლოცვაში თავი თვისი აქო. რამ დაა-
ბნელა, ძმაო, ესოდენ ჭკუა ფარისევლისა ამის? რამ მიიყვანა
იქამდი, რომ თავის თავს აქებდა ლოცვაში?

აქ, ძმაო ჩემო, დიდი ყურადღება და მტკიცე ჰაზრი უნ-
და მოიხმარო შენ, რათა შეიტყო, რა არს ფარისევლობა და
იგრძნო, თუ რა საშინელი, მავნებელი არის იგი კაცის სული-
სათვის. ვგონებ, რომელ კაცსა არა ჰყავს არც ერთი, ფარი-
სევლობაზე უსაშინელესი, მტერი. იგი მით უმეტეს საშინელ
არს, რომელ არის ფრიად მწვრილი და მიფარული გრძნობა,
ამასთანავე მზაკვარი და შეუმცნებელი. რა არს ფარისევლობა?
ფარისევლობა ის არის, ძმაო, როდესაც კაცი შეჰკრავს პირო-
ბას თავის სვინიდისთან, როდესაც იგი შეურიგდება და დაუ-
მეგობრდება სიცრუესა, დააჩუმებს თვისს სვინიდისსა და გრძნო-
ბას რომლითამე გარეგანითა, ყალბითა და ცრუთა სათნოები-
თა, როდესაც იგი ითმენს თავის სულში სიმრუდესა, სიცრუ-
ესა, სიყალბესა რომელთამე არა შესანდობელთა მიზეზთათვის.
გარნა რომელნიმე მაგალითნი უმჯობესად აღხსნიან ამას.

ხსენებული იგავსა შინა ფარისეველი სიყალბით ანუგე-
შებდა თავის სვინიდისს, რომ იგი იმარხავს, ათეულსა შესწი-
რავს, იგი არ არის მსგავსი სხვათა ცოდვილთა კაცთა. უთუ-
ოდ რომ რაღაც მიფარული გრძნობა კი აწუხებდა მას და ამ-
ხილებდა საიდუმლოთ, რომელ იგი ვერ სცხოვრებს კარგათ,
მაგრამ მან არ მიხედა თვისის სვინიდისის მეტყველებასა, არა-
მედ ფარისევლობით იწყო თავის გამართლება.

ახლა გადავიდეთ ჩვენკენ და ჩვენში მოვძებნოთ მაგალითნი. ვთქვათ, რომ შენ ხარ, ძმაო, ერთი ხელმწიფის მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი და საუბედუროდ ქრთამს იღებ. სვინიდისი კი გამხილებს, რომ არ ვარგა ეს, მაგრამ შენ ესრეთ აჩუმებ მას: რავქნაო, ცოტა ჯამაგირი მეძლევაო, ცოლშვილს რჩენა უნდაო, სხვანი ჩემზე უარესად იღებენო, სუყველანი ასრე შვრებიანო, მე მართალ მხარეს მაინც ვიმსახურებო, სხვანი მართალ და მტყუან მხარეს გამოაგლეჯენო. რა არის ესრეთი თავის გამართლება, თუ არა ფარისევლობა? ფარისევლობა არ არის ისიცა, ოდეს შენ წინაშე შენისა უფროსისა, ანუ ნაჩალნიკისა არ იტყვი სრულსა, შიშველსა სიმართლესა, თუკი იცი, რომ ეწყინება მას სიმართლე, არამედ ცდილობ მომლიქვნებითა, მოფერებითა გამოსტყუო მას შენთვის ჯილდო და წარმატება? ანუ ვთქვათ, შენ ხარ ერთი მოვაჭრე კაცი. მოვიდა შენთან ერთი გამოუცდელი მუშტარი და შენ ნაცვლად კარგისა საქონელისა მიატყუე მას ცუდი, დამპალი, და მერმე კი იტყვი: სად ჰქონდა თვალი, რატომ არ გასინჯაო, მე ვაჭარიც მისთვის ვარ, რომ ფული უნდა მოვიგოვო. რა არის ესრეთი ლაპარაკი თუ არა ფარისევლობა? ერთი სიტყვით შენ ფარისევლობ ყოველთვინ, ოდესაც ითმენ შენ გულში სიყალბესა და სიცრუესა, არა ისე ლაპარაკობ და მოქმედებ, როგორათაც მოითხოვს შენი სვინიდისი და ჭკუა, არამედ სიცრუით და სიყალბით. ვის შეუძლია თითოეულად დათვალოს, რაოდენ გზის მოქცეულხარ შენ, ძმაო, ფარისევლობით, რაოდენ გზის ლაპარაკში გაგირევია ბრუნდე სიტყვა, რაოდენ გზის მტერობით გაამტყუნე შენი ძმა, პირში აქე კაცი; პირს უკანით აძაგე წინაღმდეგ სვინდისისა, განიკითხე კაცი, ცუდათ ახსენე მოყვასი შენი, აქე მოყეასი მით, რომ იგი მეგობარი იყო შენი, და სხვა განიკითხე მარტო მით, რომ შენი მეგობარი არ არის. ნუ იყოფინ, ძმანო, ესრეთ, ნუ მოითმენ შენ გულში ნურცა ერთსა სიცრუესა და სიმრუდესა. **ეკრძალენით ცომისგან ფარისეველთასა და მწიგნობართა,** ესრედ აფრთხილებდა მაცხოვარი მოციქულთა. იხილე, რასა იტყვის მოციქული პავლე: **მცირემან ცომმან ყოველივე შესვარული აღაფუვნის.** (გალ. ე, თ.). თუ მცირე იგი ცომი ფარისევლობისა შეგეპარა გულში, ყოველთა შენთა საქმეთა და სიტყვათა ცუდს გემოს მისცემს. ამისთვი ეცადე, რომ ყოველი შენი საქმე იყოს გულწრფელობით განწმენდილისა გონებისაგან, პირ-უთნეველი. **ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ,** გვარიგებს იგივე მოციქული პავლე, **გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა** (კოლ. გ, კგ.). ყოველი საქმე გულითად აღასრულე, ნუ გაურევ ნურც საქმე-

ში, ნურცა სიტყვაში მზაკვარობას და ფარისევლობას. ამინ.

სიტყვა,

ფარისეველის და მეზვერის კვირიაკესა

*

> ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხვანი კაცნი მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზვერე. ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათე-ულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა. (ლუკ. იჭ, ია).

ამ სახით ილოცვიდა, ძმანო ქრისტიანენო, ფარისეველი იგი, ვითარცა გვესმა დღეს წაკითხულისა იგავისაგან.

იგავი ფარისეველისა და მეზვერისა არა ერთ გზის იყო საგნად ჩვენისა თქვენდამო უბნობისა. გარნა ათასჯერაც რომ ყოფილიყო იგი განხილული თქვენ წინაშე და ნაცვლად ერთი-სა ენისა, ასი ენა რომ გვქონდეს, და თვითეულთა რომ ათას-ჯერ გვეთქვას მას ზედა, ვგონებ, არც მაშინ იქმნებოდა გარ-დამეტებული. ეგოდენ საჭირო არის ჩვენთვის ხშირად გაფრ-თხილება ფარისევლობისაგან! შთახედე, ძმაო, შენ გულში და გამოიკვლიე ყოველნი შენნი სიტყვანი და საქმენი, მიიხედ-მოიხედე გარემოს შენსა და ყურადღებით გამოიკვლიე, რო-გორ იქცევიან ახლანდელნი ქრისტიანენი, რა აღანძრევს მათ-სა ენასა, რომელნი არიან განმაღვიძებელნი მიზეზნი მათისა მოქმედებისა და თუ პირ-უთნეველად განიხილავ ამას ყოველსა, რას ნახავ? ნახავ ათასთა კვალთა და ნიშანთა ფარისევლობი-სასა, ნახავ ხშირად, განსაცვიფრებელად და შესაწუხებლად შენდა, რომელ კაცი, რომელი შენ მიგაჩნდა ღვთის-მოყვარედ და მართლად, თურმე აღვსებული არის ამპარტავანებითა და არ ერიდება უსაშინელესთა ცოდვათა. ნახავ, რომელ ათასში ერთი კაცი არ არის, რომლისა სიტყვა და საქმე იყოს ერთი, და გარეგანი საქციელი მისი იყოს დაფუძნებული შინაგანსა გრძნობასა. რუსეთში მყოფობასა შინა, ჩვენ ვნახეთ, რომელ იქაურნი ვაჭარნი კაცნი საზოგადოდ არიან ღვთის-მოყვარენი და პატიოსნის ყოფა-ქცევის მექონნი; გარნა ზოგიერთნი მათ-განნი ესოდენ არიან უმეცარნი, რომელ, როდესაც მთელი დღე

მრავალნი პირნი მოატყუვეს ვაჭრობაში, საღამოს დიდ სანთელს აანთებენ წინაშე წმიდის ხატისა და იტყვიან: „დღეს ბევრი კაცი მოვატყუეო, ცოდვაში ვარო“. განსაცვიფრებელი არის ეს უმეცრება. გარნა ჩვენ ქვეყანაში ამაზე უსაშინელესსა რაიმეს გაიგონებ. მრავალ გზის გაიგონებ, რომ კაცი მდიდარი, ცოლშვილის პატრონი ყოველ დილით წაიკითხავს დაუჯდომელს და თითონ კი არ იშლის არა-წმინდებასა და ბილწებასა. ერთი სიტყვით საშინელი იგი ცომი ფარისევლობისა ჰსუფევს ქრისტიანეთაცა შორის და მეტად საჭირო არის, ხშირად ვაფრთხილებდეთ თავსა ჩვენსა. გარნა მივიქცეთ აწ ფარისევლისადმი და გამოვიკვლიოთ მისი შინაგანი მდგომარეობა.

ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ ვითარცა სხვანი კაცნი: მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზვერე; ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა. აჰა, როგორ ლოცულობდა ფარისეველი! ხოლო მეზვერე, მისგან დაწუნებული, **შორს სდგა, იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას!** ორთავე ამათ თვისსა ლოცვაში გამოაჩინეს თვისი ხასიათი და გულის გრძნობა. ფარისეველი აქებს თავის თავს. იგი კმაყოფილია თავის თავზე, მას არა თუ არაფერი არ აწუხებს, არამედ იგი გახარებული არის თავის კარგ კაცობაზე. როგორ დაუბნელდა მას, ძმანო, ესრეთ ჭკუა? როგორ არ ხედავდა იგი თვისთა ცოდვათა? როგორ არ ჰგრძნობდა მას, რომ თვით ამ სიტყვებში გამოუჩნდა ამპარტავნება, რომელი არის უმთავრესი ცოდვათა შორის? ამასთანავე ვიცით სახარებისაგან, რომ იგი იყო ანგარი, ჭეშმარიტების წინააღმდეგი. ეს მოხდა, ძმანო, მისთვის, რომ იგი სჯულს აღასრულებდა მხოლოდ გარეშეობით, ხოლო თვისებათა მისთა და საქმეთა არ განიცდიდა. რადგანაც იგი საყდარში დადიოდა თავის დროზე, დაწესებულ დღეებში მარხულობდა, სჯულისაგან ბრძანებულს ათეულს შესწირავდა და ესრეთთა მცირეთა მცნებათა სისწორით ასრულებდა, ამით მან დააკმაყოფილა და დააჩუმა თვისი სვინიდისი; ის კი დაივიწყა, რომ სხვანი არიან ამაზე უდიდესნი მცნებანი, რომელთა აღსრულება მას უწინარეს უნდა გახსენებოდა: – სიმართლე, სიწმინდე, ღვთისა და მოყვასისა სიყვარული. აქედგან ისწავლე შენცა, ძმაო, ის, რომ არ დააკმაყოფილო თავი შენი მხოლოდ რომელთამე მცირეთა, გარეგანთა მცნებათა აღსრულებითა. ის შინაგანი კმაყოფილება და თავის ქება, რომელსა გრძნობდა იგი, იყო ნიშანი მისისა უმეცრებისა და უგუნურებისა. ამით როგორ უნდა იქადოდეს კაცი, რომ ორჯელ იმარხა და ათეული შესწირა! დიახ, ესეც არის საჭირო აღასრულოს კაცმა,

რადგანაც სჯული და ჩვეულება გვიბრძანებს, გარნა კაცი გონიერი როგორ დაკმაყოფილდება ესრეთითა მცირე საქმითა! იგი ცდილობს, რომ შეიწყნაროს, მიითვისოს და შთაინერგოს თვის გულში სჯული და არა მხოლოდ ასო-ასო მისი. ღირსნი და წმიდა მამანი, როდესაც უმრავლესთა წელთა ცხოვრებისათა განატარებდნენ გასაოცართა შინა მოღვაწებათა და ქველის საქმეთა, მაშინაც არ იყვნენ კმაყოფილნი თავის თავისა, მაშინაც ამტყუნებდნენ და ჰკიცხავდნენ თავის თავს, მაშინაც იყვნენ ეჭვში: აღასრულესა მათ თვისი მოვალეობა და მიემთხვიენა იგინი ნეტარსა აღსასრულსა?

ღმერთმან, ძმანო, კაცის ბუნებასა შინა დანერგა დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისა და უმაღლესისა მდგომარეობისადმი. კაცი ცხოველი და გონიერი ვერაოდეს ვერ დააკმაყოფილებს ვერცა ჭკუასა, ვერცა გულსა თვისსა; რაოდენიც გინდა სწავლა და მეცნიერება მიიღოს კაცის გონებამ, მაინც არის გაუმაძღარი და ხარბი უმაღლესისა მეცნიერებისა. ეგრეთვე გულიცა მისი, თუ მას შინა არის აღნთებული საღმრთო ცეცხლი ღვთაებრივისა მადლისა, ვერაოდეს ვერ დაკმაყოფილდება თვისითა მოღვაწებითა და სათნოებითა, არამედ მარადის არის მისწრაფებული უმაღლესისა ხარისხისადმი სათნოებისა. გარნა სჩანს, რომ ფარისევლის გულში იყო ერთი მხოლოდ მკვდარი და უგრძნობელი გარეგანი ჩვეულების აღსრულება, და არა ცხოველი მისწრაფება უმჯობესისა მიმართ მდგომარეობისა.

მეზვერის ლოცვამ აგრეთვე გამოაჩინა მისი ხასიათი. **ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას!** ეს მოკლე თქმა ცხადად ამტკიცებს, რომ იგი ჰგრძნობდა უკმაყოფილებას, იგი იყო მჭმუნვარე და შეწუხებული. და რაკი კაცი იგრძნობს თავის ცუდს მდგომარეობას, თუკი იგი უკმაყოფილო არის თავის თავისა, ეს არის დიდი და მაღალი ნიშანი. ეს შინაგანი მისი უკმაყოფილება სდევნის მას, აიძულებს, გააღვიძებს, რომ გამოვიდეს ცოდვისაგან, და აღასრულოს მცნება, გამოსცვალოს მისი ცხოვრება. ეს უკმაყოფილება არის წყარო ყოვლისა წარმატებისა, ვითარცა სულიერისა, ეგრეთვე ხორციელისა, რომელიც მოგვცეს ჩვენ ღმერთმან. ამინ.

სიტყვა,

ფარისეველის და მეზვერის კვირიაკესა, თქმული ქუთაისს

*

იგავი ფარისეველსა და მეზვერესა ზედა არა ერთ გზის იყო საგნად ჩვენისა თქვენდამი უბნობისა, ძმანო ქრისტიანენო! გარნა ათასჯერაც რომ ყოფილიყო ჩვენი უბნობა მას ზედა და ნაცვლად ერთისა ენისა ასი ენა რომ გვქონდეს პირში და თითოეულითა ათას ჯერ გვეთქვას მასზედა, ვგონებ არ იქმნებოდა მომატებული. ეგოდენ საჭირო არს გაფრთხილება ჩვენი ფარისევლობისაგან! როგორ არ უნდა ვლაპარაკობდეთ ხშირად ფარისევლობაზედა, როგორ არ უნდა ვაფრთხილებდეთ თავსა ჩვენსა საშინელისა ამის სულიერისა სენისაგან, როდესაც გარემოს ჩვენსა ვხედავთ ათასთა ნიშანთა ფარისევლობისასა; ვხედავთ, რომელ ურიცხვნი ქრისტიანენი შთაფვლული არიან ამ საშინელ ცოდვაში.

ფარისეველი იგი, რომლისა უგუნური ლოცვა აღწერა მაცხოვარმან ჩვენდა გასაფრთხილებლად, წარსდგა რა ტაძარსა შინა, მადლობასა შესწირვიდა ღმერთსა, რომ იგი არ არის ცუდი კაცი, იგი ასრულებს ბეჯითად სჯულსა, იგი არ არის მსგავსი ცოდვილისა მეზვერისა, მაშინ როდესაც იგი, ფარისეველი, იყო ამპარტავანი, ანგაარი და არ მოერიდებოდა არცა ერთსა ცოდვასა. მსგავსად ამისა ახლაც ზოგიერთნი ქრისტეანენი ისე მოგვაჩვენებენ თავსა, ისე ერთგულად ლოცულობენ და ისე ვითომც ერთგულათ ასრულებენ ყოველთა სჯულის მოთხოვნილებათა, რომ მოინდომებ მადლობა შესწირო ღმერთსა მათთვის; გარნა განსაცვიფრებელად და სამწუხაროდ მალე შეიტყობ, თუ დაუკვირდები, მათსა ყოფაქცევასა, რომელ ესე ყოველი იყო ერთი მხოლოდ მოჩვენება და გული მათი არის სავსე ბოროტებითა და იგინი არ ერიდებიან არცა ერთსა ცოდვასა.

გმადლობ შენ, ღმერთო, რამეთუ არა ვარ მე, ვითარცა სხვანი კაცნი, ანუ ვითარცა ესე მეზვერე! ესრეთ ლოცულობდა ფარისეველი! ხოლო მეზვერე, მისგან დაწუნებული, **შორს სდგა, იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას!** ორთავე ამათ კაცთა თვის ლოცვაში გამოაჩინეს თავისი ხასიათი და უღრმესი გულის გრძნობა. ფარისეველი აქებს თავის თავს, იგი კმაყოფილი არის თავის თავისა, იგი მოხარული არის, მას ჰგონია, რომ იგი არის სრული კაცი. გასაოცარი არის, ძმანო, ესრეთი მისი ჭკუის დაბნელება! როგორ მოხდა, რომ იგი არ ხედავდა თავის შემცოდაობას? როგორ არ ჰგრძნობდა, რომ იგი იყო ამპარტავანი და თვით ამ სიტყვებში გამოუჩნდა მას სულიერი ამპარტავანება, რომელი არის ყო-

ველთა უსაშინელესი ცოდვა? ეს მოხდა მისთვის, რომ იგი სჯულსა ასრულებდა გარეგანითა სახითა და თავის გულს და ყოფაქცევას არ განიკითხავდა. რადგანაც იგი საყდარში დადიოდა დაწესებულს დროს და ლოცულობდა გარეგნობით, რადგანაც დაწესებულს დღეებში მარხულობდა, სჯულისაგან ბრძანებულს ათეულს შესწირვიდა და ამის გვართა გარეგანთა მცნებათა ასრულებდა, ამით მოტყუვდა იგი და თავის თავი დიდად მიაჩნდა. ამის მსგავსნი მრავალნი არიან ახლაც! რადგანაც ზოგიერთნი ქრისტიანენი ზოგიერთთა გარეგანთა, ადვილთა მცნებათა ასრულებენ ბეჯითად, დიდათ კმაყოფილი არიან და თავი თვისი დიდათ მიაჩნიათ.

გეშინოდეს ამისა ძმაო! იცოდე, რომ კაცი გონიერი, თუ კი მის გულში რომელიმე ღვთის მადლი და სასოება არის, არაოდეს არ იქმნება კმაყოფილი თავის თავისა. იგი მარადის თავის თავს აფრთხილებს და თავის თავს უჯავრდება. თუმცა რაიმე კეთილი და გამოსაჩენი ქმნას, ამით არ დაკმაყოფილდება იგი, არამედ სურს, რომ კიდევ უმჯობესი რაიმე ქმნას. თვით ღმერთმა კაცის ბუნებასა შინა დანერგა დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისა და უმაღლესისა მდგომარეობისადმი. კაცი ცოცხალი, გონიერი და ცხოველი, ვერაოდეს ვერ დააკმაყოფილებს ვერცა ჭკუასა, ვერცა გულსა თვისსა. რამდენიც გინდა სწავლა და მეცნიერება მიიღოს კაცის ჭკუამა, იგი მაინც არის ხარბი და გაუმაძღარი და მიესწრაფება უმაღლესისა მეცნიერებისა ხარისხისადმი. ეგრეთვე გული ჭეშმარიტისა, ღვთის მოყვარისა კაცისა, ვერაოდეს ვერ გაძღება, თუგინდ მრავალნი სათნოებანი აღასრულოს. მაშასადამე კაცი, რომელი იქადის თვისითა სათნოებითა, ამით ამტკიცებს, რომ მას არა აქვს ჭეშმარიტი სათნოება. შინაგანი გულის კმაყოფილება არის ნიშანი მისისა უგუნურებისა. არა ესრეთ იქცეოდა მეზვერე. მოკლე მისის სიტყვებისაგან სჩანდა, რომ მან კარგა იცნო სულიერი თვისი მდგომარეობა და თუ კი კაცმა ერთხელ იცნო მისი ნაკლულევანება, მისი მოქცევა ადვილი არის.

ღმერთო, მოგვეც სიმდაბლე მეზვერისა ამის და განაძე გულთა ჩვენთაგან ყოველი ფარისევლობა. ამინ.

სიტყვა,

მეზვერისა და ფარისეველისა კვირიაკესა

> გეტყვი თქვენ, გარდამოვიდა ესე განმა-
> რთლებული სახიდ თვისად, ვიდრე, ფარი-
> სეველი იგი [ლუკ. იȣ, იდ].

*

იგავსა შინა დღეს წაკითხულისა სახარებისაგან მაცხოვარ-
მან აღწერა რა ლოცვა მეზვერისა და ფარისეველისა, ესრედ
დააბოლოვა სიტყვა თვისი: **გეტყვი თქვენ, გარდამოვიდა ესე გან-
მართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისევგლი იგი,** ესე იგი
მეზვერე განმართლდა, ანუ მიიღო მოტევება ცოდვათა ლო-
ცვისა თვისისაგან, ხოლო ლოცვა ფარისეველისა იქმნა უნაყო-
ფო, მან არ მიიღო შენდობა ღვთისაგან.

სიტყვათა ამათგან სჩანს, რომელ ყოველ კაცს თვით თვისი
ლოცვა ანუ გაამართლებს, ანუ გაამტყუნებს. შენ სდგეხარ აქ,
ძმაო ჩემო, და ლოცულობ, ხოლო სული წმიდა ისმენს რა
ლოცვასა და გამოსცდის რა გულსა შენსა, მაშინვე შეადგენს
განჩინებასა შენზედა, ესე იგი იქავე ანუ გაგამართლებს შენ,
ანუ გაგამტყუნებს შენ თვით ლოცვისა შენისაგან: **და გარდა-
მოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისეველი
იგი.**

რით განმართლდა მეზვერე იგი? მით, რომ მან თითონვე
გაიმტყუნა თავი თვისი წინაშე ღვთისა. **ღმერთო, მილხინე მე
ცოდვილსა ამას!** ესრედ იტყოდა იგი სიღრმისაგან გულისა
თვისისა. შენც კი ხშირად იტყვი, ძმაო, სიტყვათა ამათ, გარნა
რასა ჰგრძნობ მაშინ შენ გულში? ღმერთი სიტყვას არ მიჰხე-
დავს, იგი განიცდის გულისა გრძნობასა; სჩანს, რომ მეზვერემ
არ დამალა ღვთის წინაშე თვისი შემცოდაობა, კარგა წარმო-
იდგინა მაშინ ყოველი თვისი ცუდი საქმე, შეწუხდა გულითა
თვისითა, მოიძულა ცოდვა, და შემუსვრილითა დამდაბლებუ-
ლითა გულითა ნანობდა იგი ცოდვასა თვისსა. გარნა ესეც არ
იქმნებოდა საკმაო მისდა განსამართლებლად, უკეთუ ღმერთსა
მასთანავე არ დაენახა მის გულში, რომ მან მიიღო მტკიცე და
შეურყეველი განზრახვა ამიერიდგან აღარა მიქცევად უწინ-
დელთა ცოდვათადმი. შენც კი ნანობ ხშირად ცოდვასა შენ-
სა, გარნა ღმერთი წინათვე ჰხედავს, რომ კვალადვე მიიქცევი
უწინდელთა ცოდვათადმი, ამისათვის ლოცვა შენი არ გაგა-
მართლებს. მეზვერემან მტკიცედ და გულ-წრფელად გარდას-
წყვიტა თავის გულში განშორება ყოველთა ცოდვათაგან,
ღმერთმან დაინახა, რომ იგი ამიერიდგან აღარ იქმნებოდა
მუშაკი ცოდვისა, არამედ მადლისა; ამისთვის გამართლდა იგი,

თუმცა კი იყო დიდი ცოდვილი: **გეტყვი თქვენ, გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისეველი იგი.**

რისთვის არ განმართლდა ფარისეველი იგი? მისთვის, რომ მან თვითონ გაიმართლა და გაადიდა თავი თვისი ლოცვასა შინა. თუმცა დიდნი სათნოებანი მას არ ჰქონდა, გარნა თავი თვისი დიდად მიაჩნდა. ნაცვლად შენანებისა და გულით მწუხარებისა, იგი შთავარდა ესოდენსა უგუნურებასა შინა, რომელ ლოცვაში აქო თავი თვისი. რამ დააბნელა, ძმაო, ესოდენ ჭკუა მისი? როგორ მოხდა, რომ მან თავი თვისი აქო ლოცვაში?

აქ, ძმაო ჩემო, საკუთარი ყურადღება და მტკიცე აზრი უნდა მოიხმარო, რათა შეიტყო რაი არის ფარისევლობა და რა დიდი მავნებელი ცოდვა არის იგი კაცის სულისათვის. ვგონებ, რომ კაცს არა ჰყავს სხვა ამაზე უსაშინელესი მტერი. იგი მით უმეტეს არს მავნებელი კაცის სულისათვის, რომელ იგი არის ფრიად ჩუმი და მიფარული გრძნობა, ამასთანავე მზაკვარი და მაცდური. რაი არის ფარისევლობა? ფარისევლობა ის არის, ძმაო, როდესაც კაცი რაღაცა ჩუმს პირობას შეჰკრავს საკუთარს სინიდისთან; როდესაც სინიდისი კაცისა შეურიგდება და დაუმეგობრდება სიცრუესა და სიმრუდესა, და კაცი დააკმაყოფილებს სვინიდისსა რომლითამე გარეგანითა და ყალბითა სათნოებითა, და გულში კი აქვს სიმრუდე, სიყალბე, გარნა შეუნდობს თვითონვე თავის თავს რომელთამე არა შესანდობელთა მიზეზთათვის, იტყვის ხშირად: რა ვქნაო, წუთი სოფელი ასე არისო, სუყველანი ესრეთ ცხოვრობენო, სხვაზე უარესი მაინც არა ვარო და სხვათა უგუნურთა სიტყვათა. გარნა ორიოდე მაგალითი უმჯობესად აღხსნის ამას. ვიცით ჩვენ სახარებისაგან, რომელ ფარისეველნი და სადუკეველნი იყვნენ ხარბნი, ანგარნი, ამპარტავანნი და ძრიელ უწმიდურად ატარებდნენ ცხოვრებასა თვისსა. უთუოდ რომ ფარისეველსა მას, რომელსა მაცხოვარი ახსენებს იგავსა ამას შინა, სვინიდისი ამხილებდა, გარნა იგი რასა იქმს? ნაცვლად მისა, რომ გულწრფელად აღიაროს ცოდვანი თვისნი, იგი ფარისევლობით აჩუმებს თავის სვინიდისს მით, რომელ იმარხავს, ათეულსა შესწირავს და არ არის მსგავსი მეზვერისა. ახლა მოვძებნოთ მაგალითნი უფრო მახლობელნი ჩვენზე; ვსთქვათ, რომ შენ ხარ ერთი ხელმწიფის მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი და საუბედუროდ ქრთამს იღებ მთხოვნელთაგან. თუმცა სვინიდისი კი გამხილებს შენ, რომ არ არის ეს კარგი, გარნა შენ ესრეთ უპასუხებ მას: რა ვქნაო, ჯამაგირი ცოტა მაქვსო, ცოლშვილი რით ვარჩინოო, სხვანი ჩემზე უარესად იღებენო, მე მართალს

მხარეს ვიმსახურებოო, სხვანი მართალს და მტყუანს მხარესაც
გამოგლეჯენო; ან კი რა ცოდვა უნდა იყოსო, რომ სამართა-
ლი ვაღირსო და შევეწიო და ცოტა რამე მემსახუროსო. ეს-
რეთ იმართლებს ზოგიერთი თავის თავს და იმას კი არ ფიქ-
რობს, რომ ესრეთი გამართლება არის ფარისევლობა. ფარი-
სევლობა არის ისიცა, ოდეს შენ, ძმაო, არ ცდილობ, რომ წი-
ნაშე შენისა ნაჩალნიკისა, ანუ უფროსისა ილაპარაკო პირ-და-
პირად, წმინდად, სიმართლით, მეტადრე თუ კი იცი, რომ ეწ-
ყინება მას, და ისრე ყალბათ ფარისევლობით იქცევი მის წი-
ნაშე, რომ მოაწონო თავი შენი და მიიღო ჯილდო. ანუ
ვსთქვათ, რომ შენ ხარ ერთი ვაჭარი კაცი; მოვიდა შენთან
ერთი ვინმე მყიდველი და შენ, ნაცვლად კარგისა საქონლისა,
მიატყუე მას დამპალი და გამოართვი დიდი ფასი, და მერმე
როდესაც სვინიდისი გამხილებს შენ, ესრეთ იფიქრებ: სად ჰქონ-
და თვალიო, რატომ არ გასინჯაო, მე ვაჭარიც მისთვის ვარ,
რომ ფული უნდა მოვიგოვო. გარნა ვინ დათვლის თითოეუ-
ლად ყოველთა შემთხვევათა, რომელთა შინა კაცი შთავარდე-
ბა ფარისევლობასა შინა, რაოდენ გზის მოიქეცი, ძმაო, ფა-
რისევლობით, ლაპარაკში გაურიე მრუდე სიტყვა, მტრობით
გაამტყუნე მოყვასი და ცუდათ ახსენე. თუმცა სვინიდისი გე-
ტყოდა, რომ ის კაი კაცია, პირ-მოთნეობით აქე ვინმე, თუმ-
ცა კი იცოდი, რომ იგი არ არის ღირსი ქებისა, რაოდენ გზის
დაგითესავს უკმაყოფილება ყალბის ლაპარაკითა შორის მეგო-
ბართა, რაოდენი კაცი შეგიყვანია შეცდომაში სიცრუის ლა-
პარაკით, ერთი სიტყვით, რაოდენ გზის მოგითმენია შენ გულ-
ში სიყალბე და სიცრუე.

ნუ იყოფინ, ძმაო, ესრეთ! ნუ მოითმენ შენ გულში ნურ-
ცა ერთსა სიმრუდესა. **ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთა და
მწიგნობართასა,** ესრედ არიგებდა მაცხოვარი მოწაფეთა თვის-
თა. **მცირემან ცომმან ყოველივე შესვარული აღაფუვნის** (გალ. ე.
თ.); ესრეთ გვარიგებს წმიდა მოციქული პავლე. თუ მცირედი
ცომი ფარისევლობისა გაერია შენთა სიტყვათა და საქმეთა
შინა, მაშინ იგინი ყოველნი იქმნებიან ცუდისა გემოისა. **ყო-
ველსავე, რასაცა იქმოდეთ,** გვარიგებს ჩვენ იგივე წმიდა მოცი-
ქული პავლე, **გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისა და ნუ ვი-
თარცა კაცთასა** (კოლ. გ. კ.). ყოველივე საქმე გულწრფელად
და სიმართლით აღასრულეთ, რომელსა შინა შემწედ ჩვენდა
იყოს მაცხოვარი. ამინ.

სიტყვა

მეზვერის და ფარისეველის კვირიაკესა.

*

ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას!
(ლუკ. იჱ, იგ).

ორნი კაცნი შევიდენ ტაძარსა შინა ლოცვად. ვითარცა მოგვითხრობს დღეს წაკითხულისა სახარებისა იგავი, ერთმან გრძლად ილოცა, მრავალი სიტყვა წარმოსთქვა ლოცვასა შინა თვისსა; გარნა მისი ლოცვა არ შეიწყნარა ღმერთმან. მეორე მლოცველმა მხოლოდ ეს ხუთი სიტყვა წარმოსთქცა ლოცვაში: **ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას** და ხშირად ამათვე სიტყვათა განიმეორებდა გულის ცემითა და იგი გამოვიდა საყდრიდამ გამართლებული. რა იყო მიზეზი ამისა? რამ გაამართლა მოკლე ლოცვის მთქმელი მეზვერე და რისთვის გამტყუნდა გრძლად მლოცველი ფარისეველი? მიზეზი ამისა ის იყო, ძმანო ჩემნო, რომელ ჭეშმარიტი ლოცვა არა მდგომარეობს მრავალ სიტყვაობასა შინა, არცა მრავალ მუხლმოდრეკასა, არცა ხელთა აღპყრობასა, არცა მხოლოდ პირჯვრის წერასა, არცა სხვათა ამის მსგავსთა გარეგანთა მოქმედებათა. ესენი არიან მხოლოდ ნიშანნი და სახენი ლოცვისანი; შეიძლება რომ იგინი ჰქონდეს კაცს და ჭეშმარიტი ლოცვა კი არ იცოდეს. მაშასადამე რაი არს ჭეშმარიტი ლოცვა?

ჭეშმარიტი ლოცვა არის პირველად თავის ცნობა, თავის სულიერის მდგომარეობის შეტყობა, როდესაც კაცი თვისითა ჰაზრითა და გონებითა მიბრუნდება თავის თავისაკენ, გამოიკვლევს თვისის საკუთარის სულიერის ცხოვრების სახესა, შეიტყობს თვისსა შემცოდაობასა, ცხადად დაინახავს თვისსა სიგლახაკესა, შეშინდება თვისისა უღირსებისაგან, შეწუხდება და იურვის, უნებლივად მიმართავს ღვთისადმი, სული და გული მისი უნებლივად მიიქცევა ზეციერისა მამისა მიმართ. ვინც ესრედ კეთილად გამოიკვლევს თავსა, მას აქვს სული შემუსვრილი და გული დამდაბლებული; იგი ლოცულობს არა ბაგითა და ენითა, არამედ გულითა და სულითა. ესრეთი იყო ლოცვა მეზვერისა, მან იგრძნო თვისი შემცოდაობა და სიგლახაკე. მერმე გაახსენდა მამობრივი მოწყალება ღვთისა და სულმან მისმან უნებლივად მიმართა ზეცისადმი და ბაგენი უნებლივად იტყოდნენ: **ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას!** ფარისე-

ველმა კი არ გაშინჯა თავისი მდგომარეობა, სული მისი არ ჰგრძნობდა ლოცვის საჭიროებასა; იგი ლოცვისათვის არ შევიდა საყდარში, არამედ უმეტესად თავის მოწონებად და საქებლად.

მეორედ, ჭეშმარიტი ლოცვა არის ღვთის ძებნა; იგი არის მოძრაობა და მისწრაფება კაცის სულისა ზეციერისა მიმართ მამისა. ჭეშმარიტს ლოცვაში კაცის სული თითქმის გამოვა ხორცთაგან და შევა ცათა შინა. მაშინ იგი ცხადათ ჰგრძნობს ღვთის სიახლოვეს და არათუ სიახლოვესა, არამედ მასთან ერთობას. როდესაც კაცის გულში გაჩნდება მადლი ჭეშმარიტისა ლოცვისა, მაშინ გული მისი ადუღდება და როგორც მშიერი კაცი პურისა და მწყურვალე სასმელისა, ეგრეთვე იგი ეძიებს მადლსა და ლხინებასა ღვთისადმი. ამ მდგომარეობაში იყო სული დავით წინასწარმეტყველისა, როდესაც მან ღაღადჰყო: **ვითარცა სახედ სურის იერემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო, მოსწყურდა სულსა ჩემსა ღვთისა მიმართ ცხოველისა, ოდესმე მივიდე და გამოვეცხადო პირსა შენსა, უფალო.** მაშასადამე ლოცვა არის უღრმესი და უშინაგანესი მოძრაობა კაცის სულისა. ოდეს სული კაცისა არის ჭეშმარიტსა ლოცვასა შინა, მაშინ ყოველნი სხვანი მისნი ორგანონი და გრძნობანი არიან დადუმებულნი, ყოველი მისი ჰაზრი და გრძნობა არის შემოკრებილი და შეგროებული ერთსა წერტილსა შინა, მაშინ იგი სდგას წინაშე ტახტისა დიდებისა ღვთისასა და იგი ერთის მხრით ჰგრძნობს და განიხილავს თვისსა განუზომელსა სიგლახაკესა და მეორეს მხრით განუზომელსა მოწყალებასა ღვთისასა; იგი ცხადად ჰგრძნობს, რომ ღმერთმა მიიღო მისი ლოცვა, შეიწყნარა იგი და აპატივა მას მისი უღირსება.

გარნა ნუ ჰგონებ, ძმაო ჩემო, რომ ჭეშმარიტი ლოცვა იყოს ერთი მხოლოდ უქმი გულის გრძნობა, განშორებული ყოვლისა საქმისაგან. არა! ჭეშმარიტი ლოცვა, მესამედ, არის განმაცოცხლებელი და მიმზიდველი კაცის სულისა საქმისადმი კეთილისა. იგი გააღვიძებს კაცის გულში ყოველთა კეთილთა აზრთა და განზრახვათა, და გააუქმებს და მოსწყვეტს ყოველთა ბოროტთა ჰაზრთა და სურვილთა. იგი აიძულებს კაცსა, რათა ადიდოს ღმერთი საქმითა მისითა. როგორათაც ხორციელი ცხოვრება კაცისა შესდგება ორით: ჰაზრითა და მოქმედებითა, ეგრეთვე სულიერი ცხოვრება შესდგება ლოცვითა და საქმითა. ის ლოცვა არ არის ჭეშმარიტი ლოცვა, რომელიც არ გარდაიქცევა კეთილ საქმედ. მაშასადამე ყოველი კეთილი და წმიდა ჰაზრი, რომელიც გაჩნდება შენ გულში, ლოცვისა-

გან არის და ლოცვა არის; ყოველი კეთილი და წმიდა საქმე, რომელს შენ იქმ ღვთის გულისათვის და მისი სიყვარულისა-თვის, ლოცვა არის, ვინაითგან არის ნაყოფი ლოცვისა. აჰა ძმანო, რა დიდი და მძიმე საქმე არის ლოცვა ჭეშმარიტი, და რაოდენსა მოითხოვს იგი შენგან ღონესა და ძალასა. როდესაც წარმოვიდგენთ, რა მძიმე საქმე არის ჭეშმარიტი ლოცვა, უნე-ბლივად ვიფიქრებთ: ვის შეუძლია შეიძინოს იგი! გარნა შენ კი, ძმაო, ადვილად უყურებ ამ საქმეს; შემოხვალ აქ დაფან-ტულითა ჰაზრითა და თან შემოიტან სოფელსა და სოფლის ურვასა. ლოცულობ არა სულითა და გულითა, არამედ უფ-როსად ენითა და ხელითა. ამისათვისაც არის, რომ ლოცვა არ მოქმედობს შენს ბუნებაში. მეშინის, რომ შენ გადიხარ აქედამ არა გამართლებული და განწმედილი, მსგავსად მეზვე-რისა, არამედ გამტყუნებული, ვითარცა ფარისეველი. ეს სჩანს მისგან, რომ შენ გამოხვალ რა აქედამ, მაშინვე მიიქცევი უწინ-დელთა შენთა საქმეთადმი; არ გამოიცვალე ხასიათი, გულ ფიცხელმა გული არ დაიწყნარე; გაუმაძღარმა სიხარბე არ მო-იშალე; ამპარტავანმა თავი არ დაიმდაბლე. თუ ჭეშმარიტი და ნამდვილი ყოფილიყო შენი ლოცვა, მაშინ ვითარცა კარგ დროზე მოსული წვიმა მიწისაგან ნაყოფს, ეგრეთვე იგი გუ-ლისა შენისაგან გამოიხმობდა კეთილსა ჰაზრსა და საქმესა.

ღმერთო, მოგვეც ჩვენ ის მადლი, რომელ ყოველი ჩვენი კეთილი გრძნობა და ჰაზრი ლოცვასა შინა გაჩენილი გარდაი-ქცეოდეს კეთილ საქმედ. ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა
კვირიაკესა უძღებისა

განვიხილოთ, ძმანო ქრისტიანენო, დღეს წარკითხული სახარებისაგან იგავი, შევიტყოთ რას ნიშნავს იგი და რას გვა-სწავლის მით მაცხოვარი.

კაცსა ვისმე, პატიოსანსა და მდიდარსა ესხნენ ორნი ძენი. უმცროსმან ძემან მისმან უთხრა მას ერთ-გზის: მამაო, მომეც მე ჩემი ნაწილი სამკვიდრებელისაგან, რათა წავიდე და ვიც-ხოვრო მე თვისად. განუყო მას მამამან ნაწილი მისი და არა მრავალთა დღეთა შემდგომ წარიღო მან იგი და წარვიდა ერთ შორს სოფელსა. იქ იწყო მან ცხოვრება არაწმიდებით და მოკლე დროს განაბნია მან ყოველი ქონება თვისი. ამ ჟამად მოხდა იქ დიდი შიმშილი, მოაკლდა მას საზრდო და იძულე-ბულ-იქმნა დადგომად ერთისა მუნ მცხოვრებთაგანისა მოსამ-

სახურედ, რომელმან გაგზავნა იგი მწყემსად ღორთა. და აჰა ესერა წარჩინებულისა მამისა ძე იგი ისრეთსა უკიდურესსა მდგომარეობასა შინა შთავარდა, რომელ გული ეტყოდა მას განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა სჭამდნენ ღორნი და ისიცა არავინ მისცის მას. გარნა ბოლოს მოეგო იგი თავსა თვისსა, ესე იგი იფიქრა და მიხვდა ვითარისა მდგომარეობისა-დმი მიიყვანა იგი ცოდვამან და ურჩებამან მისმან. მან ჰსთქვა: **რავდენთა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური და მე აქა სიყმილითა წარვსწყმდები, აღვსდგე და წარვიდე მამისა ჩემისა, და ვრქვა მას: მამაო, ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და არა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე, ვითარცა ერთი მუშაკთა შენთაგანი.** მაშინ აღსდგა, წარვიდა მამისა მიმართ და ვი-დრე შორს-ღა იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა მას; მირბიოდა და დავარდა ქედსა მისსა ზედა და ამბორს-უყოფდა მას. **მამაო,** – ჰრქვა ძემან, **ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე, ვი-თარცა ერთი მუშაკთაგანი** (ლუკ. იე, იჱ, ით, კ.) გარნა მამასა გაეხარდა მოქცევა მისი; უბრძანა მოსამსახურეთა თვისთა, შე-მოსონ იგი სამოსლითა ახლითა და შეაცვან ბეჭედი თითსა მისსა; შემდგომ დაუკლა ზვარაკი ჭამებული, მოუწოდა მეგო-ბართა თვისთა და იხარებდა ბრწყინვალედ. ამ ჟამად ძე იგი მისი უხუცესი იყო სხვაგან და მობრუნდა რა სახლსა შინა თვისსა, იხილა სერობა დიდი და განცხრომა, ჰკითხა ერთს მოსამსახურესა მიზეზი; შეიტყო-რა, გაჯავრდა და არ უნდო-და შესვლა სახლსა; გამოვიდა მამა და სთხოვა მას შემოსვლა, ხოლო მან უპასუხა: მე ყოველთვის შენთან ვიყავ, შენ გმო-ნებდი და ერთხელაც ერთი თიკანი არ მომეც, მე რათა გან-ვიხარო მეგობართა ჩემთათანა; ხოლო ძე ესე შენი, რომელ-მან შესჭამა ნახევარი საცხოვრებელისა შენისა მეძავთათანა, მოვიდა რა, დაუკალ მას ზვარაკი ჭამებული და გაიხარე. მა-მანან უპასუხა მას: **შვილო, შენ მარადის ჩემთანა ხარ და ჩემი ყოველი შენი არს; ხოლო აწ მხიარულება და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმა ესე შენი მომკვდარიყო და განცოცხლდა, წარწყმედულ-იყო და იპოვა.**

ცხად არს, ძმანო ჩემნო, ჰაზრი იგავისა ამის: მამა, რომელსა ესხნენ ორ ძე, ნიშნავს თვით ღმერთსა; ძე უფროსი ნიშნავს კაცსა მართალსა და ღვთის-მოყვარესა, რომელი მარადის იმ-ყოფება სახლსა შინა მამისა თვისისა ზეციერისასა, ესე იგი მა-რადის აღსრულებს მცნებათა მისთა. ხოლო ძე უმცროსი და ყოველი მოქმედება მისი გამოხატავს ცხოვრებასა კაცისა ცო-დვილისასა. კაცი ცოდვილი, მიიღებს რა ღვთისაგან სამკვი-

დრებელსა თვისსა, ესე იგი ჭკუასა, გონებასა, სიმართლესა, სულსა და ხორცსა და, ყოველსა, რაიცა აქვს კაცსა, განეშორება მამასა თვისსა ზეციერსა და დაღუპავს ამათ ყოველთა ცოდვასა და უსჯულოებასა შინა. უმცროსი იგი ძე, განაბნია რა ყოველი საცხოვრებელი თვისი, შეიქმნა მწყემსად ღორთა და იყო მშიერ და უძღებ. ეს გამოხატავს უკიდურესსა დაცემასა და წახდენასა კაცისა ცოდვილისასა, ოდეს იგი ესოდენ დაემონება უწმიდურთა ვნებათა, რომ შეიქმნება მსგავსი უუწმინდურესისა პირუტყვისა. გარნა უკანასკნელ უძღები იგი შვილი მოეგო თავსა თვისსა. ვიფიქროთ, ძმანო, გულის-ხმიერად; სიტყვათა ამათთვის: **მოეგო თავსა თვისსა.** მოქცევასა და სინანულსა კაცისასა წინა უძღვის ესე: **მოეგო თავსა თვისსა.** ესე იგი შთაიხედა გულსა შინა თვისსა და საძაგელ ეჩვენა მას მდგომარეობა თვისი. ცოდვა მხოლოდ იქამდინ უფლებს გულსა შინა კაცისასა, ვიდრემდის კაცს გონება აქვს დაფანტული, ვიდრემდის იგი არ მოეგო თავსა თვისსა. გარნა ამაოდ ცდილობს კაცი ცოდვილი სრულიად დაივიწყოს თავი თვისი და დააჩუმოს სინიდისი; ამაოდ ფიქრობს იგი, რომელ ცოდვა დააკმაყოფილებს მას და სრულიად დაავიწყებს სახლსა და მამულსა მისის მამისასა, რომელსა განეშორა იგი. მოვა ჟამი, ოდეს სული მისი, შექმნილი ხატად და მსგსვსად ღვთისა, იგრძნობს მოწყენასა და მწუხარებასა, შთავარდება საშინელსა შინა შიმშილსა. ცოდვა ვერ გააძღობს და ვერ გაბედნიერებს უკვდავსა სულსა კაცისასა; ცოდვა მხოლოდ ერთს წამს ამხიარულებს კაცსა; გავა წამი და ნაცვლად სიტკბოებისა დარჩა გულსა შინა სიმწარე, მოწყინება და სინანული. ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან ჟამსა ამას მოწყინებისა და სინანულისა მსგავსად უძღებისა მის, უთხრას თავსა თვისსა: რათა ვსტანჯავ მე სულსა ჩემსა, რათ ვატყუებ მე უბედურსა გულსა ჩემსა, რისთვის ვკვდები მე შიმშილით, აღვსდგე და მივიდე მამისა ჩემისადმი: იგი მოწყალე არს, იგი კვალად მიმიღებს მე, და მუნ მოვიპოვო მხიარულება და განსვენება სულისა ჩემისათვის.

ესრეთვე ჰქმენი შენცა, ძმაო ჩემო! აღსდეგ და მიიქეც მამისა შენისადმი; იგი არ გაყვედრებს ურჩებასა და ცოდვასა არცა ერთითა სიტყვითა, არამედ მიგიღებს შენ სიყვარულითა და სიხარულითა; იგი შეგმოსავს შენ ახლითა სამოსელითა, ესე იგი მოგანიჭებს ახალსა მადლსა და სათნოებასა სულიერსა; იგი შეგაცვამს თითსა ზედა შენსა ბეჭედსა ძვირ-ფასსა, ვითარცა ნიშანსა შერიგებისა და ღირსებისა შენისასა, იგი დაჰკლავს ზვარაკსა ჭამებულსა, ესე იგი განგაძღებს შენ ნუგეშითა სუ-

ლიერითა; ანგელოსნი ზეცათანი, ვითარცა თქმულ-არს სახა-
რებასა შინა, განიხარებენ ღვთისა-თანა შენისა მოქცევისა და
ცხოვრებისათვის.

გარნა რასა ნიშნავს და რას გვასწავლის ჩვენ, ძმაო, სიტ-
ყვა იგი უფროსისა ძმისა, რომელსა ეწყინა მობრუნება უძღე-
ბისა ძმისა და მოწყალება მისდამი მამისა თვისისა?

შეიძლება, რომ ამ სოფლად იყოს კაცი ვინმე ღვთის-მო-
ყვარე, რომელი მარადის ემსახურგბა ღმერთსა და მარადის
აღასრულებს მცნებათა მისთა, გარნა ითმენდეს ჭირსა და გან-
საცდელსა. შეიძლება, რომ მან ოდესმე იფიქროს გულსა შინა
თვისსა: ღმერთო! მე ყოველთვის შენ გემსახურები, ყოველ-
თვის ვასრულებ მცნებათა შენთა, გარნა არცა ერთი ნუგეში
არ მომეც ქვეყანასა ზედა: **ესოდენი წელნი გმონენ შენ და არა-
სადა მცნებასა შენსა გარდავხედ და მე არა-სადა მომეც ერთი თი-
კანი, რათამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე.** უკეთუ ესრეთი ჰა-
ზრი გაუჩნდა გულსა შინა თვისსა რომელსამე ღვთისმოყვარესა
კაცსა, მაშინ მოაგონდეს მას პასუხი მამისა: **შვილო, შენ მარა-
დის ჩემთანა ხარ და ჩემი ყოველი შენი არს.** რომელიღა ამაზედ
უდიდესი ნუგეში გინდა შენ, ძმაო ჩემო, უკეთუ ჭეშმარიტად
ხარ ძე ღვთისა და არა-ოდეს არ განეშორე მას? თუმცა ხარ
შენ გაჭირვებული ამ სოფელში და მოკლებული ყოვლითა
ნუგეშითა, ნუ გეშინის; იცოდე, რომ ღმერთი უმჯობესს რაი-
მეს ამზადებს შენთვის. იფიქრე, რაი არს უმჯობეს შენთვის?
აქ, ამ მოკლე ცხოვრებაში, მოგცეს ღმერთმან მხიარულება
და კმაყოფილება, ანუ მიგიტეოს შენ აქ ჭირსა და განსაცდელ-
თა, ხოლო მომავალსა საუკუნესა შინა მოგცეს დაუსრულებე-
ლი ნეტარება? გარნა რას ვიტყვი: თვით აქაც, ამ სოფელში,
თუმცა გაკლია ხშირად სოფლიური კმაყოფილება, გარნა ში-
ნაგანი შენი კაცი, წმიდა სინდისი, კეთილი გრძნობა, სული-
ერი კმაყოფილება ას-წილ გყოფენ შენ უუბედნიერეს, ვიდრე
ნუგეში ამის სოფლისა. ეს უნდა გახსოვდეს და ამით უნდა
ნუგეშს სცემდე თავსა შენსა, ძმაო კეთილ-მსახურო!

გარნა ვინ გაბედავს და გინ იტყვის წუთ სოფელში, რომ
იგი იყოს უცოდველი და ემსგავსებოდეს უფროსსა ძმასა? ჩვენ
ყოველნი ცოდვილნი ვართ, ძმანო ჩემნო, და უმეტესად ვემს-
გავსებით უმცროსსა მას ძესა; ხშირად განვეშორებით მამასა
ჩვენსა ზეციერსა, გარნა ვისწრაფოთ და ვბაძვიდეთ მისსა მო-
ნანებასა და მოქცევასა. ამისათვისაცა ჰსთქვა მაცხოვარმან
იგავი ესე, რათა განაღვიძოს გულთა შინა ჩვენთა მონანება,
რათა მოვიძაგოთ ცოდვა და ვნება და ვისურვოთ სულითა მი-
ქცევა მიმისადმი ჩვენისა ზეციერისა, რომელი და მოგვცეს ჩვენ

ღმერთმან. – ამინ.

სიტყვა,

მეზვერისა და ფარისეველისა კვირიაკესა

> და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა.
>
> (მართ. კე, მვ).

არა უმიზეზოდ დააწესა, ძმანო ქრისტიანენო, წმიდამან ეკლესიამან წარკითხვა დღეს სახარებისა მის, რომელიცა გამოხატავს მეორედ მოსვლასა და საშინელსა სამსჯავროსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. მოახლოებულ არიან დღენი ლოცვისა და მარხვისანი, რომელთა შინა ჩვეულება გვაქვს ჩვენ, მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, მონანება და მიღება წმიდისა საიდუმლოისა; ამისათვის წმიდა ეკლესია ადრითგან გვამზადებს ჩვენ, რათა ღირსად აღვასრულოთ საღმრთო ვალი ესე ჩვენი და სიწმიდით განვატაროთ დღენი დიდისა მარხვისანი. ერთსა მახლობელსა წარსულსა კვირიკესა წარკითხულ იქნა ეკლესიაში სახარებისაგან იგავი მეზვერისა და ფარისევლისა, რომლითა მაცხოვარმან გვასწავა ჩვენ, თუ ვითარ ჯერ-არს ლოცვა და მონანება. მეორესა კვირიაკესა იგავითა უძღებისა ვისწავეთ ჩვენ, ვითარ დაამდაბლებს ცოდვა კაცსა და ვითარ მამა ჩვენი ზეციერი ელის მონანებასა კაცისა ცოდვილისა და სიხარულით მიიღებს კაცსა მონანულსა. ბოლოს დღეს წარკითხულითა სახარებითა საშინელისა სამსჯავროისათვის წმიდა ეკლესია შეგვაგონებს ჩვენ, ვითარი ხვედრი მოელის კაცსა ცოდვილსა და მართალსა.

ჭეშმარიტად, ძმანო ქრისტიანენო, არცა ერთი ჰაზრი და წარმოდგენა ისრე არ განაღვიძებს გონებასა და გულსა კაცისასა და ვერ განაფხიზლებს მას, ვითარცა აზრი და წარმოდგენა საშინელის მის და შემაძრწუნებელისა წამისა, ოდესცა კაცი თვით პირისაგან ღვთისა გაიგონებს უკანასკნელსა დაუსრულებელსა მისსა განჩინებასა. ბრძენი და ფრიად გამოცდილი იესო ზირაქ იტყვის წიგნსა შინა თვისსა: **ყოველთა შინა საქმეთა შენთა მოიხსენებდ უკანასკნელსა შენსა და უკუნისამდე არა სცოდო;** ხოლო უკანასკნელი ყოვლისა კაცისა არის საშინელი სამსჯავრო, და უკეთუ კაცი ყოველ დროს და ყოველ-

თა საქმეთა შინა მისთა წარმოიდგენს საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა, მრავლისა ცოდვისაგან დაიცავს იგი თავსა თვისსა. ვიფიქროთ, ძმაო, ამაზედ.

აქა, ამ ქვეყანაზედ კაცი, თუმცა ადვილად და ხშირად სცოდავს, გარნა ის იმედი აქვს, რომ ცოდვასა მისსა არავინ არ შეიტყობს. ყოველი კაცი თავის მომწონე არის; ყოველ კაცს ეშინიან, რომ ვინმემ ცუდი რაიმე არ იფიქროს მას ზედა; ყოველი კაცი ცდილობს, რომ დამალოს და დაჰფაროს ყოველი ცოდვაი თვისი და ცუდნი თვისებანი. ცოდვას უყვარს სიბნელე და დუმილი; ეს უეჭველია და ჭეშმარიტი, რომ, უკეთუ კაცს არ შეეძლოს ამ სოფელში დაფარვა ცოდვისა თვისისა, უკეთუ იგი დარწმუნებული იყოს, რომელ იმავე წამს, როდესაც ცოდვას იქმს, ცოდვა მისი შეტყობილ-იქმნება ყოველთა კაცთაგან, – მაშინ იგი არ გაბედავდა და ვერ იქმოდა მრავალთა თვისთა ცოდვათა.

გარნა წარმოიდგინე, ძმაო ჩემო, რომელ ამ საშინელ დროს, ესე იგი, მეორედ მოსვლასა უფლისასა, წინაშე პირისა ყოვლისა ქვეყანისა გამოჩნდება ყოველი შენი ცოდვა. უკეთუ აქაც, ამ წუთ სოფელში ზოგჯერ ისრე შეგრცხვება ხოლმე შენ, თუ დიდ შეკრებულებაში პატივი არა-გცეს, ან ცუდი რამე სთქვეს შენზედ, ანუ შენ მეგობარზედ, რომელ თითქმის აღარც იცი, სად დაიმალო სირცხვილისაგან, – წარმოიდგინე, ვითარი სირცხვილი და განკიცხვა გექმნება მაშინ, ოდეს ცა და ქვეყანა, ყოველნი მცნობნი და უცნობნიცა შეიტყობენ შენსა სიცუდესა და წარწყმედასა. ამ სოფელში შენ, რასაკვირველია, გყვანან მრავალნი მეგობარნი და მოყვარენი; ფრიად გეწყინება, რომ იმათ ცუდი რაიმე შეიტყონ შენზედ. წარმოიდგინე, რომ არათუ მხოლოდ იგინი, არამედ მრთელი ქვეყანა, ანგელოზნი და კაცნი გიხილავენ შენ მდგომარედ მარცხენით წარწყმედულთა შორის. ჰოი ვითარი სირცხვილი და გამოუთქმელი შემუსვრა დაგეცემა შენ ამ ჟამად! იქმნება ამ ქვეყანაზედ მრავალთა მიაჩნდი შენ კეთილ კაცად და ღვთის-მოყვარედ, იქნება აქ ატყუებდი მოყვასთა შენთა კეთილითა სახითა და გარეშეობითა. გარნა მუნ გამოჩნდება, რომ ესე ყოველი იყო სიცრუე; იქ შეიტყობენ ყოველნი, რომ ღვთის-მოყვარება შენი იყო მხოლოდ თვალ-ღება, სიმართლე გქონდა შენ მხოლოდ ენასა ზედა და გული შენი იყო აღვსებულ ბოროტებითა და უსჯულოებითა.

მეორედ, ძმანო ჩემნო, ამ სოფლად თუმცა ვსცოდავთ ჩვენ, გარნა ყოველთვის გვაქვს იმედი ოდესმე მოვინანოთ ცოდვა ჩვენი, თუმცა ვარღვევთ ხშირად სჯულსა, გარნა მრა-

ვალ მიზეზსა მოვიგონებთ ჩვენდა სანუგეშოდ და მრავალ-ფერად დავაჩუმებთ სინიდისსა ჩვენსა. სინიდისი ჩვენი ხშირად შეკრული არის და დაბნელებული ამ ქვეყანაზედ, გარნა იმ საშინელ დღეს კაცსა ცოდვილსა მოესპობა ყოველი თავის გასამართლებელი მიზეზი და ყოველი ნუგეში. რით-ღა გაიმართლებს მაშინ თავსა თვისსა კაცი წარწყმედილი? რით დააჩუმებს სინიდისსა თვისსა? აღარ დარჩა დრო მონანებისა; მან გაიგონა უკანასკნელი განჩინება იგი, იქმნა რა განყოფილ მართალთაგან და დადგინებულ შორის წარწყმედულთა. სინიდისი მისი, განთავისუფლებული ყოველთა ცბიერთა და ცრუთა ჰაზრთა და მიზეზთაგან, იწყებს ტანჯვასა და ქენჯნასა მისსა უწყალოდ. ყოველნი მისნი სიტყვანი და საქმენი ამ ქვეყანისანი, ვითარცა ლაშქარნი უწყალონი, წინა დაუდგებიან მას და იწყებენ შეძრწუნებასა და შემუსვრასა მისსა. ამღვრეულნი და გაშტერებულნი შიშით და ურვით, მაშინ იწყებენ ცოდვილნი ყვედრებასა და მოძაგებასა თავისა თვისისასა. მაშინ მოგაგონდება შენ, ძმაო. ყოველი შენი ბოროტება თვითოეულად: რაოდენი ჟამი დაჰკარგე შენ უქმად და უნაყოფოდ სულისა შენისათვის! რაოდენი მადლი და ნიჭი ღვთისა გააუქმე შენ ცოდვათა და უსჯულოებათა შინა! რაოდენგზის ღმერთმან მოგცა შენ შემთხვევა მონანებისა და მოქცევისა, გარნა შენ უგულებელ ჰყავ იგი; რაოდენ-გზის მრავალ-ფერად შეგაგონებდა შენ იგი, გარნა შენ დაჰშთი ყრუ და ბრმა ყოველთვის. რასა ვფიქრობდი მე უბედური? ეტყვი შენ მაშინ გოდებით და ტირილით თავსა შენსა. ვის ვემსახურებოდი მე? ვის შევწირე ყოველი ძალი და გონება ჩემი? გარნა ამაოდ იქმნება მაშინ ყოველი შენი კვნესა და გოდება, ამაოდ აღიპყრობ ხელთა შენთა. გათავდა ჟამი მონანებისა; მოისპო დრო შეწყალებისა და მოწყალებისა; თქმულ არს საშინელი იგი: **წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა.** მაშინ აღსრულდება შენზე-და წინასწარ-თქმული უფლისა მიერ: **აჰა ესერა მოვლენ დღენი, რომელთა შინა იწყონ სიტყვად მთათა, დამეცნინ ჩვენზედა და ბორცვთა, დამფარენით ჩვენ.** კაცი ცოდვილი, მიმავალი ჯოჯოხეთად, დასწყევლის მაშინ დღესა შობისა თვისისასა; იგი ისურვებს, როგორმე მოსპოს და განაქარვოს თავი თვისი, გარნა ამაოდ იურვის იგი: უმაღლესმან სიმართლემან და მართლ-მსაჯულებამან ღვთისამან მიაგო მას მსგავსად საქმეთა მისთა და ვინ წინააღუდგების განჩინებასა მისსა!

ამას ყოველსა დაუმატე ესეცა: ამ ქვეყანაზედ, რაც უნდა საშინელი ჭირი შეემთხვიოს კაცსა, მაინც ანუგეშებს თავსა თვისსა მით, რომელ ოდესმე გათავდება ჭირი მისი. ვსთქვათ,

რომელ ერთი რაიმე ისრეთი უბედურება შეემთხვევა კაცსა
აქა, რომ სიკვდილამდე უნდა ითმენდეს მას, გარნა სიკვდილით
მაინც მოსპობს უბედურებასა მისსა. ხოლო უკანასკნელი ესე
სამსჯავრო მით უმეტეს არს საშინელ და შემმუსვრელ სული-
სა, რომელ განჩინება მისი იქმნება უკანასკნელი, წარწყმედა და
ტანჯვა ცოდვილისა დაუსრულებელი. წარმოიდგინე გეეედ-
რები, ძმაო ჩემო, მდგომარეობა ცოდვილისა კაცისა გეენიასა
შინა გარესკნელსა; უფსკრულსა შინა და სიბნელესა ტარტა-
როზისასა ცოდვილნი იტანჯებიან გამოუთქმელად და არც
ექმნება დასასრული ტანჯვასა მათსა.

ხოლო ვინ გამოხატავს ბედნიერებასა და ნეტარებასა მარ-
თალთასა! ვის შეუძლიან იგრძნოს სიტკბოება გულისა მათისა,
ოდესცა იგინი ისმენენ სიტყვასა: **მოვედით, კურთხეულნო მამისა
ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი
დასაბამითგან სოფლისა!** გათავდა ყოველი მათი შრომა და მწუ-
ხარება! მიიღეს მათ გვირგვინი, რომლისათვისცა იგინი იღვწი-
დენ და ურვიდენ ამ ქვეყანაზედ; იხილეს მათ იგი, რომელსა
სული მათი ეძიებდა მარადის; შეერთდნენ იგინი მასთან, რო-
მელიცა იყო წადილი და მისწრაფება მათი ამ სოფელში. გან-
სძღენ იგინი ხილვითა და სიტყვითა ტკბილისა და საყვარელი-
სა მის მეუფისა, რომლისათვის ჰშიოდა და ჰსწყუროდა მათ
ამ ქვეყანაზედ. **და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო
მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა.**

ხოლო აწ გლოცავ თქვენ, საყვარელნო, ვიდრემდის დრო
გვაქვს, ვიდრემდის ღმერთი ითმენს ჩვენს ცოდვასა, ხშირად,
მარადის წარმოიდგენდეთ საშინელსა ამა ხატსა მეორედ მო-
სვლისასა და მით გააფრთხილებდეთ თავსა თქვენსა. ხოლო
გსურსა შეიტყო, რით შეგიძლიან განრინება ცოდვილთა ხვე-
დრისა და მიღება იმ ჟამად ნაწილისა მართალთასა? ესეცა გვე-
სმა დღეს წარკითხულისა სახარებისაგან. მაცხოვარი ეტყვის
მარჯვენით მდგომარეთა: **მშიოდა და მეცით ჭამადი; მწყუროდა
და მასვით მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ; შიშველ ვიყავ და
შემმოსეთ; საპყრობილესა შინა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.** აჰა რა
აცხოვნებს კაცსა! ჰყავ შენცა ესე, უკეთუ გსურს ცხოვრება. ამინ.

სიტყვა,

კვირიაკესა ყველიერისასა

> უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცო-
> დებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან
> თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკეთუ არა
> მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი, არცა მა-
> მამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდე-
> ბანი თქვენნი. (მატ. ვ, იდ.)

ძველითგან მიღებულისა ჩვეულებისა-მებრ მართლ-მადი-
დებელსა ეკლესიასა შინა, აწინდელსა დღესა ქრისტიანენი გა-
მოითხოვენ შენდობასა ურთიერთთა შორის, შეურიგდებიან
ერთი მეორეს და მიუტევებენ, რაიცა ჰქონდათ უკმაყოფილე-
ბა ანუ გულ-ნაკლულევანება ერთს მეორესაზედა. ამისათვის
ეწოდებოდა დღესა ამას კვირიაკე შენდობისა. ნუ დავივიწყებთ
ჩვენცა, ძმანო მართლ-მადიდებელნო, წმიდასა ამას ჩვეულება-
სა, აღვასრულოთ იგი გულ-წრფელად. მიხედეთ, რა სახით
შეგვაგონებს მაცხოვარი აღსრულებასა ამა მცნებისასა: უკეთუ
მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა
მამამან თქვენმან ზეცათამან; ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ თქვენ
კაცთა შეცოდებანი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს შეცოდე-
ბანი თქვენნი. ხედავთ, ვითარ ჰსურს მამასა ჩვენსა ზეციერსა,
რათა იყოს ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული? ჰგრძობთ,
ვითარ უყვარს მას, ოდეს გვხედავს შერიგებულთა და კეთი-
ლად განწყობილთა? წარმოიდგინეთ, ძმანო ჩემნო, ერთი ვინ-
მე მამა, რომელსა ჰყავს რამოდენიმე შვილი და უყვარს იგი-
ნი; ვითარ სასიამოვნო არს მისთვის, ოდეს ხედავს მათ შორის
სიყვარულსა და ერთობასა; გარნა ოდეს ნახავს მათში სიძუ-
ლილსა და განხეთქილებასა და შფოთსა, არ ეტყვისა იგი მათ:
შვილნო ჩემნო, უკეთუ გსურთ იყვნეთ ჩემთვის საყვარელ,
გიყვარდეთ თქვენცა ერთსა მეორე; შეურიგდით ურთი-ერთსა
და მიუტევეთ შეცოდებანი ერთმა მეორესა. ეგრეთვე უნდა
ვიფიქროთ მამასა ზედა ჩვენსა ზეციერსა.

მოახლებულ-არიან დღენი დიდისა მარხვისანი: ვალისა-
მებრ ჩვენისა, წმიდათა ამათ დღეთა შინა ჩვენ უნდა მოვინა-
ნოთ ცოდვანი ჩვენნი და მივიღოთ წმიდა საიდუმლო. გარნა
უწინარეს ზიარებისა, შენ, ძმაო ჩემო, მიხვალ რა მოძღვართან
და აღუარებ ცოდვათა შენთა, მოელი მისგან, რათა სახელითა
იესო ქრისტესითა მოგცეს შენ შენდობა. ხოლო რომლითა
პირობითა მოგიტევებს შენ იესო ქრისტე ცოდვათა შენთა?
უკეთუ მიუტევნეთ თქვენცა კაცთა შეცოდებანი მათნი. მოძღვარსა
შენსა ვერ ძალ-უძს განტევება ცოდვათა შენთა, უკეთუ არ
აღასრულე ეს დიდი პირობა. თუ ყოფილ-იყო სხვა რომელი-

მე უსაჭიროესი და უდიდესი პირობა, მაცხოვარი გვეტყოდა, თუ საკმაო ყოფილ-იყო მხოლოდ მარხვა, გრძელი ლოცვა, მრავალი მეტანიის ყრა, მისაღებლად ღვთისაგან ცოდვათა შენდობისა, წინათვე გვეტყოდა ამას უფალი. გარნა ნაცვლად, ამათ ყოველთა, ერთსა ამას პირობასა ახსენებს. აწ გსურსა, რათა ღმერთმან მოგიტეოს ცოდვანი შენნი? შენც მიუტევე მოყვასსა შეცოდებანი მისნი; გსურსა შეგირიგოს ღმერთმან? შეურიგდი შენცა მოყვასთა შენთა.

ან კი რა მიზეზი და რა საფუძველი გაქვს, რომ არ მიუ-ტეო კაცსა შეცოდებანი მისნი? თუ შენ იყო ერთი სრული და ანგელოზთა მსგავსი კაცი, თუ თვით შენ არაოდეს არავი-სთვის არ გიწყენია, მაშინ კიდევ შეგეძლო სიმართლით არა მიტევებად მოყვასთა შეცოდებათა მათთა; გარნა რას ვიტყვი? მაშინ უმეტესად უნდა იყო მიმტევებელი და მოწყალე ყოვლი-სა კაცისათვის: უფალი ჩვენი იესო ქრისტე, უბიწო და უმან-კო, ადვილად და მოწყალებით მიუტევებს ყოველს ცოდვილს კაცსა; ხოლო შენ თვითონაც ხარ ცოდვილი, თვითონაც უთუ-ოდ მრავალ-გზის აწყინე და შესცოდე მოყვასთა შენთა, მაშა-სადამე შენთვისაც საჭირო არს, რომ მოგიტეონ მოყვასთა შე-ცოდებანი შენნი; აწ შენცა მიუტევე გულ-წრფელად ყოველ-თა შეცოდებანი მათნი.

ჩვენ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ჩვენ აქა მყოფთა და აქ მცხოვრებთა უმეტესად უნდა გვახსოვდეს და ვასრულებდეთ ამ მცნებასა, მისთვის, რომელ ჩვენ ნამეტნავად ვართ მიდრე-კილნი მტრობისა და შურის-ძიებისადმი და ამასთანავე, მიზეზნი ჩვენის განხეთქილებისა და ურთიერთ-შორის უკმაყოფილებისა თითქმის ყოველთვის არიან ფრიად წვრილნი და მცირე ფასი-სანი. საუბედუროთ, თვით ხასიათითა ვართ ჩვენ გულ-ფიცხე-ლნი, ადვილად დავემდურებით და ხშირად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ გადავემტერებით ერთი მეორესა. ჭეშმარიტად, ძმა-ნო, შეწუხდება და შერცხვება კაცს, ოდეს წარმოიდგენს, რა მცირე და უბრალო მიზეზი საკმაო არს ზოგჯერ, რათამცა დაარ-ღვიოს ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული. ყოვლისა კაცისათ-ვის და ყოვლისა საზოგადოებისათვის მშვიდობა, ერთობა და სიყვარული არის ესოდენ ძვირფასი საუნჯე, რომელ ადამიანმა ყოვლითა ღონის-ძიებითა უნდა დაიფაროს და შეინახოს იგი; გარნა ჩვენ საუბედუროდ ერთისა მცირისა მიზეზისათვის მზად ვართ მოვახდინოთ დიდი შფოთი და დავივიწყოთ სიყვარული. ვინ იტყვის, რომ სხვაგან არსად არ იყოს ცილობა და უკმა-ყოფილება კაცთა შორის? გარნა სხვათა ქვეყანათა შინა ცილობა და განხეთქილება დამოკიდებულ-არს ფრიად მძიმეთა

მიზეზთა ზედა; ამასთანავე ცილობა და განხეთქილება განათ-
ლებულსა საზოგადოებასა შინა არაოდეს არ გათავდება სიძუ-
ლილითა და შურის-ძიებითა, ვითარცა ვხედავთ ჩვენში ხში-
რად. სხვათა ქვეყანათა შინა მხოლოდ მას ცდილობენ, რომ
სამართალმა უსამართლობას აჯობოს, ხოლო აქ ცდილობენ,
რომ კაცმა კაცს აჯობოს; იქ ჰაზრი ჰაზრთან ჰბრძვის და სა-
ქმე საქმესთან, აქ კაცი – კაცთან, გვარი – გვართან; იქ ცილო-
ბა მოხდება ჭეშმარიტისა და უმჯობესის წესის ძიებისაგან, აქ
თავხედობისაგან და თავისმოყვარებისაგან; აქ ცილობა და
უკმაყოფილება ყოველთვის დაბოლოვდება მხოლოდ სიძული-
ლითა და მტრობითა, იქ იმას ფიქრობენ, რომ მხოლოდ ცი-
ლობითა და ბრძოლითა გამოაჩინონ უმჯობესი ჰაზრი და წე-
სი; აქა მცირე რაიმე უკმაყოფილება საუკუნოდ განაშორებს
კაცსა კაცისაგან.

ნუ იქმნება, ძმაო, ეს ცუდი წესი საუკუნოდმდე ჩვენ
შორის; უკეთუ ქრისტიანენი ვართ, მივეახლნეთ ქრისტესა.
ქრისტე არ არის მუნ, სადაცა ჰსუფევს უთანხმობა და შური.

მომიტევეთ და შემინდევით მე, ძმანო ჩემნო, ყოველი,
რაიცა ვისმე ვსცოდე სიტყვით ანუ საქმით. შეგინდობ და მო-
გიტევებ ყოველთა, ვინც რაიცა მცოდა და ვინც რაიცა მაწ-
ყინა სიტყვით ანუ საქმით. გლოცავ თქვენცა მიუტეოთ და
შეუნდოთ ურთიერთსა ყოველნი შეცოდებანი სიტყვითნი და
საქმითნი; ხოლო უფალი იესო იყოს საზოგადო ჩვენი შემწყნა-
რებელი და მლხინებელი ყოველთა შინა ცოდვათა ჩვენთა.
ამინ.

სიტყვა,

ყველიერის კვირიაკესა.

სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა
იყოს გული თქვენი [მატთ. ვ. კ.]

*

მოკლე არს, ძმანო, დღეს წაკითხული სახარება; იგი იპ-
ყრობს თვის შორის არა უმეტეს რვათა მუხლთა, გარნა რაო-
დენნი მშვენიერნი და ღრმანი არიან მას შინა ჰაზრნი! ორთა
პირველთა მუხლთა შინა აწინდელისა სახარებისასა. მაცხოვა-
რი გვასწავლის ჩვენ, რათა მიუტევებდეთ მოყვასთა შეცოდე-
ბათა მათთა და აღგვითქვამს ჩვენ, რომ მხოლოდ ამ პირობით,
მამაცა ჩვენი მოგვიტევებს ჩვენ შეცოდებათა ჩვენთა. სამთა

სხვათა მუხლთა შინა იგი გვაფრთხილებს ჩვენ, რათა არა ვმარ-
ხულობდეთ მსგავსად ფარისეველთა, ესე იგი გარეგანითა სა-
ხითა, საჩვენებლად კაცთა, არამედ ვმარხულობდეთ დაფარუ-
ლად სულითა და გულითა. კიდევ ორთა სხვათა მუხლთა ში-
ნა მაცხოვარი შეგვაგონებს ჩვენ, რომელ ჭეშმარიტი საუნჯე
და ბედნიერება ჩვენი არის ცათა შინა, ხოლო ყოველი ქვეყ-
ნიური სიმდიდრე და ბედნიერება არის წარმავალი და განხრ-
წნადი. ხოლო მერვე მუხლი დღეს წაკითხულისა სახარებისა
არის ეს სიტყვა: **სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გუ-
ლი თქვენი.** დავაყენოთ ყურადღება ერთს წამს შესანიშნავსა
სიტყვასა ამას ზედა და შევიტყოთ, რას გვასწავლის იგი.

სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი: რო-
მელ საუნჯეზე იტყვის აქ მაცხოვარი, ძმანო ქრისტიანენო? ამას
კაცი პირ-და-პირ ვერ განსაზღვრავს მისთვის, რომ თითქმის
ყოველ კაცს ერთი რაიმე საუნჯე აქვს და მიაჩნია. საუნჯე
შენი ის არის, ძმაო, რაც ანუ ვინც მიგაჩნია ანუ გიყვარს
უმეტესად ყოვლისა, რასაც ემონები, რასაც ემსახურები, რა-
ზედაც სასოება გაქვს, რასაც შესწირე ღონე და ძალი შენი;
მაშასადამე ყოველ კაცსა აქვს, ანუ ჰყავს, თავისი საკუთარი
საუნჯე. ცოდვილისა კაცისა საუნჯე არის ცოდვა, რომელსა
იგი ემონება, რომელი უფლებს მას ზედა და ამასთანავე თი-
თოეულსა ცოდვილსა თავისი საკუთარი და განსხვავებული სა-
უნჯე აქვს. მართალია კაცთათვის კი ერთი არს საზოგადო
საუნჯე, ცათა შინა ღმერთი და სასუფეველი მისი.

სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი: ოდეს
კაცი რაიმეს ანუ ვისმეს ისე შეიყვარებს, რომელ მისგან შეყ-
ვარებული საგანი გადაიქცევა საუნჯედ მისდა, – მაშინ კაცი
იგი ყოველსა თვისსა გულსა, ღონესა და გრძნობასა დასდებს
ამ საგნისათვის. ავხსნათ ეს რომლითამე მაგალითითა. ანგაა-
რის მოყვარის კაცის საუნჯე არის ვერცხლი, ანუ სიმდიდრე
და იგი ყოველსა თვისსა გულსა და ღონესა ხმარობს სიმდიდ-
რის შეძინებისათვის, დღე და ღამე ყოველთვის იმას ფიქრობს
და იმას ზრუნავს, რომ ფული შეიძინოს; სხვა საქმისათვის,
ანუ სხვა საგნისათვის იგი არ ხმარობს იმის მესამედსა ღონესა
და მეცადინეობასა; ფული არის მისი საგანი; მხოლოდ ფულს
შეუძლია აღძვრა მისისა გულისა და მიტაცება გონებისა. სხვა
მაგალითი ვსთქვათ. ყოველ კაცს უნდა უყვარდეს თვისი ნა-
თესავი, მეუღლე, დედ-მამა, შვილნი, და იმ ზომად უნდა უყ-
ვარდეს, რომ ამაში იყოს მისი ნუგეში. თვით ღმერთი გვაც-
ნობებს ჩვენ, რათა გვიყვარდეს მოყვასნი და მონათესავენი
ჩვენნი. გარნა შეიძლება, ძმაო, რომ აქაც ზომაზე გადვიდეს

კაცი. მართალია უნდა გვიყვარდეს მახლობელნი ნათესავნი ჩვენნი, გარნა ღმერთი მათზე უმეტესად უნდა გვიყვარდეს. კაცის სიყვარულმან ღვთის სიყვარული არ უნდა დაამციროს ჩვენ გულში. აჰა მიზეზი, რომლისათვისაც თვით მაცხოვარი გვეტყვის ჩვენ: **რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა ანუ ცოლი უმეტეს ჩემსა, იგი არ არის ჩემდა ღირს.** სხვაგან მაცხოვარი კიდევ გვეტყვის ამაზე უსაკვირველესსა სიტყვასა: **რომელმან არა მოიძულოს დედა, მამა, ძენი და მერმეცა თავი თვისი და არა შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.** დედ-მამისა, ანუ თავისა თვისისა მოძულება როგორ შეიძლება, მაგრამ აქედგან ის ისწავლე, ძმაო ჩემო, რომელ საუნჯე ჩვენი არავინ არ უნდა იყოს, თვინიერ ღვთისა. ხორციელი არასფერი არ უნდა გახადო შენდა საუნჯედ. თუ ისრეთი დრო და გარემოება შეგემთხვია, რომელ დედმამის, ანუ ცოლის, ანუ შვილის, ანუ სხვისა ვისიმე სიყვარული გაგაშორებს შენ ღვთისაგან და წარგწყმედს, მაშინ გირჩევნია დაივიწყო იგინი და განეშორო მათგან და შეუდგე მხოლოდ ღვთის სიყვარულსა.

სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი. საუნჯედ გულისა შენისა ის ამოირჩიე, ძმაო, რაც შენზე უმჯობესი და უდიდესია, და არა ის, რაც არის შენი სწორი, ანუ შენზე უარესი. კაცის გული და ღირსება ეგოდენი არის, რომელ მხოლოდ ყოველთა უზენარესი არსება ღვთისა უნდა იყოს მისი საუნჯე. მხოლოდ ღმერთს შეუძლია დააკმაყოფილოს შენი გული და გაგაბედნიეროს. როგორ უნდა დაუმორჩილო გული ვერცხლსა, ანუ პატივსა, ანუ სხვასა ქვეყნის ამაოებასა? ესენი არიან უღირსნი შენისა გულისა; ამათი სიყვარული დაამდაბლებს და წაახდენს შენსა ღირსებასა.

როგორ ვიცხოვრო ქვეყანაზე, მეტყვის ვინმე, თუ კი არაფერი ქვეყნიური არ მიყვარს და არაფერზე ვზრუნავ? არა, ძმაო, ღმერთმა არ აღგვიკრძალა ზრუნვა და შეძენა ყოვლისა, რაიცა არს შენთვის სახმარი. ქვეყანა ღმერთმა შენთვის შექმნა. ყოველივე, რასაც ხედავ, შენია, გარნა შენ კი ქრისტესი ხარ. ვითარცა იტყვის მოციქული: **ყოველივე თქვენი არს, ხოლო თქვენ ქრისტესნი და ქრისტე ღვთისა** (ა. კორინ, გ. კბ.); ყოველივე იხმარე, ყოვლითავე ინუგეშე, გარნა სიყვარული ღვთისათვის შეინახე.

სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი. საუნჯე შენი უნდა იყოს ცათა შინა და არა ქვეყანასა ზედა, მისთვის, რომელ ყოველივე ამ სოფლის საუნჯე არის წარმავალი და მოღალატე, ხოლო სული შენი არის უკვდავი. რასა იქმ შენ მაშინ, ოდეს საუნჯე შენი დაგრჩება აქა და შენ კი გადა-

ხვალ იმ სოფელში, რას იქ შენ, ჰოი კაცო, ვერცხლის ხარბო? შენი სიყვარული და ნუგეში იყო ვერცხლი და სიმდიდრე; საწყალი შენი სული იქ სიმდიდრეს ვეღარ ნახავს. ანუ რასა იქმ, შენ, ჰოი პატივის და ჩინების მოყვარეო, კაცო, როდესაც გარდახვალ იმ საუკუნეში? გული შენი იყო მიჩვეული მხოლოდ ჩინებსა და ორდენებსა; რაც გიყვარდა, ის აქ დაგრჩა და რისაც მიჩვეული არა ხარ, იქ დაგხვდება. რას იქ შენ მაშინ განშიშვლებული და მოკლებული ყოვლითა შენითა ნუგეშითა? ანუ რას იქმ შენ მაშინ, ჰოი ამაოების მოყვარეო, ქალო? ვიდრემდის ამ ქვეყანაზე სცხოვრობ შენ, გიყვარს მხოლოდ სამკაული, მოფერება და პატივის-ცემა, შენ ხარ მხოლოდ მიჩვეული მოლიქნებისა და თაყვანის ცემისა; შენი ბედნიერება ის არის, როდესაც სხვათა ქალთა აჯობებ სამკაულითა და პირ-მშვენიერებითა; მოაკლდები ამათ ყოველთა, დაჰკარგავ ერთხელ შენთა ნუგეშთა და ბედნიერებათა. ერთი სიტყვით, რას იქმ, შენ, ჰოი კაცო, ცოდვილო მეორესა შინა საუკუნესა? ყოველნი შენნი საუნჯენი, შენნი კერპნი, შენნი სალოცველნი, ყოველი რაიცა შენ გიყვარდა და რითაც ნუგეშობდი, მიგყვებიან შენ მხოლოდ საფლავამდი. მუნ იგინი გიღალატებენ და დაგიტევენ გაშიშვლებულსა; ღმერთზე შენ არ ფიქრობდი, სიმართლე არ გიყვარდა; სათნოება გძულდა, ლოცვასა და ღვთის დიდებასა მიჩვეული არა ხარ, რაღას იქმ შენ, წარდგომილი ღვთის წინაშე? მართალია იქაც კი მოგაგონდება ყოველნი აქაურნი შენნი ნუგეშნი; ხატნი და წარმოდგენანი ყოველთა შენთა აქაურთა საუნჯეთა იქაც გაგყვებიან, გარნა მხოლოდ მისთვის, რათა უმეტესად გტანჯონ შენ, და ესრეთ ის, რაც აქ გქონდა შენ ნუგეშად, იქ გადიქცევა შენდა სასჯელად.

ამ სოფლის სიცოცხლე ღმერთმა დაგვინიშნა, ძმაო, მისთვის, რათა მოვამზადოთ თავი ჩვენი მომავალისა ნეტარებისათვის, ამ სოფლის ყოველივე წარმავალი არის, ყოველივე აქვე დარჩება. და ესრეთ რომელმან კაცმან ამ სოფელში მონახა და გაიჩინა რომელიმე ცრუ საუნჯე, იგი დაჰკარგავს ჭეშმარიტსა, ზეციურსა საუნჯესა. ხოლო რომელმან საუნჯე თვისი დასდვა ზეცათა შინა და ცოტ-ცოტად მოამზადა სული თვისი დაუცხრომელითა მოღვაწებითა, ქველის საქმითა, მარხვითა და ლოცვითა, იგი ერთხელ შეემთხვევა ჭეშმარიტსა განუხრწნელსა საუნჯესა. – სადაცა არს საუნჯე თქვენი მუნცა იყოს გული თქვენი. ამინ.

მოძღვრება

ოთხშაბათსა დიდ მარხვის პირველის კვირიაკისასა.

> და ესე უწყოდეთ ჟამი, რამეთუ აწვე
> არს ჟამი განღვიძებად ძილისაგან. აწვე
> უმახლობელეს არს ჩვენდა ცხოვნება ოდეს-
> და ესე გვრწმენა.
> (რომ. იგ. იდ. ივ).

*

ესრეთ მისწერა ოდესმე რომაელთა წმიდამან პავლე მოციქულმა; ხოლო წმიდამან ეკლესიამან განგებ დააწესა წაკითხვა სიტყვათა ამათ თვით შესავალსა დიდისა მარხვისასა და მით გვასწავლა ჩვენ, რომელ იგინი უმეტესად შეეფერებიან პატიოსანთა ამათ დღეთა დიდისა მარხვისათა.

ჭეშმარიტად, ძმანო ქრისტიანენო, თუ ოდესმე შესაძლებელი არის განღვიძება ცოდვილისა ძილისაგან ცოდვათასა, ეს ახლა, დღეთა ამათ შინა მარხვისათა; თუ ოდესმე შეიძლება სთქვას კაცმა, ახლა არის ჟამი განღვიძებად და ახლა არის უმახლობელეს ჩვენდა ცხოვნება, ეს იქნება აწ, განმავლობასა შინა დიდისა მარხვისასა. რისთვის? მისთვის, რომელ წმიდამან ეკლესიამან ისე კეთილად და ბრძნად დააწესა წმიდასა მარხვასა შინა კითხვა, ლოცვა, გალობა და ყოველივე დაწყობილება საღმრთოსა მსახურებისა, რომელ შესაძლებელი არ არის არ გაიღვიძოს და არ შეინანოს კაცმა ცოდვილმა, უკეთუ იგი სრულიად არ არის მკვდარი. რაც რომ კი არის მაღალი, კაცის გულის შემმუსვრელი და გრძნობად მომყვანებელი, ვითარცა საღმრთოსა წერილსა შინა, ეგრეთვე თხზულებათა შინა წმიდათა მამათასა, ესე ყოველივე განგებ შეკრიბა წმიდამან ეკლესიამან დღეთა ამათ შინა შენდა აღსაშენებლად და მოსაქცევლად, ძმაო ჩემო! ყოველსა მისსა საუნჯესა, ძველსა და ახალსა, ახლა გამოიტანს წმიდა ეკლესია და გაგიფენს შენ. ახლა განამრავლებს იგი უმეტესად კითხვასა სამღთოთა ფსალმუნთა; ახლა აღმოჰკრეფავს წინასწარმეტყველთაგან უმჯობესთა კეთილ-სულოვანთა ყვავილთა; ახლა გიქადაგებს იგი ბაგითა სოლომონ ბრძენისა და ისუ ზირაქესათა და ყოველთა წინასწარმეტყველთასა; ერთი სიტყვით, რაც კი აქვს წმიდასა ეკლესიასა უმჯობესი, ყოველი დაიმარხა აწინდელთა დღეთათვის. დაუგდე ყური სამღრთოთა ამათ სიტყვათა. გააღე კა-

რი გულისა შენისა და მიუშვი მადლი სამღრთოისა ქადაგებისა; აწვე არს ჟამი განღვიძებად ძილისაგან. აწ უმახლობელეს არს ჩვენდა ცხოვნება.

დრო არს, ძმაო, გაიღვიძო, მოგეახლა ცხოვნება. თუ ახლაც არ მოინანე ცოდვანი შენნი, თუ ახლაც არ გაიღვიძე, მაშასადამე აღარ ყოფილა შენთვის გაღვიძება. რა სახით არ შეგაგონებს შენ წმიდა ეკლესია; რომლის კერძოით არ მოგეახლება იგი! თუ შიშით, თუ სიყვარულით, თუ შერცხვენით, თუ ლმობიერებით, თუ მრისხანებით, ყოველ საშუალებას იხმარს, ყოველ ხერხს გამოსცდის. გაიხსოვნე გუშინ წინ წაკითხული წინასწარმეტყველება ისაიასი. თუ კარგა დაუგდე მას ყური და ცრემლი არ მოგივიდა და არ შეგეშინა, მაშასადამე გულის მაგიერად გქონია შენ ქვა. თვით ღმერთი წარუდგება ისრაილსა და გამოითხოვს მას სამართალში, ცასა და ქვეყანას მოიყვანს მოწმად და იტყვის: **ძენი ვშენ, და აღვამაღლე, და მათ შეურაცხ მყვეს მე, ხარმან იცნა მომგებელი თვისი, და ვირმან ბაგა უფლისა თვისისა, და ერმან ჩემმან მე არა მიცნო.** მერმე როგორათაც ერთი მამა, გამოყვანილი მოთმინებისაგან გაუწყრებოდეს შვილსა და ეტყოდეს, წადი ჩემგან და ნუღარ მეჩვენები, შენ დამავიწყე მე მამობრივი სიყვარული ცუდითა შენითა ქცევითაო; ამ სახით გაურისხდება ღმერთი ისრაილსა, მცოდველსა და ეტყვის, რომელ იგი აღარ შეხედავს მათ, აღარ ისმენს მათსა ლოცვასა; მათი მარხვა, მათი დღესასწაულნი, მსხვერპლნი მოსძულდა მას. **ვაი ნათესავსა ცოდვილსა და ერსა სავსესა ცოდვითა. თესლნი ბოროტნი, ძენი უსჯულონი დაუტევეთ უფალი დაივიწყეთ წმიდა ისრაილისა.** ეს სიტყვები, ძმაო, შენკენ მიაქციე; ესრე წარმოიდგინე, რომ თვით შენ გეუბნება უფალი. შენც გშვა მან წმიდისა ემბაზისაგან, შენც აღგამაღლა მან და განგანათლა სამღრთოითა სწავლითა და უმეტესად აღგამაღლა ვიდრე ისრაილი, გარნა შენცა, ვითარცა ძველი იგი ისრაილი, ხშირად დაივიწყებ ღმერთსა და უღალატებ მას.

დრო არს, ძმაო, გაიღვიძო ძილისაგან შენისა; ისარგებლე სამღრთოითა ამით ჟამითა, თუ ახლაც უდებ იქმენ, თუ ახლაც უსარგებლოთ დარჩა შენთვის ესოდენი შეგონება, სწავლა, ქადაგება, რაღა მოგაქცევს შენ და ვინღა შეგაგონებს, ვერაოდეს ვერსად ვერ გაიგონებ შენ ისრეთთა ტკბილთა და ლმობიერთა სიტყვათა, როგორათაც გეტყვის შენ დიდსა სერობასა ზედა წმიდა ანდრია კრიტელი. არ შეიძლება უმჯობესად შეგონება კაცისა! სწორეთ სულმან წმიდამან გაანათლა ანდრია საღმრთო, თორემ კაცის ენა ვერ წარსთქვამდა ესოდენსა მადლსა. რაოდენსა საღმრთოსა სახესა წინა დაგი-

გებს იგი! რაოდენსა მაგალითსა მოგიყვანს! რაოდენსა საკვირველსა ჰაზრსა შეგაგონებს! ქვეყნის დაბადებიდგან ვიდრე უკანასკნელ დღეთადმდე რაიცა რამ იყო წმიდა მაგალითი, ყოველსა აღწერს იგი შენთვის! ამის მეტი სხვა არაფერი განსხვავება რომ არ იყოს დიდმარხვის ლოცვებში, მარტო ეს იქმნებოდა საკმაო შენდა განღვიძებად ძილისაგან ცოდვათასა.

აჰა, ვითარცა სამღრთოისა ტაბლასა დაგიგებს შენ წმიდა ეკკლესია დღეთა ამათ შინა! აჰა, რაოდენნი და ვითარნი მქადაგებელნი წარმოგიდგებიან შენ! განიღვიძე უკვე! ვიდრემდის უნდა გეძინოს შენ, ვიდრემდის უნდა გამოსცადო სულგრძელება და მოთმინება მამისა შენისა ზეციერისა. საკმაო არს ესოდენი ძილი, უკეთუ არა, იგი გადიქცევა სიკვდილად. **განიბანენით, წმიდა იქმენით, მოსპენით უკეთურებანი სულთაგან თქვენთა. ისწავეთ კეთილისა ქმნა, გამოიძიეთ მსჯავრი.** ესრეთ გვეტყვის თვით ღმერთი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა. **სულო ჩემო! სულო ჩემო! აღსდეგ, რასა გძინავს, აღსასრული მოახლებულ არს!** ესრეთ ხმობდე ნეტარის ანდრიასა თანა შენცა, ჰოი კაცო. ამინ.

მოძღვრება

პარასკევს დიდ-მარხვის პირველ კვირიაკესა.

საყვარელნო, ძმანო, ქრისტიანენო! ვგონებ, რომელ მრავალნი თქვენ შორის ემზადებით ხვალისათვის ზიარებასა და დღეს უნდა სთქვათ აღსარება წინაშე მოძღვრისა თქვენისა, ამისთვის მსურს წინადაგიგო თქვენ რაოდენიმე ჰაზრი მას ზედა, თუ რაი არს აღსარება, ვინ და რისთვის დააწესა აღსარება, და უმეტესად, როგორ უნდა მოემზადოს ქრისტიანე აღსარებისათვის, უკეთუ სურს მიიღოს მისგან სრული სარგებლობა სულიერი.

მონანება და აღსარება არს ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი. საიდუმლონი, ვითარცა უწყით თქვენცა, დააწესა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მისთვის, რათა მათითა საშუალებითა მიიღოს მორწმუნემან უხილავი მადლი სულისა წმიდისა განსამტკიცებლად და საცხოვნებლად სულისა მისისა. აღსარებასა შინა კაცი მონანული, განიხილავს რა თავსა თვისსა და მოიგონებს რა ყოველთა თვისთა ცოდვათა, მივალს მოძღვართან და გულ-წრფელად შეატყობინებს მას სულიერსა თვისსა მდგო-

მარეობასა და მიიღებს მისგან შენდობასა ცოდვათა თვისთასა სახელითა და ძალითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა. მაცხოვარმან, აღდგომილმან მკვდრეთით, მისცა მოწაფეთა თვისთა უფლება შეკვრისა და განხსნისა კაცთა ქვეყანასა ზედა, მეტყველმან: **მიიღეთ სული წმიდა, უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ შეპყრობილ-იყვნენ და უკეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნეს მათ. რომელნი შეჰკრათ ქვეყანასა ზედა, იყოს კრულ ცათა შინა; ხოლო რომელნი განხსნათ ქვეყანასა ზედა, იყვან ხსნილ ცათა შინა.** მოციქულთა ესე უფლება გარდასცეს თვისთა მოადგილეთა, და ესრეთ ვიდრე აქამომდე მოძღვარნი თქვენნი იხმარებენ უფლებასა ამას თქვენდა საცხოვნებლად.

არ არის აქ საჭირო ვრცლად განვიხილოთ და დავამტკიცოთ, თუ ვითარ დიდ-არს და მაცხოვნებელ კაცთათვის საიდუმლო ესე მონანებისა. საიდუმლოითა ნათლის-ღებისათა კაცი იშვების სულიერად, განიწმიდების და შეერთდების ღმერთთან. უკეთუ შეეძლოს კაცსა დამარხვა სიწმიდისა და მადლისა, რომელსა იგი მიიღებს ნათლის-ღებასა შინა, აღარ იქმნებოდა მისთვის საჭირო მონანება და აღსარება; გარნა, სამწუხაროდ, ვერცა ერთი კაცი, მცხოვრები ამ სოფლად, ვერ დაიცავს უმანკოებასა ნათლის-ღებისასა. ჩვენ ყოველნი ვსცოდავთ მარადის, ძმანო, და ერთი მხოლოდ გვაქვს ღონის-ძიება, ესე იგი, მონანება, რომლითა შეგვიძლიან კვალად აღვადგინოთ უბიწოება ჩვენი და შეურიგდეთ მამასა ჩვენსა ზეციერსა. ამისთვის წმიდანი მამანი მონანებასა უწოდებენ მეორე ნათლის-ღებად. უკეთუ ღმერთს არ მოენიჭებინა ეს დიდი მოწყალება ჩვენთვის, ვგონებ, რომელ ვერცა ერთი კაცი ვერ სცხოვნდებოდა სულითა თვისითა.

გარნა, ძმანო ჩემნო, ვისაც სურს, რომ კეთილად ისარგებლოს წმიდითა ამით საიდუმლოითა, მან ჯეროვნად უნდა აღასრულოს იგი. ვინც განუზრახველად და სიჩქარით იტყვის აღსარებასა, იგი ვერ მიიღებს მისგან დიდსა სულიერსა სარგებლობასა. აღსარებასა, ძმანო, დიდი მომზადება უნდა. ჩვენ ყოველნი ისრე ვფიქრობთ და ის ჩვეულება გვაქვს, რომელ აღსარების მთქმელმან მხოლოდ უნდა დაიხსოვოს, რაც ცოდვა უქმნია განმავლობასა შინა ერთის წლისასა, მერმეთ მივიდეს და უთხრას მღვდელსა და მიიღოს მისგან შენდობა. ეს საკმაო არ არის, ძმანო ჩემნო! აქ უმთავრესი საქმე ის არის, რომ შენ ეცადო და შეიტყო შინაგანი შენი მდგომარეობა; არა თუ მხოლოდ მოიგონო, რა ცოდვა გიქმნია, არამედ ისიც შეიტყო, თუ რა იყო მიზეზი შენის ცოდვისა, რომლისა წყაროისაგან გამოვიდა ცოდვა შენი. თვითოეულს ცოდვასა აქვს თვი-

სი წყარო და ფესვი გულსა შინა ჩვენსა; ყოველნი ცოდვანი
წარმოსდგებიან და გაჩნდებიან რომელთამე ცუდთა თვისება-
თა და ბოროტთა მიდრეკილებათაგან ჩვენთა; თვითოეულსა
კაცსა, ძმანო ჩემნო, აქვს თვისნი საკუთარნი ჩვეულებანი და
მიდრეკილებანი, რომელნი შეადგენენ მისსა ხასიათსა. მაგალი-
თებრ, ერთი არის გულ-ფიცხელი და ეს გულ-ფიცხელობა
მისი შეიქმნება წყაროდ მრავალთა მისთა ცოდვათა; მეორე
არის ამპარტავანი ანუ თავხედი, და ამისაგან შთავარდება
მრავალთა შეცოდებათა შინა; ზოგი არის ანგარი და ამი-
სთვის იქმს მრავალთა ცოდვათა, სხვა არის მოშურნე და ხარ-
ბი, კვალად სხვა არის ზარმაცი, ანუ ცილის-მწამებელი. შენც,
ძმაო ჩემო, როდესაც ემზადები აღსარების თქმასა, ეცადე და
შეიტყე, რა ნაკლულევანება გაქვს შენ და რა ვნება გჭირს,
რომლისაგან წარმოსდგებიან თვითეულნი შენნი ცოდვანი. ვგო-
ნებ, ან თვითონ შენ გინახავს, ან გაგიგონია, რომელ ოდესცა
მიწის მუშაკი სწმენდს თვისსა ყანობირსა ცუდთა და მავნებელ-
თა ბალახთაგან, მაშინ იგი ცდილობს რომ ფესვიანად ამო-
გლიჯოს იგინი მიწისაგან. და თუ მხოლოდ ზეითგან მოსჭრა
იგინი და ფესვები კი მიწაში დასტოვა. კვალადვე აღმოცენდე-
ბიან იგინი და გააფუჭებენ თესლსა. შენც ესრეთ მოიქეცი,
ძმაო ჩემო; უკეთუ გსურს კეთილად განსწმიდო გული შენი,
ეცადე რომ ფესვიანათ ამოგლიჯო მისგან ყოველნი ცოდვანი
შენნი.

მეორედ, ძმაო ჩემო, უკეთუ კარგად არ განიხილე თავი
შენი და კარგად არ აცნობე მოძღვარსა შენსა სულიერი შენი
მდგომარეობა, იგი ვერ მოგცემს შენ კეთილსა და ჯეროვანსა
კურნებასა. ცოდვა სულისა ჩვენისათვის არის, ვითარცა სნე-
ულება ხორცისა ჩვენისათვის. მკურნალი ვერ შესძლებს სნე-
ული კაცის მორჩენასა, უკეთუ პირველად არ შეიტყო მიზეზი
მისისა სნეულებისა. ეგრეთვე, უკეთუ კეთილად ვერ შეატყო-
ბინე მოძღვარსა მიზეზი სულიერისა შენისა სნეულებისა, ვერ-
ცა იგი მოგცემს შენ კეთილსა დარიგებასა და სასარგებლო
წამალსა. ეცადეთ, საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო, არა უქ-
მად და უნაყოფოდ იყოს შრომა და მოღვაწება თქვენი. ხოლო
გსურსთა შეიტყოთ, სასარგებლოდ დარჩა თქვენთვის აწინდე-
ლი მარხვა და მონანება თუ არა? არის ერთი ჭეშმარიტი და
ნამდვილი ნიშანი, რომელი გამოაჩენს, მიიღეთა თქვენ სული-
ერი სარგებლობა? უკეთუ თქვენ ამიერიდგან უმჯობესნი შეი-
ქმენით სულიერად; უკეთუ ის ცოდვა, რომელიცა აქამომდე
გაწუხებდათ, განიშორეთ და შეიძულეთ, ხოლო მადლი და
სათნოება, რომელიც აქამომდე არ გქონდათ, შეიყვარეთ და

აღასრულეთ, ცხად იქმნება, რომელ მიგიღიათ დიდი სულიერი სარგებლობა აწინდელისა მოღვაწებისა და მარხვისაგან. ხოლო უკეთუ თქვენში არავითარიმე ცვლილება არ მოხდა, უკეთუ გაათავებთ რა აღსარებასა და მიიღებთ რა ზიარებასა, კვალადვე დაადგრებით უწინდელს კვალსა და იქმთ უწინდელთა საქმეთა: ვინც გულ-ფიცხელი იყო, ისევ იწყებს მრისხანებასა და მოყვსის გინებასა; ვინც ამპარტავანი იყო, არ დაიმდაბლა თავი თვისი; ვინც ანგარი იყო, ისრევე დარჩა გაუმაძღარი და ხარბი, ცხად იქმნება, რომელ ამაოდ დაუკარგავს დროება თვისი. რისთვის ვხედავთ ჩვენ ამ ჩვენ ქვეყანაში, რომელ, თუმცა მრავალნი პირნი და თითქმის ყოველნი ფრიად გულ-მოდგინედ მარხულობენ, მტკიცედ ემზადებიან ზიარებასა და თითქმის ისრე მარხულობენ, რომ ზოგჯერ ავათ გახდებიან ნამეტნავის მარხულობისაგან, ზიარების შემდეგ არაფერს ცვლილებას და უმჯობესობას არ ნახავს კაცი მათ შორის? მისთვის, რომელ იგინი კარგად არ განიცდიან თავსა თვისსა და არ შეიტყობენ, რა უნდა გამოიცვალონ და რა უნდა მოიშალონ, ხოლო თქვენ, ძმანო, ეცადეთ, რათა უმჯობესნი შეიქმნეთ ამიერითგან სულიერად. ამინ.

მოკლე მოძღვრება

დიდ მარხვის პირველის კვირიაკის პირასკევს ზიარებად მომზადებულთადმი.

ძმანო ქრისტიანენო! წინასწარმეტყველი და მეფე დავით იტყვის ფსალმუნსა შინა: **ნეტარ-არიან, რომელთა მიეტევნეს უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი. ნეტარ-არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვა, არცა არს პირსა მისსა ზაკვა** (ფს. ლა, მუხ. ა. ბ.) თქვენ ხართ, ძმანო, დღეს მეძიებელნი ნეტარებისა ამის დიდისა, ვინაიდგან ლოცვითა და მარხვითა ემზადებით აღსარებასა და ზიარებასა და მოელით ცოდვათა მოტევებასა.

ერთობ ღრმა და შესანიშნავი არის, ძმანო, ის ოც-და-მეთერთმეტე ფსალმუნი, რომლისაგან მოვიყვანეთ ჩვენ ეს სიტყვები. ცხადად სჩანს, რომ მეტად აღელვებული იყო გული წინასწარმეტყველისა, ოდეს მან წარმოსთქვა ეს სიტყვები. იმ ზომად იყო იგი შეწუხებული, რომელ ძვალნი მისნი განკფდეს, მეფე იგი დიდებული თითქმის გარდიქცა გლახაკად, გულსა

მისსა განესხა ეკალი. **რამეთუ დავდუმენ მე,** – ესრეთ განაგრ-ძობს დავით სიტყვას, **განკფდეს ყოველნი ძვალნი ჩემნი ღაღა-დებითა ჩემითა მარად-დღე რამეთუ დღე და ღამე დამძიმდა ჩემ ზედა ხელი შენი, მივიქეც მე გლახაკობად, რამეთუ განმესხა მე ეკალი.** რა აწუხებდა მას, ძმანო, ეგზომად? განზრახვა და წარ-მოდგენა სიცოდვისა მისისა! სჩანს რომ მან შთახედა სიღრ-მესა შინა გულისა და შეეშინა, იგრძნო რა, თუ ვითარ დაცე-მულ არს ბუნება კაცისა და რაოდენი ბოროტება ბუდობს მის გულში. რა ჰქმნა წინასწარმეტყველმა ესრეთსა შინა შეწუხე-ბასა? **ცოდვა ჩემი გაუწყე შენ და უსჯულოება ჩემი არა დავფარე შენგან; ვსთქუ, აუარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევო მე ულოთოება გულისა ჩემისა.** ესრეთითა ძალითა, ესრეთითა ღრმი-თა გრძნობითა წინასწარმეტყველი დავით განკითხავდა თავსა თვისსა და ემზადებოდა მონანებასა. წინასწარმეტყველი დავით თუ ესრეთ იქმოდა, რაიღა უნდა ვქმნათ ჩვენ, ძმანო; ვითარი-თა გრძნობითა და შიშითა უნდა ვემზადებოდეთ ჩვენ აღსარე-ბასა და ზიარებასა?

კაცი უდები და უზრუნველი მსუბუქად აღასრულებს სა-ქმესა ამას, ვითარცა ერთსა უბრალოსა ჩვეულებასა; გარნა შენ, ძმაო ჩემო, ისრეთ უნდა ემზადებოდე აღსარებასა და ზიარებასა, როგორათაც ერთსა უმთავრესსა და უსაჭიროესსა საქმესა, რომელსა ზედა დამოკიდებულ არს შენი სიცოცხლე და ბედნიერება; ყოველი ძალი და სიმტკიცე სულისა შენისა უნდა მოიხმარო ამ საქმისათვის. ეცადე, რომ ზიარებამ მოახ-დინოს შენში რომელიმე ცვლილება, დასტოვოს შენ გულში კვალი და ნიშანი. ეს დამოკიდებული არს ღვთის მადლზედ, მეტყვის ვინმე. მართალია, ძმაო, მაგრამ შენზედაც არის და-მოკიდებული. რა ზომად დაემორჩილები ღმერთსა და ღირსი გახდები, იმზომად მიიღებ მადლსა ღვთისასა. ეცადე, რომ ის გრძნობა და ის მიდრეკილება, რომელიცა გვაქვს გულში, მი-მავალსა ზიარებისადმი, დარჩეს მარადის შენთან. რა სასარგებ-ლო იქმნება შენთვას, თუ ამ ერთის კვირის განმავლობაში ერიდები ცოდვას და მერმე კვალადვე მიიქცევი ცოდვისადმი; ახლა შეურიგდები და შეუნდობ ყოველს კაცს და მომავალში ხელ ახლად იწყებ ჩხუბს და მტერობასა; ახლა გაქვს გული წყნარი და ლმობიერი, დახშული ყოვლის ცუდის ჰაზრისა და საქმისა-თვის, ხოლო მომავალში გახსნი გულსა და შეუშვებ მას შინა ყოველსა ცოდვასა.

როდესაც დავით წინასწარმეტყველმან ღრმად იგრძნო ცოდვა თვისი და აღუარა იგი ღმერთსა, გული მისი დამშვიდ-და და სთქვა: **ამისთვის ილოცვიდენ შენდამი ყოველი წმიდა ჟამ-**

სა შეწყნარებისასა, ხოლო რღვნა წყალთა მრავალთა მას არა მიეახლოს. რღვნა წყალთა ნიშნავს აქ ყოველსა ცოდვასა და შფოთსა ქვეყნისასა. არ მოგეახლებიან შენცა ესენი, უკეთუ კეთილად ილოცე, უზაკველად შეიგონე და აღუარე ღმერთსა ცოდვა შენი, რომელიცა მოგცეს შენ ღმერთმან. ამინ.

მოძღვრება

დიდ მარხვის პირველის კვირიაკის პარასკევს.

*

საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო!

ერთი ძველისა სჯულისა წარჩინებული კაცი იობი, რომლისა სახელი და ცხოვრება ხშირად წაიკითხება აქ, განმავლობასა შინა დიდისა მარხვისასა, მეცხრესა თავსა მისისა წიგნისასა ესრეთ იტყვის თავზე: **მე თავის მარადის ვსძრწოდი და მეშინოდა ყოველთა შინა საქმეთა ჩემთა.** რას ნიშნავს, ძმაო, ეს თქმა? რისა ეშინოდა იმ კაცს? ნუ თუ მისნი საქმენი იყვნენ ესოდენ ბოროტნი და ცოდვილნი, რომელ მას სიმართლით ეშინოდა მათგან? არა, ძმანო ჩემნო! იგი იყო კაცი მართალი და აღვსებული ქველის მოქმედებითა! იგი ესოდენ იყო კეთილი და კაცთმოყვარე, რომელ თანამედროენი მისნი იტყოდენ მას ზედა: იგი არის თვალი ბრმათათვის, ფერხი დავრდომილთათვის, საზრდო და ნუგეში მშიერთათვის. ამისათვისაც წმიდა ეკლესიაცა განგებ წინადაგვიგებს ჩვენ მისსა ცხოვრებასა დიდ მარხვაში, ვითარცა მაგალითსა მოთმინებისა და დიდისა სათნოებისა. ანუ იქნება თუმცა იგი მრავალთა კეთილთა საქმეთა ასრულებდა, გარნა ამასთანავე, ვითარცა კაცი, სუსტი შთავარდა მრავალთა ცოდვათა შინა. არა! მისი ცხოვრების აღწერაში არ არის ხსენებული, რომ მას ექმნას რომელიმე მძიმე ცოდვა. ამასთანავე იგი არ იტყვის: მე მეშინოდა რომელთამე საქმეთა შინა ჩემთა: ესე იგი არ გაარჩევს აქ და არ გაჰყოფს საქმეთა თვისთა, არამედ იტყვის საზოგდოდ ყოველთა, თვისთა საქმეთათვის; მაშასადამე რას ნიშნავს ეს სიტყვა? რისთვის ეშინოდა საქმეთა მისთა ამ მართალს კაცს?

ვგონებ, ძმაო ჩემო, შიში იობისა გაჩნდებოდა მით, რომელ იგი ღრმად გაშინჯავდა და სიმართლით ასწონვიდა ყოველთა თვისთა საქმეთა. სჩანს, რომ იგი არ იყო უდები, უზრუნველი და დაუდევნელი სულიერსა შინა ცხოვრებასა. სჩანს,

რომ იგი ხშირად ფიქრობდა თვისთა საქმეთა ზედა, ხშირად
გაიკითხვიდა თავის თავს. უთუოდ, რომ იგი ესრეთ იტყოდა
თავის გულში: მართალია მე ვსცდილობ და მრავალს ქველის
საქმეს ვასრულებ, გარნა ეს მისთვის, რომ ღმერთმა მომცა
აღურაცხველი სიმდიდრე: რა დიდი რამ არის, რომ ესოდენი-
სა სიმდიდრისაგან მივსცე რომელიმე შემწეობა ჩემთა მოყვა-
სთა. გარნა როდესაც გამოვიკვლევ ჩემი გულის მდგომარეობას,
ვპოვებ მუნ მრავალთა ცუდთა მიდრეკილებათა; ვხედავ, რომ
თუ ღმერთს არ გავენათლებინე და ღმერთს შემწეობა არ
მოეცა, ჩემით მარადის ვიქმნებოდი ცოდვილი.

აჰა, ძმაო, ერთი კეთილი და აღმაშენებელი მაგალითი
თქვენთვის, რომელნიცა აწ ნანობთ ცოდვათა თქვენთა და ემ-
ზადებით ზიარებად. თუ ესრეთი მართალი და ქველის მოქმე-
დი კაცი მარადის განიკითხვიდა თავსა თვისსა და გაზომავდა
თვისთა საქმეთა, ჩვენ უმეტესად გვმართებს გაშინჯვა და გა-
მოკვლევა ცხოვრებისა ჩვენისა; თუ მას ეშინოდა თვისთა სა-
ქმეთაგან, ჩვენ უმეტესად უნდა გვეშინოდეს ჩვენისა ცხოვრე-
ბისა და ყოფაქცევისა. ისიც დაუმატე, ძმაო, რომელ იობი
იყო ძველისა სჯულისა კაცი, და მისგან ღმერთი არ მოით-
ხოვდა ესოდენსა სიწმიდესა და სიმართლესა, როგორათაც ჩვენ-
გან, რომელნი ვართ ახლისა სჯულისა, რომელთა ღმერთმან
მოგვცა უმეტესი მადლი და უმეტესსა მოგვთხოვს სიწმიდესა
და სათნოებასა.

მაშასადამე კარგა გაშინჯე, ძმაო, და გამოიკვლიე ცხოვ-
რება შენი პირველ ვიდრე მიხვალ აღსარებად და ზიარებად
და როდესაც იწყო მიმოხილვა საქმეთა შენთა, მაშინ უმეტესი
ყურადღება მიაქციე მას ზედა, რა ხასიათი გაქვს, რომელნი
არიან თვისებანი სულისა შენისანი. ყოველის კაცის საქმენი
დამოკიდებულნი არიან მისსა საკუთარსა ხასიათსა ზედა. ხასი-
ათი, ანუ სულის თვისება არის წყარო ანუ ფესვი ყოვლისა
საქმისა, ვითარცა კეთილისა, ეგრეთვე ბოროტისა. თუმცა
შენ დღეს აღიარე რომელიმე ცოდვა და მიიღე შენდობა მო-
ძღვრისაგან, გარნა უკეთუ წყარო ანუ ფესვი ცოდვისა,
ესე იგი ცუდი ხასიათი შენი არ შეიტყე და არ
გამოსცვალე, უსარგებლო იქმნება შენი აღსარება, ამისათვის,
რომა იმავე საქმეს ხელახლა განიმეორებ. მონანებასა და
ზიარებასა უნდა ჰქონდეს ორი საგანი ანუ ორი ბოლო: პირ-
ველად ისა, რომ წასრულისა შენისა ცხოვრებისა ცოდვანი და
ბრალნი შეინანო და მიიღო ღვთისაგან შენდობა, მეორე და
უდიდესი ისა, რათა მოამავალისა დროებისათვის შეიქმნე უმ-
ჯობესი, ესე იგი, აღარ სცოდავდე და არ გაამწარებდე ღმერ-

თსა. ნუ დაივიწყებ, გახსოვდეს მარადის, რომელ თუ შენ, მი-
მავალსა მაცხოვარებითისა ბარძიმისადმი არა გაქვს გულში
გადაწყვეტილი და მტკიცე სურვილი დასტოვო და მოიძაგო
ყოველნი ცუდნი შენნი ჩვეულებანი, არამედ დაუდევნელად
აღსრულებ საღმრთოსა ამას საქმესა, არა თუ არ მიიღებ მადლ-
სა და სულიერსა სარგებლობასა, არამედ შთავარდები საში-
ნელსა შინა ცოდვასა, იქმნები რა თანამდები ცხოველს-მყო-
ფელისა ქრისტეს ხორცისა და სისხლისა. ნუ იყოფინ ჩვენდა
ესრედ! ამინ.

სიტყვა

პირველსა კვირიაკესა ზედა დიდის მარხვისასა.

ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა
მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან
აღიაროს იგი წინაშე ანგელოსთა ღვთისათა
(ლუკ. იბ, ᲗᲒ)

დღეს, ძმანო ჩემნო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო,
ჩვენ ვასრულებთ მცნებასა ამას უფლისასა. ხმითა მაღლითა
წინაშე ყოველთა კაცთა აღვიარებთ დღეს ჩვენ სახელსა ქრის-
ტესსა და ყოველსა სჯულსა, რომელი გარდამოგვცა მან ჩვენ
მოციქულთა და მამათა მიერ და არა თუ მხოლოდ აღვია-
რებთ, არამედ, ლოცვასა და მადლობასა შევსწირავთ მისდამი,
რამეთუ მოგვცა ჩვენ მადლი და შემწეობა ვიდრე ამ ჟამად-
მდე დაცვად სისწორით და სისრულით ყოვლისა სჯუ-
ლისა მისისა; ხოლო წინააღმდეგთა ქრისტეს სჯულისათა, ანუ
გარდამაქცეველთა და განმასხვავებელთა მისგან მოცემულისა
სწავლისასა ვეტყვით ანათემასა, ესე იგი, უარ-ვყოფთ მათ და
განვაძებთ ეკკლესიის კრებულისაგან. გარნა აქ საჭირო არს,
ძმანო ჩემნო საყვარელნო, მივაქციოთ სრული ყურად-ღება,
რომლისა აღსარებისათვის გვამცნებს ჩვენ მაცხოვარი მეტყვე-
ლი: **რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა...** ესე იგი, საკმაო
არსა აღსარება ქრისტეს სახელისა მხოლოდ სიტყვითა და ენი-
თა? არა, ძმანო ჩემნო, აღსარება სჯულისა არის ორნაირი:
ერთი სიტყვითა, მეორე თვით საქმითა. სიტყვით აღიარებს
ღმერთსა იგი, რომელიც ენითა თვისითა წარმოსთქვამს სახელ-
სა ქრისტესსა და სარწმუნოებასა მისსა, ხოლო საქმით იგი,

რომელი ცხოვრებითა და ყოფა-ქცევითა თვისითა გამოხატავს ანუ მოიყვანს არსებაში სახარებასა იესო ქრისტესსა. ცხად-არს, რომელ კაცმან, რომელსა სურს სათნო-ეყოს უფალსა, ორივე აღსარება უნდა აღასრულოს, ესე იგი შეაერთოს სიტყვა და საქმე. კაცი, რომელი მხოლოდ ენითა თვისითა აღიარებს უფალსა, გარნა საქმით იქცევა წინააღმდეგ მისთა მცნებათა, არა თუ ქრისტიანე არ არის, არამედ არის მოღალატე ქრისტესი. ისმინეთ, რასა იტყვის ისაია წინასწარმეტყველი: მომეახლებიან მე ერი ესე სიტყვით და ბაგითა პატივს-მცემენ მე, ხოლო გული მათი შორს არს ჩემგან და ამაოდ პატივს-მცემენ მე. ხოლო უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვეტყვის: არა ყოველმან, რომელი მეტყოდეს მე უფალო, უფალო და შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან აღასრულნეს სიტყვანი ჩემნი.

ნუ ატყუებ, ძმაო, თავსა შენსა. ქრისტეს მოწაფე და ქრისტეს აღმსარებელი მაშინ ხარ, როდესაც აღასრულებ სიტყვათა მისთა; თუ არ მოინანე ცოდვანი შენნი, თუ ისრეთს რასმე იქმ, რომელიც წინააღმდეგი არის იესო ქრისტესი, ქრისტეს მოღალატე ხარ. გახსოვდეს, რომ შენ ყოვლითა შენითა არსებითა, სულითა და ხორცითა ქრისტეს ეკუთვნი. შენ ქრისტესი ხარ ყოვლითურთ, ქრისტეს სისხლით მოსყიდული ხარ; ქრისტეს-თანა შეერთებული ხარ, ნათღიის-ღებიდგანვე ქრისტეს სახელი გეწოდება; აწ, უკეთუ კეთილად ხვალ, ქრისტეს აღიარებ; უკეთუ სცოდავ და არ მოინანებ, ქრისტეს მოღალატე ხარ. მეშინოდეს, რომ არ უარ-გყოს შენ ქრისტემან, უკეთუ შენ უარ-ჰყავ იგი ცხოვრებითა შენითა. ქრისტეს აღიარებ მაშინ, ოდეს სახელითა მისითა გლახაკსა, მცირესა ძმასა შენსა შეეწევი ნაყოფისაგან შენისა; ქრისტეს მოღალატე ხარ, უკეთუ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ და არავის არ ეწევი; ქრისტეს ადიდებ, ოდეს გიყვარს მოყვასი შენი, რომელი შეიყვარა მან და სისხლი დაჰსთხია მისთვის; ქრისტეს უარ-ჰყოფ, თუ მოიძულე ვინმე მოყვასთა შენთაგანი; ქრისტეს აღიარებ, ოდეს გახსოვს მცნება მისი და ყოველთვის სიმართლეს იტყვი და არავის მოატყუებ; ქრისტეს უღალატებ, ოდეს იქცევი მზაკვარებით, ოდეს იუდასავით ამბორს უყოფ მოყვასსა და მერმე გაჰყიდი მას.

ნუ დაივიწყებ, რა პატიოსანს სასყიდელს აღუთქვამს ქრისტე მისთა აღმსარებელთა. რა დიდი არის და საკვირველი, რომ შენ წინაშე რაოდენათმე კაცთა აღიარო სახელი ქრისტესი მაშინ, ოდეს იგი აღგითქვამს შენ: **ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოსთა ღვთისათა.** ოდეს ყოველნი ტომნი, ანგელოსნი და კაცნი შეიკრიბებიან მეორეთ მოსვლაზედ წინაშე დი-

დებისა უფლისა, მაშინ აღგიარებს შენ უფალი, მაშინ გამოაჩენს შენსა ერთგულებასა, რომელი მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. ამინ.

მოძღვრება

მართლ-მადიდებლობის კვირიაკესა.

*

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

თუმცა, წესი ესე მართლ-მადიდებლობისა ძველი დროებითგან არის მიღებული ეკკლესიასა შინა და ყოველთვის იყო საჭირო და სასარგებლო, გარნა უმეტესად აწ, ამ ჩვენ დროებაში. რისთვის? მისთვის, რომელ ახლა ერთი ფრიად სამწუხარო ყოველთა ქრისტეს მოსავთათვის გარემთება გამოჩნდა და ძლიერდება ყოველთა ქვეყანათა შინა, რომელიცა ფრიად საჭიროდ ჰყოფს აღსრულებასა წესისა ამისასა. რომელი არს ეს გარემოება? ის, რომელ განმრავლდნენ კაცნი წინააღმდეგნი საღმთოისა სჯულისანი, რომელნი კადნიერად ბედვენ ცილობასა, და არათუ ცილობასა, არამედ თითქმის უარის ყოფასა უმთავრესთა მუხლთა ღვთისაგან მოღებულისა სჯულისათა. ესრეთსა გარემოებასა შინა ფრიად საჭირო და სასარგებლო არის, რომ წმიდამან ეკლესიამან აღამაღლოს ხმა თვისი და ნათლად აღიაროს სწავლა ქრისტეს სჯულისა სანუგეშოდ ყოველთა ქრისტეს მოყვარეთა, ხოლო ყოველნი წინააღმდეგნი და განდრეკილნი ზარ-განხადოს საშინელითა ანათემითა. ამას ასრულებს ახლა კრება წმიდისა ეკკლესიისა!

გარნა ხსენებული სამწუხარო გარემოება, ესე იგი განმრავლება ურწმუნოთა კაცთა, ჩვენ, მოძღვართა თქვენთა, განგვაღვიძებს, რათა უმეტესითა ბეჯითობითა გასწავლიდეთ თქვენ და განგამტკიცებდეთ საღმრთოსა შინა სჯულსა. ეს საღმრთო მოვალეობა ჩემი გამაღვიძებს მე მოგცე ოქვენ დღეს მოძღვრება – ერთსა ფრიად საჭიროსა და სასარგებლოსა საგანსა ზედა შესახებ სჯულისა ჩვენისა, მით უმეტესად, რომ მე კიდეც აღგითქვი თქვენ ერთხელ მოლაპარაკება ამ საგანზე. ვინც არის გულს-მოდგინე მსმენელი ღვთის სიტყვის ქადაგებისა, მას უთუოდ კიდეც ახსოვს, რომ მე წასრულს

წელს თვით ამ დღეს და თვით ამ წმიდა ადგილისაგან აღგი-
თქვი თქვენ განმარტება იმ აზრისა, რომელ თვინიერ სარწმუ-
ნოებისა არც სათნოება შეიძლება. ესე იგი, ვისაც არა აქვს
სარწმუნოება ცხოველი, მას არცა წმიდა ზნეობა ექმნება. ახ-
ლა მინდა აღვასრულო, ძმანო, ეს ჩემი აღთქმა! გთხოვ თქვენ
ყოველთა კარგად ყური დამიგდოთ და გაიგოთ ეს ჰაზრი მის-
თვის, რომ იგი არის ფრიად აღმაშენებელი და ყოველთა. ურ-
წმუნოთა კაცთა პირის დამაყოფელი.

პირველი და უმთავრესი ჰაზრი, ანუ საბუთი ყოვლისა
ურწმუნოისა და განდრეკილისა კაცისა არის ესრეთი: ოღონდ
მე კი კარგი, პატიოსანი და მართალი კაცი ვიყოო საქმით და
ყოფაქცევით, თორემ რაც გინდა მწამდეს ეს სულ ერთი არი-
სო; ესე იგი, ამის მოლაპარაკე ამტკიცებს, ვითომც შეიძლე-
ბა, რომ სარწმუნოება ანუ ღვთის სჯული არ ჰქონდეს კაცსა,
და ზნეობით, ანუ ყოფა-ქცევით კი იყოს წმიდა და სათნო.
მაშასადამე თუ ეს მისი საბუთი ცხადად გავამტყუნეთ, თუ
ჩვენ იმას დავუმტკიცეთ, რომელ ერთი უმეოროდ ვერა ოდეს
ვერ გასძლებს კაცის გულში და მეტადრე ის თუ დავამტკი-
ცეთ, რომ ვისაც არა აქვს ცხოველი სარწმუნოება, იგი ვერა-
ოდეს ვერ შეიძენს წმიდასა ზნეობასა, ანუ სათნოებასა, ამით
გავაჩუმებთ ყოველსა ურწმუნოსა კაცსა. ღვთის შეწევნით ად-
ვილია ამის დამტკიცება! სიტყვის სიცხადისათვის წარმოვიდგი-
ნოთ ახლა, რომ აქ ჩემ წინაშე სდგას ერთი ურწმუნო კაცი
და მე იმას ველაპარაკები: მითხარ მე, ძმაო, რადგანაც შენ
თვითონ ამტკიცებ, რომ სიმართლე, პატიოსნება, წმიდა ზნე-
ობა ყოვლი კაცისათვის საჭირო არის, ესრედ რომელ თუ
ესენი სრულიად მოაკლდა კაცსა, იგი გარდაიქცევა პირუტ-
ყვად, პირველად ეს ერთი ჰაზრი ამიხსენი: რა უფრო ადვი-
ლია კაცისათვის, ცოდვა თუ მადლი, ცოდვის აღსრულება თუ
სათნოების შეძენა, ესე იგი, რომელს უფრო ადრე და ადვი-
ლად აღასრულებს კაცი, ცოდვას თუ სათნოებას? ვგონებ,
ძმანო, მსმენელნო, რომელ ამ საგანზე ჩემი მოპირდაპირე ცი-
ლობას არ დამიწყებს, მან თავიდგანვე პირდაპირ უნდა აღი-
არაოს, რომელ ცოდვა ყოვლისა კაცისათვის უფრო ადვილია,
ვიდრე სათნოება; ამაზე მას დაარწმუნებს თვით კაცის ბუნება,
ანუ თვით მისი საკუთარი ბუნება, ვინაიდგან თვით იგი ხე-
დავს, რომ ბუნება მისი არის ფრიად მიდრეკილი ცოდვისადმი;
მაშასადამე ეს ჰაზრი დამტკიცებული არის. ეხლა ამ პირველ
ჰაზრისაგან გადავიდეთ, ძმანო, მეორე ჰაზრზე და ვკითხოთ
ჩვენ მოპირდაპირეს: გვითხარ ჩვენ, ძმაო, რადგანაც შენ თვი-
თონ ხედავ და იძულებული აღიარებ, რომელ დაცემულის

კაცის ბუნებისათვის ცოდვა უფრო ადვილია და საამო, ხოლო
სათნოება მძიმე და ძნელი, მაშასადამე თუ სარწმუნოება არა
მაქვს და სარწმუნოებისა ჩემისაგან არა ვარ შეგონე-
ბული და გაღვიძებული, რამ მაიძულოს მე, რამ შემა-
გონოს, რამ გამიღვიძოს ცოდვის მორიდება და სათ-
ნოების ძებნა, ესე იგი, ის, რაც ჩემი ბუნებისათვის არის საა-
მო და ტკბილი დავსტოვო და ვეძიო ის, რომელიც არის ძნე-
ლი, მძიმე, რომელიც მოითხოვს ჩემგან დიდსა შრომასა, მო-
თმინებასა, იძულებასა, ესე იგი, სათნოება და სიწმიდე? თუ
კი ახლაც, როდესაც რომ ცალკე ჩემი სარწმუნოება ხან მა-
შინებს, ხან მასწავლის, ხან მანუგეშებს და მით შემაძულებს
ცოდვასა, ცალკე სამოქალაქო სჯული ცოდვის და უსჯულო
საქმისათვის მექადნის სასჯელსა, ცალკე თვით ჩემი ჭკუა და
სინიდისი მამხილებს, რომ მოვერიდო ცუდ საქმეს, მაინც ვხე-
დავ, რომ ცოდვა ძლიერია ჩემს ბუნებაში, იგი მაინც ხშირად
წარმიტაცებს მე, რაღა იქმნება და რაღა აღმიკრძალავს მე
ცოდვის მოქმედებას, თუ სარწმუნოება აღარ არის ჩემს გულში?
რას იტყვის ამაზე ჩემი მოპირდაპირე? ჭკუა გაქვს, მაინც მეტ-
ყვის იგი, ჭკუით გაარჩიე ცოდვა და მადლი და პირველი მო-
იძულე და მეორე შეიყვარე. გარნა, სხვა არის გარჩევა და
სხვაა აღსრულება. აბა ვკითხოთ ჭკუას რას გვეტყვის იგი ამა-
ზე? თუ მორწმუნე ვარ, ჭკუა მეტყვის: ყოველი მოითმინე,
სათნოება შეიძინე, აქაური ცხოვრება მოკლე არის, იქ ღმერ-
თი მაგიერს მოგაგებს; თუ ურწმუნო ვარ, ჭკუა ასე მეტყვის:
ამ წუთ სოფელში ვიდრემდის ხარ, ინუგეშე, სჭამე, სვი, მო-
კვდები და ყოველივე განქარდება. სინიდისი გაქვსო, კიდევ
მეტყვის ჩემი მოპირდაპირე: სინიდისით გაარჩიე ცოდვა და
მადლი და სინიდისს გაუგონე; - კეთილი მაგრამ სინიდისი და-
ფუძნებულია და ცხოველია მხოლოდ სარწმუნოებით; ვისაც
არა აქვს სარწმუნოება, მას სინიდისიც ბნელი აქვს და ყრუ.
რას იტყვის ამის მეტს მოპირდაპირე? თვითონ აღიარა მან,
რომ სარწმუნოება და სიწმიდი საჭირო არის კაცისათვის, თვი-
თონვე ხედავს ახლა, რომ თუ საღმრთო სჯული არ გააღვი-
ძებს კაცს, კაცი არასოდეს არ მოერიდება ცოდვასა და არ
იმეცადინებს სათნოებისათვის, მაშასადამე აქედან გამოდის,
რომ საღმრთო სჯული მიუცილებლად საჭირო არის ყოვლისა
კაცისათვის; თვინიერ საღმრთოისა სჯულისა, მას არც ცოდვის
შიში და მორიდება ექმნება, მაშასადამე იგი დაჰკარგავს კაცო-
ბრიობას და ემსგავსება პირუტყვს.

აჰა, ძმანო, ის ჰაზრი რომლისა ახსნა მსურდა მე თქვენ-
თვისა. იქმნება მე ისე ნათლად ვერ გამოვსთქვი ეს ჰაზრი და

ვერ გაგაგებინე, როგორც მსურდა, მაგრამ შენ თვითონ დაა-
მუშავე შენ გულში, ძმაო, ეს ჰაზრი და გაავრცელე. თუ კარ-
გად ვერ ახსნი, ჩემთან მოდი თავისუფალ დროს და მე კიდევ
აგიხსნი, აქაც მიუბრუნდები მე მარჰვე დროს ამ ჰაზრსა. თუ
როდისმე შეგვხვდეს ურწმუნო კაცთან ლაპარაკი ამ ჰაზრით,
თუ კარგად გაიგე იგი, შეგიძლიან პირი დაუყო მას; თუ არა
ჩემთან მოიყვანე; უთხარი ეს მისი საქმე არისთქო. ვესავ მაც-
ხოვარსა, რომელი არის მდიდარი სიტყვითა და სწავლითა,
რომ იგი მომცემს მე სიტყვასა შესაგონებლად ყოვლისა გან-
დრეკილისა კაცისათვის.

გარნა აქ უნდა გაგიმჟღავნდე და გითხრა, ძმაო, რომ ერ-
თი საქმისა კი მეშინია; მეშინია, რომ ეს ჩვენი მოპირდაპირე
მობრუნდეს და ესრეთი სიტყვა გვითხრას: კარგი! თუ მართლა
საღმრთო სჯული და სარწმუნოება არის საფუძველი და გან-
მაღვიძებელი წმიდა ზნეობისა, რათ ვხედავ შენ შორის, შენ
რომ მორწმუნე კაცი ხარ, ცუდსა ზნეობასა და ყოფა-ქცევასა?
სწორეთ მეშინია, რომ არ გაგვამტყუნოს ამ სიტყვით, ჩვენ,
მორწმუნენი ურწმუნომან კაცმან! თუ კაცი ამბობს მორწმუ-
ნე ვარ და საქმით კი არ ერიდება ცოდვას, იგი სიტყვითაც
ვეღარ გაამტყუნებს ურწმუნო კაცსა; ამისათვის გლოცავ თქვენ,
ძმანო, და გაფუცებ, თვით ცხოვრებითა თქვენითა აჩვენოთ
ურწმუნოთა კაცთა, რა საუნჯე არის ცხოველი სარწმუნოება
კაცისათვის. ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო! შეგვეწიე, რათა
თვით ცხოვრება მორწმუნეთა შენთა გაამტყუნებდეს და შეარ-
ცხვენდეს ურწმუნოთა კაცთა. – ამინ!

მოძღვრება

დიდ-მარხვის მეორესა კვირიაკესა.

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

თუმცა წარსულს კვირას, მართლ-მადიდებლობის წინათ,
ჩვენ წინა-დაგიდეთ მცირედი განმარტება წესისა ამის, გარნა
ვინაიდგან საჭიროებისა გამო მაშინ სიტყვა ჩემი იყო მოკლე
და მცირე, ხოლო წესი იგი არის ფრიად შესანიშნავი და ამას-
თანავე რომელთამე პირთა აქვსთ მას ზედა უსაფუძვლო ჰაზრი,
ამისთვის საჭიროდ ვრაცხ კვალად მივაქციო დღეს ყურად-ღე-
ბა თქვენი საგანსა ამას ზედა.

რომელნიმე მომსმენელნი მართლ-მადიდებლობის წესისა ესრეთ ფიქრობენ გულში და ხშირათ ხმა მაღლათაც გამოსთქვამენ ფიქრსა მათსა: რათ აღსრულებს ეკკლესია დღეს წესსა ამას? კარგად არ იქცევა იგი ამ შემთხვევაში! რა საქმე აქვს ეკკლესიას ჩემ ჰაზრთან და ჩემის გულის-თქმასთან? ოღონდ მე კი კარგი კაცი ვიყო და პატიოსნად ვიქცეოდე, არვის არ ვაწუხებდე, ერთი სიტყვით, საქმით კარგი ვიყო, თორემ გულში რაც უნდა ჰაზრი მქონდეს ღმერთზედ, ანუ ხატზედ, ანუ სხვა საგანზედ, - ეს სულ ერთია! ვის რა დააკლდება, მე რომ განსხვავებული ჰაზრი მივიღო ღმერთზედ, ანუ სხვა ეკკლესიის სწავლაზედ? ჩვენგან ღმერთი მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ვნება არავის მივცეთ და ცუდს საქმეს მოვერიდოთ, სხვებრ რაც გინდა ვიფიქროთ ეკკლესიის სწავლათა ზედა, ამით არავის არაფერს არ დაუშავებთ. სწორედ ესრეთ ფიქრობენ და ამას იტყვიან ზოგიერთნი პირნი. მართალი არის თუ არა ეს ლაპარაკი? მისაღები არის იგი და პატივ-სადები თუ არა? ამაზედ ვიფიქროთ ახლა.

არა, ძმანო ჩემნო, ესე ვითარი ლაპარაკი და განზრახვა არის წინა-აღმდეგი, ცრუ და უსაფუძვლო! ვინც ესრეთ განიზრახავს, მას უთუოთ ავიწყდება ერთი რაიმე, სახელდობ, ავიწყდება რა საგანი აქვს ეკკლესიის სწავლას, რისთვის გვამზადებს ჩვენ და გვზრდის ეკკლესია? წმიდა ეკკლესია გვამზადებს ჩვენ და გვზრდის, არათუ მხოლოდ ამ სოფლის ცხოვრებისათვის, არამედ და უმეტესად მომავალისა საუკუნოისათვის. ადამიანის არსება და ცხოვრება რომ არ განგრძელდებოდეს გარეშე ამის სოფლისა, ჩვენ რომ არა გვრწამდეს უკვდავება სულისა ჩვენისა და მომავალი დაუსრულებელი ცხოვრება, მაშინ სწორეთ სულ ერთი იქმნებოდა, რაც გინდა ჰაზრი გვქონდეს ღმერთზედ; გარნა ვინაიდგან გვაქვს სასოება მომავალისა ცხოვრებისა, მაშასადამე ჰაზრიცა ჩვენი და სარწმუნოება უნდა იყოს მართალი და მართლ-მადიდებელი. ჩვენ გვრწამს და ვაღვიარებთ, რომელ ღმერთი არის შემოქმედი და მმართველი ყოვლისა ქვეყანისა, რომელ მან მოავლინა ძე თვისი გამოხსნისათვის კაცისა, კაცი ცხოვნდება და განათლდება მხოლოდ საშუალებითა სულისა წმიდისათა, ღმერთი მიაგებს ყოველსა კაცსა საქმეთა-მებრ მისთა; ესე ვითარნი და ამის მსგავსნი ჰაზრნი და სწავლანი არიან საფუძველნი ჩვენის სჯულისა და სასოებისა და არ შეუძლიან ეკკლესიასა, რომ არ ამხილოს მათი წინა-აღმდეგნი, მისთვის რომელ, ვინც გამოსცვლის და წინა-აღუდგება სწავლასა ამას, იგი საფუძვლიანად არღვევს სჯულსა ჩვენსა. ათასი სხვა სწავლა აქვს და ათასი ჰაზრი კაც-

სა სხვათა და სხვათა საგნებთა ზედა: ეკკლესია არ შეეხება მათ. რაც გინდა იფიქრო და ასწავლო შენ ბუნებასა ზედა, ანუ საზოგადოების წყობილებასა ზედა, ანუ სხვათა ამ სოფ-ლის საგანთა, ეკკლესია არ გაერევა ამაში, სრულს თავისუფ-ლებას გაძლევს შენ; გარნა შესახებ საღმრთო სჯულის სწავ-ლისა ეკკლესია ვერ მოითმენს, რომ განასხვაო იგი, მისთვის რომელ იგი არ არის მოგონებული შენგან ანუ ჩემგან; გუშინ ანუ გუშინ წინ არ არის გამოცხადებული, არამედ თვით ღმერ-თმან გამოგვიცხადა იგი დასაბამითგან და ჩვენი საუკუნო ნე-ტარება არის დამოკიდებული მას ზედა. ეს არის პირველი მიზეზი.

მეორე მიზეზი, რომლისა-თვისცა წმიდა ეკკლესია ყოვლის ღონის-ძიებით იცავს შეუცვლელად სწავლასა მისსა და ფიც-ხელად განიკითხავს წინა-აღმდეგთა და გარდამქცეველთა ამა სწავლისათა არის ისა, რომელ სწავლა იგი არს კავშირი ყო-ველთა ქრისტიანეთა, რომელი შეაერთებს ყოველთა კაცთა წინაშე ღვთისა; ხოლო ერთობა და სიყვარული კაცთა შორის არის უძვირფასესი თვისება წინაშე თვალთა ღვთისათა. სადაც არ არის ერთობა და სიყვარული, მუნ არ არის მადლი ღვთი-სა, მუნ ეკკლესია აღარ არის. რა არს ეკკლესია? იგი არს შე-კრება კაცთა ერთ-მორწმუნეთა, ესე იგი, ისრეთთა კაცთა, რომელთა აქვსთ ერთი ჰაზრი საღმრთოთა საგანთა ზედა. წმი-და მოციქული პავლე მისწერს ფილიპელთა: **აღავსეთ სიხარუ-ლი ჩემი, რათა მასვე ზრახვიდეთ და იგივე სიყვარული გაქვნდეს, ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით** (თ. ბ, გ); ხოლო ეფესელთა იგივე წმიდა მოციქული ამცნებს: **ისწრაფდით დამარხვად ერთო-ბასა მას სულისასა საკრველითა მით მშვიდობისათა** (თ. დ, გ). ისრეთი ძვირფასი თვისება არის ერთობა სარწმუნოებისა, რო-მელ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან უკანასკნელსა შინა ლოცვასა პირველ ჯვარ-ცმისა მხურვალედ გამოითხოვა მამისა თვისისაგან, რათა ყოველნი მისნი მორწმუნენი იყვნენ ერთ, ვითარცა იგი და მამა ერთ არიან. გარნა ყოველნი წინააღმდე-გნი სარწმუნოებისა და გარდამაქცეველნი სწავლისა დაარღვე-ვენ ერთობასა და მოახდენენ განხეთქილებასა და სიძულილ-სა. მეოთხესა საუკუნესა შინა, ოდესცა უღმრთომან არიოზ მოახდინა საშინელი შფოთი ეკკლესიასა შინა, ერთ ღამეს წმიდა ალექსანდრეს, ეგვიპტის მწყემსთ-მთავარსა, გამოეცხადა სიზმრად უფალი იესო ქრისტე. ოდესცა წმიდამან ალექსანდრე შეხედა უფალსა იესო ქრისტესა, ნახა, რომელ მისი კვართი ანუ სამოსელი იყო გაპობილ ორად თავიდგან ბოლომდი, და ესმა ხმა უფლისა: აჰა რა მიყო არიოსმან! ეს

კვართი გაპობილი მოასწავებდა წმიდასა ეკკლესიასა, რომელი განაპო ორად უღმრთომან არიოს, სწავლითა თვისითა. სადღა იქმნება სიყვარული და ერთობა ეკკლესიასა შინა, უკეთუ ყოველმან კაცმან თვისებრ დაიწყოს სწავლა საღმრთოთა საგანთა ზედა. აჰა რისთვის ცდილობს წმიდა ეკკლესია, რათამცა საღმრთო იგი სწავლა, რომელი გარდამოგვცეს მოციქულთა, იყოს დაცულ შეუცვლელად ყოველთა კაცთაგან! აჰა რისთვის ზარ-დასცემს იგი ანათემითა ყოველთა, რომელნი კადნიერ იქმნებიან გარდაქცევად სჯულისა მისისა!

მესამედ, როდესაც წინა-აღმდეგნი იტყვიან: ოღონდ ყოფა-ქცევით კარგი კაცი ვიყოვო, თორემ ჰაზრი რაც გინდა მქონდეს ღმერთზედ, - ერთიაო, ამით რას ამტკიცებენ იგინი? ამტკიცებენ მას, ვითომც შესაძლებელი არის, რომ სარწმუნოება არ ჰქონდეს კაცს და სათნოება კი ჰქონდეს, ანუ თუ თვინიერ სარწმუნოებისა შესაძლებელ იყოს სათნოება და სიწმიდე. ეს ჰაზრი სრულიად უმართლო არის, ძმანო ჩემნო! გარეშე ქრისტეს სჯულისა არ არის შესაძლებელი, რომ კაცმან შეიძინოს ჭეშმარიტი სათნოება და სიწმიდე. შეიძლება კი ცოტაოდენი ანუ დაბლისა ხარისხისა სიმართლე და პატიოსნება ჰქონდეს ურწმუნოსაცა კაცსა; შეიძლება და კიდეც მამხდარა მრავალ-გზის, რომელ თვით კერპთმსახურნიცა, ეგრეთვე მაჰმადიანნი და სხვა სჯულის ხალხნი იქმოდენ რომელთამე კეთილთა საქმეთა: კაცი ებრალებოდესთ, მოწყალება მისცენ, სიმართლე უყვარდესთ, გარნა არა-ოდეს არ არის შესაძლებელი, რომელ მათ მიითვისონ ნამდვილი და ჭეშმარიტი სათნოება, ის სათნოება, რომელი მხოლოდ განამართლებს კაცსა ღვთის წინაშე. ეს ჰაზრი არის ჭეშმარიტი, გარნა იგი მოითხოვს საკუთარსა განმარტებასა და ვინაიდგან განვრცელდა სიტყვა ჩვენი დღეს, ამისთვის ვალდებულვყოფ თავსა ჩემსა – მერმე ოდესმე მივაქციო ყურადღება თქვენი საგანსა ამას ზედა; ხოლო დღეს დასასრულსა სიტყვისა ჩვენისა გევედრები შენ, ძმაო ჩემო, შენ, რომელი ხარ მართლ-მადიდებელი, ეცადე და განამართლე ყოვლითა ღონის-ძიებითა სჯული შენი წინაშე წინააღმდეგთა მისთა. იცი, რას იტყვიან და რით იმართლებენ თავსა წინააღმდეგნი ჩვენისა სამღთოისა სჯულისა? ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ მართლ-მადიდებელნი განსხვავებულნი იყვნენ კარგითა მათითა ცხოვრებითაო, წინა-აღმდეგ ამისა ვხედავთ, რომელ თუმცა იგინი იქადიან მართლ-მადიდებლობითა, გარნა არ იქცევიან პატიოსნად და არ ერიდებიან უსამართლოებასა და ცოდვასაო. რა უნდა უპასუხოთ ამაზედ მათ? ჭეშმარიტად ვიტყვი: რომელი იქადიან მართლ-მადიდებლობას,

ხოლო ცუდად იქცევიან და ცოდვას არ ერიდებიან, უარესად ავნებენ სჯულსა მათსა, ვიდრეღა განცხადებულად ურწმუნონი. როდესაც ურწმუნო კაცი ცუდად იქცევა, ცოდვას არ ერიდება, ეს საკვირველი არ არის და მე ვგონებ, რომ უფრო შესანდობელიც არის: გარნა რით უნდა განვხსნათ და რით უნდა შეუნდოთ ცუდი ყოფა-ქცევა იმ კაცსა, რომელი იქადის მართლ-მადიდებლობასა? ამისათვის ეცადე, მართლ-მადიდებლობის შვილო, შენვე არ შეარცხვინო დედა შენი, წმიდა ეკკლესია, წინაშე მტერთა მისთა, არამედ ისრე მოიქეცი, რომ ყოველი ურჩი ეკკლესიისა, მხედველი წმიდისა შენისა ცხოვრებისა, ცხადად ხედვიდეს რა კეთილი და სასარგებლო საქმე არის მართლ-მადიდებლობა. ამინ!

სიტყვა

მეორესა კვირიაკესა.

> და იხილა იესო სხვანი ორნი ძმანი იაკობ ზებედესი და იოანე ძმა მისი... და უწოდა მათ, ხოლო მათ მეყვსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა მათი, და მისდევდეს მას (მ. დ, კბ.).

*

სახარება დღეს წაკითხული მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, როდის და რა სახით აღმოარჩია უფალმან ათორმეტნი მოციქულნი თვისნი. მოთხრობასა ამას შინა უმეტესად ყოვლისა ის განაღვიძებს ყურადღებასა ჩვენსა, რა სისწრაფით და ერთგულად მიიღეს აღმორჩეულთა ამათ წოდება უფლისა: და იხილა იესო სხვანი ორნი ძმანი..... და უწოდა მათ, ხოლო მათ მეყვსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა თვისი და მისდევდეს მას. აჰა, რა სახით უბრალოთა ამათ მეთევზეთა გული ჰქონდათ განმზადებული მიღებად ღვთის წოდებისა. რაკი ერთხელ ესმა მათ ხმა უფლისა, აღარც ეჭვი, აღარც შიში, აღარც სიყვარული მშობელთა, ანუ მონაგებისა – აღარ შეარყევს მათ. გული ეტყვის მათ, რომელ კეთილ არს წოდება ესე; ჭკუა მათი შეაგონებს მათ, რომელ იგინი ვერ იშოვნიან ამაზე უკეთესსა მოძღვარსა და განმანათლებელსა,

სინიდისი გააღვიძებს მათ, რათა არა დაჰკარგონ კეთილი ესე შემთხვევა, არამედ ისარგებლონ მით, და იგინი მაშინვე დაემორ-ჩილებიან ხმასა უფლისასა: ხოლო მათ მეყვსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა თვისი და მისდევდეს მას.

აჰა, ძმაო ჩემო საყვარელო, რა კეთილსა მაგალითსა და სწავლასა გაძლევენ შენ უბრალონი ესე და უსწავლელნი მე-თევზენი, უკეთუ გსურს მიღება სწავლისა და მაგალითისა. როდესაც ღმერთი გიწოდებს შენცა, რა სახითაც გამოგიჩნდეს წოდება მისი, ნუღარ ჰყოვნი, ნუ მიზეზობ, ნუ ირყევი; არა-მედ მეყვსეულად ისმინე ხმა მისი და შეუდეგი მას. მაცხოვარი ასწავლიდა რა ერსა, ხშირად ესრეთ დააბოლოვებდა სიტყვათა თვისთა: **რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!** შეიძლება და საჭიროც არის შენდამიც მოვაქციოთ აწ სიტყვა ესე! თუ გუ-ლი გაქვს, ძმაო, გამზადებული მიღებად სიტყვისა ღვთისა, თუ ჭკუა შენი არ არის განდრეკილი, არამედ მსურველი შეწყნა-რებად ღვთისაგან მოვლინებული სწავლისა და ქადაგებისა, ყური დაუგდე შენცა ყოველსა წოდებასა ღვთისასა: **რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!** მრავალ-გზის და მრავალ ფერად გიწოდებს შენცა მაცხოვარი განმავლობასა შინა შენისა სიცო-ცხლისასა. შენთვისაც იყო ეს მაგალითი და სწავლა, რომელი გესმა დღეს წაკითხულისა სახარებისაგან: ისმინე იგი და იყავ მბაძავი კეთილ გონიერთა ამათ მეთევზეთა. ღვთისაგან არის ყოველი იგი შემთხვევა, როდესაც გული შენი, მარადის გარ-თული სოფლისა ამის ამაოებასა შინა, უცეფ გაიხსოვნებს ღმერთსა, მოსწყინდება ყოველი ამ სოფლის ამაოება და ურ-ვა, მოსწყურდება მიქცევა ღვთისადმი და დავიწყება ამ სოფ-ლის ბოროტებისა; ან როდესაც სინიდისი შენი ტვირთ-მძიმე ცოდვათაგან სწუხს, იურვის და გდევნის შენ გამოსვლად ცო-დვის მონებისაგან და მიქცევად ღვთისადმი; გარნა საუბედუ-როდ ნაცვლად მისა, რომ შენ ყური დაუგდო ესრეთ შინა-განსა შენსა ხმოვანებასა და მიიღო იგი, ვითარცა წოდება ღვთისა, მზაკვარმან გონებამან შენმან სხვა რამე მიზეზს მიაწე-რა იგი და დააჩუმა შინაგანი თვისი მოძრაობა და მით გააუქ-მა წოდება ღვთისა. ღვთისაგან იყო ისიც, როდესაც შენ შე-გემთხვია რომელიმე უბედურება, როდესაც იყავი შეწუხებული ანუ სიკვდილითა მოყვასთა შენთა, ანუ სიღარიბითა, ანუ სნე-ულებითა: ყოველთა ესრეთთა შემთხვევათა კაცნი ღვთის მო-შიშნი და ღვთის მოსავნი მიიღებენ, ვითარცა ღვთისაგან მოვლინებულსა სწავლასა, შეიმუსვრიან გულთა თვისთა, დაე-მორჩილებიან სიმართლით დამსჯელსა მარჯვენასა ღვთისასა და ცდილობენ, რომ სინანულითა, მოთმინებითა და მორჩილე-

ბითა გაისწორონ ცხოვრება თვისი და კვალად შეიქმნენ ღირ-
სნი ღვთის მოწყალებისა; გარნა შენ ესრეთთა შემთხვევათა
შინა საუბედუროდ სხვაფერ იქცევი: შენ ანუ დაღონდები და
შთავარდები სასოწარკვეთილებასა შინა, ანუ მხოლოდ ერთ
წამს მიიქცევი ღვთისადმი და მერმე დაგავიწყდება სწავლა
ღვთისა. ანუ იქმნება ღმერთმან შეგაგონა შენ სხვითა სახითა,
იქმნება მან მოგცა შენ პატივი შორის მოყვასთა შენ-
თა, იქმნება შეგამკო შენ ჭკუითა, განათლებითა, მოგანიჭა სიმ-
დიდრე და წარმატება; კაცი კეთილ გონიერი და მორწმუნე
ყოველთა ამათ ნიჭთა მიიღებს ვითარცა ღვთისაგან მოცემულ-
სა წყალობასა, იგი იფიქრებს: უთუოდ ყოველი ესე მომცა
ღმერთმან მისთვის, რათა ამით ვემსახურო ღმერთსა; გარნა
შენ ხშირად სხვაფერ უყურებ ესრეთსა წოდებასა ღვთისასა;
სიმდიდრე და წარმატება შენ ხშირად მიაწერე საკუთარსა შენ-
სა ჭკუასა და ღირსებასა, ანუ ერთსა ბრმასა ბედსა და იგი
მოიხმარე შენ არა ღვთის მსახურებისათვის, არამედ დასაკმა-
ყოფლად შენთა ცუდთა სურვილთა და ვნებათა. ერთი სიტ-
ყვით რაოდენ გზის გააუქმე შენ წოდება ღვთისა! რაოდენ
გზის გული გეტყოდა: დრო არის მიქცევად ღვთისადმი
და დატევება ყოვლისა ამ სოფლის ამაოებისა; გარნა შენ მა-
ინც ემონები ცოდვასა და ამაოებასა. რა არის მიზეზი შენისა
ამის დაუდევნელობისა და უზრუნველობისა? ის, ძმაო, რომ
შენ ისე არ აფასებ ღვთის წოდებასა, ვითარცა დააფასეს უბ-
რალოთა მეთევზეთა. მათ ისრე დააფასეს წოდება ღვთისა, რო-
მელ არათუ დაუტევეს ნავი თვისი, ესე იგი ყოველი ქონება
თვისი, არამედ მშობელნიცა თვისნი. შენგან ღმერთი არ მო-
ითხოვს ესოდენსა მსხვერპლსა, რომ დასტოვო ყოველი შენი
ამ სოფლის საქმე და შეუდგე მხოლოდ ღვთის მსახურებასა.
ესრეთსა მსხვერპლსა მოითხოვდა ღმერთი მხოლოდ რომელ-
თამე რჩეულთაგან. შენთვის ისიც საკმაო იქნება, რომ წოდე-
ბა ღვთისა, მისი მსახურება და მორჩილება მიგაჩნდეს უდიდე-
სად ყოველთა სხვათა ამ სოფლის საქმეთა და არ დაივიწყო ეს
სიტყვა მაცხოვრისა: **სული უფროს არს საზრდელისა და გვამი
სამოსლისა,** ანუ ესე: **რა მიუზღოს კაცმან ნაცვლად სულისა თვი-
სისა,** და სულის ცხოვნების საქმე წინა უვიდოდეს, სხვათა ყო-
ველთა შენთა საქმეთა და არათუ მხოლოდ წინა უვიდოდეს,
არამედ სხვანიცა ყოველნი ამ სოფლის შენნი საქმენი, შრო-
მანი, ზრუნვანი, იმ სახით გქონდეს დაწყობილნი, რომელ არა
თუ არ უშლიდენ, არამედ შეეწეოდენ ერთსა ამას უმაღლესსა
და უსაჭიროესსა საქმესა, ესე იგი სულის განათლებასა და
ცხოვნებასა, რომელიცა მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან.

ამინ.

სიტყვა

მესამესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა, თქმული ქუ-თაისს.

> რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე (მარკ. ᲘᲗ, ᲚᲓ).

მესამესა კვირიაკესა მარხვათასა წმიდასა ეკკლესიასა აქვს ჩვეულება გამოსვენებად ჯვარისა საკურთხევლიდგან და დასვენებად წინაშე მლოცველთა, რომელნი ამ ჟამად თაყვანის-სცემენ და ამბორს-უყოფენ მას, მეტყველნი: **ჯვარსა შენსა თაყვანის-ვსცემთ, მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ.** ხილულითა ამით მოქმედებითა და წესითა წმიდა ეკკლესია შეგვაგონებს, რათა ჩვენ ყოველნი მჭვრეტელნი პატიოს-ნისა ჯვარისა, ვითარცა მოთმინების და მღვიძარების ნიშანისა, განვაფრთხილებდეთ თავსა ჩვენსა და ვიქმნებოდეთ მხნენი და დაუდონებელნი მარხვასა, ლოცვასა და კეთილსა საქმესა შინა და ესრეთ ვსძლევდეთ ცოდვათა და ნაკლულევანებათა ჩვენთა, ვითარცა მაცხოვარმან ჰსძლო ჯვრითა თვისითა ცოდვა, სიკვდალი და ჯოჯოხეთი. **რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და შემომიდეგინ მე.**

რასა ნიშნავს, ძმაო, უარის-ყოფა თავისა თვისისა და აღება ჯვრისა, ანუ როგორ შეიძლება, რომ კაცმან თავი თვისი უარ-ჰყოს? ვიფიქროთ ამაზედ: საგანი ესე დიდ-არს და ფრიად ღრმა, გარნა ცნობა მისი უსაჭიროეს არს ყოვლისა ქრისტიანისათვის, ვინაიდგან უარის-ყოფა თავისა თვისისა არის საფუძველი ქრისტიანობრივის ცხოვრებისა. მაცხოვარი ხშირად მოითხოვდა მოწაფეთა მისთაგან უარის-ყოფასა თავისასა; სახარება ხშირად გვეტყვის ჩვენ, რომელ ვისაც ნებავს, რათა იყოს ჭეშმარიტი მოწაფე უფლისა, მან უნდა უარ-ჰყოს და დაივიწყოს თავი თვისი. და ესრეთ, რასა ნიშნავს უარ-ყოფა თავისა თვისისა?

ბუნებასა კაცისასა და ყოველსა მისსა შინაგანსა და გარეგანსა მოქმედებასა აქვს ორი კერძო ანუ ორი სახე: ერთის მხრით კაცსა აქვს ბევრი კეთილი თვისება, დიდი სათნოება,

უმაღლესი ღირსება; კაცსა აქვს სურვილი და მიდრეკილება, რომ აღასრულოს სიმართლე, სათნო-ეყოს ღმერთსა, ერთი სიტყვით, მრავალს კეთილს და საქებელ საქმესა იქმს. მეორეს მხრით ბუნებასა შინა კაცისასა ვხედავთ ჩვენ მრავალთა ნაკლულევანებათა, ბოროტთა თვისებათა და მიდრეკილებათა, ცოდვათა და უღირსებათა. ვინც გულის-ხმიერად გასინჯავს თვისსა ბუნებასა და შთახედავს გულსა შინა თვისსა, იგი მსწრაფლ ნახავს, რომელ კაცი შინაგან თვისსა გრძნობს ბრძოლასა და წინააღმდეგობასა შორის კეთილთა და ბოროტთა თვისებათა და მიდრეკილებათა მისთა. დღეს კაცი არის კეთილი და ჰქმნა მრავალი კეთილი საქმე, ხოლო ხვალე გული მისი გამოიცვალა და ჰქმნა ბევრი ცოდვა; ერთ წამს გული მისი გრძნობს სიყვარულსა ღვთისასა და მოყვსისასა, ხოლო შემდგომში მან დაივიწყა სიყვარული. ერთი სიტყვით, გული მისი ყოველთვის გაპობილ-არს ორად: ბუნებასა მისსა აქვს მრავალი კეთილიცა და ბოროტიცა თვისება და მიდრეკილება. და ესრეთ, ძმანო, ოდეს მაცხოვარი მოითხოვს ჩვენგან, რათა უარ-ვჰყოთ თავი ჩვენი, ცხად არს რომელ იგი შეგვაგონებს ჩვენ, რათა უარ-ვჰყოთ ეს მეორე ცუდი და ბოროტი კერძო ბუნებისა ჩვენისა, რათა დავივიწყოთ ცოდვა და ყოველი ნაყოფი მისი: **რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემომიდეგინ მე.**

გარნა ვისაც სურს აღსრულება დიდისა ამის მცნებისა, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რა ძნელია ეს საქმე. აქ კაცი უნდა ებრძოდეს თავის თავს, თვისთა სურვილთა, თვისთა ჩვეულებათა, თვისთა მიდრეკილებათა, ერთი სიტყვით: მან უნდა დათრგუნოს და დაიმორჩილოს თვით ბუნება თვისი. უკეთუ გსურთ, შეიტყოთ სიძნელე ამა საქმისა, წარმოიდგინეთ მხოლოდ ერთი მაგალითი. მრავალნი წმიდანი, სიყრმიდგან შედგომილნი მაცხოვარისადმი, ვიდრე სიბერემდე იყვნენ ბრძოლასა ამას შინა; იგინი დაუტევებდენ სოფელსა, განვიდოდენ უდაბნოდ, დღე და ღამე, ყოველ წამს ცდილობდენ, რათა დაემორჩილებინათ თვისნი ბოროტნი მიდრეკილებანი, გარნა მრავალგზის ცოდვა სძლევდა მათ.

მეორედ, კაცი უნდა ებრძოდეს სოფელსა, რომელსა შინა იგი ხედავს მრავალთა ცოდვათა და ცუდთა მაგალითთა. სოფელი კაცსა მიიზიდავს ყოველთვის ცოდვისადმი და იგი ყოველთვის უნდა წინა-აღუდგეს სოფელსა; გარნა თუ ვითარ ძნელ-არს ბრძოლა სოფლისა, ესეც დაგვიმტკიცეს მრავალთა წმიდათა; იგინი მისთვის დასტოვებდენ სოფელსა და განვიდოდნენ უდაბნოდ, რომელ, თუმცა იყვნენ მტკიცენი და ძლიერ-

ნი სულითა, გარნა მაინც ეშინოდათ სოფლისა.

დასასრულ კაცი უნდა ებრძოდეს მარადის სულიერსა მტერსა მისსა, რომლისა საცთურნი ხშირად მიიზიდვენ გულსა კაცისასა და დაავიწყებენ მას მოღვაწებასა და ქრისტიანებრივ სარწმუნოებასა.

ესრეთ ძნელ-არს და მძიმე ცხოვნება სულისა. კაცი, მეძიებელი ღვთის სასუფეველისა, მარადის ითმენს შინაგანსა და გარეგანსა ბრძოლასა; იგი მარადის ზიდავს ჯვარსა თვისსა მხართა ზედა თვისთა.

გარნა რასა ვხედავთ ჩვენ აწ? ვგონებ, რომ ვინც შეხედავს ცხოვრებასა აწინდელთა ქრისტიანეთასა, ისრე იფიქრებს, რომელ სულის ცხოვნებაზედ უადვილესი საქმე არ იყოს ქვეყანაზედ. პირველად ის ვსთქვათ, რომელ აწინდელნი ქრისტიანენი თითქმის ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თვისისათა შესწირავენ სოფელსა და ხორციელთა ზრუნვათა: განმავლობასა შინა შვიდის დღისასა, იქმნება რომ ზოგმა ერთი მხოლოდ საათი მოიხმაროს ლოცვისათვის და შევიდეს ეკკლესიასა შინა, გარნა მაშინაც, ამ მოკლეს დროს, დაფანტულითა გონებითა ისმენს ლოცვასა, მაშინ როდესაც ყოველ წამს და ყოველ ჟამს იგი უნდა ებრძოდეს თვისსა ბუნებასა და თვისთა ნაკლულევანებათა.

სიჭაბუკესა ჩვენსა, ღონესა, ნიჭსა, ქონებასა, ერთი სიტყვით, ყოველსა, რაიცა გვაქვს უმჯობესი, ჩვენ ვხმარობთ სოფლისა და ხორციელის წარმატებისათვის. იქმნება მხოლოდ მეასე, ანუ მეათასე ნაწილი ამათ ყოველთაგან მოახმაროს ვინმე სულსა თვისსა; ზოგი მრთელსა სიცოცხლესა თვისსა შესწირავს სოფელსა და ბოლოს, ჟამსა სიბერისა და უძლურებისასა, მოახლოება სიკვდილისა და საფლავისა მოაგონებს მას ღვთის-მსახურებასა. შეიძლება ასე ადვილად ცხოვნება სულისა?

იქმნება ვინმე მითხრას: ვის შეუძლიან მარადის იფიქროს მხოლოდ სულისა თვისისათვის. კაცსა აქვს მრავალი ხორციელი საჭიროება; მან თვისი თავი უნდა არჩინოს და შეინახოს თუ იფიქრა მხოლოდ ლოცვისა და მოღვაწებისათვის, როგორღა შეუძლიან თავი ირჩინოს? – სასუფეველი ღვთისა, ძმანო ჩემნო, სიტყვისამებრ მაცხოვრისა, ემსგავსება კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებდა კეთილთა მარგარიტთა და ჰპოვა რა ერთი ძვირ-ფასი მარგარიტი, წარვიდა, გაჰყიდა ყოველი, რაიცა ჰქონდა და იყიდა მარგარიტი იგი. გირჩევნია შენც ესრეთ მოიქცე: სხვა ყოველი დაივიწყო და დაჰკარგო და შეიძინო ერთი მხოლოდ ესე, სასუფეველი ღვთისა. გარნა მაცხო-

ვარი ამასაც არ მოითხოვს შენგან: არა ყოველს კაცს შეუძლიან
დატევება სოფლისა, გარნა ყოველ კაცს შეუძლიან, რომ სო-
ფელსა შინა იყოს, სოფლის საქმეს არ დასტოვებდეს და მა-
ინც აღასრულოს მცნება ესე უფლისა. ვსთქვათ, მაგალითებრ,
ერთი ვინმე არის მსახური, ანუ ჩინოვნიკი სასამართლოსა
შინა; რა საკვირველია, რომ იგი ემსახურება არა სულის საც-
ხონებლად, არამედ ხორციელის წარმატებისათვის; გარნა უკე-
თუ იგი არ დაივიწყებს ღმერთსა, მარადის ემსახურება სიმარ-
თლით და სიწმიდით, ქრთამს ერიდება, ყოველს საქმეს იქმს
საფუძვლიანად და სჯულიერად, მაშინ მან აღასრულა მცნება
მაცხოვრისა; მსახურებს მისი შეერაცხება მას, ვითარცა მო-
ღვაწება სულიერი, ვითარცა უარის-ყოფა თავისა თვისისა.
ვსთქვათ, რომ სხვა ვინმე არის ვაჭარი; რა-საკვირველია, რო-
მელ ვაჭრობა არის სოფლიური საქმე; ვაჭარი ფიქრობს მხო-
ლოდ მოგებისა და გამდიდრებისათვის; გარნა, უკეთუ იგი ვა-
ჭრობს სინიდისით და სიმართლით, უკეთუ აღებ-მიცემაში ახ-
სოვს პატიოსნება, უკეთუ არ არის ხარბი, ანგაარი, ოდეს შე-
იძინა მრავალი სიმდიდრე არ განლაღდა და ოდეს შეემთხვა
სიღარიბე მოითმინა; უკეთუ რაოდენიმე ნაწილი მონაგებისა
შესწირა ღმერთსა და გლახაკსა, მაშინ ვაჭრობა მისი მიეთვლე-
ბა მას, ვითარცა მოღვაწება და მით აცხოვნებს იგი თავსა
თვისსა. ვსთქვათ კიდევ, რომელ ვინმე აქა მდგომარეთაგანი
არის შინაური მოსამსახურე, ანუ ყმობით, ანუ ჯამაგირით; შე-
უძლიან მას ისრე მოიქცეს, რომ მსახურება მისი იყოს ვითარ-
ცა მსახურება ღვთისა: უკეთუ იგი არის მართალი და ერთ-
გული მებატონისა, უკეთუ მას უყვარს თვისი ბატონი, ცდი-
ლობს მისთვის, ითმენს მისგან სულ-გრძელად ყოველსა სიტ-
ყვასა ანუ გაჯავრებასა, ემსახურება მას ღვთის წინაშე და თა-
ვის დავიწყებადმდე, სწორედ მან უარ-ჰყო თავი თვისი, აიღო
ჯვარი თვისი და შეუდგა უფალსა; გარნა, უკეთუ იგი არის
ორგული და ურწმუნო, უკეთუ იგი, ვითარცა საუბედუროდ
მრავალ-გზის ვხედავთ, მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ ბატონს
გამორჩეს რამე და მხოლოდ თვისი თავი ახსოვს, მაშინ
მსახურება მისი არ მიეთვლება მას ღვთისაგან კეთილად, არა-
მედ დაისჯება იგი. ესრეთ, ძმანო, ყოველსა შინა დღესა და
წამსა, ყოველთა შინა საქმეთა და სიტყვათა შეგვიძლიან გვახ-
სოვდეს და აღვასრულებდეთ მცნებასა ამას თავის უარის-ყოფისას
და ჯვარის აღებისასა. ამინ.

მოძღვრება

მესამესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა.

> და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და რქვა მათ: რომელსა უნებნ შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემოდეგინ მე (მარ. Ꙗ, ლდ, ლე).
>
> *

სწავლა, რომელსა დღეს წინა-დაგვიგებს ჩვენ, ძმანო, ქრისტიანენო, წმიდა სახარება სიტყვათა ამათ შინა, არის ერთობ მაღალი, დიდი და ღრმა. იგი მოითხოვს ჩვენგან სრულსა და მტკიცესა გულის-ხმობასა. თვით მაცხოვარმან განგებ მიაქცია მას ზედა საკუთარი ყურად-ღება მსმენელთა მისთა, ვინაიდგან თქმულ არს: **მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და რქვა მათ;** ესე იგი, პირველად განაღვიძა მათი ყურად-ღება და მერმე უთხრა სწავლა ესე. საკვირველიც არ არის! მაცხოვარი აქ პირ-და-პირ გამოგვიცხადებს ჩვენ, რა სახით ანუ რა პირობით შეიქმნება კაცი მოწაფედ მისდა. ვის არა სურს, რომ იყოს ჭეშმარიტი მოწაფე ქრისტესი? ჩვენ ყოველნი ამას ვეძიებთ და მისთვის ვიღვწით, ძმანო ქრისტიანენო, რათა შევიქმნეთ ნამდვილნი მოწაფენი ქრისტესნი. მაშასადამე მოიხმარეთ თქვენცა აწ სრული და შეურყეველი ყურად-ღება, უკეთუ გსურსთ შეიტყოთ ეს დიდი პირობა. თუმცა თქვენ ყოველთვის ერთგულად და გულის-ხმიერებით ისმენდით სუსტსა სიტყვასა ჩვენსა და მიიღებდით მას, არა ვითარცა სიტყვასა კაცისასა, არამედ, ჭეშმარიტად, ვითარცა სიტყვასა ღვთისასა, გარნა დღეს უმეტესსა ყურად-ღებასა მოვითხოვ თქვენგან, ვინაიდგან სწავლაცა აწინდელი არის სხვათა უმეტესი და უსაჭიროესი.

სამსა პირობასა გამოუცხადებს მაცხოვარი უფალი მათ, რომელთა სურს შემდგომად მისსა სვლა და მოწაფედ მისდა ყოფა; პირველად, რათა უარ-ჰყონ თავი მათი: **რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ყავნ თავი თვისი;** მეორედ, რათა აღიღონ ჯვარი მათი: **და აღიღენ ჯვარი თვისი;** მესამედ რათა ვიდოდენ შემდგომად მისა: **და შემომიდეგინ მე.** და ესრედ ჩვენც სამ ნაწილად განვყოთ დღეს სიტყვა ჩვენი.

პირველი პირობა, რომელსა მოითხოვს უფალი ჭეშმარიტისა თვისისა მოწაფისაგან, არის თავის უარის-ყოფა: **რომელსა უნებნ შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ყავნ თავი თვისი.** სოფლისა ამის მოყვარესა ფრიად განუკვირდება და ეწყინებაცა,

ოდეს მას ესმის ესრეთი მცნება იესო ქრისტესი; გარნა თავის
უარის ყოფა არის ისრეთი მიუცილებელი პირობა, რომელ თვი-
ნიერ მისა არამცა თუ შემდგომად ქრისტეს სვლა ანუ ჭეშმა-
რიდი ქრისტიანობა არ შეიძლება, არამედ არცა ერთი ამ სო-
ფლის სასარგებლო და კეთილი საქმე არ აღსრულდება. წარ-
მოვიდგინოთ რაოდენიმე მაგალითი: მაგალითებრ, როდესაც
ჭაბუკი იწყებს წიგნის სწავლასა, უკეთუ მან არა უარ-ჰყო
თვისი საკუთარი ნება და ჭკუა და არ დაემორჩილა მასწავლე-
ბელსა მისსა, იგი ვერაფერს ვერ ისწავლის; როდესაც მხედარი
არის ბრძოლასა შინა, სრულიად უნდა უარ-ჰყოს თავი თვისი
იმ ზომად, რომელ ერთითა მეუფროსის ბრძანებითა სიცოც-
ხლე თვისი აღარ დაზოგოს; კაცი, რომელი არის სამოქალა-
ქო სამსახურსა შინა, უკეთუ არა უარ-ჰყო თავი თვისი და
სრულიად არ დაემორჩილა სჯულის ბრძანებასა, არამედ იწ-
ყო ყოვლის საქმის წარმოება მისისა საკუთარისა სარგებლო-
ბისა-მებრ, შეიქმნება ფრიად მავნებელი სამსახურისათვის. ში-
ნაურმა მოსამსახურემ სრულიად უნდა მოჰკვეთოს საკუთარი
თვისი ნება და სურვილი და აღასრულოს მხოლოდ ის, რა-
საც უბრძანებს მას ბატონი მისი; წინააღმდეგ შემთხვევაში
იგი მოსძულდება მალე უფალსა მისსა. ერთი სიტყვით, თვით
მცირეცა საქმე არ წარემართება თვინიერ თავის უარის-ყო-
ფისა. მცირე საქმე მცირესა თავის უარის ყოფასა მოითხოვს,
დიდი საქმე დიდსა. და ვინაიდგან შემდგომად ქრისტეს სვლა
ანუ ქრისტეს სჯულის აღსრულება არის ყოველთა საქმეთა
უსაჭიროესი, უდიდესი და უძნელესი. მაშასადამე არსად არ
დასჭირდება კაცს ისრე თავის უარის-ყოფა, ვითარცა ამ საქ-
მეში. ამისათვის ნუ გაგიკვირდება, ძმაო, ოდეს გესმის საღმრ-
თო წერილისაგან არა თუ ეს უბრალო ბძანება თავის უარის-
ყოფისა, არამედ ამაზედ კიდევ უფიცხელესი სიტყვა: **რომელი
მოვალს ჩემდა და არა მოიძილოს მამა თვისი, და ცოლი და შვილ-
ნი, და ძმანი, და დანი, და მერმე კვალად სულიცა თვისი, ვერ
ხელეწოფების მოწაფე ყოფად ჩემდა** (ლუკ. იდ, კვ). აჰა რა ზო-
მადმდე უნდა მიაღწიოს თავის უარის-ყოფამან! თუ საჭიროე-
ბამ და შემთხვევამ მოითხოვა, შენ უნდა მოიძულო არა თუ
ყოველი ამ სოფლის კავშირი, არამედ სულიცა შენი, ესე
იგი სიცოცხლე შენი. რისთვის მოითხოვს მაცხოვარი ჩვენგან
ესრეთსა შემაძრწუნებელსა თავის უარის-ყოფასა? რისთვის
არის საჭირო, რომ კაცმა არამცა თუ თავი უნდა უარ-ჰყოს,
არამედ თითქმის უნდა მოიძულოს სული თვისი? მისთვის, ძმაო
ჩემო, რომ ცოდვა და ბოროტება ერთობ ღრმად არის
შთანერგული დაცემულსა ბუნებასა შინა კაცისასა, ესრეთ რო-

მელ კაცსა ბუნებითსა, ესე იგი არა განწმედილსა მადლითა ქრისტესითა ყოველნივე თვისებანი და ნიჭნი ჰქონან გაფუჭებულნი, ღირსნი მოძულებისა და მოძაგებისა. გული კაცისა ცოდვისაგან ესრეთ არის გარყვნილი, რომელ იგი ხშირად ნაცვლად მისა, რომ დაუშალოს კაცსა ცოდვა და მოაძულოს იგი, იწყებს მიზეზებად, ესე იგი მოიგონებს მზაკვართა და ცრუთა თავის შესანდობელთა და გასამართლებელთა მიზეზთა და მით დაადუმებს სინიდისსა. ჭკუა ცოდვილისა კაცისა არის დაბნელებული და დამონებული ცოდვისა. გარნა ეს კიდევ ცოტა არის, რომ კაცი ემონება ცოდვასა, რომელ ცოდვა ხშირად გარდექცევა მას ჩვეულებად; არამედ იგი ხშირად გარდაექცევა მეორე ბუნებად; იგი მიიღებს ბუნებაზედ უდიდესსა ძალასა და შეჰკრავს კაცსა გაუწყვეტელითა საკვრელითა. – როგორ მოვიძულო თავი ჩემი? რა სახით შემიძლიან, რომ დავივიწყო და მოვიძულო სული ჩემი? იმ სახით, ძმაო ჩემო, რომელ ერთის მხრით შთაიხედე შენს გულში, გასინჯე შენი ბუნება და შეიტყე. რაოდენნი ცოდვანი, ბოროტნი მიდრეკილებანი, უწმიდურნი თვისებანი ბუდობენ მას შინა, და მეორეს მხრით წარმოიდგინე, ვითარსა სიწმიდესა და უმანკოებასა მოითხოვს შენგან იესო ქრისტე. მოგვითხრობენ კაცნი გამოცდილნი, რომელ ზოგთა სჯულის გარდამხდომთა და უმეტესად კაცის მკვლელთა სინიდისი ისრე სასტიკად ჰქენჯნის, რომელ მათ სრულიად მოსძულდება თავი მათი და თვით იგინივე გამოითხოვენ მსაჯულთაგან, ვითარცა ერთსა დიდსა მოწყალებასა, რათა მალე მისცენ იგინი სასჯელსა სიკვდილისასა. ანუ იქმნება თვით შენც გამოგიცდია ხშირად, ძმაო, რომელ ოდესცა შთავარდნილ ხარ რომელსამე დიდსა შეცდომასა შინა ანუ ცოდვასა, შენვე მოგწყენია შენი თავი, შენვე გიყვედრებია მისთვის და გირცხვენია. ესრეთი გრძნობა ყოველთვის უნდა ჰქონდეს კაცსა; მას ყოველთვის უნდა სძულდეს თვისი სიცოდვე, სისაწყლე, სიბოროტე; ყოველთვის უნდა ჰქონდეს წინაშე თვალთა თვისი უღირსება და მოიძულოს ყოველი, რაცა არს ბუნებასა შინა მისსა სიცუდე. ეს არის თავის უარის-ყოფა; ეს არის პირველი პირობა, რომელსა მოითხოვს ჩვენგან უფალი იესო ქრისტე! იგი გიბრძანებს შენ, ძმაო, რათა დაივიწყო, მოიძულო ის შენი მანუგეშებელი ცოდვა, რომელი სუფევს შენს ბუნებასა შინა, გარნა ნაცვლად ამისა რას იქმ შენ? ცოდვას არ უარ-ჰყოფ, სიბოროტეს, სიცუდეს არ მოიძულებ, არამედ მხოლოდ საჭმელს გამოიცვლი ამ დღეებში; ჰგონებ, რომ მხალის და ზეთის ჭამით, ნაცვლად ხორცისა, აღსრულდება ეს დიდი მცნება თავის უარის-ყოფისა. მართა-

ლია, ეკკლესიამ კი გამცნო მარხვა, ესე იგი დატევება დროებით ხორცისა, გარნა რისთვის? მისთვის, რათა მოუძლურდეს დაძველებული ცოდვა, სხეულსა შინა შენსა მყოფი. ხოლო შენ, თუმცა ხორცის ჭამას უარ-ჰყოფ, გარნა უწინდელსა ცოდვასა და ცუდსა ჩვეულებასა არ ივიწყებ. არა, ძმანო ჩემნო, საჭმლის გამოცვლით არ სცხოვნდება კაცი, არამედ ცუდის ყოფა-ქცევის გამოცვლით, ცოდვის უარის-ყოფით. ამას ვეძიებდეთ და ამის მსურველნი ვიყვნეთ მარადის, რომელსა შინა ღმერთი იყოს შემწე ჩვენი. ამინ.

სიტყვა

მესამესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა.

> რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღე ჯვარი თვისი, და შემომიდეგინ მე (მ. ᲘᲒ, ლე).
>
> *

აწინდელი სიტყვა ჩვენი, ძმანო ქრისტიანენო, იქმნება გაგრძელება იმ სიტყვისა, რომელი მოგახსენე თქვენ წარსრულსა მართლ-მადიდებლობის კვირიაკესა ზედა, მით უმეტესად, რომელ დღეს წაკითხულიცა სახარება გვაძლევს ჩვენ შემთხვევასა და საფუძველსაცა გავაგრძელოთ დღესაც სიტყვა იმავე საგანზე, რომელსა ზედა გვქონდა უბნობა მართლ-მადიდებლობის კვირიაკესა შინა. რომელი საგანი იყო მაშინ, ძმანო, ჩვენისა უბნობისა? ის, რომელ უკეთუ ადამიანს არა აქვს გულში სარწმუნოება ღვთისა და სასოება მომავლისა ცხოვრებისა, მას აკლია ერთი უპირატესი მიზეზიცა, რომელი გააღვიძებს კაცს შეძენად სათნოებისა და განწმედად თვისისა ზნეობისა და ყოფაქცევისა. მართლაც რას გვეტყვის დღეს წაკითხული სახარება? იგი გვეტყვის ჩვენ, რომელ შემდგომად ქრისტეს სვლა, ანუ წმიდა მართალი უბიწო ცხოვრება არის ერთი დიდი მძიმე და მაღალი საქმე, რომელი მოითხოვს ჩვენგან დიდსა, აღუწერელსა მსხვერპლსა, ისრეთსა მსხვერპლსა, რომელსა კაცი ურწმუნო და უსასო არაოდეს არ ინებებს შეწირვად: **რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემომიდეგინ მე.** ესე იგი, რომელსა სურს, რომ იყოს ჭეშმარიტი ქრისტეს მოწაფე, ხოლო ქრისტეს მოწაფე იგი არის, რომელსა აქვს წმინდა და პატიოსანი ზნეობა, მან თავი თვისი უნდა დაივიწყოს, ყოველი ხორციელი ზრახვა,

სურვილი, კმაყოფილება დათრგუნოს, ყოველ წამს უნდა მზათ იყოს შეწირვად ქრისტესადმი თვისისა ხორციელისა სიხარულისა და კმაყოფილებისა. მეორედ მან უნდა აღიღოს ჯვარი ქრისტესი, ესე იგი მიიღოს თავის თავზე ყოველი ჭირი, განსაცდელი, სიმძიმე და შრომა, თითქმის წარიწყმინდოს ხორციელი ცხოვრება, ვითარცა ახსნის დღეს წაკითხულსა სახარებასა შინა მაცხოვარი: **რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი** (მ. ლ, ვ.) ამას ყოველსა ადვილად აღასრულებს კაცი, რომელსა სწამს ღმერთი, რომელი მოელის მომავალსა ცხოვრებასა, კვალად გებასა, გარნა უკეთუ კაცს არა აქვს სარწმუნოება და სასოება რისთვის გაიჭირვებს იგი ესრეთ თავის თავსა? მორწმუნე კაცმა იცის, რომ ამ სოფლის ცხოვრება არის მოკლე; იგი ესრეთ ფიქრობს: უმჯობესი არის ამ წუთ-სოფელში დავითმინო ყოველი ჭირი და განსაცდელი; მას კარგად ესმის ხმა აწინდელისა სახარებისა: **რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა** (ლᲪ). – სულის ცხოვნება ყველას მირჩევნია, ფიქრობს იგი, საუკუნო ცხოვრებას არ დავკარგავ მე ერთი წამის ნუგეშისათვის. გარნა თუ კაცს არ სწამს ღმერთი და მომავალი ცხოვრება, მაშინ იგი სხვაფერ განიზრახავს: ეს წუთი სოფელი წარმავალი არისო, მანამდის ცოცხალ ვარო, ვჭამ, ვსვამ და გავიხარებო; მოვკვდები და მერმე ყველაფერი გათავდებაო.

მშვენივრად იტყვის, ძმანო, ამაზედ წმიდა მოციქული პავლე კორინთელთა მიმართ ეპისტოლესა შინა თვისსა. ერთხელ მას ესმა, რომ ახლად გაქრისტიანებულთა შორის კორინთელთა გამოჩნდენ რომელნიმე უგუნურნი პირნი და ამტკიცებდენ, რომ არ იქნება აღდგომა მკვდართაო. ეწყინა ეს ხმა წმიდასა მოციქულსა და ჰკითხავს მათ ეპისტოლესა შინა: როგორ იტყვიან ზოგიერთნი თქვენგანნიო, რომ აღდგომა მკვდართა არ იქნებაო? რაღა არის ჩვენი შრომა, თუ აღდგომა არ იქნება; რაღა არის მაშინ მოთმინება და ყოველი სხვა ღვაწლი, თუ აღდგომა მკვდართა არ იქმნება? ამაო არს ჩვენი სარწმუნოება, და ჩვენზე უსაწყლესი კაცი არ იქმნება ქვეყანაზედაო. მისთვის, რობელ ამ სოფელში ჩვენ არ გვაქვს ნუგეში და ბედნიერებაო; ყოველ ღღე ვითმენთ დევნასა და ტანჯვასა წარმართთაგან, ყოველ დღე სიკვდილი გვექადება და, უკეთუ აღდგომა მკვდართა არ იქმნება, გვირჩევნია ვჭამოთ, და ვსვათ, და განვისვენოთ: **რაიმე სარგებელ არს ჩემდა, უკეთუ მკვდარნი არ აღდგებიან? ვსჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალე მოვკვდებით** (კ. ა. Ჩი, ლბ.).

ერთი სიტყვით, ძმანო ქრისტიანენო, თვინიერ ცხოველისა

სარწმუნოებისა შეუძლებელი არის კაცმა შეიძინოს წმინდა, მართალი ზნეობა და ვინაიდგან ურწმუნოთაცა კაცთა არ შეუძლიათ ის სთქვან, რომ წმინდა ზნეობა საჭირო არ იყოს კაცისათვის, მაშა-სადამე თვით იგინიცა უნებრივად აღიარებენ ამით, რომ სარწმუნოებაცა და ანუ ღვთაებრივი სჯული მიუცილებლად საჭირო არის კაცისათვის. შენც, ძმაო მორწმუნეო, სცან აქედგან, რა დიდი საუნჯე არის სარწმუნოება ღვთისა. გარნა სარწმუნოებასა ვიტყვი არა უქმსა და მკვდარსა, არამედ ცხოველსა, არა იმ სარწმუნოებასა, რომელი გულსა შინა უმრავლესთა აწინდელთა ქრისტიანეთასა სამწუხაროდ არის უნაყოფო და უძრავი, არამედ იმ სარწმუნოებასა, რომელი მარადის მოქმედებს და მუშაობს კაცის გულში, რომელი არ დააძინებს კაცს, არ მოუსვენებს, მარადის აფრთხილებს მას, ხან შეაწუხებს სინიდისის მხილებითა, ხან გაახარებს; მარადის ებრძვის, აღვიძებს, ანათლებს, ასწავლის, ელაპარაკება. ესრეთი უნდა იყოს სარწმუნოება! ესრეთი არის თუ არა შენ გულში სარწმუნოება? გელაპარაკება იგი, გამხილებს, განუგეშებს? მზათ ხარ, რომ უარ-ჰყო თავი შენი, აღიღო ჯვარი ქრისტესი და შეუდგე მას? ნეტარ ხარ შენ, თუ ესრეთ არს ესე! თუ გაკლია ეს, ევედრე ღმერთსა, რომ შეავსოს ნაკლულევანება შენი მადლითა თვისითა. ამინ!

სიტყვა

დიდ მარხვის მესამესა კვირიაკესა

> რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავ თავი თვისი, აღიღე ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე (მარკ. Ii, ლე.).
>
> *

გამოცდილება გვასწავლის ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, რომელ ფესვი ყოველთა სულიერთა ადამიანის ცოდვათა და ნაკლულევანებათა არის მისი უგუნური თავის მოყვარება, ანუ თავის მოწონება; ხოლო წყარო ყოველთა მაღალთა სათნოებათა და დიდთა საქმეთა არის თავის უარის-ყოფა, ანუ თავის გამომეტება. აქედან სჩანს, რა დიდსა და სასარგებლო მცნებასა გვაძლევს ჩვენ უფალი იესო ქრისტე ამ სიტყვებში: **რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე;** ესე იგი, რომელსაც სურს

ქრისტიანობა, ანუ ქრისტეს მოწაფედ ყოფნა, მას არ უნდა ჰქონდეს თავის მოყვარება, მან თავი თვისი უნდა გამოიმეტოს, და ვიდოდეს შემდგომად ქრისტესა, ქრისტეს ნებას აღსრულებდეს, და არა თავის ნებასა.

რა არის თავის უარის-ყოფა? იგი არის პირველად თავის დაწუნება, ანუ თავის გამტყუნება. როდესაც კაცი თავის საკუთრის ჭკუით მიიქცევა თავის თავისკენ, პირ უთვნელად გამოიკვლევს თვისსა ხასიათსა, ცხადად დაინახავს თვისსა სიცუდესა და ნაკლულევანებასა, მერმე თვითანვე გაამტყუნებს თავის თავსა, თვითანვე მოიძულებს თვისთა ცუდთა ხასიათთა და ჩვეულებათა, და ბოლოს მტკიცედ გარდასწყვეტს თავის გულში მოსპოს იგინი, გაიმართოს თავი თვისი და არაოდეს აღარ აჰყვეს თვისსა ცუდსა ხასიათსა, – ეს არის თავის უარის-ყოფა, ამას მოითხოვს ჩვენგან უფალი იესო ქრისტე.

ესრეთი თავის უარის-ყოფა, ეს თავის განმტყუნება და თავის დაწუნება არის საჭირო კაცისათვის, არათუ მხოლოდ ქრისტეს სჯულის აღსრულებასა შინა, არამედ თვით ყოველთა ამ სოფლის საქმეთა და შრომათა წარმატებისათვის.

მას ზედ არის დაფუძნებული წინ-წასვლა, გაუმჯობესობა ყოველს საქმეში, ყოველს შრომაში, არა თუ მხოლოდ კერძო პირისა, არამედ მრთელისა საზოგადოებისა, და მრთელისა ქვეყნისა. ყოველმა ჭკვიანმა და გამოცდილმა კაცმა იცის, რომელ უკეთუ ზოგიერთთა კაცთა და ზოგიერთთა საზოგადოებათა აქვთ წარმატება მათთა შრომათა და საქმეთა შინა, ეს მისთვის, რომელ იგინი მარადის თავის თავს ამტყუნებენ და აწუხებენ. გონიერ და ჭკვიან კაცს ის თვისება აქვს, რომ იგი თითქმის არაოდეს არ არის კმაყოფილი თავის თავისა, არამედ თვითონვე თავის თავს მარადის ამტყუნებს, აფრთხილებს, აღვიძებს; თუ გინდ რომელიმე საქმე კარგად გააკეთოს, მაინც არ დაკმაყოფილდება, არამედ ცდილობს, რომ მერმე უკეთესად გააკეთოს. ხოლო, ვინც კმაყოფილია თავის ხასიათისა, ვისაც მოსწონს თვისი ყოფაქცევა, იგი მალე დაიძინებს; მას აღარ ექნება საშუალობა, რომ წინ წავიდეს, უმჯობესი შეიქმნეს.
აბა დააკვირდი უგუნურის კაცის თვისებას: უგუნური კაცი სწორეთ მით არის უგუნური, რომელ მას თავის თავი მოსწონს, იგი ძლიერ კმაყოფილი არის თავის თავისა, მას თავი თვისი უყვარს, მას თავი თვისი ერთ დიდ რამედ მიაჩნია; მისი უგუნური თავის მოყვარება მას მარადის აცთუნებს, უმალავს თვისსა სიცუდესა და არ უმხელს თვისსა სიბოროტესა. უმაღლესი ხარისხი უგუნურებისა ის არის, როდესაც კაცს არა თუ მხოლოდ ის მოსწონს, რაც მის შორის არის კარგი და მოსაწო-

ნი, გონიერი კაცი ამასაც არ იქმს, არამედ ისიც მოსწონს, რაც არის მის შორის ცუდი, მავნებელი და სასირცხო. ძნელად დაიჯერებს ამას კაცი, გარნა გამოცდილება ამტკიცებს, რომელ ზოგიერთ კაცს სწორედ თვისი უგუნურება მოსწონს. რა სახით უნდა გამოიცვალოს მან თავი თვისი; რა სახით შეუძლია მას გაკეთდეს და გაიმართოს, თუ კი მას უყვარს თვისი ცოდვა და თვისი ნაკლულევანება. ერთი სიტყვით, თავის გამტყუნება, უარის ყოფა, ამ სოფლიურის ცხოვრების წარმატებისათვისაც არის საჭირო და სასარგებლო. გარნა ქრისტიანულის ცხოვრებისათვის კიდევ სხვანაირი თავის უარისყოფა არის საჭირო, უმაღლესი და უწმიდესი.

ქრისტიანულსა თავის დაწუნებას და თავის უარის ყოფას დიდი განსხვავება აქვს ხორციელისა ანუ სოფლიურის თავის უარის ყოფისაგან. შეიძლება და ხშირად მოხდება
რომ სოფლის საქმეში, ამ ქვეყნის ცხოვრებაში კაცმა თავი გამოიმეტოს მხოლოდ სოფლიური ანგარიშისათვის, მოგებისათვის; მაგალითებრ, ვაჭარი კაცი არ ზოგავს თავის თავს სიმდიდრისა და მოგებისათვის. გარნა ქრისტიანე არა სოფლიური ანგარიშით იქმნება თავის უარის მყოფელი. კაცმა, რომელსა სურს შემდგომად ქრისტეს სვლა, ქრისტეს სჯულის აღსრულება, ყოველი თვისი სულიერი ცხოვრება და მოქმედება უნდა დაამყაროს თავის უარის ყოფაზე. მან მოღვაწება და სულიერი შრომა მით უნდა დაიწყოს, რომ გააძოს გულისა თვისისაგან ყოველი თავის მოყვარება, თავი თვისი დაიწუნოს და გაამტყუნოს. ქრისტიანე, მსურველი შემდგომად ქრისტეს სვლისა, ისე ფიცხლად და უწყალოდ უნდა ეპყრობოდეს თავის თავს, როგორც მტერი ეპყრობა მტერსა. მტერი რომ დაიწყებს თავის მტრის მოქმედების განხილვასა, არა თუ დამალავს მისსა ცოდვასა და ნაკლულევანებასა, არამედ ცდილობს, რომ დაუმატოს და გაადიდოს იგი. სწორეთ ამ სახით ექცევა ჭეშმარიტი ქრისტიანე სულსა თვისსა. თუ კეთილი და სათნო რაიმე ჰქნა, ეს მან აღასრულა ღვთის მადლითა და შეწევნითა და არა თვისითა ძალითა. თავის ძალით მას არაფერი კეთილი არ შეუძლია; თავის გულში იგი არაფერს არ ხედავს თვინიერ ცოდვისა და უღირსებისა. რომ შეგეძლოს, ძმაო, განხილვა გულისა და სულისა შენისა, რაოდენსა ცოდვასა, რა გვარსა უწმინდურებასა და რამდენ მყრალსა ტალახსა ნახავ შენ შორის. არა თუ გაამტყუნებ, არამედ კიდეც მოიძულებ თავსა შენსა, თუ შეგეძლოს ერთის მხრით გაშინჯვა შენთა ცუდთა თვისებათა და მიდრეკილებათა და მეორეს მხრით წარმოდგენა იმ სიწმიდისა და სათნოებისა, რომელსა ღმერთი ითხოვს შენ-

გან. **არა არს კურნება ხორცთა ჩემთა პირისაგან რისხვისა შენისა. არა არს მშვიდობა ძვალთა ჩემთა პირისაგან ცოდვათა ჩემთასა. უსჯულოებანი ჩემნი აღემატნეს თავსა ჩემსა და ტვირთი მძიმე დამიმძიმდა ჩემზედა. შეყროლდეს და დალპეს წყლულებანი ჩემნი პირისაგან უგუნურებისა ჩემისა; დავგლახაკდი და დავმდაბლდი ფრიად, თეძონი ჩემნი აღივსნეს ნაგვემთაგან.** ესრეთ ხმობდა ოდესმე დავით წინასწარმეტყველი. თუ დავით წინასწარმეტყველი ამას იტყოდა თავის თავზე, რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენ, ას-წილ უწმინდურესთა და უცოდვილესთა. **ფერხთაგან ვიდრე თავამდე არა არს მის შორის სიმრთელე,** ჰხმობდა ისაია წინასწარმეტყველი ურიათა ზედა: **ყოველივე წყლული, ნაგვემი გასივებული, არა არს სალბუნი დასადებად, არცა ზეთი, არცა შესაკერავი.** (ისაია. ა, ვ, ზე.). ვინ იცის, თუ ამაზე უარესს არ იტყოდა იგი ჩვენზედ, რომ გაეშინჯა ჩვენი მდგომარეობა!

რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინება, წარიწყმიდოს იგი – იტყვის უფალი იმავე სახარებასა შინა. თუ დაგეზარა, ძმაო, შრომა, მოღვაწება, თავის უარის-ყოფა, თუ გსურს განრინება ყოველთა ამათ სიმძიმეთაგან, მაშინ შენ წარსწყმედ სულსა შენსა, ხოლო თუ გსურს ცხოვნება – დაიწყე საქმე მით, რომ წარწყმიდო შენ შორის ყოველი, რაიცა არის შენდა სასიამოვნო და მზაკვარი: **რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისა, მან აცხოვნოს იგი.** ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

დიდის მარხვის მეოთხესა კვირიაკესა

> რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და შემომიდეგინ მე (მარკ. ⅧⅠ, ⅠⅠ).

წარსულს კვირიაკესა, ძმანო ქრისტიანენო, ჩვენ აღვხსენით პირველი ნაწილი სიტყვათა ამათ, ესე იგი გამოვიკვლიეთ, რაი არს თავის უარის ყოფა; დღეს განვაგრძოთ და კიდეც დავაბოლოოთ სიტყვა ჩვენი განმარტებითა ორთა უკანასკნელთა ჰაზრთა, რომელნი არიან სიტყვათა ამათ შინა; ესე იგი პირველად შევიტყოთ, რას ნიშნავს ჯვარის აღება, და მეორედ, რაი არს შემდგომად ქრისტესა სლვა, რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, აღიღენ ჯვარი თვისი. ჯვარი, ძმანო ქრისტიანენო, ძველსა დროებასა შინა იყო ის მახვილი რომლითაცა დასჯიდენ სჯულის გარდამხდომელთა კაცთა. ჯვარის აღება,

ანუ ჯვარის ზიდვა საღმრთო წერილის ენაზედ ნიშნავს ყოველ-
სა მას შრომასა, იწროებასა, ჭირსა და განსაცდელსა, რომელ-
ნი უნდა მოითმინოს ქრისტეს სჯულის აღმასრულებელმან
კაცმან. ყოველი იგი მოღვაწება, განსაცდელი, მწუხარება,
იწროება, რომელი შეგემთხვევა შენ, მიმავალსა შემდგომად
ქრისტესა. უკეთუ იგინი მიიღე სიმდაბლით და მოითმინე სულ-
გრძელებით, მიგეთვლება შენ ვითარცა ქრისტეს ჯვარის ზი-
დვა. ღმერთმან ყოველს კაცს თავისი ჯვარი დაუნიშნა: ერთს
სიღარიბე, მეორეს სნეულობა; ამას შეურაცხ-ყოფა, სხვას ცი-
ლის წამება ბოროტთა კაცთაგან, ზოგს სიკვდილი მოყვასთა,
სხვას უსამართლოება მსაჯულთა. გარნა თუ კაცმან ჭეშმარი-
ტად უარ-ჰყო თავი თვისი და შეუდგა ქრისტესა, მაშინ არა თუ
სიღარიბე და იწროება, არამედ თვით დიდი პატივი და მაღა-
ლი ხარისხიცა გარდაიქცევა მისთვის ჯვარად. რა სახით? ეს-
რეთ, რომელ იგი პატივსა მისსა და დიდსა ხარისხსა მოიხმარს
არა თავის განსაცხრომელად და სანუგეშოდ, არამედ
ღვთის-მსახურებისათვის; იგი შეიყვარებს სიმართლესა და ყო-
ველ საქმეში იქმნება მართლ-მსაჯული და ჭეშმარიტების მე-
ძიებელი; ხოლო ვინაითგან ამ სოფელს არ უყვარს სიმართლე,
უთუოთ რომ მრავალი მწუხარება და განსაცდელი უნდა მოით-
მინოს მან სიმართლისათვის. ერთი სიტყვით, არ შეიძლება
რომ ამ ქვეყანაში ქრისტეს სჯულის მოყვარემან თვინიერ
ჯვარის აღებისა განატაროს ცხოვრება თვისი. წმიდა იყო და
სულის წმიდისაგან განათლებული მოციქული პავლე; რაღა
საჭირო იყო მისთვის ჯვარის ზიდვა? გარნა რას მოგვითხრობს,
იგი ჩვენდა განსაკვირვებელად? მოგვითხრობს, რომ მას სჭირ-
და ერთი საშინელი სნეულება, რომელი ფრიად სტანჯვიდა
სხეულსა მისსა. სამჯერ მხურვალედ ევედრა ღმერთსა, რათა
განათავისუფლოს იგი მისგან, გარნა რა უპასუხა ღმერთმან?
საკმაო არს შენდა მადლი იგი ჩემი, რომელი მოგეც; ძალი
ჩემი უძლურებასა შინა აღსრულდება. და ესრეთ არ ისმინა
ლოცვა მისი. თუ პავლესთვის საჭიროდ შერაცხა ღმერთმან
ზიდვა ჯვარისა, შენ ვინ ხარ, ძმაო ჩემო, რომ თვინიერ მწუ-
ხარებისა ხვიდოდე შემდგომად ქრისტესა და იქმნე მოწაფე
მისი? რისთვის განაჩინა ღმერთმან ესრეთ? რისთვის არის, რომ
მხოლოდ მწუხარებითა და მოთმინებითა ძალ-უძს კაცსა სვლა
შემდგომად ქრისტესსა? ეს ღმერთმან კი არ განაჩინა, ძმაო,
არამედ თვით ჩვენმა სიცოდვემ და სიბოროტემ. ღმერთმა სა-
მოთხის ცხოვრება და ნუგეში დაუნიშნა კაცსა თვით ამ ქვე-
ყანასა ზედა; გარნა ცოდვამან ჩვენმან და ბოროტებამან გვიყო
ესე, რომელ ახლა აღარ შეიძლება ნუგეშითა და ნეტარებითა

განტარება სოფლიურის ცხოვრებისა. ახლა მხოლოდ ჯვარის ზიდვით შეიძლება მოპოება სამოთხის ნეტარებისა. რა სარგებლობას მისცემს კაცსა ჯვარის ზიდვა? ეს აღგვიხსნას ყოვლად გამოცდილმან ამ საქმეში პავლემ მეტყველმან: **ქრისტესთა მათ, ანუ ქრისტეს მოწაფეთა, ხორცნი თვისნი ჯვარს-აცვნეს ვნებითურთ და გულის-თქმით;** ანუ სხვაგან: **ჯვარითა უფლისა იესო ქრისტესითა სოფელი ჩემდამო ჯვარ-ცმულ არს და მე სოფლისა.** სოფელი საღმრთო წერილში ნიშნავს ყოველსა ცოდვასა და ვნებასა. მაშასადამე ცოდვა და ვნება კაცის გულში მოისპობა ჯვარის ზიდვითა. მართლაცა, მრავალ გზის, მრავალთა პირთაგან გამოცდილ არს, რომელ ყოველი ამ სოფლის ჭირი და იწროება ფრიად განსწმედს გულსა კაცისასა, უკეთუ მან სულგრძელებით მოითმინა იგი. კაცი მდაბალი და ღვთის-მოსავი, ოდესცა მას შეემთხვევა რომელიმე უბედურება, თუმცა სტირის და სწუხს, გარნა ბოლოს, შეიკრეფს რა გონებასა და გრძნობასა, იწყებს თავის გულში განზრახვად: უთუოთ ჩემდა განსაცდელად და განსაწმედელად მოავლინა ღმერთმან ეს უბედურება; მე ღირსი ვარ არა თუ ესრეთისა, არამედ ამაზედ უდიდესისა სასჯელისა. და ესრეთ მწუხარება ასწავლის მას სიმდაბლესა და მოთმინებასა. მრავალ-გზის მომხდარა ისიც, რომ დიდმან მწუხარებამან და უბედურებამან მოაქცია ღვთისადმი გული თვით ურწმუნოთა და განრყვნილთა კაცთა.

გარნა ნუ ჰგონებ, ძმაო, რომ მხოლოდ ქრისტეს სჯულის აღსრულება მოითხოვს ჩვენგან შრომასა და მოთმინებასა. არა! თვით იგინიც, რომელნი ღმერთს ივიწყებენ და მხოლოდ ამ სოფლისათვის ზრუნავენ, არ არიან თავის-უფალნი ჭირთა და მწუხარებათაგან; მაშასადამე უმჯობესი არ არის, ძმაო, ღვთის გულისათვის მოითმინო ჭირი და განსაცდელი, ვიდრეღა უმადურისა ამის სოფლისათვის? ეს სოფელიც არ გიტევებს შენ შეუწუხებელად, ისიც დასდებს მხართა ზედა შენთა თვისსა მძიმესა ჯვარსა; გარნა ზიდვა ჯვარისა ამის, თუმცა ერთს წამს იქმნება გასიამოვნებს შენ, ხოლო ბოლოს ფრიად შეგაწუხებს; ზიდვა ქრისტეს ჯვარისა საბოლოოდ დარჩება შენთვის მაცხოვარებითად.

მესამე და უკანასკნელი პირობა, რომელსა მოითხოვს მაცხოვარი მისთა მოწაფეთაგან, არის შემდგომად მისსა სვლა. შემდგომად ქრისტეს სვლა იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანე წინ უნდა მიდიოდეს, არ დარჩეს უკან, ყოველთვის იყოს მოძრაობაში; სვლა ანუ მოძრაობა აქ ნიშნავს ქრისტეს მცნებათა აღსრულებასა, ნაყოფის გამოღებასა, ანუ სულიერთა წარმატებათა სათნოებათა შინა. მარტო თავის უარის-ყოფა, ანუ ცოდ-

ვისაგან გაშორება და ჯვარის აღება, ანუ მოთმინება განსაც-
დელისა არ არის საკმაო ქრისტიანისათვის, უკეთუ იგი ამას-
თანავე არ არის სვლასა ანუ სულიერსა წარმატებასა შინა, ესე
იგი მდაბლის ხარისხის სათნოებისგან აქ წარემართება უმაღ-
ლესისა ხარისხისადმი. როგორათაც რომ კაცი, რაც გინდა
მრთელი და მაგარის აგებულობის სხეული ჰქონდეს, უკეთუ
იგი უძრავად ატარებს თვისსა ცხოვრებასა, ერთს ადგილს ზის,
დაეკარგება მას სიმრთელე და შთავარდება სნეულებასა შინა
და ბოლოს სიცოცხლეც მოაკლდება, აგრეთვე სულიცა ჩვენი,
უკეთუ იგი მარად-დღე არ არის წარმატებული უდიდესისა
მადლისა და სიწმიდისადმი, არამედ მოისვენა და დაიძინა, მო-
აკლდება ძალსაცა მას, რომელიცა აქ აქვს, ვითარცა მონა იგი
ხსენებული იგავსა შინა მაცხოვრისასა ტალანტთა ზედა, რო-
მელმან მიიღო მხოლოდ ერთი ტალანტი და არ განამრავლა
იგი, არამედ შთაფლა მიწასა შინა და ბოლოს დაჰკარგა იგი-
ცა ერთი და იქმნა დასჯილ; ეგრეთვე სულიცა ჩვენი, უკეთუ
არა ცდილობს წარმატებასა, არა ცდილობს რომ თან და თან
შეიქმნეს უმჯობეს და უმახლობელეს ქრისტესა, ბოლოს მო-
აკლდება მადლსაცა მისსა და იქმნება დასჯილ.

აჰა, ძმანო, სამი იგი პირობა, რომელსა გამოუცხადებს
მაცხოვარი მისთა მოწაფეთა. მცირესა რაიმეს კი არ მოითხოვს
იგი ჩვენგან: იგი მოითხოვს პირველად, რათა უარ-ვყოთ თა-
ვი ჩვენი, დავთრგუნოთ ჩვენი დახსნილი, დაცემული ბუნება,
განვაძოთ ყოველი, რაიცა არის ჩვენში ბოროტი, ავი, ცოდ-
ვილი; მეორედ, მხნედ და მზად ვიყვნეთ მოთმენად ყოვლისა
განსაცდელისა და სიმძიმისა სჯულის აღსრულებასა შინა და
ბოლოს მარადის, დაუცხრომელად ვიდოდეთ შემდგომად მის-
სა, ესე იგი ვიყვნეთ წარმატებასა შინა სულიერსა. ადვილი არ
არის აღსრულება ესრეთთა პირობათა; გარნა მაცხოვარმან არა
თუ სიტყვით გვითხრა იგინი, არამედ საკუთარი მაგალითი და
სახე მოგვცა მას შინა. მან თვით დაივიწყა ჩვენთვის თავი თვი-
სი, მან აიღო მძიმე და საშინელი მისი ჯვარი და აღიტანა
იგი გოლგოთას მთასა ზედა და მას ზედა დამსჭვალა ყოველი
ამ სოფლის ცოდვა; მაშასადამე სიტყვით აღგვიხსნის იგი მცნე-
ბასა, სახით გვაჩვენებს მისსა აღსრულებასა და ბოლოს სული-
ერითა შემწეობითა მადლისათა აღგვიმსუბუქებს აღსრულება-
სა მისსა, ნუ ვინმე სთქვას: არ შემიძლიან ამის აღსრულებაო,
არამედ ადვილად და გულსმოდგინედ აღასრულოს იგი, რაი-
ცა მოგვმადლოს ღმერთმან ჩვენ ყოველთა. ამინ.

მოძღვრება

მეხუთესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა.

*

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

ვგონებ თქვენ, ყოველნი შენიშნავდით, რომელ განმავ-ლობასა შინა დიდისა მარხვისასა, საეკლესიო წიგნები, მეტად-რე მარხვანის საგალობელნი ხშირად ახსენებდენ სახელსა ღირ-სისა დედისა ჩვენისა მარიამ ეგვიპტელისასა. ზოგიერთთა თქვენ-თაგანთა ისიც ეცოდინებათ რომელ ეს მეხუთე კვირიაკე დი-დისა მარხვისა წმიდამან ეკკლესიამან დანიშნა მოსახსენებელად ამ ღირსისა დედისა. არა უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ განაწე-სა ესრეთ წმიდამან ეკკლესიამან. არა უმიზეზოთ გაგვახსოვ-ნებს ჩვენ იგი ხშირად დიდ მარხვის განმავალობასა შინა სა-ხელსა მარიამ ეგვიპტელისასა. დიდი მარხვა, ვითარცა უწყე-ბულ არს თქვენდამიცა არის ჟამი მომეტებულისა ლოცვისა, მარხვისა და მონანებისა; გარნა ნეტარმან ამან მარიამ ეგვიპ-ტელმან მოგვცა ჩვენ მაღალი და საკვირველი სახე ლოცვისა და მონანებისა. მისი უწინდელი სიცოდვე და უწმინდურება, მერმე გასაოცარი მოქცევა და მონანება, ბოლოს განმაკვირვე-ბელი სულიერი მოღვაწება დიდსა ნუგეშსა მისცემენ ყოველ-თა ღვთის მოყვარეთა კაცთა.

მარიამ ეგვიპტელი სცხოვრებდა მეოთხესა საუკუნესა ში-ნა, ქვეყანასა ეგვიპტესა; მშობელნი მისნი იყვნენ მდიდარნი და პატივცემულნი; თვით იგი იყო შობიდგანვე მინიჭებული მა-ხვილითა გონებითა და გასაოცარითა სხეულის მშვენიერები-თა. გარნა საუბედუროდ სჩანს, რომელ ვითარცა მისნი მშო-ბელნი, ეგრეთვე ყოველნი მისნი მახლობელნი არ იყვნენ გან-მტკიცებულნი კეთილსა ზნეობასა შინა. ყრმა ესე, მდიდრად შემკობილი ყოვლითა ნიჭიერებითა, ადრიდგანვე მიეჩვია ცუდ-სა ზნესა და საქმესა. მოვიდა რა იგი სრულსა ჰასაკსა შინა, იგი მიეცა საშინელსა უწმიდურებასა და გარყვნილებასა, და არათუ არაოდეს არ ფიქრობდა და არ ზრუნვიდა მონანებისათვის, არამედ თან და თან უმატებდა ბოროტებასა და ბილწებასა. მისი უწმიდური ცხოვრება, მისნი საშინელნი საქმენი გან-თქმულნი იყვნენ ყოველსა მას მხარესა. ვინ იცის, რაოდენნი მდიდარნი და კეთილნი ჭაბუკნი მიიზიდა მან და დაღუპა, რა-ოდენნი კაცნი და ქალნი მიაჩვია მან ბილწებასა და შთააგდო მან ჯოჯოხეთსა შინა. ყოველნი ღვთის მოსავნი ქრისტიანენი

სწუხდენ და სტიროდენ მხედველნი ერთისა მისისა საშინელი-
სა ზნეობისა. გარნა ბოლოს გამოსჩნდა რომელ არა სრულიად
იყო მის შორის დაღუპული მადლი ნათლის-ღებისა, არამედ
დარჩენილი იყო მცირე თესლი კეთილობისა. ერთხელ მან
მოინდომა წარსვლა ეგვიპტიდგან იერუსალიმს, არა მისთვის,
რათა დასტოვოს უწმიდურება და შეინანოს, არამედ მისთვის,
რათა იქაც განაგრძოს იგი. როდესაც, ქრისტეს აღდგომის
დღისათვის, ყოველთა ქვეყნებთაგან მრავალნი პირნი შეიკრი-
ბებოდნენ ქრისტეს საფლავის თაყვანის-საცემელად, მაშინ მან
განიზრახა ცთუნება მრავალთა მათგანთა და შთაგდება მათი
მახესა შინა თვისისა ბიწიერებისასა; გარნა განუზომელმან
ღვთის მოწყალებამან თვით მას დაუგო საღმრთო მახე, რომლი-
თაც მოინადირა იგი და მოაქცია შესაძრწუნებელისა მისისა
ცხოვრებისაგან. მყოფობასა შინა იერუსალიმს, მას მოუვიდა
ერთხელ სურვილი შესვლად ტაძარსა შინა ქრისტეს საფლავი-
სასა, არა ლოცვისათვის, არამედ დროების გატარებისათვის;
გარნა მიეახლა რა კარის ბჭესა ტაძრისასა, ვერ შეიძლო შე-
სვლა ტაძარში სიმრავლისა გამო ხალხისა. მრავალ გზის და
ფრიად ცდილობდა შესვლად საყდარში, გარნა როგორც რომ
მიეახლებოდა კარის ბჭეს, რაღაცა უცნაური ძალი უკან აქცევდა
მას. შეხედვიდა რა შორიდგან საყდარს, დაინახავდა შიგნიდგან
ხატსა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისასა და, როგორათაც
მან თვით მერმე აღიარა, ეჩვენებოდა მას, ვითომც ყოვლად
წმიდა უცეფ მიაქცევდა მისდამი მჭმუნვარეთა და საყვედურით
აღვსებულთა თვალთა. ამ შემთხვევამ დააფიქრა მარიამ ეგვი-
პტელი. იგი მიბრუნდა თავის სადგომში დაღონებული და და-
ფიქრებული; დაკეტა კარი სადგომისა და აღარავის უშვებდა
თვისთანა, იყო მარტო მყოფობასა შინა და დუმილსა; როდე-
საც გონება და გული მისი განთავისუფლდენ დაფანტულებისა
და ამაოებისაგან, მაშინ მას ცხადად წარმოუდგა და დაეხატა
თვალთა წინაშე ყოველი მისი უწმიდურება და საძაგლობა:
გაუჩნდა მას ცოტ-ცოტა გულის წუხილი. როგორათაც კაცი,
ღრმა ძილისაგან გაღვიძებული, გაიხსოვნებს ყოველსა რაიცა
შეემთხვია მას უწინარეს დაძინებისა, ეგრეთვე მას გაახსოვნ-
დენ ყოველნი უწინდელნი ბოროტნი საქმენი: დაეცა მას ზე-
და სირცხვილი დიდი და შემუსვრილება გულისა და აღენთო
მის გულში მონანება და მწუხარება, თვალნი მისნი უნებლი-
ვად აღივსებოდენ ცრემლითა. ან კი როგორ გავბედე მე უბე-
დურმა მიახლებად საყდრისადმი, ესრეთ ფიქრობდა იგი თავის
გულში; როგორ მოვიფიქრე მე ბნელმა და გასვრილმა მიახ-
ლება ყოვლადწმიდისა დედისადმი. რას ვიქმოდი მე აქამდი?

სად ვიყავი? ვის შევსწირე ჩემი ჭკუა და მშვენიერება? ნუ თუ მისთვის აღმავსო მე ღმერთმან ჭკუითა და მშვენიერებითა, რომ იგინი მოვიხმარო დასაღუპად ჩემდა? ესრედ სწუხდა და სტიროდა საცოდავი იგი ქალი. მწუხარება მისი და გულის შემუსრვილება იყო ესრედ, რომ იგი ხშირად დავარდებოდა მიწაზედ და იგლეჯდა თმასა თავისა თვისისა.

ესრედ მოახდინა ღვთის განგებამან მოქცევა მარიამ ეგვიპტელისა! აქ ის უმეტესად არის ჩვენგნით შესანიშნავი, რომელ ეს გლოვა, ტირილი და წუხვილი ღირსისა ამის დედისა არ იყო რაიმე წარმავალი, მცირე ჟამს უსაფუძვლო გრძნობა, არამედ ღრმა, მტკიცე და შეუცვლელი. ახლაც ხშირად მოხდება, რომელ ზოგიერთი კაცი, ანუ ქალი, შესწუხდება, იგრძნობს ცუდსა თვისსა მდგომარეობას; გარნა, სამწუხაროდ, ნაცვლად მისა, რომ მიაქციოს ყურად-ღება ამ გულის წუხილზე და მიხვდეს, რომ ღმერთი მით უწიდებს მას, შეატყობინებს თვისსა მზრუნველობასა და მოითხოვს მისგან მოქცევასა, იგი ანუ ძალით დააჩუმებს თვისსა სინდისსა, ანუ მალე გაერთვის კვალადვე უწინდელთა ცოდვათა შინა. ესრედ არ მოიქცა მარიამ ეგვიპტელი! მან, ნეტარმა, ისმინა და მიიღო წოდება ღვთისა; რაოდენიმე დღე იგი ეგდო უჭმელი და უსმელი თავის სახლში და სტიროდა; მერმე ეკედრა ცრემლით ღმერთსა, რათა ნიშნად მისისა შებრალებისა მიუშვას იგი შესვლად საყდარში და თაყვანის-ცემად მისისა საფლავისა. აღასრულა რა მან ეს სურვილი, ღამე მარტო განვიდა ქალაქიდამ, განვლო იორდანე, შევიდა დიდსა უდაბნო ადგილსა, ნახა ერთი გამოქვაბული, დადგა მუნ და ამიერიდგან იწყო დაუძინებელი ლოცვა, მარხვა და მოღვაწება. განმავლობასა შინა მრავალთა წელთა, ვიდრე გარდაცვალებამდე, იგი ატარებდა განსაცვიფრებელსა, თითქმის უნივთოსა ცხოვრებასა, ესრედ რომელი კაცი ვერ წარმოიდგენს, რაოდენი შრომა, განსაცდელი და ჭირი მიიღო მან მარტომყოფობასა შინა უდაბნოში. ბოლოს იგი აღვიდა მაღალსა ხარისხსა სიწმიდისასა და ესრედ, რომელი იგი იყო შთავარდნილი ჯურღმულსა შინა უწმიდურებისასა, ბოლოს იქმნა შერაცხილ წმიდათა შორის.

აჰა, ძმანო, მცირე და სუსტი მოთხრობა ცხოვრებისა ღირსისა დედისა ჩვენისა მარიამ ეგვიპტელისა! აღარ ვრაცხთ საჭიროდ რაიმე ჩვენგნით დაუმატოთ ამას, ვინაიდგან თვით ცხოვრება მისი საკმაოდ გვასწავლის ჩვენ, თუ ვითარ მოწყალე და სულ-გრძელ არს ღმერთი, რა სახით მოელის იგი ჩვენსა მოქცევასა და, თუ მოვინანეთ, იგი აღარ გაიხსოვნებს და გვაყვედრის ადრინდელსა ჩვენსა ცოდვასა, არ დაიშურვებს

ჩვენთვის თვისსა საღმრთოსა მადლსა, და რაც გინდა ღრმასა ჯურღმულსა ცოდვისასა იყოს კაცი შთავარდნილი, თუ კი მოინდომა, მოინანა და გულ-წრფელად შეიგონა და აღიარა თვისნი ცოდვანი, ღმერთი მიიღებს მას და შერაცხს მეგობარ-თა შორის თვისთა, რომელიც მანვე მოგვცეს ჩვენცა ყოველ-თა. ამინ.

მოძღვრება

ხარების დღესა, ჩყდ წელსა

ყოველი დიდება ასულისა მეუფისა ში-ნაგან, ფესვედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად (ფსალ. მდ, იგ, იდ.).

წინასწარმეტყველი დავით ორმეოც და მეოთხესა ფსალ-მუნსა შინა მისსა აღწერს დიდებასა, სიკეთესა და მშვენიე-რებასა ერთის უცნობის რომლისამე მეფისა და მშვენიერებასა მისისა მეუღლისა და მისთა ძეთა და ასულთა და იტყვის: **ყო-ველი დიდება ასულისა მეუფისა შინაგან, ფესვედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად,** ესე იგი დიდება და ღირსება მეუფისა ასულისა არის შინაგან გულსა და სულსა მისსა, თუმცა, ამასთანავე, იგი შემკულ არს ოქროვანითა შე-სამოსლითა პირად-პირადად. წმიდანი მამანი განგვიმარტვენ ჩვენ, რომელ სიტყვათა ამათ შინა დავით მეფე წინასწარ-მოა-სწავებდა ყოვლად-წმიდასა დედოფალსა მარიამს, რომლისა ხარებასა დღეს, ძმანო და დანო ქრისტიანენო, ვდღესასწაუ-ლობთ ჩვენ და ვიხარებთ. ჭეშმარიტად მხოლოდ ერთს უბი-წოსა მარიამს შეეფერება მაღალი იგი ქება, რომელ ყოველი დიდება მისი შინაგან მისა იყო, თუმცა-ღა ამასთანავე იგი იყო შემკულ გარეგანითაცა გამოუთქმელითა მშვენიერებითა და სიკეთითა. ამით განსხვავდებოდა იგი ყოველთაგან ასულ-თა კაცთათა.

ეს დიდი ქება არს კეთილი და მისაღებელი მაგალითი ყოვლისა ქალისათვის. თუმცა ყოველს ადამიანს, ვითარცა მამა-კაცსა. ეგრეთვე დედა-კაცსა, აქვს დიდი სურვილი და მი-დრეკილება გარეგანისა ღირსებისადმი, გარნა უმეტესად ქალ-თა. თუმცა ყოველს ადამიანს დიდათ მოსწონს გარეგანი მშვე-ნიერება და სამკაული, გარნა უმეტესად ქალთა; ესენი არიან ერთობ მსურველნი და მეძიებელნი გარეგანისა მშვენიერებისა

და სამკაულისა; ამათ უნდა ისწავლონ და ახსოვდესთ მარადის, რომელ მშვენიერება და სამკაული ქრისტიანისა არის შინაგანი ღირსება და სათნოება.

წმიდა მოციქული პავლე ეპისტოლესა შინა მისსა არიგებს ტიმოთეს, მისგან ეპისკოპოსად ხელდასხმულსა, რა სახით უნდა ეპყრობოდეს იგი და ასწავლიდეს თვითეულსა პირსა მისისა სამწყსოისასა; შესახებ ქალების დარიგებისა და სწავლისა ესრეთ მისწერს მას: **ეგრეთვე დედათა ასწავლიდე წესიერებისა სამკაულითა მორცხვედ და ღირსებით შემკობად თავთა თვისთა, არა განთხზვითა ოქროითა, ანუ მარგარიტითა, ანუ სამოსლითა დიდ-ფასითა** (ა. ტიმოთ. ბ, თ). ესე იგი, ქალთა ასწავლე, რათა არა ეძიებდენ ნამეტარსა შემკობასა თავისა მათისასა ოქროითა, ანუ მარგარიტითა, ანუ სამოსლითა დიდ-ფასითა, არამედ წესიერად, მორცხვედ შეიმკობდენ თავთა თვისთა. რაც პავლემ მისწერა ტიმოთეს, ის მეც უნდა მახსოვდეს და აღვასრულებდე. ამისათვის დღეს მე მივაქცევ ყურად-ღებასა თქვენსა, ქრისტეს მიერ დედანო და დანო ჩემნო, ერთის ფრიად დასაძრახვისა და ავის ჩვეულებისადმი, რომელი ერთობ განვრცელებულ არს ყოველთა ქალებთა შორის ქვეყანასა შინა ჩვენსა. რომელი არს ეს ჩვეულება? ფერისა და უმარილის ხმარება. წარსულის წლის თვით ამ დღესასწაულის წირვაზედ გეტყოდი მე თქვენ, რომელ არიან ჩვენ შორის მრავალნი ჩვეულებანი, თუმცა ძველნი, გარნა არა პატივ-სადებნი, არამედ ღირსნი მოსპობისა და დავიწყებისა; ერთი ამათ ძველთა ჩვეულებათაგანი არის ფერისა და უმარილის ცხება პირისახეზედ. ეს ავი ჩვეულება, როგორც ვსთქვი, ერთობ გავრცელებული არის ყოველთა აქაურთა ქალებთა შორის, ვიწყოთ უკანასკნელისა და უღარიბესისა გლეხის სახლისაგან, ვიდრე უპირატესის თავადის სახლადმდე, და ეგრეთვე მცირე-წლოვანის ასულისაგან, ვიდრე მოხუცებულთა დედათადმდე.

რა საჭირო არის ამაზედ საუბარი ეკკლესიის კათედრასა ზედა? იფიქრებს ვინმე ჩემთა მსმენელთაგანი, ან რა დიდი ცოდვა არის ეს უბრალო ჩვეულება? არა, ძმანო და დანო ჩემნო, ვალი მაქვს და საჭირო არს, რომ ამაზედ მოგცე თქვენ მოძღვრება. საღმრთო წერილი ხშირად ამხილებს ქრისტიანეთა ქალთა, რათა იგინი არ იყვნენ მსურველნი და მეძიებელნი ამაოთა სამკაულთა. გამოცდილ არს და ვიცით ყოველთა, თუ რა დიდი მიდრეკილება აქვს ქალსა სამკაულისადმი, იმ ზომად, რომელ გარეგანსა სამკაულსა უმეტესად პატავს-სცემს იგი და ეძიებს, ვიდრე შინაგანსა ღირსებასა; მაშასადამე არა მცირედი ცოდვა არის, ოდეს ქრისტიანე ქალი წაიცხებს პირსა ზედა

ფერსა და უმარილსა. მეტადრე ოდეს განვიზრახავთ და მოვიგონებთ, რომელ ყოველთა ჩვეულებათა და ნაკლულევანებათა ჩვენთა აქვსთ ურთიერთ შორის კავშირი: ერთი ნაკლულევანება მიიზიდავს მეორესა, ერთი ცოდვა მოიყვანს მეორესა. რისთვის იცხებს ქალი ფერსა და უმარილსა? არა მისთვისა, რათა მოაწონოს თვისი პირი-სახე მჭვრეტელთა მისთა? გარნა რათ უნდა ეძიებდეს ამას ქალი? ღვთის-მოყვარე და ღვთის-მოშიში ქალი არ იქმს ამას, არამედ ამაოების მოყვარე და თავის მომწონი: **მორცხვედ და ღირსებით შემკობად** ასწავლის პავლე მოციქული ქალთა, და არა ფერის ცხებასა.

მოისპოს და განქარდეს თქვენ შორის, დანო და დედანო, ეს ავი ჩვეულება, რომლისათვის გვეცინიან და განგვიკითხამეს ჩვენ განათლებულნი პირნი. მრავალ-გზის მითქვამს მე, რა დიდი სიკეთე არის საზოგადოებისათვის, როდესაც მასშინა არიან ქალნი კეთილნი, აღვსებულნი მადლითა ქრისტიანობრივითა. განათლება და კეთილი ზნეობა საზოგადოებისა არა წარემართების, უკეთუ ქალნი არ არიან განათლებულნი და წინამძღოლნი ყოველსა კეთილსა შინა ზნეობითსა. ყოველი კეთილ-გონიერი და ღვთის-მოყვარე ქაღიი, განანათლებს და მოაქცევს ყოველთა გარემოს მისსა. იგი მოაქცევს და განამტკიცებს სათნოებასა შინა ყოველთა მისთა მახლობელთა. ერთს კარგს მაგალითს გეტყვი თქვენ ამაზედ: ვიცით ჩვენ ყოველთა, რა დიდი მნათობი იყო მღვდელ-მთავარი გრიგორი ნაზიანზელი, ღვთის-მეტყველად წოდებული. დედა წმიდისა ამის მწყემს-მთავრისა იყო სათნო და პატიოსანი ქრისტიანე; გარნა მამა მისი უწინ იყო კერპთ-მსახური, რომელსა ფრიად სძულდა ქრისტიანობა. დიდი მეცადინეობა და გონიერება იხმარა კეთილმან ამან ქალმან მოქცევისათვის თვისისა მეუღლისა: არ დასცხრებოდა იგი დღე და ღამე ვედრებად და მხილებად მისა; ზოგჯერ მოფერებით, ყვედრებითა და მრისხანებითა, და ყოვლითა სახითა ესოდენი ღონე იხმარა, რომელ მოაქცია და გააქრისტიანა იგი. ესე ვითარნი დედანი მრავალნი იყვნენ პირველთა შინა საუკუნეთა; მრავალთა განათლებულთა და კეთილ-გონიერთა დედათა მოაქციეს და აცხოვნეს მეუღლენი მათნი, ძმანი, ძენი, ნათესავნი პატიოსნითა მათითა ხასიათითა და ყოფაქცევითა. შენც ესრეთ უნდა მოიქცე, ქრისტიანე ქალო როდესაც ხედავ რომელსამე ცუდ ჩვეულებას ანუ ყოფა-ქცევას შენის მეუღლისას, ანუ ძისა ანუ მახლობელისა კაცისასა, უნდა ეცადო და მოაქციო იგი. ისმის ამ ჩვენ ქალაქში, რომელ ზოგიერთნი პირნი ოჯახის პატრონნი თამაშობენ ქაღალდსა და ბევრ ფულებს აგებენ. სირცხვილი არ

არის შენთვის, ჰოი ქალო ქრისტიანე, უკეთუ მეუღლე შენი ესრეთ აგებს ქონებასა, რომელიც შენ და შენთა ძეთა უნდა მოიხმაროთ! როგორ უნდა მისცე ნება, რომ მან ქაღალდი ითამაშოს? რა საკვირველია, რომ მეუღლესა შენსა აქვს შენი სიყვარული; შენც გექმნება გავლენა მასთან. ისარგებლე ამით, რათა მოაქციო იგი ცუდისა ჩვეულებისაგან და ესრეთ კეთილად აღასრულე დიდი იგი მნიშვნელობა, რომელიც მოგცა შენ ქრისტემან. ამინ.

სიტყვა

ხარების დღესა, თქმული ქუთაისს სობოროში.

აწინდელი დღესასწაული გვაძლევს ჩვენ, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, შემთხვევასა და მიზეზსა ვსთქვათ რაოდენიმე სიტყვა და წინა-დაგიგოთ თქვენ რაოდენიმე განზრახვა და ჰაზრი ქალისათვის და მისის ცხოვრებისა და მნიშვნელობისათვის ქრისტიანობრივსა საზოგადოებასა შინა, ვინაიდგან ყოველად-წმიდა, რომელმან დღეს მიიღო ხარება მთავარ-ანგელოსისაგან და ესრეთ ღირს იქმნა მსახურებად ღვთის განხორციელებისა, იყო ქალი და გვაჩვენა ჩვენ, ვითარი უნდა იყოს ყოველი ქრისტიანე ქალი.

გარნა რა უნდა ვსთქვათ დღეს ჩვენ ქალსა ზედა, ანუ რომელი კერძო მისისა ცხოვრებისა და მისთა თვისებათა განვიხილოთ? აწინდელი ჩვენი დროება გვაძლევს საგანსა და გვაჩვენებს, რომლის კერძოთ უნდა განვიხილოთ ჩვენ მდგომარეობა და მნიშვნელობა ქალისა. რა განსხვავება აქვს აწინდელს დროებასა ამ ჩვენ ქვეყანაში? ის, რომელ ცოტ-ცოტად იცვლება სახე ცხოვრებისა საზოგადოებასა შინა და უმეტესად იცვლება აღზრდა და მდგომარეობა და ყოფა-ქცევა ქალებისა. ვიცით ჩვენ ყოველთა, რანაირი იყო უწინ აღზრდა ქალთა; უწინ და ახლაც კიდევ უმეტეს ნაწილად აღზრდა ქალისა იყო შინაური. ქალი იზრდებოდა შინ დედ-მამის მხედველობის ქვეშ; ქალს მისცემდნენ ხელში საღმრთო წერილს, ასწავლიდნენ დავითნს და ჟამნს, საეკლესიო გალობას, წერასა; მიაჩვევდნენ ოჯახის მოვლას, ასწავლიდნენ შინაურს ხელოვნებას; ცხოვრებაცა ქალისა იყო განუყოფლივ შინაური. და ესრეთ ვგონებ, რომ უმჯობესად და კეთილ-გონიერად მოამზადებდენ

მათ მომავალის შინაურის ცხოვრებისათვის, ვინაიდგან იგინი სრულიად შეიტყობდნენ, რაც მოელის მათ და მიეჩვეოდენ მომავალსა ცხოვრებასა თვისსა. ხოლო აწ, ვითარცა იცით და ხედავთ თქვენ ყოველნი, იცვლება და სხვა-ნაირად იწყობა გაზრდა, სწავლა და ცხოვრება ქალთა. როდესაც მე ვხედავ ამ ცვლილებასა და როდესაც წარმოვიდგენ, რომ ცოტა ხანს უკან ეს ცვლილება უმეტესად განვრცელდება, ძველი წესი და წყობილება სრულიად დაუთმობს ადგილს ახალ წესსა და წყობილებასა, უნებრივად გამოჩნდება გულში ფიქრი: უმჯობესნი იქმნებიან ქალნი შემდგომ ესრეთისა ცვლილებისა, ესე იგი უმჯობესნი ქრისტიანენი იქმნებიანა მაშინ ქალნი, ვიდრემდის იყნენ უწინდელსა მდგომარეობასა შინა? და ამ ფიქრს ესრეთ გარდავსწყვეტ ხოლმე ჩემს გულში: ნეტავი ღმერთმან ინებოს და ქალთა ჩვენთა არაოდეს არ დაჰკარგონ ზოგიერთნი ფრიად საქებნი და საყვარელნი თვისებანი, რომელნი შეამკობენ ძველებურად მცხოვრებთა ქალთა, არამედ შეაერთონ იგინი ახლისა განათლებისა და სწავლისათანა; მაშინ მხოლოდ იქმნებიან იგინი ძვირ-ფას ქრისტიანობისა და საზოგადოებისათვის.

მკითხავს ვინმე: რომელნი არიან ეს თვისებანი და ღირსებანი ძველებურთა ქალთანი? ქალის ბუნება, ძმანო ჩემნო, მით განსხვავდება მამა-კაცის ბუნებისაგან, რომელ ქალი ცხოვრებს უმეტესად გულითა და გრძნობითა, ხოლო მამა-კაცი გონებითა. ქალი, ვგონებ, მაშინ არის თვითონაც კმა-ყოფილი და ბედნიერი, როდესაც შეუძლიან მიზღვევა და მინიჭება უხვისა გულითადისა სიყვარულისა მისთა მახლობელთა, ქმარსა, ძმასა და სხვათა მახლობელთა პირთა; ერთი სიტყვით, იგი მაშინ არის ბედნიერი, როდესაც სხვას აბედნიერებს. უკეთუ განვიხილავთ ბუნებასა ქალისასა, ვნახავთ, რომ ღმერთმან განგებ მისცა მას განსხვავებულნი თვისებანი, ვინაიდგან მდგომარეობაცა მათი და მნიშვნელობა არის სხვა, ვიდრე მნიშვნელობა და საქმე მამა-კაცთა.

ეს მნიშვნელობა ქალისა, რომელიც მისცა ქალთა თვით ღმერთმან, კეთილად სრულდებოდა ძველებურად მცხოვრებთა ოჯახთა შინა. პირველად ის უნდა ვსთქვათ, რომელ საკვირველი სიყვარული და ერთგულება ცოლისა ქმრისადმი იყო ძველებურად მცხოვრებთა ოჯახთა შინა. მერმე, ის უმეტესად არის საქები და განსაკვირვებელი, რომელ როგორიც უნდა ყოფილაყო ქმარი, ღირსი ანუ უღირსი, კარგი ანუ ცუდი, – მაინც უყვარდა იგი ცოლს, მაშინ როდესაც ხშირად გამოცდილ არს და ხშირად მომხდარა, რომ განათლებული და სწა-

ვლასა შინა გამოსული ქალი ხშირად შეურაცხ-ჰყოფს და მოიშლის ერთ-გულებას, თუ ქმარი მისი არის მასზედ ნაკლები ჭკუითა და ღირსებითა. მეორედ, ძველებურ წესზედ გაზრდილთა ქალთა საკვირველი იყო და გამოუთქმელი სიყვარული შვილთა მათდამი. ეს სიყვარული ესოდენ დიდ იქმნებოდა, რომ თითქმის მრთელსა მისსა ცხოვრებასა და სულსა დედა შთასდებდა გულსა შინა შვილისა მისისა. ვის არ ახსოვს, ძმანო ჩემნო, მანუგეშებელი და განმაცხოველებელი სიყვარული დედისა მისისა? ვინ არ ინუგეშებს, ჟამსა მწუხარებისასა, ამ ტრფიალითა სიყვარულითა დედისა მისისათა!

მესამე თვისება და ღირსება უწინდელად გაზდილთა ქალთა არცა ნაკლები იყო სიმდაბლე და სიმშვიდე მათი; ზოგიერთნი მათგანნი ესოდენ იყვნენ თავ-დაბალნი და მორჩილნი, რომელ თვითონ არ იცოდენ თავის ფასი და როდესაც მრთელსა სიცოცხლესა, სულსა და ღონესა შესწირავდენ თვისთა მახლობელთა და საყვარელთა, არაფერს არ ხედავდენ ამაში განსხვავებულსა. ამას უნდა დაუმატოთ მათი დაუცხრომელი შრომა, დაუძინებელი ზრუნვა და გულ-მტკივნეულობა ოჯახისათვის: ვითარცა დაუღალავი ფუტკარი თითო წვეთს თაფლსა ყვავილებისაგან შეაგროვებს, ეგრეთვე იგინი ოჯახისათვის ჰოულობდენ და ინახვიდენ საცხოვრებელსა. ერთი სიტყვით, განსხვავებული და მოსაწონი შინაური ცხოვრება, ნამდვილი ქრისტიანობრივი შინაური ყოფა-ქცევა, აჰა, ღირსება ძველებურად განსწავლულთ ქალთა!

გარნა არავინ იფიქროს, რომელ ჩვენ არ მოგვწონს განათლება და სწავლა აწინდელისა დროებისა, არამედ, როგორც წინათ ვსთქვით, სასურველ და სანატრელ ის იქმნება, ოდესაც ეს საქებნი თვისებანი არ დაეკარგოსთ ქალთა. წარმოიდგინეთ, რა დაუფასებელი საუნჯე იქმნება საზოგადოებისათვის ის ქალი, რომელსა შინა შეერთდენ ეს საყვარელნი თვისებანი ძველებურად აღზრდილთა ქალთა სწავლისა და განათლებისათანა. ხოლო უკეთუ ნაცვლად ქმრისა და მახლობელთა სიყვარულისა და შეურყეველისა ერთგულებასა, ნაცვლად თავის გამომეტებისა, მახლობელთა ბედნიერების მეცადინეობისა, ნაცვლად სიმშვიდისა, შრომის მოყვარეობისა, შინაურის შვენიერისა ცხოვრებისა, ჩვენთა ქალთა შეიყვარეს დაფანტული ცხოვრება, განცხრომა, თავის მოწონება, პირისახის შემკობა, ეს იქნება ფრიად სამწუხარო და მავნებელი მომავალისა ტომისათვის.

დიდ არს მნიშვნელობა ქალისა ქრისტიანობასა შინა! ყოველი ადამიანი პირველთა წელთა ცხოვრებისა თვისისათა გა-

ნატარებს დედის ხელთა შინა; მისგან მიიღებს პირველ ჰაზრ-
თა, მიდრეკილებათა, მისგან ისწავლის პირველსა ლოცვასა.
მაშასადამე ესრეთ უნდა ვსთქვათ, რომელ ღირსება, თვისება
და ბედნიერება ყოვლისა ადამიანისა თითქმის დამტკიცებულ
არს ქალსა ზედა. უკეთუ დედა არის აღვსებული გონიერები-
თა, ჭკუითა, სასოებითა და სიყვარულითა, შვილიცა მისი გა-
მოვა კეთილი და ღვთის-მოყვარე. გარნა, ჰოი! ვითარ საშინელ
არს და მავნებელ, ოდეს დედა თვით არს ცუდისა ხასიათისა,
არ მიხედავს თვისსა მნიშვნელობასა და ნაცვლად კეთილთა და
საყვარელთა თვისებათა გარდასცემს შვილთა ცუდსა ხასიათსა.
უმჯობესი არის, რომ თავის ხელით მოკლას მან შვილი
თვისი.

დასასრულ სიტყვისა ჩვენისა მივაქციოთ გონება და გული
ჩვენი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისადმი, რომელი არს
მიზეზი დღევანდელისა დღესასწაულისა. იგი იყო სრული სახე
და მაგალითი ქრისტიანობრივისა ქალის ცხოვრებისა; მას ვე-
ვედრნეთ, რათა მისცეს კეთილი სურვილი გულსა და განამ-
ტკიცოს ნება ქალთა კეთილსა ცხოვრებასა შინა. ამინ.

სიტყვა

ხარებასა ზედა.

> დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს
> არს ქვისა მრავალ-სასყიდლისა, (იგავთა
> ლა, ი).

აწინდელი დღესასწაული, ძმანო და დანო ჩემნო ქრისტი-
ანენო, უნებრივად მიაქცევს გონებასა ჩვენსა დედა-კაცთა მი-
მართ და მოითხოვს ჩვენგან, რათა სიტყვა ჩვენ დღეს მოვიხმა-
როთ საკუთრად მათდა სასწავლებლად და დასარიგებლად
მისთვის, რომელ პირი იგი, რომელსა დღეს წმიდა ეკკლესია
აღამაღლებს და ადიდებს, იყო დედა-კაცი და მისცა დედა-კა-
ცთა საკვირველი სახე ცხოვრებისა. თუ ვინმე, წინააღმდეგ
ჩვენისა ამის განზრახვისა, სიტყვას მოგვიგებს ჩვენ და ესრეთ
გვეტყვის: რა საჭირო არის საკუთარი სწავლა და დარიგება
დედა-კაცებისათვის? ნუ თუ სარწმუნოება, სასოება და სიყვა-
რული და ყოველივე ჩვენი სჯულის სწავლა ერთი და იგივე
არ არის ორთავე სქესისათვის? მას მე უპასუხებ: სჯული ერ-
თი გვაქვს ორთავე სქესთა, გარნა ზნეობითი სწავლა და და-

რიგება განსხვავებული უნდა იქმნეს ქალებთათვის, ვინაიდგან ღმერთმან ამათ სხვა მნიშვნელობა მისცა და საკუთარი საქმე დაუ-ნიშნა. დასამტკიცებლად ამისა ჩვენ ვხედავთ, რომელ საღმრთო-ნი წიგნნი ორისავე აღთქმისანი მრავალ-გზის საკუთარსა და განსხვავებულსა დარიგებასა აძლევენ დედა-კაცთა. მაგალი-თებრ, ის ზემო თქმულნი სიტყვანი, რომლითა ჩვენ დავიწყეთ ეს უბნობა, წარმოთქმულ არიან დიდისა სოლომონ ბრძნისა მიერ. სოლომონ ბრძენმან არ იცოდა, საჭირო არს თუ არა საკუთარი სწავლა ქალებთათვის? გარნა იგი წიგნთა შინა მის-თა მრავალ-გზის მიიქცევა მათდამი და მისცემს მრავალთა სა-კუთართა დარიგებათა და ბოლოს უკანასკნელსა ლა-სა თავსა წიგნისა თვისისასა საკუთრად უძღვნის ქალებთა დასარიგებლად.

ფრიად შესანიშნავი არს, ძმაო, ეს ხსენებული თავი იგავ-თა სოლომონისათა, მით უმეტესად, რომ სოლომონ პირველ-თა მუხლთა შინა გვეტყვის, რომელ ეს დარიგება მისცა მას დედამან მისმან, რომელი იყო თავის დროზედ ქალი წარჩინე-ბული და განთქმული, ვითარცა მშვენიერებითა, ეგრეთვე მხნე-ობითა და გონიერებითა. განვიხილოთ, ძმანო და დანო ჩემნო, რა სახით აღწერს და რომელთა თვისებათა მიაწერს სოლო-მონ ქალსა მხნესა. ჩმედი გვაქვს, რომ ეს არ დაშთება უსარ-გებლო ჩვენთვისაც.

დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ-სასყიდლისა. სოლომონ ბრძენი აქ იჭვნეულებით ჰკითხავს: ვის შეუძლიან იპოვოსო დედაკაცი მხნე; მართლაც, ოდეს აღმოვიკითხავთ რა სახით აღწერს იგი დედაკაცსა მხნესა და როგორ უნდა იქცეოდეს ესრეთი დედაკაცი, დავრწმუნდებით რომელ, თუმცა ფრიად სანატრელ არს, გარნა არა ადვილ პოვნა ესრეთისა დედაკაცისა.

სოლომონ გვეტყვის ჩვენ, რომელ მხნე დედა-კაცი ეგრეთ მართავს სახლსა თვისსა, რომ გული მეუღლისა მისისა სრუ-ლიად არის მოსვენებული და დარწმუნებული მას ზედა. **კა-დნიერ არს მის ზედა გული ქმრისა მისისა** (მუხ. ია). **იგი ყოველ-თვის კეთილსა იქმს და არა ბოროტსა ქმრისა მისისათვის** (იბ). **მან მოი-გო მატყლი და სელი და ჰქმნა კეთილ-სახმარი ხელითა თვისითა** (იგ). **იგი არის მსგავსი მოვაჭრის ნავისა, რომელმან შორით შეი-კრიბის თავისა თვისისათვის სიმდიდრე** (იდ). **იგი აღსდგის ღამიდგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა** (იე); **მან მოირტყა ძლიერებით წელი თვისი და დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა** (იზ). იგი ისრე მიეჩვია შრომის-მოყვარეობასა, რომელ ამით ინუგეშებს თავსა თვისსა: **იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ**

(იჴ); **მწყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსა თვისსა განამტკიცებს, ტარსა ზედა სთვად** (ით). და არა თუ მხოლოდ სახლისათვის ზრუნავს მხნე ქალი, არამედ იგი კეთილიცა არის და ქველის-მოქმედი: **ხელნი თვისნი განუხვნა გლახაკსა, ხოლო ნაყოფნი მიუპყრნა დავრდომილსა** (კ). არ არის აქ საჭირო დაუმატოთ, რომ ესრეთი მხნე ქალის მოწყალება არის უმეტეს ძვირ-ფასი წინაშე თვალთა ღვთისათა, ვინაიდგან იგი თავის ხელის ნაშრომს აძლევს გლახაკთა. გარნა მოვიყვანოთ კიდევ სოლომონის წიგნიდგან რაოდენიმე ხაზნი მხნე დედაკაცის თვისებისა: ქმარი მისი სრულიად ბედნიერი არის და უზრუნველი სახლისა მისისათვის: **არა ზრუნავს მყოფთათვის სახლსა შინა ქმარი მისი, ოდეს სადა ჰყოვნოს** (კა). მას არ ეშინიან ზამთრისა და სიცივისა, ვინაიდგან საყვარელმან მისმან მეუღლემ **მრჩობლი სამოსელი უქმნა ქმარსა თვისსა** და ყოველთა მისთანა მყოფთა (კბ). ქმარი მისი არის ქებული და დიდებული საზოგადოებასა შინა გონიერებითა და სიკეთითა მეუღლისა მისისათა: **დიდებულ იქმნების ბჭეთა შინა ქმარი მისი, ოდესცა უკეთუ დასჯდის კრებულთა შორის მოხუცებულთა თანა მკვიდრთა ქვეყანისათა** (კგ).

ესრეთ აღწერს მხნესა დედა-კაცსა სოლომონ. უეჭველია, რომელ მრავალნი აქ მსმენელთა მამა-კაცთაგანი შენატრიან მათ, რომელთა ღმერთმან მისცა ესრეთი გონიერი და მხნე მეუღლე. გარნა შეიძლება რომელთამე მსმენელთა და უმეტესად ქალებთა ესრეთ იფიქრონ თავის გულში: რა არის, რომელ სოლომონ აქებს ერთსა მხოლოდ შრომასა და დაუძინებელსა მუშაობასა დედაკაცისასა? ნუ თუ თვინიერ ქსოვისა და კერვისა სხვა უფრო პატიოსანი საქმე არ უნდა ჰქონდეს დედაკაცსა და თვინიერ დაუძინებელისა შრომის-მოყვარეობისა სხვა თვისება არ უნდა შეიძინოს მან? არა, ძმანო და დანო ჩემნო, სხვანიცა მრავალნი თვისებანი უნდა ჰქონდეს დედაკაცსა და სხვანიცა მრავალნი პატიოსანნი საქმენი შეუძლიან მან აღასრულოს. გარნა შრომის-მოყვარეობა ანუ მხნეობა, პირველად, არის ისრეთი ძვირ-ფასი თვისება, რომელიც იპყრობს შორის მისსა ყოველთა სხვათა მაღალთა თვისებათა. უკეთუ ქალი ესრეთ დაუცხრომელად არის შრომასა და სახლის მორთვასა შინა, მით იგი ცხადად გვიმტკიცებს, რომელ მას აქვს თავის უარის-ყოფა, ვინაიდგან იგი არა თავისა თვისისათვის ეძიებს სარგებლობასა, არამედ მისთა მახლობელთა; ამასთანავე აქვს მას განუზომელი სიყვარული ქმრისა, შვილთა და სახლეულთა. მეორედ, ქალი შრომის-მოყვარე არის პატიოსანი ზნეობითა და ყოფა-ქცევითა, ვინაიდგან ესრეთ გართულსა

შრომასა და მოღვაწებასა შინა არა აქვს თავისუფალი დრო, რომ დაკარგოს იგი უქმად ჭორსა და ბოროტ-სიტყვაობასა შინა, განცხრომასა და სხვათა შეუსაბამოთა საქმეთა შინა. მესამედ, იგი აძლევს, სასარგებლოსა მაგალითსა შვილთა და გარემოს მყოფთა მისთა. იგი ვითარცა სანთელი ნათელსა, ესრეთ განავრცელებს გარემოს მისსა სიწმიდესა, ბედნიერებასა და ქრისტიანულსა ზნეობასა. ერთი სიტყვით, იგი არის მხნე: **დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ-სასყიდლისა.**

აქ იქმნება ვინმე ქალთაგანმა კიდევ მითხრას: ესრეთი დაუძინებელი შრომა და მოღვაწება შეეფერება მხოლოდ მდაბიო ღარიბთ დედა-კაცთა, გარნა ვინც არის მდიდარი და ვისაც მრავალი მოახლე ჰყავს, მან რათ უნდა გასწიროს თავი? არა, დაო ჩემო, ფრიად შეცდომილი არის ეს ჰაზრი. ღმერთმან ყოველს ადამიანს დაუნიშნა შრომა და მუშაკობა. გარნა ჩემი სიტყვა რა საჭირო არის აქ! მაგალითი სიტყვაზედ უმჯობესია! მხნე იგი დედაკაცის აღწერა სოლომონისა დედამ უთხრა მას! სოლომონ მეფის დედა ღარიბი რათ იქმნებოდა, მაგრამ თვითან იგი იყო ის მხნე დედაკაცი, რომელსა აღწერს შვილი მისი. გარნა მე ამაზე უმჯობესსა და უსაყვარლესსა მაგალითსა მოგიყვან. მე თვითონ არ მინახავს და გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთ ძველად-ძველ ეკკლესიასა შინა, კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ ძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემი თვალით მენახა ეს ხატი! მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემი! რა კარგი რამ იქმნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთ კერძო მისა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულისა ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივისა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული; თვალთა შინა მისითა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსა. ესრეთი ხატი იქმნებოდა ჭეშმარიტი დროშა ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველი ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა. ამინ.

სიტყვა

ხარების დღესა.

> და შევიდა ანგელოსი იგი მისა და რქვა, გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა [ლუკ. ა, კბ.).

*

ზეცით მოვლინებული მთავარ ანგელოსი განუცხადებს დღეს ქალწულსა მარიამს დიდსა ხარებასა: **გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.** რა წარმოიდგინა და რა იგრძნო ყოვლად წმიდამან ქალწულმან, როდესაც იხილა ესრეთი უცები მახარებელი და ესმა მისგან გაუგონებელი სიტყვა? გაუხარდა მას? იფიქრებს კაცი, რომ იგი უთუოდ იგრძნობდა გულში დიდსა სიხარულსა, მისთვის რომ ეს ხილვა და სიტყვა იყო ერთობ დიდი და აღმამაღლებელი კაცობრივისა ბუნებისა; გარნა არა! ყოვლად გონიერმან ამან ქალწულმან გული თვისი არ დაანება უცებსა სიხარულსა; არამედ იგი შესძრწუნდა, დაფიქრდა და განიზრახვიდა: **ხოლო მან რა იხილა, შესძრწუნდა სიტყვასა მას ზედა მისსა და განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხვა ესე.** ანგელოსმან ღვთისამან შეატყო, რა გრძნობა გაჩნდა მის გულში, და სთქვა: **ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღვთისა.**

შეხედეთ ძმანო, და უმეტესად დანო, და განიზრახეთ თქვენდა სანუგეშოდ, რაოდენი გონიერება და სიმტკიცე სულისა და გულისა გამოაჩინა ამ შემთხვევაში ყოვლად წმიდამან ქალწულმან მარიამმა. იგი უეცრად ხედავს თვალთა წინაშე უჩვეულო მახარებელსა, მას ესმის უცნაური და შემაძრწუნებელი ხარება; უეჭველია მიხვდება, რომ მახარებელი არ არის უბრალო კაცი, არამედ ზეციერი ანგელოსი. სხვა ვინმე ამ შემთხვევაში უთუოდ იქმნებოდა სრულიად წარტაცებული გრძნობათა ღელვისაგან. იგიცა შესძრწუნდა, მაგრამ მაშინვე იწყო ფიქრი და განზრახვა: **განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხვა ესე.** თუმცა ხედავს, რომ მის წინაშე სდგას ანგელოსი, გარნა მაინც დაუფიქრებლად არ მიიღებს სიტყვასა მისსა: **განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხეა ესე.** ესრეთთა უჩვეულოთა შემთხვევათა შინა გამოჩნდება ადამიანის გონება და ხასიათი. ყოვლად წმიდამან ღვთის მშობელმან ცხადად აღმოაჩინა ამ შემთხვევაში, რომ უმთავრესნი თვისებანი მისისა ბუნებისა

იყვნენ მაღალი გონიერება და შეურყეველი მხნეობა. არა თუ აქ, არამედ მრთელსა შინა თვისსა სიცოცხლესა იგი იქცეოდა საკვირველითა გონიერებითა და მხნეობითა. ორნი ესენი კეთილნი თვისებანი: გონიერება და მხნეობა მით უმეტესად იყვნენ მის შორის სანატრელნი და განსაკვირვებელნი, რომელ ამასთანავე იგი იყო მშვიდი და მდაბალი. როდესაც გონიერება და მხნეობა შეერთდება სიმშვიდისა და სიმდაბლისათანა, მაშინ იგინი შეამკობენ ადამიანის ბუნებასა.

იგინივე არიან ორნი უმთავრესნი და უსაჭიროესნი თვისებანი, რომელნი უნდა შეამკობდენ ყოველთა ქრისტიანულთა ქალთა. მხოლოდ გონიერებით და მხნეობით შემკულსა ქალსა შეუძლიან აღასრულოს ქვეყანაზე თვისი მაღალი მნიშვნელობა.

რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი, იფიქრებს ვინმე ჩემთა მსმენელთაგანი! ვინ იფიქრებს და ვინ იტყვის, რომ ქალისათვის არ იყოს საჭირო ჭკუა და მხნეობა? გარნა მრავალი შემთხვევა და ჩვეულება გამოაჩენს, რომ თუმცა ენით ვიტყვით, საქმით კი სხვაფერ ვიქცევით. გაიხსოვნეთ, ძმანო ქრისტიანენო, რას აფასებენ უდიდესად მამაკაცნი და რა მოსწონთ მათ უმეტესად ქალთა შორის? ვინ არ იცის, რომ პირის სახე და მშვენიერება ტანისა ყოვლისა უმეტესად მოსწონთ მამა-კაცთა ქალებთა შორის! თუკი პირის მშვენიერება აქვს ქალს, მეტს არაფერს მოითხოვენ მისგან; გარეგანითა მისითა სახითა ქალი უმეტესად მოიგებს საზოგადოებაში, ვიდრე ჭკუითა და გონიერებითა, და უმეტესად საკვირველი კიდევ აქ ის არის, რომ თვით ქალნიცა ნატვრიან მშვენიერებასა და მით რაცხვენ თავთა თვისთა ბედნიერად, ხოლო რაიცა შეეხება სიმხნესა და გონიერებასა, თითქმის ყოველგან გავრცელებული არის ის ჰაზრი, რომელ ეს ორი თვისება ქალებთათვის არ არის ეგოდენ საჭირო და მათ შეუძლიათ უიმისოთაც კარგად გაატარონ თვისი ცხოვრება. ეს ჰაზრი ერთობ უსაფუძვლო არის! ვგონებ, რომელ მახვილი და ღრმა გონიერება, აგრეთვე მხნეობა და სულიერის ხასიათის სიმტკიცე ქალისათვის უმეტესად არას საჭირო ვიდრე მამა-კაცისათვის. იქმნება ვისმეს ეუცხოვოს ეს ჰაზრი, მაგრამ ჩვენ ადვილათ შეგვიძლიან მისი დამტკიცება.

პირველად, ვიცით ჩვენ ყოველთა, რომელ ქალი აგებულებითა, ანუ სხეულითა არის უფრო სუსტი, ვიდრე მამა-კაცი; მას არა აქვს ეგოდენი ხორციელი ძალი და ღონე, რაოდენიც აქვს მამა-კაცსა; რადგანაც ამაში იგი შორავს მამა-კაცისაგან, საჭირო არის რომ გონიერებითა და ჭკუითა მაინც შეავსოს

ეს თვისი ნაკლულევანება, რათა ყოვლის მხრით არ დარჩეს
შორს მამა-კაცისაგან. ამავე მიზეზისა-გამო, ესე იგი რადგანაც
ქალი არის აგებულობით სუსტი, საჭირო არის, რომ მას ჰქონ-
დეს სულიერი სიმტკიცე, ხასიათის სიმაგრე. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში. თუ ქალი ჭკუითაც შორს დარჩა მამა-კაცისა-
გან, ხასიათიც სუსტი და უღონო აქვს, მაშინ იგი პირდაპირ
შეიქმნება მამა-კაცის სათამაშო; მაშინ ყოველი მამა-კაცი ბო-
როტად იხმარებს მისსა სისუსტესა და უღონოებასა. საუბედუ-
როთ ხშირათაც ვხედავთ ჩვენ ამას. რაოდენი ქალი იღუპება
ქვეყანაზე მით, რომ იგი არის უღონო, სუსტი სულიერათაც
და ხორციელათაც; არა აქვს სულიერი ღონე, რათა მტკიცედ
წინა-აღუდგეს განსაცდელთა, არ აჰყვეს ბოროტთა მამა-კაცის
შეგონებათა, სურვილთა და მაგალითთა. საზოგადოდ ის უნდა
ვსთქვათ, რომ ცოდვანი და ნაკლულევანებანი ქალთა უმეტე-
სად წარმომდინარეობენ ამ წყაროისაგან.

ქრისტიანობა არ მოითმენს ამას. ქრისტიანობა მოით-
ხოვს, რომ ქალი იყოს თვით მდგომარი, ესე იგი ეგოდენი
გონიერება და მხნეობა უნდა ჰქონდეს, რომ იქცეოდეს თავის
ჭკუითა და ნებითა, ქრისტიანობა არ მოითმენს, რომ ქალს ჰქონ-
დეს გონებრივი დამოკიდებულება მამა-კაცთან, თუ გინდ მეუღ-
ლესთან, თუგინდ მამასთან. გაუნათლებელთა და უსჯულოთა ქვე-
ყანათა შინა ქალი არის მონა, სათამაშო მამა-კაცისა და ემსახუ-
რება მხოლოდ პირუტყვულთა მამა-კაცის ვნებათა. არა ესრედ
არის განათლებულთა, ქრისტიანულთა საზოგადოებათა შინა. აქ
ქალს აქვს დიდი პატივი და მნიშვნელობა. ღმერთმან ისე შე-
ამკო ქალი მრავლითა განსხვავებულითა თვისებითა და ნიჭი-
თა, რომ მან უნდა მისცეს დიდი შემწეობა საზოგადოებასა.
გარნა უკეთუ იგი არის მოკლებული გონიერებითა და მხნეო-
ბითა, მაშინ ყოველნი მისნი მშვენიერნი თვისებანი შეიქმნე-
ბიან წყაროდ მისისა უბედურებისა და საზოგადოების წახ-
დენისა.

რაში უნდა გამოაჩინოს, როგორ უნდა მოიხმაროს ქრი-
სტიანულმა ქალმა თვისი გონიერება და მხნეობა? შეიძლება,
ძმანო, მან ბოროტად იხმაროს თვისება და ეს იქმნება დიდი
უბედურება. ქალი მაშინ აღასრულებს თვისსა დიდსა მნიშვნე-
ლობასა, როდესაც იგი მხნეობასა და ჭკუასა მოახმარს ოჯახ-
სა, შვილთა და ნათესავთა. ქალის ბუნება განსხვავდება მამა-
კაცის ბუნებისაგან გულის გრძნობითა. გამოცდილება ამტკი-
ცებს, რომელ ქალი თვითონაც მაშვინ უფრო ბედნიერი არის,
როდესაც სხვას მიანიჭებს ბედნიერებას. ქალის გული მოით-
ხოვს სიყვარულსა, თავის გამომეტებასა; იგი ყოველთვის ეძი-

ებს ვისმეს შესწიროს თვისი ღონე, სიყვარული. მართალია, არიან ზოგიერთნი ქალნი თავის მოყვარენი, რომელნი მარტო თავის ბედნიერებას ეძიებენ, გარნა ესე ვითარნი მოქმედებენ წინააღმდეგ თვისის ბუნებისა. ჭეშმარიტი დედობრივის ბუნების მექონი ქალი ბედნიერი არის მაშინ, როდესაც სხვას აბედნიერებს. ამისათვის ქალმა უნდა ყოველთვის ეძიოს ის შემთხვევა, სადაც საჭირო არის მისი თავის გამომეტება, სადაცა მას შეუძლიან ნუგეშის ცემა შეწუხებულისა; შემსუბუქება ადამიანის ტვირთისა, რომელსა შინა შემწე იყოს ყოვლად წმიდა ყოვლისა გონიერისა მხნე ქალისა. ამინ.

სიტყვა

თქმული ქუთაისს ხარების დღეს, ჩყდ წელსა.

დღეს, მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო, ჩვენ ვახსენებთ დიდსა და ფრიად შესანიშნავსა სასწაულსა, ესე იგი გაბრიელ მთავარ-ანგელოზისაგან ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისადმი ხარებასა. რას გვასწავლის ჩვენ დღესასწაული ესე? ვითარი სწავლა და დარიგება შეგვიძლიან მივიღოთ ჩვენ მისგან?

პირველად ვმადლობდეთ და ვადიდებდეთ ღმერთსა, შემოქმედსა და კეთილის მყოფელსა ჩვენსა, რომელმან დღეს დასდვა დასაწყისი აღსრულებისა აღთქმათა მათ, რომელთა ეტყოდა იგი მამათ-მთავართა პირითა წინასწარმეტყველთასა. დღეს გამოაჩინა ღმერთმან უმაღლესი თვისი განგებულება კაცობრივისა ნათესავისათვის! ღმერთმან აღუთქვა ოდესმე წინაპართა ჩვენთა მოვლინება მხსნელისა, რომელი აღადგინებს დაცემულსა ბუნებასა კაცისასა; წინასწარმეტყველნი მრავალ გზის განიმეორებენ აღთქმასა ამას ღვთისასა, და აჰა ესერა დღეს მთავარ-ანგელოზი გაბრიელ ახარებს ყოვლად წმიდასა მარიამს, რომელ იგი ჰშობს მესსიას, ემმანუილს, რომელი აღასრულებს ყოველსა განგებულებასა ღვთისასა კაცობრიობისა ნათესავისათვის. როგორ არ უნდა გვიხაროდეს, ვინაიდგან ჩვენთვის იყო ყოველი ესე განგებულება, ჩვენისა ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის!

მეორედ, მივაქციოთ ჰაზრი და გონება ჩვენი ყოვლად წმიდისა ქალწულისადმი, რომელმან მიიღო ხარება მთავარ-

ანგელოზისაგან. ვიფიქროთ, ვინ იყო ყოვლად წმიდა ღვთის-
მშობელი? რისთვის მიიღო მან ესოდენი მადლი? რისთვის იქმ-
ნა იგი ერთი მხოლოდ რჩეული ყოვლისა კაცობრივისა ნათე-
სავისაგან? არ შეგვიძლია ჩვენ ვპოვოთ რაიმე მაგალითი და
სწავლა ცხოვრებასა შინა მისსა აღსაშენებლად ჩვენდა? შეგვი-
ძლია და ვალიც გვაქვს ხშირად წარმოვიდგენდეთ ცხოვრება-
სა მისსა და ყოველთა სათნოებათა და თვისებათა მისთა! უმე-
ტესად ქალნი ხშირად უნდა ფიქრობდენ ყოვლად წმიდა ღვთის-
მშობელზედ და ყოველთა შინა გარემოებათა და შემთხვევათა
ეძიებდენ მაგალითსა და სწავლასა ღვთის-მშობლის ცხოვრებაში.
ჭეშმარიტად, ცხოვრება ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა
არის უმჯობესი მაგალითი ყოვლისა ქრისტიანე ქალისათვის.
ქალწულნი ნახვენ მას შინა სახესა და მაგალითსა გამოუთქმე-
ლისა სულიერისა და ხორციელისა სიწმინდისასა. თუმცა იგი იყო
სულიერად და ხორციელად შემკული ყოვლითა ღირსებითა და
მშვენიერებითა, გარნა ამასთანავე იყო მშვიდ, მდაბალ, წყნარ!
აჰა დიდი და აღმაშენებელი მაგალითი ყოველთა ქალწულთა-
თვის. ხშირად ვხედავთ და ვიცით, რომელ ზოგნი ქალწულნი,
უკეთუ მათ მისცა ღმერთმან მშვენიერება სულიერი და ხორ-
ციელი, იქმნებიან გულ-მაღალ. მათ უნდა იფიქრონ ყოველ-
თვის: ვინ იყო უმშვენიერეს და უდიდეს მარიამისა, და ამას-
თანავე ვინ იყომცა უწყნარეს და უმშვიდეს მისსა!

გარნა არა მხოლოდ ქალწულნი, არამედ დედანიცა თა-
ნამდებ არიან ხშირად განიხილონ და იფიქრონ, ვითარი დედა
იყო ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელი. ყოვლად წმიდასა მარი-
ამს, ოდეს მან ჰშვა იესო მაცხოვარი, სხვა რაიმე აღარ ახსოვ-
და, მხოლოდ თვისი ძე: იგი აღარა სცხოვრებდა თავისა თვი-
სისათვის, არამედ ყოველი ცხოვრება მისი იყო ძესა შინა მის-
სა. ესრეთვე უნდა იქცეოდენ ყოველნი კეთილნი დედანი! მათ
თავის თავი უნდა დაივიწყონ, და ახსოვდეთ გაზრდა და ბედ-
ნიერება თვისთა ძეთა. ხოლო გსურსა, ჰოი ქალო! შეიტყო,
თუ ვითარი მინდობილება და სასოება უნდა ჰქონდეს ყოველ-
სა ქალსა ღვთის განგებულებაზე! წარმოიდგინე ცხადად მთა
გოლგოთისა, ჯვარი მას ზედა, იესო გაკრული ჯვარსა ზედა
შორის ავაზაკთა, და დედა მისი მარიამ მდგომარე წინაშე მის-
სა! რას ფიქრობდა მაშინ იგი, რას გრძნობდა? მე დარწმუნე-
ბული ვარ, რომ შენ ვერც წარმოიდგენ ცხადად მდგომარეობასა
მისსა. მე სწორედ ვიცი, რომელ შენ, ანუ სხვა რომელიმე დე-
და, ვერ მოითმენდით, უკეთუ ძე თქვენი საყვარელი შთავარ-
დნილ იყო ესრეთსა ვნებასა შინა. გარნა ყოვლად წმიდამან
ღვთის-მშობელმან მოითმინა; რისთვის? ანუ როგორ? მისთვის,

რომელ ჰქონდა მას რწმენა, იცოდა განგებულება ღვთისა; ესრეთ იყო თქმული წინასწარმეტყველთაგან და ესრეთ აღსრულდა. შენც ესრეთ მოიქეცი, ოდეს ძე შენი საყვარელი, ანუ სხვა ვინმე ნათესავი ანუ თვითონ შენც შთავარდე ჭირსა და უბედურებასა შინა მოითმინე სულგრძელად; იფიქრე და დარწმუნდი, რომელ ყოველივე, რაიცა შეგემთხვევა, ღვთისაგან არის; განგებულება ღვთისა არა დაუტევებს არცა ერთსა კაცსა.

სახარებასა შინა თქმულ არს ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელზედ: **ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ესე ყოველნი სიტყვანი გულსა თვისსა,** ესე იგი ყოვლად წმიდასა ღვთის-მშობელსა ჰქონდა ის ჩვეულება, რომელ მარადის ფიქრობდა და განიზრახვიდა ყოველთა გარემოებათა და შემთხვევათა ცხოვრებისა თვისისათა; იგი ყოველთვის ფიქრობდა, ყოველთვის განავრცელებდა ჰაზრსა და ცნობასა თვისსა; ესეც არის ერთი დიდი მაგალითი ყოველთა კაცთა და განსაკუთრებით ქალთა-თვის; ესენიცა მარადის უნდა ფიქრობდენ და განიზრახვიდენ ყოველთა საქმეთა, მარადის უნდა ეძიებდენ და ჭკუითა თვისითა გამოირჩევდენ უმჯობესსა და განეშორებოდენ ყოველსა ცუდსა. მაგალითად ვიტყვი, რომელ ახლანდელსა დროებასა შინა და აქ ამ ჩვენ ქვეყანაში არის ერთი საქმე, რომლისათვის მრავალი უნდა იფიქრონ და არჩიონ ყოველთა ქალთა და კაცთაცა. რა, ანუ რომელი საქმე? ვიცით ჩვენ, რომელ ყოველსა ხალხსა და ქვეყანასა ჰქონან თვისნი ჩვეულებანი და თვისი სახე ცხოვრებისა და ყოფაქცევისა. ესეცა ვიცით, რომელ ჩვეულებათა, უმეტესად ძველთა, ჰქონან თვისი მნიშვნელობა და ძალი. ჩვენცა ძველთა მცხოვრებთა ამ ქვეყანისათა, გვქონდა და გვქონან რომელნიმე განმასხვავებელნი ჩვეულებანი; გარნა აწ შემოდიან რომელნიმე ახალნი ჩვეულებანი და განსხვავებული სახე ცხოვრებისა. აწ არ უნდა ვიფიქროთა? რომელნი ახალნი ჩვეულებანი მივიღოთ და რომელნი ძველ ჩვეულებათაგანიცა მტკიცედ დავიმარხოთ? ნუ თუ ძველნი ჩვეულებანი ისრე ადვილად არიან გამოსაცვლელნი, როგორც ძველი ტანსაცმელი! არ ვიცი ფიქრობთა თქვენ ამაზე? გარნა უკეთუ გსურსთ ჩემი შეიტყოთ ამ საგანზე ჰაზრი, მე ვგონებ, რომელ არიან რომელნიმე ჩვეულებანი, თუმცა ძველნი, გარნა ადვილად დასავიწყებელნი, და არიან სხვანი ჩვეულებანი ძველნი, რომელნი არ უნდა დავივიწყოთ არაოდეს. ვსთქვათ: ეს გრძელი და მრავალ-ფერი ტირილი რომ ვიცით მიცვალებულთა ზედა, თუ დავივიწყებთ და გარდავეჩვევით არ მოგვაკლდება არაფერი. და კიდეც მრავალთა ეჭვი შეუვიდა გულსა შინა, კარგი არის, თუ ავი, ეს ჩვეულება. გარნა არიან ზოგნი ჩვეულებანი, ახლად-შემოსრუ-

ლნი, რომელთა, უკეთუ მივიღებთ, მოგვეცემა დიდი სარგებ-
ლობა და არიანცა სხვანი ჩვეულებანი ახალნი, რომელნი და
განაშოროს ჩვენგან ღმერთმან. ხოლო თუ რომელნი, სახელ-
დობ, არიან მისაღებელნი ჩვეულებანი და რომელნი არა მი-
საღებელნი, ამაზე განგრძელებისათვის სიტყვისა, აღარ ვიტყვი
მე აწ, არამედ გირჩევთ ძმანო და დანო, იფიქროთ თქვენვე და
მით დაემსგავსოთ ყოვლად წმიდასა, რომელი, ვითარცა
ვჰსთქვით, მარადის ფიქრობდა და განიზრახვიდა ყოვლისა სა-
ქმისათვის. ამინ.

სიტყვა

ხარების დღესა, თქმული ქუთაისს.

აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე
ყოველნი ნათესავნი, რამეთუ ჰყო ჩემთანა
დიდებული ძლიერმან (ლუკ. ა, მზ).

*

ესრედ, იწინასწარმეტყველა ყოვლად წმიდამან ქალწულმა
მარიამ, ოდეს მიიღო ხარება მთავარ-ანგელოზისაგან: **გიხარო-
დენ, მიმადლებულთ მარიამ, უფალი შენთანა!** აწ, ჩვენ ვიცით ვი-
თარ აღსრულდა ის წინასწარმეტყველება. ყოველნი ნათესავნი,
რომელნი აწ აღიარებენ სჯულსა ქრისტესსა, ნატვრენ სახელ-
სა მისსა ყოველსა ზედა პირსა ქვეყანისასა. უპატიოსნესად
ხერუვიმთასა და აღმატებით უზესთაესად სერაფიმთასა ვგა-
ლობთ სახელსა მისსა ჩვენ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი;
ყოველთა გონიერთა ქმნილებათა ღვთისათა, ანგელოზთა და
მთავარ-ანგელოზთა უზენაეს შეიქმნა, სახელი მისი დიდებული.
ყოველთა შინა ჩვენთა ლოცვათა, შემდეგ უზენაესისა და თაყ-
ვანის-საცემელისა ღვთის სახელისა, უწოდებთ სახელსა დედო-
ფლისა მარიამისასა და ვსთხოვთ მას შუამდგომლობასა ძისა
მისისადმი. ერთი მხოლოდ ყოველსა შინა კაცობრივსა ნათე-
სავსა გამოსჩნდა იგი ღირსად, რათა მიეღო სიტყვა ღვთისა
და ემსახურა საიდუმლოისა განხორციელებისასა.

რა იყო მიზეზი ესე ვითარისა მისისა აღმატებისა? რომ-
ლითა ღირსებითა და სათნოებითა მიიზიდა მან ესოდენი მად-
ლი ღვთისა? რაისათვის იქმნა იგი რჩეული ყოველთა შორის
კაცობრივისა ნათესავისაგან? განზრახვა და გამოკვლევა თვი-
სებათა ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისათა, ფრიად საჭირო

არს და სასარგებლო ყოველთა ქრისტიანეთათვის, გარნა უმეტესად ქრისტიანეთა ქალთათვის, ვინაიდგან იგი თვით იყო ქალი. პირველი სახე და მაგალითი, რომელსა წინა-დაგვიგებს ბაძვად ჩვენ ქრისტიანეთა სახარება, არის თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ხოლო მეორე, უმეტესად დედობრივისა სქესისათვის, დედოფალი ჩვენი, ღვთის-მშობელი მარიამი. გარნა რომელი იყო პირველი და უმთავრესი თვისება ქალწულისა მარიამისა? რით იყო იგი განსხვავებულ სხვათა პირთაგან მისის სქესისა? რომელმან მისმან თვისებამან ჰყო იგი სანატრელ ცისა და ქვეყანისა? პირველი საკუთარი და განმასხვავებელი თვისება მისი იყო ის, რომელ ყოველი მისი ღვთაებრივი სისრულე და დიდება იყო შინაგან მისსა, სულსა და გულსა შინა მისსა, და გარეგან, გამოსაჩენათ. სისრულე მისი იყო დაფარულ კაცთაგან, ხოლო ცხად ერთისა ღვთისათვის, სული მისი იყო ტაძარი ღვთისა ცხოვლისა, უწინარეს ვიდრე სხეული მისი შეიქმნა ტაძრად ცხოველად განხორციელებისა ღვთის სიტყვისა. ყოველთა წმიდათა კაცთათვის თქმულ არს წერილსა შინა, რომელ ცხოვრება მათი დაფარულ არს ღმერთსა შინა, გარნა უმეტესად ითქმის ესე ღვთის-მშობლისათვის, რომლისა ყოველი გონება და არსება იყო დაფარულ ღვთის არსებასა შინა. გარეშეობა ღვთის-მშობლისა არ აჩენდა არცა ერთსა მისსა დაფარულსა დიდებულებასა; ვერავინ განარჩევდა მას სხვათა ქალთაგან, ვერცა შესამოსლითა, ვერცა სუფრასა ზედა და ვერცა სხვითა გარეგანითა გარემოებითა; ოდეს გულსა შინა მისსა ნათობდა ნათელი ღვთაებისა, ოდეს ყოველი გონება მისი იყო გართული ზეციერითა ჰაზრითა და გული აღვსებული გამოუთქმელითა სათნოებითა, გარეგანი მისი იყო უბრალო და მსგავსი ყოველთა სხვათა ქალთა.

ახლა მივიქცეთ ჩვენდამი და გავზომოთ ამ თქმულითა ზომითა, ესე იგი ღვთის-მშობლის თვისებითა, თვისებანი ჩვენთა აწინდელთა ქალთა. გარნა ნუ იფიქრებს რომელიმე მათგანი: ვითარ შესაძლო არს გაზომა ჩემისა ცოდვილისა ცხოვრებისა ღვთაებრივითა ცხოვრებითა ღვთის-მშობლისათა? იგი იყო აღზრდილ და გაწმენდილ და აღვსებულ სულითა წმიდითა, ხოლო მე ვარ მცხოვრები ცოდვილსა სოფელსა შინა და ვით შემიძლია ვემსგავსო მას? ჭეშმარიტია, ქრისტიანენო, რომელ ღვთის-მშობელი იყო აღმორჩეულ ღვთისაგან განსაკუთრებითა განგებულებითა და განწმენდილ სულითა წმიდითა; გარნა იგიცა თვისის სათნოებითა შეიქმნა ღირსი ესრეთის აღმორჩევისა; ხოლო ვინ გიშლის შენც ეცადო და მოიზიდო მადლი

ღვთისა განმწმედელი? უკეთუ ისურვებ და ღირსი შეიქმნები, არც შენთვის დაზოგავს ღმერთი სულსა თვისსა წმიდასა; ბოლოს არც მას ვინმე მოითხოვს და ეძიებს, რომ შენ შეიქმნე სწორი ღვთის-მშობლისა, გარნა მსგავსი მისი, რაოდენ შესაძლო არს, უთუოთ უნდა იყო შენცა. და ესრეთ გავზომოთ ჩვენთა ქალთა ღირსება და თვისება მარიამ დედოფლის თვისებითა. რას ეძიებენ აწინდელნი ქალნი და რაში მდგომარეობს მათი სასოება? რის შეძენას ცდილობენ ისინი, შინაგანთა სათნოებათა, თუ გარეშეთა ღირსებათა თავის გამოსაჩენად? სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ არს თქმად, რომელ ახლანდელნი ქალნი სრულიად არ ემსგავსებიან ამასობაში ღვთის-მშობელსა; ყოველი მათი ცდილობა და მათი მისწრაფება მდგომარეობს გარეშეობისა თვისისა შემკობასა და განშვენიერებასა შინა. ყოველი მათი ნუგეში და ჰაზრი არის ტანის შემკობა და თავის გამოჩენა. ნაცვლად ჰაზრის გამდიდრებისა, გონების განშვენებისა, სულის შემკობისა კეთილთა და საქებელთა თვისებათა მიერ, იგინი მხოლოდ მას ცდილობენ, რომელ შეიმკონ ტანი მდიდრითა შესამოსელითა. პირველი მათი ნუგეში არის რაიმე უბრალო ბრწყინვალე სათამაშო ნივთი.

დიდ არს და პატიოსან მნიშვნელობა დედაკაცისა ქრისტიანობრივსა საზოგადოებასა შინა. დაუფასებელი ღირსება აქვს ქალსა, აურაცხელსა სარგებლობასა მისცემს იგი მთელსა საზოგადოებასა ქრისტიანულსა, როდესაც იგი სცხოვრობს ცხოვრებითა გონიერითა, როდესაც ყოველსა საქმესა ზედა და ქცევასა აქვს გონიერი ჰაზრი, როდესაც, ერთი სიტყვით, იგი არის ჭურჭელი კეთილისა ზნეობისა და გონებისა; გარნა ოდეს არა ზრუნავს არაფერზე, არა რას ფიქრობს, ოდეს ეძიებს მხოლოდ სოფლიურითა ნუგეშთა და კმაყოფილებათა, როდესაც ბედნიერება მისი მდგომარეობს გარეგანთა შინა სამკაულთა, მაშინ ჰკარგავს იგი თვისსა დიდსა მნიშვნელობასა.

ქრისტიანო ქალო! ღმერთმა მოგცა შენ დიდი და პატიოსანი მნიშვნელობა, რათა იყო შენ სამკაულ საზოგადოებისა, არა თუ მხოლოდ მშვენიერებითა პირისა და შესამოსლისა შენისათა, არამედ სულისა და ზნეობისა შენისათა, რათა შენცა შენითა კეთილითა ზნეობითა, გონიერითა და კეთილითა ქცევითა, სიწმიდითა და სიმშვიდითა ეხმარებოდე განვრცელებასა სასუფეველისა ღვთისასა ქვეყანასა ზედა; ხოლო შენ ესოდენ სულმოკლე ხარ, ესოდენ გავიწყდება შენი დიდი მნიშვნელობა, რომელ მისდევ მცირეთა, ამაოთა და უხმართა ნივთთა და ნუგეშთა სოფლისათა. შენ უნდა პოულობდე ბედნიერებასა შენსა აღსრულებასა შინა დიდისა და პატიოსნისა მო-

ვალეობისა შენისასა, ვითარცა დედისა, ვითარცა მეუღლისა, ვითარცა შვილთა აღმზრდელისა, ოჯახის მმართველისა, საზოგადოებასა შინა კეთილ ზნეობის განმავრცელებელისა; ხოლო დაგიტევებიეს შენ ესე ყოველი და ხედავ შენსა ნუგეშსა და ბედნიერებასა ამაოთა შინა სამკაულთა. ღმერთმან განგებ მოგცა შენ განსხვავებული ბუნება, შეგამკო შენ გულითადითა გრძნობითა, ნაზითა ზნეობითა, რათამცა შენ გესარგებლა ამათ თვისებათა აღსასრულებელად შენისა მოვალეობისა, დაგენერგა გულსა შინა ძეთა და ძმათა შენთა კეთილნი მიდრეკილებანი; ხოლო ნაცვლად ამისა ვითარცა შენ მიტაცებულ-ხარ, ეგრეთვე სხვათაცა მიიზიდავ ამაოთა კმაყოფილებათადმი. იწყე შენცა ფიქრობა და განზრახვა ყოველთა საგანთა ზედა; ნუ ხარ დაძინებული, ნუ ხარ რეგვენი ვიდრე სიბერედმდე! შენც გმართებს შეიძინო სიმაგრე ხასიათისა, სიმტკიცე ჰაზრისა, ურყეველობა ზნეობისა, რათა სხვათაცა მიიზიდავდე კეთილისა ყოფაქცევისადმი და არა სხვანი მიგიზიდავდენ შენ ცოდვისადმი. ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

დღესა ხარებისასა, თქმული ჩყდზ წელსა ქუთაისს.

დღეს, ძმანო და დანო ჩემნო ქრისტიანენო, სიტყვასა მოძღვრებისა ჩვენისასა, ერთხელვე ჩვენგან მიღებულისა ჩვეულებისამებრ, მივაქცევთ საკუთრად ქალთადმი. ქრისტიანულთა ქალთა უნდა მოვაგონოთ დღეს ჩვენ მათი დიდი მნიშვნელობა, მათი საღმრთო მოვალეობა; მათ უნდა ველაპარაკოთ დღეს ჩვენ განსაკუთრებით.

ხოლო სახედ, მაგალითად და საფუძველად ჩვენისა აწინდელისა მოძღვრებისა მივიღოთ ცხოვრება, თვისება და ყოფაქცევა ქალწულისა მის, რომელსა დღეს მთავარ-ანგელოზმან მიართვა ზეციური ხარება. როგორათაც კაცი, შეხედავს რა სარკესა, განიხილავს პირის სახესა თვისსა, მსგავსად ამისა ყოველსა კეთილ-გონიერსა ქალსა სარკედ ჰქონდეს ცხოვრება და თვისება ღვთის მსგავსისა ამის ქალისა და მით განიხილავდეს სახესა თვისისა ცხოვრებისასა.

რა მნიშვნელობა აქვს ქალს ქვეყანაზედ? რომელნი არიან მისნი უმთავრესნი მოვალეობანი, ღვთისაგან განჩენილნი, და თვით ბუნებისაგან ცხადად გამოჩენილნი? ამას აღგვიხსნის ჩვენ საღმრთო მოთხრობა დაბადებისა. ღმერთმან შექმნა წინაპარი ჩვენი ადამი და **შეხედა რა, რამეთუ ადამისი არა იპოვებოდა**

მსგავსი მისი შემწე, ბრძანა: არა კეთილ არს ყოფად კაცი მარტო, ვჰქმნეთ მისა შემწე მისებრ (შექ. ბ, ით), და ამისა მერმეთ ღმერთმან შექმნა ევა მსგავსად და ხატად კაცისა და შემწედ მისა. აჰა საფუძველი ქალთა მნიშვნელობისა და მოვალეობისა! აჰა წყარო, რომლისაგან მომდინარეობს ყოველი მათი თანამდებობა და ყოფა-ქცევა. ქალი არის შემწე და მეგობარი კაცისა, თანა მოზიარი ყოვლისა მისისა საქმისა, ბედისა და უბედურებისა, მწუხარებისა და სიხარულისა. ხოლო თუ იგი არის შემწე მისი, მაშა-სადამე მან უნდა შეუმსუბუქოს და გაუადვილოს კაცს ცხოვრება ქვეყანაზედ, იგი უნდა იყოს კაცის ნუგეში, განმამხნევებელი, განმაღვიძებელი, ერთი სიტყვით, გაამართლოს თვით სახელი თვისი „მეუღლე", ესე იგი ქალი უნდა შეეწიოს კაცის უღელის ზიდვას.

როდის და რომელთა საქმეთა შინა არის ქალი შემწე კაცისა? პირველი მისი შემწეობა არის ვითარცა მეუღლისა, ანუ ცოლისა. აქ გამოსჩნდება ჭეშმარიტი შემწეობა მისი. თვით სახელი ესე „მეუღლე" მშვენიერად გამოხატავს, რომ ქალი უნდა შეეწიოს კაცსა მისის უღელის გაწევაზე, ესე იგი ყოველი ცხოვრების, საქმის და მოვალეობის აღსრულებაზე. კეთილსა და გონიერსა ქალსა ყოველთვის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ მან აქ უნდა შეუმსუბუქოს და გაუადვილოს ცხოვრება მეუღლესა თვისსა. იგი პირველად არის მცველი და განმამტკიცებელი ოჯახის სიწმინდისა, პატიოსნებისა, დიდებისა და სათნოებისა; მეორედ იგი მართავს ოჯახსა, ზრდის შვილთა მისთა, დაუცხრომელითა შრომითა და მეცადინეობითა შეეწევა ოჯახის რჩენასა და გამოზრდასა. ზოგიერთთა ქალთა აქვსთ დიდად შეცთომილი ჰაზრი, ვითომც ოჯახის რჩენა, ესე იგი ყოველი ამ სოფლის საჭირო ნივთების მოპოება, საჭმლის, სასმლის, ტანსაცმელისა და სხვათა არის მოვალეობა ქმრისა, ანუ მამობრივისა სქისისა. გარნა ეს ჰაზრი არის უმართლო; აქაც მეუღლე უნდა იყოს ჭეშმარიტი მეუღლე, ესე იგი შემწე ქმრისა თვისისა. დიდად საქები და მადლიანი არის ის ქალი, რომელიც თავის ხელის ნაშრომით არჩენს თავსა თვისსა და შვილთა თვისთა. მაშინ იგი ასრულებს ჭეშმარიტად თვისსა დანიშნულებასა. და თუ ნაცვლად ამისა მას არ უყვარს შრომა და ყოველსა რჩენასა მოითხოვს ქმრისაგან, მაშინ იგი არ იქმნება შემწე, არამედ დამაბრკოლებელი და დამამძიმებელი ქმრისა. რაღა უნდა ვსთქვათ ზოგიერთა უგუნურთა ქალთა ზედა, რომელნი არათუ შეეწევიან ოჯახის რჩენასა და გამოზრდასა, არამედ ზარმაცობით, დაფანტულითა ცხოვრებითა, მორთულებისა და უსარგებლო სამკაულის სიყვარულითა და-

აღარიბებენ თვისთა მეუღლეთა და ვალში შთააგდებენ მათ! თუ სიტყვისამებრ სოლომონ ბრძნისა, ქალი მხნე არის გვირგვინი ქმრისა, რა სახელი უნდა უწოდოთ ესრეთთა ზარმაცთა და დაფანტულთა ქალთა? ისინი დაემსგავსებიან ლოდსა, დამოკიდებულსა ქმრის ყელზე, რომელი ახრჩობს მას. ღმერთმა ნუ მისცეს ესრეთი მეუღლა ნურცა ერთსა კაცსა! საზოგადოდ ის კი უნდა ვსთქვათ, რომ დაბალთა ხალხლთა შორის ქალის უმჯობესად ასრულებს თვისსა მოვალეობასა! იგი არის ჭეშმარიტი შემწე ქმრისა ყოველ საქმეში და შრომაში. გარნა კეთილ-შობილთა შორის ხშირად იპოებიან ისრეთნი ქალნი, რომელთა არა უყვართ შრომა, არამედ მოსვენება, ლხინი და დაფანტული ცხოვრება. გარნა ახლა მოიწია ისეთი დროება, რომ ისინიც უნდა დაფიქრდნენ და გამოსცვალონ თვისი ჩვეულება. მრავალნი ცვლილებანი ქვეყნის ცხოვრებასა შინა, რომელნი მოხდნენ და კიდევ მოხდებიან ამ მოკლე დროში, მოითხოვენ, რათა განიღვიძონ ამათაც, შეამოკლონ მრავალი უსარგებლო ხარჯი, გამოსცვალონ სახე ცხოვრებისა, გაუადვილონ მეუღლეთა ცხოვრება, შეუდგნენ შრომასა, მოღვაწეობასა და ესრედ გამოსჩნდნენ ჭეშმარიტნი მეუღლენი.

დასასრულ სიტყვისა ჩვენისა კვალად მივაქციოთ გული და გონება ჩვენი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისადმი. როგორ ცხოვრებას ატარებდა იგი? მშვიდსა, დაფარულსა, თავდაბალსა. სამკაულნი, ძვირფასნი ტანსაცმელნი უყვარდა მას, თუ არა? სრულიად არა! წმიდანი მამანი მოგვითხრობენ ჩვენ, რომელ ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისაგან დარჩა ერთი მისი საკუთარი სარტყელი, იგი იყო უბრალო, იეფი და მისი ხელით ნაქსოვი. უყვარდა მას, თუ არა უქმად ჯდომა, ჭორი და განკიცხვა? სრულიად არა! იგი ანუ ლოცულობდა, ანუ ქსოვდა მატყლსა, ანუ სხვა ხელსაქმეს აკეთებდა. კვართი ძისა მისისა, იესო ქრისტესი, რომლისა გაყოფა დაეზარათ და წილი ჰყარეს მას ზედა მისთა ჯვარის მცმელთა, იყო მისი დედის ხელით ნაქსოვი. აღარ ვიტყვი მისსა სიწმიდესა, უმანკოებასა, ღვთაებრივსა ხასიათსა და ღვთის-მოყვარეობასა. ესე ყოველი საკმაოდ ვიცით და გვასმიეს ჩვენ ყოველთა. აჰა სახე და მაგალითი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ყოველი ქალი!

შეეწიე ყოვლად წმიდაო ქალწულო და დედაო ყოველთა ქრისტიანე ქალთა, რათა იყვნენ შენნი მობაძავნი. ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

ბზობის კვირიაკესა ზედა.

> ხვალისაგან ერი მრავალი, რო-
> მელი იგი მოსრულ-იყვნეს დღესასწაულსა
> მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მო-
> ვალს იერუსალიმად, მოიღეს რტოები და-
> ნაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად
> მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანნა,
> კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფ-
> ლისათა, მეუფე ისრაილისა (იოან. იბ, იბ,
> იგ).

წმიდა სახარება მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, რომელ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა არ უყვარდა გამოჩენა თავისა თვისისა საეროდ და მიღება პატივისა და დიდებისა განცხადებულად შეკრებულებასა შინა ერისასა. სწავლითა და ქადაგებითა და სასწაულებითა თვისითა მან მოაქცია თვისდამი გული ყოვლისა კაცისა, ესრეთ რომელ ყოველი ერი ხედვიდა მას, ვითარცა დიდსა, ღვთისაგან მოვლინებულსა მესსიასა და ხშირად სურდათ მეფეთაც დადგინება მისი, გარნა მაცხოვარი ესოდენ იყო თავ-მდაბალ და მშვიდ, რომელ იფარვიდა თავსა თვისსა ყოვლის სოფლიურის დიდებისაგან. ოდესცა იგი განკურნებდა სნეულსა, ანუ აღადგინებდა მკვდარსა, მაშინვე ამცნებდა, რათა არვის უთხრან, არამედ ფარულად მადლობდენ ღმერთსა. გარნა დღეს მაცხოვარი სრულიად გამოსცვლის ჩვეულებასა თვისსა. დღეს იგი განცხადებულად მრთელისა ქვეყანისაგან მიიღებს პატივის-ცემასა; იგი არათუ არ ჰფარავს დღეს თავსა თვისსა ერის შეკრებულებისაგან, არა-თუ არ უშლის ვისმე მისცენ მას დიდება, არამედ დიდითა სიყვარულითა და კმაყოფილებითა ისმენს ღაღადებასა ერისასა. და ყოველსა კაცსა აძლევს ნებასა, რათა განაცხადოს თვისი ერთგულება და სიყვარული. საყვარელნი მეგობარნი და მცნობელნი მისნი დაბასა შინა ბეთანიასა განუმზადებენ მას დიდსა სერობასა; აქ ყოველი კაცი ცდილობს, რათა აჩვენოს მას ეგოდენი ერთგულება და პატივი, რაოდენსაცა შეაგონებდა მას განუზომელი მისი სიყვარული ღვთაებრივის მეგობრისადმი. ლაზარე, მისგან მკვდრეთით აღდგომილი, არის ერთი მისთა მეინახეთაგანი; მარიამ, და ლაზარესი, აიღებს ძვირ-ფასსა ნარდის ნელსაცხებელსა და სცხებს ფერხთა მისთა და წარხოცს თმითა თავისა თვისისათა; იუდა აყვედრებს მას ესრეთის მოქმედებისათვის, გარნა მაცხოვარი განამართ-

ლებს და აქებს მარიამსა. ხვალისაგან ურიცხვი ერი, გამოს-
რული იერუსალიმითგან ბეთანიად ხილვად დიდისა სასწაულთ-
მოქმედისა და მკვდრეთით აღდგომილისა, და სხვანიცა მრა-
ვალნი ურიანი, რომელნი მოსრულ-იყვნენ იერუსალიმს დღე-
სასწაულსა პასექისასა ყოვლის ქვეყნებიდგან, მიეგებე-
ბიან მაცხოვარსა, მიმავალსა იერუსალიმად, რტოებითა ხისა-
თა და დაუგებენ ქვეშე ფერხთა მისთა რომელნიმე სამოსელსა მათ-
სა და რომელნიმე რტოებსა, ღაღადებენ ხმითა მაღლითა: **ოსანნა
მაღალთა შინა, კურთხეულ არს მეუფე ისრაილისა!** თვით ყრმანი-
ცა მცირე-წლოვანნი შეაერთებენ ხმათა მათთა ერის ღაღადე-
ბისა-თანა და აქებენ უფალსა. მაცხოვარი შევალს ტაძარსა
შინა და ვითარცა უფალი ტაძრისა განსდევნის მისგან ყოველ-
თა მოვაჭრეთა და უჯეროდ მოქმედთა; ფარისეველნი და მწი-
გნობარნი, აღვსებულნი შურითა და განკვირვებითა, ჰკითხვენ
მას: რომლისა სიმართლითა და ძალითა იქცევა იგი ესრეთ.
ერთი სიტყვით, მაცხოვრის შესვლა იერუსალიმსა შინა იყო
ვითარცა შესვლა მეფეთა სატახტოთა შინა ქალაქთა მათთა.

რას ნიშნავს, ძმანო, ესრეთი ქცევა უფლისა? რისთვის მი-
იღებს დღეს ესოდენსა დიდებასა და პატივსა იგი, რომელიცა
აქამომდე მარადის იფარვიდა თავსა თვისსა სოფლის დიდებისა
და პატივისაგან? ესრეთ ჰქმნა მაცხოვარმან პირველად მის-
თვის, რომელ სადღესასწაულო მისი შესვლა იერუსალიმს იყო
წინასწარ-თქმული ერთისა ძველისა წინასწარმეტყველისაგან:
**არქვით ასულსა სიონისასა, აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა
მშვიდი და ზე ზის იგი კიცვსა ნაშობსა კარაულისასა;** ესრეთ იყო
დაწერილ წიგნსა შინა ძველისა წინასწარმეტყველისასა და ეს-
რეთ აღსრულდა დღეს. მეორედ, მაცხოვარმან, იცოდა რა
წინათვე, რომელ მოიწია ჟამი მისი და არღარა მრავალი დღე
დაშთებოდა იგი კაცთა შორის, მისცა ერთის მხრით მეგობარ-
თა და ერთგულთა მისთა უკანასკნელი შემთხვევა, რათა გა-
მოსთქვან განუზომელი სიყვარული თვისი, ემსახურონ მას
ძალისამებრ თვისისა, და მეორეს მხრით მტერთა და მოძუ-
ლეთა მისთა მისცა უკანასკნელნი სწავლა, რათა მოიქცენ იგი-
ნი და შეინანონ, უკეთუ შესაძლებელ იქმნებოდა მათ-თვის
მოქცევა და შენანება.

მაცხოვარსა ჰყვანდნენ მრავალნი მორწმუნენი და მსასოე-
ბელნი; ურიცხვნი პირნი იყვნენ მისგან გაბედნიერებულნი და
გაცოცხლებულნი სულითაცა და ხორცათაცა, ხოლო უმეტეს
ყოველთა მეგობარი მისი ლაზარე და სახლეულობა მისი; ამათ
ყოველთვის სურდათ მსახურება უფლისა და გამოჩენა განუ-
ზომელისა სიყვარულისა მათისა, გარნა უმეტესად აწ, ოდესცა

გული მათი უნებრივად გრძნობდა, რომელ მალე მოაკლდე-
ბიან იგინი ხილვასა და ნუგეშსა ღვთაებრივისა მათისა მეგო-
ბრისასა. თვით მაცხოვარმანცა, რომელმან სიტყვისამებრ
იოანე მოციქულისა, **შეიყვარნა თვისნი იგი ამა სოფელსა შინა და
სრულიად შეიყვარნა იგინი,** უტევა საყვარელნი თვისნი მეგო-
ბარნი, რათა ემსახურონ მას და მით დააკმაყოფილონ გული-
თადი მათი წადილი. იგი დაჰსჯდა სერობად მათთანა, ინება
ბედნიერისა მარიამისაგან ძვირ-ფასისა ნელსაცხებელისა ცხება
და წარხოცვა თმითა მისითა; მეორე დღეს მისცა შემთხვევა
საზოგადოდ ყოველსა ერსა, რათა გამოაცხადონ თვისი გრძნო-
ბა და პატივის-ცემა. ესრეთ ინება მაცხოვარმან ერთის მხრით
ერთგულთა და საყვარელთა მისთა-თვის; გარნა მოძულეთაცა
და მოშურნეთა მტერთა იესო ქრისტესთა ჰქონდათ აქ ერთი
კარგი შემთხვევა, რათა გამოეცვალათ მათ ჰაზრი და გული.
რაც გინდა იყოს კაცი, გარნა ოდეს იგი იხილავს ესოდენსა
საზოგადო სიყვარულსა და ერთგულებასა, მისიცა გული დალ-
ბება და ერთ წამს მაინც დაივიწყებს თვისსა სიბოროტესა; გარ-
ნა სჩანს, რომელ გულთა შინა იუდასსა და ფარისეველთა მო-
კვდა ყოველი მართალი კაცობრივი გრძნობა. იუდა ჯავრობს
ხედავს რა მარიამის გულწრფელსა მოქმედებასა; ფარისეველ-
ნი განიხერხებიან შურითა, მხილველნი მრთელის ქვეყნის ერთ-
გულებისა და სიყვარულისა.

ესრეთ ორად განიყვნენ ყოველნი თანა-მედროენი იესოს-
ნი; რომელნიც იყვნენ მაშინ გულ-წრფელნი, მართალნი და
კეთილნი, ამათ შეაყვარეს იგი განუზომელად; ხოლო ბოროტ-
თა, დრკუთა და მზაკვართა მოიძულეს იგი. ახლა, ამ ჩვენ
დროებაში არ შეიძლებაა ვინმე დაემსგავსოს ამათ ბოროტთა,
გარნა არიან რომელნიმე ჩვენ შორის ისრეთნი ერთგულნი მე-
გობარნი იესოსნი, ვითარცა ლაზარე ანუ ვითარცა მარიამ, დაი
მისი, რომელმან თმითა თავისა თვისისათა წარხორცნა ფერხ-
ნი მისნი? აწცა ეძიებს, ძმანო, მაცხოვარი ჩვენ შორის ერთ-
გულთა თვისთა მეგობართა, მსასოებელთა და მოყვარეთა. ახ-
ლაცა სანუგეშოთ ეჩვენება მას, ოდეს ხედავს გულსა შინა ჩვენ-
სა ისრეთსა მხურვალეესა სიყვარულსა, ვითარცა ლაზარესა და
დისა მისისასა. მართალია, ჩვენ ყოველნი მისნი მორწმუნენი და
მსასოებელნი ვართ, გარნა მაცხოვარი არ დაკმაყოფილდება
გრილითა სარწმუნოებითა და გრძნობითა; იგი მოელის ჩვენ-
გან ლაზარეს მეგობრობის გრძნობასა, მარიამის მხურვალე სი-
ყვარულსა. ახლაც შეიძლება, ძმანო ჩემნო, პატივის-ცემისა და
სიყვარულის განცხადება მისდამი, თუმცა იგი ხილულად არ
არის ჩვენ შორის, გარნა ნაცვლად ნელსაცხებელისა, საიდუმ-

ლოითა ცრემლითა თვალისა შენისათა დაბანე ფერხნი უხრწ-
ნელისა ხატისა მისისა, ნაცვლად ხმისა პირისა შენისათა გულ-
სა შინა შენსა საიდუმლოდ უღაღადებდე მას: **ოსანნა, კურთხე-
ულ არს მომავალი მეუფე ჩვენი!** მხურვალითა გულითა და
გრძნობითა მიეგებებოდე მაცხოვარსა მიმავალსა იერუსალი-
მად და თანა-უვიდოდე მას განუშორებლივ გრძნობითა შენი-
თა, ვიდრე გოლგოთამდე. ამინ.

სიტყვა

ბზობის კვირიაკესა.

> და შევიდა იესო ტაძარსა მას ღვთისასა და გა-
> მოასხა ყოველივე იგი გამსყიდველი, და ყო-
> ველი, რომელი ისყიდდა ტაძარსა ში-
> ნა და ტაბლები იგი მეკერმეთა დაუქცია... და
> რქვა, წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალო-
> ცველ ეწოდოს; ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი
> ქვაბ ავაზაკთა (მატ. კა. იბ, იგ)

დღესასწაულობითი შესვლა მაცხოვრისა იერუსალიმს, რო-
მელსა დღეს იხსენებს წმიდა ეკკლესია, იყო ერთობ შესანიშ-
ნავი შემთხვევა სოფლიურსა ცხოვრებასა შინა მისსა მით, რომელ
აქ მაცხოვარი მოიქცა თითქმის წინააღმდეგ თვისისა ჩვეულე-
ბისა: მან არა თუ არ დაჰფარა, ჩვეულებრივ, თვისი დიდება,
არამედ განცხადებულად მიიღო ერისაგან უჩვეულო პატივის-
ცემა. იგი შევიდა იერუსალიმს, ვითარცა ერთი ძლევა-მოსი-
ლი მეფე შევალს სატახტოსა ქალაქსა თვისსა. მას მიეგებნენ
ყოველნი ქალაქის მცხოვრებნი, დაუფენდენ მას შესამოსელსა
და რტოებსა ბაიასასა და ღაღადებდენ ყოველნი აღტაცებუ-
ლითა ხმითა: **ოსანნა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავა-
ლი სახელითა უფლისათა, ოსანნა მაღალთა შინა.**

მართალია მაცხოვარმან ამ შემთხვევაში მისთვის შესცვა-
ლა თვისი ჩვეულება, მისთვის მიიღო დღეს განცხადებული და
მეფური დიდება და პატივი, რომელ ესრეთი მისი შესვლა იე-
რუსალიმს იყო თქმული წინასწარმეტყველისაგან და დღეს უნ-
და აღსრულებულიყო იგი. გარნა რას ნაშნავს, ძმანო, მეორე
იგი შემთხვევა, ესე იგი, როდესაც მაცხოვარი, შემდგომად შე-
სვლისა იერუსალიმს, შევიდა ტაძარსა მას ღვთისასა და **გამო-**

ასხა ყოველი იგი გამსყიდველი და ყოველი, რომელი ისყიდდა ტაძარსა შინა და ტაბლები იგი მეკერმეთა დაუქცია... და რქვა წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა. რას ნიშნავს, რომ აქაც მაცხოვარი იქცევა წინააღმდეგ თვისისა ჩვეულებისა? ესე იგი, როდესაც ხედავს დიდსა უწესოებასა და შფოთსა საყდარსა შინა ღვთისასა, ნაცვლად სიტყვიერისა დარიგებისა და მშვიდისა შეგონებისა, იგი მოიხმარს მეფურსა უფლებასა მისსა, განასხამს ტაძრისაგან ყოველთა უწესოდ მქცეველთა, მოვაჭრეთა და მეშფოთეთა. დააქცევს ტაბლებსა მეკერმლეთასა და აყვედრებს მათ ფიცხლად: **სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა?** ვგონებ, ძმანო ჩემნო, რომ ესრედ ფიცხლად მისთვის მოიქცა აქ მაცხოვარი, რათა მტკიცედ შეაგონოს ურიათა მათ, რა დიდი ცოდვა არის უწესოდ ქცევა და შფოთი საყდარში და ვითარითა შიშითა და კრძალვითა ჯერ არს დგომა საყდარსა შინა ღვთისასა.

თუ ვინმე ჩვენ ქრისტიანეთა შორის იფიქრებს, რომ ჩვენთვის არ არის საჭირო ესრეთი ფიცხელი შეგონება, ის ერთობ იქმნება შემცდარი. მართალია, ვაჭრობა, მეკერმლეობა, და ავაზაკობა არ მოხდება საყდართა შინა ქრისტიანეთასა; გარნა თუ ფიქრობ, ძმაო, რომ ჩვენ ქრისტეანეთათვის არ არის საჭირო შეგონება და გაფრთხილება ამ საგანზე, ფრიად შემცდარი ხარ. მრავალი გვაკლია ჩვენცა ამ შემთხვევაში და დიდად შორავს მოქცევა ჩვენი საყდართა შინა საღმრთოთა კანონთაგან. თუ ოდესმე, ძმაო ჩემო, სოფლის საყდარში დიდ დღესასწაულზე წირვას დაესწარი, გეხსოვნება, რა უწესოდ იქცევიან სოფლის მცხოვრებნი საყდარსა შინა. მეტად შეწუხდება კაცი, არა მოკლებული ქრისტიანულითა გრძნობითა, როდესაც იგი ნახავს, რა რიგად დგანან და იქცევიან საყდარში სოფლის მცხოვრებნი. ესრეთ იფიქრებს, რომ სრულიად არავის არ ახსოვს საღ დგას და რისთვის მოსულა იქ. განათლებულ ქვეყნებში ათასი და ბევრეული კაცი ერთად შეკრებული დიდსა საყდარსა შინა ესრეთითა დუმილითა და კრძალვითა სდგას და ლოცულობს, რომ უცებ შეხვიდე, იფიქრებ აქ არა ვინ არ არისო. ჩვენ საყდრებში კი, მეტადრე სოფლებში, თუ ბევრი შეიკრიბა ხალხი, ისეთი შფოთი და ხმიანობა გაჩნდება, რომ სრულიად არავის არ ესმის ლოცვა, კითხვა და გალობა. კარგად რომ დაუკვირდე, იფიქრებ, ეს ხალხი ლოცვისათვის კი არ მოსულა, არამედ სალაპარაკოდ და ახალი ამბავის შესატკობელად. სუყველაზე უარესად კი დედაკაცნი იქცევიან. საუბედუროდ, თვით სამღვდელოთაც არ იციან კრძალ-

ვით დგომა საყდართა შინა, მაშასადამე არ შეუძლიათ ასწავ-
ლონ და მისცენ მაგალითი ერის კაცთა, და უთუოდ ეს უნდა
იყოს უმთავრესი მიზეზიც ამ სამწუხაროისა უწესოებისა.

აქ, ამ ჩვენ საყდარში, თუმცა ღვთის მადლით სოფლებთა
მცხოვრებზე ცოტა უკეთ ვიცით დგომა და მოქცევა, გარნა
შეცდები, ძმაო, თუ იფიქრე, რომ ჩვენ კი სრულიად კანონი-
ერად ვიქცევით და არ გვმართებს გაფრთხილება. როდესაც
ერთის მხრით გავიხსოვნებთ იმ განათლებულის ქვეყნების მა-
გალითსა, რომელიც უწინ მოგახსენეთ, მეორეს მხრით მას, რომ
აქ ქალაქი არის და ქალაქის მცხოვრებნი უფრო განათლე-
ბულნი უნდა იყვნენ, ვიდრე სოფლის მცხოვრებნი, მესამედ
მას, რომელ სოფლის მცხოვრებნი, შემოვლენ რა აქ, თქვენ
გიყურებენ და თქვენგან მიიღებენ მაგალითსა, იძულებული
ვართ თქმად, რომელ ჩვენიცა ქცევა შორავს იმ შიშისა, კრძალ-
ვისა და მორიდებისაგან, რომელთა მოითხოვს ჩვენგან საღმრთო
სჯული ჩვენი.

**წერილ არს, სთქვა უფალმან, სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ
ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა.** საყდარი, ძმაო,
მეტი არაფერი არ არის, მხოლოდ სახლი სალოცველი. მაშა-
სადამე, როდესაც ემზადები საყდარში მისვლას, მეტი არასფე-
რი არ უნდა გქონდეს გულში, მხოლოდ ლოცვა და ლოცვის სმე-
ნა. გარნა ვხედავ, როდესაც შენ მოხვალ საყდარში, სხვა რა-
ღაც განზრახვა გაქვს გულში. განათლებულ ქვეყნებში ზოგი-
ერთნი ღვთის-მოყვარენი პირნი საყდარში წასვლის დროს იც-
ვამენ უკანასკნელს ღარის ტანისამოსს, თუმცაღა იყვნენ მდი-
დარნი, ეკკლესიაში დადგებიან სადმე კუთხეში ანუ მოეფარე-
ბიან სვეტს და ისე გაატარებენ წირვას, რომ ერთს კაცს არ
შეხედავენ და ხმას არავის გასცემენ. ჩვენ ქვეყანაში კი მიმსვ-
ლელი ეკკლესიად ჩაიცვამს უმჯობესსა თვისსა სამკაულსა, საყ-
დარში დადგება წინ, ერთ კაცს არ დასტოვებს, რომ არ მოე-
ლაპარაკოს, ლოცვას კი ერთსაც ყურადღებით არ მოისმენს.
ესეთი არის ჩვენი ჩვეულება და ზნეობა! რა სახით უნდა იმუ-
შაოს ჩვენს გულში მადლმან წირვისა და ლოცვისამან? ჰოი,
საწყალნი და განუნათლებელნი ვართ ჩვენ! ყოველი, რაი-
ცა არს ქვეყანაზე ღვთისაგან და წმიდათა მამათაგან განჩინებუ-
ლი ჩვენდა განსანათლებელად და საცხოვნებელად, ჩვენ უსარ-
გებლო ვყავით ცუდისა გამო ჩვენისა ზნეობისა.

ნუ იქნება, ძმანო, ამიერითგან ესრეთ! საყდარში მიხვი-
დოდე საღმრთო წერილისა და ლოცვისა მოსმენისათვის. თუ
გსურს, რომ საყდარში მისვლა უნაყოფოდ არ დარჩეს შენ-
თვის, ესრეთ მოიქეცი: რა გუნებაზედაც ხარ იმ დღეს, როდე-

საც მიდიხარ საყდარში, შეგიძლიან იმ გუნებითვე შეხვიდე, ესე იგი, თუ მხიარული ხარ რისგანმე, იმ დღეს შედი საყდარში მხიარულად, მადლობა შესწირე ღმერთსა, რომელმან მოგცა მხიარულება. თუ მწუხარე ხარ რისგანმე, შეიყვანე შენთან შენი მწუხარება საყდარში, ისარგებლე მწუხარის გუნებითა, მწუხარითა და შემუსრვილითა გულითა ილოცე იმ დღეს. ყოველ შემთხვევაში უგრძნობელად და დაფანტულის გონებით ნუ ხარ საყდარში. ამინ.

მოკლე მოძღვრება

დიდსა ხუთშაბათსა ზედა.

საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო!

მადლითა და შეწევნითა ღვთისათა, აჰა ესერა ჩვენ მოვახწიეთ აღსასრულსა დიდისა ამის მარხვისასა. ორნი დღენი, დაშთენილნი აღდგომამდი, არ ეკუთვნიან დიდსა მარხვასა. იგინი არიან დანიშნულ ხსენებისა და თაყვანის-ცემისათვის ქრისტეს ვნებათა. გარნა, ვინ როგორ გაატარა აწინდელი მარხვა? ეს უწყის ერთმან მხოლოდ ღმერთმან. მოინანია ვინმე ცოდვანი თვისნი, ანუ თუ ცოდვასა კვალად ცოდვა დაუმატა? გაძლიერდა მის გულში მადლი ღვთისა და სასოება, ანუ თუ სამწუხაროდ, უმეტესად დასუსტდენ იგინი? იცნო მან, ბოლოს, თავი თვისი და მიიღო მტკიცე განზრახვა ამიერითგან სიწმიდით და კრძალულებით განტარებად ცხოვრებისა მისისა, ანუ თუ დაშთა უდებ და უზრუნველ, – ამას ყოველსა შეიტყობს იგივე გულთ-მეცნიერი ღმერთი და თავის დროზედ გამოგვიცხადებს ჩვენ, ძმაო ჩემო. გარნა შენც უნდა იფიქრო ამაზე, ძმაო! შენი სინიდისიც უნდა იყოს ამის გამომეძიებელი! მოვაჭრე კაცს ყოველთვის წინათვე აქვს დანიშნული ერთი დღე, როდესაც იგი გულსმოდგინედ გააწყობს ანგარიშსა, რათა შეიტყოს, არის იგი მოგებასა შინა, თუ არა. უკეთუ იგი ამას იქმს ამაოისა და წუთის სიმდიდრის მოგებისათვის, შენ, რომელი ეძიებ საუკუნესა ნეტარებასა, უმეტესად არ გმართებსა მარადის გამოიკვლიო და ჰკითხო თავსა შენსა, ხარ შენ სულიერსა წარმატებასა შინა, ანუ არა? გარნა, სამწუხაროდ ჩვენდა, ცხად არს, რომელ არა მრავალნი არიან ესრეთსა ძიებასა შინა და გამოკვლევასა. დასამტკიცებელად ამისა ჩვენ გვსურს დღეს მი-

ვაქციოთ ყურად-ღება თქვენი, ძმანო ქრისტიანენო, ერთისა
ჩვენის ქვეყნის ჩვეულებისადმი, რომელი ფრიად განაკვირვებს
კაცსა. რომელი არს ეს ჩვეულება? ის, ძმანო ჩემნო საყვარელ-
ნო, რომელ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი თუმცა ყო-
ველ ქვეყნებში დიდითა კრძალულებითა, მარხვითა და გულს-
მოდგინებითა ემზადებიან ზიარებას, გარნა ჩვენ ქვეყანაში უმე-
ტესითა მარხვითა და მოთმინებითა; მეტადრე სოფლის მცხოვ-
რებნი ნამდვილ გააკვირვებენ კაცსა მათითა მოთმინებითა და
მზადებითა ზიარებისათვის. განმავალობასა შინა ექვსისა ანუ
შვიდისა დღისა ზოგიერთნი მათგანნი სრულიად არ მიიკარე-
ბენ სასმელსა და საჭმელსა, და თუ მიიღებენ, ფრიად მცირე-
სა და უმარილოსა, იმ ზომად, რომ უმეტესნი მათგანნი ავათ
გახდებიან ესრეთის მარხულობისაგან. ესრეთისა მარხულობი-
სათანა სხვათაცა ცოდვათა დიდად ერიდებიან და ცდილობენ,
რომ მყუდროდ და კაცთაგან განშორებით იცხოვრონ, გული
არ მოუვიდესთ ლაპარაკში და ღმერთს არ შესცოდონ და სხვა-
თა ყოველთა ცოდვათა ფრიად ერიდებიან, მტერთა და მო-
ძულეთა შეურიგდებიან; ერთი სიტყვით, ვინც დაუკვირდება
მათსა მოთმინებასა და მოღვაწებასა, ესრეთ იფიქრებს, რომ
ამათზედ უმჯობესი ქრისტიანე აღარ უნდა იყოს ქვეყანაზედ.
გარნა რას ვხედავთ მერმე, ჩვენდა განსაცვიფრებლად? როდე-
საც ამ სახით მოემზადებიან და მიიღებენ წმიდასა ზიარებასა
და გავა თვით მოკლე დრო, ვნახავთ რომელ ესრეთ მონანულ-
ნი და განწმენდილნი სრულიად ისრეთნივე დაშთნენ, ვითარ-
ნიცა იყვნენ უწინ, იგინი სრულიად არ გამოიცვალნენ ყოფა-
ქცევითა, უმჯობესნი არ შეიქმნენ; გულფიცხელი ისრეთვე
გულფიცხელი დარჩა; კაცის მოშურნე და მეშფოთე რომ იყო,
მან კვალადვე იწყო მოშურნეობა და შფოთი. მტერთა თვის-
თა იგი თურმე ერთ წამს შეურიგდა; მისი ბოროტი გული,
აღვსებული მრისხანებითა და სიძულილითა, არ გამოიცვალა,
ისრევე დარჩა შავად. რას ნიშნავს, ძმანო, ეს საშინელი საქმე?
რა არის, რომ დღეს შენ მოინანებ შენთა ცოდვათა, აღუარებ
მოძღვარსა: ესა და ეს ცუდი ჩვეულება მაქვსო და მოითხოვ
ღვთისაგან მხურვალედ შენდობასა და ხვალე ისრეთვე მიიქ-
ცევი იმა ცოდვათადმი და არ დაივიწყებ ცუდთა შენთა თვი-
სებათა? მიზეზი ამისა ის არის, ძმაო ჩემო, რომ, ვითარცა
ვსთქვით, ანგარიშს არ აძლევ შენს თავს, არ განიკითხავ და
არ გამოიკვლევ შენსა სულიერსა მდგომარეობასა. ვითარცა მო-
ვაჭრე კაცი, რომელი მოგიყვანე მაგალითად, არ ჰკითხავ შენს
თავს: შეგეძინა მადლი თუ დაგაკლდა, უმჯობესი შეიქმენი
შენ სულიერად ანუ უარესი.

ფრიად საჭირო არის, რომ ქრისტიანე განიკითხავდეს თავ-
სა თვისსა. თვინიერ ესრეთისა განკითხვისა არ იქმნება იგი
წარმატებულ სულიერსა მადლსა შინა. და ვინაიდგან უმრავ-
ლესთა თქვენგანთა განმავალობასა შინა დიდ-მარხვისასა მიი-
ღეთ ქრისტეს საიდუმლო, გევედრები არაოდეს არ დაივიწყოთ
ის შიში, კრძალვა და მორიდება ცოდვისა, რომელი გქონდათ
ზიარების წინათ; ის სასოება და საღმრთო გრძნობა, რომლი-
თაც იყავი აღვსებულ მიმავალნი ქრისტეს ბარძიმისადმი, მა-
რადის დარჩეს თქვენს გულში. ნუ თუ ქრისტიანე მხოლოდ
ერთის კვირის განმავლობასა შინა უნდა ერიდებოდეს ცოდ-
ვასა და მერმე არა? განა ისრე გვამცნო ქრისტემან ღმერთმან:
შვიდის დღის განმავლობაში იყავით მონანებასა და კრძალვასა
და მერმე, როგორც გსურსთ, ისრე იცხოვრეთო? ნუ თუ ექვ-
სი დღის მარხვა და ცოდვის მორიდება მისცემს კაცსა დაუ-
სრულებელსა ნეტარებასა? არა, ძმანო ჩემნო, მრთელი სიცოც-
ხლე უნდა განვატაროთ მონანებასა და ცოდვის მორიდებასა
შინა. ესრეთი დაუდგრომელობა არ დაგვამსგავსებსა ჩვენ ური-
ათა მათ, რომელნი გუშინ აღტაცებით ღაღადებდენ: ოსანნა
მაღალთა შინა! და ხვალე იწყებენ, ვითარცა ცოფნი ხმობად:
ჯვარს აცვი ეგე! ყოველი ცოდვის მოქმედი ქრისტიანე არის
ქრისტეს მოღალატე. ნუ იყოფინ ჩვენდა ესრეთ, არამედ ვე-
ვედროთ ქრისტესა ღმერთსა რათა მოგვცეს მისი შეურყეევე-
ლი ერთგულება. ამინ.

მოკლე მოძღვრება

დიდსა ხუთშაბათს ფეხის ბანვაზე.

ესე თუ სცანთ, ნეტარ ხართ, უკეთუ
ჰყოფდეთ ამას (იოან. იგ. იზ.)

*

მოციქულნი ყოველნი იყნენ განცვიფრებულ, ოდეს მაც-
ხოვარმან იწყო ხელითა თვისითა ბანვა ფერხთა მათთა, გარნა
უმეტესად ყოველთა პეტრე მოციქული. ამან უწინარეს რაო-

დენისამე დღისა იცნო, ირწმუნა და აღიარა, რომელ მოძღვარი მათი, იესო ქრისტე, არის ძე ღვთისა ცხოველისა და აჰა ესერა ხედავს, რომელ იგი აღსდგა სერობისაგან, აღიღო ჭურჭელი წყლისა, მოიდრიკა მუხლნი და ვითარცა მონამან, იწყო ბანვა ფერხთა მოწაფეთასა. **უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?** ჰკითხა მას განცვიფრებულმან პეტრე, ოდეს უფალი მივიდა მასთან დაბანვად ფერხთა მისთა, **არა დამბანო უკუნისამდე ფერხნი ჩემნი...**

მართლა ერთობ საკვირველი იყო ხილვა ამ მოქმედებისა. რისთვის ჰქმნა ეს უფალმან? რისთვის დაიმდაბლა ეგოდენ მან თავი თვისი? პირველად მისთვის, **რამეთუ შეიყვარნა თვისნი იგი ამა სოფელსა შინა და სრულიად შეიყვარნა იგინი** (იოან. იგ, ა), ვითარცა იტყვის იოანე მახარებელი, აღმწერელი ამ შემთხვევისა. ამით მან გამოაჩინა განუზომელი თვისი სიყვარული მოწაფეთადმი და თვით საქმით მოგვცა ჩვენ მაგალითი სიმდაბლისა და თავის უარის ყოფისა. არა საკმაოდ შერაცხა მან სიტყვითა მხოლოდ სწავლა ჩვენი, არამედ მანვე პირველად აღასრულა. რასაც ასწავლიდა, სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ჰყოფდეთ (იოან. იგ, იე), თვით უფალმან აღუხსნა მოწაფეთა თვისთა. ამიერითგან მოწაფეთა მისთა სრულიად უნდა გამოსცვალონ სახე თვისისა ყოფაქცევისა; ამიერითგან ყოველი მათი მოქმედება უნდა დაეფუძნოს სიყვარულსა და სიმდაბლესა ზედა; ამიერითგან უდიდესი მათ შორის უნდა იყოს მსახურ ყოველთა, და წინამძღვარი, ვითარცა მონა; ამიერითგან ჩვენ უნდა დავსტოვოთ, დავივიწყოთ, ყოველი ამპარტავნება, თავის მოყვარება; ამიერითგან ჩვენ ვართ ერთი მეორის ძმანი, მსახურნი... ესე თუ ჰსცანთ, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას.

ძმანო ქრისტიანენო! უფალმან დღეს არათუ ათორმეტთა დაჰბანნა ფერხნი, არამედ მათ შორის და მათ მიერ ჩვენცა ყოველთა დაგვბანს იგი ფერხთა. არა თუ მოციქულთა მხოლოდ მისცა სახე, არამედ მათ მიერ ყოველთა მისთა მომავალთა მორწმუნეთა. ჩვენცა გვეტყვის იგი დღეს: **ესე თუ ჰსცანთ, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას.** ესრეთითა სიმდაბლითა და სიყვარულითა გვასწავლის იგი ჩვენ სიმდაბლესა, სიყვარულსა, თავის უარის ყოფასა. ნუ თუ შესაძლებელი არის წინააღუდგეს ვინმე ესრეთსა მისსა ლმობიერებასა და სიკეთესა! ვინ იქმნება ეგოდენ გაქვავებული გულითა, რომ თვითონაც, წარმომდგენელი ეგოდენისა მისისა სახიერებისა, არ დაემხოს წინაშე მაცხოვრის ხატისა და არ დაბანოს ცრემლითა თვისითა ფერხნი მისნი.

ესე თუ ჰსცანთ, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას! ნეტარ ხართ, უკეთუ მიითვისებთ ამ მაგალითს და კანონად დაიდებთ მას; ნეტარ ხართ, უკეთუ ემსახურებით მოყვასთა თქვენთა ყოვლითა სიყვარულითა და სიმდაბლითა. ამინ.

მოკლე მოძღვრება

თქმული დიდ ხუთშაბათს ზიარებულთადმი.

მოგილოცავ თქვენ, საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო, მიღებასა წმიდათა საიდუმლოთა ქრისტესათა. ვსთხოვ ღმერთსა, რათა ყოვლად-წმიდა ხორცი და სისხლი ესე, ქრისტესი იყოს თქვენთანა არათუ მხოლოდ შესანდობელად ცოდვათა წასრულის თქვენის ცხოვრებისა, არამედ განსამტკიცებელად კეთილისა და სულიერისა მომავალისა ცხოვრებისა თქვენისასა. რა სარგებლობა გექმნებათ თქვენ, ძმანო, უკეთუ დღეს მოინანეთ ცოდვანი თქვენნი, ეღირსეთ შეერთებასა ქრისტესთანა და მერმეთ ისრეთნივე დაშთეთ სულიერად, როგორც უწინ იყავით? ქრისტიანე იმ განზრახვით უნდა ეზიაროს, რომ უმჯობესი შეიქმნეს სულიერად ზიარებითა; ცხოვრება გამოიცვალოს, უარ-ჰყოს ცოდვანი თვისნი და იწყოს კეთილი სულიერი ცხოვრება. და ესრეთ, ძმაო ჩემო, შენც ეცადე, რომ ამიერითგან უმჯობესი შეიქმნე, ვიდრე იყავ აქამომდე; თუ არ შეგიძლიან რომ სრულიად გამოსცვალო შენი ცხოვრება, სრულიად უარ-ჰყო პირველნი შენნი ცოდვანი, ვნებანი და ნაკლულევანებანი და ცუდნი ჩვეულებანი, ერთი რომელიმე შენი ცოდვა მაინც უარ-ჰყავ და მით დასდევ დასაწყისი შენისა მოქცევისა და უმჯობესობისა; ერთი მაინც რომელიმე ცოდვა შენი დასტოვე. იქმნება გქონდა ვისზედმე უკმაყოფილება, ან შური, შეურიგდი მას გულწრფელად და ნუღარა გახსოვს ძვირი მას ზედა და მით დაამტკიცე, რომ სწორეთ გსურს ამიერითგან უმჯობესად იცხოვრო; ან, იქმნებს, ანგაარი იყავ – მოიშალე ეს საშინელი ცოდვა; ან გულმწყრალი ხარ – დაამშვიდე გული შენი. ერთი სიტყვით, გამოაჩინე რითმე, დაუმტკიცე ღმერთსა და შენს სინიდისსა, რომ სწორეთ გსურს უმჯობესი შეიქმნე ამიერითგან. მართალია, ადვილი არ არის, რომ მოიშალოს კაცმან თვისი ცოდვა და ჩვეულება, გარნა ძალა უნდა დაატანოს თავის თავსა. ღირს კიდეც, რომ კაცმან

ძალა იხმაროს თავის თავზედ, მისთვის რომელ დიდი სარ-
გებლობა მიეცემა აქაც, ამ ქვეყანაზედ და იქაც, უკეთუ გა-
დაეჩვია ერთს რომელსამე ცოდვას. მაშა რისთვის სცხოვრობს
კაცი ქვეყანაზედ. თუ არ ეცადა და უმჯობესი არ შეიქმნა
სულიერად და ხორციელადაც? მაცხოვარი გვეტყვის: **სასუფე-
ველი ღვთისა იიძულების. და რომელნი აიძულებენ მათ მიიტაციან.**
ესე იგი, სასუფეველსა ცათასა კაცი მხოლოდ იძულებით,
შრომით, ძალადობით მიიტაცვბს და არა მოსვენებით და შვე-
ბით. თუ ხორციელს სარგებელსა ვერ მოიგებს კაცი უშრო-
მელად, სულიერს მით უმეტესად.

მაცხოვარმან სთქვა ერთხელ: **ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი
მტერია, ვინც ჩემთან არ შეჰკრებს იგი განაბნევს;** ესე იგი, ვინც
არ ცდილობს, რომ თან-და-თან უმჯობესი შეიქმნეს სულიე-
რად, იგი უეჭველად თან-და-თან უარესი გახდება და მტერი
შეიქმნება ქრისტესი. სულიერი სიმდიდრე ემსგავსება ხორცი-
ელს სიმდიდრესა: თუ ვაჭარი კაცი არ ცდილობს, რომ ყო-
ველთვის ცოტ-ცოტა მაინც დაუმატოს თვისსა სიმდიდრესა,
ბოლოს იგი სრულიად გაღარიბდება. ეგრეთვე, თუ ქრისტია-
ნე არ ცდილობს რომ თან და თან უმეჯობესი შეიქმნეს, ბო-
ლოს უარესი შეიქმნება და წარწყმდება.

აჰა, რისთვის ცდილობს ეკკლესია შეგაგონოს თქვენ,
რომელ ყოველთვის იყვნეთ ლოცვაში, მარხვაში, მონანებაში,
და ხშირად აღსარება სთქვათ და ეზიაროთ. კვალად ვსთხოვ
ღმერთსა ამიერითგან უმჯობესნი იყვნეთ. ამინ.

მოძღვრება

ზიარებად განმზადებულთა მიმართ.

*

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! საქმე, რო-
მელსა თქვენ ემზადებით აწ, არის დიდი და მძიმე. თქვენ ემ-
ზადებით ამ საქმეს გახშირებული და ბეჯითი ლოცვითა, ფი-
ცხელი მარხვითა, კრძალული მორიდებული ქცევითა, ანუ
დროების გატარებითა. კეთილ არს ესე ყოველი! გარნა ამას-
თანავე ფრიად საჭირო არის, რომელ გონებაცა, ანუ ჭკუა
თქვენი არ იყოს უქმად, არამედ ხშირად ფიქრობდეს სული-

ერთა საგანთა ზედა. მოვიხმაროთ ახლა ამისთვის რაოდენიმე წამი. საგნად ჩვენისა უბნობისა გამოვარჩიოთ ის, რაიცა შეეხება და ეფერება ახლანდელსა თქვენსა მდგომარეობასა, ესე იგი ლოცვასა, მარხვასა, მონანებასა, რომელსა თქვენ ახლა შედგომილ ხართ ღვთის შეწევნითა. ერთს ძველ წიგნში, რომელიც აღწერა ბრძენმან ისუ ზირაქის ძემ, ვპოვებთ ჩვენ მრავალთა მშვენიერთა დარიგებათა, რომელნი უმეტესად შეეხებიან თქვენსა აწინდელსა მოღვაწებასა. მოვიყვანოთ იქიდგან რაოდენიმე მუხლი და იმაზედ დავაფუძნოთ ჩვენი მოძღვრება.

ნუ გრცხვენინ და ნუ გეშინინ აღსარებად ცოდვასა თქვენსა, და ნუ აჰყვები კაცსა ცოდვის მოქმედებად (ის. ზირ. დ, გ.) ესრეთ გვარიგებს ისუ ზირაქი მეოთხესა თავსა შინა წიგნისა თვისისასა. ხედავთ, ძმანო, რომ ეს დარიგება ძლიერ გშვენის თქვენ, რომელნი ახლა ემზადებით აღსარებასა და მერმე ზიარებასა. ისუ გვეტყვის, რომ აღსარებად ცთდვათა კაცს არ უნდა ეშინოდეს, არცა რცხვენოდეს. გამიგონია მე, განსაცვიფრებელად ჩემდა, რომელ ჩვენ ქვეყანაში ზოგიერთთა ქრისტიანეთა სცხვენიათ ანუ ეშინიათ აღსარება ცოდვათა, მაგრამ ძნელად დასაჯერებელია ეს ამბავი. სნეულმა კაცმა ექიმს რომ არ უთხრას, რა სტკივა, – აბა მოსძულებია მას სიცოცხლე და სიკვდილი სდომებია. თუ კი კაცი ემზადება, ლოცულობს, ღმერთს შენდობას ჰსთხოვს, როგორღა უნდა დაუმალოს მან მოძღვარს ცოდვა თვისი. რაღა დროს სირცხვილია მაშინ. სირცხვილი და შიში მაშინ უნდა ჰქონოდა, როდესაც ცოდვას იქმოდა და არა მაშინ, როდესაც აღსარებად მიდის, მაგრამ, კიდევ ვიტყვი, არ მჯერა რომ ვინმე იყოს ესრეთი უგუნური და თავის მტერი, და თუ კი არიან ვინმე ჰსწორეთ უსაწყლესნი უნდა იყვნენ იგინი ყოველთა კაცთა.

ნუ აჰყვები კაცსა ცოდვის მოქმედებად, ესე იგი ნუ დაუჯერებ კაცსა ცოდვის მოქმედებად. ეს დარიგება ვისაც ახსოვს, ის მრავალთა ცოდვათაგან იხსნის თავის სულს, მისთვის, რომელ ყოველი კაცი მრავალ ცოდვაში ჩავარდება სხვის მიხედვით და სხვის აყოლით; მაგალითი წარიტაცებს კაცს; ბოროტი კაცი ხშირად აცთუნებს და აიყოლებს კაცსა სუსტსა.

ნუ იტყვი, ვცოდე რა იქმნას ჩემდა, რამეთუ უფალი სულგრძელ არს; განწმედისათვის ნუ იქმნები უშიშ შეძინებად ცოდვასა ზედა. ამ სიტყვებში ბრძენი გამოცდილი ისუ გაგვაფრთხილებს ჩვენ, რათა არ ვიყვნეთ უდები და მცონარე ცოდვათა მონანებასა შინა; ნუ იტყვითო, რა დამემართება რომ ვსცოდო; უფალი სულგრძელ არს. ნუ იქმნები უშიშარი ცოდვის

განწმედისათვის, ნუ დაუმატებ ცოდვას ცოდვასა ზედა. დიდად აშავებენ მრავალნი ქრისტიანენი, როდესაც იგინი აგვიანებენ, გადასდებენ მონანებას და მომზადებას ზიარებისათვის; თვით უმცირესი მიზეზი მოუშლის ზოგიერთთ ამ განზრახვას: ცუდი ტაროსი არისო, ავათ ვარო, არა-მცალიან ახლაო, მომავალ კვირას დავიწყებო; ვნების კვირას ვეზიარებიო. ძმაო! რა იცი მაშინ კარგი ტაროსი იქმნება, თუ არა, კარგათ იქმნები, თუ არა? ისარგებლე, ვიდრემდის დრო გაქვს, ნუ ხარ უდები, ნუ დაუმატებ ცოდვას ცოდვასა ზედა.

ამ სიტყვებში: **ნუ იტყვი, ვსცოდე, რა იქმნას ჩემდა,** კიდევ სხვა და ფრიად შესანიშნავი ჰაზრი არის, რომელზედაც ღირს მივაქციოთ საკუთარი ყურადღება. რა არის, რომ ვსცოდო; უცოდველი ვინ არის; განა ღმერთმან არ იცის ჩვენი სისუსტე, ღმერთი მოწყალეა და მოგვიტევებს. ამ სახით მრავალნი პირნი თავის თავს შეუნდობენ და გაუადვილებენ ცოდვას. ეს დიდი შეცთომა არის, ძმანო! ცოდვას ადვილად ნუ უყურებ; რაც გინდა მცირე იყოს ცოდვა, მაინც უნდა სწუხდე, ისწრაფო მისი მონანება; მძიმე ცოდვა ხომ უმეტესად უნდა შეგაწუხებდეს, მაგრამ მცირე ცოდვისათვისაც უდები ნუ ხარ. მართალია, ღმერთი მოწყალეა, მან იცის ჩვენი ბუნების უსუსურება. იგი მოგვიტევებს ჩვენ ცოდვას, მაგრამ როდის? რა პირობით? მაშინ და იმ პირობით, თუ ნახავს რომ კაცი ნანობს, ესე იგი სწუხს, გრძნობს თვის სიცოდვეს; და თუ ნახა, რომ ჩვენ არა რათ ვაგდებთ ჩვენ ცოდვას, თუ ჩვენვე მოუტევებთ ჩვენს თავს ცოდვათა, მაშინ იგი აღარ მოგვიტევებს. როდესაც შენ არ სწუხარ, არამედ ადვილად შეუნდობ შენს თავს ცოდვასა, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ არ აპირობ ცოდვის დატევებას, არამედ მზათ ხარ კიდევ ყოველთვის აღასრულო იგი. ამ სახით შენ მიეჩვევი ცოდვას; ცოდვა გარდაიქცევა შენში მეორე ბუნებად, და ამისა მერმე მონანება არა თუ გაგიჭირდება, სრულიად შეუძლებელი იქმნება შენთვის, რომელი და განაშოროს ჩვენგან ღმერთმან. ამინ.

მოძღვრება

ზიარებად განმზადებულთადმი.

მოაკვდინენით უკვე ასონი თქვენნი ქვეყანასა

ზედა, სიძვა, არა-წმიდება, ვნება, გულის-თქმა ბოროტი და ანგაარება... განიშორეთ ყოველივე რისხვა, გულის-წყრომა, უკეთურება, გმობა, უშვერი სიტყვა... შეიმოსეთ ახალი განახლებული მეცნიერება (კოლ. გ. გ-ვ).

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

საქმე იგი, რომელსა თქვენ აწ შედგომილ ხართ, არის ერთობ დიდი და მძიმე; გლოცავ თქვენ, ძმანო საყვარელნო, რამეთუ არა მცონარებითა, ანუ მოწყინებულითა გულითა ასრულებდეთ მას, არამედ ყოვლითა გულს-მოდგინებითა. თქვენ განმზადებულ ხართ ზიარებისათვის; ერთ წამსაც ნუ დაივიწყებთ, რომელ ზიარება არის წყარო ცხოვნებისა მხოლოდ ღირსებით მომზადებულთათვის; ხოლო უღირსთა და უდებთათვის იგი გარდაიქცევა ცეცხლად სასჯელისა.

რა სახით უნდა მოემზადოს ქრისტიანე დიდსა ამას საქმესა? ძველიდგანვე მიღებულისა ჩვეულებისამებრ ქრისტიანენი ემზადებიან ზიარების მიღებად პირველად მარხვითა, ანუ საჭმლის მოკლებითა. რა უნდა ვსთქვათ ამ ჩვეულებაზედ? სასარგებლო არის იგი, და შესაფერი თუ არა? დიახ, ძმანო ჩემნო! მარხულობა საჭირო არის და კიდეც მართებს მათ, რომელნი განმზადებულ არიან მიახლებად ბარძიმისადმი; გარნა რისთვის და რა სახით? თვით იგი არის სათნოება. ანუ მან სხვა სათნოება უნდა მოიყვანოს? არა, ძმანო ჩემნო! მარხულობა ანუ საჭმლის მოკლება თავის თავად უსარგებლოა, თუ კი არ არის შეერთებული და მომყვანი სხვათა ჭეშმარიტთა სათნოებათა. მარხვა მხოლოდ ანუ მაშინ არის სასარგებლო და მადლით შემოსილი, როდესაც იგი არის ჭეშმარიტი ნიშანი შინაგანისა შენისა გულის გრძნობისა, ესე იგი მგლოვარებისა, მწუხარებისა. შემუსვრილისა და დამდაბლებულისა სულისა; ანუ მაშინ როდესაც თვით იგი გააჩენს გულში ესრეთთა კეთილთა გრძნობათა. თუ ესენი არა გაქვს, თუ საჭმელი და სასმელი დაიკლე და გულში არა გაქვს მწუხარება შენისა უღირსებისა და მრავალთა შენთა ცოდვათა, მაშინ უსარგებლო დარჩება შენი მარხულობა. ამისთვის ეცადე, რომ მარხვა შენი შეერთებულ იყოს ჭეშმარიტისა გულითადის მწუხარებისა და ცოდვათა მონანებისათანა.

მეორედ, ქრისტიანენი ემზადებიახ ზიარებისადმი მომატებულითა ლოცვითა, ვითარცა შინაურითა, ეგრეთვე დადებულითა ეკკლესიურითა წირვა ლოცვათა მოსმენითა. ესეც კი საჭირო არის და სასარგებლო, ძმანო ჩემნო! ვინც ემზადება

ზიარებისათვის, მან არ უნდა გაუშვას არც ერთი დადებული ლოცვა, არამედ ყოველი უნდა მოისმინოს. გარნა აქაც დიდი ჭკუა და მეცადინეობა უნდა მოიხმაროს, რომ უსარგებლო არ დარჩეს ეს საქმე. უმეტესი ნაწილი თქვენ შორის ამას ფიქრობს, რომ ლოცვები სუყველანი უთუოდ უნდა მოისმინოს, გარნა რა სახით უნდა მოისმინოს და რა უნდა შეუდგეს ლოცვის მოსმენას, იმაზედ არ ფიქრობს. ლოცვებს, საღმრთო წერილს და ყოველს წიგნებს მისთვის წაიკითხვენ ეკკლესიაში, ძმანო ჩემნო, რომ წაკითხულნი ჰაზრნი სასმენელისა შენისაგან შევიდნენ შენს გულში და მუნ გააჩინონ სხვა და სხვა გრძნობანი, ესე იგი მონანება, ღვთის შიში, ცოდვის მოძაგება. შენ ამაზე არ ფიქრობ, მხოლოდ იმას ცდილობ, რომ მოისმინო ყოველი ლოცვები. ხშირად ლოცვების წამკითხველი ჩქარობს, ცუდათ კითხულობს, ისე რომ ვერც კი გაიგებ, რას კითხულობს; უთუოდ იცის შენი სურვილი, რომ მალე გაათაოს ლოცვები, ოღონდ კი არც ერთი არ გაუშვას. რა გამოვიდა აქედგან? ის რომ, ლოცვები მართალია, ყოველი წაიკითხეს, მაგრამ მათი მოქმედება შენ გულზე იქმნა სუსტი. ეკრძალე, ძმაო, რომ ესოდენი ლოცვების მოსმენა არ დარჩეს შენთვის უსარგებლო. ამ კვირის ყოველი ლოცვები ისე არის დაწყობილი, რომ თუ კარგად მოისმენ მათ, უთუოდ მრავალთა კეთილთა გრძნობათა გააჩენენ იგინი შენს გულში.

მესამედ უდიდესი და უსაჭიროესი მომზადება ზიარებისათვის არის აღსარების თქმა. რა არის აღსარება და როგორ უნდა სთქვა იგი, ამაზე ჩვენ, ვალისამებრ ჩვენისა, მოგეცი თქვენ დარიგება წარსულსა წელსა შინა; აქ მოკლედ გაგახსოვნებ მხოლოდ მას, რომელ თუ გსურს აღსარება იყოს შენთვის ნაყოფიერი, კარგად გამოიკვლიე შინაგანი შენი მდგომარეობა, ხასიათი, ნაკლულევანება და ისე უთხარი შენს მოძღვარს აღსარება შენი.

გარნა რით უნდა დაბოლოვდეს, რა შედეგი უნდა ჰქონდეს შენსა მარხვასა, ლოცვასა, აღსარების თქმასა? რით უნდა გათავდეს ესოდენი თქვენი შრომა, მოთმინება, ყოველი ნუგეშისაგან განშორება, ლოცვა, სულთქმა, ცრემლი, თუ კი ღმერთმა მისცა ვისმეს ცრემლი? ერთი სიტყვით, რას მოველით, რისთვის მივიღებთ ჩვენს თავზე ესოდენსა მოღვაწებასა? ბოლო, ანუ საგანი, ამის ყოვლისა უნდა იყოს ეს: **მოაკვდინენით უკვე ასონი თქვენნი ქვეყანასა ზედა, სიძვა, არა წმიდება, ვნება, გულის თქმა ბოროტი... განიშორეთ ყოველივე რისხვა, უკეთურება, გმობა, უშვერი სიტყვა... შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერება, მსგავსად ხატისა მის დიდებულებისა მისისა.**

ეს არის ბოლო ჩვენისა მოღვაწებისა, ამისთვის ვიღვწით, მისთვის ვშრომობთ, რომ მოვაკვდინოთ ყოველნი ცოდვის ასონი ჩვენ შორის, გავიშოროთ ჩვენგან ყოველი ბოროტება, შევიმოსოთ განახლებული იგი მცნება ღვთის დიდებულების ხატისა, ერთი სიტყვით ყოველი ცოდვა და მისნი ორღანონი მოკვდეს და ყოველი სათნოება განცოცხლდეს ჩვენ შორის. მტკიცედ და გარდაწყვეტილად სთქვი შენს გულში: მეყოფა მე ესოდენი ცოდვის მონება, საკმაო არის ჩემთვის ისიც, რაც აქამომდე მიქმნია ცოდვა, ამიერითგან აღარ უნდა ვიყო მე ცოდვის მონა.

ნუ გაქვს იმედი, ნუ სასოებ, რომელ მარხვა დიდი რამე მსხვერპლი იყოს ღვთის წინაშე, რომელ გრძელ ჟამიერი ლოცვაზე დგომა, მრავალი მეტანიის ყრა, დიდად რაიმედ მიიღოს ღმერთმან, თუ არ მოაკვდინე შენ შორის ასონი ცოდვისანი, თუ არ განახლდი სულიერად. არცა მარხვა, არცა მრავალი ლოცვის მოსმენა, არცა აღსარების თქმა არ გაცხონებს შენ, თუ სრულიად არ განეშორე ცოდვასა. თუ არ მოკვდა ის მატლი ცოდვისა, რომელი სჭამს შენს გულს. ნუ დააკმაყოფილებ შენ თავს მხოლოდ მარხვითა, ლოცვითა და აღსარების თქმით. დასამტკიცებელად მისა, რომ შენ ამიერითგან გსურს გულწრფელად მოაკვდინო ასონი ცოდვისანი, შეიმოსო ახალი განახლებული ცხოვრება, აღასრულე რომელნიმე კეთილნი საქმენი. თუ ვისთანმე უკმაყოფილო, ანუ მტერ ხარ, შეურიგდი მას გულ-წრფელად; თუ შენ გულში გრძნობ რომელსამე ცოდვასა, განიშორე იგი და მოიძულე; თუ იცნობ ვისმე საწყალსა, გაჭირვებულსა, მიეცი მას ნუგეში შეძლებისამებრ შენისა.

ერთი სიტყვით, ახლავე დაიწყე ნაყოფის გამოღება, ახლავე მიეჩვიე კეთილსა საქმესა და ღმერთსა აჩვენე შენი ერთგულება და მორჩილება. ამინ.

სიტყვა

დიდ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე.

*

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ოდეს წმიდა ეკკლესია შეგვკრებს ჩვენ, ქრისტიანეთა, მოხსენებად და თაყვანისცემად ვნებათა ქრისტესთა ამ დღესა შინა, ერთი ჰაზრი უნებლივად წარმოუდგება და უმეტესად განაკვირვებს გონებასა კაცისასა, ჰაზრი მას ზედა, თუ რაოდენი შრომა და ღვაწლი მიიღო მაცხოვარმან თავის თავზე ჩვენთვის და ჩვენ კი მცირესაცა შრომასა და ღვაწლსა არ ვითმენთ მისთვის; რაოდენი სიყვარული, რაოდენი მაგალითი გვიანდერძა მან ჩვენ და რა მცირესა ხედავს ჩვენ შორის განმზადებულებასა მიღებად მათდა და მადლობის გადახდად მათთვის.

არა შესაძლებელ არს მცირეთა სიტყვათა შინა აღწერად ყოველთა მათ, რაიცა ჰქმნა მაცხოვარმან ჩვენთვის. საშინელნი ტანჯვანი, რომელნი მან მოითმინა თვით ამ დღეს ჩვენისა სიყვარულისათვის, შეადგენენ ერთსა მხოლოდ ნაწილსა მისთა ღვაწლთა. შეიძლება ვსთქვათ, რომელ მაცხოვარი არათუ მხოლოდ მოკვდა ჯვარსა ზედა, არამედ მრთელი თვისი ცხოვრება განატარა მას ზედა. გარნა ნუ იფიქრებთ, ძმანო, რომელ იგი იტანჯებოდა ამ სოფელში რომელთამე ხორციელთა ნაკლულევანებათა გამო. მართალია, მას ხშირად არა ჰქონდა სადა თავი მიედრიკა; იგი მოწაფეებით-ურთ იზრდებოდა მით, რასაც მიართმევდენ ერთგულნი მისნი მორწმუნენი; იგი ხშირად იმალებოდა მტერთაგან უდაბურთა ადგილთა შინა; გარნა ეს არ იყო მიზეზი მისისა მწუხარებისა: იგი იტანჯებოდა მხედველი საცოდავისა კაცთა ნათესავისა მდგომარეობისა, დაცემისა, უმეცრებისა, სიცოდვისა. თუ კი ჩვენცა, რომელნი თვითონაც ცოდვილნი ვართ და საწყალნი, გვემძიმება და სამწუხაროდ გვიჩნს ხედვა კაცის ბუნების წახდენისა და დაცემისა, როგორღა არ შეწუხდებოდა უწმინდესი არსება, რომლისათვის თვით მცირე ცოდვა საძაგელ არს, მხედველი უღრმესისა კაცის ბუნების გაფუჭებისა და წახდენისა. ეს აწუხებდა და სწყლავდა გულსა მისსა ყოველთა დღეთა შინა ცხოვრებისა მისისათა. გარნა უკანასკნელთა ამათ დღეთა შინა, მან ბოლომდინ შესვა მწარე სასმელი ყოველთა ვნებათა და ტანჯვათა. არა უმიზეზოთ ეტყოდა იგი მოწაფეთა თვისთა ვენახსა შინა გეთსამანიისასა: მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე. არა უმიზეზოთ სამ გზის დაემხო იგი მიწასა ზედა წინაშე მამისა თვისისასა მეტყველი: **მამაო, უკეთუ არა შესაძლებელ არს თანა წარხდომად სასმელისა ამის, იყავნ ნება შენი.** გარნა ნუ იფიქრებთ რომ მას ეშინოდა ხორციელისა ტანჯვისა, ცემისა, ლურსმნისა, ნერწყვისა, ჯვრისა; არა! ესრეთისა

არსებისათვის, ვითარცა იყო მაცხოვარი ჩვენი, ხორციელნი ტანჯვანი მცირედ გამოჩნდებიან წინაშე სულიერთა ტანჯვა-თა! მაცხოვარმან წინათვე უწყოდა, რომელ მოახლებულ არს დღე, რომელსა შინა მას ზედა აღიჭურვება ყოველი ბორო-ტება დაცემულისა კაცის ბუნებისა, როდესაც მტერნი მისნი ცხადად გამოაჩენენ სადამდინ მიიყვანა ცოდვამ კაცის ბუნება. ძველმან მტერმან, დამთესველმან კაცის გულსა შინა ცოდვისა და მტრობისა, მოიხმარა აქ ყოველნი თვისნი ხერხნი და სა-შვალებანი დათრგუნვად და მოსპობად სასუფეველისა ღვთისა, რომლისა დაფუძნებად მაცხოვარი მოვიდა ქვეყანასა ზედა. როგორ არ შეწუხდებოდა ვიდრე სიკვდილამდე სული ქრის-ტესი, მხედველი საშინელთა მათ საქმეთა, რომელი ჰქმნეს მტერთა მისთა.

უბედური იუდა ფულზე მისყიდავს მოძღვარსა და მეგო-ბარსა თვისსა: ეს იყო მაცხოვარისათვის უმწარეს ლურსმნებ-თა, რომელთა განსჭვალნეს ხელნი და ფერხნი მისნი.

ფარისეველთა და მოხუცებულთა ორგულთა, სჯულის სარ-წმუნოების ერთგულების სახისა ქვეშე, იხმარეს თვით უბნელესნი საშვალობანი დასჯად იესო ქრისტესსა: ეს უჩნდა მას უმეტეს მძიმედ, ვიდრე ცემანი და ნერწყვანი.

უმადლო ერი ურიათა, რომელსა მაცხოვარმან უყო ური-ცხვნი კეთილნი საქმენი, რომელი გუშინ დღესასწაულობით მიეგება მას და უღაღადებდა: **ოსანნა ძესა დავითისასა,** დღეს კი, რათა სათნო ეყოს მთავართა და მოხუცებულთა, ჰყვირის: **ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ეგე!** ესრეთი უმადლოება ხალხისა, ესრეთი დაუდგრომელობა მისგან გაბედნიერებულისა ერისა, ასწილ უმძიმეს იყო ჯვრისა, რომელი დასდევს მხართა ზედა მისსა!

უმართლო მსაჯული პილატე განაჩენს მისთვის სასჯელსა სიკვდილისასა და მაშინვე თავათ აღიარებს, რომ იგი არ ხე-დავს მის შორის არცა ერთსა ბრალსა; ესრეთი დავიწყება ყო-ვლისა სიმართლისა და მართლ-მსაჯულებისა უმეტესად სტან-ჯვიდა სულსა მისსა, ვიდრე ეკლისა გვირგვინი, რომელი დასდევს თავსა ზედა მისსა.

დასასრულ მხეცური სასტიკობა მხედართა, რომელთა თა-ვის შესაქცევად მიაჩნდათ ტანჯვა კაცისა უბრალოისა, დასუ-სტებულისა და ძლივ ცოცხლისა, უმაგალითო ბოროტება ფარისეველთა და მოხუცებულთა, რომელნი ეცინოდენ ჯვარ-სა ზედა დამოკიდებულსა მომაკვდავსა, უგრძნობელობა ერი-საგანთა, რომელნი, ხედვიდენ რა ჯვარსა ზედა დამოკიდებულ-სა, თავს იყრიდენ და ბასრობდენ მას, ამათ ყოველთა აღუ-

წერელად შეავსეს სასმელი მისთა სალმობათა.

გარნა არა მიმხედველი ესრეთთა უმაგალითოთა სულიერთა და ხორციელთა ტანჯვათა, არა მიმხედველი მისა, თუ რა სახე მიიღო აქ კაცის ბუნებამან, მაცხოვარი არცა ერთს წამს არ შეარყევს სიყვარულსა თვისსა კაცთა ნათესავისადმი, არამედ ილოცავს: **მამაო, მოუტევე მათ, არა უწყიან. რასა იქმან!**

აჰა რა ჰქმნა მაცხოვარმან ჩვენთვის! და რას მოითხოვს იგი ჩვენგნით ამათ ყოველთა წილ? მოითხოვს მხოლოდ მას, რომელ მისი სწავლა და ყოველი მისი მაგალითი არ დარჩეს ჩვენთვის უსარგებლოდ, არამედ ვისარგებლოთ მით ჩვენისა განათლებისა და ბედნიერებისათვის. გარნა საუბედუროდ რა მცირესა ხედავს იგი ჩვენ შორის ერთგულებასა და მომზადებასა!

ჩვენ გვაკვირვებს, ჩვენ გვეძაგება იუდას ღალატობა და გაცემა; გარნა, ძმანო ჩემნო, ჩვენ კი არაოდეს არ უღალატებთა მაცხოვარსა! ღალატობა არ არისა ყოველი ცოდვა, ყოველი დავიწყება მისისა სწავლისა? როდესაც ჩვენ დამვიწყებელნი მისისა სიყვარულისა ვცხოვრობთ და ვიქცევით წინააღმდეგ მისისა სწავლისა, ანუ უღალატებთ და უმტერებთ ერთი მეორესა, არა გავახსოვნებთა მაშინ იმას იუდას ღალატობასა?

ბნელი ორგულება მწყემსთ-მთავართა და მწიგნობართა ურიათასა, მათი სიძულილე, მათი გაქვავება განაღვიძებენ ჩვენს გულში მწუხარებასა, გარნა, ძმანო ჩემნო, საშინელი იგი ცოდვა ფარისევლობისა სრულიად მოისპოა ჩვენ ქრისტიანეთა შორის? ზოგიერთნი სიტყვანი და საქმენი, რომელთამე ქრისტიანეთა არ გააცოცხლებენ გულსა შინა იესოსსა ტანჯვათა მათ, რომელნი მან მოითმინა ფარისეველთაგან?

საღმრთოსა შინა წერილსა ამოვიკითხავთ ჩვენ, რომელ ქრისტიანე ცოდვის მოურიდებელი მეორედ ჯვარს აცვამს იესო ქრისტესა. საკვირველიც არ არის! შეუძლიაა გულ გრილად უყუროს ცოდვათა ჩვენთა, რომელთა მოსპობისათვის მან ესოდენი მოითმინა? იტყვიან, რომ ამ ქვეყანაზე ყოველთა უდიდესი და უძლიერესი სიყვარული არის სიყვარული დედისა ნაშობისადმი თვისისა; რისთვის? მისთვის, რომ დედასა ძვირად უღირს შობა და აღზრდა ძისა თვისისა. ჩვენი სულიერი შობა და განათლება მაცხოვარსა უღირდა გამოუთქმელ და აღუწერელ ტანჯვად; ამისთვის არცა ერთი დედა ქვეყანასა ზედა ისე არ სწუხს მხედველი სუცუდისა და სიბოროტისა თვისისა შვილისა, როგორცა სწუხს მაცხოვარი მხედველი ჩვენისა უღირსებისა.

ურიათა, რომელთა სტანჯეს უფალი იესო ქრისტე, ერთი მაინც შესანდობელი მიზეზი ჰქონდათ, ის, რომელ მათ დაჯერებით არ იცოდნენ, ვინ იყო იგი; ჩვენ კი ვიცით და გვრწამს იგი და გვიყვარს, მაშასადამე ჩვენ არცა ერთი შესანდობელი მიზეზი არ გვექმნება და არა გვაქვს, როდესაც ვსტანჯავთ მას ჩვენისა სიცოდვითა და ურჩებითა.

მაცხოვარო ჩვენო, ჩვენთვის ჯვარცმულო! შენვე განაცოცხლე ჩვენ შორის გრძნობა დიდისა შენისა მსხვერპლისა, რომელი შესწირე ჩვენთვის; შენვე შეგვეწიე, რათა იგი არ დარჩეს ჩვენთვის უსარგებლოდ, არამედ იყოს ჩვენდა სახედ ყოველთვის და ყოველგან. ამინ.

ნაცვლად ქადაგებისა ლოცვა

თქმული დიდ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე.

*

ძმანო ქრისტიანენო!

დღეს წინაშე ქრისტეს საფლავისა, ნაცვლად ქადაგებისა, უმჯობესად შევრაცხე წავიკითხო თქვენ წინაშე ერთი ძველი და მშვენიერი ლოცვა, რომელი ვიდრე აქამომდე არ იყო გარდამოღებული ჩვენ ენაზე, და ახლა, შეწევნითა ღვთისათა, განგებ გარდამოვიღეთ ჩვენ ამ შემთხვევისათვის. ნაცვლად უძლურისა ჩვენისა სიტყვისა, ისმინეთ იგი გულსმოდგინედ. ამ ლოცვაში მშვენიერად და ვრცლად არის გამოყვანილი ყოველი, რაიცა მაცხოვარმან ჰქმნა ჩვენისა ცხოვრებისათვის დღეთა ამათ შინა. დიდი სასოება გაუჩნდება კაცს და დიდი სარგებლობა მიეცემა, ვინც გულს-მოდგინედ ისმენს ლოცვასა ამას. აღვამაღლოთ უკვე ყოველთა გული ღვთისადმი, შევიკრიბოთ გონება ჩვენი და ესრედ შემუსვრილითა სულითა ლოცვა შევსწიროთ მისდამი, რომელი დღეს ჩვენთვის ჯვარსა ზედა დამოკიდებულ იქმნა.

ლოცვა:

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, შემოქმედო ცისა და ქვეყანისა; მაცხოვარო სოფლისაო! აჰა ესერა მე, უღირსი, ყოველთა კაცთა უცოდვილესი, სიმდაბლით მოვიდრეკ მუხლთა გულისა ჩემისათა წინაშე დიდებისა შენისა, უგალობ და ვადიდებ განუზომელსა ვნებასა შენსა და მადლობასა, შენ მეუფესა და ღმერთსა, შეგწირავ, რამეთუ კეთილ ინებე გარდამოსვლა ზეციერისა შენისა ტაძრისაგან, და ხორცისა შესხმა ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან; უხორცომან ხორციელი ბუნება ღვთაებისა შეაერთე; მდიდარი ნეფსით დაგლახაკდი, რათა კაცი სასუფეველსა შინა შენსა გაამდიდრო; შრომა და ყოველი კაცობრივი იწროება, ვითარცა კაცმან, თავს იდევ, რათა ყოველთა კაცთა, მწუხარებათა და იწროებათა შინა მყოფთა, შეეწიო; ორმეოცი დღე იმარხე, რათა ყოველთა აჩვენო გზა მარხვისა; მრავალ გზის ბოროტთა მიერ გამოცდილ იქმენ, რათა გამოიყვანო ყოველნი განსაცდელთაგან ყოველთა. უწყი, ყოვლად ძლიერო მეუფეო, რამეთუ ესე ყოველი არა შენთვის იყო სახმარ, არამედ ყოველი მოითმინე კაცობრივისა ცხოვნებისათვის; ოც-და-ათ ვეცხლად იქმენ განსყიდულ, რათა კაცი გამოისყიდო მონებისაგან სასტიკისა მტერისა; უწყალოთა ურიათაგან, ვითარცა უმანკო კრავი, მიტაცებულ იქმენ, კაცთა ნათესავისა სულიერისა მგელისა შთანთქმისაგან აღმომყვანებელი; სამსჯავროსა წინაშე ანნა და კაიაფასა წარსდეგ სასჯელისაგან საუკუნოისა ცეცხლისა ყოველთა განმათავისუფლებელი; შეკრული, გინებული, განკიცხული, უმართლოთა მოწმებთაგან ცილის წამებული, შენ, რომელმან გამოიხსენ კაცი უბედურებისა ტანჯვისა და საუკუნოისა სიკვდილისაგან; პილატესა მიგცეს, რომელსა არცა ერთი ცოდვა არა გიქმნია, ირროდესთან გაგგზავნეს და კვალად გაგინეს შენ კაცთა ყოვლისა ბოროტისა გარემოებისა, და მტერთა გინებისაგან განმათავისუფლებელი; რა მოგაგო შენ, მეუფეო, კაცთ-მოყვარეო, ამათ ყოველთათვის, რომელიცა ჩემ ცოდვილისათვის მოითმინე, არა უწყი: სული და ხორცი და ყოველი კეთილი ჩემი შენგან არს, და ყოველი ჩემი და მეცა შენი ვარ; მხოლოდ აურაცხელსა შენსა მოწყალებასა კეთილ ნაწლეო, უფალო, მსასოებელი უგალობ შენსა გამოუთქმელსა სულგრძელებასა, აღვამაღლებ აღუარებელსა მხედველობასა, ვადიდებ უზომოსა წყალობასა, რომლითა ჩემთვის დასჯილისა თავი მოიდრიკე, რათა მე განვმართლდე. სვეტსა ზედა მიკრუ-

ლო და უწყალოდ ცემულო, მოწყალეო მიხსენ, გევედრები, ცოდვათა ჩემთაგან: ეკლისა გვირგვინით მოსილო, ეკალი სულისა ჩემისა აღმოხოცე; ლერწმითა თავსა ზედა ცემულო, თავი გველისა შემუსრე, რომელი განმგმირავს მე გესლითა ცოდვისათა; ძოწეულითა შემოსილო და მტანჯველთა მიცემულო, განმინათლე, მეუფეო წმიდაო, სულიერი სამოსელი, რათა შევიდე სასძლოსა ყოვლად მშვენიერსა; ავაზაკთა თანა შერაცხილო და ჯვარისა მხართა ზედა აღმღებელო, ავაზაკი, მტერი, მეძიებელი სულისა ჩემისა მოკვლად ჯვარითა შენითა განაძე. მიცნობ შენ, სულ-გრძელო, იესო, სასტიკად წყლულსა: ყოვლად წმიდისა შენისა თავიდგან ვიდრე ფერხთადმდე არღა იყო შენზე ასო მთელი. რაიღა უნდა ვსთქვა გამოუთქმელსა შენსა კაცთ-მოყვარებასა ზედა, ქრისტე მაცხოვარო ჩემო! მხოლოდ შემუსვრილებასა შინა გულისა ჩემისასა, თაყვანის მცემელი შენთა ყოვლად წმიდათა ვნებათა, და მოწიწებით მათი ამბორის მყოფელი, ვღაღადებ: შემიწყალე მე, ცოდვილი! რომელმან ინებე ჯვარსა ზედა მიმსჭვალვა, – მიამსჭვალე მცნებათა შენთა გული ჩემი; მთასა ზედა გოლგოთასა ჯვარზე ამაღლებულო, აღამაღლე ზენა გონება ჩემი, რათა ზეციერსა განვიზრახვიდე; ნაღველისა ძმრისა თანა მიმღებელო, გამწარებული ცოდვითა გული ჩემი დაატკბე სიყვარულითა შენითა და მწყურვალესა მასუ მდინარისაგან სიტკბოებისა შენისა, რომელმან ხელნი შენნი წმიდანი განიპყრენ მისაღებელად ყოველთა, მიმიღე მეცა ცოდვილი; რომელსა ფერხნი გქონდა მიმსჭვალული, მსურველსა მარადის ცოდვილთა თანა ყოფად, იყავნ ჩემ ცოდვილსა თანა, აღმკრძალველი ფერხთა ჩემთა სვლად ყოველსა მზაკვარსა გზასა ზედა; რომელსა გული გქონდა განხმული, გამომიჩინე მეცა ცოდვილსა მადლი ესე; რომელმან თავი ყოვლად წმიდა ჯვარსა ზედა მოიდრიკე, შეისმინე უღირსი ლოცვა ჩემი. ჰოი ყოვლად საკვირველო, განუზომელო უფსკრულო მოწყალებისაო, ქრისტე ღმერთო, რომელმან ლოცვა შესწირე ღმერთსა მამასა, მტერთა ჯვარმცმელთა შენთათვის, მომეც მეცა ცოდვილსა მადლი ესე, რათა მიყვარდეს მტერნი ჩემნი და ვილოცო მათთვის; ავაზაკისა მონანულისა კართა სამოთხისა განმღებელო, მომხედე, ნათელო ჩემო, მეცა ცოდვილსა, მომეც სინანული და განმიღე კარი მოწყალებისა შენისა და მომიხსენე მე უღირსი, სასუფეველსა შენსა. უკანასკნელ სულისა შენისა წმიდისა ხელთა ღვთისა მამისა შემვედრებელო, მიიღე, შემოქმედო, სულიცა ჩემი ჟამსა აღსრულებისა ჩემისასა; ჯვარიდგან გარდმოხსნილო და საფლავსა შინა მკვდრად განსვენებულო, მაცხოვარო,

მყოფო ნათელსა შინა მიუდგომელსა, აღიღე ჩემგანცა ტვირ-
თი მძიმე ცოდვისა და ნუ მოიძაგებ განსვენებად საფლავსა
შინა უღირსისა გულისა ჩემისასა, მოსაკვდინებელად ხორცი-
ელთა ჩემთა ზრახვათა; რათა არღარა ჩემთვის, განხრწნადი
ესე ქმნილება, არამედ შენ, უფლისა და ღვთისა ჩემისათვის,
ვსცხოვრობდე და შენითა, ჰოი ყოვლად მოწყალეო, კეთილ
ნაწლეობითა ვეღირსო ხილვასა ჩემისა მაცხოვრისა და შემო-
ქმედისა დიდებითა და პატივითა ჯვარცმის და სიკვდილის
მიღებისათვის გვირგვინოსანისა, ნათელსა შინა შენისა შეუხე-
ბელისა დიდებისა, სადაცა სუფევ დაუსაბამოით შენით მამით
და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველს მყოფელით და
თანა არსით სულით პირველ საუკუნეთა, აწდა მარადის და
უკუნისამდე. ამინ.

სიტყვა

კვირა-ცხოვლობაზედ.

> რქვა მას იესო, რამეთუ მიხილე და
> გრწამს, ნეტარ-არიან, რომელთა არა უხი-
> ლავ და ვრწმენე (იოან. კ, კთ).

იესო ქრისტე, მკვდრეთით აღდგომილი, მრავალ-გზის
გამოეცხადებოდა მოწაფეთა თვისთა ორმეოცთა დღეთა შინა,
ვიდრე ზეცად ამაღლებადმდე; ასწავლიდა მათ, განამტკიცებ-
და მათ სარწმუნოებასა შინა და ამზადებდა მათ დიდისა მათი-
სა მსახურებისათვის. თვით აღდგომის დღეს გამოუჩნდა იგი
მწუხრად ათთა მოწაფეთა რომელნი იყვნენ შეკრებილ ერთ
სახლში, აღუთქვა მოვლინება სულისა წმიდისა და უბრძანა,
რომელ წარავლინებს მათ ყოველსა ქვეყანასა ზედა ქადაგებად
სახარებისა. ამ დროს ერთი მოწაფეთაგანი, თომა არ იყო მუნ;
ხოლო ოდეს ახარეს მას აღდგომა ქრისტესი, არ ირწმუნა:
უკეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა, სთქვა თომა, **სახე იგი სამ-
სჭვალთა და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭვალთასა და
დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არა სადა მრწმენეს.** ხოლო
იესო, შემდეგ რვისა დღისა, კვალად გამოუჩნდა მოწაფეთა
თვისთა, რომელთა შორის იყო თომაცა, აჩვენა მას ხელნი

თვისნი ფერხნი და გვერდი და რქვა მას: **ნუ იყოფინ ურწმუნო, არმედ გრწმენინ.** მიუგო თომა და რქვა: **უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი! რქვა მას იესო: რამეთუ მიხილე და გრწამს, ნეტარ-არიან რომელთა არა უხილავ და ვრწმენე.** ჩვენთვის რქვა, ძმანო ქრისტიანენო, სიტყვა ესე მაცხოვარმან. **ნეტარ-არიან რომელთა არა უხილავ და ვრწმენე.** ჩვენ ყოველნი მორწმუნენი, რომელ-ნი არა ვხედავთ მას ხორციელითა თვალითა, ვითარცა მოცი-ქულნი ხედვიდენ მას, გარნა გვრწამს იგი გულითა და სული-თა, მივიღებთ ნეტარებასა ამას აღთქმულსა მაცხოვრისაგან. აწ განვიზრახოთ მოკლედ, თუ რაისათვის უმეტესი აქვს ფასი სარწმუნოებასა ჩვენსა, ვიდრე სარწმუნოებასა, მათსა, რომელ-ნი თვალითა თვისითა ხედვიდენ მაცხოვარსა.

სარწმუნოებასა ჩვენსა, ძმანო ქრისტიანენო, მისთვის აქვს უმეტესი ფასი, რომელ იგი პირველად გაჩნდება გულსა შინა ჩვენსა და გულისაგან გამოვა გარეშე სიტყვათა და საქმეთა შინა ჩვენთა. ხოლო სარწმუნოება თანა-მედროეთა მაცხოვრი-სათა, რომელნი ხედვიდენ მას თვალითა თვისითა, გაუჩნდე-ბოდა ხედვისაგან და მერმე შევიდოდა გულსა შინა მათსა. ადვილი იყო მათთვის რწმენა, ოდეს იგინი ხედვიდენ თვალი-თა თვისითა დიდთა სასწაულთა: ბრმისა განკურნებასა, განრღვე-ულისა განმტკიცებასა, მკვდრის აღდგომასა; არა ძნელ იყო რწმენა მაცხოვრისა მათთვის, რომელნი თვალითა თვისითა ხედვიდენ საღმრთოსა მისსა სახესა, ყურითა თვისითა ისმენდენ ზეციურსა ხმასა, პირისა მისისაგან მიიღებდენ დარიგებასა; საკმაო იყო, ზოგჯერ, ერთი მხოლოდ შეხედვა მისისა ღვთა-ებრივისა სახისა, რომ ეთქვა კაცს: სწორედ იგი არის ძე ღვთისა. ხოლო აწ ჩვენ ვართ მოკლებულ ამათ ყოველთა; ჩვენ მხოლოდ წიგნთაგან შევიტყობთ მისთა სიტყვათა და ჰაზრთა; ამისთვისცა სარწმუნოება ჩვენი მოითხოვს ჩვენგან უმე-ტესსა გულს-მოდგინებასა და მხნეობასა.

მეორედ, სარწმუნოება ჩვენი, ვისაც აქვს, ჭეშმარიტი და ცხოველი სარწმუნოება, გამოაჩენს უმეტესსა ღირსებასა და სათნოებასა კაცისასა, ვიდრე სარწმუნოება მათი, რომელნი ხე-დვიდენ მაცხოვარსა.

არის ორ-გვარი სარწმუნოება: ერთი თავისუფალი, გუ-ლითადი და მეორე იძულებითი, უნებრივი. ოდეს თანა-მე-დროენი იესო ქრისტესნი იხილვიდენ ოთხის დღის მკვდრის სა-ფლავით გამოხმობასა, ანუ სხვასა ესე ვითარსა სასწაულსა, მაშინ არ შეეძლოთ მათ არა რწმენად, მაშინ უნებრივ გაუ-ჩნდებოდათ მათ სარწმუნოება. იქმნება გული მათი თავით თვისით არ იყო მიდრეკილი სარწმუნოებისადმი, გარნა ოდეს

იმას იხილვიდენ, არ შეეძლოთ არა რწმენად. თვით მტერნი
იესო ქრისტესნი, ოდეს იხილვიდენ მისთა დიდთა საქმეთა, არ
შეეძლოთ არა რწმენად, რომელ იგი იყო ძე ღვთისა, გარნა
გული მათი ესოდენ იყო გაფუჭებულ, რომელ მაინც სდევნი-
დენ მაცხოვარსა; ხოლო ვისაც აწ რწმენა მაცხოვრისა, იგი
მით გამოაჩენს, რომელ გული მისი არის კეთილი და სახიერი.

გარნა ნუ დავივიწყებთ, ძმანო ჩემნო, რომელ ახლაცა
დიდი განრჩევა არის ჩვენ შორის სარწმუნოებითა. არა ყო-
ველთა აწინდელთათვის იტყვის მაცხოვარი: **ნეტარ-არიან, რო-
მელთა არა უხილავ და ვრწმენე.**

ჩვენ ყოველთა გვაქვს სარწმუნოება, გარნა ზოგთა სარ-
წმუნოება არის ცივი, უქმი და თითქმის მკვდარი, და ისინიც
არიან მსგავსნი ფარისეველთა და მწიგნობართა, რომელ-
ნი, ხედვიდენ რა სასწაულთა ქრისტესთა, იცოდენ, რომ იგი
არს ძე ღვთისა, გარნა არ იქმოდენ კეთილსა საქმესა; ხოლო
ზოგთა ჩვენგანთა აქვსთ სარწმუნოება ტფილი და ცხოვე-
ლი, რომელი იპყრობს ყოველსა გულსა და გამოჩნდება სი-
ტყვათა და საქმეთა შინა, მათთვის მხოლოდ იტყვის მაცხოვა-
რი: **ნეტარ-არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენე.**

უკეთუ თვით გული შენი მოითხოვს სარწმუნოებასა და
ვერ შეგიძლიან გასძლო თვინიერ სარწმუნოებისა, უკეთუ სმე-
ნა სახარებისა არს ნუგეში გულისა შენისათვის, მაშინ ნეტარ
ხარ შენ, ვინაითგან ცხადად ჰსჩანს, რომ გული შენი კეთილია
და სახიერი. კაცი ბოროტი ვერ მიიღებს სახარებასა; გული
განრყვნილი და გონება დაფანტული ვერ შეიტყობს ხარებასა
ქრისტესსა. ხასიათი და თვისება კაცისა გამოჩნდება მისგან,
რაც უყვარს, რასაც ეძიებს და რაისადმიცა აქვს მისწრაფება.
უკეთუ შენ გრწამს და გიყვარს ლოცვა, ეკკლესია, სახარება,
მაშა-სადამე გული შენი კეთილ არს, მაშა-სადამე მადლი ქრი-
სტესი ახლო არს შენდამი. ხოლო უკეთუ ნაცვლად ამისა შენ
ეძიებ ხორციელსა ნუგეშსა და კმაყოფილებასა, უკეთუ შენ
ჰპოებ შენსა ნუგეშსა, საჭმელსა, ანუ სასმელსა, ანუ შესამო-
სელსა, ანუ სხვასა რომელსამე მსოფლიოსა კმაყოფილებასა ში-
ნა, მაშა-სადამე გულსა შენსა არ მიუღია მადლი ქრისტესი და
არა გაქვს შენ ნაწილი მათ შორის, რომელთათვის ჰსთქვა
უფალმან: **ნეტარ-არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენე.**

განა არ შეუძლიან, ძმანო ქრისტიანენო, უფალსა ახლაც
გამოცხადდეს და სასწაულებითა თვისითა შეარცხვინოს ურ-
წმუნონი, განამტკიცოს სულ-მოკლენი და სუსტნი მსგავსად
თომა მცირედ მორწმუნისა, დაუხშოს პირი წინააღმდეგთა?!
გარნა მას არა სურს, რათა სარწმუნოება ჩვენი იყოს იძულე-

ბითი, მას სურს რათა თვით გული ჩვენი მიგვიზიდავდეს სა-
ხარებისადმი, რათა თავისუფლად, ჩვენითა განზრახვითა მივი-
დოდეთ მისდამი; მოკლედ ვსთქვათ, მას სურს, რათა ჩვენ მი-
ვიღოთ უმეტესი სასყიდელი და ნეტარება ჩვენითა სარწმუნო-
ებითა. ამინ.

სიტყვა,

კვირიაკესა განრღვეულისასა.

ეტყოდეს მას ურიანი იგი: შაბათი არს
და არა ჯერ-არს აღებად ცხედარი
შენი (იოან. ე, ი).

ოდეს მაცხოვარმან, დღესა შაბათისასა, განკურნა გან-
რღვეული, მდებარე უძრავად ოც და ათვრამეტ წელ ცხედარ-
სა ზედა, ვითარცა გვესმა ჩვენ დღეს წარკითხულისა სახარე-
ბისაგან, და უბრძანა მას აღება ცხედრისა თვისისა და წასვლა,
მაშინ ურიათა, იხილეს რა განრღვეული იგი განკურნებული,
აყვედრებდენ მას და ეტყოდენ: **შაბათი არს და არა ჯერ-არს
აღებად ცხედარი შენი.** ნაცვლად სიხარულისა და მადლობის
შეწირვისა ღვთისადმი ესე ვითარისა დიდისა სასწაულისათვის,
ურიანი მხოლოდ მას ხედვიდენ, რომელ მაცხოვარმან, ვითომც
დაარღვია დღესასწაული შაბათისა; მათ ეგონათ, რომელ შა-
ბათის დღეს კაცი უნდა იჯდეს ერთს ადგილს, თითქმის უძრა-
ვად და არა ჰქმნას არცა ბოროტი, არცა კეთილი რამე საქმე;
ხოლო ოდეს მაცხოვარი დღესა შაბათისასა განკურნებდა რო-
მელსამე სნეულსა, მაშინ ურიანი აყვედრებდეს მას, ვითარცა
სჯულის დამრღვეველსა: ესრეთ იყო დაბნელებული გონება
მათი ცუდისა ამის ჩვეულებისაგან. სჯულსა შინა მათსა არ
იყო თქმულ, რომელ დღესა შაბათისასა კაცი უნდა იყოს
უძრავი და არცა რაიმე კეთილი საქმე აღასრულოს. ცუდი ესე
ჩვეულება მოიგონეს თვით მათ, ურიათა; სხვანიცა მრავალნი
ცუდნი ჩვეულებანი ჰქონდათ მათ, რომელნი აბრკოლებდენ
სულიერსა მათსა ცხოვრებასა და აფუჭებდნენ კეთილსა ზნეო-
ბასა; გარნა რა საჭიროა ჩვენთვის, ძმანო ქრისტიანენო,
ვრცლად მოთხრობა მათთა ჩვეულებათა. ჩვენ, ჩვენთვის ვი-
ფიქროთ, ჩვენისა ცხოვრებისათვის და ჩვენთა ჩვეულებათა-

თვის; განვიზრახოთ და განვიკითხოთ, არა გვაქვსა ჩვენ რო-
მელნიმე დამაბრკოლებელნი და კეთილისა ზნეობისა წინააღმ-
დეგნი ჩვეულებანი?

ერთისა, უმეტესად მავნებელისა და არა შესაწყნარებელი-
სა ჩვეულებისათვის მე კიდეც გითხარი თქვენ, ძმანო ჩემნო
ქრისტიანენო, რაოდენიმე სიტყვა ერთსა წასრულსა კვირიაკე-
სა შინა, ესე იგი გრძელისა მის წყობილებისა და ტირილისა-
თვის, დროსა მიცვალებულთა განსვენებისასა. პირველი მიზე-
ზი, რომლისათვისცა ჩვეულებასა ამას მე ვხედავ, ვითარცა მავ-
ნებელსა და არა შესაწყნარებელსა, არის შემდგომი: აღსრუ-
ლება ჩვეულებისა ამის ადვილად ასწავლის კაცსა ფარისევლო-
ბასა და პირ-მოთნეობასა. ყოველი მწუხარება და ტირილი,
ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, არის ბუნებითი უნებრივი გრძნო-
ბა. მწუხარება და ტირილი ჩემდა უცნობელად და უნებრივად
უნდა მქონდეს მე გულში; გარნა, უკეთუ მე წინათვე მოვამ-
ზადებ თავსა ჩემსა მწუხარებისა და ტირილისათვის, უკეთუ მე
ვეტყვი ჩემ თავს: აქ და ამ დროს მე უნდა ვიტირო და ცრემ-
ლი ვყარო, რა საკვირველია, რომ ეს არის ფარისევლობა და
ვინც ამას ხშირად იქმს, იგი სხვათაცა შინა საქმეთა მიეჩვევა
ფარისევლობასა და პირ-მოთნეობასა. ყოველი გარეგანი მო-
ქმედება და სიტყვა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი და სასარ-
გებლო, ოდესცა იგი გამოვა გულისა და სულისაგან, გარნა
ოდეს კაცი სიტყვით და მოძრაობით ერთ საქმეს იქმს და გულ-
ში სხვა ჰაზრი აქვს, მაშინ ბუნება კაცისა განიპობა ორად
და ზნეობა მისი დავარდება. გარნა თქვენ ყოველთა იცით,
რომელ უმეტესი ნაწილი მოტირალთა სტირიან არა გულისა-
გან, არამედ მხოლოდ ცერემონიის აღსასრულებლად. სხვა
არის, როდესაც სტირის ჭირისუფალი მიცვალებულსა და მა-
ხლობელი მისი ნათესავი, რომელსაც გული ეწვის და რომე-
ლიც მართლად მწუხარე არის, გარნა როდესაც სტირის კაცი
შორეული მიცვალებულის და თითქმის, უცნობი, მაშინ იგი
ფარისევლობს და სტყუის. ვინ იცის, იქმნება, ეს ჩვეულება
იყოს ერთი მიზეზთაგანი, რომ საზოგადოდ ამ ქვეყნის მცხოვ-
რებთა აქვსთ მიდრეკილება სიცრუისა და მოტყუებისადმი.
აჰა პირველი მიზეზთაგანი, რომლისათვისცა ჩვენ უნდა ვეცადნეთ
და მოვსპოთ ეს ჩვეულება. ამის მეტი სხვა მიზეზი რომ არ
იყოს, ესეც საკმაო იქმნება, რათა განვეშოროთ ჩვეულებასა
ამას; გარნა არის კიდევ სხვა მიზეზი, არა უმცირესი ამაზედ:
ჩვეულება ესე ართმევს მათ უქმად დროების განტარებასა.
თქვენ ყოველთა იცით, ძმანო, ქრისტიანენო, რომელ, ზოგ-
ჯერ მიცვალებული არის დაუმარხავი უმეტეს ორის და სამის

კვირისა; განმავლობასა შინა ესოდენის ჟამისა ყოველთა მის-
თა ჭირისუფალთა არა აქვსთ მოცალება, ხოლო დღესა ტი-
რილისასა ურიცხვი ერი არის უქმად. შორითგან მომავალნი
მონათესავნი და მცნობნი მიცვალებულისა, გარე-მოცულნი
მრავალთა მხლებელთაგან, უსაქმოდ და ცუდად ჰკარგავენ რა-
ოდენსამე დღესა. გარნა თქვენ თვითონ იცით, თუ რაოდენ
ძვირ-ფასი არის შრომის-მოყვარისა კაცისათვის, არა-თუ
მრთელი დღე, არამედ ერთიცა წამი. ისიც არის ერთი დიდი უწე-
სოება, რომელ მოტირალი დაიჩოქებს და ესრეთ სტირის წი-
ნაშე მიცვალებულისა, მაშინ როდესაც კაცმან მუხლი უნდა
მოიდრიკოს მხოლოდ წინაშე ღვთისა, ანუ ხატისა მისისა,
ჟამსა ლოცვისასა. ბოლოს, ვითარი შეუსაბამო და წინააღმდე-
გი არის ისიცა, რომელ ზოგჯერ ტირილი მოხდება შიგ ეკ-
კლესიაში, და ესრეთ ადგილი იგი ლოცვისა, სადაცა დუ-
მილით და შიშით და კრძალულებით უნდა იქცეოდეს კაცი,
აივსება საშინელითა ყვირილითა, შფოთითა და აღრეულო-
ბითა.

თუმცა ეს ორი მიზეზი ცხადად გვეტყვიან ჩვენ, თუ ვი-
თარ უსარგებლო და უადგილო არის ამ ჩვენ დროებაში ჩვე-
ულება ესე, გარნა მას ერთი მაინც მისი გასამართლებელი მი-
ზეზი ის აქვს, რომელ იგი არის ძველი, წინაპართაგან მოღებუ-
ლი ჩვეულება; ხოლო რით უნდა განვამართლოთ, რომლისა
მიზეზისათვის უნდა შევიწყნაროთ მეორე იგი ჩვეულება, რო-
მელიც თვითონ ჩვენ მოვიგონეთ და მიუმატეთ ტირილსა,
აწ ამ ჩვენ ახალ დროებაში, ესე იგი მუზიკით გამოსვენება და
დამარხვა მიცვალებულთა? მუზიკა წეს-დებულებისამებრ სამ-
ხედროისა მთავრობისა უნდა ეახლოს მხოლოდ მას მიცვალე-
ბულსა, რომელსა ჰქონდა სამხედრო ხარისხი; ხოლო აწ, მი-
ხედვითა რომელთამე არა გონიერთა დამწყებელთა პირთა,
თითქმის ყოველთა მიცვალებულთა ზედა იწყეს მოწოდება მი-
სი, ვითარცა ქალაქსა, ეგრეთვე სოფლებთა შინა. მრავალთა
შესაწუხებელთა ჰაზრთა განაღვიძებს გულსა შინა ჩემსა ეს
ახლად მოგონებული ჩვეულება. ვიხილავ რა მუზიკასა, მო-
წოდებულსა გამოსვენებასა ზედა უბრალოისა და სრულიად
არა მდიდრისა მიცვალებულისა, მე ვფიქრობ: ვითარი აღუა-
რებელი ამაოება, თავხედობა და თავის-მოწონება სუფევს გულ-
სა შინა ჩვენსა? რისთვის მიიწვევენ მუზიკასა, რა სამკაული
არის იგი, ანუ რა სახმარია მიცვალებულისათვის? გარნა ვინ
ფიქრობს აქ მიცვალებულისათვის; ეს არის ერთი მხოლოდ
თავის გამოჩენა და სხვათა მიბაძვა. თუ იმ ჩემმა მეზობელმა
მუზიკით დამარხა თვისი მიცვალებული, მე იმაზედ უარესი

ხომ არა ვარო! ჰოი უგუნურებასა და ამაოებასა ჩვენსა! ქვეყნის სასარგებლო და გონიერი რაიმე თუ მოიგონა ვინმე და გვაჩვენა, იმას ძნელად ვისმენთ და მივბაძავთ; ხოლო ფუჭი და ურგები და ამაო თუ ვნახეთ რაიმე, იმას მალე ვისწავლით და მივეჩვევით. ნაცვლად მოწყალების გაცემისა და გლახაკის და ობლის შეწყნარებისა მიცვალებულის სულის საცხოვნებლად, ჩვენ მუზიკას მიუწოდებთ დროსა მისის განსვენებისასა. რაოდენი ღარიბი სოფლები ეკკლესიებს აშენებენ ჩვენ ქვეყანაში; რაოდენი ქვრივნი, ობოლნი, გლახაკნი, დავრდომილნი არიან ყოველთა შინა სოფლებთა; ნაცვლად მათთა შემწეობისა ჩვენ მუზიკით ვიქადით და აღვამაღლებთ ჩვენ თავსა და მასზედ ვხარჯავთ მცირესა, მიცვალებულთაგან დაშთენილსა ქონებასა.

არა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ნაცვლად ახალთა ამაო ჩვეულებათა მოგონებისა და მიღებისა, ძველი რაც ვიცით ამაო და ურგები, ისიც უნდა დავივიწყოთ. გევედრები, ძმანო ჩემნო, არა ამაოდ იყოს ჩემი სიტყვა და სწავლა, არა ცუდად ვსცემდე ჰაერსა ენითა ჩემითა, არამედ კარგად იფიქრეთ თქმულზედ და ცოტ-ცოტათი განეშორენით ცუდთა ჩვეულებათა და ესრეთ სასარგებლოდ თქვენდა იყოს სწავლა ჩემი. ამინ.

სიტყვა

კვირიაკესა განრღვეულისასა.

> ამისა შემდგომად ჰპოვა იგი იესო ტაძარსა მას შინა და ჰრქვა მას: აჰა ცოცხალ იქმნენ, ნურღარა სცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ, (იოან. ე,იდ)

მაცხოვარმან, ვითარცა გვესმა დღეს წარკითულისა სახარებისაგან, განჰკურნა რა ოც-და-ათვრამეტის წლის უძლური განრღვეული, უთხრა მას ეს სიტყვები: **აჰა ცოცხალ-იქმენ, ნურღარა სცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ.** რა ჰაზრი გამოდის, ძმანო, სიტყვათა ამათგან? რომელი სწავლა და დარიგება შეგვიძლიან ჩვენ ვპოვოთ მათ შინა? ის, ძმანო ჩემნო საყვარელნო, რომელ ესოდენ გრძელ-ჟამიერი და სასტიკი სნეულება კაცისა მის იყო შედეგი ანუ ნაყოფი რომლისამე მი-

სის ცოდვისა, მაშა-სადამე ყოველსა ცოდვასა კაცისასა შეუდ-
გება რომელიმე ხორციელი, ანუ სულიერი უბედურება; ცო-
დვა ყოველთვის კაცის ბუნებაში ისრე მოქმედებს, ვითარცა
საწამლავი, გააფუჭებს და წაახდენს მას არა-თუ მხოლოდ სუ-
ლიერად, არამედ ხორციელადცა.

სწორეთაც ესრეთ არის, ძმანო ჩემნო ყოველსა ცოდვასა
აქვს დამარღვეველი და გამაფუჭებელი მოქმედება სულსა და
ხორცსა ზედა კაცისასა; ყოველი ცოდვა გააჩენს ჩვენში რო-
მელსამე ვნებასა და ზიანსა: დიდი ცოდვა დიდს უბედურებას
შეამთხვევს კაცსა, მცირედი ცოდვა მცირესა ვნებასა.

პირველი შედეგი ანუ ნაყოფი ცოდვისა ის არის, რომელ
იგი ყოველ კაცს მოაკლებს მადლსა ღვთისასა და ესრეთ წარ-
წყმედს მას; ეს არის თვით უსაშინელესი მოქმედება ცოდვისა.
გარნა ამაზედ მე არ განვარგძელებ დღეს სიტყვასა ჩემსა, მის-
თვის, რომელ ეს იცის ყოველმან კაცმან; ამაზედ არავინ არ
ცილობს. ჩვენ დღეს ის უნდა დავამტკიცოთ, რომელ ცოდვა
არა-თუ მხოლოდ სულსა ჩვენსა წარწყმედს, არამედ თვით აქ,
ამ სოფელშიაც, წაახდენს კაცს მით, რომელ ყოველსა ცოდვა-
სა შეუდგება ხორციელი სნეულება და ვნება. ამას დაგიმტკი-
ცებ მე შენ, ძმაო ჩემო, მრავლითა მაგალითითა; ვსთქვათ მა-
გალითებრ: ნაყროვანება, ანუ ნამეტნავის საჭმლის მიღება, ხში-
რად შეიქმნება მიზეზად მრავალთა სნეულებათა; ეს იცის ყო-
ველმა კაცმა; ეგრეთვე ყოველმან კაცმან უწყის, რომელ სიმ-
თვრალე სრულიად დაასნეულებს კაცს და მიიყვანს საფლავამ-
დინ. გარნა ვნება გამომავალი ორთა ამა ხსენებულთა ცოდვა-
თაგან ერთობ ცხად-არს და უეჭველ ყოვლისა კაცისათვის.
ჩვენ ავიღოთ მაგალითად ისრეთი ცოდვა, რომელი პირველი-
თა შეხედვითა არ შეამთხვევს კაცსა არცა ერთსა სენსა და
უბედურებასა; ვსთქვათ შური. რა სენი ანუ რა ვნება უნდა მის-
დევდეს ამ ცოდვას. იგი აქვს კაცსა გულში და ვერც კი ვინ-
მე შეატყობს მას, რომ ჰქონდეს ეს ცოდვა. გარნა, ძმანო ჩემნო,
შურისაგან კაცს შეემთხვევა მრავალი ცხადი უბედურება. თუ
კაცის გულში განძლიერდა შური, თუ შურმა შეიპყრა გონე-
ბა კაცისა, მაშინ იგი იქნება მოუსვენებელი, პირ-მკრთალი,
გამხდარი ტანითა, აღელვებული, ერთი სიტყვით, იგი არის სა-
წყალი შესაბრალებელი. ავიღოთ კიდევ სხვა ერთი მაგალითი;
ვსთქვათ მცონარება ანუ უსაქმობა: თავ-და-პირველად კაცი
ესრეთ იფიქრებს, რომელ ამ ცოდვას არ შეუდგება არცა ერ-
თი სენი და ვნება; გარნა ეს არ არის ესრეთ: კაცის ტანი და
აგებულება ყოველთვის მოითხოვს შრომასა და მოძრაობასა;
თუ კაცი დიდხანს დაშთა უძრავად და უსაქმოთ, უთუოდ ავათ

გახდება. ამაზედ კიდევ ის დაამატე, რომელ მცონარე კაცი მალე შთავარდება სიღარიბეში. არღარას ვიტყვი სხვათა რომელთამე საშინელთა ცოდვათათვის, რომელთა შეუდგებიან უსაშინელესნი ვნებანი და უბედურებანი, რომელთა ზედა საუბარი არ არის შესაფერი წმიდისა ამის ადგილისა.

გარნა, ძმაო ჩემო საყვარელო, ის კიდევ არ არის საკმაო, რომ ცოდვითა შენითა შენს საკუთარ თავს აფუჭებ და ხშირად შთავარდები სენსა და უბედურებასა შინა; არამედ ის არის აქ საშინელი, რომ წინათვე უმზადებ სენსა და უბედურებასა ყოველთა შვილთა და მომავალთა შენთა. ყოველი კაცის თვისება სულიერიცა და ხორციელიცა გარდადის მისთა შვილთა და მომავალთა ზედა. ერთხელ მოციქულთა იესო ქრისტესთა იხილეს ერთი შობითგანვე ბრმა კაცი და ჰკითხეს უფალს: **ვინ სცთდა; ამან, ანუ მშობელთა მისთა, რამეთუ ბრმა იშვა** (იოან. თ,ა). სჩანს, რომელ სნეულება და უბედურება გადავა მამისაგან შვილებთა ზედა. ყოველი ცოდვა არის თესლი, რომელი თავის დროზედ გამოიღებს მწარესა ნაყოფსა, ვითარცა შენს ბუნებასა შინა, ეგრეთვე ყოველთა მომავალთა შინა შენთა. მაშასადამე კარგად გასინჯე, ძმაო, და ერთად, წარმოიდგინე, რაოდენი და რა საშინელი ვნებანი შეუდგებიან ცოდვასა; იგი დაგასნეულებს და წაგახდენს თვით შენ; მოყვასნი შენნი, მხედველნი ცოდვისა შენისა, მიიღებენ შენგან ცუდსა მაგალითსა; შვილნი და მომავალნი შენნი ეგრეთვე შეიქმნებიან მოზიარედ შენისა უბედურებისა. ჰოი, ვითარსა მძიმესა ტვირთსა გარდასცემ შენ შვილთა და მომავალთა შენთა! ხორცისა და სისხლისა შენისა თანა იგინი მიიღებენ შენგან შობითგანვე მრავალთა სენთა და ცუდთა მიდრეკილებათა; იზრდებიან რა იგინი სახლსა შენსა წინაშე პირისა შენისა, ხშირად ხედვენ ცოდვასა შენსა, მიეჩვევიან მას და ესრეთ უნებრივად შეიქმნებიან მემკვიდრედ შენისა ცოდვისა და უბედურებისა.

განგებ ჰქმნა, ძმანო ჩემნო, ღმერთმან ესრეთ, რათა ყოველსა ცოდვასა შეუდგებოდეს ცხადი სენი და უბედურება. კაცსა აქვს დიდი მიდრეკილება ცოდვისადმი; ცოდვა ადვილად მიიზიდავს კაცსა და აცთუნებს. გარნა ღმერთმან ყოველი ცოდვა შეაერთა რომლისამე უბედურებისა თანა, რათა შეგაშინოს შენ და განგაშოროს ცოდვისაგან. ახლა, ძმაო ჩემო, შენ თვითონ იფიქრე: უკეთუ ცოდვა ესრეთ წაგახდენს შენ, ავნებს შენთა მხედველთა და მომავალთა, ცხად არს, რომელ მადლი და სათნოება გიქმს შენ ამის წინააღმდეგსა, ესე იგი, თვით ამ ქვეყანაში იქმნება წყაროდ ნუგეშისა და ბედნიერებისა შენთვის და ყოველთა შენთა მომავალთათვის. მაშასადა-

მე არ უნდა შეიყვარაოა ყოველი მადლი და სათნოება და არ
უნდა მოერიდოა ყოველსა ცოდვასა? ღმერთო! რა საკვირვე-
ლი არის ბუნება კაცისა, რა გაფუჭებულია იგი და დავარ-
დნილი! უკეთუ მსახურება შენი, ღმერთო ჩემო, თვით აქ, ამ
სოფელში, ესოდენ არს ჩემთვის სასარგებლო და ბედნიერ,
ხოლო ცოდვა ესოდენ მავნებელ და უბედურ, შენ მხოლოსა
არ უნდა გემსახურებოდეა მე ყოველსა ცხოვრებასა შინა
ჩემსა?

გარნა აქ ვინმე მეტყვის მე, რომელ სათნოების შეძენაცა
არ არის ადვილი; ღვთის-მსახურებაცა მოითხოვს ჩვენგან დიდ-
სა შრომასა და მოთმინებასა; ჭეშმარიტ-არს ესე, ძმაო, გარნა
უკეთუ შრომა და მოთმინება მიუცილებელი არის კაცისათვის
ამ სოფელში, არ გირჩევნია ძმაო ჩემო, ღვთისათვის და სუ-
ლის ცხოვნებისათვის მიიღო შრომა და ტვირთი, ვიდრე და-
მონებული ცოდვისადმი, ცოდვისაგანვე მიიღო სასჯელი და
უბედურება თვით აქ, ამ ქვეყანაზედვე და უმეტესად დაუსრუ-
ლებელი ტანჯვა მომავალსა შინა საუკუნესა?

ღმერთო! დანერგე ჩვენს გულში შიში და მოძაგება ცო-
დვისა და სიყვარული სათნოებისა. ამინ.

სიტყვა

განრღვეულის კვირიაკესა.

ეტყოდეს მას ურიანი იგი შაბათი არს
და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი
შენი (იოან. ე, ი).

უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, განკურნა რა ოც-და-ათვრა-
მეტის წლის უძლური განრღვეული, მდებარე ცხედარსა ზედა,
ვითარცა გვესმა დღეს წარკითხულისა სახარებისაგან, უბრძანა
მას: აღსდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე. განკურნებუ-
ლი იგი კაცი სიხარულითა დიდითა აღსდგა ცხედრისაგან,
აღიღო იგი და ვიდოდა. ეს იყო დღესა შაბათისასა. ურიათა,
ოდეს იხილეს კაცი იგი, ეტყოდეს მას: შაბათი არს და არა
ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი. და როდესაც შეიტყვეს,
რომ მაცხოვარმან განჰკურნა იგი და უბრძანა აღება ცხედრი-

სა შაბათსა, მაშინ იგინი აყვედრებდენ უფალსა და იტყოდენ, იგი სჯულისა გარდამაქცეველი არისო. რას ნიშნავდა, ძმაო, ეს გასაოცარი ქცევა ურიათა? როგორ მოხდა, რომელ კეთილის-მყოფელსა მათსა, კაცის გამაბედნიერებელსა და განმაცოცხლებელსა, ნაცვლად მადლობისა, სიყვარულისა და პატივისცემისა, აყვედრებდენ, აგინებდენ და სდევნიდენ, და არა თუ სდევნიდენ, არამედ სახარებასა შინა შენიშნულ არს: მისთვის სდევნიდეს ურიანი იგი იესოს და ენება მოკვლა მისი. გესმის, ძმაო? ურიათა სურდა მოკვლა იესოსი, იმ იესოსი, რომელიცა, იყო მათი კეთილის-მოქმედი, ცხოვრების და ბედნიერების მიმნიჭებელო. ამას ვერ დაიჯერებდა კაცი და ვერც წარმოიდგენდა, თუ თვით სახარება არ ახსენებდეს ამას. რისთვის იქცეოდენ ესრეთ ებრაელნი? რამეთუ ამას იქმოდა შაბათსა შინა.

აჰა, ძმანო, საშინელი და გასაოცარი მაგალითი მისა, თუ ვითარი მავნებელი არის კაცისათვის ყოველი ცრუ ჰაზრი; რა სახით მოსწამლავს კაცის გულს, რა სახით დააბნელებს ჭკუასა მისსა ზოგიერთი ამაო რწმუნება, უმართლო წარმოდგენა; რა სახით მოქმედობს იგი კაცის გულში, რანაირად გამოსცვლის მისსა ყოფა-ქცევასა და რაოდენთა ცოდვათა შინა შთააგდებს მას იგი. ურიათა ჰქონდათ გულში ღრმად შთანერგული ის ამაო რწმუნება, ანუ ჰაზრი, რომელ შაბათს კაცი უნდა იჯდეს უძრავად, არა ჰქმნას არცა ერთი საქმე, თუმცა საქმე იგი იყოს კეთილი და ღვთის-სათნო და, როდესაც მაცხოვარი მათდა განსანათლებელად და სასწავლებელად შაბათისა დღესა განკურნებდა სნეულთა, მაშინ იგინი სდევნიდეს იესოს და ენება მოკვლა მისი.

ჩვენ, ძმანო, ქრისტიანენი ვართ; უფალმან იესო ქრისტემან საღმრთოითა სწავლითა თვისითა განათავისუფლა კაცი ყოველთა ცრუთა, ამაოთა, მავნებელთა რწმუნებათაგან, რომელნი ფრიად სტანჯვიდენ და ავნებდენ ყოველთა წარმართთა და ურიათა, და მით უმეტეს სირცხვილი არის ჩვენთვის და შეუნდობელ, ოდეს ჩვენ გულშიც და გონებაშიც გაჩნდება და მუშაობს რომელიმე ცრუ ჰაზრი და ამაო რწმუნება; გარნა, საუბედუროდ, ქრისტიანეთაცა შორის არიან მრავალნი ესრეთნი ჰაზრნი, რომელნი დიდსა ვნებასა აძლევენ მათ. სიტყვა ჩვენი არა ერთ გზის შეეხებოღა ესრეთთა ცრუთა ჰაზრთა. მრავალგზის, შეძლებისამებრ, ვიტყოდით აქ რომელთამე ესრეთთა ცრუთა რწმუნებათა ზედა და გაჩვენებდით ვნებათა, რომელნი წარმოსდგებიან მათგან. დღეს ჩვენ გვსურს გიჩვენოთ თქვენ კიდევ ერთი ცრუ და ფრიად მავნებელი ჰაზრი,

რომელი მუშაობს ჩვენს ქვეყანაში და დიდსა ვნებასა აძლევს
რომელთამე პირთა. გარნა, პირველ, გამოვითხოვ თქვენგან –
არა საწყენად მიიღოთ სიტყვანი ჩემნი. როდესაც რომელიმე
ჰაზრი ღრმად აქვს შთანერგული გულში კაცს, თუ გინდ თვით
კაცი იგი ჰგრძნობდეს, რომ ის აზრი არის ცრუ და მავნებე-
ლი, მაინც ეწყინება, თუ ვინმე შეეხო იმ ჰაზრსა და ცდი-
ლობს გაამტყუნოს იგი, გარნა ჩვენგან არ უნდა გეწყინოს,
ძმაო, სიტყვა და დარიგება, როგორათაც შვილსა მამის დარი-
გება და მეგობარს საყვარელისა მეგობრისა და ძმის სწავლა
არ უნდა ეწყინოს, მისთვის, როძელ ღმერთმან თვით ჩვენ
მოგვცეს ესოდენი სიკეთე და ბედნიერება, რაოდენსაცა ჩვენი
სული წადილობს თქვენთვის.

რომელი არის ეს ცრუ ჰაზრი და ამაო რწმუნება, რო-
მელზედაც ახლა გვსურს ჩვენ უბნობა? ისა, ძმაო ჩემო, რო-
მელ, ვითომც კეთილშობილისა კაცისათვის რომელიმე მუშა-
ობა, შრომა ანუ რომელიმე ხელთ-საქმობა იყოს სათაკილო
ანუ სასირცხო, დამამდაბლებელი მისისა ღირსებისა. ეს ჰაზრი
არის სრულებით ცრუ და გამოუთქმელად მავნებლი ჩვენთვის.
მოკლედ, ესრეთ უნდა ვსთქვათ, რომ ქვეყანაზედ არ არის
ისრეთი მუშაობა, რომელი კაცს აძლევდეს სარგებლობას,
გარნა შემაგინებელი კი იყოს მისის ღირსებისა. ადვილად კი
აღიხსნება, საითგან გაჩნდა ის ჰაზრი, რომელ კეთილ-შობილი-
სა კაცისათვის მუშაობა იყოს სათაკილო და სასირცხო. იყო
ისრეთი დროება და გარემოება ჩვენ მამულში, როდესაც ნა-
ხევარი კერძო მცხოვრებთა უნდა ყოფილ-იყო აღჭურვილ
თოფითა და იარაღითა, განმზადებულ ბრძოლად მამულის მტერ-
თან. მაშინ თვით გარემოება მოითხოვდა, რომელ ესრეთთა
პირთა ჰქონოდათ უმეტესი პატივი და მათ სიყრმიდგანვე შე-
აგონებდენ, რომელ მათთვის მდაბიო მუშაობა არის სირცხვი-
ლი. გარნა როდესაც მამულს არ ადგია ჭირი და მტერი არ
აიწროებს, მაშინ ესრეთი შეგონება და ჰაზრი არის დიდად
სავნებელი კაცისათვის. ვერაფრით, ვერცა საღმრთო წერილით,
ვერცა ისტორიით ანუ ფილოსოფიურის განზრახვით ვერ გაა-
მართლებს კაცი იმ ჰაზრს, ვითომც რომელთამე პირთათვის
მუშაობა იყოს სასირცხო და დამამდაბლებელი. საღმრთო წე-
რილი მარადის სიტყვითა და მაგალითითა გვასწავლის, რო-
მელ მუშაობა არის საქმე კეთილი, საქები და ღვთის სათნო.
ათასთა მაგალითთა შორის გამოვარჩევ ერთსა და წარმოგიდ-
გენ: წმიდა მოციქული პავლე არ იყო არც ღარიბი და არც
მდაბალის ხარისხისა. მას ჰქონდა ღირსება რომის მოქალაქო-
ბისა, რომელიც არა-თუ დაედარება, არამედ უმაღლესი არის

ახლანდელის კეთილ-შობილობის ხარისხისა, და ამასთანავე
იგი ესოდენ უყვარდათ ქრისტიანეთა, მისგან განათლებულთა,
რომელ საჭირო რომ ყოფილ-იყო და ეთხოვა, არა თუ საჭმელსა
და სასმელს მისცემდენ მას, არამედ საკუთარსა თვალსა ამოით-
ხრიდა ყოველი მისი მოწაფე და მისცემდა, - როგორათაც
თვით მისწერს იგი კორინთელთა; გარნა როდესაც ესრეთი
კაცი იშოვნიდა თავისუფალს დროებას, მაშინვე დაჯდებოდა
და იწყებდა მუშაობას: იგი თვისი ხელით ჰკერვიდა კარვებს,
ჰყიდდა და ამით იზრდებოდა, რათა არავინ დაემძიმებინა.
ჩვენ რომ ქრისტიანენი ვართ, ეს მაგალითი საკმაო უნდა იყოს
ჩვენთვის; გარნა არ შემიძლიან გაუშვა და არ წარმოგიდგინო
კიდევ ერთი მაგალითი, რომელიცა დარწმუნებული ვარ, გა-
გაკვირვებს შენ. ჩინეთის ხელმწიფე ანუ იმპერატორი, რო-
მელსა სამასი მილიონი ქვეშევრდომი ჰყავს და სიმდიდრე აქვს
აურაცხელი და წარმოუდგენელი, ყოველ წელიწადს, ერთ
დანიშნულ დღეს, გამოვა მინდორში თავისი შვილებით და
დიდებულებითურთ, თავისი საკუთარის ხელით შეაბამს ხარებ-
სა გუთანში, გაუძღვება მათ წინ, მოხნავს და დასთესს ყანასა;
ამ ჟამად მას უმზერს აურაცხელი ერი, ყოველ მხრითგან შე-
კრებილი. რისთვის იქმს იგი ამას? მისთვის, რათა აჩვენოს,
რომ მიწის მუშაობა არავისთვის არ არის სათაკილო და სა-
სირცხვო, არამედ პატიოსანი და ღირსი. თუმცა იგი არის გა-
უნათლებელი კერპთ-მსახური, გარნა ამ შემთხვევაში იგი ჩვენ-
ცა, ქრისტიანეთა, გვაძლევს ფრიად გონიერსა და განათლე-
ბულსა მაგალითსა.

როგორ უნდა იფიქროს კაცმა, რომ მუშაობა არის სათა-
კილო და სასირცხო საქმე? მუშაობა კი არ დაგამდაბლებს
შენ, ძმაო ჩემო. ვინც გინდა იყო, არამედ უქმად დროების
განტარება, რომელი არის დედა ყოვლისა ცოდვისა. ღმერთო!
რა სატირალი არის კაცის ბუნება! როგორ აფუჭებს მას ყო-
ველი ცრუ ჰაზრი და ამაო რწმუნება! იგივე კაცი, რომელსა
რცხვენის უბრალო მუშაობა, რომელი არ ცდილობს თავისი
ხელის შრომით მოიგოს რაიმე, რავდენ-გზის მოტყუებით,
ჭორით, ავაზაკობით და ყოვლითა უჯეროითა საშვალობითა
ცდილობს მოგებად სიმდიდრისა. ესრეთ გააფუჭებს კაცის ბუ-
ნებასა ცრუ ჰაზრი: ცოდვისა არა რცხვენის, ცოდვას არ ერიდება
და შრომა და მუშაობა კი სასირცხოთ მიაჩნია. ღმერთო! თვით
შენ განაშორე ჩვენგან ყოველი ცრუ და მავნებელი ჰაზრი. ამინ.

სიტყვა

კვირიაკესა განრღვეულისასა.

ეტყოდეს მას ურიანი იგი შაბათი არს
და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი
შენი (იოან. ე, ი).

აწინდელი სახარება მოგვითხრობს ჩვენ, ქრისტიანენო, რომელ მაცხოვარმა ერთხელ იხილა რა ოც-და-ათვრამეტის წლის განრღვეული, მდებარე სარეცელსა ზედა, შეებრალა იგი, განკურნა და უბრძანა მას: **აღსდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე.** ურიათა, იხილეს რა განკურნებული იგი, მიმავალი ცხედრითურთ და შეიტყვეს რა, რომელ იგი განკურნა მაცხოვარმან, არა თუ არ შესწირეს ღმერთსა მადლობა და დიდება, არამედ განრისხდენ იმ ზომად, რომ იწყეს დევნა იესოსი და უნდოდათ მოკვლაცა მისი. რისთვის? მისთვის, რომ ეს საქმე მაცხოვარმან მოახთინა შაბათის დღეს... **რამეთუ ამას იქმოდა იგი შაბათს, ვითარცა შენიშნავს სახარება. შაბათი არს და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი, ეტყოდეს ურიანი** განკურნებულსა მას. ურიანი ფიქრობდენ რომ შაბათის დღეს კაცი უნდა იჯდეს უძრავად და არა ქმნას არცა კეთილი საქმე, არცა ბოროტი. ეს ჰაზრი იყო ცრუ და უსაფუძვლო, გარნა ისინი ესოდენ იყვნენ დაჯერებული მას ზედა, რომელ სიკვდილს ემუქრებოდენ ყოველსა, ვინც იყო ამის წინააღმდეგი.

აჰა, ძმაო, რა დიდი გავლენა და მოქმედება აქვს ზოგიერთსა ცრუსა ჰაზრსა, უსაფუძვლოსა ჩეეულებასა, მოგონებულსა წარმოდგენასა კაცის სულზე და ყოფაქცევაზე! როდესაც რომელიმე ჰაზრი და ჩვეულება დაიპყრობს კაცის გონებას, იგი გაერევა ყოველთა შინა მისთა სიტყვათა და მოქმედებათა, და მისცემს მას დიდსა დაბრკოლებასა. ვიცით ჩვენ ყოველთა, რა დიდი გავლენა აქვს სოფლის ჩვეულებათა კაცის გულზე. რა სახით ემორჩილება ყოველი კაცი სოფლის ჩვეულებათა და როგორ ეშინია მას ჩვეულების წანააღმდეგობა. ჩვეულება, თითქმის სჯულზე უმტკიცესია. მრავალ-გზის ვხედავთ, რომელ ზოგიერთთა კაცთა არც საღმრთო სჯულის და არც საეროსა წინააღმდეგობა ისე არ გაუძნელდება, როგორათაც წინააღმდეგობა რომლისამე სოფლის ჩვეულებისა. თუმ-

ცა სინიდისი და ჭკუა მისი ხშირად უმტკიცებდეს მას, რომ ზოგიერთი ჩვეულება არის უსარგებლო და უსაფუძვლო; გარ-
ნა ვინაიდგან უმრავლესნი სოფლის ჩვეულებანი არიან დამკვი-
დრებულნი რომელთამე ცრუთა და მოგონებულთა ჰაზრთა და
წარმოდგენათა ზედა, მაშასადამე აქედგან უნდა გავსინჯოთ და
ვიხილოთ, რა მავნებელი არის, როდესაც კაცთა შორის სუ-
ფევენ ცრუნი ჰაზრნი და მას ზედა დაფუძნებულნი მავნებელნი
ჩვეულებანი, და როგორ უნდა ცდილობდეს კეთილ-გონიერი
კაცი, რომ მოისპონ იგინი კაცთა შორის.

სამწუხაროდ, ცრუნი ჰაზრნი და მავნებელნი ჩვეულებანი
ძლიერ მუშაობენ ქვეყანასა შინა ჩვენსა. ვინც კარგად დაუ-
კვირდება და მახლობლად შეიტყობს ჩვენ ქვეყანაში მცხოვ-
რებთა მდგომარეობასა, იგი სწორეთ იქმნება განცვიფრებუ-
ლი, რა საშინელი გავლენა აქვს მათ შორის მრავალთა პირ-
დაპირ მავნებელთა და ცრუთა ჰაზრთა, რა საშინლად ემონე-
ბიან მათ იგინი და რაოდენთა ცოდვათა შინა შთავარდებიან
იგინი მათგან. თითქმის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, ყოველ
მცირე და დიდი საქმის აღსრულებაზე გაერევა ერთი რამე
ცრუ და მავნებელი ჰაზრი უბრალო მდაბალ ხალხში. ზოგჯერ
მდაბალ გლეხ კაცს ზოგიერთი მზაკვარი მკითხავი ისეთს სა-
ზარელს და მძიმე საქმეზე მისდრეკს და ისეთს გასაოცარს მო-
ქმედებაში შეიყვანს, რომელსაც გონიერი კაცი არ დაიჯერებს,
თუ თავის თვალით არ ნახა.

გარნა სამწუხაროდ, არა თუ მდაბალთა ერთა შორის,
არამედ ყოველთა სხვათა წოდების ხალხთა შორისაც სუფევენ
მრავალნი ცრუნი ჰაზრნი და ჩვეულებანი; მაგალითებრ: არა
ერთ გზის მოგვიხსენებია ჩვენ თვით ამა ადგილისაგან, რა უსარ-
გებლო და მავნებელი არის გძელი და განსხვავებული ტირი-
ლი, რომელი ვიცით ჩვენ მიცვალებულთა ზედა და რომელი,
თვით სიტყისამებრ მრავალთა პატივცემულთა თავადთა და
აზნაურთა, აძლევს დიდსა ხარჯსა და ზარალსა მიცვალებულის
ჭირისუფალთა და მიცვალებულისათვის არ არის სასარგებლო.
აწ ამ ქვეყნის პატივცემულმან კეთილ-შობილმან საზოგადოე-
ბამ ქალაქსა ამას შინა შეკრებილმან, უნდა იფიქროს ამაზე და
ჯეროვანი საზღვარი დაუდვას ჩვეულებასა ამას, რომელი ახ-
ლანდელსა დროებასა მრავალთა-გამო ცვლილებათა სოფლის
წყობილებათა შინა მოხდენილთა, არის უფრორე მავნებელი
და შეუსაბამო.

მეორე ცრუ ჰაზრი და მას ზედა დამოკიდებული ჩვეულე-
ბა, რომელიცა არა ნაკლებსა აძლევს ვნებასა მრავალთა კაცთა,
არის შემდგომი: მრავალნი პირნი ესრედ ფიქრობენ ვითომც

შრომა ანუ მუშაობა ორ-ნაირია და ორად განიყოფა: ზოგიერთი შრომა და მუშაობა არის უკადრისი, შემარცხვენელი და დაბალი, და ზოგიერთი არის მაღალი, საქები და საკადრისი. ესრედ ორად განყოფა შრომისა და მუშაობისა არის სრულიად უსაფუძვლო და მავნებელი. წინააღმდეგ ამისა ის უნდა ვთქვათ, რომელ ყოველი შრომა, რომელიც კი სარგებლობას მისცემს კაცს და შეეწევა მისს რჩენასა, დიახ არის მადლიანი და საკადრისი ყოვლისა კაცისათვის. უკადრისი და შემარცხვენელი კაცისა არის მხოლოდ უქმად ყოფნა. გარნა ვინაიდგან ქვეყანაზე ათასი სხვადასხვა ნაირი მუშაობა და შრომა არის და არცა ერთი მათგანი არ დაამდაბლებს, ანუ შეარცხვენს კაცსა. რომელი საქმე ანუ შრომა გამოარჩიოს თითოეულმა კაცმა და რომელს მოქმედებას შეუდგეს? ეს დამოკიდებული არის კაცის ბუნებაზე, კაცის ჭკუაზე და გარემოებაზე. ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვახსოვდეს, რომელ ყოველმა კაცმა ერთი რომელიმე საქმე უნდა გამოირჩიოს, უქმად არ უნდა იყოს არა-ვინ, ხოლო სახელდობ რომელი შრომა, ანუ მუშაობა არის უმჯობესი მისთვის, ამას შეატყობინებს მისი ჭკუა და გამოცდილება. აქ მე გაგახსოვნებთ ერთს გასაკვირველს მაგალითს, თუმცა დარწმუნებული ვარ მრავალთა თქვენთაგანაც გაუგონიათ იგი. როდესაც პეტრე პირველი დაჯდა რუსეთის ტახტზე, მას ჰყვანდნენ მრავალნი მილიონნი ქვეშევრომნი და ჰქონდა მრავალი სიმდიდრე. რაღა საჭირო იქნებოდა მისთვის უბრალო მუშაობა; გარნა რადგანაც შეხედა, რომ მის სამფლობელოში არ იყო სრულიად სწავლა და განათლება, მან დასტოვა სამეუფეო ტახტი, ჩაიცვა უბრალო მუშის ტანისამოსი, წავიდა განათლებულ ქვეყნებში და იწყო მუნ სწავლა ყოვლისა ხელოვნებისა. მრავალი წლის განმავალობაში იგი მუშაობდა ცულითა და ხერხითა, მან მიითვისა ყოველი მაშინდელი სწავლა და ხელოვნება და მობრუნებულმა თავის სახელმწიფოში გააჩინა ნათელი სწავლისა, რომლითა განადიდა რუსეთი.

გარნა რა საჭირო არის ჩვენთვის მაგალითი საერო ისტორიისაგან! ჩვენ ქრისტიანენი ვართ, და ვითარცა ქრისტიანეთა უდიდესი ფასი უნდა მივაწეროთ იმ მაგალითსა, რომელსა გვიჩვენებს საღმრთო ისტორია. მოვიყვანოთ აქედგან მაგალითნი: მაცხოვარი იესო ვიდრე სრულ ჰასაკის მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებადმდე სცხოვრებდა იოსებ ხუროს სახლში, და ეხმარებოდა მას ხუროობაში. უდიდესი მოციქულთა შორის პავლე, როდესაც თავისუფალ დროს იპოვნიდა ქადაგებიდან, იწყებდა თვისის ხელითა კერვასა ბამბის კარვე-

ბისასა, და იქიდგან ირჩენდა თავის თავსა. უმაღლესნი მამათა შორის ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი, იოანე ოქროპირი, თავისუფალი რომ იქნებოდნენ ეკლესიის მსახურებისაგან, აღიღებდენ ბარსა და თოხსა და შეუდგებოდენ მიწის კეთებასა. ესენი ყოველნი დამამცრომელათ არ რაცხდენ ესრეთსა მუშაობასა. მოკლედ გავაგდოთ გულისაგან ის ცრუ, ცბიერი და მზაკვარი ჰაზრი, ვითომც მუშაობა იყოს კაცის ღირსების დამამდაბლებელი. ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი, დიდნი და მცირენი, არიან შრომის მოყვარენი; თავის შრომაზე და მეცადინეობაზე აქვთ იმედი და მათგან ელიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირებზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ. ღმერთო, განაძე გულისაგან ჩვენისა ყოველი ცრუ ჰაზრი, მოგვეც მხნეობა, დაჰბადე ჩვენ შორის სული შრომისა და მოღვაწეობისა! ამინ.

სიტყვა

კვირიაკესა სამარიტელისასა.

> მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყვანის-მცემელნი თაყვანის-სცემენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამაცა ეგე ვითართა ეძიებს თაყვანის-მცემელთა მისთა; სულ არს ღმერთი და თაყვანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აძს თაყვანის-ცემა (იოან. დ, კბ, კგ).

უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მიდიოდა რა ერთ-გზის იერუსალიმითგან გალილიას მოწაფეთა თანა მისთა, მიეახლა ქალაქსა სამარიტელთასა და დასჯდა მოსასვენებლად წყაროსა ზედა იაკობისსა. ამ ჟამად მივიდა იქ წყლის ამოსავსებელად ერთი სამარიტელი დედაკაცი. მაცხოვარმან ჩვეულებისამებრ

მისისა იწყო სწავლა და დარიგება მისი და გამოუცხადა მას ყოველი ცოდვა, რაიცა მას ექმნა სიყრმითგან. დედა-კაცმან შეიტყო, რა მოძღვარი ასწავლის მას და სთხოვა, რათა აუხ-სნას ეჭვი, რომელი ჰქონდა მას სჯულსა ზედა. სამარიტელნი ფიქრობდენ და არწმუნებდენ, რომელ ჭეშმარიტი ლოცვა და თაყვანის-ცემა ღვთისა შესაძლო არს მხოლოდ იმ მთაზედ, სა-დაცა მათ ააშენეს ტაძარი, გარნა ურიანი ამტკიცებდენ, რო-მელ ღმერთი მხოლოდ იერუსალიმის ტაძრითგან მიიღებს ლო-ცვასა და შესაწირავსა. – **მამანი ჩვენნი,** ჰკითხა დედაკაცმან, **მთა-სა ამას თაყვანის-ცემდეს და თქვენ იტყვით, ვითარმედ იერუსალიმს არს ადგილი, სადა ჯერ-არს თაყვანის-ცემა.** მაშინ მაცხოვარმან მიუგო: **მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს არცა იერუსალიმს, არცა მთასა ამას ზედა თაყვანის-სცემდენ მამასა: არამედ ჭეშმარიტნი....**

ურიანი, ვითარცა ვიცით ჩვენ საღმრთო წერილისაგან, თაყვანისცემასა ღვთისასა განსაზღვრებდენ ერთითა მხოლოდ გარეგანითა მსახურებითა და მსხვერპლის შეწირვითა. იგინი არა ზრუნავდენ შინაგანისა, სულიერისა სიწმიდისა და სიმარ-თლისათვის, არამედ ესრეთ ფიქრობდენ, რომ საკმაოდ აღ-სრულდება ღვთის-მსახურება, ოდესცა კაცი შესწირავს ღმერ-თსა ცხოვართა სისხლსა და აღასრულებს სხვათა რომელთამე გარეგანთა წეს-დებულებათა; გარნა მაცხოვარმან გვასწავა ჩვენ, რომელ ჭეშმარიტი ღვთის-მსახურება არის სულიერი და კაცი უნდა ემსახურებოდეს ღმერთსა სულითა და ჭეშმარიტებითა.

დიდ-არს, ძმანო, და ფრიად საჭირო საგანი ესე ჩვენთვის! კაცი ყოველთვის და ყოველგან არის მიდრეკილი, რომ ნაცვ-ლად სულიერისა და ჭეშმარიტისა თაყვანის-ცემისა ემსახუროს ღმერთსა რომლითამე გარეგანითა წესითა, ანუ შესაწირავითა. ყოველთვის უნდა ფიქრობდე შენ, ძმაო ჩემო, რომელ ნაც-ვლად ჭეშმარიტისა სულიერისა მსახურებისა არ ემსახურო ღმერთსა გარეშეობითა. სული არს ღმერთი; იგი მოითხოვს, შენგან სულსა და გულსა; იგი მოითხოვს, რათა შენ ყოველ-თვის ხვიდოდე სიმართლით, ყოველთვის გახსოვდეს, რომ მას ესმის ყოველი შენი სიტყვა, იგი ხედავს ყოველსა შენსა საქ-მესა, იგი გამოსცდის შენსა გულის სიტყვასა და ზრახვასა. ეს ხშირად გავიწყდება და ნაცვლად გულის სიწმიდისა, ნაცვლად სიმართლისა შენ მიუძღვნი ღმერთსა რომელსამე გარეგანსა მსა-ხურებასა და მსხვერპლსა. მრავალ მაგალითებს წარმოგიდ-გენ მე შენის ცხოვრებისაგან, რომელნიცა დაგიმტკიცებენ ამას: მარხვის შენახვა, ესე იგი, მარხვის დღეს ხორცის უჭმელობა რა არის, სულიერი მსახურება ღვთისა, ანუ ხორციელი? რა საკვირველია, ეს არის ერთი ოდენ ხორციელი მსახურება.

გარნა შენ დიდი იმედი გაქვს ამაზედ: მარხვას არა-ოდეს არ
დაარღვევ და სხვას ამის უდიდეს მცნებას ადვილად დაარღვევ.
ამავე დღეს, როდესაც ხორცი არა სჭამე, იტყოდი ცოდვა არი-
სო, იქმნება კიდეც წაეჩხუბე ვისმე, მოატყუე ვინმე და აგი-
ნე და სხვა ბევრი ცოდვა ქმენი; მაგრამ სინიდისი არ გამხი-
ლებდა და არც გიფიქრია, რომ ეს ცოდვა არისო; მაშა-სადა-
მე შენ სულიერი მსახურება ღვთისა არ გახსოვს და ხორციე-
ლი კი გახსოვს. ჭეშმარიტად მიკვირს და ვსწუხვარ, რატომ
არ გახსოვს, რომ სიცრუის თქმა უარესი ცოდვა არის, ვიდრე
მარხვის ჭამა და სხვაცა ყოველი ცოდვა უმძიმესი არს, ვიდრე
მარხვის დარღვევა; გარნა შენ გსურს, რომელ მხოლოდ მარ-
ხვის შენახვით დააკმაყოფილო შენი სინიდისი. ვინაითგან ჭკუა
და სინიდისი შენი გაიძულებს თაყვინი-სცე და ადიდო ღმერ-
თი, შემოქმედი შენი, ხოლო ცოდვის მოსპობა, ამ სოფლის
უარის-ყოფა გემძიმება, მარტო მარხვის შენახვითა გინდა დაამ-
შვიდო სინიდისი შენი და აღასრულო თხოვნა მისი. მაშა-სა-
დამე აღარ შევინახო მარხვა? მეტყვის ვინმე. შეინახე, მაგრამ
არა ხორციელად მხოლოდ, არამედ სულიერადცა. ცოდვისა-
გან იმარხე და არა მხოლოდ საჭმლისაგან.

სხვა მაგალითს გეტყვი: რავდენ-ჯერ იტყვის ზოგი კაცი:
მე ამა და ამ ეკლესიაზედ მმართებს ლოცვაო; ანუ მე ამ ხატის
შესაწირავი ცხვარი, ანუ სხვა რაიმე მმართებსო. არ ვიცი, საი-
დგან იწყო ეს ჩვეულება; საიდგან მიხვდა ის კაცი, რომ ცხვარს
მოითხოვს მისგან ხატი. მე ესრეთ ვგონებ, რომ ეს წარმოს-
დგა უგუნურთა და უმეცართა მკითხავთა და მარჩიელებთაგან
რომელნი ფრიად აბრიყვებენ მრავალთა კაცთა და აბნელებენ
სინიდისსა მათსა. რა არის ამაში ცუდი? მკითხავს ვინმე. ის,
ძმაო ჩემო, რომელ ეს არის მხოლოდ ერთი გარეგანი, ხორ-
ციელი მსახურება ღვთისა: როდესაც შენ ცხვარი, ანუ სხვა
რაიმე შესწირე ხატსა, ეგრეთ ფიქრობ, რომ ერთი დიდი სამ-
სახური მიეც ღმერთსა. ამით შენ სინიდისს ამშვიდებ და არ-
ღარა ზრუნავ სულითა და ჭეშმარიტებითა ემსახურებოდე ღმერ-
თსა. თუ გახდა ვინმე ავათ, ანუ სხვა რაიმე დაემართა უბედუ-
რება, იტყვის: ეს ამა და ამ ხატმა მიყოო; იმისი შესაწირავი
მმართებსო და უნდა წავიდე მივართვაო. ვაი უგნურებასა და
დაბნელებასა შენსა! თუ ავათ გახდი, ან რაიმე უბედურება გე-
წია, წინა-პირველად ის არ უნდა იფიქრო, რომელ ღმერთმან
გიყო ეს რომლისამე ცოდვისა და უსჯულოებისა შენისათვის,
ანუ გამოსაცდელად შენის სასოებისა და მოთმინებისა? და არ
უნდა ეცადოა, რომ სინიდისი გამოიცადო და რაც ცოდვა გიქ-
მნია, მოისპო ღვთის წინაშე და მოვლინებული შენზედ უბე-

დურება მიიღო ვითარცა სწავლა და სასჯელი ღვთისაგან? გარ-
ნა შენ იტყვი: ხატს ძღვენი არ მივართვიო. რათ უნდა ღმერ-
თსა, ანუ ხატსა შენი ხორციელი ძღვენი? ღმერთი მოითხოვს
შენგან სიმართლესა, წმიდასა გულსა, სულსა შემუსვრილსა,
დამდაბლებულსა და მონანულსა, ხოლო შენ გინდა გარდიხა-
დო ყოველი მსახურება შენი რომლისამე ხორციელითა შესა-
წირავითა.

ვინაითგან სიტყვა ჩვენი შეეხო ხატსა და მის მსახურება-
სა, იძულებულ ვარ ვსთქვა, რომელ საზოგადოდ ამ ჩვენ ქვე-
ყანაში შეცთომილი ჰაზრი და ცნობა აქვსთ ყოველ ხატებზედ
და ხატების პატივისცემაზედ: ესე იგი, სრულიად არ იციან,
თუ ვითარ გვასწავლის ჩვენ წმიდა ეკკლესია და წმიდანი მამა-
ნი, რაი არს ხატი და ვითარი პატივისცემა ჯერ-არს ხატი-
სადმი. გარნა საგანი ესე დიდ-არს და მოითხოვს ვრცელსა გან-
ხილვასა, ხოლო სიტყვა ჩვენი განგრძელდა, ამისთვის ამ სა-
განზედ მერმე ოდესმე გეტყვი თქვენ, ძმანო, მოძღვრებასა, ხო-
ლო დღეს დავასრულებ სიტყვათა ჩემთა შემდგომითა ჰაზრი-
თა: ეს სოფელი, ძმანო ჩემნო, და ამ სოფლის ცხოვრება ჩვე-
ნი არის მომზადება მომავალისა ცხოვრებისათვის სასუფეველ-
სა შინა. აქ კაცმან უნდა ეცადოს და სული თვისი აღზარდოს
და მოამზადოს იმ ნეტარებისათვის, რომელიც ღმერთმან და-
გვინიშნა ჩვენ სასუფეველსა შინა ცათასა. გარნა ესე შესაძლე-
ბელ არს მხოლოდ მაშინ, ოდეს ჩვენ ჰაზრსა და ჭკუასა ჩვენ-
სა განვანათლებთ ჭეშმარიტითა სწავლითა, გულსა ჩვენსა განვ-
სწმედთ, შევიყვარებთ სიმართლესა, ერთი სიტყვით, ვისწავებთ
სულიერსა მსახურებასა და თაყვანის-ცემასა ღვთისასა. **სული არს
ღმერთი და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტები-
თა თანა-აძს თაყვანის-ცემა. ამინ.**

სიტყვა

კვირიაკესა ზედა შობიდგან ბრმისასა.

ვითარცა წარვიდა იესო იხილა კაცი ბრმა
შობითგან, ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და
ეტყოდეს, რაბი, ვინ სცოდა ამან, ანუ მშო-

*

რისთვის კითხეს, ძმანო ჩემნო, უფალსა მოწაფეთა მისთა: **ვინ სცოდა ამან ანუ მშობელთა ამისთა რამეთუ ბრმა იშვა?** მისთვის რომელ ებრაელნი ფიქრობდენ, უკეთუ კაცი დაბრმავდა, ანუ სხვა რომელიმე უბედურება ანუ სნეულება დაემართა, ეს მოხდა უთუოდ მისთვის, რომელ ანუ მან სცოდა ანუ ეწია მას ცოდვა მშობელთა მისთა. მაშა-სადამე ჰაზრისამებრ ებრაელთასა ყოველივე სნეულება და სხვაცა უბედურება კაცისა არის ნაყოფი რომლისამე მისისა ცოდვისა და ბრალისა. ახლაც ესრეთ ფიქრობს ყოველი, უბრალო დაბალი სოფლის კაცი.

რა უპასუხა მაცხოვარმან მოწაფეთა მისთა? თანახმა იყოა მაცხოვარი ამ ჰაზრისა, ესე იგი, ვითომც ყოველი კაცის სენი და უბედურება არის ნიშანი და შედეგი რომლისამე მისისა ცოდვისა? თუმცა მაცხოვარმან მოწაფეთა თვისთა აუხსნა, რომელ ის ბრმა განგებითა ღვთისათა იშვა ბრმად, რათა იდიდოს სახელი ღვთისა მისგან; გარნა ვიცით ჩვენ ნამდვილად სახარებისაგან, რომელ მაცხოვარიცა ესრედ ფიქრობდა და გვასწავლიდა, რომელ ყოველ ცოდვას, ყოველ უსჯულოებას, უთუოდ მისდევს რომელიმე უბედურება; ოდეს მაცხოვარმან განკურნა ოც და თვრამეტის წლის განრღვეული, მდებარე სარეცელსა ზედა, მაშინ უთხრა მას: **აჰა ცოცხალ იქმენ, ნუღარა სცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ** (იოან. ე, იდ). მაშასადამე, ცხად არს, რომ თუ ის განკურნებული კიდევ შესცოდავდა, უარესი რაიმე დაემართებოდა მას.

განგებ განაჩინა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ღმერთმან ესრეთ, რათა ყოველსა ცოდვასა და უსჯულოებას მისდევდეს სასჯელად რომელიმე სნეულება, ანუ სხვა უბედურება. ეს ჰქმნა ღმერთმან მისთვის, რათა კაცს ყოვლითურთ ეშინოდეს ცოდვისა და განეშორებოდეს მას. გამოცდილება ამ სოფლისა ცხოვრებისა გვიმტკიცებს ჩვენ, რომელ ყოველი ცოდვა და ვნება ამ სოფელში თითქმის ყოველთვის დაბოლოვდება სნეულებითა, ანუ უბედურებითა. მრავალსა მაგალითსა წარმოგიდგენ მე შენ, ძმაო ჩემო, ამის დასამტკიცებლად. შენც კი იცი, რომ ნაყროვანება ანუ უზომოდ საჭმლის მიღება, რომელიც არის დიდი ცოდვა ყოველთვინ გათავდება სნეულებითა, და თუ არ მოიშალა კაცმა ეს ცოდვა, ბოლოს სრულიად მოაკლდება იგი ცხოვრებასა. სამთვრალე კიდევ უმძიმესი და უსა-

შინელესი ცოდვა არის, გარნა შენც თვითონ იცი, თუ ვითარ
მავნებელი და დამარღვეველი არის ეს ცოდვა კაცის სხეული-
სა, და ვითარ მოაკლებს იგი სიმრთელესა და ბოლოს სიცოც-
ხლესაცა. გარნა უმჯობესი იქმნება ჩვენ მოვიყვანოთ მაგალი-
თად სხვა ისეთი ცოდვა, რომელი პირველითა შეხედულობი-
თა არ შეიყვანს კაცსა არცა ერთსა უბედურებასა შინა. ვსთქვათ
შური; რა სენი ანუ რა ვნება უნდა მისდევდეს ამ ცოდვას?
იგი კაცს აქვს გულში და ზოგჯერ არც კი გამოუჩნდება გა-
რეშე. გარნა, ძმანო ჩემნო, შურისაგან კაცს დაემართება მრა-
ვალი უბედურება. ვისაც გული აქვს აღვსებული შურითა, იგი
არის მოუსვენებელი და სწორეთ უბედური. ხშირად ავათაც
გახდება ადამიანი ნამეტნავის შურისაგან. შური კაცს დაუბნე-
ლებს გონებასა, ხშირად წააჩხუბებს მოყვასთა და სხვათა მრა-
ვალთა ცუდთა საქმეთა შინა შეიყვანს. ვსთქვათ, კიდევ, ერთი
მაგალითი, მცონარება, ანუ უქმად გატარება დროებისა ისრე-
თი ცოდვა არის, რომელ ზოგიერთმა, იქმნება, იფიქროს, ამ
ცოდვასა არ შეუდგება არც სნეულება და არც ერთი უბედუ-
რება. გარნა თუ კარგად დაუკვირდი, სხვაფერ იტყვი. უქმი
და მცონარე კაცი პირველად თავის სხეულს დაასუსტებს და
სიმართლეს დაჰკარგავს. უკეთუ კაცი თავის სახსრებს და ძარ-
ღვებს არ ამუშავებს და არ ამოქმედებს, ბოლოს დასუსტდება
იგი და ადვილად შთავარდება სნეულებაში. ამას დაუმატე
ესეც: უქმი კაცი, ვინაიდგან საქმე არა აქვს, ადვილად მოიფიქ-
რებს და ადვილად იქმს მრავალთა ცოდვათა. ბოლოს, მცო-
ნარე კაცი ვერც თვითონ შეიძენს საზრდოსა და კიდევაც და-
აბნევს და შესჭამს ქონებასა და მამულსა, რომელიცა მას მი-
უღებიეს წინაპართაგან.

გარნა ის კიდევ არაფერია, ძმაო ჩემო, რომელ შენ შე-
ნითა ცოდვითა თავის თავს აფუჭებ და ხშირად შთავარდები
სენსა და უბედურებასა შინა: არამედ ის არის აქ უმეტესად
საშინელი, რომელ ამასთანავე შენ წინათვე უმზედებ სენსა და
უბედურებასა შვილთა და შვილის შვილთა მომავალთა შენთა.

მოწაფეთა ჰკითხეს უფალს იესო ქრისტესა: ვინ სცოდა,
ამან ანუ მშობელთა ამისთა? მაშა-სადამე მათ ჰქონდათ ის ჰაზრი,
რომელ მშობელთაგან ხშირად გარდავა ცოდვა შვილთა და
შვილის შვილთა ზედა. მართლა, ვინ არ იცის, თუ ვითარ
ჭეშმარიტ არს ჰაზრი ესე. ყოველი შენი ცოდვა, ძმაო ჩე-
მო, არის თესლი, რომელი თავის დროზე გამოიღებს მწარესა
ნაყოფსა შენთვის, შენთა მახლობელთა და მხედველთა შენთა
შვილთა მომავალთათვის. შენ ხშირად ითმენ სენსა და უბე-
დურებასა ცოდვათა შენთაგან; მახლობელნი შენნი ხედვენ

ცუდსა მაგალითსა და ხშირად იქმნებიან მობაძავ შენდა; ბოლოს შენგან, შენისა სისხლისაგან, შვილნი და მომავალნი შენნი მიიღებენ ყოველთა შენთა ცუდთა ჩვეულებათა, მიდრეკილებათა, ვნებათა და სენთა. ჰოი ვითარსა მძიმესა ტვირთსა გარდასცემს კაცი უდები და ცოდვილი შვილთა და შვილის შვილთა თვისთა! სახლსა შინა მისსა, შვილნი მისნი, ყოველთვინ ხედვენ მისსა ცხოვრებასა, იცნობენ მისთა ცუდთა მიდრეკილებათა და ჩვეულებათა, მიეჩვევიან თვითონაც ყოველსა ცუდსა საქმესა და ესრეთ უნებრივად იქმნებიან მემკვიდრენი მისისა ცოდვისა და უბედურებისა.

ახლა, ძმაო ჩემო, შენ თვითონ გარდასწყვიტე: უკეთუ ცოდვა ესრეთ გაგაუბედურებს შენ, ავნებს მხედველთა შენთა, შვილთა და მომავალთა შენთა, და ცხადია, რომელ სათნოება კეთილი, ქრისტიანული ცხოვრება, სიმართლე ამის წინააღმდეგს გიქმს შენ, ესე იგი, უთუოდ აქაც ამ ქვეყანაში იქმნება შენთვის ბედნიერება, შენთა მახლობელთა, შვილთა და მომავალთა კეთილი მაგალითი და აღშენება, მაშა-სადამე არ უნდა შეიყვარო სიმართლე და ქრისტიანობა და არ უნდა მოიძულო ყოველი ცოდვა და ვნება? ღმერთო, რა საკვირველი არის ბუნება კაცისა! ვითარ დავარდნილ არს იგი და გაფუჭებული! უკეთუ მსახურება შენი, ღმერთო ჩემო, აქაც, ამ ქვეყანაში, ესოდენ არს ჩემთვის ბედნიერ და საჭირო, ხოლო განშორება შენგან ესოდენ არს მავნებელ და უბედურ, არ უნდა გეძიებდესა შენ მარადის გული ჩემი?

მეტყვის ვინმე, სათნოების შეძენაც არ არის ადვილი: გზა სასუფეველისა ვიწრო არს და მძიმე; მრავალი მოთმინება უნდა იხმაროს კაცმა, დიდი ძალა უნდა დაატანოს თავის თავს, უკეთუ სურს სვლა გზასა ზედა სათნოებისასა. მართალია, ძმანო ჩემნო: ბარნა არ გირჩევნია სასუფეველისათვის მოითმინო ყოველი, ვიდრეღა, დამონებული ცოდვისა და ვნებისა იმავე ცოდვისაგან, რომელსა შენ ემსახურები, მიიღო ბოლოს უბედურება და წარწყმენდა?

ღმერთო, დანერგე ჩვენ შორის შიში ცოდვისა და სიყვარული სათნოებისა! ამინ.

სიტყვა

ამაღლების დღესა.

და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა (მატ. კჱ, კ.)

*

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა მოგვითხრობს სახარებასა შინა თვისსა, რომელ ოდეს უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მეორმოცესა დღესა შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა თვისისა გამოიყვანა მოციქულნი თვისნი იერუსალიმიდგან ბეთანიამდე, მისცა მათ უკანასკნელი დარიგება, აღუთქვა მათ მოვლინება ნუგეშინისმცემლისა, აკურთხა იგინი და ამაღლდა მათ წინაშე ზეცად. მაშინ მოციქულნი მისნი თაყვანის-ჰსცემდეს მას და მოიქცენ იერუსალიმად სიხარულითა დიდითა, აქებდეს, აკურთხევდეს და ადიდებდეს ღმერთსა (ლუკ. კდ, მუხ, ნგ.). რას ნიშნავს ძმანო ქრისტიანენო, ესრეთი სიხარული მოციქულთა? იგინი მოაკლდენ ხილვასა საყვარელისა თვისისა მოძრვრისა, დარჩენ სოფელსა შინა გარეგმოცულნი მრავალთა მტერთა და განსაცდელთა მიერ, მათ უთუოდ არ დაავიწყდათ სიტყვა მაცხოვრისა, რომელ იგინი დარჩებიან ვითარცა ცხოვარნი შორის მგელთა და იქმნებიან მოძულებულნი და დევნულნი სოფელსა შინა; გარნა არა მიმხედველნი ამისა, იგინი გაეყარნენ რა მოძღვარსა თვისსა და დარჩენ რა ობლად, ნაცვლად შეწუხებისა, სიხარულითა დიდითა მოიქცევიან იერუსალიმად და მარადის აქებენ და ადიდებენ ღმერთსა. რამ გააჩინა მათ გულში ეს სიხარული? ესრეთი სიხარული იგრძნეს მისთვის, რომელ უფალმან მისცა მათ აღთქმა: **აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა.** მოციქულთა ცხოვლად იგრძნეს, რომელ უფალი არა თუ განეშორა მათგან, არამედ უმეტესად მიეახლა მათ. თვალნი მათნი აღარა ხედვიდენ მაცხოვარსა, გარნა გული მათი გრძნობდა, რომელ იგი არის მუნ, მათ შორის. ეჰა სასწაული ღვთაებრივისა სიყვარულისა და მადლისა! მაცხოვარი, უფალი ამაღლდა ზეცად, გარნა არა განეშორა მოწაფეთა თვისთა; იგი მიეფარა თვალთა მათთაგან; გარნა მიეახლა გულთა მათთა. ესრეთი თვისება აქვს კაცის გულსა, თუ იგი არის აღვსებული წმიდა უმანკო სიყვარულითა! როდესაც პირი, ანუ საგანი, მისგან შეყვარებული, მარადის არის მის წინაშე, ყოველ დღე მასთან იქცევა, მაშინ მას არა აქვს ესოდენი ფასი; გარნა, ოდეს იგი განეშორება მისგან, მაშინ კი გული მისი შე-

იტყობს, რა ძვირფასი იყო იგი მისთვის, მაშინ უმეტესად შეიყვარებს იგი მას, და ესრეთ ხორციელი განშორება სულიერად დაახლოებს მათ, - ესრეთვე შეემთხვია მოწაფეთა ქრისტესთა. როდესაც უფალი ამაღლდა და მიეფარა თვალთა მათთაგან, მაშინ უმეტესი იგრძნეს მათ სიყვარული მისდამი, მაშინ უმეტესად დააფასეს მათ, ვინ იყო იგი, და ესრეთი სასოება მისდამი გაჩნდა გულთა შინა მათთა, რომელ იგინი არათუ სწუხდენ, არამედ იხარებდენ და ადიდებდენ ღმერთსა.

ესრეთი გულითადი გრძნობა მოციქულთა იესო ქრისტეს მათ შორის მყოფობისა და არსებისა განამხნევებდა და მოათმენინებდა ყოველთა მათ საშინელთა ჭირთა და განსაცდელთა, რომელი შეემთხვეოდა მათ. მოციქულნი ცხოვლად გრძნობდენ, რომ უფალი იყო მათთანა, იგი თანა მავალი იყო ყოველთა შინა მოგზაურობათა, იგი ხედვიდა მათსა შრომასა და მოღვაწეობასა.

გარნა, ძმანო ჩემნო, ქრისტიანენო, სანუგეშო იგი სიტყვა: აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ, არა იყო თქმული მხოლოდ მოციქულთა მიმართ, ვინაიდგან მოციქულნი აღასრულებდნენ თავის დროზედ: გარნა უფალი იტყვის: **მე თქვენთანა ვარ, ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა;** მაშასადამე აღთქმა იგი მაცხოვარმან მისცა ყოველთა მორწმუნეთა ქრისტიანეთა, რომელნი იქმნებიან ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. და ჭეშმარიტადცა იგივე უფალი ახლაცა არის ჩვენთანა, მისი მადლი, მისი სიტყვა, მისი ქადაგება. მისი სიყვარული ახლაც არის და მოქმედებს ჩვენ ქრისტიანეთა შორის; თვითონ მან სთქვა: **მამა ჩემი მოაქომამდე იქმს და მეცა ვიქმ.** გარნა თუ შენ არ გრძნობ მისსა მყოფობასა, თუ გული შენი არ არის მოხარული, ვითარცა გული მოწაფეთა იყო გახარებული, როდესაც ესმა მათ ეს სიტყვა: **მე თქვენთანა ვარ,** მაშასადამე ერთი რომელიმე მიზეზი გაბრკოლებს შენ. იგი მახლობლად შენდა არს, გარნა შენ არ ფიქრობ მასზედა, არ გიყვარს იგი და მისთვის არ იცი მისი დაახლოება. გარნა არ მომხდარა ესრეთი მაგალითი, რომელ რომელიმე შენი მოყვასი ჰსცხოვრობს შენთან ერთს სახლში, მარადის შენ წინაშე არს, გარნა შენ მას ზედა არ ფიქრობ, თვალ-ყურს არ აძლევ და თითქმის არ ფიქრობ, რომ ის დაახლოებულ არს შენთან? სულიერი სიყვარული გაჩნდება თავის უფლებით და არა იძულებით. შენ თვითონ უნდა მოინდომო, ისურვო დაახლოება იესო ქრისტეზედ; გული შენი თავისუფლად უნდა ეძიებდეს მას, და მაშინ იგრძნობ მისსა მყოფობასა.

რა სახით უნდა შევიდეს უფალი იესო ქრისტე შენს გულ-

ში, როდესაც იგი არის აღვსებული ყოვლითა ამაოებითა და ადგილი აღარ არის თავისუფალი, რომ განისვენოს მუნ უფალ-მან. ამისთვის, ძმაო, თუ გსურს, რომ უფალი იყოს შენთანა, ხშირად უნდა ფიქრობდე მას ზედა, ხშირად უნდა წარმოიდ-გენდე ღვთაებრივსა მისსა ხატსა. ყოველთა ღვთის მოყვარე-თა წმიდათა კაცთა ჰქონდათ და ახლაც აქვსთ ის ჩვეულება, რომელ ერთ დღეს ვერ გაატარებდენ იგინი, რომ არ ეფიქ-რათ უფალსა იესო ქრისტესა ზედა და არ გაეხსოვნათ რომე-ლიმე მისი სიტყვა და სწავლა. მათ ყოველთვის თან დაჰქონ-დათ სახარება ქრისტესი და ყოველ დილით და საღამოთი წა-იკითხვიდენ თითოსა ანუ ორ-ორსა თავსა და მით გააცხოველე-ბდენ მათ გულში ხატსა მაცხოვრისასა. შენ კი, ძმაო, არა თუ არ ზრუნავ, რომ იშოვო სახარება და კითხულობდე მარად-დღე, არამედ კვირაში ერთხელ რომ მოხვალ საყდარში, იქაც ყურადღებით არ ისმენ მოკლე სახარების კითხვასა, სახარება-ში არის, ძმაო, იესო ქრისტეს სული, სიყვარული და მად-ლი. სახარების კითხვას ესოდენი მადლი და მოქმედება აქვს კაცის გულზე, რომ ხშირად თვით ურწმუნონი, განდრეკილნი და ქრისტეს წინააღმდეგნი კაცნი რომ წაიკითხვენ, იძულე-ბულნი უნებლიეთ აღიარებენ, რომელ იგი სწორედ არის სიტყვა ღვთისა და არა კაცისა, და თუ ესრეთი მოქმედება აქვს სახარებას გულთა ზედა თვით ურწმუნოთა კაცთასა, წარ-მოიდგინე რა მადლი და სარგებლობა მიეცემა კაცსა, რომე-ლი სარწმუნოებითა და სასოებითა იწყებს კითხვასა მისსა. ამისთვის თუ გსურს, ძმაო ჩემო, რომ სული ქრისტესი მიე-ახლოს სულსა შენსა, ხშირად წაიკითხავდე სახარებასა ქრის-ტესსა. მაშინ შეიტყობ, რომ უტყუელ არს აღთქმა მისი: **აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა.** ამინ.

სიტყვა

ამაღლებასა ზედა.

აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა
და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა (მატ. კჱ, კ).

*

რა მშვენიერი ნუგეში დაუტევა, ძმანო ქრისტიანენო, მო-წაფეთა უფალმან ქრისტემან, ამაღლდებოდა რა ზეცად

წინაშე მათთა. თუმცა საყვარელნი მოციქულნი და მოწაფენი მისნი ამიერითგან მოაკლდებიან ხორციელად ხილვასა მისსა, გარნა მაცხოვარი ეტყვის მათ, რომელ იგი მარადის იქმნება მათ შორის ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. მოციქულთა კარგად გაიგეს, რა დიდი ნუგეში იყო სიტყვათა ამათ შინა, იგინი არა თუ არ შეწუხდენ, ოდეს საუკუნოდ მიეფარა მათგან საყვარელი მათი მოძღვარი, არამედ, ვითარცა თქმულ არს სახარებასა შინა, **სიხარულითა დიდითა მოიქცენ იერუსალიმად და იყოფოდეს ტაძარსა მას შინა მარადის აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა.** საფიქრებელ იყო, რომელ ამაღლება ქრისტესი დიდსა მწუხარებასა გააჩენდა გულთა შინა მოწაფეთა მისთასა, ვინაიდგან იგინი ობლათ იყვნენ დატოვებულნი ქვეყანასა შინა და გარემოცულნი უმრავლესთა მტერთა, ჭირთა და განსაცდელთა მიერ. გარნა არა! იგინი სიხარულითა დიდითა მოიქცენ იერუსალიმად; იგინი გრძნობდენ სიღრმესა შინა გულთასა, რომელ ქრისტე მათ შორის არის და იქნება, თუმცა გრძნობადითა თვალითა თვისითა ვეღარ იხილავენ მას. ესრეთი მტკიცე და დიდი სასოება ჰქონდათ მათ გულში, რომელ ოდეს ქრისტე მიეფარა მათგან, მაშინ უმეტესი სიყვარული და სარწმუნოება მისდამი გაუჩნდა მათ გულში. გული მათი ცხოვლად გრძნობდა, რომელ, ქრისტე მათ შორის უხილავად არის. განმავლობასა შინა მათის სიცოცხლისასა, ყოველნი გარემოებანი მათისა ცხოვრებისანი უმტკიცებდენ მათ, რომელ ქრისტე მათ შორის უხილავად არის, და არა თუ არის მათ შორის, არამედ უფრო მახლობელად არის მათთანა. უწინ, ოდეს უფალი ცხოვრობდა მათ შორის, იგინი მხოლოდ ხორციელითა თვალითა ხედვიდენ მას, გარნა ოდეს იგი ამაღლდა და მიეფარა ხორციელად, მაშინ მათ იგრძნეს, რომელ მაცხოვარმან დაიმკვიდრა უხილავად სამყოფი თვით გულთა და სულთა შინა მათთა მაშასადამე, არა თუ არ განეშორა მათ, არამედ უმეტესად მიეახლა მათ. აჰა საკვირველი მოქმედება სარწმუნოებისა ცხოველისა და სიყვარულისა მხურვალისა! მოწაფენი გრძნობდენ, რომელ, ოდეს მაცხოვარი იყო ხილულად მათ შორის, ისრეთი სიყვარული არ ჰქონდათ მათ, ვითარი გაუჩნდა აწ, ოდეს მაცხოვარი ამაღლდა მათგან. გარნა, ძმანო ჩემნო, ქრისტემ არა თუ მხოლოდ მოწაფეთა აღუთქვა ყოფნა მათ შორის ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა, არამედ ჩვენ ყოველთა მორწმუნეთა. რა სახით აღსრულდება ეს აღთქმა ქრისტესი? აღსრულდება ესრეთ:

პირველად ქრისტე არის მუნ, სადაცა არის სიტყვა მისი.

სახარება ანუ სიტყვა ქრისტესი არის თვით მისი ჰაზრი და სული. ერთი სიტყვით, ნაწილი მისისა არსებისა. მაშა-სადამე, სადაცა სუფევს სიტყვა სახარებისა, მუნ იმყოფება თვით უფალი იესო ქრისტე. თუ შენ გულში, ძმაო, შევიდა სიტყვა სახარებისა, თუ მცნება ქრისტესი სუფევს შენ გულში, მოქმედობს, ანათლებს შენსა ჰაზრსა, სცვლის ცოტ-ცოტად შენსა გულსა, ერთი სიტყვით აუმჯობესებს შენსა ხასიათსა, მაშინ შეიძლება ვსთქვათ, რომელ ქრისტე არის შენ გულში. მეორედ ქრისტე არის მუნ, სადაცა სუფევს მისი მადლი და სიწმიდე. ქრისტე იმ ზომად არის, ძმაო, შენ გულში, რა ზომად მისი მადლი მოქმედობს მუნ. თუ ქრისტეს მადლი არის შენ გულში, მაშასადამე სულიერიცა სიცოცხლე და სინათლე იქმნება მუნ. იგი მუშაობს შენს გულში; თავის დროზე იგი გაძლევს შენ ნუგეშს, თავის დროზე შეგიყვანს მწუხარებასა და სინანულსა; ზოგჯერ გააჩენს შენს გულში განუზომელსა სიყვარულსა. თუ ჭიდაობა და ბრძოლა შორის ბოროტისა და კეთილისა არის შენს გულში, სჩანს, რომ იქ მუშაობს მადლი ქრისტესი. გარნა თუ ყოველ ცუდ საქმეს და ცოდვას ისრე ადვილად აღასრულებ, რომელ სინიდისი სრულიად არც კი გამხილებს და არც კი შეგაწუხებს, სჩანს, რომელ ამ შემთხვევაში არც ქრისტე და არც მისი მადლი იყო შენს გულში. თუ ოდესმე განსაცდელმა ცოდვისამან მიგიტაცა შენ ესრეთ, რომელ ახლოს იყავ და მზათ იყავ ცოდვისა ქმნად, გარნა უცფათ გაგიჩნდა გულში შიში და ძრწოლა, გული გაიმაგრე და წინააღუდეგი ცოდვასა და განეშორე მას, მაშინ უთუოთ ქრისტე იყო შენს გულში, თორემ შენ შენითა ძალითა ვერ სძლევდი ცოდვასა.

ქრისტე ყოველთვინ ჩვენ შორის არის უხილავად, ძმანო ჩემნო, გარნა მისსა სიახლოვესა და მისა მყოფობასა გრძნობენ მხოლოდ იგინი, რომელთა მსგავსად მოწაფეთა და მოციქულთა ქრისტესთა აქვსთ ცხოველი და განუზომელი სურვილი და გრძნობა მისი. ძალად და იძულებით იგი არავის არ მიეახლოება და არავის არ შეატყობინებს თვისსა მყოფობასა. მას კი შეეძლო, რომ მარადის უკუნისამდე ხილულად ყოფილიყო მოწაფეთა შორის და ეგრეთვე ჩვენ შორის, გარნა ვითარცა მათთვის, ეგრეთვე ჩვენთვის უმჯობესი არის, რომ იგი ხილულად არ არის ჩვენ შორის. რისთვის? მისთვის, რომელ უკეთუ იგი ხილულად ყოფილიყო ჩვენ შორის, მაშინ სარწმუნოება და სიყვარული მისადმი იქმნებოდა არა თავისუფალი, არმედ იძულებითი; ხოლო აწ, როდესაც არა ვხედავთ მას, ჩვენი სარწმუნოება და სიყვარული მისადმი არის თავი-

სუფალი და დაუფასებელი. გაიხსოვნე, რა უთხრა უფალმან მოციქულსა თომას, როდესაც მან შეახო მას ხელი და იძულებულმან სთქვა: **უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი! რამეთუ მიხილე მე და გრწამს, ნეტარ იყვნენ, რომელთა არ უხილავ და რწმენეს.** თუ ახლა შენ, თვალითა შენითა არა მხედველსა, გულწრფელად გრწამს ქრისტე და გიყვარს იგი, ცხად არს, რომელ თვით მადლი მისი შესულა შენს გულში და დაუმკვიდრია მუნ, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ქრისტემან. ამინ.

მოძღვრება

სულის წმინდის მოფენის დღესა (*).

> მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყვა ესე და იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი; სხვანი იტყოდეს, ესე არს ქრისტე. ხოლო სხვანი იტყოდეს, ნუ უკვე გალილეად მოსვლად-არს ქრისტე? და განწვალება იყო მისთვის ერსა შორის; და რომელთამე მათგანთა უნდა შეპყრობა მისი, და არავინ მიჰყვნა ხელნი მის ზედა (იოან. ზ. მ-მდ).

დასასრულსა დიდისა დღესასწაულისასა მაცხოვარი, ჩვეულებისამებრ თვისისა, დასდგა შორის ერისა და იწყო სწავლად და ქადაგებად; იგი აძლევდა ნუგეშს მორწმუნეთა თვისთა, აღუთქვამდა რა მათ მოვლინებასა განმანათლებლისა სულისა წმიდისასა, და სხვათა მრავალთა ეტყოდა მათ სწავლათა და მოძღვრებათა. გარნა მსმენელთა მისთა შორის გაჩნდა ამაზედ ცილობა და შფოთი; ზოგნი იტყოდნენ: ის წინასწარმეტყველი არისო და კეთილად გვასწავლისო; სხვანი ამბობდენ: იგი ცბიერი არისო და ცუდად გვასწავლისო; ერთი სიტყვით, დიდი განწვალება და შფოთი იყო ერსა შორის მის-

თვის. რას ნიშნავდა, ძმანო ჩემნო, ეს გასაოცარი ცილობა და განწვალება? რისთვის აღსდგა ეს შფოთი და უკმაყოფილება? რას ეტყოდა მათ მაცხოვარი საწყენსა? იგი აღუთქვამდა მოახლებასა უმჯობესისა დროებისა, როდესაც იგინი მიიღებენ განათლებასა სულისა წმიდისაგან; იგი აძლევდა მათ ნუგეშისცემასა და სწავლასა. მაშასადამე, რისთვის იწყეს ამთ შფოთი? რისთვის გაჩნდა მათ შორის განწვალება? ზოგიერთა მსმენელთა იესო ქრისტესთა, ვითარცა შენიშნულ-არს თვით სახარებასა შინა, ვერც კი გაიგეს ნამდვილი ჰაზრი მისისა სიტყვისა, ვინაიდგან სულიწმიდა, რომელსა იგი აღუთქვამდა მათ

(*) თქმულ არს ჩვდ-სა წელსა.

არ იყო ჯერეც ცნობილი მათგან. მაშასადამე, რისთვის იწყეს მათ ცილობა და შფოთი? რა ეჩვენათ მათ წინააღმდეგად?

ეს საკვირველი გარემოება, აღწერილი დღევანდელს სახარებასა შინა, გვასწავლის ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, ერთს ფრიად შესანიშნავს ჭეშმარიტებას, ესე იგი, რა მძიმე და ძნელი საქმე არის ქადაგება სიტყვისა ღვთისა. რაჲ არს ქადაგება და როგორ უნდა ჰქადაგებდეს სულიერი მოძღვარი სიტყვასა ღვთისასა?

ქადაგება სიტყვისა ღვთისა, ძმანო საყვარელნო, ორ-გვარი არის და ორ-გვარად აღსრულდება. პირველად შეიძლება, რომ მქადაგებელმან სახარებასა შინა მისსა გამოსთქვას მხოლოდ ისრეთნი ჰაზრნი, რომელნიცა არიან საზოგადონი, განყენებულნი ანუ განშორებულნი ცხოვრებისაგან, არავის პირდა-პირ არ შეეხებიან, არავის არ მისცემენ განსაკუთრებითსა სწავლასა და დარიგებასა, არამედ ყოვლისა მსმენელისათვის იქმნებიან ერთგვარნი და ერთის ფასისანი. ესრეთი ქადაგება არავის არ გააჯავრებს, გარნა სარგებლობასაცა დიდსა არავის მისცემს. შეიძლება, რომ იგი იყოს დაწერილი მჭევრმეტყველად, მაღალთა ლექსთა შინა, გარნა სარგებლობა მისი საეჭვო არის. მსმენელნი გულ-გრილად მიიღებენ ესრეთსა ქადაგებასა. იქმნება მათ კიდეც აქონ მქადაგებელნი, გარნა გულში არ დაუშთებათ არცა ერთი საკუთარი სარგებლობა.

მეორე სახე ქადაგებისა არის სხვა. აქ მქადაგებელი ცდილობს, რომ სიტყვა მისი იყოს დაახლოვებული მსმენელთა მისითა თანა; იგი წინა-პირველად შეიტყობს სულიერთა ნაკლულევანებათა და საჭიროებათა მსმენელთასა და მერმე იწყებს დარიგებასა და მოძღვრებასა მათსა; იგი ცდილობს, რათა სიტყვა მისი იყოს არა უქმი და განყენებული, მავალი

ღრუბელთა ზედა, არამედ მახლობელ კაცთა, ცხოველ და გა-
მოყვანილ თვით კაცის ცხოვრებისაგან, მისთვის, რათა ყო-
ველმან კაცმან დაინახოს სიტყვათა შინა მისითა, ვითარცა სარ-
კესა, მისი სულიერი მდგომარეობა. ესრეთი მქადაგებელი არ
მისდევს მაღალთა ლექსთა, არ ეძიებს მჭევრ-მეტყველობასა,
გარნა ცდილობს, რომ მარტივი სიტყვა მისი შევიდეს გულსა
შინა მსმენელთასა და დასტოვოს მუნ რომელიმე კვალი. ეს-
რეთნი ქადაგებანი არიან უმეტესად სასარგებლონი ერისათვის;
გარნა მქადაგებელსა უნდა ახსოვდეს, რომელ იგი ხშირად
აღძრავენ უკმაყოფილებასა და შფოთსა შორის მსმენელთა.

ახლა გამოვითხოვ თქვენგან, ძმანო, ნებას, მივაქციო სიტყ-
ვა ჩვენი ჩვენზედვე. მოვალეობისამებრ ჩვენისა, ვითარცა აქა-
ურმა შობითგანვე, ჩვენ შევიტყვეთ, რა ნაკლულევანება და სა-
ჭიროება აქვსთ მცხოვრებთა ჩვენის ქვეყნისათა, და გვსურს,
რათა დავნერგოთ გულთა შინა მათთა რომელიმე ზრუნვა გა-
მოცვლად მათისა ზნეობისა და ყოფა-ქცევისა. მარად-ჟამ, ყო-
ველთა ადგილთა და სოფლებთა შინა ვამხილებდეთ ჩვენ ორ-
თა საშინელთა და დამღუპველთა ჩვენთა ცოდვათა, ესე იგი
უქმად დროების დაკარგვასა და ურთიერთშორის მტერო-
ბასა და განხეთქილებასა. თითქმის ყოველსა კაცსა ვაჩვენებ-
დით მისსა საკუთარსა ნაკლულევანებასა. არ არის საკვირვე-
ლი, რომელ ესრეთმან, დაახლოებულმან ჩვენმან სიტყვამან
განამწარა რომელნიმე პირნი. ყოველი კაცი თავისმოყვარეა
და არ მოსწონს, როდესაც მას გამოუხატვენ ცხადად ცუდსა
მისსა ხასიათსა; ამისთვის ჩვენზედაცა მოხდა რაოდენიმე ცი-
ლობა და განწვალება. გარნა ჩვენ არა ვსწუხვართ, როდესაც
რომელნიმე პირნი ცილობენ ჩვენზედ და გვემდურვიან. ეს-
რეთ უყვეს სხვათა უმჯობესთა მქადაგებელთა, რომელნი
გულ-წრფელად ასწავლიდენ და ამხილებდენ მსმენელთა მათთა;
ეგრეთვე უყვეს მაცხოვარსა, ოდეს იგი ჰქადაგებდა სიტყვასა
ღვთისასა: ვინ არისო იგი, - იტყოდენ ზოგიერთნი ერისაგან-
ნი, ვიღაც ერთი გალილეველი, ხუროს შვილი, როგორ ბე-
დავს ესრეთ ჩვენ მხილებასაო? დიდნი მქადაგებელნი იყვნენ
გრიგოლი ნაზიანზელი, ღვთის-მეტყველი, და იოანე ოქროპი-
რი, გარნა მრავალ-გზის იყვნენ იგინი დევნულ მათისა ქადა-
გებისათვის.

აქ იქმნება ვინმე იფიქროს თავის გულში: ვის შეადარა
ამან თვისი თავი? ნუ თუ მაგას ჰგონია, რომელ იგი არის
მსგავსი გრიგორი ღვთის-მეტყველისა და იოანე ოქროპირისა?
არა, ძმაო ჩემო, ნუ ხარ ჩქარი განკითხვად მოყვსისა შენისა!
მე არ შევადარებ თავსა ჩემსა ხსენებულთა მქადაგებელთა; მე

სხვა მწუხარება მაქვს გულში: მე იმას ვსტირ და ვსწუხვარ, რომელ სიტყვა ჩემი არის ერთობ სუსტი და უძლური, რომელ იმას არა აქვს ეგოდენი ძალა და მოქმედება, რაოდენიცა სურს გულსა ჩემსა. ნეტავი მომცეს მე ისრეთი სიტყვა, რომელი შევიდოდეს შინაგან მსმენელისა და გამოსცვლიდეს მის გულსა; ანუ ვითარცა ზარი დაეცემოდეს მძინარესა სინიდისსა ცოდვილსასა და განაღვიძებდეს მას ღრმისა მისისა ძილისაგან, ანუ ცეცხლად მოეკიდებოდეს და დასწვიდეს ყოველსა ღვარძლსა და კუროს-თავსა ცოდვილის გულისასა; შემუსვრიდეს გულსა ამაყისასა, ხოლო გულსა შინა მწუხარებისაგან დამძიმებულსა იქმნებოდეს ვითარცა ნელსაცხებელი, დამალბობელი წყლულებისა მისისა, მოიყვანდეს ცრემლსა თვალთა ზედა მსმენელთასა, მოაძულებდეს მათ ცოდვასა, შეაყვარებდეს ღმერთსა და მოყვასსა. ესრეთი რომ ყოფილიყო სიტყვა ჩვენი, მაშინ არ შევსწუხდებოდით, როდესაც გაჩნდებოდა მისგან განწვალება შორის მსმენელთა; გარნა იგი არის უსუსური და სუსტი, ესრეთ რომელ არა უწყით, აქვს მას რომელიმე კეთილი ნაყოფი შორის მსმენელთა, ხოლო შფოთი და ცილობა კი განაჩინა მან.

გარნა რაც გინდა სუსტი და უძლური იყოს სიტყვა ჩვენი, მას აქვს ერთი კეთილი თვისება, რომელსა ვერავინ ვერ წაართმევს მას; იგი არის გულ-წრფელი და მომდინარე სიყვარულის და ერთგულების წყაროისგან: თვით სულიერი მტერი ჩვენი, ეშმაკი, რომ წარმოსდგეს აქა, იგიცა ვერ დაამტკიცებს, რომელ სხვა რაიმე მიზეზი აღძრავდეს ენასა ჩვენსა, ანუ იყოს ვითარიმე ორგულობა ჩვენ გულში. მაშა-სადამე რისთვის მოახდინე შფოთი, ჰოი შენ ბოროტო კაცო? რისთვის აჩვენე შეურაცხება წმიდასა ამას ადგილსა? რათ აჩვენე სირცხვილი ეკკლესიის კრებასა და სჯულსა ჩვენსა? რას იტყვიან ახლა ურწმუნონი? არ იტყვიან იგინი, რომელ მართლ-მადიდებელთა ესრეთ მცირედი აქვსთ სასოება და მორიდება თვისის საკუთარის საყდრისა, რომელ არ ერიდებიან თვით ეკკლესიაში შფოთსა და უწესოებასა? ეს სწვავს გულსა ჩემსა; სხვა არაფერი გვაწუხებს ჩვენ. იქმნება ჩვენ ვართ ერთი უკანასკნელი კაცი, ღირსი ყოვლისა შეურაცხ-ყოფისა, გარნა, ძმაო ჩემო, არა მე შეურაცხ-მყოფ შენ, არამედ თვით სჯულსა; ჩემ პირში და ჩემ სახეში ანუ პატივს-ჰსცემ და ანუ შეურაცხ-ჰყოფ თვით შენსა საკუთარსა სარწმუნოებასა. შეინანე, ძმაო, შენი ბოროტ-მოქმედება და ნუ იყოფინ ნურაოდეს ჩვენში ესრეთი შფოთი და ცილობა, არმედ იყავნ სიყვარული და ერთგულება. ამინ.

სიტყვა

თქმული ქუთაისის სობოროში, დღესა სულის წმიდის მოფენისასა.

დღეს წარკითხულისა სახარებისაგან გვესმა ჩვენ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, სიტყვანი: **დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა დასდგა იესო, ღაღად-ჰყო და ჰსთქვა: უკეთუ ვისმე სწყუროდეს, მოვედინ ჩემდა.** რას ნიშნავს, ძმანო სიტყვანი ესე? სიტყვათა ამათ შინა მაცხოვარი გვიწოდს ჩვენ მისვლად მისადმი და სმენად სწავლისა და მოძღვრებისა და აღუთქვამს მადლსა სულისა წმიდისასა, რომელი დღეს გარდამოეფინა მოციქულთა ზედა. განვიხილოთ, ძმანო ქრისტიანენო, სიტყვანი ესე: აღვხსნათ და ცხადათ წარმოვიდგინოთ საღმრთო ჰაზრი, პყრობილი მათ შინა. პირველად მაცხოვარი იტყვის: **რომელსა სწყუროდეს.** მაშასადამე, იგი უწოდს არა ყოველსა კაცსა, არამედ იხმობს მას, რომელსა სურს სმენად საღმრთოისა სწავლისა, რომელი ეძიებს განათლებასა და მიღებას მადლისა სულისა წმიდისასა. არიან, ძმანო, ზოგიერთნი კაცნი, რომელთა ნამდვილად სწყურისთ სმენა საღმრთოისა სწავლისა, რომელთა გული ნამდვილად მოშურნე არს მიღებად მადლისა და განათლებისა სულისაგან წმიდისა და რომელი სწუხან, უკეთუ დიდხანს მოაკლდათ საღმრთო სწავლა და მადლი. თვით ბუნება და გული მიიზიდავს ესრეთთა კაცთა ეკკლესიისადმი და ყოვლისა საღმრთოისა მოქმედებისა და წესდებულებისადმი. ეს ნიშნავს, რომ ბუნება მათი და გული არის მრთელი, ესე იგი არა გაფუჭებული ცოდვისაგან. ვისაც გული აქვს წრფელი და ხასიათი უმანკო, არა დაშავებული და დავარდნილი ცოდვისაგან, იგი დიდხანს ვერ გაძლებს თვინიერ საღმრთოისა მადლისა და სწავლისა. წინაამდეგ ამისა, არიან სხვანი პირნი, რომელთა გული გრილ არს სმენად საღმრთოისა სწავლისა და მიღებად მადლისა სულისა წმიდისაგან. ამათ არ სწყურის კითხვა და განზრახვა საღმრთოისა წერილისათვის, გული არ მიიზიდავს მათ საღმრთო სიტყვისადმი. დიდი უბედურება არის, ძმანო, კაცისათვის ესრეთი მდგომარეობა! როდესაც კა-

ცი ხორციელად ავად გახდება, მაშინ მას სრულიად
დაეკარგება სურვილი და გემო საჭმელისა და სასმელისა. თუმ-
ცაღა მას სწყურიან და ხშირად ითხოვს სასმელსა, გარნა ყო-
ველი სასმელი იგი არის მისთვის უგემური და ვერც მოუნე-
ლებს წყურვილსა მისსა; გარნა თუ ავათმყოფმა კაცმა მოით-
ხოვა საჭმელი და სასმელი და გემოვნებით მიიღო იგინი, მა-
შინ ვიტყვით, რომელ იგი მორჩებაო. ეგრეთვე არს სულიე-
რიცა მდგომარეობა კაცისა; ჭეშმარიტი საზრდო, საჭმელი და
სასმელი სულისა ჩვენისა არის საღმრთო სწავლა და მადლი
სულისა წმიდისა. ვისაც არა აქვს სურვილი მიღებად საღმრ-
თოისა ამის საჭმელისა და სასმელისა, ვინც ანუ ისმენს სწავლასა
ამას, ანუ კითხულობს საღმრთოსა წერილსა, ანუ სდგას ეკკლე-
სიასა შინა წირვა-ლოცვად, გარნა ვერ გრძნობს გემოვნებასა
და გული მისი არს გრილ, ცხადი არის, რომელ იგი ავათ-
მყოფია სულიერად. ესე ვითართა კაცთა, თუმცა აქვსთ მოუ-
ნელებელი წყურვილი, ვითართა ავად-მყოფსა ხორციელსა,
თუმცა იგინი მიიღებენ მრავალ-გზის სხვათა და სხვათა სასმელ-
თა, ესე იგი მრავალ-ფერთა სწავლათა. ჰაზრთა და მოთხრო-
ბათა სოფლიურთა გარნა ვერ მოინელებენ წყურვილსა თვის-
სა, ვინაითგან სულნი მათნი ეძებენ და გაძღებიან მხოლოდ
მაშინ, როდესაც მიიღებენ სასმელსა საღმრთოისა წყაროისა-
გან. ოდეს მაცხოვარი იტყოდა სიტყვათა ამათ, მაშინ მსმე-
ნელთა მათთა შორის ზოგნი იყვნენ გულ-წრფელნი, კეთილი-
სა ხასიათისანი, მაგალითებრ მოწაფენი და მოციქულნი მისნი,
რომელთა ისმინეს სიტყვა და რწმენა, ამისთვისცა მიიღეს მათ
აღთქმული მადლი სულისა წმიდისა; ხოლო სხვანი, ვითარცა
მწიგნობარნი და ფარისეველნი, იყვნენ გულ-გრილნი სწავლა-
სა ზედა; გული მათი აღვსებული შურითა, ამპარტავანე-
ბითა და ანგაარებითა, ვერ შეიწყნარებდა წმიდასა ამას და
საღმრთოსა სწავლასა, ამისთვისცა დაშთნენ იგინი მკვდარნი
ცოდვასა შინა თვისსა. რა ვქმნა? იტყვის ვინმე: რა დამნაშავე
ვარ, უკეთუ არა მაქვს წყურვილი: ძალად ხომ ვერ მოვიწ-
ყურვებ? არა, ძმაო! წარმოიდგინე: როდესაც შენ დაგეკარგე-
ბა სურვილი ჭამისა და სმისა, გეშიანიან და იტყვი: ავათ ვარო,
და ცდილობ როგორმე მოირჩინო თავი შენი; ეგრეთვე მოი-
ქეც, უკეთუ სული შენი არა გრძნობს შიმშილსა და წყურვილ-
სა საღმრთოისა მადლისათვის. გაქვს ჭკუა და სინიდისი; ამათ
უნდა განაჩინონ წყურვილი საღმრთოისა მადლისა გულსა ში-
ნა შენსა. უმთავრესნი მიზეზი, რომელი გააქრობს და მოსპობს
სულსა შინა ჩვენსა საღმრთოსა წყურვილსა, არის ცოდვა და
ცუდი ცხოვრება: ესენი არ შეუშვებენ გულსა შინა შენსა

სწავლასა და მადლსა. ეცადე და განაგდე გულისა შენისაგან ბოროტნი გულის-ზრახვანი, მოამზადე გული შენი, ვითარცა მიწის-მოქმედი მოამზადებს ყანასა თვისსა თესვისათვის. მადლსა სულისა წმიდისასა დიახ სურს და ცდილობს, რათა შევიდეს გულსა შინა შენსა, გარნა როდესაც იგი ხედავს მას აღვსებულსა ცოდვითა და ბოროტებითა, ვერ გასძლებს იგი მას შინა. როგორათაც კაცი ვინმე პატიოსანი, აღზრდილი სიყრმითგანვე შემკულსა და მდიდარსა სახლსა შინა, ვერ შევა და ვერ იცხოვრებს უწმინდურსა და აყროლებულ სახლში. ოდესმე მეფე და წინასწარმეტყველი დავით შთავარდა საშინელსა ცოდვასა და მოაკლდა საღმრთოისა მადლსა სულისა წმიდისასა: გარნა მოინანა და ილოცა მხურვალითა გულითა: **გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა: ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან,** მაშინ ღმერთმა კვალადვე მოუვლინა მას სული წმიდა. ბაძევდი მისა მონანებასა, ვითარცა ხშირად ბაძავ მისსა ცოდვასა.

იქმნება სხვამ ვინმე იფიქროს: მადლობა ღმერთსა! მე თითქმის ყოველთვის დავდივარ ეკკლესიასა შინა: მე მსურს სმენა წირვა-ლოცვისა, მხიარულებით ვისმენ საღმრთოსა სწავლასა, მიყვარს საუბარი და გამოკითხვა საღმრთოთა საგანთა ზედა. არა ძმაო! შენც განიცადე კარგად თავი შენი: იქმნება რომელ არა საღმრთო წყურვილი მოგიყვანს შენ ეკლესიასა შინა, არამედ ერთი მხოლოდ უბრალო ჩვეულება; ანუ მიბაძავ სხვათა, ანუ გეშინიან, რომ არ შთავარდე განკითხვასა შინა კაცთასა; გარნა უკეთუ ნამდვილად წყურვილი საღმრთოისა მადლისა მოგიყვანს შენ ეკკლესიასა შინა, უკეთუ ნამდვილად გიყვარს შენ საღმრთო მადლი, მაშა-სადამე შენ მიგიღიეს მადლი სულისა წმიდისა, და უკეთუ მიგიღიეს, ნაყოფიცა უნდა გქონდეს; ხოლო ნაყოფი სულისა წმიდისა არს, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული: **სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახიერება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება.** გქონანა სათნოებანი ესე, ანუ ერთი რომელიმე მათგანი? ბოლოს, ჩვენ ყოველთა, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, მტკიცედ უნდა გვახსოვდეს სიტყვანი პავლე მოციქულისა, რომელნი მან მისწერა ეფესელთა: **ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღვთისასა, რომლითაცა იგი აღიბეჭდენით დღედ გამოხსნისა.** ყოველი ქრისტიანე არის აღბეჭდილი სულითა წმიდითა საიდუმლოთა შინა; ყოველსა ნათელ-ღებულსა და ზიარებულსა კაცსა აქვს რაოდენიმე ნაწილი ნიჭისა სულისაგან წმიდისა, ხოლო ცხად-არს, რომელ ცოდვითა და უწმინდურებითა თვი-

სითა იგი შეაწუხებს და კიდევაც განაშორებს მადლსა ამას; ხოლო კრძალული, ღვთის-მოყვარე, წმიდა კაცი განამტკიცებს, განამრავლებს მადლსა ამას, იმ ზომად, რომელ **მდინარენი მუცლისა მისისაგან სდიოდენ წყლისა ცხოველისანი,** ვითარცა სთქვა მაცხოვარმან. ხოლო აწ ვევედროთ ღმერთსა წმიდისა წინასწარმეტყველისა დავითის-თანა: **სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან, ღმერთო!** ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა.

აწინდელსა კვირიაკესა შინა, საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო, წმიდა ეკკლესია აღასრულებს ხსენებასა ყოველთა წმიდათასა, ესე იგი მოიხსენიებს, აქებს და ადიდებს ყოველთა მათ კეთილ-მსახურთა და ღვთის-მოყვარეთა და ღვთივ-განათლებულთა კაცთა, რომელნი სიტყვით და საქმით, შრომით და მოღვაწეობით შეეწეოდენ წარმატებასა წმიდისა სარწმუნოებისასა, განამტკიცებდენ ქრისტიანობასა და განავრცელებდენ სასუფეველსა ცათასა ქვეყანასა ზედა, და ამით ყოველთათვის იყვნენ შერაცხილ ეკკლესიისაგან გუნდთა შინა წმიდათასა. ხოლო დღეს წარკითხულისა სახარებისაგან გვესმა ჩვენ მოკლეთა სიტყვათა შინა გამოხატვა მათისა ცხოვრებისა და მათისა მოღვაწებისა. განვიმეოროთ რომელნიმე ჰაზრნი დღეს წარკითხულისა სახარებისანი, რათა პირველად, ვსცნათ და ვითარი იყო ცხოვრება წმიდათა და მეორედ, ჩვენთვისსაც გამოვიყვანოთ რომელიმე დარიგება და ნუგეში.

ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა, და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა.

აჰა მცნება, რომელსა აღასრულებდენ ყოველნი წმიდანი განმავლობასა შინა მრთელისა მათისა ცხოვრებისასა; იგინი აღიარებენ სახელსა უფლისასა წინაშე ყოველთა კაცთა, იგინი ჰქადაგებდენ სჯულსა ქრისტესსა და აუწყებდენ ყოველსა ქვეყანასა დიდებასა ღვთისასა. რომელნი მათგანნი, ვითარ-

ცა საქმითა, ეგრეთვე უმეტესად ენითა და სიტყვითა აღია-
რებდენ სახელსა ქრისტესსა. მიმავალნი სოფლითი სოფლად
ახარებდენ იგინი ყოველთა ტომთა, მოაქცევდენ ურწმუნო-
თა, განანათლებდენ დაბნელებულთა, არ აშენებდენ ეკკლესი-
ათა და ესრეთ პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასა დააფუძნეს
სჯული ქრისტიანობრივი. ხოლო რომელნიმე მათგანნი, თუმ-
ცა არა ჰქადაგებდენ ენითა თვისითა სახარებასა, გარნა წმი-
და მათი ცხოვრება, კეთილი და საყვარელი მათი ყოფა-ქცე-
ვა ხმამაღლად ჰქადაგებენ დიდებასა ქრისტესსა, ვინაითგან
მრთელი მათი სიცოცხლე იყო გამოხატვა და აღსრულება
ქრისტეს სახარებისა. ვინ აღწერს მოკლეთა და სუსტთა სიტყ-
ვათა შინა მრავალფერთა საქმეთა და მოღვაწებათა წმიდათა-
სა? იგინი იყვნენ ცხოველნი სახენი ქრისტესნი ქვეყანასა ზე-
და; იგინი იყვნენ ნათელნი და მნათობნი და მარილი ამის
სოფლისანი; მათ ცხოვლად გვიჩვენეს, რა ძალა აქვს სახარე-
ბა ქრისტესსა, ვითარ გამოსცვლის და განაბრწყინვებს იგი
ბუნებასა კაცისასა, ოდესცა კაცი სრულიად დაემორჩილება
მას. ღვაწლი არ იტვირთეს, რომელი შრომა არ აღიღეს თა-
ვის თავზედ, რომელი მაგალითი არ გვაჩვენეს და რომელი
სახე სიწმიდისა და სათნოებისა არ მოგვცეს ჩვენ? გარნა, ძმაო,
შენც შეგიძლიან აღიარო სახელი ქრისტესი წინაშე კაცთა
მზგავსად წმიდათა. ვითარ, რომელითა სახითა? სიტყვითაცა
და უმეტესად საქმითა. უკეთუ ცხოვრება შენი წმიდა არს,
უკეთუ შენ ყოველი კაცი ცხადად გხედავს, რომ გეშინის
ღვთისა და აღვსებული ხარ სასოებითა, იცოდე, რომ ძალისა-
მებრ შენისა აღგიარებია შენ სახელი ქრისტესი წინაშე კაც-
თა, და იგიცა აღგიარებს შენ მეორედ მოსვლასა თვისსა წი-
ნაშე მამისა თვისისა ზეცათასა. ხოლო უკეთუ ცუდითა შენი-
თა ცხოვრებითა დააბრკოლე ვინმე, უკეთუ მოყვასნი შენნი
ცხადად ხედვენ, რომ შენ ხარ სუსტი აღსრულებასა შინა
მცნებათა ქრისტესთა, იცოდე, რომ უარ გიყოფიეს შენ ქრის-
ტე წინაშე კაცთა. თუმცა ენითა შენითა არ გითქვამს უარი,
გარნა საქმენი შენნი უცხადესად გამოაჩენენ უარის ყოფასა
შენსა. მოიხსენე, რას იტყვის მაცხოვარი: **არა ყოველმან, რო-
მელმან მრქვას მე: უფალო, უფალო და შევიდეს იგი სასუფეველ-
სა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა.
მრავალთა მრქვან მე მას დღესა შინა: არა სახელითა შენითა წი-
ნასწარ-ვმეტყველებდითა, და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხე-
ნით, და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენით? მას ჟამსა
შინა ვრქვა მათ: არა გიცნი თქვენ; განეშორენით ჩემგან ყოველ-
ნი მოქმედნი უსჯულოებისანი** (მატთ. ზ. კა-კდ).

რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და არ შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. აჰა მეორე მცნება, რომელი აღასრულეს ყოველთა წმიდათა. მრთელი მათი ცხოვრება იყო დაუსრულებელი შრომა, მოღვაწება და ტვირთვა ქრისტეს ჯვარისა, არა მქონებელნი სახლისა და კარისა, მოკლებულნი ყოვლითა ნუგეშითა და კმაყოფილებითა სოფლისათა, ხშირად შიშველნი და მშიერნი, იგინი ვიდოდენ სოფლითი სოფლად და ახარებდენ სახარებასა ქრისტესსა. დევნულნი, წყლულნი, ცემულნი, განკიცხულნი, შეურაცხნი, იგინი არა დასცხრებოდენ ქადაგებისაგან, არა უკუნ-იქცეოდენ სიყვარულისაგან, არ მოიშლიდენ განათლებასა სოფლისასა. ვინ გამოხატავს მათსა მოთმინებასა! მრთელ სიცოცხლეში ტანჯულნი, მრავალ გზის მყოფნი ცეხლსა შინა განსაცდელთასა, იგინი სიკვდილსაც ვერ ეღირსოდნენ მოსვენებით სარეცელსა ზედა თვისსა, არამედ იყვნენ მოწყვედილ მრავალ-ფერითა ტანჯვითა.

ესრეთ ყოველი გქონდეს სახეში, ძმაო ჩემო! გახსოვდეს, რომელ არა შესაძლო არს კაცი შეუდგეს ქრისტესა, ნამდვილად სურდეს აღსრულება სჯულისა ქრისტესისა და არ შეემთხვიოს მრავალსა განსაცდელსა. ამისთვის შენც აღიღე ჯვარი ქრისტესი და ესრეთ შეუდეგ კვალსა მისსა. შენც მოითმინე ჭირი და განსაცდელი, გამომავალი ვითარცა გულისა შენისაგან, ეგრეთვე სოფლისა და სულიერისა მტერთაგან. თავსა შენსა მარადის უნდა აიძულებდე, ვნებათა და ცოდვათა შენთა, რომელნი არიან ასოთა შინა შენთა, აღვირ-უხსმიდე, სოფლის მწუხარებათა და გაჭირვებათა წინა-აღუდგებოდე, განსაცდელთა სულიერისა მტერისაგან გამომავალთა განარჩევდე და განაქრობდე ლოცვითა და მოთმინებითა.

ახლა ისიც ვიხილოთ, რა იყო დასასრული შრომათა და მოთმინებათა წმიდათათა? რა მიიღეს მათ ნაცვლად მათის სამსახურის ერთგულებისა? ესეცა გვესმა დღეს წარკითხულისა სახარებისაგან. მოციქული პეტრე ჰკითხავს მაცხოვარს: **აჰა ესერა ჩვენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ, რამე იყოს ჩვენდა?** ხოლო იესო ჰრქვა მათ: **ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ თქვენ, რომელნი ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას შვებასა, რაჟამს დასჯდეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თქვენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა.** აჰა რას მიაგებს უხვი და უხვად მიმცემელი უფალი ერთ-გულთა თვისთა მონათა! ჩვენც გვექმნება, ძმაო, სასოება ამისა, უკეთუ ვბაძავთ შრომასა და მოთმინებასა მათსა. გარნა, საუბედუროდ, ჩვენ ხშირად ვართ სულ-მოკლე და მოუთ-

მენელ. უკეთუ მცირე ოდენ შეუდეგით კეთილსა ცხოვრება-
სა. მაშინვე აქა ველით ღვთისაგან ჯილდოსა და მიგებასა,
ხოლო უკეთუ გვეწვია რაიმე ჭირი და განსაცდელი, ვსდრ-
ტვინავთ და ვფიქრობთ გულსა შინა ჩვენსა, სად არის სი-
მართლე, რათ მიყო მე ეს ღმერთმა? რას ფიქრობ, ჰოი სულ-
მოკლეო და მცირედ მორწმუნეო! ნუ თუ უმჯობეს ხარ შენ
ყოველთა წმიდათა, რომელთა ვერ იხილეს ნუგეში და გამო-
ხსნა ამ ქვეყანაზედ? მითხარ, რა მიიღო ამ სოფელში მოცი-
ქულმა პავლემ, რომელმან განანათლა კიდენი ქვეყნისანი სა-
ხარებისა? თავი მოჰკვეთეს მას კეთილ-მსახურთა. რა უყვეს
პეტრეს? ჯვარზედ ჩამოკიდეს იგი. იოანე ღვთის-მეტყველსა?
ადუღებულს ზეთში შთააგდეს იგი. ვითარ გაათავა ცხოვრე-
ბა თვისი მეორე იოანემ, მსგავსმან პირველისა, ოქროპირად
წოდებულმან, მნათობმან სოფლისამან და ორღანომან სული-
სა წმიდისამან? იგი იყო განგდებულ სამწყსოისა თვისისაგან
და აღასრულა ცხოვრება თვისი გზასა ზედა. ან რომელი წმი-
დათაგანი ეღირსა დიდებასა და ნუგეშსა ამის სოფლისასა? დიახ,
შეეძლო ღმერთსა აქვე, ამ სოფელში, მიგება წმიდათა კეთილისა
მათის მსახურებისა წილ; გარნა ზეცას უმჯობესი მისაგებელი
განუმზადა მათ, რომელსა იგინი აწ ხედვენ და გემოვნებენ.

დასასრულ ნუ დავივიწყებთ უკანასკნელთა სიტყვათაცა
დღევანდელისა სახრებისა: **მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა,
და უკანანი წინა.** სოფელსა ამას შინა ყოველნი წმიდანი იყვნენ
შეურაცხნი და უკანასკნელნი, ხოლო მომავალსა საუკუნესა
იგინი იქმნებიან მსაჯულნი აქაურთა მათთა მსაჯულთა.

ვევედროთ ღმერთსა, რათა ჩვენცა გვყოს მოზიარედ მათისა
დიდებისა. ამინ.

სიტყვა

კვირიკესა ყოველთა წმიდათასა.

ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ
წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა
ჩემისა ზეცათასა; რომელმან უარ-მყოს მე წინაშე
კაცთა, უარ-ვყო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემი-

სა ზეცათასა (მატთ. ი, ლბ.).

*

ეს სიტყვები, რომელი გვესმა დღეს წარკითხულისა სახარებისაგან, ძმანო ქრისტიანენო, ცხად ყოფენ, რომელ აღსარება წინაშე კაცთა იესო ქრისტეს სახელისა, არის ერთი უპირველესთა და მიუცილებელთა მოვალეობათა ჩვენთაგანი. რისთვის მოვინათლენით ჩვენ და რისთვის შეუდექით ქრისტეს სჯულსა? არა მისთვის, რომელ, უკეთუ, შეწევნითა ღვთისათა, მტკიცედ დავიცავთ სჯულსა ჩვენსა, მაშინ უფალი იესო ქრისტე წარგვადგენს ჩვენ წინაშე მამისა თვისისა, აღიარებს სახელსა ჩვენსა და მოგვცემს აღთქმულსა ნეტარებას? გარნა ამ სიკეთეს და ბედნიერებას იგი აღუთქვამს მხოლოდ მათ, რომელნი აღიარებენ მას წინაშე კაცთა: **ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა; ხოლო რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა.** მაშა-სადამე ფრიად საჭიროა შევიტყოთ: რაი არს აღსარება ქრისტესი, ვინ აღიარებს მას ღირსებით წინაშე კაცთა, ხოლო ვინ უარ-ჰყოფს მას.

აღსარება იესო ქრისტესი წინაშე კაცთა ის არის, როდესაც კაცი, თუ გარემოებამ მოითხოვა, პირდაპირ, თამამად და სიხარულით იტყვის, რომ იგი არის ქრისტეს მორწმუნე და მოსავი და მისი მქადაგებელი; ხოლო თუ სიტყვიერსა აღსარებასა არავინ ითხოვს მისგან, თვით საქმით, ცხოვრებითა და ყოფაქცევითა თვისითა, ნათლად გამოაჩენს, რომელ მას კიდეც სურს და კიდეც აქვს მეცადინეობა ყოველთა შემთხვევათა შინა აღასრულოს მცნება მისი, რათა ყოველთა კაცთა, ვითარცა იტყვის იესო ქრისტე, **იხილონ საქმენი მისნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა მისსა ზეციერსა.** წინააღმდეგ ამისა უარისმყოფელი ქრისტესი წინაშე კაცთა ის არის, რომელი ზოგჯერ პირდაპირ, სიტყვიერათაც, შეურაცხჰყოფს უფალსა იესო ქრისტესა და მისსა მცნებასა; ხოლო ზოგჯერ, თუმცა სიტყვიერათაც არ უარ-ჰყოფს იესო ქრისტესა, გარნა საქმენი მისნი ცხად ჰყოფენ, რომელ მას არა ჰსურს, ანუ იგი არა ცდილობს, რომ გაამართლოს სჯული ქრისტესი და მით ადიდოს სახელი მისი წინაშე კაცთა.

ვინ იქმნება ისრეთი საცოდავი კაცი მონათლულთა და ქრისტიანეთაგანი, რომ არ აღიაროს და კიდეც უარ-ჰყოს სახელი იესო ქრისტესი წინაშე კაცთა? ესრეთ, უთუოდ იფიქრებს ზოგიერთი აქა მდგომთაგანი. მართლაც, ძმანო ჩემ-

ნო, დიდად გასაკვირვებელი არის და დაუჯერებელი ესრეთი საქმე! თუ კი ერთხელ ვინმემ მიიღო ქრისტეს სჯული, თუ კი ცოტაოდენი მაინც იცნო და შეიტყო ვინ იყო იესო ქრისტე, რა ჰქმნა მან ჩვენთვის, რა გვასწავლა, რა აღგვითქვა, როგორღა მოხდება, რომ ესე ვითარმა კაცმა უარ-ჰყოს იესო ქრისტე წინაშე კაცთა? ცხად არს, რომელ ვინც იესო ქრისტეს უარჰყოფს, იგი მარტო მას არ უარ-ჰყოფს, არამედ უარ-ჰყოფს თვით ჭეშმარიტებას, თვით სიწმიდესა, სათნოებასა, ერთი სიტყვით, იგი უარ-ჰყოფს ყოველსა, რაიცა კაცსა აქვს უმჯობესი და უმაღლესი, რითაც კაცი არის კაცი-ადამიანი და არა პირუტყვი. გარნა სჩანს, რომელ ეს შესაძლო არს, ძმანო ჩემნო! და არა თუ ეს არის შესაძლო, არამედ ამაზე უარესიცა რაიმე! შესაძლებელი არის, რომ გამოჩნდეს ისრეთი საცოდავი, მახინჯი კაცი, რომნელმანც არათუ უარ-ჰყოს იესო ქრისტე, არამედ ჰრცხვენოდეს მისი; ამას იტყვის თვით უფალი: **რომელსა სირცხვილეულ უჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყვათა ჩემთა, ამას ძემანცა კაცისამან არცხვინოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თვისითა და მამისა და წმიდათა ანგელოზთა თანა.**

ღმერთო მაცხოვარო! შენი უნდა შერცხვესა ადამიანს? თუ შენი სიტყვა და სწავლა სასირცხვოდ მიაჩნია ვისმეს, მაშ რაღა უნდა იყოს მისთვის სასიქადულო? თუ ნათელისა ჰრცხვენია კაცს, აბა ბნელი ყოფილა მისი სიქადული! სწორეთ საკვირველი არის ესრეთი საქმე, ძმანო ჩემნო! გარნა, საუბედუროდ ჩვენდა, ხშირად გამოჩნდება იგი ქვეყანაზე! გარნა არ ვხედავთა ჩვენ ახლა, ამ ჩვენ დროებაში, ზოგიერთთა საცოდავთა ქრისტიანეთა, რომელთა არ ეშინიათ უარის-ყოფა წინაშე კაცთა უფლისა იესო ქრისტესი, სასიქადულოთ მიაჩნიათ წინააღმდეგობა და უარის-ყოფა სახარებისა, საზოგადოებასა შინა დიდსა ცხადად გამოაჩენენ თავსა თვისსა მოღალატედ სჯულისა და მით ჰგონებენ დაამტკიცონ თვისი ჭკუა და სწავლა... უკუნ ვაქციოთ ჰაზრი ჩვენი ესრეთთა საბრალოთა კაცთა, შემარცხვენელთა მათისა ტომისა და შთამომავლობისა.

გარნა სიტყვით უარის ყოფა არის უმცირესი ცოდვა, ვიდრე საქმით. უარის ყოფა ანუ ღალატობა ქრისტესი საქმით მრავალფერად აღსრულდება. უარის მყოფელი არის ქრისტესი ყოველი ქრისტიანე, რომელი დიდ ყურადღებას არ ხმარობს მისის სჯულის აღსრულებაზე, რომელი არ ცდილობს ღირსი შეიქმნეს ქრისტეს სახელისა, გააუმჯობესოს თვისი სულიერი მოქალაქეობა; უარ-ჰყოფს საქმით ქრისტესა კაცი დაუდგრომელი, რომელი არის დამონებული ვნებათა და არ ასრუ-

ლებს ქრისტეს ბრძანებასა.

უარ-ჰყოფ შენ ქრისტესა, ძმაო, თუ გაქვს გული გრილი მის სჯულზე, თუ სოფლისა ამის გემოვნება და კმაყოფილება გაშორებს შენ ქრისტესაგან, თუ წარტაცებული ხარ გულის თქმათაგან ბოროტთა; ბაგითა შენითა აღიარებ ქრისტესა, განა საქმენი შენნი არიან ქრისტეს წინააღმდეგნი; ამბობ, რომ ქრისტე მრწამსო, გარნა საქმენი შენნი არიან უმწარესნი უსჯულოთა; საყდარში გაქვს გონება დაფანტული, ლოცვას მიჩვეული არა ხარ, მოთმინება ცოდვათაგან გემძიმება, ყოველ დღე და ყოველ წამს აჯავრებ ღმერთსა ცუდითა შენითა ყოფა-ქცევითა.

ბოლოს არის კიდევ ერთი, მესამე სახე ქრისტეს უარის-ყოფისა, ანუ ღალატობისა, ყოველთა უსაშინელესი და უმძიმესი. რომელი? ის, როდესაც კაცი იქცევა ფარისევლობით, ესე იგი, თუმცა მის გულში სრულიად არ არის იესო ქრისტეს სიყვარული და მორიდება, გარნა ბაგითა თვისითა და გარეშეობითა ატყუებს ქვეყანა და გამოაჩენს თავსა თვისსა ქრისტეს ერთგულ მსახურად. რაოდენნი და რა საშინელნი ესრეთნი მაგალითნი არიან კიდევ ჩვენს ქვეყანაში! რა საზარელი არის ხილვა ესრეთისა კაცისა! რა ვიფიქროთ და რა ვსთქვათ, რომლითა ლექსებითა გამოვხატოთ ის საცოდაობა, რომელსა კაცი აქ საყდარში დიდ-დიდ პირჯვარს იწერს, ხშირად მეტანიას იქმს, რომელზედაც ამბობენ, რომ ძალიან მლოცველი და ღვთის-მოყვარე კაცი არისო, და გული ცხადად აქვს აღვსებული თავხედობითა და ამპარტავნებითა, ნათესავი სძულს, მრავალ პირს სჩაგრავს და აწუხებს. ვის ატყუებ შენ, საბრალო კაცო! ღმერთს, ანუ თავსა შენსა? მე ვხედავ, რომ შენ გულში აღგიმართავს ერთი დიდი კერპი, რომელსა შენ თაყვანსა-სცემ. იესო ქრისტე არ არის შენი ღმერთი, არამედ შენი საკუთარი თავხედობა და ჯინიანობაა.

ღმერთო, მოგვეც ჩვენ მეცნიერება შენისა სახელისა და ჯეროვნად აღსარება მისი წინაშე კაცთა. ამინ.

სიტყვა

მეორესა კვირიაკესა.

> და იხილა იესო სხვანი ორნი ძმანი იაკობ ზებედესი და იოანე ძმა მისი... და უწოდა მათ, ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა მათი და მისდევდეს მას (მატთ. დ. კა, კბ).

დღეს წარკითხული სახარება მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, როდის და რა სახით ამოარჩია უფალმან ათორმეტნი მოციქულნი თვისნი. მოთხრობასა ამას შინა უმეტესად მიიზიდავს ჩვენს ყურადღებასა ის, რა ერთგულად მიიღეს აღმორჩეულთა ამათ წოდება უფლისა და მსწრაფლ შეუდგნენ მას: **და იხილა იესო სხვანი ორნი ძმანი... და უწოდა მათ, ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა მათი და მისდევდეს მას.** აჰა, რა სახით ჰქონდა გული უბრალოთა ამათ მეთევზეთა განმზადებული სმენად ღვთის წოდებისა. რა კი მაცხოვარმან იხმო იგინი, აღარც ეჭვი, აღარც შიში, აღარც რყევა რომელიმე ანუ სიყვარული მშობელთა, ანუ სიყვარული მონაგებთა აღარ დააბრკოლებს მათ. გული ეტყვის მათ, რომელ კეთილ არს წოდება ესე, ჭკუა მათი შეაგონებს, რომელ იგინი ვერ იშოვნიან ამაზე უკეთესსა მოძღვარსა და განმანათლებელსა, სინიდისი ამხილებს მათ, რათა არა დაჰკარგონ კეთილი ესე შემთხვევა, არამედ ისარგებლონ მით და იგინი მაშინვე დაემორჩილებიან ხმასა უფლისასა: **ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა მათი და მისდევდეს მას.**

აჰა, ძმაო საყვარელო, კეთილი მაგალითი და სწავლა შენთვის თუ გსურს მიღება სწავლისა და მაგალითისა! როდესაც ღმერთი გიწოდებს შენ, რა სახითაც გინდა გამოგიჩნდეს წოდება იგი, ნუღარ ჰყოვნი, ნუ მიზეზობ, არამედ მაშინვე ისმინე ხმა უფლისა და შეუდეგ მას.

როდესაც მაცხოვარი ასწავლიდა ერსა, იგი ხშირად ესრეთ დაასრულებდა ქადაგებასა თვისსა: **რომელსა ახსენ ყურნი სმენად, ისმინენ!** შეიძლება და საჭიროც არის შენდამიც მოვაქციო სიტყვა ესე; თუ გაქვს, ძმაო, ყური სმენად ღვთისწოდებისა, თუ გული გაქვს გამზადებული მიღებად სიტყვისა ღვთისა, თუ ჭკუა შენი არ არის განდრეკილი, აარმედ მსურველი მიღებად ღვთისაგან მოვლინებულისა სწავლისა, – ყური დაუგდე შენცა წოდებასა ღვთისასა, მისთვის, რომელ ღმერთი მრავალ-გზის და მრავალ-ფერად გიხმობს შენცა, – **რომელსა ახსენ ყურნი სმენად, ისმინენ.** შენთვისაც იყო ეს მაგალითი და სწავლა, რომელი გესმა დღეს წარკითხულისა სახარებისაგან, – ისმინე იგი და იყავ მობაძავ კეთილ გონიერთა მათ მე-

თევზეთა. ღვთისაგან არის ყოველი შემთხვევა, როდესაც
გული შენი გართული სოფლისა ამის ამაოებასა შინა, უცფვათ
გაიხსოვნებს ღმერთსა, შეწუხდება რომლისამე მიზეზისაგამო,
მოსწყინდება მონება ცოდვისა და ისურვებს მიქცევად ღვთი-
სადმი. ხშირად სინიდისი შენი, ტვირთ მძიმე ცოდვისაგან,
სწუხს და იურვის, გაიძულებს და გდევნის მიქცევად ღვთი-
სადმი; გარნა, საუბედუროდ, ნაცვლად მისა, რომ ყური და-
უგდო ესრეთსა შენსა შინაგანსა მდგომარეობასა, და მიიღო
იგი ვითარცა წოდება ღვთისა, და შეუდგე ხმასა უფლისასა
და მისდევ მას, შენ თვითონ დააჩუმებ სინიდისსა შენსა და
მით გააუქმებ წოდებასა ღვთისასა. ღვთისაგან არის ისიც, რო-
დესაც შეგემთხვევა რომელიმე უბედურება, როდესაც შენ
ხარ შეწუხებული ანუ სიკვდილითა, ანუ სიღარიბითა, ანუ
სნეულებითა. ყოველთა ესრეთთა შემთხვევათა კაცნი ღვთის-
მოშიშნი და ღვთის-მოსავნი მიიღებენ, ვითარცა ღვთისაგან
მოვლინებულსა წოდებასა, შეიმუსვრიან გულთა თვისთა, და-
ემორჩილებიან სიმართლით დამსჯელსა მარჯვენესა ღვთისასა
და ცდილობენ, რომ სინანულითა, მოთმინებითა და მორჩი-
ლებითა გაისორონ ცხოვრება თვისი და შეიქმნენ ღირსნი
ღვთის მოწყალებისა; ანუ იქმნება ღმერთმან გიწოდა შენ კი-
დევ სხვითა სახითა: იქმნება მან მოგცა შენ პატივი და დი-
დობა შორის მოყვასთა შენთა, იქმნება შეგამკო ჭკუითა, სწავ-
ლითა, ანუ სიმდიდრითა. კაცი გონიერი და ღვთის მოშიში
ამათაც მიიღებს, ვითარცა ღვთის წყალობასა და უმეტესად
შეიყვარებს მას, გარნა შენ, საუბედუროდ, ნაცვლად ამისა
გული გაქვს გაქვავებული, ყოველი ესრეთი შემთხვევა ხში-
რად უმეტესად განშორებს ღვთისაგან, და არა თუ მიგიახლებს
მას. ერთი სიტყვით, რაოდენ გზის გული შენი ჰგრძნობდა წო-
დებასა ღვთისასა, რაოდენ გზის გეტყოდა იგი შენ: დრო არის
მიქცევად ღვთისადმი და დატევება ყოვლისა ამ სოფლის ბო-
როტებისა და ცოდვისა, რაოდენ გზის სული გიწუხდა, სინი-
დისი გაიძულებდა, ნეტარ ხარ მაშინ, თუ ისმინე წოდება
ღვთისა და მსგავსად მოწაფეთა, შეუდექი მას. გარნა, საუბედუ-
როთ, ვხედავ, რომ შენ მაინც მარადის აუქმებ წოდებასა ღვთისა-
სა და ყოველნი ღვთისაგან მოვლინებულნი სწავლანი დარ-
ჩნენ შენთვის უსარგებლო. რისთვის? რა არის მიზეზი საშინე-
ლისა ამის შენისი დაუდევნელობისა და უზრუნველობისა? ის,
რომ, შენ დიდად არ აფასებ წოდებასა ღვთისასა, ვითარცა
დააფასეს მოწაფეთა ქრისტესთა, უბრალოთა ამათ მეთევზეთა
ისე დიდად დააფასეს წოდება ქრისტესი, რომელ არა თუ მეყ-
სეულად დაუტევეს ნავი თვისი, ესე იგი ყოველი ქონება თვი-

სი, არამედ მშობელნიცა თვისნი. შენგან ღმერთი არ მოითხოვს ესოდენსა მსხვერპლსა, რომ დასტოვო ყოველი შენი საქმე და ქონება და შეუდგე ღვთისი მსახურებასა; ესრეთსა მსხვერპლსა ღმერთი მოითხოვდა და მოითხოვს მხოლოდ რომელთამე რჩეულთაგან, რომელთამე საკუთართა შემთხვევათა შინა. შენთვის ისიც საკმაო იქმნება, რომ მხოლოდ წოდებასა ღვთისასა და ღვთის მსახურებასა აფასებდე უდიდესად ყოველთა სხვათა საქმეთა შენთა, არ გავიწყდებოდეს ეს სიტყვა მაცხოვრისა: **სული უფროს არს საზრდელისა და გვამი სამოსლისა, ანუ ესე: რა მიუზღოს კაცმა ნაცვლად სულისა მისისა,** და სულის ცხოვნების საქმე წინა უვიდოდეს ყოველთა შენთა საქმეთა, და, რადგანაც სულის ცხოვნება შეიძლება მხოლოდ სარწმუნოებითა, სასოებითა, სიყვარულითა და სიმართლითა, ერთი სიტყვით, ყოვლითა სათნოებითა, მაშა-სადამე ზრუნვა და შეძენა ამათი უმეტესად ყოვლისა უნდა გაწუხებდეს შენ და მიგაჩნდეს შენ უდიდეს სხვათა ყოველთა შენთა საქმეთა; ბოლოს ყოველნი სხვანიცა შენნი ამ სოფლის საქმენი, შრომა და ზრუნვა ისე დააწყო, რომ იგინიცა შეგეწეოდენ ერთსა ამას და უმთავრესსა საქმესა, ესე იგი სულის განათლებასა და ცხოვნებასა, რომელიმცა მოგცეს ჩვენ ღმერთმან. ამინ.

სიტყვა

გ-სა კვირიაკესა ზედა, თქმული ქუთაისს ჩყდ-სა წელსა.

> ხოლო თქვენ ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ (მატთ. ვ. ლგ.).

ჰაზრი, რომელიც გამოსთქვა მაცხოვარმან სიტყვათა ამათ შინა დღეს წარკითხულისა სახარებისათა, არის ფრიად უცხო და განსაკვირვებელი კაცობრივისა გონებისათვის. ჩვენ ყოველნი ესრეთ ვფიქრობთ, რომელ ვინც ეძიებს მხოლოდ სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, ესე იგი, ვინც მხოლოდ ზრუნავს მისთვის, რათა აღასრულოს სახარება ქრისტესი, მიიღოს ღვთისაგან შენდობა ცოდვათა თვისთა და ეს-

რეთ აცხოვნოს სული თვისი, იმ კაცმან უნდა დაივიწყოს ყოველი სოფლიური საქმე და უნდა წინადვე მზად იყოს და იცოდეს, რომელ ამ ქვეყანაში მას არ აქვს ნაწილი და იგი ვერ შეიძენს კეთილ-დღეობასა და ბედნიერებასა. გარნა, ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, რასა გვეტყვის მაცხოვარი: **ეძიებდით პირველად, - გვეტყვის იგი, სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.** ესე იგი უპირველესი და უმთავრესი ზრუნვა თქვენი იყოს სიმართლისა და სასუფევლისათვის ღვთისა, ხოლო ყოველი სოფლიური საჭირო ნივთი, ესე იგი საჭმელი, სასმელი, შესამოსელი და სხვა, თავით თვისით და უადვილესად შეგეძინება თქვენ. უკეთუ უცხადესად გსურთ შეიტყოთ, რომელ ნამდვილად ეს ჰაზრი აქვსთ სიტყვათა ამათ, ვნახოთ რასა იტყვის მაცხოვარი უწინარესთა შინა მუხლთა დღეს წარკითხულისა სახარებისათა. **ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მსახურებად,** იტყვის უფალი; ესე იგი, უკეთუ ვინმე მრთელი თვისი ღონე და ცხოვრება შესწირა ზრუნვასა ამა სოფლისასა, მაშინ მისი უფალი და მბრძანებელი იქმნება სოფელივე და არა ღმერთი; მაშინ იგი ვერ ემსახურება ღმერთსა. შემდგომ მაცხოვარი იტყვის: **ნუ ზრუნავთ სულითა თქვენითა, რაი სჭამოთ და რაი სვათ;** ესე იგი ნუ იქმნება უმთავრესი თქვენი შრომა და მეცადინეობა საჭმლისათვის: **ნუ ზრუნავთ და იტყვით, ანუ რა ვსვათ, ანუ რა ვსჭამოთ, ანუ რა შევიმოსოთ, რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ.** წარმართთა საქმე იყო ფიქრი მხოლოდ საჭმლისა და სასმელის და შესამოსელისათვის; ხოლო თქვენ **ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა...** აწ ცხად არს, ძმანო ჩემნო, რომელ მაცხოვარი ნამდვილად იმას გვამცნებს და გვიბრძანებს, რათამცა უწინარეს და უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვზრუნავდეთ სასუფევლისათვის ღვთისა და უკეთუ ამას აღვასრულებთ, მაშინ სოფელსაცა ბედნიერება და კეთილ-მდგომარეობა უადვილესად შეგვეძინება ჩვენ, სასუფეველი ცათა საღმრთოისა წერილსა შინა ეწოდება კეთილსა და ქრისტიანულსა ცხოვრებასა; სიმართლე სასუფეველისა არის აღსრულება მცნებათა სახარებისათა და განმართლება, რომელსაცა მიიღებს სულისა წმიდისაგან კაცი, აღმასრულებელი სჯულისა ქრისტესისა; მაშასადამე, სრული ჰაზრი სიტყვათა ამათ, რომელთა ჩვენ აწ განვიხილავთ, არის ესრეთი: ყოველი, ვითარცა კერძოობითი, კაცი, აგრეთვე საზაოგადოება, ყოველი ქვეყანა და ყოველი სახელმწიფო მხოლოდ მაშინ შეიძინებს ამ სოფელშიც ბედნიერებას და კეთილ-დღეობასა, ოდესაც იგი წინაპირველად ეძიებს სასუფეველსა ღვთისასა და

სიმართლესა მისსა, ესე იგი კეთილ ცხოვრებასა, სახარებისამებრ.

ვითარ შესაძლო არს და რით განმართლდება სიტყვა ესე სახარებისა? ამ სახით: ყოველი გარეგანი მოძრაობა და მოქმედება კაცისა დამოკიდებულ-არს შინაგანსა თვისებასა და მიდრეკილებასა ზედა. უკეთუ შინაგანი კაცისა არ არის წესიერად და კეთილად დაწყობილი და განათლებული, მაშინ გარეგანიცა მისი მოქმედება არ იქნება წესიერად წარმართებული; ვისაც აქვს გონება და გული აღრეული და აღშფოთებული ცოდვათა და ვნებათაგან, მას არ შეუძლიან იყოს ბედნიერად და კეთილად მდგომარე ქვეყანასა ამას შინა; საფუძველი მშვიდობისა და ბედნიერებისა ამის სოფლისა არის მშვიდობა, სიმართლე და მართლ-მსაჯულება. სადაცა სუფევს უმართლობა და შფოთი, იქ კაცი ბედნიერი ვერ იქნება და ვერას შეიძენს დასამტკიცებლად ამისა და აღსახსნელად სიტყვათა მაცხოვრისათა წარმოვიდგინოთ ორი საზოგადოება, ანუ ორი სხვადასხვა ხასიათისა და ყოფაქცევის სოფელი; წარმოვიდგინოთ, რომელ ერთ სოფელში ცხოვრობენ კაცნი კეთილნი და ღვთის-მსახურნი, რომელნი ყოველ საქმეში იქცევიან სიმართლით, და ესრეთ კეთილად და წესიერად არიან ურთიერთსა შორის დაწყობილნი, რომელ ერთი მეორეს არა თუ უშლის მოძრაობასა, შრომასა და ცხოვრებასა, არამედ ეხმარება, ხელს უწყობს. შემდგომ წარმოვიდგინოთ, რომელნი მეორე სოფელში ცხოვრობენ კაცნი ცუდნი, უმართლონი, მოჩხუბარნი, მეშფოთენი, რომელნი ურთიერთა აწუხებენ და სდევნიან შურითა და მძლავრობითა; ერთი სიტყვით, ესრეთ ცუდად არიან განწყობილნი, რომელ ერთი მეორეს ყოველ საქმეში აბრკოლებს, უშლის, მრთელი მათი დროება და ღონე ილევა ჩხუბში და დავაში; – ამ ორთა სოფელთაგან რომელსა შინა იქმნება კაცი უმეტესად ბედნიერი და კეთილ-მდგომარე? ცხად არს, რომელ პირველსა სოფელსა შინა: იქ უადვილესად ძალ-უძს მას, რათა შეიძინოს საჭმელიცა, სასმელიცა და ყოველი ქვეყნიური საჭირო ნივთი; ხოლო მეორესა სოფელსა შინა კაცი არა თუ ვერ შეიძენს რაიმეს, არამედ ადვილად დაჰკარგავს მშვიდობასა და ბედნიერებასა.

გარნა, რაც ახლა ჩვენ მხოლოდ მაგალითად წარმოვიდგინეთ, ეს ნამდვილად წარმოებს და მართლდება ყოველსა ქვეყანასა ზედა წინაშე თვალთა ჩვენთა.

ვიცით, რომელ აწმყოს ჩვენს დროებაში, არიან მრავალნი სახელმწიფონი; რომელნიმე მათგანნი აღიარებენ სჯულსა ქრისტესსა, გარნა სხვანი არიან ძველითგანვე ურწმუნონი, კერპთ-

მსახურნი, ანუ მაჰმადიანნი. რომელთა სახელმწიფოთა შინა არის ახლა უმეტესი განათლება, წარმატება, კეთილ-დღეობა და ბედნიერება? ყოველი დიდება და აღმატება არის ახლა ხელთა შინა ქრისტიანეთასა; ხოლო ურწმუნოთა სამფლობელონი არიან დაცემულნი და დაბნელებულნი; და უმეტესად ყოველთა არის დაცემული და მოკლებული ყოვლისა სიკეთისა და წარმატებისაგან, ვითარცა ჩვენ ცხადად ვხედავთ თვალითა ჩვენითა, სახელმწიფო იგი, რომელიცა არის მდებარე მახლობლად ჩვენის ქვეყნისა. ხოლო ვინც ღრმად განიზრახავს, თუ რაი არს მიზეზი ბედნიერებისა პირველთა და უბედურებისა მეორეთა, იგი სცნობს, რომელ პირველნი გაბედნიერდენ მისთვის, რომ დააფუძნეს მოქალაქობა თვისი და განათლება სასუფეველსა ზედა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, ხოლო სხვათა არ მიიღეს სიმართლე ესე.

გარნა რაისთვის მოგვყავს ჩვენ ესრეთნი შორეულნი მაგალითნი? შენ შეგიძლიან, ძმაო ჩემო, თვით აქ, ამ ქვეყანაშივე, გარემოს შენსა, ნახო მრავალი მაგალითი, დასამტკიცებლად სიტყვათა მაცხოვრისათა: **ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა...** შეგიძლიან წარმოიდგინო რომელნიმე გვარნი და ოჯახნი, გაბედნიერებულნი ჩვენ ქვეყანაში ერთითა მხოლოდ თვისითა შრომითა და ღვთის-მოყვარებითა და სიმართლითა; გარნა სხვანი რომელნიმე სახლნი და გვარნი ცხადად წახდენილნი და დაცემულნი მხოლოდ მით, რომელ იყვნენ არა მართალ, არამედ მტაცებელ და ბოროტ. აგრეთვე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საზოგადო მდგომარეობა ჩვენი და ჩვენი წინაპართა. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომელ ჩვენ, მცხოვრებნი, ამა ქვეყნისანი, ვერა ვართ ისრეთ ბედნიერნი და კეთილ-მდგომარენი, ვითარცა შეეფერება მშვენიერსა ბუნებასა და ქვეყანასა ჩვენსა. რისთვის? მისთვის, რომელ, საუბედუროდ, გვაქვს ხასიათი ცუდი, არა ვართ კეთილად განწყობილი ურთიერთას შორის, არა სუფევს სიმართლე საქმეთა შინა ჩვენთა, ვაწუხებთ ერთი მეორესა სიძულილითა და ჩხუბითა, შური და მძლავრობა დიდად უფლებს და უძღვის საქმეთა ჩვენთა; არა ვეძიებთ სიბოროტესა. აგრეთვე ძველნიცა მოთხრობანი ქვეყნისა ჩვენისა ცხადად გვაჩვენებენ, თუ ვითარ შეწუხებულ იყო ქვეყანა ჩვენი მაშინ, როდესაც იყო შფოთი, შური და სიძულილი ჩვენ შორის; გარნა ვითარი იყო ქვეყანასა შინა ჩვენსა მშვიდობა და ბედნიერება მაშინ, ოდესცა, წინამძღოლნი რომელთამე ღვთის-მოყვარეთა მეფეთა და სულიერთა მამათაგან, წინაპარნი ჩვენნი ეძიებდენ სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა.

და ესრეთ, ძმაო ჩემო, უკეთუ ბრძანებითა ღვთისათა არ შეიყვარებ სიმართლესა და კეთილ-მსახურებასა, შენმა საკუთარმა სარგებლობამ მაინც შეგაყვაროს იგი. იცოდე, რომ კაცი იგი არ არის ბედნიერი, რომელსა არ უყვარს სიმართლე და ღმერთი; არ არის წარმატება და კეთილ-მდგომარეობა სოფელსა მას შინა, ანუ საზოგადოებასა. სადაცა სუფევს სიმართლე და რომელიცა არა ეძიებს სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა. გახსოვდეს, რომელ საფუძველი ქვეყნიერისა საზოგადო კეთილ-დღეობისა ის არის, რომ საზოგადოებაში ერთი მეორეს არ უშლიდეს ცხოვრებასა, არ უბრკოლებდეს მოქმედებასა. იცხოვრე შენც და ნურც სხვას უშლი ცხოვრებას! აჰა კანონი კეთილგანათლებულთა საზოგადოებათა, გარნა ჩვენ ქვეყანაში, საუბედუროდ, სხვა გვაქვს კანონი. აქ ყოველი კაცი თითქმის ესრედ ფიქრობს: არც მე მქონდეს და არც სხვასაო; ნურც შენ იცხოვრებ, ნურც სხვას აცხოვრებო, - საშინელ არს ჩვეულება ესე ჩვენი! ამისთვის მტკიცედ და მარადის გვახსოვდეს სიტყვა უფლისა: **ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.** ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

გ-სა კვირიაკესა ზედა.

ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ (მატთ. ვ. ლგ).

სიტყვათა ამათ შინა, ძმანო ქრისტიანენო, მაცხოვარი გვასწავებს ჩვენ, რათა პირველი და უმთავრესი ზრუნვა და მეცადინეობა ჩვენი ქვეყანასა ამას შინა იყოს შეძინება ღვთის სასუფევლისა და სიმართლისა მისისა; ხოლო სხვა ყოველი, რაიცა არს საჭირო ჩვენისა ხორციელისა ცხოვრებისათვის, თავის თავად და უადვილესად მოგვეცემა ჩვენ. აღსახსნელად და გასამართლებელად სიტყვათა ამათ, ჩვენ გამოვიკვლიოთ დღეს, რაი არს სასუფეველი ღვთისა? სად უნდა ვეძიებდეთ მას და რა სახით? და რა სახით შეიძლება, რომ თვით ღვთის სასუფევლისა და სიმართლისა მისისა შეძინებამ გაგვიადვი-

ლოს და შეგვეწიოს პოვნასა შინა ქვეყნიერის კეთილ-მდგო-
მარეობისა და ბედნიერებისა?

სასუფეველი ღვთისა, ძმანო ქრისტიანენო, არის ის ჭეშ-
მარიტება, სიმართლე, სიწმიდე და სათნოება, ანუ ის სულიე-
რი, წმიდა და მადლიანი ცხოვრება, რომელიცა სიტყვით
გვასწავა და საქმითაც გვაჩვენა მაცხოვარმან ჩვენმან, და შემ-
დგომად მისი გვასწავეს და გვაჩვენეს ყოველთა მისთა, მად-
ლით მოსილთა წმიდათა. ესრეთ აღწერს თვით საღმრთოცა
წერილი სასუფეველსა ღვთისასა! სად არის ეს სასუფეველი
ღვთისა? იგი არს, ვითარცა შინაგან კაცისა გულსა და სულსა
მისსა, ეგრეთვე გარეგან მისსა, საქმეთა შინა კაცთასა. სასუ-
ფეველი ღვთისა შინაგან კაცისა არის მსგავსება და ხატება
ღვთისა, რომლითა თვით ღმერთმან შეამკო ბუნება კაცისა
ჟამსა დაბადებისა მისისასა. თუმცა აწ ბუნება კაცისა არს
ფრიად დაცემულ, მსგავსება და ხატება ღვთისა ცოდვათაგან
ფრიად დაბნელებულ, გარნა ახლაცა ყოველ კაცს აქვს რო-
მელიმე კვალი და თესლი ღვთის ხატებისა, ანუ ღვთის სასუ-
ფეველისა. მართალია, ცოდვამან მოიპოვა დიდი ძალა და მოქ-
მედება ბუნებასა ზედა კაცისასა, გარნა მაინც ქვეყანაზედ არ
იპოვება ისრეთი კაცი, რომელმანც არ იცოდეს განრჩევა
შორის ცოდვისა და მადლისა, სიცრუისა და სიმართლისა.
ყოველი კაცი ხშირად სცოდავს, გარნა, ვგონებ, ისრეთი ადა-
მიანი არ იპოვება ქვეყანაზედ, რომელსაცა თავის ჰაზრში და
გრძნობაში მაინც სიმართლე და მადლი არ ერჩიოს სიცრუე-
სა და ცოდვასა. თვით უკანასკნელი და ყოვლადვე განრყვნი-
ლი, ყოველ ბოროტებაში გამოსული კაცი რომ მოვიყვანოთ
მაგალითად, ისიც კი ზოგჯერ გრძნობს მწუხარებასა თავის
თავზედ; მაშასადამე კაცის ბუნებაში ახლაც არის თესლი
ღვთისა სასუფეველისა, და ყოველი კაცი პირველად თავის სულ-
ში და გულში უნდა ეძიებდეს სასუფეველსა ღვთისასა. რადგა-
ნაც საკუთარი შენი სინიდისი და ჭკუა, ძმაო ჩემო, გაგრძნო-
ბინებს შენ, რომელ სიმართლე უმჯობესია უმართლოებაზედ,
სიწმიდე უწმიდურობაზედ, მადლი ცოდვაზედ, აქედან იწყე
ძებნა და შეძენა ღვთის სასუფეველისა. რა სახით? ესრეთ, რო-
მელ შეითვისე ის საღმრთო გრძნობა, რომელიც დანერგა
ღმერთმან შენ გულში, გააღვიძე იგი, აღაორძინე, გაადიდე
საკუთარითა შენი მეცადინეობითა. მცირე ნაპერწკალი, უკე-
თუ კაცი ეცადა, აღაგზნებს დიდსა ცეცხლსა. მცირე იგი და
სუსტი გრძნობა სიმართლისა და მადლისა მეცადინეობითა
აღეგზნება დიდ ცეცხლად და განანათლებს მრთელსა შენს
ბუნებასა. მრავალნი ღონისძიებანი მოგცა შენ მაცხოვარმან

დიდისა ამის საქმისათვის; იგი მისთვის მოვიდა და განკაცნა, რათა აღაგდინოს შენში ხატი ღვთისა; მან მოგანიჭა საღმრთო სჯული, საღმრთო წერილი, - უკვდავნი მდინარენი ცხოვრებისა და ნათლისა.

გქონან შვიდნი საიდუმლონი, შვიდნი წყარონი საღმრთოისა მადლისანი; ლოცვა, წირვა, მარხვა და ყოველნი ეკკლესიურნი წესნი; იხმარე ესენი და მათ მიერ აღაშენებ სასუფეველსა ღვთისასა ბუნებასა შინა შენსა.

გარნა სასუფეველსა ღვთისასა უნდა ვეძებდეთ აგრეთვე გარეშე ჩვენსა, საქმეთა შინა ჩვენსა და მოყვასთა ჩვენთასა. – რას ნახავ, ოდესცა შეხედავ და გასინჯავ ადამიანის ცხოვრებას ამ ქვეყანაზედ? ნახავ, რომ ცოდვა და მადლი, სიმართლე და სიცრუე არიან თითქმის არეულნი და გადაბმულნი ურთიერთა შორის; ცხოვრება ადამიანისა ბრუნავს, ვითარცა ურმის თვალი, და მასთანავე ბრუნავენ და იძვრიან ქვეყანაზედ ცოდვა და მადლი. შენზედ არის დამოკიდებული, ძმაო, რომელ კერძოს აღირჩევ და ვის ემსახურები. უკეთუ გსურს შეძინება ღვთის სასუფეველისა, ყოველ საქმეში აღმოირჩიე მართალი კერძო. სადაცა ხედავ მადლსა, იქ იყოს გული და სული და ხელიცა შენი: შეეწიე განძლიერებასა ღვთის სიმართლისასა კაცთა შორის; იცოდე, რომელ თუ გაძლიერდა იგი მოყვასთა შორის შენთა და მახლობელთა, შენთვისცა დაშთება ესე სასარგებლოდ, შენც გაკეთდები ამით.

ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.

ახლა ის უნდა გამოვიკვლიოთ, ძმანო ჩემნო, თუ რა სახით შეიძლება, რომელ ოდესცა კაცი გულს-მოდგინედ ეძიებს სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, მაშინ ამ სოფლის ცხოვრებაც გაუდვილდება მას და შეიქმნება უმჯობესი. რა კავშირი აქვს ორთა ამათ საგანთა, ესრედ დაშორებულთა, ესე იგი სასუფეველსა ღვთისასა და ხორციელსა კეთილ-დღეობასა და ბედნიერებასა, ანუ რისთვის სთქვა უფალმან: **პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ!** დიდი და მიუცილებელი კავშირი არის, ძმანო, ორთა ამა საგანთა შორის: პირველად, ეს უეჭველია, და ყოველმან კაცმან იცის, რომელ კაცის ამ ქვეყანაზედ კმაყოფილება და კეთილ-მდგომარეობა დამოკიდებული არს თვით მის ჭკუაზედ, შრომაზედ და მეცადინეობაზედ. თუ ვისმე ამ ქვეყანაზედ აქვს სიმდიდრე, პატივი, ბედნიერება, უთუოდ ან თვით მან შეიძინა ესენი თვისითა შრომითა და მეცადინეობითა, ან შეიძინეს მისთა წინაპართა და გარდამო-

სცეს მას. გარნა კაცის შრომა და მეცადინეობა არაოდეს არ იქმნება ნაყოფიერ და სასარგებლო, უკეთუ იმ კაცს არა აქვს გულში ღვთის სასუფეველი, ესე იგი არა აქვს დამშვიდებული, კეთილი და მართალი ხასიათი. გარეგანი წარმატება და ნაყოფიერება კაცის შრომისა ყოველთვის დამოკიდებული არის შინაგანსა მისსა თვისებასა ზედა. თუ თავისი საკუთარი ხასიათი ვერ აღაშენა კაცმან და ვერ დააწყო კეთილად, არამედ აქვს იგი ყოველთვის აღელვებული და მოუსვენებელი, როგორ აღაშენებს იგი თვისსა ხორციელსა კეთილდღეობასა? მეორედ ეს გასინჯე და წარმოიდგინე, ძმაო: რა მიზეზი დაა-ბრკოლებს და კიდეც დაარღვევს ქვეყანაზედ კაცის კეთილ-დღეობასა და ბედნიერებას? ვგონებ, ყოველი კაცი დამეთან-ხმება ამაში, რომელ პირველი კაცის ბედნიერების დამარღვე-ველი მიზეზი არის ცოდვა, ვნება, უსამართლობა. როგორ შეიძლება, რომ ის კაცი იყოს წარმატებული და ბედნიერი, რომელსაც თვითონაც ცუდი ხასიათი აქვს და ჰსცხოვრებს კაცთა შორის, ცუდის ხასიათისა მექონთა? დასამტკიცებლად მისა, თუ ვითარი დამოკიდებულება აქვს ხორციელსა ბედნიე-რებასა და სულიერსა მადლსა, ანუ ღვთის სასუფეველსა, მია-ქციეთ ყურადღება, ძმანო ქრისტიანენო, თვით მდგომარეო-ბასა ზედა ჩვენის ქვეყანისასა. ყოველმა კაცმა იცის ეს და ყო-ველი აქაური მცხოვრები აღიარებს, რომელ უმთავრესი მი-ზეზი ჩვენის სიღარიბისა, სისაწყლისა და მწუხარებისა არის თვით ჩვენი ხასიათი, ცუდად აშენებული და ცუდად დაწყო-ბილი. თუ კარგად გასინჯავ და დაუკვირდები აქაურ ცხოვ-რებას, მაშინვე დარწმუნდები, რომელ ვისაც ჩვენს ქვეყანაში აქვს მცირედი ბედნიერება და შეძლება, ანუ დაბიურად რომ იტყვიან: „ვისაც ცოტაოდენი სული უდგას“, ის უთუოდ ისრეთი კაცია, რომელსაც არ უყვარს დაუსრულებელი დავა და ჩივილი, არამედ უყვარს შრომა და მეცადინეობა, სხვისას არაფერს არ ეძიებს და არ ეხარბება, არამედ ჰცდილობს, რომ თავის ხელით შეიძინოს რაიმე; წინააღმდეგ ამისა, რავდენნი არიან ჩვენს ქვეყანაში დასაწყლებულნი და დაღარიბებულნი მხოლოდ მით, რომელ თავისი სიცოცხლე გაუტარებია ჭო-რით, დავით და საჩივრებით, არ სცდილობენ პატიოსნითა შრომითა და მოღვაწებითა შეიძინონ რაიმე, არამედ ყოველ-თვის იმას უყურებენ, ვის რა გამოსტყუონ და გამოჰგლიჯონ. ერთი სიტყვით, არ არიან მეძებელნი ღვთის სასუფეველისა, არამედ, ვითარცა წარმართნი, ჰგონებენ, რომელ შესაძლებე-ლი არის შფოთსა და უსამართლოებასა ზედა აშენება ბედნიე-რებისა.

ბოლოს ამას ყოველსა ის ჰაზრიც დაურთე, ძმაო ჩემო, რომელ კიდევ ერთი მიზეზი ამ სოფლის მწუხარებისა და უბედურებისა არის ნამეტანი სიხარბე კაცის გულისა, ვინაითგან იგი არ არის კმაყოფილი მით, რასაც ღმერთი მისცემს მას, არამედ მარადის მწუხარებით ეძიებს სიმდიდრესა. უმეტესსა კერძოსა კაცთა შორის ისეთი ხასიათი აქვს, რომელ თუმცა-ღა აქვს საკმაო ასზრდო, საჭმელი და სასმელი, გარნა მაინც სწუხს, ჰზრუნავს და ჰშფოთავს თავის გულში ხვალისათვის, ხშირად ჰფიქრობს: რა ვსჭამო, რა ვსვა, რით შევიმოსო, როგორ გამოვზარდო ცოლ-შვილი. ხოლო ზოგიერთსა, თუმცა-ღა აურაცხელი სიმდიდრე ჰქონდეს, გარნა თუ სიმდიდრესა მისსა კიდევ ყოველდღე არ ემატება, ანუ თუ ვინ იცის, რომლითამე შემთხვევითა მცირედი რაიმე მოაკლდა, მაშინ იგი შთავარდება მწუხარებასა შინა დიდსა. ესრეთი სიხარბე არის მიზეზი დამაბრკოლებელი ჩვენის სულიერის მშვიდობისა და მოსვენებისა; გარნა ვინც არის მეძიებელი ღვთის სასუფევლისა, ის აღარ იქმნება ესრეთი სულ-მოკლე მსასოებელი ღვთის შეწევნისა, იგი მუშაობს, ჰსცდილობს და, რასაც ღმერთი მისცემს, მით არის კმაყოფილი და ჰმადლობს ღმერთსა. სიღარიბე, ნაკლულევანება, მწუხარება მას არ შთააგდებს სასოწარკვეთილებასა შინა, მისთვის, რომელ მისს გულში მარადის მომდინარეობს წყარო მშვიდობისა და ნუგეშისა, ესე იგი, სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი, რომელიც ღმერთმან მოგვცეს ჩვენ ყოველთა. – ამინ.

სიტყვა

გ-სა კვირიკესა ზედა.

> ვერ-ვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად; ანუ ერთი იგი მოიძულოს, და სხვა იგი შეიყვაროს, ანუ ერთისა მის თავს იდვას, და ერთი იგი შეურაცხ-ჰყოს. ვერ ხელეწიფების ღვთისა მონებად, და მამონასა (მათ. ვ. კდ.).

სიტყვათა ამათ შინა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამხილებს ქრისტიანეთა მათ, რომელნი არიან დაუდგრომელნი და შერყეულნი მსახურებასა შინა ღვთისასა; ერთს წამს არიან ერთ-

გულნი და მხურვალენი გულითა ღვთის-მსახურებასა შინა, ხოლო მეორე წამს წარიტაცებიან სოფელსა ამის სიყვარულითა. აქვსთ სურვილი, რათა აღასრულონ მცნება ღვთისა, გარნა ხშირად დაემონებიან მამონასა, ერთი სიტყვით, ჰცდილობენ შეაერთონ ღვთის-მსახურება და მამონისა მონება.

აწინდელნი ქრისტიანენი ცხოვრებისამებრ თვისისა განიყოფიან სამ-ნაწილად. ერთი კერძო, სამწუხაროდ ჩვენდა, ფრიად მცირე, სრულებით და განუყოფელად ეკუთვნის ღმერთსა, მარად-ჟამს ჰფიქრობს ღვთის-მსახურებასა ზედა, ერთგულად და შეურყევლად ასრულებს საღმრთოსა მოვალეობასა თვისსა. ზოგიერთნი ქრისტიანენი, რაკი ერთხელ გადასწყვიტეს გულსა შინა თვისთა მსახურება ღვთისა, რაკი მიანდვეს თავი თვისი განგებასა ღვთისასა, მიუცილებლად ჰზრუნავენ მხოლოდ მისთვის, რათა სათნო-ეყონ ღმერთსა. რასაკვირველია, ხანდისხან ისინიც შთავარდებიან ცოდვასა შინა. ვიდრემდის კაცი ჰსცხოვრებს ქვეყანასა ზედა, არ შეუძლიან სრულიად უცხო ჰყოს თავი თვისი ცოდვისაგან; – გარნა მაშინვე აღსდგებიან და უმეტესითა ერთგულებითა კვალადვე იწყებენ მსახურებასა ღვთისასა. ესენი შეადგენენ ნაწილსა და სამკვიდრებელსა ღვთისასა; საღმრთო წერილში ამათ ეწოდებათ: მარილი სოფლისა, ნათელი ქვეყანისა, თესლი წმიდა, რჩეული ღვთისა, ძე სასუფევლისა და სხვანი სანუგეშო სახელნი. გარნა არა ამათთვის სთქვა მაცხოვარმან: **ვერ ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად...** ამათი უფალი და მეუფე არის ერთი მხოლოდ მაღალი ღმერთი და არ მიეწერება მათ ეს სიტყვა უფლისა.

მეორე ნაწილი ქრისტიანეთა არის სრულიად სხვა სახისა და წინააღმდეგისა ყოფა-ქცევისა. ზოგიერთთა ქრისტიანეთა მხოლოდ სახელად ეწოდება ქრისტიანე, გარნა ქრისტესა ღმერთსა იგინი სრულებით არ ემონებიან. იგინი ჰფიქრობენ მხოლოდ ამ სოფლისათვის, იგინი პატივს-ჰსცემენ და ემსახურებიან მხოლოდ მამონასა; გული მათი სრულიად გრილ-არს ღვთის-მსახურებაზედ, მათი უფალი და ბატონი არის მხოლოდ მათი თავი და სოფელი ესე; არცა ამათთვის სთქვა უფალმან **ვერ ხელეწიფების ღვთისა მონება და მამონისა,** ვინაითგან მათ გულში არღა არის რყევა და დაუდგრომელობა, არამედ დიდი ხანია გარდასწყვიტეს მათ დატევება ღვთისა და მსახურება მამონისა; იქმნება გარეშეობითა და სიტყვითა კიდევ ჰფარავდენ იგინი განდრეკასა და ღალატობასა ღვთისასა, გარნა სული მათი აღარ ეკუთვნის ღმერთსა. იმათზედ შეიძლება მხოლოდ ვევედრნეთ ღმერთსა, რათა დაალბოს გული მათი და მიაქციოს

იგინი უფლისა მათისადმი...

ბოლოს, მესამესა და უმრავლესსა ნაწილსა ქრისტიანეთა-
სა შეადგენენ ისინი, რომელნი ირყევიან შორის ორთა უფალ-
თა, ღვთისა და მამონისა, რომელთა, თუმცა ჰსურთ მონება
ღვთისა, გარნა ვერ გადუგდიათ უღელი მამონისა. ამათ ეტ-
ყვის უფალი: **ვერ ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად.**

ეს დაუდგრომელობა და რყევა არის დიდი ნაკლულევა-
ნება აწინდელთა ქრისტიანეთა. ოდესმე ძველს აღთქმაში,
ურიათა შორის განვრცელდა კერპთ-მსახურება; უკეთურმან
ისრაიტელთა მეფემან, აქაზმან, აღმართა დიდი კერპი, რომელ-
სა უწოდა ბაალ, და იწყო მსახურება მისი და უბრძანებდა
ისრაიტელთა, ქვეშევრდომთა თვისთა, მსახურებასა, მსხვერ-
პლის შეწირვასა მისდამი; გაჰჩნდა ერთი დიდი რყევა და იჭვ-
ნეულობა შორის ურიათა: არ იცოდენ მრავალთა, რა ექმნათ,
შიშისაგან მეფისა თაყვანის-ჰცემდენ ბაალსა, გარნა საიდუმ-
ლოდ არა უტევებდენ მსახურებასა ჭეშმარიტისა ღვთისასა. ამ
ჟამად ღმერთმან მიუვლინა მათ დიდი წინასწარმეტყველი ილია.
ამან შეჰკრიბა ყოველი ერი, წარსდგა წინაშე მეფისა და სთქვა:
**ვიდრემდის ჰკელობთ თქვენ ორითავე კოჭითა თქვენითა? უკეთუ
არს უფალი ღმერთი, მისა ვიდოდეთ უკანით** (მეს. წ. მეფ. თ, იჰ,
კა.). ესე იგი, დაბიურად რომ ვსთქვათ: როდემდის უნდა ჰკო-
ჭლობდეთ თქვენ ორთავე ფეხებითა? უკეთუ არის ქვეყანაზედ
ჭეშმარიტი ღმერთი, მას ემსახურეთ. ეგრედვე უნდა უთხრათ
ქრისტიანესა მას, რომელსა ჰსურს მსახურება ღვთისა და მა-
მონისა: უკეთუ შენ, ძმაო ჩემო, გიცნობია უფალი იესო ქრი-
სტე; უკეთუ შენ დარწმუნებული ხარ, რომ იგი არს ჭეშმარი-
ტი ღმერთი, მხსნელი და მაცხოვარი, მაშასადამე, მას მხოლოდ
ემსახურე და მისი მხოლოდ ისმინე. რისთვისღა ემონები სო-
ფელსა? რისთვისღა ჰფიქრობ, რომ შეგიძლიან მონება ღვთისა
და მამონისა?

ამაზედ ვგონებ შენ მიპასუხებ: მე სწორედ მსურს მონება
ღვთისა და მსახურება, და შეძლებისამებრ ჩემისა კიდეც ვემო-
რჩილები უფალსა; გარნა რა ვქმნა და რა სახით შევიძლო გარ-
დაგდება ამ სოფლის უღლისა? საჭიროებანი ხორცისა ჩემისანი
მაიძულებენ, ვიფიქრო ამ სოფელზედაც, დავემორჩილო სოფ-
ლისა ამის ჩვეულებასა, ვიზრუნო და ვიღვაწო ხორციელისა
ცხოვრებისათვის. – გარნა, ძმაო ჩემო, უფალი არ მოითხოვს
შენგან, რომ დაუტევო ყოველი ზრუნვა და ფიქრი სოფლი-
ური; სხვა არს ზრუნვა და ფიქრი ხორციელისა ცხოვრებისა-
თვის და სხვა არს მონება სოფლისა. უფალი მოითხოვს შენ-
გან – არ დაემონო სოფელსა ანუ მამონასა ისრეთ, ვითარცა

ღმერთსა; უფალი და ბატონი შენი იყოს მხოლოდ ღმერთი, თაყვანისცემა შენი და პატივისცემა ეკუთვნოდეს მხოლოდ ღმერთსა. გარნა რაოდენ-გზის მომხდარა და მოხდება, რომ უმეტესად პატივის-ჰცემ მამონასა, ვიდრემდის ღმერთსა? ერთი ანუ ორი მაგალითი სრულიად აღხსნის და დაამტკიცებს ამ ჰაზრსა. ვსთქვათ მაგალითებრ: დღეს არის კვირადღე, ესე იგი, ის დღე, რომელიცა ჩვენ ძველის და საღმრთოისა ჩვეულებისამებრ უნდა მოვიხმაროთ ღვთის მსახურებაზედ. ამ ჟამად კეთილნი და ღვთის ერთგულნი ქრისტიანენი არიან ტაძარსა შინა ღვთისასა და ისმენენ სიტყვასა მისსა, გარნა ვინც ეს დღე ნაცვლად ეკკლესიისა წარვიდა სხვა რომლისამე შემთხვევისათვის, ანუ გვიან ადგა ძილით-გან და ვერ მოასწრო წირვასა, ცხად-არს, რომელ მან უმეტესი პატივიცა მამონასა, ვიდრე ღმერთსა. ანუ სხვა მაგალითს გეტყვი: როდესაც შენ, ძმაო ჩემო, მოგებისათვის სიცრუეს იტყვი, მოატყუებ ვისმე, მიითვისებ, რაც შენ არ გეკუთვნოდა, ცხად-არს, რომელ შენ დაარღვიე მცნება ღვთისა, უღალატე ღმერთსა და დაემონე მამონასა.

შეიძლება, ძმანო ჩემნო საყვარელნო, კაცმა ამ სოფელში ყოველი თვისი სოფლიური საქმე ისრედ დააწყოს, რომ ყოველი მისი შრომა და მოქმედება გადაიქცეს ღვთის-მსახურებად; ისიც შეიძლება, რომ ყოველი მისი ცხოვრება იყოს მსახურება და მონება მამონისა. ვაჭარი, რასაკვირველია, თავის გამდიდრებისათვის ვაჭრობს და იღწვის; გარნა, უკეთუ იგი ვაჭრობს სიმართლით და პატიოსნებით, სიმდიდრეში არ არის ამპარტავანი, სიღარიბეში არ არის სულ-მოკლე, არამედ ესავს უფალსა, მონაგებისაგან თვისისა განუყოფს რასმე გლახაკსა და ობოლსა, - ვაჭრობა მისი შეირაცხება ვითარცა მსახურება ღვთისა. ჩინოვნიკი ემსახურება და შრომას სწევს ჯამაგირისათვის და ჯილდოსათვის, გარნა უკეთუ იგი ემსახურება სიმართლით და პატიოსნებით, მსახურება მისი შეირაცხება, ვითარცა მსახურება ღვთისა. ყოველი ქალი, ოჯახის დედა, იღვწის, ჰზრუნავს და არის მოთმინებაში მისთვის, რათა ააშენოს ოჯახი, გაზარდოს შვილნი თვისნი; ამით იგი ასრულებს ბუნებითსა წესსა; გარნა შრომა ესე და მოთმინება შეერაცხება მას, ვითარცა ღვთის-მსახურება. აჰა რას იტყვის მოციქული პავლე: **ჰსცხონდების დედაკაცი შვილ-სხმისაგან, ეგნეს უკეთუ სარწმუნოებით, სიყვარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა** (ა. ტიმ. ბ, იბ). შინაური ყმა, ანუ მოსამსახურე ემსახურება ბატონსა თვისსა, გარნა უკეთუ იგი ემსახურება ერთგულად და გულწრფელად, ვითომც ღვთისათვის უმსახურნია. და ესრედ ყოველი კაცი ყო-

ველსა საქმესა შინა. **ყოველსა, რასაცა იქმოდეთ,** – გვასწავებს მოციქული პავლე **სიტყვით, გინა საქმით, ყოველსავე – სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა, მადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ.** ანუ კვალად იგივე მოციქული სწერს: **ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა** (კოლ. გ. იდ. კ). ერთი სიტყვით, ვინც იქცევა სიმსრთლით, გულწრფელად, ვისაც ღმერთი ახსოვს და აქვს სინიდისი, იგი არის ღვთის მსახური და ღვთის მონა. გარნა ვინც არის უმართლო, ცუდის ხასიათისა, მცონარე, მეშფოთე, მოშურნე, მოძულე, იგი ემონება მამონასა და არა ღმერთსა, რომელთაგან პირველი მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან და მეორე განაშოროს ჩვენგან. – ამინ.

სიტყვა

კთ-ივნისს, პეტრე-პავლობის დღეზედ.

მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესსა (ა. კორ. ე. ივ).

რისთვის შეკრებულ-ვართ ჩვენ დღეს, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, ეკკლესიასა ამას შინა? მისთვის, რათა სიყვარულითა და კრძალულებითა აღვასრულოთ ხსენება უმთავრესთა მოციქულთა, პეტრესი და პავლესი, ვადიდოთ იგინი, ანუ, უმჯობეს არს თქმად, მადლი ღვთისა, რომელი გამოჩნდა მათ მიერ; ცხოვლად წარმოვიდგინოთ მათი შრომა და ცხოვრება და კეთილთა ამით მაგალითითა განვაღვიძოთ თავნი ჩვენნი ბაძვად მათდა, ვითარცა იგინი იყვნენ მიმბაძავნი ქრისტესნი: **მობაძავ ჩემდა იყვენით,** გვეტყვის მოციქული პავლე, **ვითარცა მე ქრისტესსა.** მაგალითსა და საქმესა კაცისასა უმეტესი მოქმედება აქვს სულსა ზედა ჩვენსა, ვიდრე სიტყვიერსა დარიგებასა და შეგონებასა. სიტყვა კაცისა ესოდენ ვერ მიიზიდავს და ვერ განაღვიძებს სულსა ჩვენსა, რაოდენ წარმოდგენა ცხოვრებისა წმიდათა კაცთასა. მათ თვით საქმით აღასრულეს მცნება ღვთისა, ამათ მოიყვანეს არსებაში სჯული ქრისტესი, ამათ მოგვცეს ჩვენ ცხოველი ხატი სათნოებისა და გვაჩვენეს, თუ ვითარ ჯერ-არს დაწყობა ცხოვრებისა მსგავსად სახარებისა. აჰა მიზეზი, რომლისათვის-

ცა წმიდამან ეკკლესიამან დააწესა ხსენება წმიდათა და ხში-
რად შეგვკრებს ჩვენ სმენად მათისა ცხოვრებისა და მათთა
საქმეთა. მივიქცეთ უმთავრესთა მოციქულთადმი და ვიხილოთ,
რა მაგალითი და რა სულიერი მოძღვრება გვაჩვენეს ჩვენ მათ
ცხოვრებასა შინა თვისთა. არ შეგვიძლიან ჩვენ აღვსწეროთ
ყოველნი მათნი საქმენი და ცხადად წარმოვიდგინოთ ყოველი
მათი სულიერი მადლი და დიდება; გარნა მოვიხსენოთ მაინც,
რასა შინა მდგომარეობდა მათი ღირსება და რომელნი იყვნენ
მათნი უმჯობესნი თვისებანი.

პეტრეს თვით ქრისტემან უწოდა კლდედ. **შენ ხარ კლდე,** –
ჰრქვა მას უფალმან, და **კლდესა ამას ზედა აღვაშენო ეკკლესია
ჩემი...** კლდე იყო სარწმუნოება მისი; მას აქვნდა სარწმუნოე-
ბა მტკიცე და შეურყეველი, ვითარცა კლდე.

პავლე იყო ზღვა სიყვარულისა; ყოველნი მისნი წერილნი
ცხად ჰყოფენ, თუ ვითარი საუნჯე იყო გული მისი, ვითარი
განუსაზღვრებელი სიყვარული ჰქონდა მას ყოველთა თვისთა
მოწაფეთადმი.

აჰა ორნი უმთავრესნი ღირსებანი წმიდათა ამათ თავთა
მოციქულთა. ამათ ორთა სათნოებათა ზედა დამყარებულ-არს
ეკკლესია და სჯული ქრისტესი. შეურყეველი სარწმუნოება
და სრული სიყვარული უნდა ჰქონდეს ყოველსა კაცსა, რო-
მელსა ჰსურს, რათამცა იყოს ნამდვილი და ჭეშმარიტი ქრი-
სტიანე.

ახლა ვიხილოთ, რა სახით გამოჰჩნდენ ცხოვრებასა შინა
პეტრესსა და პავლესა ეს ორნი თვისებანი; რა აქმნევინა სარ-
წმუნოებამან პეტრეს; ვითარი ნაყოფი გამოიღო დიდმან სი-
ყვარულმან პავლესმან ცხოვრებასა შინა მისსა. დღეს წარკი-
თხული სამოციქულოითგან გვესმა ჩვენ, ვითარი იყო ცხოვ-
რება პავლესი. ცხოვრება მისი იყო გაუთავებელი შრომა, ჭი-
რი, განსაცდელი. ყოველნი მოციქულნი და უმეტესად პეტრე
და პავლე იყვნენ ქვეყანასა ზედა, ვითარცა ცხოვარნი მგელთა
შორის ყოველს წამს მომლოდნენი და მომზადებულნი დათხე-
ვად სისხლსა თვისისა და შეწირვად ცხოვრებისა; გარნა არ
მიმხედველნი ესოდენისა ჭირისა, პეტრე სარწმუნოებითა თვი-
სითა ყოველს წამს მოაქცევდა და განაცოცხლებდა კაცთა, ცო-
დვათაგან მკვდართა, ხოლო პავლე განანათლებდა და ნუგეშს-
სცემდა სიყვარულითა თვისითა მრავალთა პირთა. ორთავე
განავრცეს პირსა ზედა ქვეყანასა საღმრთო სჯული და და-
ამყარეს მრავალნი ეკკლესიანი.

რა განამტკიცებდა და რა აძლევდა ძალასა და ღონესა
ორთა ამათ მოციქულთა ესოდენთა ჭირთა შორის და დევნუ-

ლებათა? როგორ არ მოეწყინათ მათ და როგორ გასძლეს ქვეყანასა ამას შინა, მოკლებულნი ყოვლითა ნუგეშითა და ყოვლითა სოფლიურითა წარმატებითა? მათი სიმტკიცე და მათი ნუგეში იყო იგივე სარწმუნოება და სიყვარული. პეტრე არათუ ითმენდა სულ-გრძელად ყოველსა დევნასა და განსაცდელსა, არმედ უხაროდაცა, ოდეს მიიღებდა ქრისტეს გულისათვის განსაცდელსა; პეტრე, აღვსებული სიყვარულითა, თვით ამ სიყვარულსა შინა ჰპოვებდა თვისსა ნუგეშსა.

აჰა დიდი მაგალითი შენთვის, ძმაო! ეცადე და შეიძინე ესოდენი სარწმუნოება და სიყვარული, რათა ყოველი შენი ნუგეში მდგომარეობდეს აღსრულებასა შინა ქრისტეს მცნებათა. შენ უნდა სრულიად მიანდო თავი შენი ღმერთსა. ბუნებასა კაცისასა აქვს ის თვისება, რომელ კაცი ყოველთვის ეძიებს რომელსამე ბედნიერებასა და ნუგეშსა. გაუძნელდება ქვეყანასა ზედა ცხოვრება იმ კაცს, რომელსაც არა აქვს არცა ერთი ნუგეში და ბედნიერება ამ სოფელში; გარნა შენ, ძმაო ჩემო, ეცადე, რომ შენი ნუგეში და ბედნიერება იყოს სარწმუნოება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, სიმართლის აღსრულება. ფრიად საჭირო არს და საშიშო, უკეთუ არა-ოდეს ესენი არ გაჰხსოვს, ანუ სრულიად გავიწყდება და ნაცვლად მისა ჰხედავ ბედნიერებასა შენსა სხვათა რომელთამე სოფლიურთა ნივთთა, ანუ მოქმედებათა შინა. სადაცა არს საუნჯე შენი, მუნ იყოს გული შენი, გვეტყვის უფალი: უკეთუ საუნჯე შენი არ არის ღმერთი და ღვთის სჯული, არამედ სხვა რაიმე, მაშინ გული შენი განეშორება ღმერთსა. მოციქულთა, პეტრემ და პავლემ, საუნჯე თვისი დასდვეს ღმერთსა შინა; ამისთვის გულიცა მათი ჰპოვებდა განსვენებასა საქმეთა შინა ღვთისათა. ნუ გგონია, ძმაო ჩემო, რომ იგინი იყვნენ მოკლებულნი რომლითამე ნუგეშითა და კმაყოფილებითა, ვგონებ, რომ თვით ის კაცი, რომელიც ეძიებს და კიდეც შეიძინებს ამ სოფლის ბედნიერებასა და ნუგეშსა, ვერ იქმნება თვით ამ სოფელში ისრეთ ნეტარ და ბედნიერ, როგორც იყვნენ მოციქულნი პეტრე და პავლე. მართალია, იგინი იყვნენ, ვითარცა ვსთქვით, დევნულნი და დამძიმებულნი ყოვლითა ამ სოფლის უბედურებითა; გარნა სულიწმიდა, რომელი ჰსუფევს გულსა შინა მართალთასა, ყოველთვის მისცემს მათ ისრეთსა ნეტარებასა, სიხარულსა და ბედნიერებასა, რომლისა მსგავსსა ვერაოდეს ვერ იგრძნობს ცოდვილის კაცის გული. იმავე სამოციქულოსა შინა, დღეს წარკითხულსა, პავლე მოციქული მოგვითხრობს ჩვენ, ვითარ იგი იყო აღტაცებული სულითა მესამე ცად და მუნ ესმა სიტყვანი, რომელთა ვერ გამოსთქვამს ენა კაცისა. ესრეთ-

სა ნუგეშსა აძლევს ყოველთვის სულიწმიდა მართალსა და ღვთის-სათნოსა კაცსა. რომელი სიხარული ანუ რომელი სოფლის ნუგეში დაემსგავსება იმ სიხარულსა და მოსვენებასა, რომელსა ჰგრძნობს კაცი ღვთის მოშიში? ყოველი ამ სოფლის სიხარული და ნუგეში არის მოკლე და აქვს ყოველთვის მწარე ბოლო, გარნა სიხარული სულისა წმიდისა გააცხოველებს კაცსა. ამას ვეძიებდეთ, ძმანო ჩემნო, და ამას მოვითხოვდეთ მარადის ღვთისაგან მადლითა და შეწევნითა წმიდათა უმთავრესთა მოციქულთა, პეტრესითა და პავლესითა. ამინ.

სიტყვა

პეტრე-პავლობის დღესასწაულსა.

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო.

დღეს ჩვენ ვართ მედღესასწაულენი ხსენებასა წმიდათა მოციქულთა მთავართა – პეტრესი და პავლესი. დღეს ჩვენ დაგვიტევებია ყოველნი ჩვენნი ნიადაგნი საქმენი და შრომანი, და, შეკრებულნი ეკკლესიასა შინა, შევამკობთ ქებითა და გალობითა, ვნატრით და ვადიდებთ წმიდათა ამათ მოციქულთა, უთუოდ მისთვის, რომ გვაქვს სასოება მათ ზედა და მოველით მათგან სულიერსა შემწეობასა და მადლსა. ახლა შევავსოთ აწინდელი ჩვენი მოღვაწეობა და ლოცვა მით, რომ გამოვიყვანოთ მათისა ცხოვრებისაგან რომელიმე სწავლა და დარიგება ჩვენთვის. ვგონებ, რომ ეს უმეტესად სასიამოვნო იქმნება ღმერთ-შემოსილთა ამათ მოციქულთათვის, რათგანაც მათსა ქვეყანასა ამას ზედა შრომასა და მოღვაწებასა სხვა საგანი არა ჰქონდა, მხოლოდ ჩვენი სწავლა და განათლება. აღსასრულებელად ჩვენისა ამა განზრახვისა გავიხსოვნოთ, რა სახით აღსწერა თვით მოციქულმა პავლემ დღეს წარკითხულსა სამოციქულოსა შინა თვისი შრომა და მოღვაწება.

უნებლივად განკვირდება გონება კაცისა, ძმანო ქრისტიანენო, როდესაც გაიხსოვნებს, რა სახით სცხოვრებდენ და იღვწოდენ წმიდანი ესე მოციქულნი ქვეყანასა ზედა! წმიდა მო-

ციქული პავლე, იტყვის, რომ იგი ატარებს ცხოვრებასა
თვისსა შრომითა, ტანჯვითა, პყრობოლებათა და სიკვდილთა
შინა; რომელ ურიათაგან მან ხუთ-ჯერ მიიღო სასტიკი ცემა,
სამ-გზის კვერთხით იყო ცემული, ერთ-გზის ქვითა განტვინებუ-
ლი, სამ-გზის ნავი წაექცა, დღე და ღამე იყო უფსკრულსა
შინა; გარდა ამისა სვლანი მრავლნი გზასა შინა, ჭირნი მდი-
ნარეთაგან, ჭირნი ავაზაკთაგან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი
ქალაქთა და უდაბნოთა შინა, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი ძმა-
თა მტყუანთაგან, შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა,
შიმშილითა და წყურვილითა, მრავალ-გზის ყინულითა და შიშვე-
ლობითა... გარნა ნუღარ გავაგრძელებთ სიტყვასა. ვინ აღ-
წერს საკმაოდ ყოველთა მისთა ჭირთა და მოთმინებათა. აქ შენ,
ძმაო, მხოლოდ ის წარმოიდგინე, რომელ ესრეთთა აურაც-
ხელთა ჭირთა და განსაცდე3ლთა შორის წმიდანი მოციქულნი
არა თუ იყვნენ დაღონებულნი და სულ-მოკლენი, არამედ მხნე-
ნი, მხიარულნი, კმაყოფილნი. ვინ უძლურ-არს? და მე არა უძ-
ლურ ვიყვი. ჰღაღადებს წმიდა მოციქული პავლე. ვინ დაბრკო-
ლდების და მე არა ვხურდები (ბ. კორ, ლ.). საითგან იყო, ძმანო,
ესრეთი მხნეობა წმიდათა ამათ მოღვაწეთა? რომელი საიდუმ-
ლო ძალი მოქმედობდა მათ გულში?მოქმედობდა მათ გულ-
ში ამ სახით, რომ თვით ის აღუწერელი ჭირი და იწროება,
რომელსა ითმენდენ იგინი, იყო მათთვის წყარო ნუგეშინის-
ცემისა და კმაყოფილებისა. შენ მეტყვი: იგინი იყვნენ აღვსე-
ბულნი სულიწმიდის მადლითა და ძალითა, გარნა სადაცა
ჰსუფევს სულიწმიდა, იქ კაცი ყოველს ჭირს ადვილად მოით-
მენს. მართალია, ძმანო ჩემნო, რომ მათ შორის მოქმედობდა
სულიწმიდის ძალი; გარნა რა სახით მოჰქმედობს სული-
წმიდა კაცის გულში? იმ სახით, რომელი იგი განაღვიძებს და
გააცოცხლებს ბუნებითთა ძალთა და თვისებათა კაცისათა და
არა მოსპობს, ანუ გააქრობს მათ; მაშასადამე ამ შემთხვევაში
ჩვენც თანასწორნი ვართ წმიდათა მოციქულთა, ვინაითგან სუ-
ლიწმიდის შემწეობა აღთქმული გვაქვს ჩვენცა ყოველთა;
მაშასადამე, მაინც უნდა გამოვიკვლიოთ, რომელი ბუნებითი
ძალი და თვისება იყო მოციქულთა შორის მათი განმაცოც-
ხლებელი და განმაძლიერებელი? ის, ძმაო ჩემო, რომ მათ
ჰქონდათ გულში დიდი სიყვარული მოყვასთა თვისდამი და
სურვილი, რომ რაიმე კეთილი საქმე გამოეჩინათ ქვეყანასა
ზედა. იგინი ჰცდილობდენ, რომელ უსარგებლო არ განვ-
ლოს ცხოვრებამან მათმან ქვეყანასა ზედა, არამედ აღესრულე-
ბინათ მოვალეობა თვისი და მით იყვნენ მხნენი, ძლიერნი.
თვით იგი მათი შრომა და მოღვაწება, თვით მათი მოთმინება,

ტანჯვა, ჭირი აძლევდა მათ დიდსა სულსა და მხნეობასა, ვინაიდგან იგინი ჰხედვიდენ, რომ მათი შრომა და განსაცდელი არის თესლი, რომელი გამოიღებს მომავალსა დროებასა შინა კაცთა შორის დაუფასებელსა ნაყოფსა. აჰა, ძმანო, საითგან უნდა გამოიყვანო შენ სწავლა და დარიგება შენთვის.

ესრეთი იყო შრომა და ცხოვრება წმიდათა მოციქულთა! გარნა შენი ცხოვრება კი ხშირად იკარგება უსარგებლოდ და ამაოდ. განა შენც კი არ შეგიძლია შენს ადგილზედ და იმ ზომად, რა ზომადმდე მოგცა ღმერთმან ნიჭი და ძალი, გამოიღო ნაყოფი, აღასრულო რაიმე კეთილი და საქები საქმე უყო მოყვასსა შენსა? გარნა, საუბედუროდ, შენ კი სიკეთისა და მადლიანისა საქმისათვის არა გვაქვს მოთმინება და ძალი, გარნა ცოდვასა და ბოროტებასა შინა ხშირად გამოაჩენ დიდსა ნიჭსა და მოხერხებასა. რაოდენ-გზის კაცი, შემხედველი შენისა ცხოვრებისა, იფიქრებს: ღმერთო! ეს კაცი რომ ასე არის მარჯვე და მოხერხებული ამაოთა, უქმთა და ცუდთა საქმეთა შინა, რაოდენსა კეთილსა ნაყოფსა და სარგებლობასა გამოიღებდა იგი ცხოვრებასა შინა თვისსა, რომ თვისი ნიჭი და ძალი მოეხმარა კეთილისა და სასარგებლოისა საქმისათვის! როგორ ჭკვიანად და მოხერხებულად ლაპარაკობ, როდესაც გინდა მოტყუება ვისმე; რა დაუღალავი ხარ, როდესაც ეძებ დაკმაყოფილებასა რომელსამე შენისა ბოროტისა სურვილისასა! ერთი სიტყვით, შენ გაღვიძებს და გამხნევებს მხოლოდ ცოდვა, შენი ღონე და სულიერი ნიჭი მოუნდა მხოლოდ ამაოებასა და ცოდვასა. მაშასადამე, თუ გსურს, ძმაო, რომელ შენც კეთილი რაიმე ნაყოფი გამოიღო შეძლებისამებრ შენისა და მით აღასრულო შენი დანიშნულება კეთილისა და მართლისა საქმისათვის, იხმარე ყოველი, რაც მოგცა ღმერთმან ღონე და ნიჭი, იქმნება შენ ეგეოდენი ნიჭი და ღონე არა გვაქვს, ვითარცა წმიდათა მოციქულთა პეტრესა და პავლეს. გარნა რაც გაქვს, ის მოიხმარე კეთილად; ესეც საკმაო იქმნება შენთვის, ესეც გაგამართლებს წინაშე ღვთისა და კაცთა. ამინ.

სიტყვა

პეტრე-პავლობის დღეს.

ყოველსა ქვეყანასა განჰხდა ხმა მათი და
კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი.

რისთვის დააწესა, ძმანო ქრისტიანენო, წმიდამან ეკლესიამან ესრეთი დღესასწაულობითი ხსენება წმიდათა მთავართა მოციქულთა, პეტრესი და პავლესი? უეჭველია მისთვის, რათა, პირველად, შეძლებისამებრ ჩვენისა შევსწიროთ მათ ქება და გადაუხადოთ მადლობა დიდისა და გამოუთქმელისა სიკეთისა და ქველის-მოქმედებისათვის, რომელი მათგან მიიღო ყოველმან ნათესავმან ქრისტიანეთამან; მეორედ, მისთვის, რათა ჩვენ, ქრისტიანენი, გავიხსოვნებდეთ მათსა ცხოვრებასა და მათთა საქმეთა და იქითგან მივიღებდეთ სულიერსა სწავლასა და აღშენებასა. პირველსა მოვალეობასა, ესე იგი, ქებისა და მადლობის შეწირვასა თვით წმიდა ეკკლესია აღუსრულებს მით, რომელ გუშინ და დღეს მწუხრზე, ცისკარზე, წირვაზე წაიკითხავს და წარმოსთქვამს გალობით სასმენელად ჩვენდა მრავალთა ლოცვათა და საგალობელთა, რომელთა შინა აღწერს მათთა საკვირველთა საქმეთა. გაგვახსოვნებს ჩვენ მათსა მოღვაწებასა, მოთმინებასა, სასწაულთა, სწავლათა და სხვათა მათთა მოთმინებათა. მეორე მოვალეობა, ესე იგი, სწავლისა და ნუგეშისა მიღება მათითა მაგალითითა ახლა უნდა აღვასრულოთ ჩვენ სიტყვითა ამით. რომელსა სწავლასა გვაძლევს ჩვენ წარმოდგენა მათისა ცხოვრებისა და მათთა საქმეთა? ცხოვრება მათი არის განუზომელი და საქმენი მათნი აურაცხელნი, ვითარცა ზღვა; არ შეუძლია კაცსა მოკლედ აღწეროს ყოველნი მათნი საქმენი; გარნა ჩვენ მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ რომელთამე უმთავრესთა მათთა საქმეთა და თვისებათა.

პირველად, წარმოიდგინე, ძმაო, რა დიდი და გამოუთქმელი საქმე აღასრულეს ორთა ამათ პირთა, პეტრემ და პავლემ; ესრეთი დიდი საქმე, რომელ წმიდამან დავით წინასწარმეტყველმან სულითა წმიდითა წინასწარვე სთქვა მათთვის: ყოველსა ქვეყანასა ზედა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი; მეორე მხრით წარმოიდგინე, ვინ იყვნენ იგინი, რა სახით და რომლის საშვალობით შეძლეს მათ მოქცევა და დამორჩილება მრთელისა ქვეყნის ქრისტე იესოსსა და აქეთგან ისწავე, თუ რა შეუძლია მადლსა ქრისტესსა, თუ ვითარითა სუსტითა ჭურჭლითა იგი იქმს დიდთა ძალთა და სასწაულთა ქვეყანასა ზედა. ვინ იყო პეტრე, ვინ იყო პავლე? იგინი იყვნენ უბრალონი, საწყალნი, ღარიბნი ებრაელნი. რა ჰქმნეს ამ ორთა პირთა? ისრეთი დიდი საქმე და სასწაული მოახდინეს, რომელიც არცა მძლავრთა და დიდებულთა მეფე-

თა შეეძლოთ; ისრეთი სახსოვარი დასტოვეს ქვეყანასა ზედა, რომელი არაოდეს არ განქარდების, ვიდრემდის ქვეყანა სდგას. აქ არ შეგვიძლია, ძმანო ქრისტიანენო, არ მოვიყვანოთ ჩვენ წმიდისა იოანე ოქროპირისაგან ერთი საკვირველი მოკლე სიტყვა. აღწერს რა იგი დიდებასა წმიდათა მოციქულთასა, ერთს თავის სიტყვაში ესრეთ ეტყვის მსმენელსა: წარმოიდგინე ცხოვლათ, რომ ერთი ვიღაც ღარიბი კაცი გამოვიდა ერთი ქალაქითდან და დაადგა დიდს შარა გზასა. ერთ ხელში უჭირავს ჯოხი, მეორე ხელში მცირე პარკით მიაქვს ორი ანუ სამი წიგნი. მოდი, მივიდეთ და ვკითხოთ, ვინ არის ან სად მიდის ეს კაცი. მე მრქვია პეტრე, გვეტყვის იგი; მივალ რომის ქალაქში. რომის ქალაქი უნდა ავიღო და დავიმორჩილო. როდესაც ამას გაიგონებ, გეგონება ამ კაცს ან სძინავს, ან თავის ჭკუაზე არ არისო. როგორ დაიმორჩილებ შენ რომის ქალაქს? ვკითხოთ მას, იგი მთელი ქვეყნის მბრძანებელი ქალაქი არის, სად გყავს ლაშქარი, სად არიან იარაღნი შენნი, სად არის ვერცხლი და ოქრო შენი? იესო ქრისტეს სახელი და სახარება – აჰა ჩემი ლაშქარი და იარაღი, გვიპასუხებს იგი. მართლა მცირე ხანიც არ გავა, გამოვიდა ხმა, რომ მეთევზე ესე და მისი ამხანაგი პავლე შევლენ რომს და იწყებენ იქ ქადაგებასა და სწავლასა, და დიდი იგი ქვეყნის დამმარცხებელი და დამმორჩილებელი ქალაქი, რომი, დაემორჩილა სიტყვათა უბრალოთა მეთევზეთა და მუხლ-მოდრეკილი თაყვანსა-სცემს მათგან ქადაგებულსა ჯვარცმულსა იესოსა. აჰა, ძმანო, სასწაული დიდი და გამოუთქმელი! აქეთგან იცან, რა ძალი აქვს ქრისტეს სახელსა, იცან, რომ სჯული ქრისტესი არის ზეცითგან მოვლინებული ჭეშმარიტი და ღვთაებრივი. აქეთგან მიიღე დიდი და გამოუთქმელი ნეგეში, ვინაითგან ღმერთმან ესეთი აღუწერელი ბედნიერება მოგცა, რომელ შენ აღიარებ ამა მხოლოსა და ჭეშმარიტსა სჯულსა და გაქვს სასოება, მისგან მიიღო განათლება და ცხოვნება. ეს არის პირველი სწავლა, რომელსა მოგვცემს ჩვენ აწინდელი დღესასწაული.

მეორე სწავლა და ნუგეში მივიღოთ მით, რომ წარმოვიდგინოთ თვით საკუთარი ხასიათი ორთა ამათ საღმრთოთა მოციქულთა. რომელი იყო საკუთარი ხასიათი და თვისება მათი? ორნი ესენი საღმრთონი თავნი მოციქულთანი, პეტრე და პავლე, არიან წარმომადგენელნი და ცხოველი ხატნი ორთა უმთავრესთა ქრისტიანეთა სათნოებათა: პეტრე სარწმუნოებისა, პავლე სიყვარულისა. პეტრეს თვით მაცხოვარმან უწოდა კლდედ, ვითარცა გვესმა დღეს წარკითხული სახარებითგან: **შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი, და**

ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას. ესე იგი, შენსა სარწმუ-
ნოებასა ზედა აღვაშენებ მე ეკკლესიასა ჩემსა, რომელსა ძალ-
ნი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან. ესრეთი სარწმუნეობა
ჰქონდა პეტრესა და ესრეთი აღთქმა მიიღო მან. აქეთგან ის-
წავე, ძმაო, რა დიდი ძალა აქვს სარწმუნოებასა და ვითარი
მტკიცე და შეურყეველი სარწმუნოება უნდა ჰქონდეს კაცსა
ქრისტიანესა.

პავლეს გული იყო უფსკრული სიყვარულისა. არცა ერ-
თმა საღმრთომან მწერალმან ისრეთ არ აღგვიხსნა და არ აღწე-
რა, რა ძალა აქვს ქრისტიანულსა სიყვარულსა, ვითარცა სა-
ღმრთომან პავლემ. ყოველი ქვეყნის ენები რომ ვიცოდეთო
და თვით ანგელოზების ლაპარაკი რომ გვესმოდესო, თუ სი-
ყვარული არა გვაქვსო, არა რას გვარგებსო; წინასწარ-მეტყვე-
ლნი რომ ვიყოთო და ყოველი საიდუმლო და ყოველი მე-
ცნიერება ვიცოდეთო, სარწმუნოებაც რომ გვქონდეს იმ ზო-
მისა, რომ მთას უბრძანოთო და გარდავიდესო თავის ადგი-
ლთაგან, თუ ამასთანავე სიყვარულიც არა გვაქვსო, არა რაი
ვართო. ბოლოს, ყოველი მონაგები ჩვენი რომ მივსცეთო
გლახაკსა, და თვით ხორცნი ჩვენნი მივსცეთო დასაწველათ
და სიყვარული კი არ გვქონდეს, არა რაი სარგებელ არსო
ჩვენდა. აჰა ვითართა ძლიერთა სიტყვათა შინა აღწერა მოცი-
ქულმა პავლემ სიყვარული. უეჭველია, თვით მას ჰქონდა
გულში. თვით იგი გრძნობდა ესრეთსა სიყვარულსა, თორემ
ვერ აღწერდა ამ სახით. აქეთგან შენცა ისწავე, ძმაო, რა არს
სიყვარული და ეცადე შეძენა მისი ყოვლითა შენითა ღონის-
ძიებითა. უკეთუ ეს ორი სურვილი, ესე იგი სარწმუნოებისა
და სიყვარულისა შეძენა გაჰჩნდა, ვითარცა ნაპერწკალი, შენს
გულში, დღევანდელი დღე არ იქმნება შენთვის უსარგებლოდ
დაკარგული, არამედ მოგცემს შენ დიდსა სულიერსა სარგე-
ბლობასა, რომელიც და აღასრულოს უფალმან იესო ქრისტე-
მან მეოხებითა წმიდათა საყვარელთა თვისთა მოციქულთა
მთავართა პეტრე და პავლესა. ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

იდ-სა კვირიაკესა ზედა.

იგავი მეფის-ძის ქორწილსა ზედა (მათ. კბ. ბ-იდ.)

იგავით მეფის-ძის ქორწილისათა სახარება დღეს წარკითხული გვასწავებს ჩვენ ყოველთა, ძმანო ქრისტიანენო, ვითარითა სიფრთხილითა და შიშითა ქრისტიანენი უნდა ასრულებდენ ცხოვრებასა თვისთასა, ვინაითგან არცა ერთი მათგანი, რომელნი იყვნენ წოდებულ, არ გამოჰჩნდა ღირს დასწრებად ქორწილსა შინა, არამედ პატივი ესე ეღირსათ სხვათა, რომელნიცა პირველითგანვე არ იყვნენ წოდებულ.

ემსგავსა სასუფეველი ღვთისა კაცსა მეუფესა, რომელმან ჰყო ქორწილი ძისა თვისისა.

მეფე აქა ნიჰშნავს თვით ღმერთსა, ხოლო ქორწილი მოასწავებს ყოველსა მას განგებულებასა და მოქმედებასა და მადლსა, რომელი ზეციერმან მამამან ჩვენმან იხმარა დასაბამითგან ჩვენისა განათლებისა და ცხოვრებისათვის. გარნა ვინაითგან ღმერთი მამა კაცობრივსა ნათესავსა გამოიხსნის, განანათლებს და აცხოვნებს საშუალობითა ძისა თვისისათა, ამისათვის იგი ქორწილსა ამას უწოდებს ქორწილად ძისა თვისისა.

და წარავლინა მონანი თვისნი... ვინ არიან მონანი, რომელნი ღმერთმან წარავლინა წოდებად ქორწილსა ზედა? იგინი არიან ყოველნი მოძღვარნი წინასწარმეტყველნი, მამათ-მთავარნი, მღვდელნი და მღვდელ-მთავარნი, რომელთაც ღმერთი დასაბამითგან მიანდობდა ქადაგებასა სიტყვისა თვისისა, და მსახურებასა კაცთა ქორწილსა ზედა, ესე იგი ასწავლიდენ, რათა მიიღონ მაცხოვარებითი მადლი, ისარგებლონ მით და შევიდნენ სასუფეველსა ცათასა. გარნა ჩინებულთა მათ არ ინებეს მისვლა. ჩინებული სასუფევლისათვის ღვთისა უწინარეს ყოველთა იყო ტომი ისრაელისა, გარნა ისრაიტელნი ხშირად უარ-ჰყოფდენ მოწოდებასა ღვთისასა.

კვალად წარავლინა სხვანი მონანი და ჰრქვა: არქვით ჩინებულთა მათ... მიჰხედეთ მოწყალებასა და კაცთ-მოყვარებასა ღვთისასა! თუმცა ჩინებული ხშირად უარ-ჰყოფს წოდებასა ღვთისასა, გარნა ღმერთი მაინც არ ივიწყებს მას, კვალად და კვალად უწოდებს მას და შთააგონებს ყოვლითა სახითა და ჰსურს, რათა მიიზიდოს იგი ყოვლითა საშუალობითა. **პური ჩემი მზა მიყოფიეს, ზვარაკები და უსხები ჩემი დაკლულ-არიან და ყოველივე სხვა მზა არს, მივედით ქორწილსა ჩემსა.** პური, ზვარაკები და უსხები ნიჰშნავენ აქ ყოველსა მას დამატკბობელსა და ნუგეშინის-მცემელსა მადლსა, რომელსაცა ჩინებული მიიღებს საღმრთოსა ქორწილსა შინა მეუფისა ძისა, ესე იგი, სასუფე-

ველსა შინა მისსა.

ხოლო მათ უდებ-ჰყვეს და წარვიდეს რომელიმე თვისსა აგა-რაკსა და რომელიმე სავაჭროსა თვისსა.

აქ სახარება ცხად-ჰყოფს მიზეზსა, რომლისათვისცა მრა-ვალნი ჩინებულნი უარ-ჰყოფდენ მისვლად ქორწილსა მისსა. მიზეზი იქმნების ის, რომ კაცი უმეტესად შეიყვარებს ანგაარებასა, სოფლის ნუგეშსა და პატივსა, ვიდრე ჩინებულებასა ღვთისასა.

ხოლო სხვათა შეიპყრნეს მონანი მისნი, აგინებდეს და მოსწყვი-დნეს. ისრაიტელნი ხშირად იქმოდენ ამას, ესე იგი მრავალ-თა წინასწარმეტყველთა აგინებდენ, რომელთამე მოჰკვლიდენ და სტანჯვიდენ. ერთობ საკვირველ-არს ესე და დაუჯერებელ! მონანი ღვთისანი, ღვთისაგან მოვლინებულნი უწოდებენ ჩი-ნებულთა ქორწილსა შინა, აღუთქმიდენ მათ დიდსა და გამო-უთქმელსა ნუგეშსა და განათლებასა, გარნა ნაცვლად მადლო-ბისა მიიღებდენ გინებასა და შეურაცხებასა. დაუჯერებელი არის ეს, გარნა ახლაცა მოჰხდება ესრეთი მაგალითი მრავალ-გზის.

ხოლო მეფე იგი განრისხნა, ესმა რა ესე... სიტყვათა ამათ შინა მაცხოვარი წინადვე აუწყებდა ურიათა იმ საშინელსა სასჯელსა, რომელიცა მიავლინა მათ ზედა ღმერთმან მერმედ. ვინაითგან მით უარ-ჰყვეს წოდება მისი, მრავალნი წინასწარ-მეტყველნი მოსწყვიდნეს და ბოლოს თვით ძეცა იგი მეუფისა, რომელი მოუწოდდა მათ საკუთარსა თვისსა ქორწილსა ზედა, მოჰკლეს. ამისათვის, შემდგომად ამაღლებისა ზეცად უფლისა იესო ქრისტესისა, მოჰსრნა იგინი მტერმან და ქალაქი მათი, იერუსალიმი, მოსწვა ცეცხლითა.

მაშინ ჰრქვა მონათა თვისთა: ქორწილი ესე მზა არს... ვინაითგან პირველნი წოდებულნი, ისრაიტელნი, არ იყვ-ნენ ღირს ქორწილისა, ამისათვის უფალმან იესო ქრისტემან უბრძანა მონათა თვისთა, ესე იგი მოციქულთა და მოწაფეთა წარსვლა ყოველთა ქვეყანათა ქადაგებად სიტყვისა ღვთისა და მოწოდებად ყოველთა ტომთა ქორწილსა ზედა, ესე იგი, ქრი-სტიანულსა ეკკლესიასა შინა.

და განვიდენ მონანი იგი მისნი გზათა ზედა...

მოციქულთა აღასრულეს ბრძანება ღვთისა; მათ მოიარეს ყოველი ქვეყნები, ახარეს ყოველთა მოწოდება ღვთისა, რო-მელთა ისმინესცა სიტყვა მათი, მიანიჭეს მათ ნათლისღება და შემოიყვანეს ქორწილსა, ესე იგი ეკკლესიასა შინა. აქ, ძმაო ჩემო, მიაქციე საკუთარი ყურადღება სიტყვათა ამათ ზედა.

და შეჰკრიბეს ყოველი, რაოდენი ჰპოვეს ბოროტი და კეთი-ლი. - რად ჰქმნეს ესრეთ მოციქულთა და მოწაფეთა? კეთილ-

თა თანა რად შეჰკრიბეს ბოროტნიცა? მისთვის, რომელ მაცხოვარმან არ მიანდო მათ განრჩევა კეთილისა და ბოროტისა, არამედ ამცნო შეწყნარება ყოველთა, რომელნიცა ისმენდენ სიტყვასა მათსა და ითხოვდენ შესვლასა ქორწილსა მას შინა, და არა დაბრკოლებად მათდა. და ესრეთ ახლაც ოდესცა შენ, ძმაო ჩემო, მოითხოვე მღვდლისაგან, რათა შეგიყვანოს ქორწილსა შინა, ანუ რომელ არს ეკკლესია, ესე იგი მოგანიჭოს ნათლისღება, ანუ ზიარება, ანუ სხვა მაცხოვარებითი მადლი, იგი ვერ დაგიშლის შენ; გარნა უკეთუ შენ არ ხარ ღირს, უკეთუ ხარ ბოროტ, გეშინოდეს. რისა უნდა გეშინოდეს? აჰა რისა:

ხოლო რა შევიდა მეუფე იგი ხილვად მეინახეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე და ჰრქვა მას... (მ. ია, იბ, იგ.).

თუ გსურს შესვლა საღმრთოსა ქორწილსა შინა და ჭამა პურისა მუნ, ესე იგი შესვლა წმიდასა ეკკლესიასა შინა და მიღება ეკკლესიის მადლისა, უნდა გქონდეს სამოსელი საქორწინე; სამოსელი ნიჰშნავს სულიერსა სამკაულსა, ესე იგი სათნოებასა, კეთილ-მოქმედებასა, კეთილს ყოფა-ქცევასა. თუ გაბედე შესვლა ეკკლესიასა შინა, ანუ მიღება ქრისტიანობისა და არ ჰცდილობ შეიმოსო სამოსელი საქორწინე, ოდესმე ღმერთი გკითხავს შენცა: **მოყვასო! ვითარ შამოხვედ აქა?** რაღა პასუხი გექმნება შენ მაშინ? შენ დასდუმდები მაშინ მეუფე ეტყვის მსახურთა: **შეუკრენით მაგას ხელნი და ფერხნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა, მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.**

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო! განაშორე ჩვენგან სასჯელი ესე და გვეყავ ჩვენცა ყოველნი შორის რჩეულთა შენთა. – ამინ.

სიტყვა

დღესა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა მიძინებისასა.

ოდეს კაცი ვინმე გარდაიცვლება ქვეყანაზე, მაშინ ყოველნი მისნი მახლობელნი, მცნობელნი და მონათესავენი სტირიან და სწუხან; ხოლო დღესა გარდაცვალებისასა დიდ-ხანს

იხსენებენ გლოვითა და მწუხარებითა. გარნა ჩვენ, ქრისტიანენი, სიხარულითა და დღესასწაულობითა ვიხსენებთ დღეს მიძინებასა, ანუ მიცავლებასა ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისასა. რას ნიჰშნავს ეს უჩვეულო განწესება წმიდის ეკკლესიისა? ნაცვლად ჩვეულებრივისა ტირილისა და მწუხარებისა, რისთვის გვიხარიან და ვდღესასწაულობთ ჩვენ დღესა ყოვლადწმიდის გარდაცვალებისასა? მისთვის, რომელ მიძინება, ანუ გარდაცვალება ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისა არ იყო მსგავსი გარდაცვალებისა სხვათა კაცთასა. რისთვის ვსწუხვართ და ვსტირით ჩვენ, როდესაც გარდაიცვალება კაცი ვინმე? მისთვის, რომელ მოგვაკლდება მისი ხილვა, მასთან მუსაიფობა; მონათესავეთა მისთა მოაკლდება მისგან ნუგეში; რომელნი შრომითა მისითა იზრდებოდენ, მათ მოაკლდებათ საზრდო; ერთი სიტყვით, სიკვდილი ერთისა კაცისა არის დიდი მოკლება მრავალთა სხვათა კაცთათვის. გარნა არა ესრეთი იყო მიცვალება ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისა. მიძინებითა მისითა არა თუ მოაკლდა რაიმე მახლობელთა მისთა და სოფელსა ყოველსა, არამედ შეეძინა დიდი რამ. რანაირად? ესრეთ, რომელ ყოვლადწმიდამ ღვთის-მშობელმან, ვითარცა თქმულ-არს საღმრთოსა გალობასა შინა დღევანდელისა დღისასა, შობასა ქალწულება დაიმარხა და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევა. სოფელსა ამას შინა ცხოვრება ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობელისა იყო ესოდენ მშვიდ და დაფარულ, რომელ მას ჰხედვიდენ არა მრავალნი პირნი, არამედ მხოლოდ რაოდენიმე მახლობელნი მისნი მიიღებდნენ მისგან გამოუთქმელსა ნუგეშსა, დიდსა და სულიერსა სარგებლობასა; გარნა ოდესაც იგი გარდავიდა ამიერ სოფლითგან და შევიდა დიდებასა შინა ძისა თვისისა და ღვთისა ჩვენისა, მაშინ იგი შეიქმნა მრთელისა ქვეყნისათვის წყარო მადლისა და კარი მოწყალებისა. ურიცხვნი შემთხვევანი, მოთხრობა ყოველთა საუკუნეთა და სრულიად ყოველთა ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა ცხოვრება და სასოება მოწმობენ, თუ რაოდენი მადლი და წყალობა წარმომდინარეობს ყოველთა კაცთათვის ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისაგან.

აჰა მიზეზი, რომლისათვისცა ყოველნი კაცნი სიხარულითა და დღესასწაულობითა იხსენებენ დღესა ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლის მიძინებისასა.

გარნა ვინ მიიღებს უმეტესსა მოწყალებასა ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობელისაგან? რომლისა კარის ლოცვასა და ვედრებასა ისმენს იგი? ერთის სიტყვით, ვითარსა კაცსა შეიყვარებს და შეიწყნარებს იგი უმეტესად? მე ესრეთ ვგონებ, რომ

გრძნობა სიყვარულისა და შეწყალებისა ერთ-ნაირია, ვითარ-
ცა აქ, ამ სოფელში, ეგრედვე გულსა შინა ზეცად გარდა-
სრულთა კაცთასა. ვიცით ჩვენ, რომ ამ ქვეყანაზე სიყვარული
და მეგობრობა დაფუძნებულ-არს მგზავსებასა, თანხმობასა და
ერთობასა ზედა ჭკუისა, ჰაზრისა და ხასიათისასა. ოდეს ჰხე-
დავ მეგობრობასა და სიყვარულსა შორის ორთა კაცთასა,
უწყოდე, რომ იმ ორს კაცს აქვს მზგავსება გულისა და სული-
სა; მზგავსად ამისა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი შეიყვარებს,
მოწყალე ექმნება და მეგობარი შეიქმნება მხოლოდ მათ კაც-
თათვის, რომელსა აქვსთ, ანუ რომელნი სცდილობენ, რომ
ჰქონდესთ რაოდენიმე მზგავსება, ერთობა და ზიარება მასთან;
ესე იგი, იმისი ჰაზრისა, ხასიათისა, და ყოფაქცევისა. ვითარი
ხასიათი და ყოფა-ქცევა ჰქონდა ყოვლადწმიდასა? ამას მოკ-
ლე სიტყვითა ვერ გამოჰხატავს ენა კაცისა. მრთელი დიდი
წიგნი რომ აღავსოს კაცმა წერილითა, მაშინაც სავსებით ვერ
გამოჰხატავს მისთა თვისებათა და ცხოვრებასა. მხოლოდ,
ოდეს წარმოიდგენს კაცი მისსა ღვთაებრივსა სახესა, მაშინ
იფიქრებს: აი როგორი უნდა იყოს ყოველი ქრისტიანული ქა-
ლი, და ვის უნდა დაემზგავსოს შეძლებისა-მებრ და მადლისა
მიცემულისა მისდამი. აჰა, ვის უნდა ემზგავსებოდეს ქალწულ-
ნი! აჰა, ვის უნდა ჰხედვიდენ დედანი!

ღმერთო! მიეც ქალწულთა მზგავსება საკვირველისა ამის
ქალწულისა; შეეწიე დედათა მიბაძვად ზეციერისა ამის დე-
დისა. – ამინ.

მოძღვრება

კთ-სა აგვისტოს, ნათლის-მცემლის თავის-კვეთასა.

> რამეთუ ირودის ეშინოდა იოანესი და
> იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და
> წმიდა არს, და სცვიდა მას, და ისმინის
> მისი, და მრავალსა პატივსა უყოფდა, და
> ჯეროვნად ისმენდა მისსა (მარკ. ვ. კ).

იოანე წინამორბედის და ნათლის-მცემელის თავის-კვეთასა
ლოცვითა და მარხვითა იხსენებს დღეს, ძმანო ქრისტიანენო,
წმიდა ეკკლესია. მივაქციოთ ჩვენცა, ვითარცა მორჩილთა შვილ-

თა ეკკლესიისათა, ყურადღება ამ შესანიშნავს მოხდენასა და გავიგოთ ჰაზრი და სწავლა, რომელსა იპყრობს იგი. რა სახით მოჰხდა ეს შემთხვევა, როდის და ვინ მოჰკვეთა თავი იოანე ნათლის-მცემელსა, ეს ვრცლად და ნათლად გვაცნობა ჩვენ დღეს წარკითხულმან სახარებამან: ჩვენ მხოლოდ აღვხსნათ, რაა მნიშვნელობა ამ მოხდენისა და ვითარსა სწავლასა ვჰხედავთ ჩვენ მას შინა.

პირველად, მივაქციოთ ყურადღება, ძმანო, იმ სიტყვათა ზედა, რომლითა ვიწყეთ ეს უბნობა: **რამეთუ ირودის ეშინოდა იოანესი და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდა არს, და სცვლიდა მას, და ისმინის მისი, და მრავალსა პატივსა უყოფდა, და ჯეროვნად ისმენდა.** ამ სიტყვებიდან ცხადად სჩანს, ძმანო ჩემნო, რომელ ირودი მეფე, მკვლელი იოანესი, იცნობდა იოანეს, ვითარცა კაცსა მართალსა და წმიდასა; იგი იცავდა მას; ისმენდა მისსა სწავლასა და პატივსცემდა მას; მაშასადამე, მას არ ჰსურს მისი მოკვლა. როგორღა მოჰხდა, რომ მან უბრძანა მოკვეთა თავისა მისისა? როგორ მოჰხდა, რომ ირودი მეფემ კაცი, მისგან პატივცემული, წმიდათ და მართლად ცნობილი, ჯერეთ ჩააგდო საპყრობილეში და მერმე თავი მოჰკვეთა? ეს მოჰხდა, ძმანო ჩემნო, მისთვის, რომელ, საუბედურად, ირودი მეფეს ჰქონდა ხასიათი სუსტი, შერყეული, უღონო და დაუდგრომელი; იგი იქცეოდა არა თავის ჭკუით და ნებით, არამედ სხვის შეგონებითა და შესმენითა. მას არა ჰქონდა ესოდენი სიმტკიცე ხასიათისა, რომ აღესრულებინა თავისი სურვილი და ჰაზრი, და ყურადღება არ ეთხოვებინა ბოროტთა კაცთა შესმენისათვის. თუმცა მან იცოდა, რომ იოანე იყო კაცი წმიდა და მართალი, და პატივსცემდა მას, გარნა რადგანაც ბოროტმა ირودიამ, უკანონო და უსჯულო ცოლმა მისმა, რომელსა სძულდა იოანე და რომელი ეძიებდა მარადის მისსა სიკვდილსა, შეასმინა იგი და გამოითხოვა თავი მისი, სუსტმა და უხასიათო ირودი მეფემ დაიჯერა მისი თხოვნა და უბრძანა მეხრემლეესა თვისსა მოკვეთა თავისა იოანნე წინასწარმეტყველისა.

აჰა, ძმანო, რა დიდი უბედურებაა, როდესაც კაცი არის მოკლებული ხასიათის სიმტკიცესა; რა საცოდავი და რა საბრალო არის ის კაცი, რომელსა აქვს ხასიათი დაუდგრომელი, უღონო. ესეთი კაცი, თუ გინდ მას ჰქონდეს დიდი ჭკუა და განათლება, ამასთანავე გულიცა ჰქონდეს კეთილი და სძულდეს ყოველი უმართლო და ბოროტი საქმე, ვერასოდეს ვერ აღასრულებს ვერცა ერთსა კეთილსა საქმესა; იგი უთუოდ შთავარდება ხელთა შინა ერთისა რომლისამე ბოროტისა კა-

ცისასა, რომელსა აქვს იმაზე უმტკიცესი ხასიათი, და შეიქმნე-
ბა მისი სათამაშო. ირროდი იყო მეფე, მაშასადამე, მას არავისი
არ ეშინოდა და მისი წინააღმდეგობა არავის არ შეეძლო.
იოანე ნათლისმცემელი მას პატივში ჰყავდა, გარნა როდე-
საც მზაკვარმა, ბოროტმა ირროდიამ მოინდომა, ადვილად მის-
დრიკა იგი საშინელისა საქმისადმი და მოაკვეთინა თავი იოა-
ნესი მისთვის, რომ ირროდის ჰქონდა სუსტი ხასიათი.

აჰა, ძმანო, პირველი და დიდი სწავლა, რომელსა გვაძ-
ლევს დღეს წარკითხული სახარებისაგან მოთხრობა! ყოველსა
კაცსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და ღარისბსა, უკეთუ
ჰსურს, რომ იგი იყოს კაცი, ადამიანი და არა პირუტყვი, თა-
ვის თავის და ქვეყნის სასარგებლოდ უნდა ჰქონდეს სიმტკიცე
და სიმაგრე ხასიათისა, ესე იგი იქცეოდეს თავის სინდისით
და ჭკუით და არა სხვის შეგონებით. კაცი, მოკლებული ხასია-
თისა სიმტკიცესა, ვერ მიიყვანს ბოლომდე ვერცა ერთსა უმ-
ცირესსა საქმესა, ხოლო უმეტესად მტკიცე ხასიათი არის სა-
ჭირო ქრისტიანისათვის თვისის სჯულის აღსრულებასა შინა.
ქრისტეს სჯულის აღსრულება მოითხოვს დიდსა სიმტკიცესა.
ქრისტიანული ცხოვრება ამ ქვეყანაზე არის ერთი მხოლოდ
დაუსრულებელი ბრძოლა და ჭიდაობა. ამ ბრძოლასა შინა გა-
მარჯვებული იქნება მხოლოდ ის, რომელსა აქვს მტკიცე ხა-
სიათი. ხოლო სუსტნი და დაუდგრომელნი ხასიათითა იქნე-
ბიან ძლეულნი და დამარცხებულნი.

მეორედ, მივაქციოთ ყურადღება მას ზედა, რა მდგომა-
რეობასა შინა იყო ირროდი, როდესაც მან უბრძანა მოკვეთა
იოანეს თავისა. იგი იჯდა დიდსა სუფრასა ზედა, გარემოცუ-
ლი მრავლითა თვისთა მოწვეულთა სტუმრებთაგან, და მიტა-
ცებული სმისა და ჭამისაგან. ეს უეჭველია, როდესაც მან უბ-
რძანა ესრეთი საშინელი საქმე. იგი იყო დამძიმებული ღვინის
სმითა. ბილწმა ირროდია დედა-კაცმა კარგად იცოდა მისი ხა-
სიათი და გამოარჩია მარჯვე დრო, როდესაც მეფე იყო დამ-
ძიმებული ღვინითა და მაშინ მოითხოვა მოკვლა იოანესი. მა-
შასადამე ვისწავოთ აქედან, რა დიდი ცოდვა არის უზომო
ჭამა და მეტადრე სმა. საუბედუროდ, ჩვენს ქვეყანაშიაც ერთი
წელიწადი ისე არ გავა, რომ სადმე ერთი უბედურება არ მოა-
ხდინონ კაცთა ღვინით დამძიმებულთა. ზოგან ღვინით მთვრალ-
ნი კაცნი წაეჩხუბებიან და დასჭრიან ერთმანეთსა, ზოგან კი-
დეც მოჰკვლენ. საკვირველი არ არის! ფხიზელი კაციც ზოგ-
ჯერ თუ ვერ გაუმაგრდება თავის ცუდს ხასიათს და წარტა-
ცებულ იქმნება თვისითა გულფიცხელობითა და ავ-ზნეობითა,
კაცი, რომლისა ჭკუა და სვინიდისი დაბნელებული არის ღვი-

ნითა, როგორღა შეჰძლებს წინააღმდეგობასა განსაცდელისასა.

ბოლოს, ამაზედაც მივაქციოთ ყურადღება: ეროდი მეფემ ფიცით აღუთქვა ბილწსა დედა-კაცსა, მროკველსა, მიცემად მისდა ყოვლისა, რაიცა მან ითხოვოს, და როდესაც მან შეგონებითა დედისა თვისისათა ითხოვა თავი იოანე ნათლისმცემელისა, მაშინ შესწუხდა იგი: მაგრამ აღარ უნდოდა დარღვევა ფიცისა თვისისა და უბრძანა მოკვეთა იოანეს თავისა. აქეთგან ვისწავოთ, ძმაო, რა ცუდი არის ადვილად და სიჩქარით ფიცის თქმა. ზოგიერთი კაცი ადვილად და განუზრახველად დიდი ფიცით დაარწმუნებს ზოგჯერ და აღთქმას მისცემს მოყვასსა, გარნა ბოლოს იძულებული იქნება ანუ დარღვევად ფიცისა, ანუ აღსრულებად რომელისამე ბოროტისა საქმისა. მრავალ-გზის მომხდარა სოფლებში, რომ ყოველთა გლეხთა და აზნაურთა ხატზე შეუფიცნიათ ერთმანეთისათვის, არა თუ რომელსამე სასარგებლო კეთილ საქმეში, არამედ ცოდვილის და წინააღმდეგის საქმისათვის. მაგალითებრ, ამა და ამ კაცს ვუჩივლოთ და ვუმტეროთო; თუ ვინმე ჰკითხა, რათ უჩივით ამ კაცს, რას ერჩით, დანაშაული რით არისო, უპასუხებენ: რა ვჰქმნათ, შეფიცებულნი ვართ, უნდა ვუჩივლოთო. სწორეთ ამ სახით მოუვიდა ეროდი მეფეს. წინადვე დაუფიცა სალომიას აღსრულება მისისს თხოვნისა; მერმე კი მიჰხვდა, რა ცუდად მოიქცა, მაგრამ უსაფუძვლო სირცხვილით უარი აღარ სთქვა. არ უნდა დაეფიცა ასე აჩქარებულად და უსაფუძვლოდ, გარნა რადგანაც მოუვიდა ესრეთი უგუნურება, უმჯობესი იყო დაევიწყა თვისი უგუნური ფიცი და არ შთავარდნილ-იყო ესრეთსა საშინელსა ცოდვასა შინა.

და ესრეთ, სამი სასარგებლო სწავლა გამოვიყენეთ დღევანდელი სახარებითგან. პირველად ის, რომ ყოველს კაცს უნდა ჰქონდეს მტკიცე და მაგარი ხასიათი; მეორედ, უნდა ერიდებოდეს უზომოსა ჭამასა და სმასა; მესამედ, არაოდეს არ უნდა დაიფიცოს უსაფუძვლოდ და განუსჯელად. – ამინ.

სიტყვა

დღესა ღვთის-მშობლის შობისა, თქმული გენათის მონასტერში.

> მოვალს ჟამი, და აწვე არს ოდეს ჭეშმარიტი თაყვანის-მცემელნი თაყვანის-ცემდეს მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა... სულ-არს ღმერთი და თაყვანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აძს თაყვანისცემა (იოან. დ. კგ, კდ).

საყვარელნო ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! მე განვიზრახე დღეს თქვენთან მოლაპარაკება იმაზედ, თუ რაი არს სულიერი თაყვანის-ცემა ღვთისა და როგორ უნდა ემსახურებოდეს კაცი ღმერთსა სულითა თვისითა; გარნა ვინაითგან საგანი ესე ფრიად ღრმა და ცნობა მისი მეტად საჭირო და სასარგებლო ჩვენთვის, მივიქცეთ ლოცვითა და ვედრებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისადმი, რათა შეგვეწიოს და მოგვანიჭოს იგი.

ყოვლადწმიდაო დედუფალო ღვთისმშობელო! დღეს ჩვენ ყოველნი შეკრებულ-ვართ წმიდასა ამას სახლსა შენსა, შენდამი შევრდომილნი, შენნი მადიდებელნი და შენგან მომ-ლოდინენი დიდისა წყალობისა, ვინაითგან შენ ხარ წყარო მოწყალებისა და კარი შეწყნარებისა. შენ გევედრებით, მოგ-ვეც ჩვენ გულის-ხმის-ყოფა, განაღე სული ჩვენი, რათა ვისწა-ვლოთ. რა არს სულიერი მსახურება ღვთისა, რათა ვიცოდეთ, თუ როგორ ჯერ-არს თაყვანის-ცემა და სათნო-ყოფა ძისა შე-ნისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

დასაწყისად და საფუძვლად აწინდელისა ჩვენისა სიტყვი-სა აღვიღოთ სიტყვა მაცხოვრისა: **სულ-არს ღმერთი და თაყვა-ნის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აძს თაყვანის-ცემა;** ესე იგი ღმერთი არის სული უხილავი და თაყვანისმცე-მელნი მისნი სულითა და ჭეშმარიტებითა უნდა თაყვანისცემ-დენ მას. ეს სიტყვა ჰრქვა მაცხოვარმან დედაკაცსა სამარი-ტელსა, რომელმან ჰკითხა მას: სადა ჯერ-არს თაყვანისცემა ღვთისა. იერუსალიმს, ანუ მთასა მას ზედა, სადაცა სამარი-ტელთა ჰქონდათ ტაძარი და თაყვანისცემდენ ღმერთსა? იმ ჟამად ურიანი ჰფიქრობდენ, რომელ მხოლოდ იერუსალიმს ჯერ-არს თაყვანისცემა, მსახურება და მსხვერპლის შეწირვა ღვთისადმი; ხოლო სამარიტელნი იყვნენ წინააღმდეგნი ამისა და ემსახურებოდნენ ღმერთსა თვისსა ტაძარსა შინა. გარნა სხვანი ტომნი და ხალხნი იყვნენ კერპთ-მსახურნი, ემსახურე-ბოდნენ მრავალთა ცრუთა ღმერთთა. თაყვანისცემა წარმართ-თა იყო მხოლოდ ხორციელი. გონება მათი იყო ესოდენ და-

ბნელებული, რომელ არ იცოდენ მათ უხილავი ღმერთი: იგი-
ნი თაყვანსცემდენ რასაცა ჰხედვიდენ თვალითა თვისითა,
მზესა ანუ მთვარესა, ანუ ვარსკვლავთა და სხვათა ქმნილება-
თა ღვთისათა: მსახურებაცა მათი მდგომარეობდა მას შინა,
რომელ იგინი შესწირვიდენ რომელთამე მსხვერპლთა. გარნა
ოდეს მოვიდა მაცხოვარი ჩვენი ქვეყანასა ზედა, მან გამოგვი-
ცხადა და გვასწავა ჩვენ, რომელ ღმერთი არის სული უხილა-
ვი, დაუსრულებელი, ყოვლადშემძლებელი, და, ვინაითგან
ღმერთი არის სული უხილავი თაყვანისცემა და მსახურებაცა
მისი უნდა იყოს სულიერი. ესე იგი კაცი უნდა ემსახურებო-
დეს და ადიდებდეს ღმერთსა კეთილითა თვისითა სულითა,
სიმართლითა, ჭეშმარიტებითა. კეთილითა ხასიათითა და ყო-
ფაქცევითა. ვისაც ყოველთვის ახსოვს, რომელ ღმერთი ყო-
ველგან არს, ყოველსა მისსა საქმესა ჰხედავს, ყოველსა მისსა
სიტყვასა ისმენს, ყოველსა მისსა სურვილსა და განზრახვასა
გამოსცდის; ვისაც ახსოვს ესენი და შიში აქვს, რომ არ განა-
რისხოს ცუდითა თვისითა საქმითა, ანუ ჰაზრითა, ანუ ყოფა-
ქცევითა უხილავი და ყოველგან მყოფი ღმერთი, იგი არის
ჭეშმარიტი თაყვანის-მცემელი ღვთისა.

გარნა ჩვენ, სამწუხაროდ, გვაკლია სულიერი თაყვანის-
ცემა ღვთისა; ჩვენ უმეტესად იმას ვცდილობთ, რომ ხორ-
ციელათ ვემსახუროთ ღმერთსა, ხოლო სულიერი მსახურება
და თაყვანისცემა ღვთისა გვავიწყდება. დასამტკიცებლად ამი-
სა წარმოვადგენ რაოდენსამე მაგალითსა: რომელსა მცნებასა,
ანუ რომელსა ღვთის მსახურებასა ვასრულებთ ჩვენ ყოველნი
უმეტესად და დაურღვევლად? მარხვის შენახვასა. ხომ არ
შეიძლება, რომ ვინმე მარხვაში ხორცი სჭამოს: ხომ საშინელ
სირცხვილად მიაჩნიათ სოფელში, ვინც ხორცსა სჭამს მარხვა-
ში? ხომ განიკითხვენ და შეარცხვენენ მას, ვინც გაჰბედავს
მარხვის დარღვევასა. ოთხშაბათს და პარასკევს, არა თუ ხორ-
ცის ჭამა მიაჩნიათ ცოდვათ, არამედ თითქმის თევზსაც არა
სჭამენ მრავალნი. ერთი სიტყვით, ეს მცნება მაგრად გვიჭი-
რავს და ძნელად დავარღვევთ. გარნა რას ვხედავთ? იმავე
დღეს, როდესაც შენ გეშინიან და ძლიერ გახსოვს, რომ ხორ-
ცის ჭამა არ შეიძლებაო, ადვილად იტყვი სიცრუესა, და მო-
ატყუებ შენს მოყვასსა; იქმნება კიდეც წაეჩხუბო და სცემო
ვისმე, იქმნება კიდეც წაართვა ვისმე რაიმე. ერთი სიტყვით,
მრავალ სხვა ცოდვას იქმ, და სინიდისი არ გაწუხებს შენ.
რა არის ეს? შეიძლება ასრე მსახურება ღვთისა? ღმერთი ით-
ხოვს შენგან კეთილსა საქმესა, სიმართლესა და სათნოებასა, –
შენ მიუძღვნი მას საჭმლის გამოცვლასა. სულითა და ჭეშმა-

რიტებითა უნდა ემსახურებოდე ღმერთსა და შენ ემსახურები
მუცლითა შენითა. რა დიდი სათნოება არის და რა დიდი
ღვთის მსახურება არის, რომ ნაცვლად ხორცისა, შენ სჭამო
ერთს ანუ ორს დღეს ლობიო, ანუ სხვა სამარხვო საჭმელი!
ეს ფრიად ადვილია, ეს ძნელი არ არის, ამას ყოველი კაცი
იქმს; დიდი სათნოება და მოღვაწება ის იქმნება, როდესაც შენ
გასწმენდ გულსა შენსა ცოდვათაგან და ემსახურები ღმერთსა
სიმართლითა და კეთილითა ყოფაქცევითა.

გარნა მისთვის კი არ გეტყვი ამას, რომ მარხვა აღარ შე-
ინახო; არამედ მისთვის, რომელ უკეთუ ამ მცირე საქმეს და
უკანასკნელს მცნებას ისრე მტკიცედ ინახავენ, რაც უმაღლე-
სი მცნება არის და უსაჭიროესი, ის უმტკიცესად უნდა შეი-
ნახო. მარხვა თავის თავათ არაფერი არის, უკეთუ არა შეერ-
თებულ-არს სხვათა სათნოებათა თანა. შენ მარხულობ და სი-
ცრუის ლაპარაკს და შურისძიებას არ ერიდები? არაფერი სარგე-
ბლობა არ გაქვს, არამედ უარესათ სცოდავ. მისთვის, რომ
გგონია, ვითომც მარხვის შენახვით სხვა ცოდვას დაჰფარავ.
თუ სიცრუის ლაპარაკი გიყვარს და ცილის-წამება, მომეცი
პირობა, რომელ ამიერითგან ერთი სიცრუე აღარა სთქვა, და
მაშინ ექმნება პატივი და ღირსება შენს ხორცის უჭმელობას;
ან იქმნება შენ გულფიცხელი ხარ, ხშირად ეჩხუბები შენთა
მეზობელთა, ხშირად აწუხებ და აიწროებ შენთა მონათესავე-
თა; მომეც პირობა, რომ ამიერითგან შენ იქმნები მშვიდ და
არავის შეაწუხებ, და მაშინ მოვიწონებ შენსა მარხულო-
ბასა. დარწმუნებულ-იყავ, რომ ღმერთს უმეტესად იამება შე-
ნი სიმშვიდე და კეთილი ყოფა-ქცევა, ვიდრე შენი მარხვის
შენახვა.

მეორე მაგალითი ისმინეთ. ხომ გაგიგონიათ და იცით, თუ
ვითარი დიდი ღვთისმცნება არის მშობელთათვის ძეთა თვის-
თა კეთილად აღზრდა და შვილთათვის დედ-მამის პატივის-
ცემა და შენახვა. საღვთო წერილი მრავალ-გზის და მრავალ-
ფერად ასწავლის, თუ ვითარითა შიშითა და ერთგულებითა
მშობელნი უნდა ჰზრდიდნენ შვილთა თვისთა, თუ ვითარ იგინი
ცდილობდენ, რომ შვილნი მათნი გამოვიდენ კეთილნი
ქრისტიანენი, ღვთის-მსახურნი და ჭეშმარიტებით თაყვანის-
მცემელნი ღვთისა: ეგრეთვე შვილნი როგორ უნდა პატივ-
სცემდენ მშობელთა თვისთა, ემორჩილებოდენ, ინახავდენ,
უვლიდენ. ერთი სიტყვით, ამაზე უკეთესი ღვთისმსახურება
და სულიერი თაყვანისცემა ქვეყანაზედ არ იქმნება, როდესაც
მშობელნი კეთილად ჰზრდიან ძეთა თვისთა და ძენი პატივ-
სცემენ და ემორჩილებიან მშობელთა თვისთა; გარნა რას ვხე-

დავ მე აქ, ამ მონასტერში: განმავლობასა შინა ხუთისა ანუ ექვსისა დღისასა მრავალნი მოვიდნენ ჩემთან მოჩივარნი, რომელთაგან ზოგი უჩივოდა შვილთა თვისთა, რომელ იგინი არ ემორჩილებიან მათ, პატივს არა სცემენ ჰსურსთ განყოფა მათგან და წარსვლა თვისათ; სხვანი უჩიოდენ დედ-მამათა თვისთა; იყვნენ ზოგნი, რომელნი ამბობდენ, რომ არ ჰსურთ შენახვა მშობელთა თვისთა. ერთი სიტყვით, დავინახე მე, თუ ვითარ დარღვეულ-არს საღმრთო ესე კავშირი მამა-შვილობისა შორის მრავალთა დედმამა-შვილთა? დავინახე, რომელ, როგორც გამოიზრდებიან ზოგნი შვილნი და ცოლს შეირთავენ, მაშინვე მოსძულდებათ დედ-მამასთან ცხოვრება და ყოფნა; დავინახე, რომელ ზოგიერთნი უღმერთონი შვილნი ჰცდილობენ, რომელ დედ-მამა თვისი აშალონ და წაკიდონ სხვათა შვილთა თანა იმ გაზრახვით, რომ მხოლოდ მათ დაშთეს სამკვიდრებელი მშობელთაგან; დავინახე, რომ სხვათა, რომელთამე უღმრთოთა შვილთა ესოდენ დავიწყებიათ ღმერთი და მცნება მისი, რომელ ემძიმებათ და კიდეც სძულსთ შენახვა მოხუცებულთა მშობელთა თვისთა, ხოლო იმავე დროს, როდესაც ამისთანა საშინელს უსჯულოებას იქმონან, მარხვის დარღვევა ეძნელებათ და მარხვის დღეს ხორცს არა სჭამენ. ღმერთო, რა საშინლად დაბნელებულ-არს გონება ჩვენი! პირველსა და უმთავრესსა მცნებასა ვარღვევთ და ნაცვლად მისა ვასრულებთ უმცირესსა და უკანასკნელსა მცნებასა! **პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.** ეს მცნება მოგვცა თვით უფალმან ღმერთმან; ამ დიდს და უსაჭიროესს მცნებას ვარღვევთ ადვილად, და რაც ესოდენ საჭირო არ არის, იმას ვასრულებთ. ეს არის ღვთისმსახურება? ეს არის სულიერი თაყვანისცემა ღვთისა? გარნა სხვანიცა მრავალნი მაგალითნი და ჩვეულებანი ჩვენნი ამტკიცებენ, თუ ვითარ შორს ვართ ჩვენ სულიერისა თაყვანისცემისაგან; გარნა ვინაითგან განგრძელდა სიტყვა ჩვენი, აღარ მოვიყვან დღეს სხვათა მაგალითთა; მხოლოდ, უკანასკნელ, გლოცავ თქვენ, ძმანო ჩემნო, გახსოვდესთ მტკიცედ, რომ ღმერთი არს სული უხილავი და სულიერი მსახურება და თაყვანისცემა ჯარ-არს მისდა, ხოლო სულიერი თაყვანისცემა არის კეთილი ყოფაქცევა, სიმართლით და სიწმიდით ცხოვრება. – ამინ.

სიტყვა

თქმული გელათის სობოროში, ჩყდა-სა წელსა ᲩᲨ-ს სეკ-ტემბერსა.

> და იყო ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, აღვინმეიღო დედაკაცმან ხმა ერსა მას შორის და რქვა მას: ნეტარ-არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი! ხოლო თავადმან რქვა: არამედ ნეტარ-არიან, რომელთა ისმინონ სიტყვა ღმრთისა და დაიმარხონ იგი! (ლუკ. ია. კზ, კᲩ).

ოდეს მაცხოვარი ჩვენი ქადაგებდა სიტყვასა ღვთისასა ურიათა შორის, მაშინ მრავალნი მისთა მსმენელთაგანნი დიდითა სიყვარულითა და გულის-მოდგინებითა მიიღებდენ სახარებასა მისსა და ადიდებდენ გულთა შინა თვისთა მოძღვრებასა მისსა. ერთ-გზის ერთმან მსმენელთაგანმან, უბრალო დედაკაცმან, დატკბობილმან მისითა სიტყვითა, აღიმაღლა ხმა თვისი ერსა შორის და Ჰრქვა: **ნეტარ-არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი.** მაცხოვარმან ისარგებლა ამ უბრალო დედაკაცის Ჰასუხითა, რათა აᲩვენოს მას, და Ჩვენცა ყოველთა, რომელ **ნეტარ-არიან იგინიცა, რომელნი ისმენენ და აღასრულებენ სიტყვასა ღვთისასა.** რისთვის შეაერთა; ძმანო, უფალმან ეს ორი საგანი? დედა-კაცი იგი იტყოდა დედისა მისისა, ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისათვის, რომელმან იტვირთა იესო ქრისტე და აწოებდა მას ძუძუთა თვისთა; ხოლო მაცხოვარი უᲰასუხებს მას: ნეტარ-არიან მსმენელნი და დამცველნი სიტყვისა ღვთისანი. მიზეზი ესრეთის Ჰასუხის იყო ეს: დედა-ღვთისა მისთვის უმეტესად შეიქმნა ნეტარ, რომელ მიიღო სიტყვა ღვთისა და დაიმარხა იგი. შენ უწოდებ ნეტარად დედასა Ჩემსა, უᲰასუხებს მაცხოვარი დედა-კაცსა მას, გარნა იგი მისთვის შეიქმნა ნეტარი, რომელ მიიღო სიყვარულითა და სარწმუნოებითა სიტყვა ღვთისა და დაიმარხა იგი; ნეტარ იქმნებიან სხვანიცა, ყოველნი მიმღებელნი და აღმასრულებელნი სიტყვისა ღვთისა.

ესრედ, ძმანო მართლ-მადიდებელნო, ნეტარ-არს დედა უფლისა Ჩვენისა, რომელმან ისმინა სიტყვა ღვთისა და აღას-

რულა იგი; ნეტარ-არიან სხვანიცა ყოველნი, რომელნი ისმენ-
ნენ სიტყვასა ღვთისასა და დაემორჩილებიან მას.

დედა-ღვთისა სიყრმითგან ვიდრე აღსასრულადმდე ისმენ-
და და იზრდებოდა სიტყვათა ღვთისათა; ხოლო უმეტესად მა-
შინ, როდესაც მიიღო მან ხარება მთავარ-ანგელოზისა, იტვი-
რთა ძე ღვთისა, აღზარდა იგი და მერმედ ყოველ-დღე ისმენ-
და მისგან სწავლასა და ქადაგებასა. სახარებასა შინა თქმულ-
არს მისთვის: ხოლო **დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტ-
ყვანი გულსა შინა მისსა.** დიდითა კრძალულებითა ისმენდა ყოვ-
ლად-წმიდა ყოველსა სიტყვასა უფლისასა და დაიმარხავდა სი-
ღრმესა შინა გულისასა, ამისთვისცა შეიქმნა იგი ტაძრად ცხო-
ველად საღმრთოისა მადლისა; ამისათვის იყო იგი ჭურჭელი
ყოვლისა სათნოებისა; მშვიდი, მდაბალი, მყუდრო და სახიე-
რი; ამისათვის გამოჰჩნდა იგი დედუფლად ცისა და ქვეყანისა,
სამკაულად კაცობრივისა ბუნებისა, თაყვანის-საცემლად ანგე-
ლოზთა და კაცთა; ამისათვისცა ჩვენცა ყოველნი დღეს შე-
კრებულ-ვერთ და ვადიდებთ სანატრელსა მისსა სახელსა.

გარნა ჩვენცა ყოველთა, ძმანო ქრისტიანენო, სიტყვა
ღვთისა გვყოფს ნეტარად, უკეთუ ვისმენთ და აღვასრულებთ მას.
სიტყვა ღვთისა, ანუ საღმრთო წერილი; პირველად, განანათ-
ლებს გონებასა და გულსა კაცისასა და მეორედ გამართავს და
შეამკობს მისსა მოქმედებასა. სიტყვამან ღვთისამან მოაქცია და
აცხოვნა ყოველი. არა სიტყვამან ღვთისამან მოაქცია და განა-
ნათლა ჩვენიცა მამული და წინაპარნი? რას მოგვითხრობს შე-
ხედვა ძველისა ამის და ცის მზგავსისა ტაძრისა, თუ არა კე-
თილმსახურებასა და ღვთის-მოყვარებასა მათსა? არ გვიმტკი-
ცებს ცხადად ეს დიდებული შენობა და სხვანი მრავალნი,
ძველთაგან დაშთენილნი, ვრცელნი ტაძარნი, რომ წინაპართა
ჩვენთა ჭეშმარიტად ისმინეს სიტყვა ღვთისა და მტკიცედ დაი-
მარხეს იგი? გარნა, სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენ არ ვბაძავთ მათ
ამ საქმეში: ოდეს მამული ჩვენი იყო შევიწროებული, ოდეს-
ცა ჩვენ ყოველნი ვიყვენით მოუძლურებულ და დამცირებულ,
მაშინ უმეტესად ვიყავით განკრძალულ ღვთის-მსახურებასა
შინა; მაშინ მონასტერნი და უდაბნონი ჩვენნი იყვნენ აღვსე-
ბულ კეთილთა და პატიოსნის ცხოვრებასა მონაზონთა მიერ;
სოფელსა შინა იყო სიწმიდე ზნეობისა, ხოლო აწ, ოდეს
ღმერთმა მოგვცა მშვიდობა და ხორციელი წარმატება, ოდეს
მოგვემათა კეთილმდგომარეობა, მაშინ გული გაგვიგრილდა
ღვთის-მსახურებაზედ, სოფლებში განეფინა ბიწიერება და უსა-
მართლობა, დაგვეკარგა ერთგულება, განქარდა სიყვარული,
შეირყა ზნეობა.

ამ ჩვენს დროს მოხდა აქ საშინელი საქმე, რომელიც
უწინ არა-ოდეს არ მომხდარა. ტაძარსა ამას უნახავს და გამოუ-
ცდია მრავალი ცუდი დრო. ოდეს მტერნი აოხრებდენ და არ-
ღვევდენ სხვათა დიდებულთა შენობათა და ტაძართა, მაშინ
ყოვლადწმიდა ღვთის-მშობელი იცავდა საკვირველად თვისსა
ამას სამყოფსა და ხატსა, ხოლო აწ, ჟამსა მშვიდობისასა, ხატი
მისი, სიქადული ჩვენი, იქმნა განძარცულ. რასა ნიშნავს, ძმა-
ნო, ეს საშინელი საქმე? ანუ თუ არ შეეძლო ყოვლად-წმი-
დასა, რომელმან უწინ უმრავლესთა უსჯულოთა მტერთაგან
იხსნა ეს ადგილი, ახლაც დაეფარა ხატი თვისი ერთის უბე-
დურის კაცისაგან? არა ძმანო! მე ვგონებ, რომ ეს საშინელი
და სასირცხო საქმე მოხდა ჩვენისა მხილებისა და სასჯელისა-
თვის; ძვირფასნი იგი თვალნი და მარგალიტნი იყვნენ შეწი-
რულ ღვთის-მშობლისადმი კეთილმოღვაწეთა და ღვთის-მოყვა-
რეთა მეფეთა და ქრისტიანეთაგან; იგინი ნიშნავდენ სიყვა-
რულსა და ერთგულებასა წინაპართა ჩვენთა. და ესრედ, ვი-
დრემდის იყო ჩვენს შორის ერთგულება და კეთილზნეობა,
ღვთის-მშობელიცა მიიღებდა და იცავდა მსხვერპლსა ჩვენსა;
ხოლო ოდეს განქარდა ერთგულება ჩვენი, განმრავლდა ორ-
გულება ჩვენს შორის და დაიკარგა კეთილ-ზნეობა, მაშინ
უარ-ჰყო ყოვლადწმიდამან მსხვერპლი ჩვენი. მითხარ: რად
უნდა მას თვალი და მარგალიტი, თუ გული და სული შენი
შორს-არს მისგან, თუ არ ისმენ სიტყვასა ძისა მისისასა და არ
აღასრულებ მას? ყოველი მსხვერპლი და შესაწირავი ჩვენი,
ყოველი სამკაული ხატთა და სიმდიდრე ტაძრისა მხოლოდ მა-
შინ არის სათნო და საყვარელ ღვთისათვის. ოდესცა გული
ჩვენი მიქცეულ-არს მისდამი, ოდეს გვაქვს კეთილი ყოფა-ქცე-
ვა და სიყვარული, ხოლო ოდეს განქარდეს ესენი, გაუქმდები-
ან იგინიცა; ამ გვარად შეემთხვა ოდესმე ძველსა ისრაილსა, –
განქარდა მათ შორის შიში ღვთისა, მიემზგავსნენ იგინი წარ-
მართთა ცუდითა ზნეობითა და ამისთვის მოაკლო მათ ღმერ-
თმან ერთ-გზის კიდობანი აღთქმისა წმიდა წმიდათა და მისცა
იგი ტყვედ ფილისტიმელთა უსჯულოთა.

ჭეშმარიტსა ვიტყვი: დასუსტდა ჩვენ შორისცა კეთილი
ზნეობა, არა სჩანს ღვთის-მსახურება, განირყვნა სოფელი. შევ-
ხედავ რა რომელთამე პირთა, ვკითხავ ჩემს თავს: ვინ არიან
იგინი, მორწმუნენი, თუ ურწმუნონი? რით ვსცნა, რომ იგინი
არიან ქრისტიანენი? რა ნიშანი აქვსთ, რით შეეტყობა, რომ
იგინი აღირებენ სჯულსა ქრისტესსა? სად ანუ როდის მივხვ-
დეთ, რომ მათ ახსოვსთ თვისი წოდება? ეკკლესიაში რომ ხელს
აქნევენ და ვითომც პირზედ ჯვარს გამოისახავენ, ეს თავის თა-

ვად დიდი არაფერია! შენს სახლში, შენს ოჯახში, შენთა მეზობელთა შორის, შენს საქმეში და სიტყვაში, შენს მისვლა-მოსვლაში – იქ მაჩვენე ქრისტიანობა შენი; იქ გიყურებ შენ და ვხედავ, რომ არაფერი არ გაჩნია ქრისტიანობისა; იქ ვერაფრით ვერ გაგარჩევ ურწმუნოთაგან; ლაპარაკში ნახევარი შენი სიტყვა ან სიცრუე არის, ან მტრობა და ცილის-წამება; ხშირად ისმის შენი პირითგან გინება, ფიცი და უშვერი სიტყვა; ყოფა-ქცევაში და საქმეში უმეტესად ვხედავ, რომ შენ სიმართლეს არ ეძიებ, მხოლოდ შენი თავი გახსოვს და შენი მოყვასი არა-რად მიგაჩნია, ხშირად ეჩხუბები მეზობელს, აიწროებ შენს ძმას, პატივს არა სცემ დედ-მამასა, არ გებრალება კაცი გაჭირვებული, ნახევარი მონაგები შენი უსჯულოდ გაქვს მოტაცებული. ერთი სიტყვით, არ ვიცი, რით გაგარჩიო შენ ურწმუნოთაგან, რომელი ნიშანი გამოაჩენს, რომ შენ ხარ მორწმუნე ქრისტიანე? რომელს შემთხვევაში გამოჰჩნდება უმჯობესობა შენი ურწმუნოთა კაცთა-ზედა?

ძმანო ქრისტიანენო! ის უმეტესად არის შემაწუხებელი და შემაძრწუნებელი, რომ ესევითარნი პირნი, რომელთა არა აჩნია ქრისტიანობა, რომელთა ყოფა-ქცევა ცხადად გამოაჩენს, რომელი მათ არაოდეს არ ახსოვსთ სჯული და სახარება, ესე ვითარნი პირნი არა ორნი ანუ სამნი არიან ჩვენს შორის, არამედ მრავალნი, თითქმის ყოველნი. მითხარ, ვინ დარჩა ახლა ისეთი კაცი, რომ ყოველთვის, ყოველს სიტყვაში და საქმეში ეძიებდეს სიმართლესა და სძულდეს უსჯულოება და სიცრუე? იქმნება, მოხუცებულნი პირნი ჩვენს შორის იყვნენ კეთილის მოყვარენი და ახსოვდესთ, რომ მათი ცხოვრება შემოკლებულარს და უნდა მომზადდნენ მომავალისა საუკუნოისათვის? გარნა რაოდენნი არიან ჩვენს შორის მოხუცებულნი და მაინც არ იშლიან ცუდსა ყოფაქცევასა? ან, იქმნება, ჭაბუკნი იყვნენ წმიდისა ცხოვრებისა და კარგად იზრდებოდენ? გარნა მრავალნი, თუ არა ყოველნი, მათ შორისცა, საუბედუროდ, ადრითგან ეჩვევიან ყოველსა უწესობასა. ან, იქმნება ქალნი ჩვენს შორის იყვნენ უმჯობესისა ცხოვრებისა, სიწმიდით და მყუდროებით ატარებდენ ცხოვრებასა თვისსა, გარნა, საუბედუროდ, მათსაცა შორის ძნელად ნახავს კაცი ქრისტიანობრივსა ცხოვრებასა.

ესრეთ ძმანო! ყოველთა შევსცოდეთ ღმერთსა და განვამწარეთ მამა ჩვენი ზეციერი; ყოველთა გვმართებს მონანება ცოდვათა და შერიგება ღვთისა-თანა ლოცვითა და კეთილითა ყოფა ქცევითა: ნუ დავიძინებთ ცოდვათა შინა, რათა არა უკანასკნელადმდე დაგვივიწყოს ღმერთმა და მიაქციოს ჩვენგან

პირი თვისი; ყოველმან კაცმან შეიყვარეთ სიმართლე და განანათლეთ გული და სული თვისი სიტყვითა ღვთისათა; გახსოვდეთ სიტყვა იგი მაცხოვრისა: ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყვა ღვთისა და დაიმარხონ იგი.

საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო! გუშინ აქ მომავალი, მე ვხედავდი მრავალსა თქვენგანსა, რომელნი მოეშურებოდით აქა დიდითა გულ-მოდგინებითა: ზოგნი თქვენგანნი მოდიოდნენ ფერხ-შიშველნი, სხვანი იყვნენ დამაშვრალნი ოფლითა და მტვერითა. განმახარა ესრეთმა თქვენმა ერთგულებამან; გარნა გლოცავ თქვენ, არ დაივიწყოთ, რომ ერთგულება და სიყვარული ღვთისა იქ უნდა გეტყობოდესთ, სოფელში, სოფლიურ ცხოვრებაში. კაცის გული ორად არ უნდა იყოს გაპობილი; სრულებით უნდა ეკუთვნოდეს იგი ღმერთსა და არა ერთითა მხოლოდ კერძოითა; ვინც ერთსა მხოლოდ წამსა არის ღვთისა და მერმე კვალად მისცემს თვისსა გულსა სოფელსა და ამაოებასა, იგი სცდება ფრიად: სოფელსაც ვერ შეიძინებს და ღმერთსაც მოაკლდება, რომელიც და განაშოროს ჩვენგან. – ამინ.

მოძღვრება

გენათს სექტემბრის 13-სა, ჩყდგ-სა წელსა.

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ შობასა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა მარიამისასა. რას გვასწავებს ჩვენ ეს დღესასწაული? რა დარიგება, ანუ რა აღშენება შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ჩვენთვის აწინდელისა დღესასწაულისაგან? ვინაითგან ყოვლადწმიდა ღვთის-მშობელი იყო ასული ფრიად კეთილთა და ღვთის-მოყვარეთა მშობელთა, იგი აღიზარდა ფრიად კეთილსა და პატიოსანსა ოჯახსა შინა და თვითონაც ისრე კეთილად და ღვთაებრივად ატარებდა შინაურსა ცხოვრებასა, რომელ მოგვცა ჩვენ მან საკვირველი სახე შინაურისა ცხოვრებისა; ამისათვის ჩვენცა, ძმანო ქრისტიანენო, მოვიხმაროთ რაოდენიმე წამი ამ საგანზედ და ვიფიქროთ, რანაირი უნდა იყოს შინაური ცხოვრება ქრისტიანისა. როგორ უნდა იქცეოდეს ქრისტიანე თავის სახლში, თვისთა ნათესავთა და მახლოებლთა

შორის.

წინა-პირველად ის უნდა ვსთქვათ, რომელ კეთილი შინაური ცხოვრება და პატიოსანი ყოფა-ქცევა თავის საკუთარს სახლში არის საფუძველი ქრისტიანობრივისა ცხოვრებისა და ზნეობისა. ყოველი კაცი თავის სახლში და თავის ოჯახში მიიღებს პირველთა აზრთა და ჩვეულეათა, თავის ოჯახში ისწავლის ცუდსა და კარგსა ყოფა-ქცევასა, თავის სახლში შეითვისებს კეთილსა ანუ ბოროტსა ხასიათსა. თქვენც გაგეგონებათ, ძმანო ჩემნო, რომ იტყვიან კაცზედ: ეს კაცი კარგის ოჯახითგან არისო და თვითონაც კარგი უნდა იყოსო; ანუ – ეს კაცი ცუდი სახლითგან არისო და თვითონაც კარგი ვერ იქმნებაო. რას ნიშნავს ეს თქმა? იმას, რომელ კეთილს, ღვთისმოყვარეს და წმიდას ოჯახში კაცი თვითონაც კარგი გაიზრდება და კარგი კაცი გამოვა, ხოლო ცუდს, გაფუჭებულს სახლში კაცი გაფუჭდება.

მეორედ, კეთილი შინაური ცხოვრება მისთვის არის საფუძველი კეთილისა ქრისტიანობრივისა ზნეობისა, რომელ ქრისტიანე ვერსად ისრე კარგად ვერ აღასრულებს ქრისტეს მცნებასა, როგორადაც თავის სახლში. პირველი ქრისტეს მცნება არის სიყვარული მოყვასისა, გარა სად შეგიძლიან შენ, ძმაო ჩემო, გამოაჩინო სიყვარული ისრე, როგორადაც შენს სახლში. აქ ნამდვილად დამტკიცდება, თუ როგორი გული გაქვს და თუ ნამდვილად შეგიძლიან შენ შეყვარება მოყვასისა. თუ დედმამა შენი ვერ შეიყვარე, თუ ძმები და დები არ გიყვარს, თუ ნათესავებში და მოყვრებში ცუდად ხარ გაწყობილი, მაშასადამე, როგორღა შეგიძლიან შეყვარება ყოველთა სხვათა მოყვასთა შენთა?

კარგი სათნოება არის მოთმინება: მოთმინებითა კაცი თავის სულს აცხოვნებს, გარნა სად შეგიძლიან შენ მიეჩვიო და აღასრულო იგი ისრე, როგორადაც შენს სახლში? აქ ყოველს დღეს და ყოველს წამს შენ უნდა იქცეოდე მოთმინებითა და სულ-გრძელად. როდესაც კაცნი ერთი მეორის სიახლოვეს სცხოვრობენ, თუ ერთმა მეორესა ნაკლულევანებანი და შეცდომანი არ დაუთმო და არ მოითმინა, ვერ გასძლებენ ერთად.

დიდი და ფრიად საჭირო არს ყოვლისა კაცისათვის თავის უარის-ყოფა, ესე იგი თავის შეწირვა სხვისათვის; გარნა შენს სახლში ყოველს დღეს გაქვს შემთხვევა აღასრულო ეს სათნოება. აქ დედ-მამანი თავის თავს დაივიწყებდენ და თავი შესწირონ შვილთა; შვილმა დედ-მამა უნდა შეიყვაროს თავის უმეტესად; ცოლმა თავის თავი უნდა შესწიროს ქმრის სიყვა-

რულსა; ქმარს თავის თავი ისრე არ უნდა ახსოვდეს, როგორც ცოლი და შვილები.

კარგნი არიან: სიწმიდე, სულ-გრძელება, სიმშვიდე და სხვანი ქრისტიანობრივი სათნოებანი; გარნა ამათ ყოველთა ვერსად ვერ შეიძენს კაცი ისრე და ვერ დაამტკიცებს, როგორადაც სახლში.

მესამედ, ისიც უნდა ვსთქვათ, რომელ კაცის ხასიათი ისრე ვერსად ვერ გამოსჩნდება, როგორადაც შინაურს ცხოვრებასა შინა. კარგი ხარ შენ, ძმაო, თუ ავი ხასიათითა, იქ შეგეტყობა, შენს ოჯახში. როდესაც შენ უცხოთა კაცთა შორის იქცევი, როდესაც სხვაგანა ხარ, გარეშედ შენისა ოჯახისა, მაშინ შენ ძვირად გამოაჩენ შენსა ნამდვილსა ხასიათსა; როდესაც შენ ელაპარაკები, ან საქმე გაქვს უცხო კაცთან, მაშინ შენ იმას ცდილობ, რომ დამალო შენი ნამდვილი ხასიათი და კარგ კაცად ეჩვენო; გარნა შენს ოჯახში ვერ დაფარავ შენს ყოფა-ქცევას და შენს ხასიათსა; იქ ყოველს წამს და ყოველს შემთხვევაში გამოჰჩნდება, კეთილი ხარ თუ ბოროტი. შინაური ცხოვრება არის სარკე, რომელსა შინა ცხადად გამოიხატება ნამდვილი შენი ხასიათი და თვისება.

აჰა, ძმანო ჩემნო, თუ ვითარ დიდი საქმეა შინაური კეთილი ცხოვრება ჩვენი, ქრისტიანეთათვის. სახლი ანუ ოჯახი ჩვენთვის არის მეორე ეკკლესია. როგორც ეკკლესიაში იქცევი შენ შიშით, ეგრედვე შენ ოჯახში უნდა იქცეოდე სიწმიდით და მორიდებით; ასე უნდა გახსოვდეს, რომ რასაც შენს სახლში იტყვი ანუ იქმ, ის მარტო შენთვის არ არის, არამედ მრთელისა შენისა სახლეულობისთვის. ყოველი შენი შინაური სიტყვა და საქმე არის თესლი, რომელიც თავის დროზედ გამოიღებს კეთილსა ანუ ბოროტსა ნაყოფსა.

თუ შენ ხარ მამა, ანუ დედა და გყვანან ძენი, ყოველი შენი ღონის-ძიება უნდა იხმარო, რომ იგინი გამოვიდნენ კეთილნი და ღვთის-მოყვარენი. გახსოვდეს, რომ იგინი ყოველთვის შენ გიყურებენ და შენგან ისწავლიან ყოფა-ქცევასა. როგორადაც გაზრდი და რასაც მიაჩვევ, ისინიც ისეთნი გამოვლენ. თუ შენ გულ-ფიცხელი კაცი ხარ, ხშირად ჰყვირი, სჯავრობ ოჯახში, ჩხუბობ, შენი შვილებიც ამას მიეჩვევიან. რისთვის არის, რომ ძმები ერთი მეორესთან ვერა სძლებენ და მაშინვე ცდილობენ გაიყარნენ და თვისად დადგნენ? მისთვის, რომ პატარაობითგანვე დედ-მამამ არ დანერგა მათს გულში სიყვარული და ერთობა. კეთილი და გონიერი მამა, ვიდრემდის შვილნი მისნი არიან წვრილნი, თვითონ უყურებს მათ და ცდილობს, რომ დანერგოს მათს გულში სიყვარული და ერ-

თობა. იგი თვითონვე დაისვამს მათ თავის მუხლზედ, ასწავ-
ლის ლოცვებს, შეაგონებს ერთობასა და სიყვარულსა, უყუ-
რებს, რა ხასიათი აქვსთ მათ და, ცუდი ყოფა-ქცევა თუ შე-
ნიშნა მათში, მაშინვე გაუსწორებს და ესრედ ცდილობს, რომ
სიყრმითგანვე კარგი ხასიათი მისცეს მათ და კარგს გზაზედ
დააყენოს.

შვილს უნდა ჰქონდეს მორჩილება, სიყვარული და მინ-
დობილობა თავის დედ-მამასთან. იმას ყოველთვის უნდა აჰხსოვ-
დეს, რომ, თუ დედ-მამის კურთხევა არ არის მის თავზედ, იგი
ბედნიერი არ იქმნება ქვეყანაზედ. დიდი ძალა აქვს და მოქმე-
დება დედ-მამის ლოცვასა და კურთხევასა.

ახლა, ძმანო, ვინაითგან სიტყვა ჩვენი იყო დღეს შინაუ-
რსა კეთილ-ყოფაქცევასა ზედა, მე უნდა გითხრა თქვენ, რო-
მელ, თქვენ ყოველთა, თითქმის მრთელის იმერეთის მცხოვ-
რებთა, გაქვსთ ფრიად ცუდი და ფრიად მავნებელი ჩვეუ-
ლება, რომელიც თითქმის დაგამსგავსებს თქვენ ურწმუნოთა
მაჰმადიანთა. რომელი ანუ რა ჩვეულება? ის, ძმანო ჩემნო, რო-
მელ როდესაც დედ-მამანი, ანუ ჭირის-უფალნი გაათხოვებენ
ქალს, მაშინ იგინი ფულს იღებენ სიძისაგან, ასე რომ თითქ-
მის არ გაათხოვებენ, არამედ გაჰყიდიან ქალიშვილსა. რაც
გინდა დაარქვი ამას, თუ გინდა პირის სანახავი, თუ გინდა სხვა
რაიმე სახელი მიეცი, თუ მშობელმა ფული აიღო თავის ქა-
ლის მიცემისათვის, მან ერთი სიტყვით გაჰყიდა თვისი შვი-
ლი. ეს ავი ჩვეულება არის, ჩვეულება ურწმუნოთა მაჰმადიან-
თა! იგინი ჰყიდიან თავის ქალი-შვილებს ფულზედ და ჩვენ კი
უნდა გვრცხვენოდეს და გვეძაგებოდეს ეს ჩვეულება. რისთვის
ჰშვრებიან მაჰმადიანნი ამ საქმეს? მისთვის, რომ იგინი არიან
გაუნათლებელნი, მოუნათლავნი, დაბნელებულნი; მათ შორის
ქალს არაფერი ფასი არა აქვს; ისინი ქალს უყურებენ, ვითარ-
ცა საქონელსა, და ისრე გაყიდიან, როგორც საქონელსა. მათ
შორის ცოლი ქმრის წინაშე არის მონა და პირუთქმელი;
გარნა ჩვენს, ქრისტიანეთა შორის, დედა-კაცს აქვს ისრეთი
ღირსება და ფასი, როგორც მამაკაცს. ქრისტე ღმერთმა ორ-
ნივე მოისყიდა სისხლითა თვისითა და ორთავეს თანასწორ
მიანიჭა ნათლის-ღება, ზიარება და ყოველი ქრისტიანობრივი
მადლი. ეს კი არა, საღმრთო წერილი ესრედ გვასწავლის
ჩვენ, რომელ ვინაითგან ქალი არის სუსტი ჭურჭელი, ამი-
სთვის უმეტესად უნდა გვქონდეს სიყვარული და შებრალება
ქალისა და სწორედ ესრედაც ვხედავთ ჩვენ განათლებულსა
ქრსიტიანობრივსა საზოგადოებასა შინა, ვინაითგან ყოველს
განათლებულს საზოგადოებაში ქალს უმეტესი აქვს პატივი და

მორიდება, ვიდრე მამა-კაცს. ხოლო თქვენ დაბალთა სოფლის
კაცთა შორის ხშირად ნახავს კაცი, რომ ქალი არს შეურაცხ
ყოფილი, დამდაბლებული და დავრდომილი. რაიცა არის ფრი-
ად საწყენი და წინააღმდეგი ჩვენის სჯულისა. ვისი დღესასწა-
ულია დღეს? ვისი გულისთვის შეიკრიბა ესოდენი ერი? ვის
სახელზედ აშენებულ-არს ეს დიდებული ტაძარი? ქალის სახელ-
ზედ! ყოვლადწმიდა ღვთის-მშობელი ქალი იყო და ახლა იგი
არის უმაღლესი ქერუბიმთა და სერაფიმთა. აჰა ვითარ აღა-
მაღლა ღმერთმან ბუნება ქალისა! მაშასადამე, როგორ უნდა
იფიქრო შენ, რომელ ქალს არა აქვს ესოდენი ღირსება, რო-
გორც ვაჟს?
ტყუილად და ამაოდ კი არ გეტყვი, ძმაო, ჩემო, რომ ცუ-
დი არის ეს ჩვეულება, როდესაც ჭირის-უფლი ქალის გათხო-
ვებაზედ აიღებს ფულსა. რაოდენი ცუდი და საძაგელი საქმე
გამოვა ამ ჩვეულებისაგან! რაოდენ-გზის ჩემამდინ მოიწია ამა-
ზედ საჩივარი! ბევრჯერ მოხდა ესრედ: დედ-მამამ ანუ ჭირის-
უფალმან აღუთქვა ერთს კაცს ქალის მიცემა: ქალმა ნახა ის კაცი,
მიეჩვია და კიდეც შეიყვარა. მერმე მოვიდა სხვა ვინმე, უმე-
ტესი ფული აღუთქვა დედ-მამასა და ამათ დაიწყეს ძალის და-
ტანება ქალისათვის, რათა გაჰყვეს მეორესა მთხოვნელს; გარ-
ნა ქალი გულდამწვარი და გამწარებული ჩუმად გაქცეულა
პირველისა სასიძოსა-თანა და ჯვარ-დაუწერელი მასთან ცხოვ-
რობს. კარგია ესა? ვისი ცოდვა იქმნება ეს საშინელი საქმე?
ვინ უპასუხებს ღვთის წინაშე ამ ცოდვისათვის? შენ რომ
მშობელი ხარ, რას უნდა ეძიებდე და რა უნდა ისურვო შე-
ნისა შვილისათვის? იმას არ უნდა ჰფიქრობდე, რომ შენი შვი-
ლი კარგს კაცს მისცე, რათა ბედნიერი იყოს? გარნა ბედნიე-
რი მაშინ იქმნება ის, როდესაც გაჰყვება მას, რომელიცა უყვარს;
ხოლო შენ ამას არ მოიკითხავ: ვინც მეტ ფულს მოგცემს,
იმას აძლევ შენს შვილსა. შენს შვილს ჰყიდი? შენს სისხლს და
ხორცხ აძლევ ფულში? რამდენჯერ მომხდარა, რომ ესრეთ
გამწარებული და დაჩაგრული ქალი მრთელს სიცოცხლეში
აღარ მიჰკარებია და აღარ დალაპარაკებია დედ-მამას.

ნუღარ იქმნება, ძმანო, ჩვენს შორის ეს საძაგელი ჩვეუ-
ლება. სირცხვილი და სიკვდილი არ არის ჩვენთვის, რომელ
ამ საქმეში სრულიად დავემზგავსენით უსჯულოთა მაჰმადიან-
თა? ზოგიერთი უგუნური დედ-მამა იტყვის: ჩემი შვილი არი-
სო და ვისაც, მე მინდა, იმას მივცემო, მე უნდა დამემორჩი-
ლოსო. მაშასადამე, შენ შვილი ისრე მიგაჩნია, როგორც პირუ-
ტყვი; არც საქონელს კითხავ, როდესაც გაყიდვა გინდა მისი
და არც შვილს მოჰკითხავ, ოდესცა მისი გათხოვება გინდა.

მართალია, შვილი უნდა დაგემორჩილოს შენ, გარნა, შენ რომ მამა ხარ, ანუ დედა, ყოველთვის შენი შვილის ბედნიერებას უნდა ცდილობდე და მაშინ კიდეც დაგემორჩილება შენი შვილი; ხოლო, როდესაც ის ხედავს, რომ შენ იმას ყიდი, მაშინ როგორღა შეუძლიან დამორჩილება შენი.

კვალად გეტყვი, ძმანო, მოისპოს ეს ცუდი ჩვეულება თქვენ შორის. განგებ გამოვარჩიე დღევანდელი დღე ამის სათქმელად, ვინაითგან თქვენ დღეს შეკრებულ-ხართ ამ დიდებულ ტაძარში სხვათა და სხვათა სოფელთაგან, მე მსურს, რომ თქვენ, რაც დღეს გესმათ, გადასცეთ თქვენთა მეზობელთა და ესრეთ განვრცელდეს სოფელში კეთილი ზნეობა და არა ამაოდ დაიკარგოს დღევანდელი ჩემი და თქვენი შრომა, არამედ მიიღოთ რომელიმე სულიერი სარგებლობა, რომელიც ნუ მოგვაკლოს ჩვენ ღმერთმან. – ამინ.

სიტყვა

თქმული გელათის ყოვლად-წმიდის მარიამის შობის დღეს.

ხოლო შეგინებულთა მათ და დედაბერებრთა ზღაპართაგან იჯმენ, ხოლო იწვართე თავი შენი ღვთის მსახურებასა (ა, ტიმ. დ, ზ).

ძმანო მართლ-მადიდებელნო!

წმიდა მოციქული პავლე ეპისტოლესა შინა თვისსა ტიმოთესა მიმართ სწერს, რომელ ქრისტრიანეთა შორის გამოჩნდებიან სულნი მაცდურნი, შემწვარნი თვისითა გონებითა, რომელნი სიტყვითა ტყუვილისათა აცდუნებენ მრავალთა პირთა, ასწავლიან სიცრუესა და მოძღვრებასა წინააღმდეგსა, და აფრთხილებს, რათა ტიმოთე განეშოროს ესრეთთა კაცთა, და ასწავებდეს თვისსა სამწყსოსა სიტყვითა სარწმუნოებისათა, და კეთილითა მოძღვრებითა, რომელსაცა შეუდგა: **ხოლო შეგინებულთა მათ და დედაბერებრთა ზღაპართაგან იჯმენ.** დასძინებს იგი, **ხოლო იწვართე თავი შენი ღვთის მსახურებასა შინა,** ესე

იგი განეშორე უგუნურთა ზღაპართა, ანუ ცრუ სწავლათა
და ჰაზრთა დედაბერებრთასა და იწვართე ღვთის-მსახურებასა
შინა.

სამწუხაროდ ჩვენდა, ყოველთვის იყვნენ და ახლაც მრავა-
ლნი არიან ცრუნი მასწავლებელნი, მეტადრე დაბალთა ერთა
შორის, რომელნი აცთუნებენ მრავალთა, ასწავლიან სჯულის
წინააღმდეგთა ჩვეულებათა, განავრცელებენ დედაბერულთა
ზღაპართა და მისცემენ მრავალსა ვნებასა სოფლის მცხოვრებ-
თა; ამისათვის ფრიად საჭირო არის, რომ ჩვენ, სულიერნი მოძ-
ღვარნი თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, ხშირად გაფრთხილებდეთ,
რათა განეშოროთ ყოველთა დედაბერულთა ზღაპართა.

მრავალთა დედაბერულთა ზღაპართაგან, რომელნი არიან
განვრცელებულნი სოფლის მცხოვრებთა შორის, მაგალითად
მოგიყვან ზოგიერთთა: თუ ვისმე სოფელში რაიმე მწუხარება
დაემართა, ავად გაუხდა სახლში ვინმე, ანუ საქონელი დაეხო-
ცა, მაშინ ერთი რომელიმე დედაბერი, ზღაპრის შემთხზველი
მკითხავი, ეტყვის მას: ეს მისთვის დაგემართა, რომ გარეშე კა-
ცი გაწყრებაო, ესე იგი, უწინდელი ვინმე მიცვალებული; ანუ
დაარწმუნებს, რომ მის სახლში ვინმე კუდიანი კაცი არის, ანუ
სხვა ამის მზგავსსა ზღაპარსა ეტყვის. ვიცით საღმრთო წერი-
ლიდან, რომ სული მიცვალებულთა არ იმყოფება ამ ქვეყანა-
ში, არამედ შორს, ერთი ღვთისაგან განჩინებულს ადგილს;
მაგრამ სოფლის უსწავლელმან კაცმან ეს არ იცის და დაიჯე-
რებს ზღაპარსა დედაბერისასა. მრავალ-გზის მოხდება, რომ
დედ-მამა შვილს, ცოლი ქმარს, ძმა ძმას, მეზობელი მეზობელს
გადაეკიდება მტრად ესრედთა დედაბერულთა ზღაპართაგან. გა-
საოცარი არის და საზარელი ის გავლენა და დაჯერება, რო-
მელი აქვსთ სოფლებში დედაბერულთა ზღაპართა მკითხავთა-
სა. არაოდეს არ დავიჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა
ერთს სოფელში ორი ანუ სამი კაცი გახურებული რკინით და-
დაღული მკითხავთაგან მისთვის, რომ ვითომც იგინი იყვნენ
კუდიანები. ესრედი საშინელი გასაცვიფრებელი კერპობა,
უმეცრება დედაბრული ზღაპარი არის ჩვენს ქვეყანაში, დამყა-
რებული მკითხავთაგან.

ახლა ერთს რასმე გეტყვი კიდევ, ძმაო მართლ-მადიდებე-
ლო, და კარგად, დამიგდე ყური. შენ, ძმაო, ხარ ერთი სოფ-
ლის ღარიბი კაცი. დიდი ბედნიერება არ იქნება შენთვის,
რომ ერთმა ვინმე გამოცდილმა კაცმა ისრედი ხერხი გასწავ-
ლოს, რომ ყოველს წელს ცოტაოდენი მოგემატოს შემოსავა-
ლი? მე გიჩვენებ და გასწავლი ისრედსა ხერხს! თქვენ ყოველ-
თა იცით და მტკიცედ ასრულებთ ერთს ჩვეულებას, რომლი-

საგან სარგებლობა სულ არ არის და ზარალი კი დიდი. ეს ჩვეულება არის აღაპი მიცვალებულზედ. ძველს დროებაში აღაპს სხვა დანიშნულება ჰქონდა; მაშინ მიცვალებულის სულის საოხად მოიყვანებდენ ღარიბებს, გლახაკებს, დავრდომილებს, აჭმევდენ მათ და სამოწყალოს მისცემდენ. ხარჯი იმოდენი არა მოუვიდოდათ რა და სამადლობელი საქმე დიდი იყო. ახლა კი ღარიბს და გლახაკს არავინ დაჰპატიჟებს არამედ მდიდარს მეზობელს, მოყვრებს და ნათესავებს; ხარჯი დიდი მოუვათ; უკანასკნელმა კაცმა უნდა დაჰკლას ძროხა, ანუ ხარი და სხვაც მრავალი; თუ არა ჰყავს, ვალი უნდა აიღოს და იყიდოს. რა სარგებლობა აქვს მიცვალებულს ამ აღაპისაგან? არაფერი! ერთი მხოლოდ უგუნური ხარჯი მოუვა ჭირისუფალს. გარდა ამისა რაოდენი უჭკუო და უზომო ხარჯი იცით სოფლის მცხოვრებთა ტაძრის დღეობაზედ, ქორწილზედ, ნათლობაზედ! მიკვირს მე მდაბიური კაცის ჩვეულებათა უგუნურება. ყური რომ დაუგდოს კაცმა, ყოველთვის ტირის თავის სიღარიბეს, ყოველთვის ემძიმება გადასახადის მიცემა; რომ შეხედო მის პატარა შვილებს, ტიტვლები დადიან, თითონაც ხშირად ქალამანი არ აცვია, ზამთარში ტფილი ახალუხი ვერ შეუკერავს, და ტაძრის დღეობაზედ, ქორწილზე, ანუ აღაპზედ ხარჯს უზომოდ გასწევს, ისე რომ იმ ერთს დღეს მრთელის წლის სარჩოს დაჰხარჯავს. მოიშალე, ძმაო, ეს ჩვეულება: აღაპს ნუ იხდი, ტაძრის დღეობას ხარჯი შემოაკლე და ყოველს წელიწადს გადარჩება საკმაოდ შემოსავლისაგან. მკითხავები ხშირად შეგაგონებენ, რომ აღაპი გაუკეთე მიცვალებულსაო; იგინი შეგიყვანებენ ამოდენს უსარგებლოს ხარჯში; მერმე რამდენი საჩუქარი თვით მკითხავებს უნდა მისცე, ვინ იცის! ერთი სიტყვით, მკითხავთაგან შენ მრავალი ზარალი მიგიღია. ნუ მიხვალ მკითხავთან, და ნუ დაიჯერებ დედაბრულთა მათ ზღაპართა და აღარ იქმნები ისე ღარიბი და საწყალი, როგორც ახლა ხარ. ნაცვლად აღაპის ხარჯისა, თუ გსურს მიცვალებულის ცხონება, მცირედი მოწყალება გაეცი გლახაკთა მის სახელზე, ეს უმჯობესია მისთვის და შენთვისაც. შეგინებულთა და დედაბერულთა ზღაპართაგან კი იქმენ მოშორებულ. – ამინ.

მოძღვრება

ᲩᲨ-ს სეკტემბერს ჩყᲫᲓ-ს წელსა, გენათის მონასტერსა შინა.

მართლმადიდებელნო ქრისტიანენო!

მოგილოცავნ აწინდელს დღესასწაულსა, დღეობასა ძველისა ამის დიდებულისა ტაძრისასა. მიხარის მე, ოდეს გხედავ თქვენ დღევანდელსა დღესასწაულსა ესრეთ შეკრებულთა სხვათა და სხვათა სოფლებითგან, ერთგულთა მლოცველთა და მსასოებელთა წმიდისა ამის ადგილისა და მრავალთა ძველთა და წარჩინებულთა სიწმინდეთა, რომელნი უხსოვარისა დროისაგან განისვენებენ მას შინა. მიხარის და ამასთანავე ყოველთვის მსურს და მოსურნე ვარ ძალისამებრ ჩემისა და საღმრთოისა მოვალეობისა, წინა-დაგიგო თქვენ რომელიმე სულიერი საზრდო, ესე იგი, მოგცე თქვენ რომელიმე მოძღვრება. გარნა რა საგანი აღმოვარჩიო დღეს ჩვენისა უბნობისათვის? რა საგანზე მოგცე დღეს თქვენ მოძღვრება? ვგონებ, რომელ, ვინაითგან თქვენ ყოველნი აქ მდგომნი შეკრებულ-ხართ სხვათა და სხვათა მხარეთაგან, ზოგიერთნი თქვენგანნი არის მოსულნი შორითგან, მაშასადამე საგანიცა აწინდელისა ჩვენისა უბნობისა უნდა იყოს სასარგებლო და საჭირო არა ერთისა ანუ ორისა პირისათვის, არამედ საზოგადოდ ყოველთა ჩვენსა სამწყსოსა შინა მცხოვრებთათვის. იგი უნდა შეეხებოდეს არა ერთსა ანუ ორსა პირსა, არამედ ყოველთა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებთა. და ესრეთ ვიწყებ მე თქმად იმ ცუდს ჩვეულებაზე, რომელი გავრცელებულ-არს თითქმის ყოველთა სოფელთა შინა და რომელსა თქვენ დაბიურად უწოდებთ მკითხაობასა, ანუ მარჩიელობასა. მართალია, მრავალთა სოფლების ეკლესიათა შინა მითქვამს მე ამ ჩვეულებაზე, თუ ვითარი მავნებელი არის იგი და წინააღმდეგი საღმრთოისა სჯულისა; გარნა ჩვეულება იგი ესეოდენ არს საძაგელ და ბოროტ, რომელ ათასჯერ რომ განვიმეორო სიტყვა მას ზედა, ისიც არ იქმნება ნამეტანი, რა არს მკითხაობა ანუ მარჩიელობა? მკითხაობა ანუ მარჩიელობა ის არის, როდესაც რომელსამე სოფელსა შინა გამოჩნდება კაცი, ანუ დედაკაცი, ცბიერი, ცრუ და, შეხედავს რა, ვითარი უმეცარი და გამოუცდელი არის დაბალი ხალხი და ადვილად იჯერებს იგი ყოველსა ცრუსა და უცნაურსა ანბავსა, გამოაცხადებს, ვითომც, მას შეუძლია შეტყობა ყოვლისა საიდუმლოისა, მან იცის მიზეზი ყოვლისა ვნებისა და უბედურებისა. მას შეუძლია მოსპობა ყოვლისა

ვნებისა და ზარალისა. თუ ვინმე გახდა ავად სოფელში, მკი-
თხავი მოუგონებს და ეტყვის მას რაღაცა უცნაურსა და გაუ-
გონებელსა მიზეზსა, ვითომც მას უწყრება ხატი რომელიმე,
ანუ სალოცველი საყდარი, და მოიგონებს სხვათა ესრედ-
თა გაუგონებელთა მიზეზთა, რომელნიცა არიან ერ-
თი მხოლოდ სიცრუე. ხშირად მომხდარა – ჩვენ თვით ვართ
ამისი მოწმე და მნახველი- რომელ მკითხავსა, ნაცვლად მორ-
ჩენისა, მოუკლავს ავადმყოფი და დაუთესია უკმაყოფილება
და მძულვარება მეუღლეთა შორის, მეზობელთა შორის, გარ-
ნა მოკლე სიტყვით არ აღიწერება ყოველი ვნება, რომელსა
მკითხავი მოახდენს სოფელსა შინა. ამისთვის გეტყვი თქვენ,
ძმანო ქრისტიანენო, მსმენელნო ჩემნო, ნუ ატყუებთ თავთა
თქვენთა, ნუ ჩააგდებთ თავთა თქვენთა ხელთა შინა მკითხავ-
თასა. თუ ვინმე დაიჩემოს მორჩენა რომლისამე ავად-მყოფისა,
მაშასადამე, პირდაპირ მისცეს რომელიმე წამალი, გარნა ოდეს,
ნაცვლად წამლის მიცემისა და დარიგებისა, ვინმე მოტყუებით
იწყებს მოგონებასა სხვათა და სხვათა უცნაურთა მიზეზთა,
იწყებს მარჩიელობასა წყალზე, ანუ ლობიოზე, ანუ სხვათა
რომელთამე უგუნურთა მოქმედებათა, იცოდე, რომ იგი მცბი-
ერია, მას უნდა შენი მოტყუება. მოერიდე ესრეთსა კაცსა,
თუ შენი თავის სიკეთე გსურს.

ახლა ის ვიფიქრით, რა მიზეზი არის, რომელ ესრეთნი
მცბიერნი და ცრუნი მკითხავნი ასე ადვილად ატყუებენ და-
ბალსა ერსა? მიზეზი აქ მეტი არაფერი არის, მხოლოდ ერთი
უმეცრება და უსწავლელობა. როგორ არ მოტყუვდება ის კა-
ცი, რომელმან არაფერი არ იცის, ქრისტიანე არის და „მამაო
ჩვენო“ არ იცის ზეპირად. ზოგ-ჯერ პირჯვარს ვერ დაიწერს
კანონიერათ. უმეცარი და დაბნელებული ხალხი ყოველთვის
გახდება საშოვარი მცბიერებისა მკითხავისა. მკითხავს რა ენა-
ღვლება, იგი ეძიებს მხოლოდ თავის სარგებლობასა; სიცრუ-
ეს ეტყვის და საჩუქარს მიიღებს, ძღვენს გამოგართმევს. რა
წამალი გაეწყობა ამას? რით მოისპობა ეს უწესოება? ერთითა
მხოლოდ სწავლითა და განათლებითა. ვიდრემდის დაბალი
ერი თვითონ არ მიხვდება, რომ მკითხავი მას ატყუებს, არ მო-
იშლის მკითხავის გაგონებას; და ამას მიხვდება მხოლოდ სწავ-
ლითა. მაშასადამე, ყოველი კაცი იმას უნდა ცდილობდეს, რომ
რაიმე ასწავლოს თვისთა შვილთა. – ამინ.

სიტყვა

თქმული გელათს ᲘᲒ-ს სექტემბერს.

> მარხვა, და უქმობა, და დღესასწაულნი
> თქვენნი სძულან სულსა ჩემსა, მექმენით მე
> სიმაძღრედ, არღარა მერმე ულხინო ცო-
> დვათა თქვენთა (ის. ა. იდ).

ძველისა სჯულისა წინასწარმეტყველი ისაია პირველსავე თავსა წიგნისა თვისისასა პირისაგან ღვთისა აყვედრებდა ებრაელთა უსჯულოებასა მათსა და მრავალთა ცუდთა საქმეთა, და გამოუცხადებდა მათ დიდსა მრისხანებასა და სასჯელსა ღვთისასა. სხვათა მწარეთა საყვედურთა შორის იგი ეტყოდა მათ სიტყვათა, რომლითა ჩვენ ვიწყეთ უბნობა ესე: **მარხვა, და უქმობა, და დღესასწაულნი თქვენნი სძულან სულსა ჩემსა, მექმენინ მე სიმაძღრედ, არღარა მერმე ულხინო ცოდვათა თქვენთა;** საშინელ არს სიტყვა ესე, ძმანო ქრისტიანენო! რისთვის განურისხდა ღმერთი ებრაელთა ეგზომად, რომელ მოსძულდა მათნი დღესასწაულნი და უქმენი და არღარა სურდა მიღება მათგან მსხვერპლისა? თუ სხვაში იყვნენ ებრაელნი დამნაშავენი, დღესასწაულობითა და მარხვითა მაინც ასრულებდნენ ნებასა ღვთისასა, ვინაითგან თვით ღმერთმან დაუწესა რომელნიმე დღენი დღესასწაულად მათდა, მართალია, ძმანო ქრისტიანენო, დღესასწაულთა, მსხვერპლის შეწირვათა ებრაელნი აღასრულებენ ბრძანებისა-მებრ ღვთისა, კანონიერად სიმარჯვით, გარნა ვინაითგან ყოველნი სხვანი მცნებანი ღვთისანი დაივიწყეს მათ, ცხოვრება და ყოფაქცევა მათი იყო ცუდი და უმართლო, ამისთვის ღმერთმან დღესასწაულნიც და მსხვერპლნი მათნი მოიძულა. ჩანს, რომ ერთი მხოლოდ დღესასწაულის აღსრულება, უკეთუ არა შეერთებულარს პატიოსნისა და წმიდისა ცხოვრებისათანა, არ იამება ღმერთსა.

ახლა, ძველისა სჯულისა ქვეშე მცხოვრებთაგან, გადმოვიდეთ ჩვენკენ, ვიფიქროთ ჩვენს თავზე. ყოველი, რაიცა მოჰხდა და დაიწერა ძველსა სჯულსა შინა, დაიწერა ჩვენისა მხილებისა და სწავლისათვის. ჩვენცა, ქრისტიანეთა, ვიცით და ვასრულებთ რომელთამე დღესასაწაულთა, მაგალითებრ: დღეს ჩვენ შეკრებილნი მრავალთა სხვათა და სხვათა სოფლებითგან ძველსა ამას ტაძარსა შინა ვდღესასწაულობთ შობასა ყოვლად-

წმიდისა მარიამ დედუფლისასა. მსგავსად ამისა მრავალთა და თითქმის ყოველთა სოფელთა შინა აქვსთ თითო დღე დანიშნული ტაძრისა დღესასწაულად და ამ დღეს მრავალნი ერნი შეიკრიბებიან იმ სოფელში, და დიდი წვეულება, დიდი ლხინი აქვთ ყოველთა იმ სოფლის მცხოვრებთა კაცთა. მაშასადამე ჩვენც ქრისტიანები, ხშირად უნდა გავახსოვნებდეთ ჩვენს თავს, რა არის დღესასწაული, როგორ უნდა გავატარებდეთ დღესასწაულს დღეს და ყოველთვის უნდა გვეშინოდეს, რომ ჩვენც არ გვეწიოს ის საშინელი საყვედური ღვთისა, რომელსაც ისაია წინასწარმეტყველი გამოუცხადებდა ებრაელთა.

რაი არს დღესასწაული? დღესასწაული არის ხსენება ლოცვითა, მადლობითა და ქებითა რომლისამე პირისა, მაგალითებრ, მაცხოვრისა, მისისა დედისა, მისთა წმიდათა; ანუ მოხსენება რომელსამე დიდისა შემთხვევისა, მაგალითებრ, ქრისტეს შობისა, ამაღლებისა და სხ. რისთვის დააწესა ღმერთმან დღესასწაულნი დღენი? ერთი მხრით მისთვის, რათა გადვიხადოთ მადლობა, ვაქოთ, ვადიდოთ და აღვამაღლოთ ის პირი, ანუ ის შემთხვევა, რომელსა ვდღესასწაულობთ; მეორე მხრით მისთვის, რათა მივიღოთ თვით ჩვენ სულიერი სარგებლობა, ესე იგი, მადლი, სწავლა და განათლება. აქედგან სჩანს, რომ დღესასწაული არის დაწესებული სულიერისა სწავლისა და ნუგეშისათვის, და არა ხორციელისა განცხრომისათვის.

ახლა გავიხსენოთ, როგორ ატარებენ სოფლებში დღესასწაულს დღეებს: ისრე ატარებენ, როგორც სჯული მოითხოვს და როგორც ვსთქვით ჩვენ ახლა, ანუ წინააღმდეგ ამისა? როდესაც გავიხსოვნებთ და წარმოვიდგენთ სოფლების ტაძრის დღეობათა, და როგორ ატარებენ და რა სახით იქცევიან ამ დღესასწაულებში სოფლის მცხოვრებნი, ჭეშმარიტად გვეშინია, რომ ჩვენც, ქრისტიანეთა არ გვეწიოს ის საშინელი საყვედური, რომელსცა ეტყვის ისაია წინასწარმეტყველი ებრაელთა. პირველად, ცხად-არს, რომელ უმრავლესთა პირთა და თითქმის ყოველთა სოფლის მცხოვრებთა დღესასწაული უხარიათ არა მისთვის, რომელნი მოელიან სულიერსა სწავლასა და ნუგეშსა, არამედ მისთვის, რომ არიან მომლოდინენი კარგის სტუმრობისა და მასპინძლობისა. უმრავლესი ხალხი, მოსული რომელსამე სოფელში დღესასწაულის დღეს, თითქმის არც კი შევა საყდარში, და თუ შევიდა მცირე ჟამად, ესრედ რომელ ერთს სიტყვასაც ვერ გაიგონებს. დანარჩენს დროებას, დილითგან საღამომდე და თითქმის მთელს მეორეს და მესამეს დღესაც მედღესასწაულენი გაატარებენ ჭამაში, სმაში, სიმღერაში, თოფის სროლაში და ცხენის ჭენებაში. ნეტავი ჭამა-

სმაში მაინც ზომას შეინახავდნენ. არა! ყოველი კაცი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ჭამოს და სვას. ზოგიერთნი უგუნურნი დილითგანვე არიან აღვსებულნი ღვინითა და ესრეთ უშიშრად შემოვლენ საყდარში. სხვანი კიდევ ესოდენ არიან უგუნურნი, რომელ ამ ერთს დღესასწაულს დღეს დახარჯავენ ნახევარი წლის საჭმელს და სასმელსა და მერმე დარჩებიან მწყურვალენი და მშიერნი. ყოველ კაცს უნახავს და გაუგონია ისიც, რა შეუდგება ესრეთსა დღესასწაულსა. დილითგანვე აღვსებულნი უზომოითა საჭმელითა და სასმელითა, მედღესასწაულენი ისე არ გაათავებენ, რომ არ მოახდინონ შფოთი, ჩხუბი და თავის ტეხა. აჰა, როგორ ატარებენ დღესასწაულთა უმეტესნი ნაწილნი ჩვენს სოფლებში! აჰა, როგორ და რად აქციეს სასარგებლო და ღვთიური წესდებულება ეკლესიისა! გარნა ეს კიდევ არ არის საკმაო! ნეტავი იმ დღესასწაულით მაინც დაკმაყოფილდებოდნენ, რომელნი განაწესა თვით ეკლესიამან. არა! ზოგიერთთა ესოდენ უყვარსთ უქმად დროების გატარება, უსარგებლო ლხინი, უზომოდ ჭამა და სმა, რომელ, გარნა ჭეშმარიტთა ეკლესიურთა დღესასწაულთა, იგინი მოიგონებენ თვისთა საკუთართა დღესასწაულთა, რომელი არა დაუწესებია ეკლესიასა. როგორც რომ დადგება მაისის თვე, სოფლით-სოფლათ იწყებენ რაღაც უცნაურსა დღესასწაულობასა, რომელსა დაბიურად უწოდებენ „კოხინჯრობასა“. რა დღესასწაულია ესე, ვინ დააწესა, რისთვის? ეს კაცმა არ იცის. შეგროვდება მრავალი ხალხი სხვა და სხვა მხარეთაგან ერთს რომელსამე სოფელში; მართალია, მღვდელს აწირვინებენ, მაგრამ ზოგი არც მოუცდის წირვას, დილითგანვე იწყებენ ლხინსა, სიმღერასა, ყვირილსა; სხვანი თუმცა კი შევლენ საყდარში პირჯვრის დასაწერად, გარნა გარეთგან ისმის ისეთი ყვირილი და შფოთი და თვით საყდარშიც არის ისეთი ლაპარაკი და შფოთი, რომ წირვას ვინ გაიგონებს! წირვა რომ გამოვა, ყოველი კაცი იწყებს ისეთსა ყვირილსა, შფოთსა, თოფის-ცემასა და უწესოსა ლხინსა, რომ შორითგან ვინმე კეთილმა ქრისტიანემ შეხედოს, იფიქრებს: აქ წარმართნი არიან შეკრებულნი და არა ქრისტიანენიო. ბოლოს, ძნელად მოხდება, რომ ესრეთი უწესო დღესასწაული გათავდეს მშვიდობით, არამედ იგი უმეტეს ნაწილად თავდება ჩხუბითა და მარცხითა.

აჰა, ძმანო, როგორ ვატარებთ ჩვენ დღესასწაულთა ჩვენთა. ახლა თვით ჰსაჯე შენ, თუ ჩვენზედაც არ არის მოსაწევი ის საშინელი ყვედრება, რომელი უთხრა ღმერთმა ებრაელთა ისაია წინასწარმეტყველის ბაგითა. ჩვენ ქრისტიანთაგან,

ღმერთი მოითხოვს უდიდესსა სიწმიდესა და კრძალულებასა, ვიდრე ებრაელთაგან; მაშასადამე უმეტესად არ მოსძულდება ღმერთსა ჩვენი უქმენი და დღესასწაულნი, უკეთუ ესრეთ ცუდათ ვატარებთ მათ? დღესასწაულთა შინა ჩვენ გვემატება არა მადლი და სწავლა, არამედ ცოდვა და ბრალი. რაიცა ღმერთმა მოგვცა და განგვიწესა თავის სადიდებლათ და ცოდვათა მოსასპობელათ, მას ვხმარობთ ცოდვათა გასამრავლებლად. საშინელ-არს ესე! საშინელ არს, რათა ჩვენ არ გვაყვედროს ღმერთმა, ვითარცა ებრაელთა: **მარხვა, და უქმობა, და დღესასწაულნი თქვენნი სძულან სულსა ჩემსა, მექმენით მე სიმაძღრედ, არღარა მერმე ულხინო ცოდვათა თქვენთა!** ნუ იყოფვინ ესე! არამედ ვისმინოთ და აღვასრულოთ, რასაც გვეტყვის ღმერთი პირითა და იმავე წინასწარმეტყველისათა: **განიბანენით, წმიდა იქმენით, მოსპენით უკეთურებანი თქვენნი პირთაგან თქვენთა წინაშე თვალთა ჩემთა. დასცხერით ბოროტთაგან თქვენთა, ისწავეთ კეთილისა ქმნა, გამოიძიეთ მსჯავრი, იხსენით მომძლავრებული, უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქვრივი. – ამინ.**

სიტყვა

თქმული ღვთისმშობლის შობის დღეს გელათს.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

ერთს ცუდს და მავნებელ ჩვეულებაზე მსურს მოგელაპარაკო მე დღეს, რომელიც გავრცელებული არის სოფლებში. თითქმის ყოველთა სოფელთა შინა ტაძრის დღეობასა და სხვათაცა დიდსა დღესასწაულთა ატარებენ უჯეროდ, ესე იგი სჯულის საწინააღმდეგოდ. რისთვის დააწესა წმიდამან ეკლესიამან დღესასწაულნი, და როგორც უნდა ვატარებდეთ დღესასწაულთა? ხორციელსა განცხრომასა და კმაყოფილებასა უნდა ვეძიებდეთ დღესასწაულთა შინა, ანუ სულიერსა სიწმინდესა და მადლსა? წმიდამან ეკლესიამან დღესასწაულნი დააწესა სულიერისა სწავლისა და განათლებისათვის. დღესასწაულთა ქრისტიანე კაცი უნდა ატარებდეს მშვიდად, წყნარათ, წმიდათ, კრძალულათ ლოცვასა და ქველის-საქმესა შინა. გარნა, საუბედუროდ აწინდელი ქრისტიანენი დღესასწაულს ვატარებთ

უფრო ცუდათ და უწესოთ, ვიდრე სხვათა უბრალოთა დღეთა. დღესასწაულებში უმეტესად ვცოდავთ, ვიდრე სხვათა უბრალო დღეთა შინა. მრავალი ერი თავს მოიყრის სოფელში, სადაცა არის ტაძრის დღეობა, იქმნება ნახევარი საათიც არ მოიხმაროს ლოცვისათვის, ერთ წამს შევა ეკლესიაში და პირჯვარს დაიწერს, ზოგნი ამასაც არ იქმიან, არამედ დილითგანვე მივლენ მოყვრებთან და ნაცნობებთან, დაიწყებენ ჭამასა და სმასა უზომოდ და შუაღამემდე არიან ლხინში, ყვირილში, სიმღერაში. ესრეთ უწესოთ დაწყებული დღე თითქმის ყოველთვის გათავდება ჩხუბით, მთვრალნი სტუმარნი წაეჩხუბებიან ერთი მეორეს, ხშირათ სისხლის ნთხევაც მოხთება მათ შორის. აჰა რა სახით ატარებენ სოფლებსა შინა დღესასწაულთა დღეთა და უმეტესად ტაძრის დღეობასა. ახლა თქვენ თვითონ იფიქრეთ, ძმანო, ვითარი წინააღმდეგი და მავნებელი არის ესრეთი ჩვეულება. ეკლესიამ იმ განზრახვით კი არ გააჩინა დღესასწაულნი, რომ ლხინითა და უწესობითა გავატაროთ იგი. ამას ისიც დაუმატე, რომ ზოგიერთნი უგუნურნი სოფლის მცხოვრებნი, იმ ერთს დღესასწაულს დღეს დახარჯავენ ნახევარი წლის საზრდოსა, ესრეთ, რომელ დღესასწაულსა შემდგომად მალე მოაკლდება მას საჭმელი და სასმელი. თქვენ თვითონ განსაჯეთ ახლა, რა უჭკუობა არის ესრეთი ჩვეულება.

ამას კიდევ ისიც დაუმატოთ, რომელ ზოგიერთს სოფლებში, გარნა იმ დღესასწაულთა, რომელნიცა დააწესა წმიდა ეკლესიამ, მოუგონიათ და დაუნიშნავთ თვისნი საკუთარნი დღესასწაულნი. როგორც რომ დადგება მაისის თვე, ყოველს სოფელში იწყებენ კოხინჯრობას. ყოველს სოფელს თავისი კოხინჯრობის დღე აქვს. არის ერთი დიდი წვეულება და სტუმრობა. ერთს სოფელში რომ გათავდება, მეორეში დაიწყებენ, ესრეთ რომელ ნახევარი მაისი ისე გათავდება, რომ თითქმის არავინ არ მუშაობს, არამედ მიდის და მოდის სოფლითი სოფლათ და ატარებს დროებას ლხინში და სიმთვრალეში. ახლა ვკითხოთ, რა არის ეს კოხინჯრობა? რისთვის კარგავენ სოფლელები ესოდენ დროებასა? იტყვიან, როდესმე კოხმა ანუ სეტყვამ წაახდინა ყანები და ერთი დღე შევწირეთო ღმერთს დღესასწაულადაო, რომ სეტყვა აღარ მოვიდესო. ძლიერ უსაფუძვლო და უგუნური შეწირვა არის ეს! რად იამება ღმერთსა, რომ შენ ძმაო მრთელი დღე გაატარო ჭამასა და ლხინში! იამება კი არა, დიდად ეწყინება და დიდად მრისხანე იქმნება შენზედ ამ საქმისათვის; ღმერთს ის სურს და ის იამება, რომ ჩვენ ყოველთვის შრომაში და მოღვაწეობაში ვიყოთ და არა თუ უქმად ვატარებდეთ დრო-

ებასა.

აგრეთვე ზოგიერთ სოფლებში იტყვიან: პარასკევს მი-
წის ხვნა ცოდვა არისო; სხვათა სოფლებსა შინა დაუდვიათ
დღესასწაულათ ყოველი ორშაბათი, აღდგომიდან დაწყებული,
ვიდრე ამაღლებამდე. ყველაფერზე უმეტესად გასაკვირველი
ის არის აქ, რომელ იმავე ჟამს, როდესაც ეს ცრუ და უქმი
დღესასწაული მოუგონიათ, კვირა დღეს არ ერიდებიან და შე-
აბამენ ხარსა სხვასა მუშაობასა არ ასრულებენ. ესრეთ გარ-
დააბრუნეს ზოგიერთთა სოფელთა შინა წესი და სჯული ქრი-
სტიანული! რომელიც ნამდვილი, სჯულიერი დღესასწაულია,
იმას არ იმარხვენ და ნაცვლად მისა სხვა ცრუ დღესასწაული
მოუგონიათ და უქმად ატარებენ, ვგონებ, რომელ აქაც, ამ
საქმეშიც, ურევია მოტყუება და მანქანება მკითხავთა და მარ-
ჩიელთა; მისთვის რომელ, თუ ვინმე ავად გახდა, მკითხავი ეტ-
ყვის: უთუოდ პარასკევს მიწა დაგიხნავსო, ანუ კოხინჯრობა
არ აღგისრულებიაო და სხვათა უგუნურთა სიტყვათა.

განეშორეთ, ძმანო, უგუნურთა საქმეთა; მოიშალეთ უსა-
რგებლონი სჯულის წინააღმდეგნი ჩვეულებანი. დღესასწა-
ულთა ატარებდეთ სულიერად ლოცვით, და არა ლხინით და
სმით. დღესასწაულად ის გეყოფა, რომელიც თვით წმიდათა
მამათა განაჩინეს; სხვა დღესასწაულთა ნუ მოიგონებთ; მკით-
ხავთა ნუ დაუჯერებთ; გყვანან მოძღვარნი მღვდელნი; იგინი
არიან თქვენი დამრიგებელნი; მათ კითხვიდეთ დარიგებასა და
არა მარჩიელთა. ამინ.

სიტყვა

ოდ-ს სექტემბერს, ჯვარის ამაღლებასა ზედა.

> სიტყვა იგი ჯვარის წარწყმედულთა
> მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩვენ ცხოვ-
> ნებულთა ამათთვის ძალი ღვთისა არს (კო-
> რინთ. ა, ივ).

თუმცა ჩვენ, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, ყოველ-
თვის პატივსა და თაყვანს-ვცემთ ჯვარსა ქრისტესსა, ყოველ-
თვის და ყოველს დღეს ჯვარითა ქრისტესითა ვაკურთხევთ

ყოველსა ჩვენსა საქმესა და დაწყებასა. ჯვარსა ქრისტესსა გამოვჰსახავთ ყოველს წამს გულსა ზედა ჩვენსა, ჯვარითა შევამკობთ სახლსა, კარსა და ყოველსა ადგილსა, ესრეთ, რომელ ჯვარი ყოველთვის არის წინაშე თვალთა ჩვენთა, გარნა დღეს განსაკუთრებით თაყვანს-ვსცემთ მას და მისთვის ვდღესასწაულობთ.

შემთხვევა, რომელსაც ჩვენ ვახსენებთ და ვდღესასწაულობთ დღეს, იყო ესრეთი: ძელი იგი ცხოველს-მყოფელი, რომელსა ზედა დამოკიდებულ-იქნა მაცხოვარი ჩვენი მთასა გოლგოთასა, დიდხანს იყო დაფარულ მიწასა შინა. გარნა ოდეს სჯული ქრისტესი განვრცელდა და განმტკიცდა, ოდეს ჯვარმან ქრისტესმან სძლია კერპთ-მსახურნი ესოდენ, რომელ თვით რომის მეფემან, დიდმან კონსტანტინემ და დედამან მისმან ელენემ, მეოთხესა საუკუნესა შინა, აღიარეს ქრისტე; მაშინ წმიდამან, ღვთის მოყვარემან და მოციქულთა სწორმან ელენემ დიდითა წადილითა ისურვა ნახვა და თაყვანის-ცემა ცხოველს-მყოფელისა ძელისა, რომელსა ზედა ჯვარს-ეცვა ქრისტე ღმერთი. მრავლითა მეცადინეობითა, ძიებითა და გამოკვლევითა შეიტყო ადგილი, სადაც მიწაში დამალულ-იყო ჯვარი. აღმოჰთხარეს მიწა და იპოვეს სამნი ჯვარნი, თანასწორნი და მზგავსნი; გარნა, რომელი ამ სამთაგანი იყო ჯვარი ქრისტესი, ეს გამოაჩინა თვით ჯვარმან, ვინაითგან განჰკურნა სნეული და აღადგინა მკვდარი ერთითა მხოლოდ შეხებითა; მაშინ ხმა ამისი განეფინა ყოველსა ქვეყანასა ზედა; შეიკრიბა ურიცხვი ერი ყოველთა ადგილთაგან. მაშინდელმა პატრიარხმან იერუსალიმისამან აღიღო ჯვარი მხარსა ზედა თვისსა; მას წინა-უძღოდენ დიდი კონსტანტინე და ელენე, და, აურაცხელი სიმრავლე ერისა; აღვიდა რა მაღალსა ადგილსა ზედა, პატრიარხმან აღამაღლა ძელი იგი, ხოლო ყოველნი ერნი, მუნ მყოფნი, დაეცნენ მუხლთა ზედა თვისთა და თაყვანი-ჰცეს მას შიშითა და სიხარულითა. აჰა შემთხვევა, რომელსა ვდღესასწაულობთ ჩვენ; ხოლო რა ფასი და რა მნიშვნელობა აქვს ჯვარსა ქრისტესსა, ეს გვითხრა თვით წმიდამან პავლე მოციქულმან: **სიტყვა იგი ჯვარისა წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს...**

ძველ დროებაში, ვიდრე ქრისტეს სოფლად მოსვლამდე, ჯვარსა ხმარობდეს დასასჯელათ უკანასკნელთა ავაზაკთა და სჯულის დამარღვეველთა მონათა. მაშინ ჯვარზედ უსაშინელესი სასჯელი არ იყო ქვეყანასა ზედა. ერთი მხოლოდ შეხედვა ჯვარისა იყო საშინელ და საზარელ კაცისათვის; ერთი სიტყვით, ჯვარი იმ დროს მიაჩნდათ, ვითარცა ეთი საზარელი, შემაგინებელი და მოძულებული ნივთი. აჰა, რისთვის

იტყვის მოციქული: **სიტყვა იგი ჯვარიას წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს...**

წარმოიდგინე, რას იფიქრებდენ წარმართნი და ურიანი, რომელთა ერთი მხოლოდ შეხედვა ჯვარისა მიაჩნდათ უბედურებად, ხოლო ჯვარსა ზედა დამოკიდებული კაცი კაცადაც არ მიაჩნდათ. რას იფიქრებდნენ იგინი და რას იტყოდენ, როდესაც მოციქულნი უქადაგებდნენ მათ, რომელ ჯვარზედ დამოკიდებული იესო ღმერთად უნდა აღიარონ, ხოლო ჯვარსა თაყვანისცენ, ვითარცა საღმრთოსა მახვილსა ჩვენისა ცხოვრებისასა? არ გამოჰჩნდებოდნენ მათ წინაშე მოციქულნი, ვითარცა ცოფნი და სიტყვა მათი ვითარცა სისულელე? ახლა წარმოიდგინე, თუ შეგიძლიან სიბრძნე, ძალი და მადლი ღვთისა; ეს სიცოფე, ეს სისულელე, ეს საზარელი და შემაგინებელი თვალთა წინაშე კაცთასა საგანი გარდააქცია ღმერთმან მახვილად ჩვენისა ცხოვნებისა; ვინც ამ ჯვარის მაგინებელთაგანი მიიღებდა ქრისტიანობასა, მაშინვე, ნაცვლად სიძულილისა და შიშისა, იგრძნობდა გამოუთქმელსა სიყვარულსა და ნუგეშსა, მხედველი ჯვარისა ქრისტესისა. ესრეთ აღსრულდა სიტყვა იგი: **წარვსწყმინდო სიბრძნე იგი ბრძენთა და მეცნიერება იგი მეცნიერთა შეურაცხ-ვჰყო.სადა არს ბრძენი, სადა არს მეცნიერი, ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა?**

ვიდრე ქრისტეს მოსვლამდე, ვითარცა ურიანი, ეგრეთვე წარმართნი ჰხედვიდენ და ჰგრძნობდნენ, თუ ვითარ გარხწნილ და დავარდნილ არს ბუნება კაცისა: ურიანიცა და წარმართნიცა ჰფიქრობდნენ, რომელ ღმერთმან საკუთარითა რომლითამე საშუალობითა უნდა აღადგინოს კაცობრივი დავარდნილი ბუნება: გარნა რას მოელოდენ იგინი და როგორ განიჰზრახვიდენ? ურიანი ჰფიქრობდენ, რომელ ღმერთი მხოლოდ მათითა საშვალობითა განაახლებს ქვეყანასა; იგინი მოელოდენ, რომელ ღმერთი მრავლითა მაგალითითა და სასწაულებითა დაუმორჩილებს მათ ყოველსა თესლსა, განავრცელებს მათსა სჯულსა და მით განანათლებს ქვეყანასა; ხოლო წარმართნი სხვაფრივ ფიქრობდენ: მათ შორის იყვნენ მრავალნი მეცნიერნი ჭეშმარიტების მეძიებელნი, ფილოსოფოსნი, ბრძენნი: იგინი ჰფიქრობდენ, რომელ მხოლოდ მათითა ფილოსოფოსობითა და სიბრძნითა განათლდება და განახლდება კაცობრივი ნათესავი. ახლა წარმოიდგინე კიდევ მათი და ურიათა განცვიფრება, როდესაც მათ ესმოდათ, რომელ ერთი მხოლოდ ჯვარი და მასზედა დამოკიდებული არსება არის კაცის განმაახლებელი და განმანათლებელი, – ის ჯვარი, რომელი იყო უწინ შემაგინელ და წარმწყმედელ კაცისა. აჰა, ვითარ განაცოფა ღმერთმან

სიბრძნე კაცისა! კაცმან სიბრძნითა თვისითა ვერ იცნა ღმერ-
თი და ძალი მისი, ამისთვის ჯერ იჩინა ღმერთმან ქადაგებითა
სისულელისათა ცხოვრება მორწმუნეთა. საგანი იგი, რომელი
საშინელად და საზარელად მიაჩნდა მათ, შეიქმნა ნუგეშად და
სიქადულად კაცთა. საგანი იგი, რომელსა შიშისაგან ვერც
შეჰხედვიდენ, გარდაიქცა აწ სამკაულად და დიდებად ყოვლი-
სა სოფლისა; რომელი იგი მოკვლიდა და წარწყმედდა ცოდ-
ვილთა, აწ განსწმედს და აცხოვნებს ცოდვილთა. ურიანი სასწა-
ულსა ითხოვენ, წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ, ხოლო მოცი-
ქულნი უქადაგებენ მათ ქრისტესა ჯვარ-ცმულსა, **ურიათა სამე
საცთურ და წარმართთა სისულელე.** გარნა იხილე ძალი და სიბ-
რძნე ღვთისა: ურიანი მოიქცნენ, წარმართთა აღიარეს; ორნი-
ვე დაემორჩილნეს ქადაგებას; ორთავე უარ-ჰყვეს, – პირველთა
თვისნი სასწაულნი, მეორეთა თვისი მეცნიერება; ქრისტე ჯვარ-
ცმული შეიქმნა მათთვის სასწაულიცა და სიბრძნეცა. იხილე,
თუ ვითარ **სულელი იგი ღვთისა უბრძნეს კაცთა არს და უძლუ-
რი იგი ღვთისა უძლიერეს კაცთა არს.** დაუმატე ამას კიდევ, რომელ
მაჰმადიანი ცეცხლითა და მახვილითა ავრცელებენ თვისსა
სჯულსა; მათ მოსწყვიდნეს ურიცხვი ერი, გარნა რაც ვერ
ჰქმნეს ურიცხვთა ლაშქართა მათთა, იგი ადვილად აღასრუ-
ლეს თორმეტთა სუსტთა და მდაბალთა მოციქულთა ქრისტეს-
თა, აღჭურვილითა ჯვარითა უფლისათა; ამათ დაიპყრეს სიტ-
ყვითა და ქადაგებითა თვისითა მთელი ქვეყანა; ხოლო სჯუ-
ლი მაჰმადიანთა დასუსტდა და დავარდა: **აჰა, ვითარ უძლური
იგი ღვთისა უძლიერეს კაცთა არს!** აჰა, რა ძალი და მნიშვნელო-
ბა აქვს ჯვარსა ქრისტესსა ჩვენ, ქრისტიანეთათვის!

გარნა, ძმაო ჩემო, ოდეს შეხედავ სახესა ჯვარისასა, ოდეს
თაყვანს-სცემ და ემთხვევი ჯვარსა ხისასა, ანუ ვერცხლისასა
და ოქროისა, იცოდე, რომ ის მხოლოდ სახე და ნიშანი არის;
ნუ გააჩერებ დიდ ხანს გონებასა შენსა სახესა ზედა და ნიშანსა
ჯვარისასა, არამედ ეცადე და წარმოიდგინე, რასაც იგი ნი-
შნავს. ჯვარის სახემ მოგაგონოს და წარმოგიდგინოს შენ იგი,
რომელი იყო დამოკიდებული თვით ჯვარზედ მთასა ზედა გო-
ლგოთასა. თვით პავლე მოციქული, ოდეს აღწერს ესოდენსა
ძალსა და ჯვარის მადლსა, იტყვის: არა ჯვარის სახისათვის,
არამედ ჯვარცმისათვის. შენცა, ოდეს ემთხვევი ჯვარსა ანუ
გამოიხატავ პირსა ზედა შენსა სახესა ჯვარისასა, ანუ ხედავ
ჯვარსა, მაშინვე წარმოიდგინე გოლგოთას მთა და მას ზედა
აღმართული მაღალი იგი ჯვარი და ჯვარსა ზედა დამოკიდე-
ბული იესო მაცხოვარი. მაშინვე განიზრახე, რომ ეს იქმნა
შენთვის, შენის განათლებისა, გამოხსნისა და ცხოვრებისათვის;

მაშასადამე ეცადე, რომ შენც გერგოს ეს მადლი; გეშინოდეს, რომელ ცუდითა შენითა ცხოვრებითა არა გააუქმო ჯვარცმა ქრისტესი, უკეთუ არ მოინანებ ცოდვათა შენთა, არ ეცდები, რომ სიწმიდით იცხოვრო, მაშასადამე გაუქმდება შენთვის ესოდენი მადლი. ძალად ღმერთი არავის არ აცხოვნებს, არამედ თვით კაცმა უნდა იწყოს ძიება ცხოვნებისა და სიწმიდისა და მაშინ ღმერთიც მისცემს მას შემწეობასა ჯვარითა თვისითა. – ამინ.

მოძღვრება

კვირიაკესა შემდგომად ჯვართა ამაღლებისასა.

ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! დღეს წარკითხული მოკლე სახარება იპყრობს თვის შორის ღრმასა და ვრცელსა სწავლასა. მოვისმინოთ მოკლედ განმარტება მისი, მავედრებელთა ღვთისა, რათა მოგვცეს გულის-ხმის-ყოფა და სულიერი აღშენება.

რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემომიდეგინ მე (მარკ. ⅧⅢ, ⅠⅠⅠ). ამ პირველს მუხლში უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვაძლევს ჩვენ დიდსა და მაღალსა სწავლასა. თითქმის მრთელი სახარების სწავლაა მოკლედ გამოთქმული სიტყვათა ამათ შინა. ამ სიტყვებში უფალი ჩვენი იესო ქრისტე შეგვაგონებს ჩვენ, რათა ჩვენსა ცხოვრებასა ადვილად და მსუბუქად არ ვუყურებდეთ, არამედ მძიმედ, ვითარცა ერთსა დიდსა ღვაწლსა და შრომასა: არ ვიფიქროთ, რომ ეს ცხოვრება მოგვეცა ჩვენ სალხინოდ და თავის-შესაქცევად, არამედ ვიცოდეთ, რომელ ცხოვრება ჩვენი აქა არის შრომა, მოთმინება, ხშირად ჭირი, მრავალ გზის განსაცდელი და ესრეთ წინადვე განვამზადოთ სული ჩვენი აღებად მხართა ზედა ჩვენთა ჯვარისა, ესე იგი, ყოვლისა სიმძიმისა, ჭირისა და განსაცდელისა; **უარის-ყოფად თავისა ჩვენისა,** ესე იგი დავიწყებად ყოვლისა, რაიცა იამება ხორციელსა, დაცემულსა ჩვენსა ბუნებასა, და სვლად შემდგომად ქრისტესა, ესე იგი, ვითარცა მან გაატარა ცხოვრება თვისი აქ დიდსა შრომასა და აურაცხელსა მოღვაწებასა და მოთმინებასა შინა, ეგრედცა ჩვენც ვეცადოთ, რომ ცხოვრება ჩვენი

განვატაროთ შრომითა, მოღვაწებითა და მოთმინებითა.

რამეთუ რომელსა უნდეს სულსა თვისსა განრინება, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი (მარკ. Ꙗ, ლე). ამ სიტყვებში უფალი იესო ქრისტე ახსნის და განავრცელებს იმავე ჰაზრსა, რომელიც წარმოსთქვა უწინარესსა მუხლსა შინა. აქ უფალი გვასწავლის ჩვენ, თუ ვინმემ თავი თვისი დაზოგა შრომისა და მოღვაწეობისათვის, თუ ვინმე ამ ქვეყანაზედ დაეიმალა ყოველსა ღვაწლსა, ჭირსა და განსაცდელსა, და ნაცვლად შრომისა და მოღვაწეობისა იწყო ძებნა ლხინისა და განცხრომისა, იგი წარწყმედს სულსა თვისსა. რა სახით? მით, რომელ იგი არა თუ მომავალსა საუკუნესა დაჰკარგავს, არამედ აქაც გააფუჭებს და წარწყმედს თავის სულს, ვინაითგან ამ ქვეყანაშიაც შრომა და მოღვაწეობა განამტკიცებს და განანათლებს კაცის სულსა, გარნა სიზარმაცე და განცხრომა წაახდენს. კაცი, რომელი არა ჰზოგავს აქ თავის თავს, არ ემალება შრომას და მოღვაწეობასა, არ მიეფერება თვისსა დაცემულსა ბუნებასა, არამედ წარწყმედს თავის გულში ხორციელსა ზრახვასა და გემოვნებასა, იგი ამით აცხოვნებს სულსა თვისსა.

რა სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი, და სული თვისი იზღვიოს, ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად უფლისა თვისისა (მარკ. Ꙗ, ლვ, ლ). კაცის ბუნებაში სული არის ხორცზედ უმთავრესი, მაშასადამე სულისათვის უმეტესად უნდა იზრუნოს კაცმან. უმჯობესია მოითმინოს მან ყოველი და სული თვისი დაიცვას. რა სარგებელი იქმნება, რომ კაცმან ერთი წუთის წარმავალი ნუგეშისათვის დაღუპოს თავისი სული. Вცოდვილი კაცის თვისება სწორეთ ის არის, რომ იგი ერთის წუთის კმაყოფილებისათვის თავის საუკუნო ბედნიერებას შესწირავს, თავის სულს აზღვევს სოფლის ერთ უბრალო გემოვნებისათვის. ამ ცუდის ჩვეულებისაგან გვაფრთხილებს უფალი, როდესაც იტყვის: **რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა...**

რამეთუ რომელსა იგი სირცხვილეულ უჩნდეს ჩემი და სიტყვათა ჩემთა, ნათესავთა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხვინოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოზთა თანა წმიდათა (მარკ, Ꙗ, ლꙗ). ეს სიტყვები, ერთი მხრით, გააკვირვებენ გონებასა კაცისასა. ნუ თუ შესაძლებელია, რომ იყოს ისრეთი კაცი ქვეყანაზედ, რომელსა სირცხვილეულ უჩნდეს, ე. ი. შერცხვეს იესო ქრისტესი და მისისა სწავლისა? არ ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ იესო ქრისტეზედ უმჯობესი არსება; არ არის და არ შეიძლე-

ბა, რომ იყოს მის სახარებაზე უღრმესი, უბრძნესი, უტკბილე-
სი სწავლა და დარიგება. ამას ესრეთ აღიარებენ თვით უპირ-
ველესნი ფილოსოფოსნი. ზოგნი მათგანნი, თუმცა არ დაემო-
რჩილნენ მისსა სახარებასა, გარნა მაინც აღიარებენ, რომ მას-
ზედ უმჯობესსა სწავლასა კაცი ვერ წარმოიდგენს და ვერც
გამოსთქვამს. მაშასადამე, როგორღა შეიძლება ვისმე შერ-
ცხვეს მისისა სახელისა და მისის სწავლისა? ეს შესაძლებელია,
ძმაო, იმ კაცისათვის, რომელიც ამ სიცოცხლეში ეძიებს ნუგეშ-
სა და კმაყოფილებასა და არ სურს იესო ქრისტეს ჯვარის
აღება და შემდგომად მისა სვლა. ხშირად იტყვის სოფლისა
და ცოდვის მოყვარე კაცი: წუთის სოფელიაო; განვიხარებ და
ვინუგეშებ, ვინემ ცოცხალ-ვარო, მოვკვდები, რა ვიცი, რა
დამემართებაო. ესრეთსა კაცსა რცხვენია იესო ქრისტეს სიმდაბ-
ლისა; მისი ჯვარის აღება მას ეზარება.

ასე მძიმედ და ღრმად უნდა უყურებდე შენ, ძმაო ქრისტია-
ნე შენსა სიცოცხლესა და მოქალაქობასა. ესრედითა შრომითა
და მოწიწებითა უნდა ასრულებდე შენსა მოვალეობასა. საცო-
დავი არის ის კაცი, რომელსაც ჰსურს ამ სიცოცხლის გატა-
რება ხუმრობაში, სიცილში და თავის შექცევაში, იგი უსარ-
გებლოდ ამძიმებს დედამიწასა, მაგრამ იმასაც ნუ იფიქრებ,
ძმაო ჩემო, რომელ ჭეშმარიტი, მოღვაწე ქრისტიანე კაცი უნ-
და იყოს ყოველთვის მოწყენილი და გამწარებული; ანუ უნ-
და იყოს უცხო ნუგეშისა, არც უნდა იცნობდეს სიხარულსა
და მხიარულებასა. წინააღმდეგ ამისა, წმიდა მოციქული პავ-
ლე მისწერს კოლასელთა: **გიხაროდენ და კვალად გეტყვი გიხა-
როდენ;** ესე იგი, ქრისტიანე კაცს ყოველთვის უნდა უხაროდეს.
მართლა, ჭეშმარიტი, წმიდა, ბუნებითი სიხარული მხოლოდ
იმ კაცს აქვს სულში, რომელიც არის ჭეშმარიტი ქრისტიანე.
სოფლის მოყვარის, ცოდვის მოურიდებელის კაცის სიხარუ-
ლი ყოველთვის არის ყალბი, ხელოვნებითი და ძალადი. ჭე-
შმარიტი, წმიდა და გამაცოცხლებელი სიხარული და მხიარუ-
ლება არის ნაყოფი შრომისა და მოღვაწებისა; ხოლო სი-
ხარული ცოდვის მოყვარისა არის ყალბი და წუთი. პირველი
წარმომდინარეობს კეთილისა სინდისისაგან, განწმენდილი
აზრისაგან. ენა კაცისა ვერ გამოსთქვამს იმ სიხარულსა, ნეტა-
რებასა და ნუგეშსა, რომელსა ხშირად გრძნობდენ წმიდანი
კაცნი, რომელიმცა მოგვცეს ჩვენც ყოველთა ღმერთმან.
ამინ.

სიტყვა

იე-სა კვირიაკესა ზედა.

> შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვ-
> ლითა გულითა შენითა და ყოვლითა გო-
> ნებითა შენითა, – ესე არს დიდი და პირვე-
> ლი მცნება (მათ. კბ, ლზ).

სიყვარული ღვთისა არის დიდი და პირველი მცნება, ვი-
თარცა უპასუხა მაცხოვარმან სჯულის მოძღვარსა რომელსამე,
მაშასადამე, ხშირად უნდა ვფიქრობდეთ ჩვენ, ძმანო ქრისტია-
ნენო, ამ მცნებაზედ. იგი არის საფუძველი ჩვენისა ქრისტია-
ნულისა ცხოვრებისა. მაშასადამე, ყოველთვის უნდა ვზრუნავ-
დეთ, რათა არ შეირყიოს იგი ჩვენს შორის და მასთანავე ყო-
ველი ჩვენი სულიერი ცხოვრება.

რაი არს სიყვარული ღვთისა, ანუ რა სახით შეიძლება
კაცმან ღმერთი შეიყვაროს? როდესაც შენ, ძმაო, გიყვარს ვინ-
მე, ანუ რაიმე, მაშინ რას გრძნობ, ანუ რა სურვილი გაქვს
გულში? მაშინ ცხადად წარმოიდგენ იმ ნივთს, ანუ იმ
პირსა, რომელიც გიყვარს. შენი სიყვარულის საგანი ცხადად
არის გამოხატული შენს გულში; შენ გსურს, რომ ყოველთ-
ვის შენთან იყოს იგი, რათა შეგეძლოს ყოველთვის მისი ხილ-
ვა და მისგან ნუგეშობა; გარნა ღმერთი არს უხილავი; შენ
ვერ წარმოიდგენ მის სახეს და ვერც შეგიძლია ისურვო, რომ
იგი იყოს შენს ხელში. მაშასადამე რაი არს სიყვარული ღვთი-
სა, ან რა სახით შეგიძლია შეიყვარო შენ ღმერთი? სიყვარული
ღვთისა, ძმაო ჩემო, არის სიყვარული ყოვლისა მის, რაიცა
არს ანუ კაცში, ანუ კაცის გარეშე კეთილი, წმიდა, ჭეშმარი-
ტი. ღმერთი უყვარს მას, რომელსაცა უყვარს ყოველი, რაი-
ცა არს კეთილი, რაიცა არს ჭეშმარიტი, რაიცა არს, წმიდა;
მაშასადამე, სძულს და უკუნ-ექცევა ყოველსავე, რაიცა არს
ბოროტი, ცრუ და არა წმიდა. ღმერთი არს უმაღლესი სიკე-
თე, უმაღლესი სიწმიდე და უმაღლესი ჭეშმარიტება; მაშასადა-
მე, როდესაც კაცსა აქვს გულში სურვილი და მისწრაფება ამ
სამთა თვისებათადმი, მას აქვს სიყვარული ღვთისა.

ვინმემ რომ გითხრას შენ, ძმაო ჩემო: გიყვარსა ღმერთი?
უთუოდ უპასუხებ, რომ გიყვარს და შენც თვითცა დარწმუნე-
ბული ხარ, რომ მართლა გიყვარს ღმერთი. გარნა, ვითარცა

ვსთქვი, ღმერთი შენ არა გიხილავს, მის არსებას შენ ვერ წარ-
მოიდგენ, მაშასადამე, თუ გიყვარს ღმერთი, ეს მაშინ გამოჩნ-
დება, როდესაც შენს გულში წარმოებს ბრძოლა ბოროტისა
და კეთილისა შორის, - სიწმიდესა და უწმიდურებასა. უკეთუ
შენ მარადის ებრძვი ცოდვასა და ვნებასა, უკეთუ გრძნობ,
რომ ცოდვა ხშირად წარგიტაცებს, გარნა ცდილობ, რომ მო-
იქცე და მადლი აღასრულო, ერთი სიტყვით ცდილობ, რომ
შენს გულში მადლმან და ჭეშმარიტებამან სძლიოს სიცრუესა
და უწმიდურებასა, მაშინ შეიძლება კაცმან სთქვას, რომ შენ
გიყვარს ღმერთი.

ეგრეთვე, გარეშე შენსა ამ სოფელში შენ მარადის ხედავ
ბრძოლასა კეთილსა და ბოროტსა შორის, ჭეშმარიტებასა და
სიცრუესა შორის, მადლსა და ცოდვასა შორის. ღვთის-მოყვა-
რე მაშინ ხარ, როდესაც ბრძოლაში შენ მარადის იჭერ
კერძოსა პირველთასა და ემტერები მეორესა.

გარნა უმეტეს ყოვლისა მაშინ გამოჩნდება, რომ გიყვარს
ღმერთი, ოდეს გიყვარს მოყვასი შენი, ღმერთს შენ ვერ
იხილავ, ხოლო მოყვასი შენი ყოველთვის შენს წინაშე არს,
ვითარცა ხატი და მსგავსება ღვთისა. ესოდენი კავშირი არს
ღვთისა და მოყვასის სიყვარულს შორის, რომელ ერთი მეო-
რესგან არ განიყოფება. ღვთის-მეტყველი იოანე წერს ეპის-
ტოლესა შინა თვისსა: **უკეთუ ვინმე სთქვას, ვითარმედ მიყვარს
ღმერთი და ძმა თვისი სძულდეს, მტყუარ-არს, რამეთუ რომელსა არა
უყვარდეს ძმა თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხი-
ლავს, ვითარ ძალ-უძც შეყვარებად? და ესე მცნება მივიღეთ მისგან, რა-
თა რომელსა უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ძმაცა თვისი** (იოან. დ. კ,
კა). როდესაც მოყვასთა შორის სუფევს სიყვარული და ერთობა,
მაშინ ღმერთიც მათ შორის სუფევს: **ღმერთი არასადა ვის უხი-
ლავს, უკეთუ ვიყვარებოდეთ ურთიერთ-არს, ღმერთი ჩვენ შორის
აღსრულებულ-არს.**

რისთვის აქვს, ძმანო ჩემო, ესოდენი ფასი ღვთის სიყვა-
რულსა, რომელ ღმერთი მხოლოდ არს იქა, სადაცა ხედავს
სიყვარულსა? საღმთო წერილი გვეტყვის, რომელ თვით
ღვთის პირველი სახელი სიყვარული არისო და ვისაც სიყვა-
რული არა აქვს, მან ვერ იცნა ღმერთი. რა მიზეზია, რომ
ყოველ შემთხვევაში მხოლოდ იმას გვასწავლის და იმას გვამ-
ხილებს ჩვენ სჯული, რათა გვიყვარდეს ღმერთი? ეს მისთვის,
ძმაო, რომ სიყვარული ღვთისა თვით ჩვენთვის არის სასარგე-
ბლო: ღმერთს არ მიემატება არა რაიმე ჩვენი სიყვარულისა-
გან, გარნა ჩვენ განვიწმიდებით, განვნათლდებით ღვთის სი-
ყვარულითა. ეს ყოველმა კაცმა იცის და მრავალ-გზის გამოც-

დილ არს ამ სოფელში, რომ თუ ვინმე შეიყვარა კარგი, ჭკვიანი და მართალი კაცი, თვითცა მიიღებს დიდსა სარგებლობასა იმ კაცისაგან; ხოლო თუ დაუმეგობრდა ვინმე ბოროტს, გაფუჭებულ კაცსა, მაშინ თვითონაც გაფუჭდება და გაირყვნება. სწორეთ ესრეთ უნდა ვსთქვათ ღვთის სიყვარულზედ. თუ აზრი ღმერთზედ მარადის სუფევს კაცის გულში, მაშინ იგი მიუახლოვდება ღმერთსა, მაშინ იგი ცდილობს, რომ იყოს ღირსი ღვთის სიყვარულისა; ეს ფიქრი, ეს ზრუნვა მას განსწმედს, განამართლებს, აღამაღლებს. რაც უყვარს კაცს, რაზედაც იგი ფიქრობს მარადის, რაც მას ჰსურს და რასაც იგი ეძიებს ყოველთვის, იგი არის მისი ღმერთი; ხოლო ვითარიც ღმერთი გეყოლება შენ, ძმაო, თვით შენცა იმისთანა გახდები: თუ შენი ღმერთი არის ჭეშმარიტი და ზეციერი, მაშინ შენც კარგი და უმჯობესი შეიქმნები. თუ ცოდვა შეიქმნა შენი ღმერთი, თუ ამ სოფელზედ დაემყარა შენი სიყვარული – შენც წარწყმდები, ვინაითგან შენც დაემსგავსები სოფელსა. გარნა, ძმაო ჩემო, სიყვარული ღვთისა უნდა იყოს შენს გულში ცხოველ, მტკიცე. რა სახით შეგეტყობა, რომ ნამდვილად გაქვს ცხოველი სიყვარული ღვთისა? თუ ფრიად გიყვარს ვინმე და დიდი მეგობრობა გაქვს მაშინ ძლიერ გიხარის, ოდესაც გესმის იმაზე ქება და კარგი ხმა; და ძლიერ გეწყინება, თუ შენ მასზედ ვინმე გითხრა ცუდი რაიმე. სწორეთ ესრეთვე გამოჩნდება, თუ გიყვარს ცხოველად ღმერთი. უკეთუ ჭეშმარიტი სიყვარული გაქვს ღვთისა, მაშინ შენ გიხარიან, როდესაც გესმის მისი დიდება და ქება; გიხარიან, როდესაც ხედავ მორწმუნესა მისსა აღმსარებელსა მისის სჯულისასა; ხოლო თუ ვინმე შენს წინაშე სთქვა რაიმე ცუდი ღმერთზედ და მის სჯულზედ, მაშინ მწუხარებას გრძნობ, გეწყინება მაშინ შენ მზადა ხარ დაიცვა დიდება ღვთისა და თავი შენი შესწირო მის დიდებასა და მისი ამაღლებისათვის.

გარნა, ძმაო, უმეტეს ყოვლისა მით გამოჩნდება, გაქვს თუ არა სიყვარული ღვთისა, ოდეს შენ აღასრულებ მცნებათა მისთა. ამას უნდა ვცდილობდეთ, ამას უნდა ვეძიებდეთ ყოველდღე, რათა საქმითა და ყოფაქცევითა ჩვენითა დავამტკიცოთ ცხოველი სიყვარული ღვთისა, რომელიცა და მოგვანიჭოს ჩვენ მან. – ამინ.

მოძღვრება

ე-სა კვირიაკესა ზედა.

> შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვ-
> ლითა გულითა შენითა და ყოვლითა გო-
> ნებითა შენითა, ესე არს დიდი და პირვე-
> ლი მცნება და მეორე მსგავსი ამისი: შეი-
> ყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვი-
> სი (ლუკ. კბ. ლზ. ლჰ. ლთ).

დღეს, ძმანო ქრისტიანენო, წმიდა სახარება წინა-დაგვიგებს ჩვენ საგნად ჩვენის უბნობისა ღვთისა და მოყვასის სიყვარულსა; დავემორჩილნეთ სიტყვასა სახარებისასა და შევიტყოთ ჰაზრი მისი.

შეიყვარო უფალი ღმერთი შენი..... რაისთვის გვიბრძანებს ესრედ, ძმანო, სახარება? ნუთუ შესაძლებელი არის კაცმა რაიმე შეიყვაროს, ანუ მოიძულოს თავის ნების და წინა-განზრახვით? სიყვარული ანუ სიძულვილი არის ბუნებითი გრძნობა გულისა. ხანდისხან კაცმა არც კი იცის, საითგან ანუ როგორ გაჩნდა მის გულში სიყვარული, ანუ სიძულვილი; ეს მართალია, ძმანო გარნა კაცსა აქვს ჭკუა გონება და მით შეუძლია იცნას, რომელი გრძნობა არის მის გულში კეთილი და რომელი ბოროტი. მერმედ, კეთილი და წმიდა გრძნობა გულისა შეუძლიან განამტკიცოს და განაცოცხლოს, ხოლო ბოროტი მოსპოს და დათრგუნოს. და ესრედ, უკეთუ შენს გულში არა ჰგრძნობ სიყვარულსა ღვთისა და მოყვასისადმი, ეცადე და შეიძინე იგი. რა სახით? პირველად მით, რომელ თუ შენს გულში არის სხვა ვითარმე ხორციელი, სოფლიური, არა კეთილი სიყვარული და სურვილი, რომელიცა არ უშვებს შენს გულში ღვთისა და მოყვასის სიყვარულსა, განაძე გულისაგან ცუდი იგი სიყვარული და მერმე ლოცვითა, სიმდაბლითა და კეთილი ყოფაქცევითა შეიძინე სიყვარული ღვთის და მოყვასისა.

შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა. რისთვის დაუმატებს სახარება სიტყვითა ამათ: **ყოვლითა გულითა შენითა?** ნუ თუ შესაძლებელი არის კაცისათვის, რათამცა თვინიერ ღვთისა სხვა არაფერი არ უყვარდეს ამ ქვეყანაზე? არა, ძმანო ჩემნო, სიტყვითა ამით საღმთო წერილი გვასწავებს ჩვენ მხოლოდ ამას, რომელ სიყვარული ღვთისა უნდა

იყოს ჩვენს გულში უმაღლესი და უმტკიცესი ყოველთა სხვა-
თა გრძნობათა, ესრეთ რომელ ყოველი სხვა სურვილი და
სიყვარული გულისა ჩვენისა ემორჩილებოდეს ღვთის სიყვარულ-
სა. შენი ღმერთი, ძმაო, ის არის, რაც შენ გიყვარს უმეტეს
ყოვლისა. კაცის გულს ისეთი თვისება აქვს, რომელ იგი ხში-
რად დაემორჩილება ერთს რომელსამე საგანსა; ხშირად მომ-
ხდარა, რომ კაცი ოქროსა და ვერცხლსა ისე შეიყვარებს,
რომელ იგი იქმნება მისი ღმერთი. კაცი ხშირად ისე დაე-
მორჩილება რომელსამე ცოდვასა და ვნებასა, რომელ ის
ცოდვა ანუ ვნება არის მისი უფალი და ღმერთი. ამისგან
გვაფრთხილებს ჩვენ სახარება და გვეტყვის: **შეიყვარო უფალი
ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა.** გული ჩვენი უნდა
ემორჩილებოდეს ღვთის სიყვარულსა; ცხოვრებასა ჩვენსა
უნდა მართავდეს ერთი მხოლოდ ღვთის სიყვარული.

**შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა,
ყოვლითა სულითა შენითა.** სიტყვათა ამათ, **ყოვლისა სულითა
შენითა,** მისთვის დაუმატეს საღმრთო წერილი, რათა განა-
სხვაოს ღვთის სიყვარული ყოველთა სხვათა გრძნობათაგან,
ვინაითგან ყოველნი სხვანი გულის-თქმანი და წადილნი არიან
შერეულ ხორციელსა სურვილსა თანა, ხოლო სიყვარული
ღვთისა არის წმიდა, სულიერი და განშორებული ყოვლისაგან
ხორციელისა გრძნობისა.

ბოლოს, კვალად დაუმატებს: **შეიყვარო უფალი ღმერთი
შენი ყოვლითა გონებითა შენითა.** გონებითა კაცი ღმერთს მა-
შინ შეიყვარებს, ოდეს ხშირად ჰფიქრობს და განიზრახავს ღმე-
რთზედ; ხშირად წარმოიდგენს მისთა თვისებათა, მისთა განგე-
ბულებათა და მისს დიდებათა. თუ, გსურს ძმაო, განმტკიცდეს
შენს გულში სიყვარული ღვთისა, წარმოიდგინე ხშირად,
რაოდენი სიყვარული აქვს თვით ღმერთსა შენზედ, რაოდენი
განგებულება აღასრულა ღმერთმან შენის განათლებისა და
ცხოვნებისათვის.

ესე არს პირველი და დიდი მცნება. რისთვის არის ღვთის
სიყვარული პირველი და დიდი მცნება? სარწმუნოება, სასოე-
ბა ანუ სხვა რომელიმე სათნოება რისთვის არა არის პირველი
და დიდი მცნება, არამედ სიყვარული? რისთვის გვიქადაგებს
ჩვენ საღმთო წერილი დაუცხრობელად და თითქმის ყოველს
ფურცელზედ მხოლოდ სიყვარულსა ღვთისა? მისთვის, ძმანო
ჩემნო, რომელ სიყვარული ღვთისა არის წყარო ყოველთა
სხვათა სათნოებათა. ღვთის სიყვარულისაგან სწარმოებს კაცის
განათლება, სულიერი სისრულე, ცხოვნება. ადამიანს ერთი
ის თვისება აქვს, რომელი რასაც ანუ ვისაც შეიყვარებს ყოვ-

ლითა გულითა, იმას დაემორჩილება და იმას დაემსგავსება. მაშასადამე, როდესაც შენ შეიყვარებ ყოვლითა გულითა ღმერთსა, მისი მორჩილი იქნები და მას დაემსგავსები.

ხოლო მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ღვთის და კაცის სიყვარულსა აქვს გაუწყვეტელი კავშირი; ღვთის სიყვარული გამოსცხადდება მოყვასის სიყვარულში. სიტყვისამებრ იოანე ღვთის-მეტყველისა, კაცმა რომ სთქვას, ღმერთი მიყვარსო და მოყვასი სძულდეს, იგი მტყუარ-არს და შემცდარ. გარნა რა არის მოყვასის სიყვარული და რაში გამოსჩნდება იგი? ამას დიდი განმარტება არ უნდა. აქ ჩვენ მხოლოდ იმაზედ უნდა მივაქციოთ ყურად-ღება, რომელ სახარება მოითხოვს ჩვენგან მოყვასის სიყვარულსა არა სუსტსა, არამედ დიდსა; მოყვასი ისე უნდა გვიყვარდეს, ვითარცა თავი ჩვენი.

ახლა ერთი რამე უნდა გკითხო მე თქვენ, ძმანო ჩემნო მსმენელნო: არის თუ არა ჩვენს ქვეყანაში კაცთ-მოყვარება? გვაქვს ჩვენ, იმერეთის მცხოვრებთა, გულში კაცთ-მოყვარება? ერთი სიტყვით, კაცთ-მოყვარენი ვართ ჩვენ, თუ არა? ერთს ნამდვილ მაგალითს გეტყვი მე თქვენ და იქითგან თვით თქვენ ჰსაჯეთ, რა ხარისხი აქვს ჩვენს კაცთ-მოყვარებას. თვით ამ დღეებში, ერთი შორი სოფლითგან მოსული კაცი მიდიოდა გზაზედ, მახლობლად ჩვენის ქალაქისა; იგი იყო უძლური, ვერსად ვერ იშოვნა მან თავის მისადრკობი ადგილი. დაეცა გზის პირზე, ათი დღე ეგდო იქ, გზის პირზე, უჭმელი, უსმელი, დაუხურავი, დღე – სიცხეში, ღამე – სიცივეში. ის გზა დიდი შარა არის; ამ ათი დღის განმავლობაში რავდენმა ადამიანმა გაიარა იქ, – ერთმაც შემწეობა არ მისცა, ერთმაც არ იფიქრა, რომ ის არის ადამიანი, ძმა მისი და ღმერთი გვიბრძანებს ჩვენ: **შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.** აქედან ჰსაჯეთ, გვაქვსა, თუ არა ჩვენ კაცთ-მოყვარება? ამისთანა შემთხვევა გამოაჩენს, აქვსა სიყვარული კაცს გულში, თუ არა? ნურცა იმას ჰგონებ, ძმაო, რომელ ეს მაგალითი იყოს მარტივი, ესე იგი სხვა ამისთანა მაგალითი არ მომხდარიყოს ჩვენს ქვეყანაში. არა, ძმანო ჩემნო, ეს არის თითქმის საზოგადო ჩვეულება ჩვენში: როდესაც ვინმე გახდება სასტიკად ავად და როდესაც ავადმყოფს უნდა ფაქიზი მოვლა, სიყვარული და ერთგულება და როდესაც ავადმყოფი მორჩება ერთითა მხოლოდ მოვლითა, მაშინ ხშირად იმას გამოაგდებენ კარზედ, დააყენებენ ტყეში სიცივეში, არავინ არ მიეკარება, თითქმის უმახლობელესნი ნათესავნიც დასტოვებენ და ესრეთ მოუვლელი ავადმყოფი ხშირათ მოკვდება. აჰა, ჩვენი კაცთმოყვარება!

მიზეზად ამისა იტყვიან: სახადი არისო, ჩვენც დაგვემართებაო; მაგრამ რატომ სხვა ქვეყნებში არ იციან ესრეთ? ქართლი შორს არ არის ჩვენგან, უთუოდ, რომ იგივე ავადმყოფობა იქაც დაემართება კაცსა, მაგრამ არ გამიგონია, რომ იქ სახლითგან გააგდონ ავათმყოფი და არ მოუარონ.

არა, ძმანო ჩემნო, ფრიად მოკლებულნი ვართ ჩვენც კაცთ-მოყვარებასა! ვევედროთ ღმერთსა, რათა მადლითა თვისითა განაცოცხლოს ჩვენს გულში და დანერგოს ჯეროვანი სიყვარული ყოვლისა მოყვასისა. – ამინ.

სიტყვა

ივ-სა კვირიაკესა, თქმული, ქუთაისს სობოროსა შინა.

> ჰრქვა მას უფალმან მისმან: კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ. შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა (მატ. კე, კა).

ესრეთ უთხრა უფალმან მონასა მას, რომელმან, მიიღო რა ორი მხოლოდ ტალანტი, ანუ ნიჭი, კეთილგონიერად იხმარა იგი, განამრავლა და ნაცვლად ორისა წარუდგინა უფალსა თვისსა ოთხი. ამავე სიტყვათა გავიგონებთ ჩვენცა ყოველნი, ძმანო ქრისტიანენო, უფლისაგან მეორედ მოსვლასა მისსა, უკეთუ გონიერათ მოვიხმართ და განვამრავლებთ ტალანტთა, ანუ ნიჭთა, რომელთა ღმერთი მისცემს თვითოეულსა კაცსა, ანუ თვით შობითგანვე, ანუ განგრძობასა შინა ცხოვრებისა მისისა. მრავალთა მათ ტალანტთაგან რომლითა ღმერთი შეამკობს კაცსა, ჩვენ დღეს ვიფიქროთ მხოლოდ ორთა უმაღლესთა და უძვირფასესთა ნიჭთათვის, რომელნი ზეცადმი აღამაღლებენ ბუნებასა კაცისასა, ესე იგი, სინიდისისა ანუ ნამუსისათვის და მეორედ სარწმუნოებისა ანუ საღმთო სჯულისათვის.

აჰა, ორნი იგი საღმრთონი ტალანტნი, ანუ ქანქარნი, რომელნი მიანიჭა ყოველსა კაცსა უფალმან ღმერთმან, ხოლო კაცმან უნდა ასარგებლოს და ერთი ორად წარუდგინოს ღმერთსა.

ვსთქვათ პირველად სინიდისისათვის. რაი არს სინიდისი? სინიდისი არს იგი უხილავი მსაჯული, მჯდომარე გულსა შინა ყოვლისა კაცისასა, რომელიცა ანუ აქებს და მოუწონებს მას რომელთამე საქმეთა და ყოფაქცევათა, ანუ აძაგებს რომელთამე სხვათა ყოფაქცევათათვის. ესრეთ განსაზღვრებენ სინიდისსა, ხოლო უკეთუ გსურს უცხადესად გაიგო და წარმოიდგინო, რა არის სინდისი. შეგიძლიან გაიხსენო, რასა ჰგრძნობდი გულსა შინა შენსა, ოდესაც ღმერთი შეგეწია და ჰქმენი რომელიმე კეთილი საქმე: ანუ ილოცე გულსმოდგინედ და ცრემლით, ანუ ნუგეშ ეცი და გააბედნიერე ვინმე, ანუ სხვა რომელიმე კეთილი საქმე აღასრულე. ამათ ყოველთა შემთხვევათა შინა არ ჰგრძნობდი შენ რომელსამე გამოუთქმელსა სიტკბოებასა,

არა გახარებდა შენ გული შენი? ეს შინაგანი სიყვარული და სიტკბოება იყო შენის სინდისისა, რომელიცა მოგიწონებდა შენ შენთა საქმეთა. ხოლო ოდეს მტერმან გაცთუნა შენ და შთავარდი რომელსამე ბოროტ-მოქმედებასა, რასა ჰგრძნობდი შენ იმ დროს? მაშინ შენ გრძნობდი გულსა შინა შენსა სირცხვილსა და აღრეულობასა, მაშინ შენ გრცხვენოდა ყოვლისა კაცისა; პირი შენი ხშირად გაწითლდებოდა, შენ იმალებოდი ყოვლის კაცისაგან და ვიდრემდის არ მოინანე, არა გქონდა მოსვენება. ეს იყო საქმე სინიდისისა შენისა, რომელი გტანჯვიდა შენ და სდევნიდა სულსა შენსა მონანებისადმი. ცხადარს, თუ რაისთვისა დანერგა ღმერთმან ბუნებასა შინა კაცისასა დიდი ტალანტი ესე? მისთვის, რათა იყოს იგი მოძღვრად და ხელმძღვანელად კეთილ-მოქმედთა და აღვირმსხმელად ბოროტის მოქმედთა.

ახლა ვიფიქროთ, თუ როგორ უნდა მოიხმაროს და განამრავლოს კაცმან ეს დიდი და ფრიად საჭირო ტალანტი. პირველად ყოველი კაცი უნდა ეცადოს, რომ სინიდისი მისი იყოს მტკიცე და მახვილი, ესრე ვსთქვათ, უნდა გალესოს იგი. ნიჭსა ამას, ვითარცა სხვათა ნიჭთა კაცისათა, სჭირს გაზრდა და განმტკიცება. სინიდისი სულსა შინა კაცისასა არს, ვითარცა ცეცხლი, რომელი ატფობს, ანათლებს გულსა; თუმცა შენ არ შეგიძლიან სრულიად გააქრო ცეცხლი იგი, გარნა შეგიძლიან ესოდენ აანთო იგი, რომელ ჰქონდეს მას დიდ სინათლე და სიტფოება. და ესრეთ კაცი, რომელი ყოველთვის ჰლესავს თვისსა სინიდისსა, ყოველთა საქმეთა შინა გამოიკითხავს მისგან რჩევასა, არაფერს არ იმოქმედებს წინააღმდეგ სინიდისისა თვისისა. ყოველთვის ჰგრძნობს მისგან ანუ ქებასა და კმაყოფილებასა, ანუ მოძაგებასა და საყვედურსა. ესე ვითარ-

მან კაცმან განამრავლა ტალანტი იგი და აქვს სასოება, რათა მიიღოს ოდესმე უფლისაგან ხარება: **კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნოო...** გარნა ვინც დაჰხშა კარი სინიდისისა თვისისა, ვინც ესოდენ დაამცირა ღვთაებრივი ესე ცეცხლი, რომელ დროსა ბოროტმოქმედებისასა აღარა ჰქენჯნის მას სინიდისი მისი, აღარ უშლის და არ აყენებს მას ცოდვისაგან, – იგი ემზგავსა უბადრუკსა მას მონასა, რომელმან დამალა მიწასა შინა ერთი ღვთისაგან მიღებული ტალანტი და ამისთვის ესმა მისგან საყვედური: **ბოროტო მონაო და მედგარო ... ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა და მივიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.** ეს უმეტესად უნდა ახსოვდეს მათ, რომელთა არ მიუღიათ სწავლა და განათლება, ესე იგი, მდაბალსა ერსა. ვინც წიგნი იცის, მას აქვს ორი ტალანტი: სინიდისსა მისსა მოეხმარება განათლება და სწავლა; ხოლო უკეთუ ვისმე წიგნი არ უსწავლია, მან უნდა ისარგებლოს ერთითა მხოლოდ სინდისითა თვისითა; უკეთუ უსწავლელმა კაცმა სინიდისიცა თვისი დააბნელა, აღარ დარჩება მას არც ერთი საშუალება, რომლითა შეეძლოს ცნობა და გარჩევა კეთილისა და ბოროტისა.

ახლა ვსთქვათ მეორისა მის უმაღლესისა ტალანტისათვის, რომელი მოგვცა ჩვენ ღმერთმან, ესე იგი. სარწმუნოებისა და სახარებისათვის.

სინდისი ანუ ნამუსი აღარ იყო საკმაო დაცემულისა კაცისათვის, რათა ეცნა მას ღმერთი და ჯეროვნდ ემსახურა მისთვის. ამას გვიმტკიცებენ ჩვენ კერპთმსახურნი, რომელთა ესოდენ დაუბნელდათ სინიდისი, რომ ნაცვლად ჭეშმარიტისა ღვთისა, პატივ-სცემდენ მრავალთა ცრუთა ღმერთთა. ამისთვის ღმერთმა გამოგვიცხადა ჩვენ ჭეშმარიტი სარწმუნოება და მოგვცა დიდი დაუფასებელი ნიჭი სახარებისა. არა ოდეს არ უნდა დავივიწყოთ, ძმანო ქრისტიანენო, რომელ ჩვენ მოგვაბარა ღმერთმან დიდი ესე დაუფასებელი ტალანტი.

გახსოვდეს, ძმაო, რომ შენ ქრისტიანე ხარ, ამასთანავე მართლ-მადიდებელი ქრისტიანე. ეს არის შენი სიქადული, ეს არის განმასხვავებელი შენი უცხო თესლთაგან. ჰკითხავდე თავსა შენსა, როგორ ჰხმარობ შენ დაუფასებელსა ამას ტალანტსა; განამრავლე შენ იგი, გამოიღო მან ნაყოფი გულსა შინა შენსა, გაგწმიდა და განგანათლა შენ სჯულმან შენმან? ანუ აქამომდე გულსა შინა შენსა ჰსუფევს ძველი იგი ცომი ცოდვისა და ბოროტებისა?

ძმანო ჩემნო საყვარელნო! დიდ-არს ტალანტი, რომელი მოგვცა ჩვენ ღმერთმან, ღვთაებრივი საუნჯე არის ქრისტიანო-

ბა. ჩვენ უწოდებთ თავსა ჩვენსა მართლმადიდებელად, ესე იგი, აღვიარებთ, რომელ ეკკლესია ჩვენი მიიღებს ნამდვილად თვით მას სწავლასა და წესდებულებასა, რომელი გარდამოგვცეს თვით მოციქულთა: დაუმტკიცოთ უკვე კეთილითა ჩვენითა ცხოვრებითა ჭეშმარიტება ჩვენისა ეკლესიისა წინააღმდეგთა მისთა. – ამინ.

სიტყვა,

თქმული ბ-სა ოკტომბერს მოწამეთის მონასტერსა შინა.

> რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო!
> და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვი თქვენ
> (ლუკ. ვ, მვ).

ვის აყვედრებს, ძმანო, ესრედ უფალი იესო ქრისტე? ვის ეტყვის სამდურავსა ამას? ეტყვის მათ, რომელნი მივიდოდენ მასთან, ისმენდენ სიტყვას მისსა, გარნა არა აღასრულებდენ მას. აყვედრებს მათ, რომელთა უყვარდათ კი დარიგება მისი, კიდეც ჰქონდათ სასოება მას ზედა, ხშირად ევედრებოდენ მას და ეტყოდენ: უფალო! შეგვიწყალენ, უფალო! შეგვეწიე, უფალო! შეგვინდევ ცოდვანი ჩვენნი: გარნა საქმით კი არ ჰცდილობდენ აღსრულებასა მცნებათა მისთათა. სჩანს, ძმანო, რომ მაშინაც იყვნენ კაცნი სულმოკლენი, სუსტნი ხასიათითა, რომელთა ჰქონდათ კი სარწმუნოება, სასოება, გარნა ესოდენსა ძალსა ვერ დაატანდენ თავსა თვისთა, რომ მოეშალათ ცოდვა და ეწყოთ სიწმინდით ცხოვრება. გარნა აწ, ამ ჩვენს დროებაში, უმრავლესნი არიან ესრეთნი პირნი; მაშასადამე, მათცა აყვედრებს მაცხოვარი: **რასა მეტყვით მე: უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვი თქვენ.** თუ სარწმუნოება და სასოება გაქვს შენ, ძმაო ჩემო, თუ ეკლესიაში მოდიხარ და ლოცულობ ღმერთსა, თუ გამოითხოვ ღვთისაგან შენდობასა და მოტევებასა ცოდვათა შენთასა, თუ ხშირად ევედრები ღმერთს: ღმერთო! მილხინე მე ცოდვილსა, უფალო! შემიწყალე მე ცოდვილი, – მაშასადამე, თვით საქმითაც უნდა ეცადო, ყოველი ღონისძიება უნდა იხმარო, რომ მოიშალო ცოდვა და აღასრულო სათნოება. წინააღმდეგ შემთხვევაში შენც გა-

ყვედრებს ოდესმე უფალი: **რასა მეტყოდი მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფდი, რომელსა მე გეტყოდი შენ.**

ესრედ აყვედრებს უფალი ყოველსა ცოდვის-მოქმედსა.

ამას გაყვედრებს უფალი შენ, ძმაო მტყუარო და სიცრუ-ის მოყვარეო. უფალმან დაგიდვა შენ მცნებად: **ნუ სტყუი.** მაცხოვარმან სიტყვით და საქმით გასწავა შენ, ვითარი დიდი ცოდვა არის სიცრუის თქმა; ვითარცა იგი უფალი იყო ჭეშმა-რიტი და ჭეშმარიტებასა იტყოდა ყოველთვის და თავიცა თვი-სი შესწირა სიმართლესა, ეგრედვე შენგანაც მოითხოვს, რათა გიყვარდეს სიმართლე და სიმართლისათვის თავი შესწირო. გარ-ნა შენ ხშირად ატყუებ მოყვასსა შენსა, ხშირად ლაპარაკობ წინააღმდეგ შენისა სინიდისისა და იმავე დროს მოდიხარ ეკკლე-სიაში, დასდგები წინაშე მაცხოვრის ხატისა და ევედრები მას: უფალო! შემიწყალე მე, უფალო! შემინდევ მე, უფალო! მილ-ხინე მე. **რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვი თქვენ?**

გაყვედრებს შენ, კაცო ბოროტო, აღვსებულო სიძული-ლითა და შურითა მოყვასისა მიმართ შენისა. შენ გული გეწვის, ოდესცა ჰხედავ შენი მეზობლის სიკეთესა და ბედნიერებასა, მაშინ, როდესაც შენ უნდა გიხაროდეს, რომ ღმერთმა მისცა სიკეთე და ბედნიერება ძმასა შენსა. უფალმან გაცნო შენ შე-ყვარებად ყოვლისა მოყვასისა, ვითარცა თავისა შენისა, გარნა შენ ბოროტ-ხარ მრავალთა მოყვასთა შენთა ზედა; მრავალ-გზის ცილისწამებას მოიგონებ მათ ზედა, მრავალგზის ემტერე-ბი მათ. როგორ ბედავ შენ ამისთანა ცუდი გულით შემოს-ვლას ამ ღვთის სახლში? რა იმედით მოდიხარ აქ და ევედრე-ბი ღმერთსა: უფალო! უფალო! განიწმიდე უწინარეს გული, განაძე სულისა შენისაგან ყოველი შური, მტრობა და ბორო-ტება, და მაშინ მხოლოდ მოხვიდოდე და ევედრებოდე ღმერთ-სა. **რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვი თქვენ.**

გაყვედრებს შენცა, კაცო ხარბო და გაუმაძღარო, რო-მელსა ესოდენ გიყვარს ვერცხლი, რომელ მზად ხარ ვერც-ხლის მოგებისათვის დაარღვიო ყოველი სჯული და დაივიწყო სინიდისი; რომელსა ვერცხლი გიყვარს, თითქმის, უმეტეს ღვთი-სა. უკეთუ გსურს, რომ ღმერთმან მიიღოს ლოცვა და ევედ-რება შენი, განაგდე გულისა შენისაგან სიხარბე: **რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვით თქვენ.**

გაყვედრებს შენცა, მპარაო და მტაცებელო შენი მოყვ-ასის საქონლისაო. ღმერთმან მოგცა შენ მცნება: **ნუ იპარავ.** ვი-დრემდის არ მოისპობ საძაგელსა ამას ჩვეულებასა და არ გა-

ნაგდებ გულისა შენისაგან ამ ვნებას, ღმერთი არ მიგიღებს შენ, არამედ გაყვედრებს: **რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვით თქვენ.**

ერთი სიტყვით, ყოველს ქრისტიანეს, რომლისა გულში კიდევ სუფევს ცოდვა, რომელი უმეტესად ემორჩილება ცოდვასა და ვნებასა, ვიდრე ღმერთსა, რომელი არ ებრძვის ცუდსა თვისსა ხასიათსა, არ ცდილობს, რომ ცოდვას განეშოროს და მადლი აღასრულოს, და იმავე დროს ღმერთს ევედრება, ლოცულობს, გამოითხოვს შენდობასა ცოდვათა თვისთასა, ღმერთი უთუოდ აყვედრებს და ეტყვის: **რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვით თქვენ.**

ესრეთ, ძმანო ჩემნო, უფალი ჩვენი არ იქმნება კმაყოფილ ჩვენგან მხოლოდ მით, რომ ენითა ჩვენითა ვევედრებით მას და ვადიდებთ. შენ უწოდებ მაცხოვარსა: უფალო! უფალო! და თუ გულწრფელად მიიღებ მას, ვითარცა უფალსა და მეუფესა, მაშასადამე, აღასრულე მცნება მისი: **რასა მეტყვით მე: უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვით თქვენ.**

ვინც მხოლოდ ისმენს სიტყვასა ღვთისასა, სთქვა უფალმან იმავე სახარებაში, რომელიც დღეს ჩვენ გვესმა, ხოლო არ აღასრულებს მას, ემსგავსება იმ უგუნურ კაცსა, რომელმან სახლი თვისი აღაშენა ქვიშაზე და არ გაუკეთა მაგარი საფუძველი. ატყდნენ ქარნი, დაეცნენ მას წყალნი და დაარღვიეს სახლი იგი. გარნა კაცი, რომელი ისმენს სიტყვასა ღვთისასა და კიდეც აღასრულებს მას, ემსგავსება იმ გონიერ კაცს, რომელმან აღმოსთხარა საფუძველი და სახლი თვისი დააშენა კლდესა ზედა. ატყდნენ ქარნი, დაეცნენ მას ნიაღვარნი, გარნა ვერა რაი ავნეს მას. ესრეთი სიმტკიცე აქვს კაცსა მას, რომელი აღასრულებს მცნებათა ღვთისათა.

თუ გსურს შეიტყო, ვითარ უნდა აღასრულებდეს კაცი მცნებათა ღვთისათა, დიდი მაგალითი გაქვს თვალთა წინაშე: შეხედე წმიდასა ამას კუბოსა და იფიქრე, რისთვის მისცა უფალმან ესოდენი მადლი წმიდათა დავითს და კონსტანტინეს, არგვეთის მთავართა, რომელ ნაწილნი მათნი, უმეტეს ათასის წლისა, არიან ჩვენს შორის უხრწნელ და კეთილსურნელოვან, მაშინ როდესაც გვამი ყოვლისა კაცისა, სიკვდილისა შემდეგ, გარდაიქცევა მტვერად და მიწად. იყო ერთხელ საშინელი და უბედური დრო მამულსა ამას შინა ჩვენსა; ურწმუნო და სასტიკი მტერი მურვან-ყრუ ურიცხვითა ლაშქრითა დაეცა მამულსა ჩვენსა, ააოხრა ქვეყანა და აიძულებდა ქრისტიანეთა მიღებად მაჰმადიანობისა. მაშინ ზოგნი სუსტნი და სულმოკლენი, შეშინებულნი სასტიკსა ამას მტრისაგან, უარ-ჰყოფდენ

სარწმუნოებასა, გარნა მხნენი დავით და კონსტანტინე, ვიდ-
რემდის შეეძლოთ, მხნეთ ებრძოდნენ მტერსა. მერმე, თუმცაღა
შთავარდნენ ხელთა შინა მურვან-ყრუისათა, კადნიერათ აღი-
არეს სჯული ქრისტესი მოითმინეს მრავალნი და სასტიკნი
ტანჯვანი და შემდეგ მიიღეს გვირგვინი მოწამეობისა. მაშასა-
დამე, წმიდათა ამათ თვით საქმით დაამტკიცეს თვისი სასოება
და სარწმუნოება.

მობაძავ-ვიყვნეთ ჩვენცა, ძმანო, მხნეთა ამათ მოწამეთა;
თვით საქმითა აღვასრულებდეთ მას, რაიცა გვესმის უფლისა-
გან სახარებასა შინა, და უკეთუ არა, გვეტყვის ბოლოს მაც-
ხოვარი ჩვენცა მწარესა საყვედურსა: **რასა მეტყოდით მე: უფალო!
უფალო! და არა ჰყოფდით, რომელსა მე გეტყოდით თქვენ.** – ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

ბ-სა ოკტომბერს მოწამეთის მონასტერში.

მართლმადიდებელნო ქრისტიანენო!

დღეს ჩვენ ყოველნი შეკრებულ-ვართ წმიდასა ამას უდაბ-
ნოსა შინა მისთვის, რათა პატივი ვსცეთ წმიდათა დავითს და
კონსტანტინეს, და აღვასრულოთ ხსენება მათი, რომელთა წმი-
დანი ნაწილნი განისვენებენ აქ უხსოვარის დროითგან. მად-
ლობა შევსწიროთ დღეს წმიდათა ამათ მოღვაწეთა, ვინაით-
გან მეოხებითა მათთითა ვეღირსეთ აწინდელსაც წელსა თაყვა-
ნისცემად წმიდათა მათთა ნაწილთა; ხოლო პატივისცემა მათი
შევავსოთ რომლითამე სულიერითა განზრახვითა და სწავლი-
თა, რადგანაც, დარწმუნებული ვართ, რომ მათცა იამებათ
ყოველნი ჩვენნი სულიერნი სწავლა და დარიგება.

ერთი ცუდი და მავნებელი ცოდვა, ანუ ჩვეულება დანერ-
გულ-არს თითქმის ყოველთა სოფელთა და სახლთა შინა ჩვენ
ქვეყანაში და ამ ცუდ ჩვეულებაზე ჩვენ აქამომდე არ გვით-
ქვამს თქვენ წინაშე მოძღვრება; ახლა უნდა აღვასრულო ამა-
ზე ჩემი მოვალეობა. რომელი არის ეს ჩვეულება? ის, ძმანო
ჩემნო, რომელ ვიცით და გვიყვარს ერთი მეორესთან, ერთი
სახლითგან მეორე სახლში ჭორის გატანა, ანუ ენის მიტანა;
გვიყვარს და ვიცით ერთი მეორესთან და ერთი სახლითგან
მეორე სახლში ცუდი ამბავის და ცუდი ენის მიტანა, კაცის

ცუდად შესმენა, ჭორის და უბრალო ამბავის გავრცელება, კაცის კაცთან საიდუმლოდ ყურში შეგონება და დაბეზღება, ერთი სიტყვით, ყოველი ის ცოდვა, რომელსა კაცი აღასრულებს და იქმს თვისითა ბოროტითა ენითა. ეს ბოროტი და მავნებელი ჩვეულება ფრიად გავრცელებული და მავნებელი არის ყოველთა სოფელთა სახლთა შინა. ვიწყოთ უკანასკნელი გლეხის სახლითგან ვიდრე უპირველესის თავადიშვილის სახლადმდე. ისე უყვართ ზოგიერთებს ყოველი ჭორის გაგონება და ენის მიტანა, რომელ ზოგჯერ ერთი სახლითგან მეორეს სახლში, ანუ ერთი შეკრებულებითგან მეორეს შეკრებულებაში გაჰგზავნიან გზირს, რომ ყოველიფერი გაიგონოს, შეიტყოს და მოიტანოს ამბავი; და ეს ჩვეულება უმეტესად განძლიერებული კი არის ქალთა შორის. ამათ ფრიად და ნამეტნავად უყვართ ყოველი ჭორის გაგონება, ენის მიტანა. ზოგიერთნი დედაკაცნი მთელ დღეს ამაში ატარებენ; ზოგიერთი ქალისათვის დღიური საზრდო არის ჭორის გაგონება და ენის მიტანა.

ვინ აღწერს, რამდენი ვნება და მწუხარება წარმოსდგება ესრედისა საძაგელისა ჩვეულებისაგან, რაოდენნი მეზობელნი გადაეკიდნენ ერთმანეთს ენის მიტანითა, რაოდენი შფოთი, ჩხუბი, უკმაყოფილება მომხდარა მეზობელთა, მოყვარეთა და მონათესავეთა შორის. ვგონებ, რომელ ეს საძაგელი ჩვეულება უნდა იყოს ერთი დიდი მიზეზი იმ სამწუხაროის სიძულილისა, შურისა, განხეთქილებისა, რომელსა ვჰხედავთ ჩვენ თითქმის ყოველს სოფელში, მახლობელთა, მეზობელთა და მონათესავეთა შორის.

ზოგიერთთა კაცთა ეს ჩვეულება ცოდვადაც არ მიაჩნიათ. ესრეთ ჰფიქრობენ, რომ ეს არის მხოლოდ დროების გატარება; გარნა გაიგონეთ, ძმანო, რაფერ იტყვის და როგორ გვასწავლის ამაზე საღვთო წერილი: ავიღოთ სამოციქულო, გავხსნათ მესამე თავი წმიდა იაკობის კათოლიკე ეპისტოლე. მეორეს მუხლში, წმიდა იაკობი ესრეთ იტყვის, რომელ კაცი მრავალგზით და მრავალფერად შესცოდებს ღმერთსაო, გარნა ვინც არ სცოდავს ღვთის წინაშე, იგი სრული კაცი არისო, მას შეუძლია ყოველი თვისი გვამი დაიმორჩილოს: **ფრიად სცოდავთ ყოველნივე, რომელნი სიტყვითა არა სცდებოდეს, იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღვირ-სხმად ყოვლისავე გვამისა** (იაკ. თ. გ. ბ.) ეს მისთვის, რომელ ენით შეცოდება ადვილი არის, დიდს შრომას არ მოითხოვს, და თუ ენა დაიმორჩილა კაცმა, მაშინ სხვა ცოდვასაც ადვილად წინააღუდგება. მეექვსესა მუხლსა შინა წმიდა იაკობი ენას უწოდებს ცე-

ცხლად, სიცრუის სამკაულად, მთელი გვამის შემაგინებელად, გენიის ცეცხლითგან ანთებულად: და ენა ეგრედვე ცეცხლ-არს, სამკაულ სიცრუისა, ენა დადგომილ-არს ასოთა შინა ჩვენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გვამსა და აღაგზნებს ურმის თვალსა მას შესაქმისასა და აღგზნებულ-არს გეენისააგნ (იაკ. გ. ვ.), როდესაც შენ, ძმაო, ენას მიუტან ვისმე და ბოროტად შეასმენ შენს მოყვასს, მისს გულში შენ აანთებ ცეცხლსა შურისა და სიძულილისასა; მაშასადამე, სიმართლით უწოდებს წმიდა იაკობი მას ცეცხლად, როდესაც შენ ენას მიუტან და ამბავს წაიღებ ერთი სახლითგან მეორეს სახლში, მაშინ შენ მარტო იმას კი არ იტყვი, რაც გინახავს და გაგიგონია, ხშირად შენ შენსას დაუმატებ, გაავრცელებ, გაადიდებ და შეამკობ, მაშასადამე, აქაც სიმართლით უწოდებს მოციქული ენას სიცრუის სამკაულად. ეგრეთვედ არა უმართლოდ იტყვის წმიდა მოციქული იაკობ იქავე, რომელ ენა არის დაუპყრობელი ბოროტი, სავსე გესლითა მაკვდინებელითა, მისთვის რომელ, როგორადაც გველისა გესლი მოსწამლავს კაცსა და მოჰკლავს, ეგრედვე ხშირად მზაკვრისა ენისა შენისა გესლმა მოსწამლა ზოგჯერ გული კაცისა და მოჰკლა მუნ სიყვარული და მეგობრობა მოყვსისა.

აჰა, რა ფიცხელად განიკითხავს და აყვედრებს საღმრთო წერილი მოქმედებასა ბოროტისა ენისასა! აბა ნუ გგონია, ძმაო, რომ მცირე საქმე იყოს ენის მიტანა, ჭორი და ბოროტ-სიტყვაობა. ადვილია სიტყვის თქმა და ამბავის მიტანა, გარნა ვინ იცის, რამდენი მძიმე საქმე შეუდგება მას. მცირეა ცეცხლის ნაპერწკალი, გარნა ხშირად დიდს ქალაქს დასწვავს. თავის ნათქვამს სიტყვას კაცი უკან ვეღარ დაიბრუნებს: უნდა მძიმედ იფიქროს და მერმედ თქვას ყოველი სიტყვა.

გახსოვდეთ, ძმანო ჩემნო, რა დიდი ცოდვა არის ენის მიტანა და ცუდად შეგონება კაცისა, მეტადრე თქვენ, დედანო ქრისტიანენო, ნუ დაივიწყებთ ამას. რათგანაც თქვენ დღეს ყოველნი მოსრული-ხართ ამა წმიდა უდაბნოში. ზოგიერთნი შორითგან, ზოგიერთმა ღამეც გაათიეთ და ძილიც მოიკელით, ცისკარი მოისმინეთ და წირვა, მაშასადამე, არა მცირედი შრომა მიიღეთ, ახლა შეავსეთ და დააგვირგვინეთ თქვენი შრომა მით, რომ ეს მცირე-ოდენი სწავლა მიიღეთ გულში და ნუ დაივიწყებთ, რა დიდი ცოდვა არის ენის მიტანა კაცთან, შეგონება და დასმენა ერთი მეორესთან.თუ ამ კეთილს განზრახვას მიიღებთ, რომ ამას იქით ამ ცოდვას განეშოროთ, უთუოდ რომ წმიდანიცა მოწამენი იქმნებიან თქვენი შემწენი ამ კეთილ საქმეში. – ამინ.

მოძღვრება

იჰ-კვირიაკესა ზედა.

> და ჰრქვა იესო: ნუ გეშინინ, სვიმონ, ამიერითგან იყო კაცთა მონადირე (ლუკ. ე, ი).

დღეს წაკითხული სახარება წინადაგვიგებს, ძმანო, ჩვენ-
და შესასწავებელად შემდგომსა მოთხრობასა: უფალი იესო
ქრისტე ოდესმე სდგა კლდესა ზედა გენესარეთის ტბისასა, გარე-
მოცული უმრავლესითა ერითა, რომელი მოსრულ-იყო სმენად
სიტყვისა ღვთისასა, და იხილა ორი ნავი, მდგომარე კიდესა
ზედა ტბისასა; ხოლო მეთევზენი, რომელთა ეკუთვნოდათ ნავე-
ბი, ამზადებდნენ ბადეთა თვისთა. უფალი შევიდა ნავსა სვი-
მონ მეთევზისასა და უბრძანა მას, შე-რე-დგინება მცირედ კიდით-
გან ნავისა, დასჯდა და ასწავებდა ნავითგან ერსა. დაასრულა
რა სწავლა, უბრძანა სვიმონს, შეყენება ღრმად ნავისა და და-
დება ბადისა ნადირობად. თუმცა სვიმონ და სხვანი მეთევზე-
ნი მრთელს ღამეს ნადირობდნენ და ვერა რა მიიღეს; გარნა,
სიტყვისამებრ მოძღვრისა, დასდვეს ბადე და შეაყენეს ესოდე-
ნი სიმრავლე თევზთა, რომელ ბადენი თითქმის განსქდებო-
დნენ და ნავი აღივსო თევზითა. იხილეს რა უბრალოთა მათ
მეთევზეთა ესრეთი საკვირველება, შეეშინა მათ ფრიად; სვიმონ
პეტრე შეუვრდა მუხლთა იესოთა და ჰრქვა: **განვედ ჩვენგან,
რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ,** უფალო! ხოლო უფალმან ჰრქვა
მას: **ნუგეშინის სვიმონ, ამიერითგან იყო კაცთა მონადირე.** მაშინ
სვიმონ და მოზიარეთა მისთა, იაკობ და იოანე, გამოადგინეს
ნავები ხმელეთად, დაუტევეს ყოველი და მისდევდენ მას, და
შეიქმენ მისნი განუშორებელნი მოწაფენი.

რას გვასწავლის, ძმანო, ჩვენ მოთხრობა ესე სახარებისა?
რა დარიგება, ანუ რომელი მოძღვრება გამოვიყანოთ ჩვენ
მისგან? პირველად ის, რომელ არცა ერთი წოდება, ანუ
მდგომარეობა კაცისასა ქვეყანასა ზედა არ არის შეურაცხებელი
ანუ დამამდაბლებელი კაცისა, – რომელ ღმერთი მიხედავს

შინაგანსა ღირსებასა კაცისასა და არა გარეგანსა მდგომარეობასა მისსა, და რომელ კაცს ყოველსა მდგომარეობასა შინა ანუ წოდებასა შეუძლიან დაიცვას კაცობრივი თვისი ღირსება და სათნო ეყოს ღმერთსა. რომელი წოდება არის უმდაბლესი, ანუ უკანასკნელი მეთევზისა; გარნა აჰა ესერა მაცხოვარმან არა შეურაცხ-ჰყო მდგომარეობა მდაბალთა მეთევზეთა; იგი შევიდა ნავსა მათსა, აკურთხა მათი მდაბალი შრომა და მათ შორის გამოარჩია ათორმეტნი მოწაფენი თვისნი. აქითგან ისწავლე, ძმანო ჩემნო, პატივისცემა კაცობრივისა ღირსებისა ყოველთა მდგომარეობათა შინა მათსა. ნუ შეურაც-ჰყოფ ადამიანსა, რაც გინდა ღარიბი იყოს მისი წოდება და მდგომარეობა, იცოდე, რომელ ხშირად, ძონძით მოსილს, მშიერს, გასვრილს და ყოვლითავე სახითა მოკლებულს კაცსა უმეტესი შინაგანი ღირსება და სათნოება აქვს ღვთის წინაშე, ვიდრე იმ კაცს, რომელიცა არის მოსილი ოქრომკერდით, შემკული თვალმარგარიტითა. მაშასადამე ნუ გაზომავ შენცა კაცის ღირსებასა შესამოსელითა, არამედ შინაგანითა მისითა თვისებითა.

მეორეთ, ვისწავლოთ მოთმინება და სულგრძელება უბრალოთა ამათ მეთევზეთაგან. თუმცა მთელი ღამე ნადირობდნენ იგინი და ვერარა იპოვეს, გარნა არ იყვნენ სულმოკლენი, გულმოდგინედ და სიმდაბლით ისმინეს მათ სწავლა უფლისა იესოსი. ოდეს მათ, სიტყვისა-მებრ მაცხოვრისა, შეაყენეს სიმრავლე თევზთა, მაშინ პირველი მათი გრძნობა და მოძრაობა იყო არა სიხარბე და სიხარული ესოდენისა მოგებისათვის, არამედ შიში ღვთისა და კრძალულება. ვინაითგან მათ სასწაულისაგან ამისგან ცხადად იგრძნეს, რომელ მოძღვარი მათი არის უფალი და ღმერთი ბუნებისა, შეეშინა მათ, თაყვანი-სცეს უფალსა და აღიარეს, რომელ იგინი არ არიან ღირსნი ესოდენისა მადლისა და ღვთისმოწყალებისა: **განვედ ჩვენგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო!** იტყოდა შეშინებული სვიმონ პეტრე; ბოლოს ოდეს მაცხოვარმან უწოდა მათ და აღუთქვა დიდი მადლი მოციქულობისა, ამათ აღარ მიჰხედეს მრავალსა საშოვარსა, დაუტევეს ყოველივე და იქმნენ ერთგულნი მოწაფენი მისნი.

ვისწავლოთ ჩვენცა აქითგან, ძმანო ჩემნო, შრომა და მოთმინება შრომასა შინა. უკეთუ რომელსამე შრომასა და მუშაობასა შენსა არ ექმნა წარმატება, ძმაო ჩემო, ნუ დაღონდები მაშინვე, არამედ ხელახლა უმეტესითა მეცადინეობითა იწყე შრომა და მოღვაწეობა. ოდეს ღმერთმა კეთილად წარმართა შრომა შენი, ვითარცა ნადირობა მოციქულთა, მაშინ

პირველი შენი გულისსიტყვა იყოს მადლობა ღვთისა; ღმერთს
მიაწერე შენი წარმატება და არა შენსა სათნოებასა და სიკე-
თესა; გარნა უმეტეს ყოვლისა გული გქონდეს მომზადებული
სმენად სიტყვისა ღვთისა, ვითარცა მეთევზეთა მათ. თუმცა
იგინი იყვნენ მაშვრალნი და ამასთანავე გამნზადებულნი ნადი-
რობად, გარნა ოდეს იხილეს უფალი, უმჯობესად არჩიეს სმე-
ნად სწავლისა მისისა; მერმედ თუმცა მრავალი თევზი მიიღეს
და მრავალი სასყიდელი მოელოდა მათ, გარნა მათ ისმინეს
წოდება ღვთისა და ყოველივე დაუტევეს. შენცა, ეგრედვე,
ნუ გეზარება ჟამითი ჟამად დადებულნი დღენი მოიხმარო
სმენად სიტყვისა ღვთისა ეკლესიასა შინა; უმეტესი სიყვარუ-
ლი და გულის გრძნობა გქონდეს საღმრთოისა სწავლისათვის,
ვიდრე განხრწნადისა მოგებისათვის.

დასასრულ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ვიფიქროთ ამ
ერთს საგანზედ: რა მიზეზი იყო, რომელ უფალმან იესო
ქრისტემან მოწაფენი და მოციქულნი აღმოარჩია ღარიბთა,
უსწავლელთა და უბრალოთა მეთევზეთა შორის? უმჯობესი
არ იქმნებოდა აღმოერჩია მას მოწაფედ სწავლულნი, განათ-
ლებულნი, მდიდარნი და დიდებულნი კაცნი, რომელნი უა-
დვილესად და უდარესად განავრცელებდნენ ქვეყანასა ზედა ქრის-
ტიანობასა? მიზეზი ამისა ის იყო, ძმანო ჩემნო, რათა არავინ
არ იფიქროს, რომელ ქრისტეს სჯული და სახარება განვრ-
ცელდა ქვეყანასა ზედა და დაიმორჩილა ყოველნი ტომი ძალი-
თა და სიბრძნითა კაცისათა, არამედ ყოველმან სულმან სცნას,
რომელ მან სძლო ყოველნი ქვეყანა ძალითა და მადლითა
ღვთისათა. თუ გსურს, ძმაო, შეიტყო და ცხადად იგრძნო,
რაი არს ძალი და დიდება ღვთისა, წარმოიდგინე ესე: თორ-
მეტნი, უბრალონი მეთევზენი, უსწავლელნი, ღარიბნი, დამორ-
ჩილებულნი ბრძანებასა უფლისასა, გამოვლენ იერუსალიმით-
გან, დაიფანტებიან სხვა და სხვა ქვეყნებში, ყოველთა მეფე-
თა და მთავართა უქადაგებენ და ეტყვიან, რომელ იერუსა-
ლიმს იყო ერთი ვინმე იესო ქრისტე, იგი ჯვარს აცვეს და იგი
არის ძე ღვთისა, მაცხოვარი. მისი უნდა ჰრწმენეს ყოველსა
სულსა, იგი უნდა მიიღონ ღმერთად. ეს სიტყვა იყო მაშინ-
დელთა კაცთათვის უცნაური, დაუჯერებელი, უცხო და გაუ-
გონებელი; იგი ურიათა მიაჩნდათ სიცოფედ, წარმართთა სი-
სულელედ, ამის მქადაგებელნი იყვნენ შეხედვით საწყალნი,
მდაბალნი, მოკლებულნი ყოვლითა დიდებითა; სხვა ჭური და
იარაღი არაფერი ჰქონდათ მათ, თვინიერ სიტყვისა და ჯვარი-
სა, და მრავალნი ისრე უყურებდნენ მათ, ვითარცა ჭკუაშეშ-
ლილთა; გარნა რას ვხედავთ? მრთელი ქვეყანა გადააბრუნა

მათმან სიტყვამან; ჰაზრი და გონება ქვეყნისა გამოსცვალა მათ-
მან ქაადგებამან; ქვეყნის ჩვეულებამან და ცხოვრებამან მიიღო
სხვა სახე; ქვეყანა განათლდა და ცხოვნდა მათითა მოძღვრები-
თა. მრავალსა სასწაულსა მოგვითხრობს ჩვენ სახარება, გარნა
ეს სასწაული არის ყოველთა უსაკვირველესი; მრავალი სიმ-
ტკიცე აქვს ჩვენს საღმრთოს სჯულსა, გარნა ამაზედ უმტკი-
ცესად არა რაი გვიქადაგებს მისსა საღმრთოსა ვალსა. აჰა, რა
დიდი საუნჯე გარდამოგვცეს ჩვენ, ძმაო, უბრალოთა მათ მე-
თევზეთა! წარმოიდგენდე ამას ხშირად და ღაღადებდე გულში:
დიდება ძალსა შენსა, უფალო, დიდება სიბრძნესა შენსა! – ამინ.

სიტყვა

იჰ-კვირიაკესა ზედა.

> და ვითარცა იხილა სვიმონ პეტრე, შეუ-
> ვრდა მუხლთა იესოსთა და ჰრქვა მას:
> განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი
> ვარ, უფალო! (ლუკ. ე, ჱ).

საკვირველმან თევზისა ნადირობამან, რომლისა მოთხრო-
ბა დღეს წაკითხულ იქმნა სახარებითგან, განაცვიფრა და შე-
აშინა სვიმონ პეტრე. მან, სიყრმითგან გამოცდილმან თევზის
ნადირობასა შინა, მთელი ღამე ინადირა ტბასა ზედა გენესა-
რეთისასა და ვერა რა დაიჭირა; გარნა აწ, ერთითა მხოლოდ
სიტყვითა იესო ქრისტესითა, ურიცხვი სიმრავლე თევზისა
შთავარდა ბადესა შინა მისსა, ესრედ, რომელ ვერ შეეძლო
ამოღება მისი წყალითგან, ვიდრემდის არ მოეხმარნენ სხვანი
მეთევზენი. ამ სასწაულმან ცხადად უჩვენა მას, რომელ მოძ-
ღვარი იგი არ იყო უბრალო ვინმე კაცი, არამედ თვით უფა-
ლი და მბრძანებელი ყოვლისა ბუნებისა. მაშინ განკვირვებუ-
ლი იგი მეთევზე შეუვრდა მუხლთა იესოსთა და ჰრქვა მას:
განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ უფალო! რასა ნიჰ-
შნავს, ძმანო, ესე მოქმედება სვიმონ პეტრესი? რისთვის შე-
ეშინდა მას და ან რისთვის სთხოვა უფალსა განსვლა მისგან?
ვგონებ, მას უნდა გაჰხარებოდა, რომ ესე ვითარი სასწაულთ-
მოქმედი შევიდა ნავსა მისსა, აკურთხა მისი შრომა და მისცა

მას დიდი სარგებლობა, გარნა მას შეეშინდა და თითქმის შეს-
წუხდა. მას ის უნდა ეთხოვნა, რომ დიდ-ხანს დარჩენილიყო
მაცხოვარი მასთან, რათა მიეღო მისგან უმეტესი მადლი და
სარგებლობა; გარნა იგი ევედრება მას: **განვედ ჩემგან, რამეთუ
კაცი ცოდვილი ვარ, უფალო!** რად იქმს ამას სვიმონ პეტრე?
ამას იქმს იგი მისთვის, რომელ, ოდეს იხილა მან ესე ვითარი
სასწაული და მით სცნა, რომელ მის სიახლოვეს არის უფალი
და მბრძანებელი ბუნებისა, აღარ მოაგონდა სარგებლობა თვი-
სი, არცა პატივი, რომელი დასდო მას უფალმან, შევიდა რა
ნავსა მისსა და ჰქმნა რა მისთვის ესრეთი სასწაული, არამედ
მან წარმოიდგინა ერთი მხოლოდ უღირსება თვისი, მან მხო-
ლოდ ის იფიქრა, რომ იგი არის ცოდვილი და არა ღირსი
ესოდენისა მადლისა, არა ღირსი მიახლებად მაცხოვარისადმი:
განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო! ჰსჩანს, რო-
მელ სიმდაბლე და გრძნობა თვისისა უღირსებისა უცხოველეს
იყო ყოველთა სხვათა გრძნობათა გულსა შინა მისსა; გარნა
ნუ ჰგონებთ, ძმანო, რომელ სვიმონ პეტრე იყო კაცი, აღვ-
სებული უსჯულოებითა, ანუ უარესი ყოველთა სხვათა კაცთა:
იგი არ იყო არცა კაცის მკვლელი, არცა მპარავი, არცა მე-
ძავი, არცა მოშურნე, არცა სხვათა სჯულთა დამარღვეველი;
უკეთუ ესრეთი ყოფილიყო იგი, არცა აღმოარჩევდა მას უფა-
ლი მოციქულად, არცა იქმნებოდა იგი შემდგომად თავად მო-
ციქულთა. არა, იგი იყო ერთი უბრალო მეთევზე, რომელი
შრომითა ხელთა თვისთათა ზრდიდა თავსა თვისსა: გარნა ჰჩანს,
რომელ ძლიერი და ცხოველი იყო გულსა შინა მისსა გრძნო-
ბა თვისისა ცოდვისა და უღირსებისა. ვინ ვარ მე, იფიქრა მან
რათა მომეახლოს ესე ვითარი პირი? არ ეკადრება შესვლა ჩე-
მებრ ცოდვილ კაცთან უწმინდესსა გვამსა უფლისასა; მეში-
ნის, რათა არ დამწვას მადლმან მისმან ჩემისა უღირსებისათვის:
განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო!

აჰა, ძმაო ჩემნო, კეთილი გრძნობა, რომელიცა განუშო-
რებლივ უნდა სუფევდეს გულსა შინა ქრისტიანესასა! ყოველს
კაცს ყოველთვის უნდა ქონდეს შეგნება და გრძნობა თვისისა
უღირსებისა და თვისთა ცოდვათა. კაცსა ცოდვილსა, ცოდვათა
შინა შობილსა, ცოდვასა შინა ცხოვრების განმატარებელსა, რო-
მელიღა აქვს მეტი საშუალობა, რათა მიიღოს ღვთისაგან მო-
ტევება ცოდვათა, უკეთუ არა შეგნება, გრძნობა და აღსარება
თვისისა ცოდვისა? რა ნაირად ილოცავს იგი, უკეთუ არა აქვს
გრძნობა თვისთა ნაკლულევანებათა? რა სახით გაიმართავს თავ-
სა თვისსა, რა სახით მიიღებს სულიერსა წარმატებასა, უკეთუ
არ იცნობს თავის თავს, უკეთუ არ ესმის სულიერი მდგომა-

რეობა თვისი? გარნა შეგნება ცოდვათა, მწუხარება უღირსებისა და სიცოდვისა გულსა შინა კაცისასა არის მოქმედება ღვთაებრივისა მადლისა; სვიმონ პეტრემ მხოლოდ მაშინ შეიგრძნო თვისი უღირსება, როდესაც იხილა მან საკვირველება თევზის ნადირობისა; ოდეს მიეახლა მას მადლი განმაცხოველებელი მაცხოვარისა. იცოდე შენცა, უკეთუ გული შენი გრილ-არს, უკეთუ შენ არ ზრუნავ და არა მწუხარე ხარ შენისა უღირსებისათვის, მაშასადამე, არა შეგეხო შენ ჯერეთ მადლი ღვთისა. გარნა ვისაც მიეახლა მადლი ღვთისა, ვისაც შეეხო განმაცხოველებელი იგი მოქმედება სულისა წმიდისა, პირველი მისი გრძნობა არის გრძნობა თვისისა უღირსებისა და სიცოდვილისა.

ცოდვა და ბოროტის-მოქმედება მით უმეტეს არის საშინელი და წარწყმედელი, რომელ იგი დააბნელებს გულსა კაცისასა და მოაკლებს მას შეგნებასა სიცოდვისასა. წინასწარმეტყველი დავით შთავარდა ერთხელ საშინელსა ცოდვასა შინა; სულიწმიდა განეშორა მისგან; გული მისი გაგრილდა; იგი აღარა გრძნობდა მწუხარებასა, და თუმცა ცოდვა მისი იყო საშინელ, გარნა იგი იყო უზრუნველ და მოსვენებულ, ვიდრემდის ღმერთმან არ მიავლინა მისდამი ნათან წინასწარმეტყველი, რომელმანცა ამხილა მას; ვიდრემდის არ შემუსრა ღმერთმან მისი სიგრილე მრისხანებითა და სასჯელითა: მხოლოდ მაშინ შეიგნო და აღიარა მან ცოდვა თვისი, მხოლოდ მაშინ სთქვა, – **შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენს წინაშე ვყავ. უსჯულოება ჩემი მე უწყი და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის.** ესრეთ დააბნელებს ცოდვა კაცის გონებასა; ამისთვის გეშინოდეს, ძმაო ჩემო, უკეთუ გული შენი გრილ-არს, რათა არა იყო დაპყრობილ ცოდვათაგან; ეცადე და გაატფე გული შენი ლოცვითა და კეთილმოქმედებითა. აღსდგები რა განთიადს ძილისაგან, ევედრე ღმერთსა, რათა ყოველთვის მოგცეს მან ცნობა ცოდვათა შენთა; განმავლობასა შინა დღისასა ეცადე და ჰქმენ რომელიმე კეთილი საქმე, რათა გული შენი მიეჩვიოს კეთილმოქმედებასა და რათა განძლიერდე კეთილსა ცხოვრებასა შინა. მიხვალ რა საღამოს მოსასვენებლად, ილოცე მუხლმოდრეკით; ლოცვასა შინა შენსა ეცადე, გაიხსოვნე და აღუარე ღმერთსა ყოველი ბოროტი სიტყვა და საქმე, რაიცა შეგემთხვა შენ; ნუ ხარ მზაკვარი წინაშე სინიდისისა შენისა; ნუ ამართლებ, ნუ აპატიებ თავსა შენსა ცოდვასა და უღირსებასა შენსა; არამედ გულწრფელად აღუარე ღმერთსა, რათა განანათლოს ლოცვითა გული შენი და შეგატყობინოს შენ შენი უღირსება, არქუ ღმერთსა: არ ვარ, უფალო, ღირს,

რათა დავსდგე დღეს წინაშე პირსა დიდებისა შენისასა; გარნა მიიღე უღირსება ჩემი და ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან. ხოლო უმეტეს ყოვლისა მაშინ წარმოიდგინე უღირსება შენი, ოდეს ემზადები მიღებად საშინელისა საიდუმლოისა სისხლისა და ხორცისა უფლისა შენისასა; მაშინ სთქვი: ვინ ვარ მე, უფალო, რათა მიგეახლო შენ! ვითარ კადნიერ-ვყო თავი ჩემი მიღებად უწმიდესისა გვამისა შენისა; ვითარ გისტუმრო მე შენ, ოდეს თვით რჩეულსა შენსა მოციქულსა პეტრეს შეეშინა, გიხილა რა შენ მახლობელად თვისსა და გეტყოდა რა: **განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო!**

დასასრულ, ესეცა შენიშნე, ძმაო ჩემო, თუმცა სვიმონ პეტრემ სთხოვა უფალსა: **განვედ ჩემგან,** გარნა უფალმან არა თუ დაუტევა იგი, არამედ უმეტესად მიეახლა მას. ვინაითგან სვიმონ პეტრემ შეიგნო და აღიარა თვისი უღირსება. უფალმან არა თუ დასტოვა და გაეშორა მას, არამედ მისცა მას უმეტესი მადლი და ღირსება: **ნუ გეშინიან სვიმონ, ამიერითგან იყო კაცთა მონადირე.** და ჭეშმარიტად, შეიქმნა იგი მონადირედ კაცთა სულთასა. მან ამიერითგან მოინადირა ბადესა შინა ქრისტეს სჯულისა უმრავლესნი კაცნი, ვიდრე იქამომდე თევზნი წყალთაგან.

ესრეთ მოგაგებს შენც ღმერთი, უკეთუ შენ გრძნობ და აღუარებ მას შენსა უღირსებასა და ცოდვასა. იგი არა თუ არ განგეშორება შენ, არამედ უმეტესად მოგეახლება, მისთვის, რომელ იგი ნახავს შენში მონანებასა და მწუხარებასა შენის უღირსებისათვის. შეგნება და გრძნობა შენთა ცოდვათა იქმნება დასაწყისად შენისა ცხოვნებისა, რომელი მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან მადლითა თვისითა. ამინ.

სიტყვა

ით-ს კვირიაკესა ზედა.

და ვითარცა იგი თქვენ გნებავსთ, რათა გიყონ კაცთა, და თქვენცა ეგრეედვე მსგავსად უყოფდით მათ (ლუკ. ვ, ლა).

ზნეობითსა მოვალეობასა, ანუ თანამდებობასა კაცისასა, საღმრთო წერილი გაყოფს ორ ნაწილად: ერთი არის მოვალეობა კაცისა ღვთისა მიმართ, მეორე კაცთა მიმართ. სიტყვათა მათ შინა, რომელნი ჩვენ გვესმა დღეს წაკითხული სახარებითგან, მაცხოვარი მოკლედ გამოსთქვამს, რა სახით შესაძლო არს აღსრულება მეორისა მოვალეობისა, ესე იგი, მოყვასთა მიმართ: **და ვითარცა იგი თქვენ გნებავს, რათა გიყონ კაცთა, და თქვენცა ეგრედვე მსგავსად უყოფდით.** ესე იგი, რაც შენ გინდა გიყოს კაცმა, შენც ის უყავ მას. აჰა, აღსრულება ყოვლისა მოვალეობისა მოყვასთა მიმართ!

უწინდელს მდგომარეობასა შინა ვიდრე ქრისტეს სოფლად მოსვლამდე ცხოვრება კაცისა იყო დაფუძნებულ თავმოყვარეობასა ზედა. წარმართთა ახსოვდათ მხოლოდ თავის თავი; იგინი მოყვასთა თვისთა ხმარობდენ მხოლოდ თავის სარგებლობისათვის; ურიანიცა, თუმცა სჯული მათი იყო ღვთისაგან გამოცხადებული, იტყოდენ და იქცეოდნენ ესრედ: **კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ.** რასაკვირველია, რომ ვითარცა წარმართთა, ეგრედვე ურიათა შორის იქნებოდა რაოდენიმე სიყვარულიცა, გარნა მათ უყვარდათ მხოლოდ მახლობელნი, მონათესავენი და მოყვარენი; იგინი კეთილსა უყოფდენ მხოლოდ კეთილმყოფელთა თვისთა და მტრისა ანუ ყოვლის მოყვასის შეყვარება არ იყო მათ შორის გაგონილი. ჩვენ, ქრისტიანეთა, მაცხოვარმან გვასწავლა უმჯობესად და მოგვცა უმაღლესი მცნება: მოყვასი უნდა გვიყვარდეს ჩვენ, ვითარცა თავი ჩვენი. რასაც ჩვენის თავისათვის ვისურვებთ, ის მოყვასისათვისაც უნდა ვისურვოთ; რაც გვინდა, რომ გვიყოს ჩვენმა მოყვარემა, ჩვენც ის უნდა ვუყოთ მას.

იწყე, ძმაო, აღსრულება მცნებისა ამის პირველად მით, რომელ არა ჰქმნა არცა ერთი საქმე მავნებელი და შემავიწროვებელი შენისა მოყვასისა. იცხოვრე შენცა და ნურც სხვას უშლი ცხოვრებასა. ფრიად გეწყინება შენ, თუ ვინმე დაგიშალა შენ რომლისამე შენთვის სასარგებლო საქმისა; ნურც შენ დაუშლი მოყვასსა შენსა ნურცა ერთსა კეთილს საქმესა. დიდად სჯავრობ, როდესაც ვინმე მოყვასთა შენთაგან, სთქვა შენზედ ცუდი რამე: ნურცა შენ განიკითხავ და იტყვი ცუდს მოყვასსა შენსა ზედა. მოიშალე ის ცუდი ჩვეულება, რომელ ყოველთვის პირმოთნეობით და მოფერებით ლაპარაკობ მოყვასთა შენთა ზედა. ვინც შენი მოყვარე არის ანუ მეგობარი, იმაზედ კარგად ლაპარაკობ, თუმც ცუდი იყოს იგი; ვისთანაც გაქვს შენ უკმაყოფილება, იმაზედ ყოველთვის ცუდად ლაპა-

რაკობ, თუმცა კარგი კაცი იყოს იგი, გარნა უმეტესად ყოვლისა ის უნდა გახსოვდეს, რომელ ყოველი შენი ცოდვა, ყოველი სჯულის გარდახდომა არის მავნებელი და წამახდენელი მოყვასთა შენთათვის. ეცადე, რომ შენის ცუდის ცხოვრებითა არ დააბრკოლო სულიერი წარმატება და ცხოვნება მოყვასისა შენისა, ვინაითგან ყოველი შენი ცოდვა არის მავნებელი მაგალითი და მითუმეტეს მავნებელი, რაზომადცა უმაღლესი არის ამ ქვეყანაში ხარისხი და მდგომარეობა შენი. ერთი სიტყვით, ნურცა ხორციელად, და უმეტესად ნურცა სულიერად ნუ დააბრკოლებ ცხოვრებასა მოყვასისა შენისასა. გარნა ეს იქნება მხოლოდ პირველი და უმდაბლესი ხარისხი ამ მცნების აღსრულებისა: არა თუ არ უნდა დააბრკოლო და დაუშალო ცხოვრება მოყვასსა შენსა, არამედ უნდა შეეწიო მას ყოვლითა შენით ღონისძიებითა: **ვითარცა იგი თქვენ გნებავსთ, რათა გიყონ კაცთა, და თქვენცა ეგრედვე მსგავსად უყოფდით.** რა ზომა უნდა იხმაროს აქ კაცმა, ესე იგი, სადამდის მივა შენი შემწეობა და სიყვარული, – ამას გეტყვის შენი შინაგანი გრძნობა. როდესაც შენ, ძმაო, ვისმე განიკითხავ და ემდური ვისმე, განკითხვასა ამას და სანდურავსა იმაზედ დააფუძნებ, რომ იმ კაცმა, რომელსაც შენ ემდური, არ აღასრულა თვისი მოვალეობა შენდა მიმართ, არ მოიქცა ისე, ვითარცა თანამდებ იყო მოქცევად; მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა კაცი მას უნდა ჰცდილობდეს, რომ თვისი მოვალეობა აღასრულოს მოყვასისა მიმართ თვისისა. მრავალ-ფერი არის მოვალეობა კაცისა საზოგადოებასა შინა; მაშასადამე, მრავალფერნი არიან მისნიცა მოვალეობანი მოყვასთა მიმართ მისთა. ვსთქვათ, რომ შენ ხარ კაცი მაღლისა ხარისხისა. გაქვს ხელში უფლება და მართლმსაჯულება მოყვასთა შენთა ზედა. როგორ უნდა იქცეოდე შენ და რა უნდა უყო მოყვასთა შენთა, ამას გეტყვის გული შენი: თვითონ შენ გსურს, რომ, ვინც არის შენი უფროსი, ანუ ნაჩალნიკი, იყოს შენთვის მოწყალე, მართლმსაჯულ, ტკბილ, შენც ესრედ იყავ ქვეშევრდომთა შენთა მიმართ: **ვითარცა იგი შენ გნებავს, რათა გიყოს** უფროსმან შენმან, **ეგრედვე მსგავსად შენ უყავ** უმცროსსა შენსა. ან იქმნება შენ ხარ კაცი ვაჭარი: ვაჭარსა ხშირად შეემთხვევა საჭიროება შემწეობისა სხვათა მოვაჭრეთაგან; თუ თავის დროზედ არ მიიღო შემწეობა, თუ ხელი ვინმემ არ გაუმართა, წახდება და დავარდება; ეს უნდა ახსოვდეს მოვაჭრესა, და როგორც მას სურს, რომ მიიღოს ამხანაგთაგან შემწეობა, ეგრედვე თვითონ უნდა შეეწეოდეს ამხანაგთა. ერთი სიტყვით, ბრძენი და ღვთაებრივი ზომა მოგვცა ღმერთმან: **ვითარცა იგი თქვენ გნებავს, რათა გი-**

ყონ კაცთა, და თქვენცა ეგრედვე მსგავსად უყოფდით მათ.

გარნა მაცხოვარი მოითხოვს ჩვენგან კიდევ ამაზედ უმაღ-ლესსა სისრულესა და სათნოებასა: იგი გვამცნებს ჩვენ, რათა ესოდენ სავსე ვიყოთ სიყვარულითა და მოწყალებითა, რათა ვაჩვენებდეთ მოყვასსა ყოველსა მოწყალებასა და შემწეობასა მაშინაც, ოდესცა მათგან არ მოველით ნაცვლად-გებასა. **უკეთუ კეთილის მყოფელსა თქვენსა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქვენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ყოფენ; ხოლო თქვენ გიყ-ვარდენ მტერნი თქვენნი და კეთილსა უყოფდით... იყვენით მოწ-ყალენი, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს.** აჰა, ვითარცა სი-სრულესა მოითხოვს ჩვენგან მაცხოვარი!

ვრცელი გზა გვიჩვენა, ძმანო, ჩვენ მაცხოვარმან. ქრის-ტიანეთათვის არ არის საკმაო ის, რასაც ყოფენ ცოდვილნიცა და ურწმუნონი; ჩვენ უნდა ვეძიებდეთ სულიერსა სისრულესა, და არ უნდა ვიქმნეთ კმაყოფილნი ერთითა მხოლოდ გარეგა-ნითა აღსრულებითა მცნებათა. წარმართსაც და ყოველსა ცო-დვილსაც ახსოვს კეთილმყოფელნი თვისი და ცდილობს მგზავ-სი მიაგოს. წარმართიც შეიყვარებს მოყვარესა თვისსა, გარნა ჩვენ, ქრისტიანენი, ვართ, და მტერნიცა ჩვენნი უნდა შევი-ყვაროთ. ესოდენი ძალა უნდა ქონდეს სიყვარულსა და სათნო-ებასა ჩვენსა, რომ მტრის გული დაალბოს და მოყვრად გარ-დააქციოს. – ამინ.

სიტყვა

ით-სა კვირიაკესა.

იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა
თქვენი მოწყალე არს (ლუკ. ვ. ლვ).

ვგონებ, ძმანო ჩემნო, რომელ მქადაგებელსა წინაშე ქრის-ტიანეთა სიტყვისა ღვთისა არ უნდა დასჭირდეს გრძელი სი-ტყვა და დამტკიცება მას ზედა, თუ რა დიდი სათნოება არის მოწყალება და რომელ ყოველი ქრისტიანე უნდა იყოს მოწ-ყალე და შემბრალებელი კაცისა. სჯულიცა ჩვენი, სიყვარულ-სა და მოწყალებასა ზედა დაფუძნებული, რომ არ გვასწავლი-დეს ჩვენ მარადის და შეგვაგონებდეს, რომელ მოწყალება არის

პირველი ქრისტიანული სათნოება, თვით ბუნება და გული ჩვენი შეგვაგონებს, რა კეთილი და წმიდა გრძნობა არის შებრალება კაცისა უბედურისა და საწყალისა. ვის არ გამოუცდია ის ტკბილი, აღუწერელი შინაგანი კმაყოფილება და სიხარული, რომელსა გრძნობს გული ჩვენი იმ შემთხვევაში, როდესაც, შეწევნითა ღვთისათა ჩვენ რომელიმე მოყვასთაგანი გამოვიყვანეთ მწუხარებითგან, გავახარეთ და გავაბედნიერეთ. ზოგიერთს კაცს ისეთი ხასიათი აქვს, რომელ თუ ვინმე გაახარა და გაბედნიერა, მაშინ თვითონაც თავის თავს ბედნიერად რაცხს, თუ ვინმე ნახა მწუხარე და უბედური, ისე შესწუხდება, ვითომც იგი თვითონ იყოს უბედური. მხოლოდ მახინჯი, გაფუჭებული ხასიათის მქონს კაცს არა აქვს გულში ეს საღმრთო გრძნობა. მაშასადამე, თვით ბუნება ჩვენი გვასწავლის ჩვენ მოწყალებასა. ამისთვისაც ვხედავთ ჩვენ, რომელ არათუ მხოლოდ საღმთო სჯული ჩვენი სათნოებასა ამას რაცხს უმთავრესად ყოველთა სხვათა სათნოებათა შორის, არამედ სხვანიცა ყოველნი სჯულნი, რომელი არა ღვთისგან არიან მიღებულ, არამედ კაცთაგან მოგონებულნი, იგინიცა ასწავლიან და შეაგონებენ აღმსარებელთა თვისთა მოწყალებასა. მაშასადამე, ამაზე აღარ გავაგრძელებთ ჩვენ სიტყვასა. აქ ჩვენ ის უნდა გამოვიკვლიოთ, ძმანო ქრისტიანენო, რა სახით უნდა ვასრულებდეთ ჩვენ ამ სათნოებასა. ნუ ჰგონებთ, რომ ეს ადვილი იყოს. დიდი გონიერება და გამოცდილება უნდა ქონდეს კაცს, რომელსაცა სურს აღსრულება ჯეროვნად მოწყალებისა. წარმართნიც და კერპთ-მსახურნიც კი აძლევენ გლახაკთა მოწყალებასა, მაჰმადის სჯულიც კი მოითხოვს და ასწავლის ამ სათნოებასა; გარნა ჩვენ, ქრისტიანეთაგან. სახარება მოითხოვს სხვა ხარისხის და სხვა სახის მოწყალებასა: **იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი მოწყალე არს.** აჰა, რა გასაოცარსა ხარისხსა მოწყალებისასა მოითხოვს ჩვენგან მაცხოვარი! ახლა იფიქრე, რაოდენი გონიერება და განზრახვა უნდა იხმაროს კაცმა შესატყობლად, თუ სიდგან წარმოსდგება ესრეთი მაღალი მოწყალება და მერმე რაოდენი გამოცდილება უნდა ქონდეს, რომ შეიძინოს იგი.

იყვენით თქვენ მოწყალენი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი მოწყალე არს. ღმერთი მისთვის არის მოწყალე, რომ თვით ბუნება მისი არის სახიერი და კაცთმოყვარე. ღმერთზე ჩვენ ვერც კი ვიფიქრებთ, რომ იგი იყოს უმოწყალო; მისთვის, რომ თვით მისი ბუნება, ანუ არსება არის მოწყალება და სიყვარული. შენც, ძმაო, თუ გსურს, რომ გქონდეს ჭეშმარიტი, ღვთიური მოწყალება, გაისწორე და გაიმართე ბუნება შენი; განიშორე

გულისა შენისაგან ყოველი სიძულილი, მრისხანება, შური და შეიძინე კაცთმოყვარება და სიყვარული ესრეთ, რომელ თვით ბუნება შენი გაიძულებდეს კაცის მოწყალებასა და შებრალებასა. ისრეთი გულის გრძნობა და კეთილობა უნდა გქონდეს, რომელ, თუ ნახო კაცი მშიერი, შენც აღარ გიამოს პურის ჭამა, ვიდრემდის არ გააძღო იგი, თუ ნახო შიშველი – შეგრცხვეს და შესწუხდე, რომ შენ კარგად გაცვია და ძმა შენი ტიტველია.

იყვენით მოწყალენი, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს. მოწყალება ზეციერისა მამისა არის უსასყიდლო და უანგარო. იგი მოწყალებასა იქმს მისთვის, რომ არის სახიერი, უყვარს ქმნილება თვისი. ეგრედვე შენც ეცადე, რომ მოწყალება შენი არა იქნეს პირმოთმინეობით და ანგარიშით. საუბედუროდ, შენ მოწყალებას იქმ ხშირად მისთვის, რათა გაქონ კაცთა, ანუ მისთვის, რათა მაგიერი მოგაგონ; ანუ მოწყალებასა იქმ მხოლოდ მოყვრობით და ცნობით; არ გახსოვს შენ სიტყვა მაცხოვრისა: **უკეთუ კეთილისმყოფელთა თქვენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქვენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ. და უკეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კვალად მიღებასა, რომელი მადლი არს თქვენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებენ, რათა მოიღონ სწორი.** (ლუკ. ვ. ლგ, ლდ).

იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი მოწყალე არს. მამა ჩვენი არის უმაღლესი სიბრძნე და გონება; ამისათვის მოწყალებაცა მისი არის ბრძენი და გონიერი. ათას სახედ გამოსჩნდება მოწყალება ღვთისა კაცთა შორის. ღმერთი ისრეთს მოწყალებას მისცემს კაცს, რომელიც უმეტესად საჭირო არის მისისა ბუნებისათვის. მრავალგზის თვით სასჯელი, მწუხარება და უბედურება არის ნიშანი ღვთის მოწყალებისა, ვინაითგან ღმერთმან უწყის, რომ ესენი უმეტესად სასარგებლოდ დარჩებიან ზოგიერთთა კაცთათვის. შენც უნდა ეცადო, და ბრძნად და გონიერად აღასრულო მოწყალება. შენ გგონია, რომელ საკმაოდ აღასრულე ეს სათნოება, თუ ათასში ერთხელ მთხოვარსა აჩუქე ცოტაოდენი ფული. მოწყალება ორივე კერძოით უნდა იყოს სასარგებლო, შენთვისაც და მისთვისაც, რომელსაც აძლევ: შენთვის ესრეთ, რომელ თუ გონიერად, გულს-მოდგინედ ასრულებ მას, გული გაგიკეთდება და მიეჩვევი სათნოებასა მოყვასისა შენისათვის; მაშინ, როდესაც გამოიკვლევ, რა არის მისთვის უმეტესად საჭირო და სასარგებლო და იმას უყოფ მას.

ზოგიერთი კაცი არის მოწყალე და კიდეც აქვს შეძლება, რომ მოწყალება გასცეს, გარნა არა აქვს მოცალება ანუ

გამოცდილება და ხშირად მოწყალება მისი იკარგება უსარგებ-
ლოდ და ზოგჯერ თითქმის კიდეც ავნებს და ზარალს აძლევს
მათ, რომელთა იგი აძლევს მოწყალებასა. განათლებულთა
ქვეყანათა შინა ისე გონიერად არის დაწყობილი მოწყალების
აღსრულება, რომელ ვისაც სურს მოწყალების გაცემა, ადვი-
ლად იპოვის და გამოარჩევს, სად და რანაირად აღასრულოს
თვისი მოწყალებითი სურვილი. იქ ამ საგნისთვის გაჩენილ-
არიან მრავალნი საზოგადოებანი; ზოგნი მათგანნი მიიღებენ
ობოლთა, მცირეწლოვანთა ზრდიან და ასწავლიან მათ დიდ-
დიდთა სასწავლებელთა შინა ერთითა მხოლოდ კერძოთა პირ-
თაგან მოწყალების მიღებითა. სხვანი აღაშენებენ დიდ-დიდთა
სახლთა და მიიღებენ მუნ სნეულთა, ღარიბთა, რომელთა არა
აქვთ საშუალება თავის ფასითა იყიდონ წამალი და მოირჩი-
ნონ თავი; სხვანი კიდევ შეადგენენ საზოგადოებასა და მიიღე-
ბენ კეთილ-მსურველთაგან მოწყალებასა მისთვის, რათა აღა-
შენონ ტაძარნი, განავრცელონ საღმრთო წერილი და განათ-
ლება ყოველთა სოფელთა შინა. ერთი სიტყვით, უცხო ქვე-
ყანათა შინა განათლებულთა ხალხთა შორის მრავალნი არიან
საზოგადოებანი, რომელნი კერძო პირთა შეეწევიან მოხმარე-
ბასა შინა მათისა მოწყალებისა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანასა
შინა არ არიან ჯერეთ ესრეთნი საზოგადოებანი, ამისათვის
უსარგებლოდ იკარგება კეთილი სურვილი და მნებელობა მრა-
ვალთა პირთა მოწყალების გაცემისათვის. გარნა ვისაც სურს
კეთილად და ღვთის სათნოდ მოიხმაროს მოწყალება თვისი,
ჩვენ შეგვიძლია უჩვენოთ მას ერთი გზა. არ არის დიდი ხანი
მას უკან, რაც კავკასიის მხარესა შინა, ესე იგი, ქალაქსა
ტფილისს, გაიხსნა ერთი შესანიშნავი და ფრიად გონიერი სა-
ზოგადოება, რომელსა ეწოდება საზოგადოება მართლ-მადი-
დებლობის აღდგენისათვის კავკასიასა შინა.

საგანი საზოგადოებისა ამის შინა არის ის, რათა განავრცელოს
მართლ-მადიდებლობა უმრავლესთა ტომთა შორის კავკასიი-
სათა, რომელნი ძველს დროებასა შინა იყვნენ მართლ-მადიდე-
ბელნი და ახლა არიან დაბნეულნი მაჰმადიანობითა. არ არის
აქ საჭირო დამტკიცება, რა კეთილი და სასარგებლო არის
მოქმედება საზოგადოებისა ამის! მიიხედ-მოიხედე, ძმაო, გარე-
მოს შენსა! რაოდენი ჩვენი თემის მონათესავენი და მცხოვრე-
ბნი ახალციხეს, აფხაზეთს და სხვათა ადგილთა გარემოს ჩვენ-
სა, რომელთა წინაპარნი ძველ დროებაში იყვნენ მართლ-მა-
დიდებელნი, ჩვენნი მოყვარენი და მეგობარნი, ახლა, მაჰმადი-
ანობით დაბნეულნი, არიან მოძულენი ჩვენნი. თვით ჩვენი
ბედნიერება და მშვიდობა მოითხოვს, რომ იგინი კვალად შე-

იქმნენ მართლ-მადიდებელნი; მაშასადამე, ყოვლითა ღონის-ძიებითა უნდა შეეწეოდეთ წარმატებასა იმ საზოგადოებისასა, რომელი ცდილობს მათსა განათლებასა. ამაზე უმჯობესი და გონიერი მოწყალება არ შეგიძლია შენ. ნამეტანი შეძლებაც რომ არ გქონდეს, შენ თავს უნდა მოაკლო და ამ საზოგადოებას უნდა შეეწიო. დიდი უმეცრება იქნება ჩვენგნით, რომ არ შევეწიოთ ესრეთსა საზოგადოებასა, რომელსა საგნად აუღია მომავალი ჩვენი მშვიდობა და ბედნიერება. – ამინ.

სიტყვა

მეცხრამეტესა კვირიაკესა.

ხოლო თქვენ გიყვარდეთ მტერნი თქვენნი (ლუკ. ვ. ლე).

სხვათა მშვენიერთა დარიგებათა შორის, რომელი ჩვენ გვესმა დღეს წაკითხული სახარებითგან, მაცხოვარი გვაძლევს ჩვენ იმ დარიგებასაც, რათა გვიყვარდეს ჩვენ მტერნი ჩვენნი, და კეთილს-ვუყოფდეთ მათ; **ხოლო თქვენ გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და კეთილსა უყოფდეთ და ნურა რას უსასო-ჰყოფთ.**

ვინაითგან მცნება ესე იყო უცხო და თითქმის წინააღმდეგი ცოდვილის კაცის ბუნებისა, მეტადრე იმ ჟამად, როდესაც მაცხოვარმან პირველად გამოსთქვა იგი, მისთვის რომელ წარმართთა და კერპთ-მსახურთა სიძულილი და შურის-ძიება მტერთადმი მიაჩნდათ თითქმის დიდ-სათნოებად, ხოლო ებრაელთა, თუმცა მათი სჯული იყო ღვთისაგან მიღებული, მტერობა ცოდვად არ მიაჩნდათ, არამედ თვით მათი სჯული ასწავლიდა მათ: **კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ,** ამისთვის მაცხოვარმა მისცა რა მოწაფეთა თვისთა ეს უჩვეულო მცნება, მაშინვე აჩვენა საფუძველი, ანუ მიზეზი, რომლისათვისაც იგი მოითხოვდა მათგან ესრეთსა მძიმესა მსხვერპლსა, რათა მათ შეიყვარონ მტერნიცა თვისნი. რომელი არს ესე საფუძველი, ანუ მიზეზი? ის, ძმაო ჩემო, რომელი მაცხოვარმან მოგვცა ჩვენ უმაღლესი მადლი და უმშვენიერესი ზნეობითი სწავლა, და მოითხოვს მოწაფეთაგან, რომ იგინი იყვნენ უმჯობესნი ზნეობითა სხვათა კაცთა და აღემატებოდნენ სათნო-

ებითა და ღირსებითა, ვითარცა კერპთ-მსახურთა, ეგრედვე ებრაელთა ზედა. ქრისტიანენი არიან ნათელნი სოფლისა, თესლი წმიდა, ერი რჩეული, მარილი ქვეყნისა. ჩვენ გვყო ღმერთმან ძედ ღვთისა, ამისთვის უდიდესსა მოითხოვს ჩვენგან სათნოებასა. **უკეთუ გიყვარენ თქვენ მოყვარენნი თქვენნი, იტყვის მაცხოვარი, რა მადლი არს თქვენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყვარეთა მათთა ყვარობენ.** წარმართმაც და ურიამაც კი იცოდა შეყვარება მოყვარეთა და მეგობართა თვისთა. გარნა ქრისტიანე უნდა იყოს უმჯობესი და უმაღლესი მათზედა და ეს დაამტკიცოს მით, რომ მან შეიყვაროს მტერნიცა თვისნი, და **უკეთუ კეთილის მყოფელთა თქვენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქვენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ყოფენ.** რით უნდა განსხვავდეს ქრისტიანე ცოდვილთა კაცთაგან, უკეთუ იგი კეთილუყოფს მხოლოდ კეთილისმყოფელთა თვისთა? ამას კერპთმსახურნიცა, ცოდვილნიცა და ურიანიცა იქმონენ; ხოლო ჩვენ, ქრისტიანეთა, **გვიყვარდენ მტერნიცა ჩვენნი, კეთილს უყოფდეთ მათ, და ნურა რას უსასო-ვყოფთ.**

თუმცა თითქმის ორი ათასი წელი გავიდა მას აქეთ, რაც მაცხოვარმან წარმოსთქვა ეს დიდებული და განსაკვირვებელი სწავლა: **ხოლო თქვენ გიყვარდესთ მტერნი თქვენნი, და კეთილს უყოფდეთ მათ,** და თუმცა განმავლობასა შინა უმეტეს თვრამეტის საუკუნოისა ათასთა და ბევრეულთა ქრისტეს მოწაფეთა თვით საქმით ცხოვრებასა შინა თვისთა აღასრულეს ეს საკვირველი მცნება და მით დაამტკიცეს, რომ კიდეც შეიძლება აღსრულება მისი, და ეს არათუ არ დაამდაბლებს კაცსა, არამედ უმეტესად აამაღლებს და გააკეთებს. გარნა ცოდვილსა და დაცემულსა ბუნებასა კაცისასა ახლაც უჩნს იგი წინააღმდეგად. არას-გზით არ შეიძლება ამ მცნების აღსრულება, ფიქრობს ზოგიერთი კაცი. მტერი რომ შეიყვარო და ნაცვლად ბოროტისა კეთილი უყო მას, მაშინ იგი მე შემჭამს და დამჩაგრავს, მომაკლებს ყოველსა საცხოვრებელსა და თვით ცხოვრებასა. ესრეთ ფიქრობენ მრავალნი პირნი და ცდილობენ მტერობასა მტერობა მიაგონ, შურსა – შური, სიძულილსა – სიძულილი, და მით უმეტესად აღაგზნებენ მტერობის და შფოთის ცეცხლსა. ესრეთი ფიქრი და მოქცევა არის მავნებელი და უგუნური. მაცხოვარი იმას კი არ მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ მტერთა თავი მივსცეთ შესაჭმელათ და არც ერთი ზომა არ მივიღოთ ჩვენი თავის დასაფარავად მტერთაგან. თუ მტერი გდევნის შენ, ძმაო, შეგიძლია შენ მიიღო ყოველნი ქრისტიანულნი, სჯულიერნი და კანონიერნი ზომანი შენი თავის დასაფარავად, გარნა სიყვარული მაინც გქონდეს მტრისადმი. არასოდეს არ

ეძიებდე მისსა დაჩაგვრასა და წახდენასა, არამედ გულში კიდეც გებრალებოდეს იგი. მაგალითებრ: თუ გყავს მტერი ვინმე და მას სურს შენი დაჩაგვრა, მაშინ შენ შენი მხრით, გამახსოვნებელი, რომ მაცხოვარი იტყვის: **გიყვარდეთ თქვენ მტერნი თქვენნი და კეთილს უყოფდით მათ,** პირველად ის ზომა მიიღე, რომ როგორმე შეურიგდე მას და მოსპო მის გულში მტრობა. თუ ეს აღასრულე და შეურიგდი, მაშინ შენ მოიგე კაცი და ჰქმენი დიდი მადლი; თუ ვერ შეიძლე და მტერმან განამრავლა დევნა და უსამართლოება შენდამი, შენ უნდა ეცადო დაფარვა თავისა შენისა იმ ზომითა, რომელსა გაძლევს შენ სამოქალაქო წესი და სოფლისა ამის ჩვეულება; გარნა მოძულებით მაინც ნუ მოიძულებ მას. ძვირად კი იქმნება ამ ქვეანაზე ისეთი უგრძნობელი და გაქვავებული ხასიათის კაცი, რომელიც ხედვიდეს შენი მხრით სიმდაბლესა და სიყვარულსა და მაინც არ მოიშალოს დევნა და მტერობა შენი, და თუ კი, სამწუხაროდ, არის ესეთი კაცი, მაშინ იგი უნდა გებრალებოდეს შენ.

ბოლოს ის უფრო უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ძმაო ჩემნო, რომელ ამ დიდს და მაღალსა მცნებასა: **გიყვარდეს თქვენ მტერნი თქვენნი,** აღასრულებს მხოლოდ ის კაცი, რომლის გული და ხასიათი არის სრულიად შეცვლილი, განათლებული და გაკეთებული სახარების სწავლითა და მადლითა. ეს მცნება არის თითქმის შევსება და ბოლო ქრისტიანულის ცხოვრებისა. რომელიც ქრისტიანე არ არის აღსრული მაღალსა ხარისხსა ზედა სარწმუნოებისასა, იგი ვერ შეიტკბობს ამ სწავლას და ვერ აღასრულებს მაღალსა ამას მცნებასა. წინაპირველად კაცმან უნდა იგრძნოს სრული ქრისტიანული სიყვარული ყოველთა მოყვასთა თვისადმი და მერმე მას შეუძლია შეიყვაროს მტერნიცა თვისნი. ამასთანავე წინაპირველად კაცმან უნდა განსწმიდოს გული თვისი ყოვლისა მრისხანებისა, სიძულილისა და ამპარტავნებისაგან და მერმედ შეუძლია აღასრულოს ესე მცნება, ვითარმედ: **გიყვარდენ მტერნი თქვენნი.**

როგორ შევიყვარო მე მტერი ჩემნი, მეტყვის მე ვინმე კიდევ, თუ კი ვხედავ, რომ იგი არის ბოროტი, უმართლო და ღვთის სჯულის წინააღმდეგი. თუ ესრეთი ცუდი კაცი შევიყვარე, მაშინ მეც უნდა დავემსგავსო მას და შევიქმნე ბოროტი და ცუდი კაცი. არა, ძმაო! ეცადე და ყოველთვინ გაარჩიე თვით კაცი და მისი სიცუდე და ბოროტება. კაცი შეიყვარე, ცოდვა, უსამართლოება და ბოროტება მოიძულე. კაცი არის ღვთის ქმნილება, შენი ძმა, უკვდავი არსება, ამისთვის ის უნდა გიყვარდეს; ხოლო უსამართლოება და ბორო-

ტება, რომელიც სამწუხაროდ, არის დანერგილი მის გულში, ეს გძულდეს. აღარ ვიტყვი მას, რაოდენი კეთილნი და სასარგებლონი საქმენი შეუდგებიან, უკეთუ ჩვენ შევიყვარებთ მტერთა ჩვენთა და კეთილსა უყოფთ მათ. უმრავლესნი ნაწილნი ჩვენის უბედურებისა წარმომდინარეობენ მტერობისა და სიძულილისაგან. თუ მოვსპობთ მტრობასა და სიძულილსა, ესენი ყოველნი მოისპობიან და ნაცვლად მათთა განმრავლდება ჩვენს შორის სიყვარული, მშვიდობა, ერთობა, სიწმიდე და ბედნიერება სულიერი და ხორციელი, რომელიმცა განამტკიცოს ჩვენ შორის უფალმან იესო ქრისტემან თვისითა მადლითა. – ამინ.

სიტყვა

კ-სა კვირიაკესა.

> და იხილა დედაკაცი იგი იესო, და შეეწყალა იგი, და რქვა მას: ნუ სტირ (ლუკ. ზ. იგ).

სახარება, წარკითხული აწინდელსა წირვასა ზედა, საყვარელნო ძმანო, მსმენელნო, არ გვაძლევს ჩვენ პირველი შეხედვით რომელსამე პირდაპირსა სწავლასა და დარიგებასა. მართალია, იგი აღწერს უდიდესსა სასწაულსა ქრისტესსა. მაცხოვარმან ერთითა სიტყვითა გააღვიძა მკვდარი, რომელი ჭირის-უფალთა მისთა მიაქვდათ დასამარხავად; აქითგან, ვითარცა თანა-მედროვენი მისნი დაინახვიდნენ, ეგრედვე ჩვენცა ვისწავლით, რომელ იგი იყო ჭეშმარიტი ძე ღვთისა და მას შეუძლია აღდგინება მკვდრეთით კაცისა და ცხოვნება მისი. ამაზე მეტი უპირდაპირესი სწავლა თითქოს არ გამოდის პირველი შეხედულებით აწინდელი სახარებითგან; გარნა ოდეს კარგად დაუკვირდებით მას და კარგად განვიზრახავთ, შევიტყობთ, რომელ იგი იპყრობს დიდსა ნუგეშსა და სწავლასა.

სახარება, ძმანო ქრისტიანენო, გვასწავლის და გვანათლებს ჩვენ ორნაირად, პირველად მით, რომელ იგი პირდაპირ მოიყვანს იმ დარიგებასა და სიტყვებსა, რომელსა იტყოდა მაცხოვარი, მეორედ მით, რომელ აღწერს მისთა საქმეთა და სასწაულთა. ვინაითგან თვით მაცხოვარი ასწავლიდა და

ანათლებდა კაცთა პირველად სიტყვითა, და მერმე მაგალითი-
თა, ეგრედვე სახარებაცა ზოგჯერ მოიყვანს მისთა სიტყვათა,
ზოგჯერ აღწერს მისთა საქმეთა. ორთა ამათ სახეთა სწავლი-
სათა, რომელი არის უმჯობესი და უმეტესად სასარგებლო
ჩვენ, კაცთათვის? ვგონებ რომელ საკუთარი მაგალითი და
მოქმედება და სახე მაცხოვრის ცხოვრებისა არის უდიდესი,
რადგანაც მოქმედებას აქვს გულსა ზედა კაცისას უდიდესი
გავლენა, ვიდრე სიტყვათა, მით უმეტესად, რომელ ცხოვრე-
ბისა თვისითა იგი ამართლებდა მას, რასაცა იტყოდა ენითა
თვისითა. როდესაც შენ გესმის, ძმაო კარგი ლაპარაკი და და-
რიგება კაცისა, თუმცა მოგწონს მისი სიტყვა, გარნა გულში
ყოველთვის გაქვს ერთი ფიქრი; გულწრფელად გეტყვისა ის
კაცი თუ არა, ესე იგი, თვით იმ კაცსა აქვსა ის თვისება და
ყოფა-ქცევა, რომელსა გასწავლის შენ იგი? ერთი სიტყვით,
შენ იმდენად არ უგდებ ყურს სიტყვათა მისთა, რაოდენად
გსურს შეიტყო, რა კაცი არის, როგორ იქცევა და რა თვი-
სება არის თვით იგი კაცი და თუ შეატყვე, რომ თვით იგი
არის კეთილი და ამართლებს თვისთა სიტყვათა, უმჯობე-
სად დაგიჯდება მისი სწავლა და უმეტესი პატივისცემა გაქვს
მისდამი.

ამ სახითვე უნდა განვიზრახვიდეთ ცხოვრებასა და საქმე-
სათა უფლისა ქრისტესთა: როდესაც გესმის მისი პირდაპირ
სიტყვა და დარიგება, მიიღე იგი და დაიმარხე გულსა შინა
შენსა; გარნა ეცადე და შეიტყვე ეგრედვე შინაგანიცა მოძრა-
ობა ღვთიურისა მისისა გულისა. ეგრედვე მოიქეც, ოდესაც
გესმის აღწერა მისისა მოქმედებისა. ამაზედ უდიდესი სწავლა
და ნუგეში სადღა იქმნება შენთვის, უკეთუ ეცდები და შეიტ-
ყობ შინაგანსა თვისებასა მაცხოვრისასა, მისისა ღვთიურის
გულის და სულის გრძნობასა და ხასიათსა.

აწინდელი სახარება გვაძლევს ჩვენ ერთსა კარგსა მაგა-
ლითსა, რომლისაგან შევიტყობთ შინაგანსა მოძრაობასა იესო
ქრისტეს გულისასა: **იხილა დედაკაცი იგი იესო, და შეეწყალა
იგი, და რქვა მას: ნუ სტირ.** რა მოწყალე და კაცის შემბრალე-
ბელი გული ქონდა უფალსა იესო ქრისტესა! რავდენ-გზის
შენ, ძმაო, გინახავს, რომ მიცვალებული მიაქვნდათ ჭირის-
უფალთა დასამარხავად და სტიროდენ იგინი, გარნა, ვინ იცის,
ესრეთმა ხილვამ, იქმნება ერთიცა მცირეოდენი გრძნობა არ
გააჩინა გულსა შინა შენსა. გარნა მაცხოვარმან როგორადაც
იხილა საწყალი, მტირალი დედაკაცი, იგი შეეწყალა მას. გულ-
მა მისმა ვერ მოითმინა, რომ რამე ნუგეში არ მიეცა საწყა-
ლისა მის დედაკაცისათვის. იგი მიეახლა მას და უთხრა: **დე-**

დაკაცო, ნუ სტირ. თუმცა მან მაშინვე გადასწყვიტა თავის გულში აღდგინება ძისა მისისა, გარნა გულმა ვერ მოუთმინა და წინაპირველად ეტყვის: **დედაკაცო, ნუ სტირ.** ვგონებ, რომ ეს უბრალო ორი სიტყვა ისრეთითა ლმობიერებითა და მოწყალებითა უთხრა მას, რომელ შვილიცა მისი არ აღედგინა, ესეც საკმაოდ ანუგეშებდა მოწყლულსა მისსა გულსა. გარნა მაცხოვარმან არ დააკმაყოფილა იგი ერთითა მხოლოდ სიტყვიერითა ნუგეშის-ცემითა. უფალმა იცნა, რომელ ის იყო ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი, რომელსა ერთი შვილის მეტი ნუგეშად აღარ ყვანდა ქვეყანასა ზედა და იგიცა დაეკარგა მას. ეს იყო ერთი მხოლოდ მიზეზი, რომლისათვისაც მოახდინა მან ესოდენი დიდი სასწაული, რომ აღუდგინა მან შვილი მისი. მდიდარს, მაძღარს, ნუგეშის-ცემულს, დაკმაყოფილებულს კაცსა კი არ აღუდგენს იგი შვილსა, არამედ საწყალს, უბედურსა, დაჩაგრულსა დედაკაცსა. მისთვის კი არ მოახდენს იგი ესოდენსა საშინელსა სასწაულს, რათა მიიღოს დიდი ქება და დიდება კაცთა შორის, არამედ მისთვის, რომელ სახიერმან და კეთილმან გულმან მისმან ვერ მოითმინა შეხედვა საწყალისა დედაკაცისა: **და იხილა იგი იესო, და შეეწყალა იგი, და რქვა მას: ნუ სტირ.** ესრეთ მოიქცა მაცხოვარი ამ შემთხვევაში. ახლა, თუ გინდა, ძმაო, შეტყობა კიდევ უნამდვილესად მაცხოვრის გულისა, მოვიყვანოთ აქ მეორე განსხვავებული მაგალითი მისისა ცხოვრებისაგან. როდესაც მაცხოვარი მოაქცევდა თვისსა სიტყვასა ფარისეველთა და მწიგნობართადმი, რომელნი იყვნენ მდიდარნი, მძლავრნი, პატივცემულნი, რომელთა ქონდათ დიდი ძალა და უფლება, მაშინ იგი ზოგჯერ ეტყოდა მათ წყნარად და ლმობიერად, გარნა ზოგჯერ მრისხანებით აყვედრებდა მათ და უწოდებდა: ცოფნო, ბრმანო, საფლავნო განგოზილნო, ორგულნო; რისთვის უწოდებდა მათ ესრეთ მაცხოვარი? განა მის გულში იყო გულფიცხელობა და მრისხანება? არა, ძმანო! იგი ხედვიდა, რომ ფარისეველნი იყვნენ აღვსებულნი ყოვლითა ბოროტებითა და ცოდვითა და არ მიიღებდნენ მშვიდსა სწავლასა; ამისთვის ფიქრობდა, რომ ფიცხელითა სიტყვითა, იქნება, განაღვიძოს მათს გულში მკვდარი გრძნობა სიყვარულისა და სარწმუნოებისა, ესრეთ, რომელ თვით ფიცხელნი და მწარენი სიტყვანი მისნი გვაჩვენებენ ჩვენ მისსა უკიდურესსა მოწყალებასა.

და ესრეთ ვისწავლოთ ჩვენცა, ძმანო, და მივეჩვიოთ, რათა ყოველნი ჩვენნი სიტყვანი და საქმენი წარმომდინარეობდენ კეთილისა წყაროისაგან, რათა ჩვენსა სიტყვათა და საქმეთა შორის იყოს კეთილი კავშირი და თანხმობა და რათა ყოველ-

თა კეთილთა საქმეთა ჩვენ ვიქმოდეთ მოყვასთა ჩვენთა შორის არა თავისა ჩვენისა სადიდებელად, არმედ მოყვასთა ჩვენთა აღსაშენებლად და სანუგეშოდ. – ამინ.

მოძღვრება

კა-სა კვირიაკესა ზედა.

იგავი მთესვარისათვის (ლუკ. Ѣ, ე – იკ).

იგავი მთესვარისა და თესლისათვის, თქმული უფლისამიერ და დღეს ჩვენგან მოსმენილი, გვასწავებს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, თუ ვითარი მოქმედება აქვს სწავლასა და ქადაგებასა მოძღვართასა გულსა ზედა მსმენელთასა.

გამოვიდა მთესვარი თესვად, ესრეთ იწყო მაცხოვარმან იგავი ესე, და, იყო ოდეს, იგი თესვიდა, რომელნიმე თესლნი დავარდნენ გზასა ზედა და მოვიდეს ფრინველნი ცისანი და შესჭამეს იგინი. სხვა თესლი დავარდა ადგილსა კლდოვანსა ზედა, სადა იგი არ იყო სიღრმე მიწისა, და თუმცა აღმოვიდა, გარნა, ვინაითგან ძირი ვერ გაიბა, სიცხისგან გახმა. რომელნიმე თესლნი დავარდნენ ეკალთა შორის და აღმოვიდენ ეკალნი და შეაშთვეს იგინი; ხოლო რომელიმე დავარდნენ ადგილსა კეთილსა და აღმოცენდნენ და გამოიღეს ნაყოფი რომელთამე ასეული, რომელთამე სამოცეული და რომელთამე ოცდა-ათეული.

იგავი ესე აუხსნა თვით მაცხოვარმან მოწაფეთა თვისთა. მთესვარი არის პირველად თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მეორედ ყოველი მოძღვარი, რომელი ასწავლის და ქადაგებს სიტყვასა ღვთისასა. თესლი არის სიტყვა ღვთისა და ეგრედვე ყოველი სწავლა და აზრი; ხოლო სხვა და სხვა მიწა, რომელსა ზედა დავარდნენ თესლნი, მოასწავებს მრავალფერთა გულთა კაცთასა, რომელნი ისმენენ სიტყვასა ღვთისასა.

რომელიმე თესლი დავარდა გზასა ზედა და იქმნა შეჭმულ ფრინველთაგან. ესე ნიშნავს გულსა მათ კაცთასა, რომელთა გონება და აზრი ისრე დაფანტულ-არიან, ვითარცა გზები პირსა ზედა ქვეყანისასა. ესე ვითარნი კაცნი, თუმცა ისმენენ სწავ-

ლასა, გარნა არ მიითვისებენ მას. მრავალფერი და დაუდგრომელი მათი აზრი და გულის-ხმა უცხო არის ყოვლისა მტკიცისა განზრახვისა და მოქმედებისა; უსარგებლო არის მათთვის ყოველი სწავლა, ვინაითგან ყოველი აზრი, რომელი გაჩნდება გულსა შინა მათსა, მალე იქმნება წარტაცებული სხვათა და სხვათა უცხოთა შეუსაბამოთა აზრთა და ზრუნვათაგან. სხვა თესლი დავარდა ადგილსა კლდოვანსა ზედა: კლდოვანი ადგილი მოასწავებს გულსა გაქვავებულსა ცოდვათაგან; სწავლა და მოძღვრება ვერ დაიმორჩილებს ესე-ვითარსა გულსა. თუმცაღა მიიღოს მან სწავლა და ეცადოს აღსრულება მისი, გარნა, ვინაითგან სწავლა იგი არ შესულა სიღრმესა შინა სულისა მამისასა, არ გაუბმია ფესვი, ამისთვის, როდესაც შეემთხვევა მას ჭირი ანუ განსაცდელი, გახმება, ვითარცა თესლი კლდოვანსა ადგილსა ზედა.

სხვა თესლი დავარდა ეკალთა შორის. ეკალნი ნიშნავენ ზრუნვათა და შფოთთა სოფლისათა. რომელნიმე მსმენელნი, თუმცა სიხარულით მიიღებენ სწავლასა და მოძღვრებასა და კიდეც სურთ აღასრულონ, გარნა, გავლენ რა ამა ტაძრითგან, შთაეფვლიან მრავალთა ზრუნვათა და შფოთთა შინა; გული მათი აღივსება უმრავლესითა სურვილითა და მისწრაფებითა და ესრეთ დაივიწყებს კეთილსა სწავლასა და მოძღვრებასა.

დასასრულ, რომელნიმე თესლნი დავარდნენ კეთილსა მიწასა ზედა, აღმოსცენდნენ და გამოიღეს ნაყოფი. ესე იგი, რომელნიმე კაცნი, მექონნი კეთილისა გულისა, მორჩილად მიიღებენ სწავლასა და მოძღვრებასა და ასრულებენ მას. ნაყოფი სწავლისა არის თვით მოქმედება და კეთილი ყოფაქცევა.

ახლა, საყვარელნო ძმანო, მიაქციე ყურადღება შენდამი და განიცადე თავი შენი, რომელსა მიწასა ემსგავსება გული შენი? ჰგავსა იგი კეთილსა მიწასა და პოხიერსა, რომელი თესლისაგან, მისდამი მინდობილსა, გამოიღებს ნაყოფსა მრავალსა? უკეთუ გული შენი ემსგავსება ესევითარსა მიწასა, მაშასადამე უმჯობეს ხარ შენ დღეს, ვიდრე გუშინ და გუშინ-წინ? უმეტესად გიყვარს შენ დღეს ღმერთი და ძმა შენი? გეძაგება შენ ცოდვა, რომელი აქამომდე ფლობდა გულსა შენსა? ანუ გონება და გული შენი ესოდენ დაფანტულ-არს, რომელ ყოველი, რაც გესმის ეკლესიასა ამას შინა, ანუ კეთილთა კაცთაგან სწავლა და დარიგება, გავიწყდება მაშინვე? ანუ გული შენი ესოდენ გაქვავებულ არს ცოდვათა-მიერ, რომელ კეთილი სწავლა ვერ გაიბამს ფესვსა მას შინა? ანუ იქმნება ბოროტნი

სურვილნი და მიდრეკილებანი შენნი ვიდრე აქამომდე უფლე-
ბენ გულსა შინა შენსა და ვითარცა ეკალნი გააყრუვებენ ყო-
ველსა სწავლასა და მოძღვრებასა?

მრავალფერად და მრავალგზის ითესება გულსა შინა შენ-
სა თესლი იგი სიტყვისა ღვთისა, ვითარცა ტაძარსა ამას ში-
ნა, ეგრედვე გარეშე ტაძარსა. აქ გესმის შენ კითხვა საღმრ-
თოისა წერილისა, გალობა საღმრთოთა და კეთილ-შეზავებულ-
თა ლოცვათა; განიცადე აწ თავი შენი; არისა რომელიმე ნა-
ყოფი გულსა შინა შენსა? ჰგრძნობა რომელსამე ცვლილებასა
შინაგანისა შენისა კაცისასა? უკეთუ არა, მაშასადამე შეიტყე,
რომელნი მიზეზნი აუქმებენ თესლთა ამათ? გააპოხიერე
გული შენი ლოცვითა და სიმდაბლითა, რათა გამოიღოს მან
ნაყოფი.

გარნა მაშინაც, ოდეს ხარ შენ გარეშე ტაძრისა ამის, სო-
ფელსა შინა, ღმერთი არ უტევებს მრავალ-ფერად თესვად
გულსა შინა შენსა. სინდისი შენი მრავალგზის გასწავლის და
გაფრთხილებს შენ; მოაქციე ყოველთვის ყური სინდისსა შენ-
სა; მიხედე ბუნებასა: მრთელი ცა, ქვეყანა და ყოველი სავსება
მისი, ქმნული ხელითა უფლისათა, არის მასწავლებელი და
შემაგონებელი შენი; იცან, ვითარ ყოველი არსება ბუნებასა
შინა მტკიცედ სდგას და ასრულებს თვისსა წესსა, რომელი
მისცა მას შემოქმედმან. მარტო შენ იქმნებია გარდამხდომელი
სჯულისა, შენ, რომელიცა აღგამაღლა ღმერთმან უმაღლეს ყო-
ველთა ქმნილებათა თვისთა და მოგვცა უმჯობესი სჯული?
ეცადე და ნუ გარდახდები ღვთაებრივსა მას სჯულსა, რომე-
ლი დაგიდვა შენ ღმერთმან, არა ვითარცა მონასა, არამედ ვი-
თარცა შვილთა თვისთა.

დასასრულ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, მეცა, ცოდვილი
და უღირსი, ვარ ერთი მთესვართაგანი, რომელი, შეძლებისა
და ვალისამებრ ჩემისა, ვთესავ თქვენს შორის სიტყვასა ღვთი-
სასა. ხოლო ვინ ანუ რომელი კაცი სთესავს საყანესა ზედა
თვისსა და არა მოელის ნაყოფსა? მეცა, ძმანო ჩემნო საყვა-
რელნო, თუმცა სუსტი მთესვარი ვარ, გარნა ვესავ ღმერთსა
ნაყოფისა ხილვად, ვინაითგან არა ჩემსა და ჩემგნით ვთესავ,
არამედ ბრძანებითა ღვთისათა და სიტყვასა ღვთისასა. არისა
ნაყოფი? ესე უწყი შენ, მაცხოვარო ჩემო! მე მხოლოდ მახ-
სოვს თქმული წმიდისა მოციქულისა შენისა პავლესი: **არცა
დამსხმელი (ანუ მთესვარი) არს რაიმე, არცა მომრწყმელი, არამედ
აღმაღორძინებელი ღმერთი.** შენ ხარ, ღმერთო, გამომცდელი
ყოვლისა კეთილისა ნაყოფისა; შენზედ არს დამოკიდებული,
რათა სიტყვამანცა ჩემმან სუსტმან გამოიღოს ნაყოფი. გევე-

დრები, ნუ დამიკარგავ მეცა ნაყოფსა შრომისა და სიყვარულისა ჩემისასა. შენ უწყი, თუ ვითარიცა ერთგულობითა ვემსახურები მე სიტყვასა შენსა და მსურს მოქცევა და სულიერი წარმატება ერისა ამის შენისა. გაახარე ერთგულნი შენნი ხილვითა ნაყოფისათა შორის ერისა ამის შენისა. თვით საღმრთო მადლი შენი იყოს მომრწყველ გულთა მსმენელთა ამათ. მან განამტკიცოს გულნი და გონებანი დაფანტულნი, მან დაალბოს კლდოვანნი, ეკალნი შეაშთოს და ყოველი განაპოხიეროს მიღებად თესლისა და გამოცემად ნაყოფისა მრავლისა – ამინ.

სიტყვა

კა-სა კვირიაკესა.

> თესლი იგი არს სიტყვა ღვთისა (ლუკ. ᲗᲒ. იგ).

იგავი მთესვარასა და თესლსა ზედა, დღეს წარკითხული სახარებითგან, აგვიხსნის ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, მიზეზთა მათ, რომელნი აბრკოლებენ და, თითქმის, კიდეც დააყენებენ მოქმედებას სიტყვის ღვთისასა.

ძალი და მოქმედება ღვთისა სიტყისა, ძმანო ჩემნო, არის დიდი და მაღალი. წმინდა მოციქული პავლე ერთსა ეპისტოლესა შინა თვისსა ესრეთ აღწერს მოქმედებასა სიტყვისა ღვთისასა: **ცხოველ არს სიტყვა ღმრთისა და ძლიერ, და უმკვეთრეს უფროს ყოვლისა მახვილისა ორ-პირისა: და მისწვთების იგი განსაყოფელამდე სამშვინველისა და სულისა, ნაწევართა და ტვინთა, და განმკითხველ გონებათა და ზრახვათა გულისათა** (ებრ. დ. იბ). აჰა, რა უძლეველი ძალი აქვს სიტყვასა ღვთისასა! იგი არს ცხოველი და ძლიერი, იგი მისწვდება განსაყოფელადმდე სამშვინველისა და სულისა, ძვალთა და ტვინთა, იგი განიკითხავს გონებასა და ზრახვასა კაცისასა; მაშასადამე მას შეუძლია გამოცვლა და გაუმჯობესება მთელისა კაცის ბუნებისა. გარნა, საყვარელო ძმაო, ესრეთი საკვირველი ძალი ღვთის სიტყვისა მხოლოდ მაშინ მოქმედებს ღვთის გულში, ოდეს შენ არ დააბრკოლებ მოქმედებასა მისსა, არამედ სრულიად მიუ-

შვებ მას; ოდეს არ უშლი და არ აყენებ მოქმედებასა მისსა, არმედ სრულიად მიენდობი და მიანებებ თავსა შენსა და თვით შენც შეეწევი შენითა ჭკუითა და ნებითა. გარნა, საუ-ბედუროდ, ნაცვლად ამისა სიტყვა ღვთისა, შევა რა გულსა შინა შენსა, ნახავს მრავალთა დაბრკოლებათა, რომელნი დაა-სუსტებენ და დააყენებენ მოქმედებასა მისსა.

პირველი დაბრკოლება არის სუსტი და დაფანტული გო-ნება კაცისა, რომელსა აწინდელი იგავი გამოსთქვამს სიტყვა-თა ამათ შინა: **რომელიმე თესლი დავარდა გზასა ზედა.** განვიხი-ლოთ ეს დაბრკოლება.

ყოველი საქმე, ძმაო ქრისტიანენო, მოითხოვს კაცისაგან ყურადღებასა და ბეჯითობასა. არა თუ დიდი რომელიმე და ძნელი საქმე არ შესრულდება, უკეთუ კაცმა არ მოახმარა მას მტკიცე ყურადღება, არამედ თვით უმცირესიცა. გარნა ყო-ველთა შორის საქმეთა კაცთასა უმძიმესი და უძნელესი არის მიღება და აღსრულება ღვთისა სიტყვისა. აქ შენ, ძმაო, პირ-ველად კარგად უნდა იცნა და შეიტყო, რას გასწავლის შენ სიტყვა ღვთისა, მერმე მიიღო იგი და აღზარდო, გაადიდო და გააცხოველო გულსა შინა შენსა, ესრეთ, რომელ მან დაიმორ-ჩილოს მრთელი შენი ბუნება. ეს საქმე მოითხოვს შენგან სრულსა, დაუცხრომელსა და დაუძინებელსა ყურადღებასა. მარად-ჟამ, დღე და ღამ, ყოველს საქმეში და ყოველს შემ-თხვევაში არ უნდა გაუშვა გონებითგან აზრი და ზრახვა სიტ-ყვისა ზედა ღვთისასა; ყოველს წამს უნდა ხედვიდე, რას და ვითარ მოქმედობს შენს გულში სიტყვა ღვთისა, ხომ არ და-სუსტდა იგი, გამოიღო, თუ არა, ნაყოფი, სცვლის, თუ არა, ცუდსა შენსა ხასიათსა, შეგაყვარა თუ არა, მადლი და მოგაძუ-ლა ცოდვა. ესრედ დაუცხრომელად გული უნდა გქონდეს დამტკიცებული სიტყვასა ზედა ღვთისასა! გარნა, საუბედუ-როდ. რას ვხედავთ? გაიხსოვნე, ძმაო, და წარმოიდგინე კარ-გად შენი ცხოვრება და ყოფაქცევა! ესრედ არ იფიქრებსა, ვინც შეხედავს შენსა ცხოვრებასა, რომელ შენთვის დამარხვა ღვთისა სიტყვისა არის უკანასკნელი საქმე! ყოველი სხვა, თვით უმცირესი საქმე მიიქცევს უმეტესსა ყურადღებასა შენ-სა, ვიდრე დამარხვა ღვთისა სიტყვისა. როგორ იმოქმედოს და როგორ გამოგცვალოს შენ სიტყვამან ღვთისამან? ყურად-ღება შენი არის დაყოფილი და დაფანტული ათასთა ზრუნვა-თა და საქმეთა შორის; გონება შენი არის დასუსტებული ურიცხვთა ძიებითა და შფოთითა ამის სოფლისათა; ესოდენ ხარ შენ დაღალული ამ სოფლის ამბოხითა და ვაებითა, შენი გული ესოდენ არის გართული მრავალთა საქმეთა შინა, რო-

მელ აღარც კი გაქვს მცირეოდენი ღონე და დროება, იფი-
ქრო სიტყვასა ზედა ღვთისასა. ესრეთ განმართლდების სიტ-
ყვა იგი: **რომელი თესლი დავარდა გზასა და მფრინველთა
ცისათა შეჭამეს იგი.**

გარნა ვთქვათ, რომელ შენი გონება არა გაქვს დაფანტუ-
ლი; მივიღოთ, რომელ შენ მოაქციე მტკიცე ყურადღება ღვთი-
სა სიტყვისადმი, კიდეც მოინდომე აღსრულება მისი, ესრედ
რომე, ვითარცა თესლი დავარდნილი მიწასა ზედა, წინა-
პირველად გაიდგამს ფესვსა, ეგრედვე სიტყვამან ღვთისამან
გაიდგა ფესვი შენს გულში, ესე იგი, მოეკიდა გულსა შენსა.
ახლა ესღა აკლია, რომ სიტყვა ღვთისა გამოვიდეს, აღიზარ-
დოს ვითარცა თესლი და გამოიღოს ნაყოფი; გარნა, საუბე-
დურად, აქ იგი ნახავს მეორესა დაბრკოლებასა, ესე იგი,
ცუდსა და ბოროტსა შენსა ხასიათსა და თვისებასა. **რომელიმე
თესლი დავარდა კლდესა ზედა, აღმოცენდა და განხმა.**

ხასიათსა კაცისასა, ძმანო ქრისტიანენო, შეადგენენ ყო-
ველნი მისნი აზრნი, მიდრეკილებანი, თვისებანი, ჩვეულებანი.
უკეთუ სიტყვამან ღვთისამან, შესრულმან შენს გულში, ნახა
ბოროტნი აზრნი, ავნი და უწმინდურნი მიდრეკილებანი, ცუდ-
ნი ჩვეულებანი, მაშინ მოქმედება მისი ანუ დასუსტდება, ანუ
სრულიად მოისპობა. რა ფიცხელი, რა ავი ხასიათი გაქვს შენ,
ძმაო ჩემო, ხშირად! გესმის შენ საყდარში ხშირად: **შეიყვარე
მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი;** ჭკუა შენი გამხილებს, რომ
კარგია ეს სიტყვა და სასარგებლო; იქმნება კიდეც მოინდომე
აღსრულება მისი, გარნა რავდენგზის ფიცხელმა შენმა გულმა
მოგაძულა მოყვასი და ესრედ გახმა კეთილი იგი თესლი. გე-
სმის სწავლა ღვთისა: **არა ცილი სწამო, არა განიკითხო,** მოგწონს იგი;
მოინდომე დამარხვა მისი; გარნა, საუბედუროდ, ცილის-წამება და
ჭორი გადაგექცა შენ ჩვეულებად; ვერც კი გაძლებ, თუ არ და-
აკმაყოფილე ეს ჩვეულება. იცი კარგად და გრძნობ, რაოდენგზის
წარგიტაცა ცოდვისა სიყვარულმან, რაოდენი მწუხარება გა-
ჩვენა შენ მან, რაოდენგზის იტყოდი შენს გულში: საკმაო
არის ჩემდა ამდენი ცოდვა, მეყოფა ამდენი წინააღმდეგი სა-
ქმე; ამას იქით აღარ ვიქმნები ცოდვის მონა, და ამიერითგან
მხოლოდ ღვთის ბრძანებას აღვასრულებ; გარნა მრავალნი შენ-
ნი ცუდნი ჩვეულებანი და მიდრეკილებანი არ განებებენ შენ,
რომ აღასრულო ეს კეთილი განზრახვა. **აღმოცენდა თესლი
და გახმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.**

ბოლოს, მესამე და თვით უსაშინელესი დაბრკოლება სი-
ტყვისა ღვთისასა აქვს მრავალთა მათ ზრუნვათა და შფოთთა-
გან ამას სოფლისათა. **რომელიმე თესლი დავარდა შორის ეკალთა,**

აღმოცენდნენ ეკალნი და შეაშთვეს იგი. როდესაც კაცი უმეტესსა მეცადინეობასა და ზრუნვასა მოიხმარს სოფლისა ამის სიმდიდრის და წარმატების მოგებისათვის, მაშინ არ არის საკვირველი, რომ სიტყვა ღვთისა უნაყოფო იქნება გულსა შინა მისსა.უმრავლესსა ნაწილსა ქრისტიანეთა სურს მიღება და კიდეც მიიღებს სიტყვასა ღვთისასა; განდრეკილნი და უარისმთქმელნი სიტყვასა ზედა ღვთისასა არ არიან მრავალნი; გარნა ვინაითგან უმეტესი ნაწილი ქრისტიანეთა არის ესოდენ შთაფლული სოფლისა ამის ამაოებასა შინა, რომელ აღარ აქვს დროება და ღონე ღვთისა სიტყვისათვის, იგი ვერ მოქმედობს ჯეროვნად გულთა შინა მათთა.

აქ, რასაკვირველია, ამის სოფლისა მოყვარე ესრეთ იფიქრებს თავის გულში: რა უნდა ვქნათ, რომელ ხორციელი ცხოვრება ესრეთ არის ძნელი, და თავის შენახვა მოითხოვს ჩვენგან დაუცხრომელსა ზრუნვასა! ნუ თუ შეუძლია კაცსა გაძლება ქვეყანაზე, უკეთუ იფიქრა მხოლოდ თავის სულის ცხოვნებაზე? არა, ძმაო ჩემო! არავინ ითხოვს შენგან, რომ დასტოვო ყოველი ხორციელი საქმე და იფიქრო მხოლოდ სულის ცხონებაზე. ორ-ნაირად შეგიძლია შენ მიიღო და აღასრულო სიტყვა ღვთისა. პირველად, ცოტაოდენი შენი დროება სრულიად და განუყოფელად მოახმარე ამ დიდს საქმეს, მაგალითებრ, როდესაც სდგეხარ საყდარში, სხვაზე ნურაფერზე ნუ ფიქრობ და ზრუნავ, მხოლოდ ის ეცადე, რომ მიიღო სიტყვა ღვთისა და დაიმარხო გულში. ეგრედვე ყოველს დღეს დილით და საღამოთი რაოდენიმე წამი განუყოფლად მოიხმარე მისთვის, რომელ განიზრახო სიტყვისა. ღვთისა და მის აღსრულებისათვის. მეორედ, როდესაც შენ შეუდგები სოფლიურთა შენთა საქმეთა, რასაც გინდა აკეთებდე, სადაც გინდა იყო, მაინც ნუ დაგავიწყდება სიტყვა ღვთისა. ეს არა თუ არ დაგიშლის შენს შრომასა და მოქმედებასა, არა თუ არ დააბრკოლებს რომელსამე შენსა საქმესა, არამედ კიდეც მოგეხმარება. მართალია, ცუდს საქმეს კი დაგიშლის, უწმინდურს და ავს საქმეში შეგაწუხებს და გტანჯავს სინიდისისაგან შენისა, გარნა ეს შენთვისვე არის უმჯობესი. ხოლო როდესაც შენ შეუდგები კეთილს ანუ სასარგებლო საქმესა, მაშინ უთუოდ, ხსოვნა და განზრახვა სიტყვისა ღვთისა კიდეც მოეხმარება და კეთილად წარმართავს მას, რომელიმცა მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. – ამინ.

მოძღვრება

კბ-სა კვირიაკესა ზედა.

იგავი მდიდრისა და ლაზარესი (ლუკ, ივ, ით–ლა).

დღეს წაკითხულითა იგავითა მაცხოვარმან გამოგვიხატა ჩვენ, ძმაო ქრისტიანენო, ორ-გვარი, ერთი მეორისაგან ფრიად განსხვავებული და წინააღმდეგი სახე ცხოვრებისა. ცხოვრება მდიდრისა იყო აღვსებული ყოვლითა ნუგეშითა და შვებითა ამის სოფლისათა; იგი ბრწყინვალედ იმოსებოდა, ტკბილად სვამდა და სჭამდა და ყოველდღე ლხინითა და მხიარულებითა ატარებდა თავის დროებასა; ხოლო ღარიბი ლაზარე იყო მოკლებული არა თუ ყოვლითა კმაყოფილებითა, არამედ არცა საჭმელი და სასმელი ქონდა საკმაოდ, და იყო თითქმის შინაურთა პირუტყვთა მდიდარისა მის კაცისა უმეტესად დამდაბლებულ და შეურაცხ, ვინაითგან თქმულ არს სახარებასა შინა: გული ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცვივნებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა, არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ლოშნიდეს წყლულსა მისსა. შემდეგ გარდაცვალებისა ლაზარემ მიიღო განსვენება სამოთხისა წიაღთა შინა აბრაამისათა, ხოლო მდიდარი იგი შთავარდა ტანჯვასა ჯოჯოხეთისასა.

იქმნება რომელთამე მსმენელთა, ანუ წამკითხველთა დღევანდელისა სახარებისათა იფიქრონ, რომელ ამ იგავში გარდამეტებულად არის გამოყვანილი უგუნურება მდიდრისა და სისაწყლე ლაზარესი, რომელ იგავი ესე არ შეეხება მათ და თუმცა ესრეთი მდიდარი იყო უწინ ოდესმე ქვეყანაზედ, ან იქნება ახლაც იყოს ურწმუნოთა და განუნათლებელთა შორის, გარნა აწ, ამ ჩვენს დროებაში და ქრისტიანეთა შორის, არ შეიძლება იყოს ვინმე მდიდარი, რომელსა ჭამისა, ლხინისა და სმის მეტი არა ახსოვდეს რა, და ესოდენ იყოს უგრძნობელ, რომელ წინაშე მისსა შიმშილით კვდებოდეს გლახაკი ლაზარე და ლუკმა პური არ მისცეს მას.

ერთი მხრით მეც თანახმა ვარ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ამ აზრზედ, მეც ეგრე ვფიქრობ, რომ თითქმის არ შეიძლება იყოს ჩვენს, აწინდელთა ქრისტიანეთა, შორის ვინმე სრულიად მსგავსი მდიდრისა, ესრედ რომელ მშიერსა და დავარდნილსა ლაზარეს არ მისცეს საჭმელი. წინააღმდეგ ამისა, სა-

ზოგადო და დაურღვეველი ჩვეულება არის ჩვენს შორის, ოდესაც სადილისა ანუ ვახშმის დროსა მოვა ვინმე გლახაკი და მშიერი, ამასაც მიიწვევენ და მისცემენ საკმაოდ საჭმელსა და სასმელსა. რისგან არის ეს, რომელ აწ ქრისტიანეთა შორის არც შეიძლება იყოს კაცი ვინმე მდიდარ, სრულიად მსგავსი იმ მდიდრისა, რომელიც დღეს აღწერა მაცხოვარმან იგავსა შინა თვისსა? ამით ვალდებულ ვართ ჩვენ სიტყვისა სახარებისა: სახარებამან დაალბო გული ჩვენი და გვასწავლა შეწყნარება და მოწყალება გლახაკთა.

მაშასადამე, უსარგებლო არის ჩვენთვის დღეს წარკითხული იგავი სახარებისა და არ შეგვიძლიან ვიპოვნოთ ჩვენთვის მას შინა რაიმე დარიგება და მოძღვრება? შეგვიძლიან, ძმანო ჩემნო, მეტად საჭიროც არის კარგად განვიზრახოთ მას ზედა. არა ვგონებ, რომ ჩვენს შორის იყოს ვინმე სრულიად მსგავსი და სწორი ყოფაქცევითა ამ მდიდრისა, გარნა ჩვენ, ქრისტიანეთათვის, ისიც დიდი სირცხვილი და ცოდვა იქმნება, უკეთუ მცირეოდენ და რომლითამე კერძოითა მივემსგავსებით მას.

მივაქციოთ ყურადღება ამ მდიდარზედ. როდესაც ცხადად წარმოვიდგენთ სრულსა მისსა ცხოვრებასა, როდესაც ვიფიქრებთ, თუ რა ჰაზრი ჰქონდა მას, რა განზრახვა მართავდა მისსა ცხოვრებასა, მაშინ შევიტყობთ, რომ იგი ყოველთა თვისსა ნუგეშსა და ბედნიერებასა ხედვიდა მხოლოდ ჭამაში, სმაში, ლხინში; სხვა მეტი არაფერი არ ქონდა მას მხედველობაში, სხვას არაფერს არ ეძიებდა და არ მოელოდა, თვინიერ მუცლის გაძღომისა, შვებისა და ლხინისა. ცხად-არს, თუ ვითარ დაამდაბლა მან ღირსება კაცობრივისა ბუნებისა. მხოლოდ პირუტყვი სცხოვრობს ქვეყანაზედ ჭამისა და სმისათვის; კაცსა ღმერთმა მისცა უმაღლესი მნიშვნელობა და უჩვენა უმჯობესი ბოლო, რომლისადმი იგი მარადის უნდა მიმდინარეობდეს.

ეს მართალია, ძმანო ჩემნო, რომელ ყოველს კაცს აქვს სურვილი რომლისამე ნუგეშისა, რომლისამე ბედნიერებისადმი. ბუნება კაცისა ესრედ შექმნა თვით ღმერთმან, რომ კაცი ყოველთვის ეძიებს ბედნიერებასა, ყოველთვის აქვს სახეში ერთი მანუგეშებელი და განმაბედნიერებელი საგანი. თვით გული კაცისა მოითხოვს და ეძიებს სიყვარულსა და ნუგეშსა. ის კაცი სწორედ უბედური არის და ნახევრად მკვდარი, რომელსა არაფერი სურს და არა-რას ეძიებს; კაცი ცოცხალი და ცხოველი ყოველთვის ეძიებს ბედნიერებასა. ერთი მოელის პატივსა და აღმატებასა თვისთა მოყვასთა შორის; მეორე მოელის ჩინსა, ჯილდოსა და მით ანუგეშებს თავსა თვისსა; სხვა

ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ განამრავლოს თვისი ქონება და, როდესაც მოიგებს რასმე, მით ანუგეშებს თავის თავსა. მხედარი არ ზოგავს თვისსა სიცოცხლესა ომში მისთვის, რათა მიიღოს აღმატება; თვით უკანასკნელი და ღარიბი მიწის მომქმედი ღვრის თვისსა ოფლსა ყანაზედ იმ აზრით, რომ იქმნება ღმერთმან მისცეს კარგი მოსავალი.ზოგიერთნი ქალნი იმაში ხედვენ თვისსა ბედნიერებასა, ოდეს აქვსთ უმეტესი მშვენიერება, ვიდრე სხვათა ქალთა; ერთი სიტყვით, არ არის კაცი, რომელი არ ეძიებდეს ბედნიერებასა. მაშასადამე, უკეთუ თვით ბუნება კაცისა მოითხოვს ბედნიერებასა, უკეთუ არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელსა არა ქონდეს სახეში ერთი რამე ნუგეში, ვითრსა ნუგეშსა და ვითარსა ბედნიერებასა უნდა იძიებდეს ქრისტიანე. რომელმან გულწრფელად მიიღო სიტყვა სახარებისა და სწორად სურს, რომ იყოს ნამდვილი ჭეშმარიტი ქრისტიანე? რას იტყვის ამაზედ სახარება? თვით დღეს წაკითხული იგავი გვაძლევს ჩვენ ამის პასუხს. მდიდარი იგი ხედვიდა თვისსა ბედნიერებასა შვებასა, ლხინსა და კმაყოფლებასა შინა ამ სოფლისასა; გარნა ბოლო მისი იყო საშინელ. ლაზარემ კი, გარდაცვალების შემდეგ, მიიღო სასუფეველი ცათა, ცხად-არს მისთვის, რომელ იგი იყო სრულიად განსხვავებული მდიდარისაგან.. მას არა ქონდა ამ სოფლის ნუგეში და კმაყოფილება არცა ერთი; ბედნიერებასა თვისსა იგი მოელოდა მომავალს საუკუნეში. ცხად-არს, რომ იგი იყო მომთმინე, თავდაბალი, მლოცველი და მსახური ღვთისა. და ესრედ ნუგეში და ბედნიერება ქრისტიანისა მდგომარეობს არა ხორციელთა კმაყოფილებათა შინა, არამედ აღსრულებასა შინა მისისა მოვალეობისა. რათგანაც ბუნება კაცისა, ვითარცა ვსთქვით უწინ, მოითხოვს ბედნიერებასა. და გული კაცისა ვერ გასძლებს ამ ქვეყანაზედ, თუ არა აქვს რომელიმე ნუგეში, ეცადე, ძმაო ჩემო, შენი ნუგეში და ბედნიერება იყოს აღსრულება შენის მოვალეობისა. გეშინოდეს, არა მიეჩვიო ცოდვასა და უსჯულოებასა, ვითარცა მდიდარი, ესრედ, რომ ის ცოდვა შეიქმნეს შენ ბედნიერებად; არამედ ისრედ წარმართე ყოველი ცხოვრება შენი, რომ ბოლოს მიეჩვიო კეთილის საქმის აღსრულებასა და ამაში პოულობდე შენსა კმაყოფილებასა და ბედნიერებასა. მართალია, რომ ბუნებასა შენსა აქვს დიდი მიდრეკილება ცოდვისადმი; ცოდვა ხშირად დაატკბობს გულსა შენსა; გარნა სიტკბოება ცოდვისა არის მოკლე, ცოდვა ვერ გააბედნიერებს გულსა შენსა, არამედ ხშირად ტანჯავს; გარნა კეთილი საქმე, მადლი და სათნოება, ლოცვა, მოთმინება, სიყვარული, უკეთუ გული შენი მიაჩვიე მათ, უმტკიცესსა

და უგრძელესსა მოგცემენ შენ ბედნიერებასა თვით ამ ქვეყანაშივე. მე ესრეთ ვფიქრობ, რომელ თუმცა პირველისა შეხედვისამებრ ცხოვრება მდიდრისა მის ეჩვენება კაცს ბედნიერებად, ხოლო ხვედრი და სისაწყლე ლაზარესი შეაშინებს, გარნა, უკეთუ შეიძლებოდეს განხილვა მათისა შინაგანის გრძნობისა, ვნახავდით, რომელ გული მდიდრისა მის იყო აღელვებულ და მოუსვენებელი; ხოლო გული ლაზარესი მოსვენებულ და დატკბობილ მოთმინებითა და სასოებითა ღვთისათა.

და ესრედ განიცადე, ძმაო, თავი შენი და უკეთუ პირუთვნელად შეგიძლია სთქვა, რომელ შენ სწორედ უმეტეს ყოვლისა გიყვარს აღსრულება შენისა ქრისტიანობრივისა მოვალეობისა, უკეთუ შენი ნუგეში და კმაყოფილება ის არის, ოდეს იქმ რომელსამე კეთილსა საქმესა და აღასრულებ რომელსამე მცნებასა ღვთისასა, უკეთუ სიმართლე გახარებს, სიყვარული გაქვს, მაშინ ახლო ხარ სასუფეველსა; გარნა უკეთუ, ნაცვლად ამისა შენ გრძნობ დიდსა ბედნიერებასა ჭამაში, სმაში და ლხინში, უკეთუ რაიმე საგანი, ანუ მოქმედება, ანუ სხვა რაიმე ამის სოფლისა შეადგენს შენსა ბედნიერებასა, მაშინ შენ ემსგავსები მდიდარსა ამას და მიიღებ ხვედრსა მისსა, რომელიცა განაშოროს ჩვენგან ღმერთმან. – ამინ.

სიტყვა

კბ-ს კვირიაკესა, თქმული ქუთაისს.

> ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯვარცმულ-არს და მე სოფლისა (გალატ. ვ, იდ).

აჰა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, რა გვარი ერთგულება ქონდა პავლე მოციქულსა და უნდა გვქონდეს ჩვენცა ყოველთა ქრისტეს სჯულისათვის! რა კი ერთხელ მიანდო მან თავი თვისი ქრისტეს სიტყვათა, მისი სიქადული და ბედნიერება შეიქმნა ჯვარი ქრისტესი; მისი გული აღივსო ქრისტეს სიყვარულითა და ყველა მისი ცხოვრება დაეფუძნა სახარებასა ზე-

და. გარნა არ შეეძლო მასცა, მსგავსად სხვათა ქრისტიანეთა, ეპოვნა ამ სოფელში სხვა რომელიმე ბედნიერება და ნუგეში; ისიც კაცი იყო, იმასაც ჩვენი სხეული და კაცობრივი მიდრეკილება ქონდა; გარნა მან აღავსო გული თვისი სიტყვითა სახარებისათა და ყოველი ამ სოფლის საქმე დაუმორჩილა სიტყვასა ღვთისასა. რისთვის? მისთვის, რომელ სახარება ქრისტესი მხოლოდ მაშინ გამოსცვლის და განწმედს კაცსა, ოდეს კაცი სრულიად დაემორჩილება მას; გარნა უკეთუ კაცმან უმთავრეს საქმედ თვისისა ცხოვრებისა გამოირჩია არა აღსრულება სჯულისა ქრისტესისა, არამედ რომელიმე ამ სოფლის ნუგეში, ხოლო სულიერსა მოვალეობასა თვისსა აღასრულებს, ვითარცა ერთსა მცირესა საქმესა სხვათა თვისთა საქმეთა შორის, მაშინ სიტყვა ღვთისა უნაყოფო იქმნება გულსა შინა მისსა.

რაც უყვარს, ძმანო, კაცსა უმეტესად ყოვლისა, იმას შესწირავს იგი გულსა თვისსა, ის არის მისი სიქადული და ბედნიერება, ის არის მმართველი მისი ცხოვრებისა; მოკლედ, რაიცა უყვარს კაცს უმეტეს ყოვლისა, ის არის მისი ღმერთი. თუ შენ, ძმაო ჩემო, სრულიად მიუცილებლად არ მიანდე გული შენი ქრისტესა, თუ შენ არ აღიღე ჯვარი ქრისტესი და არ შეუდეგ მას, თუ არ შეგიძლიან პავლეს-თანა ხმობდე: **ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა...** თუ იმ ზომამდე არ მიწევნულხარ, რომ არ შეგეძლოს პავლესთან თქმად: **ხოლო აწ ცხოველ ვარ არა მე, არამედ ქრისტე ჩემს შორის;** თუ ცოდვა კიდევ ცოცხალ არს შენს შორის და გული შენი ტფება არა ქრისტეს მადლითა, არამედ რომლითამე ამ სოფლის სასოებითა და ნუგეშითა, იცოდე, ძმაო ჩემო, რომ ქრისტე არ არის ღმერთი შენი, არამედ სხვა ვინმე. კვალად გეტყვი: ადამიანის ღმერთი ის არის, რაიცა მას უყვარს უმეტეს ყოვლისა.

ჩვენ, ძმანო ჩემნო, ხშირად ვატყუებთ თავსა ჩვენსა. რავდენნი არიან ქრისტიანეთა შორის, რომელთა თავი თვისი მიაჩნიათ ქრისტიანედ მხოლოდ მისთვის, რომელ კვირაში ერთხელ ეკლესიაში შევლენ, დაფანტულითა გონებითა როგორმე ილოცვენ: წელიწადში ანუ ორ წელიწადში ერთხელ როგორმე მოემზადებიან და ეზიარებიან, მარხვაში ხორცს არა სჭამენ: გარნა გული მათი კი განუყოფელად ეკუთვნის ამ სოფელს. სიქადული მათი და საუნჯე არა ჯვარი არს ქრისტესი, არამედ რომელიმე ამ სოფლის ნივთი და საქმე. მიჰხედეთ, მაგალითებრ, ამ ერთს ჩვენსა ძმასა, რომელი ნამეტნავად ანგაარი არის, კარგად გასინჯეთ მისი ცხოვრება, შთახედეთ მისს გულ-

ში. ვინ ჰსუფევს იქ, იმის გულში? ვინ არის მისი ღმერთი? მისი ღმერთი არის ვერცხლი, იგი თაყვანსა სცემს ოქროს კერპ-სა, მოგება და შეძინება სიმდიდრისა ესრედ ანუგეშებს და აბე-დნიერებს მას, იგი ესოდენად ჰცდილობს ოქროს შეძენას, ესოდენი სიტკბოება და წადილი გულისა მისისა არის ოქრო, რომელ მასა სწორედ იმის მეათედი სიყვარულიც და სასოება არა აქვს ღმერთზედ. ვინ ამბობს, ძმაო ჩემო: კაცი კი უნდა ჰცდილობდეს მოიგოს რამე შრომითა თვისითა; არც ამას ვიტ-ყვი, რომ მეცადინეობა სიმდიდრის მოგებისათვის იყოს ცოდვა; გარნა კაცმან გული თვისი არ უნდა შესწიროს სრულიად სიმ-დიდრესა; გული შენი, ძმაო, უნდა იყოს ტაძარი სულისა წმიდისა.

მიჰხედეთ ახლა ამ მეორეს, ჩვენს ძმა-კაცსა, რომელი იმ-ყოფება სახელმწიფო სამსახურსა შინა; წარმოიდგინეთ მრთე-ლი მისი ცხოვრება: დილითგან საღამომდე ის იმას ჰფიქრობს და ჰზრუნავს, ვის რა ადგილი მისცესო, ვინ სად გადიყვანესო, ვინ რა ჯილდო მიიღოო, ვისა სწყალობს უმეტესად ნაჩალნი-კიო; ეს არის მისი სიცოცხლე და ნუგეში, ამზედ ეწვის მას გული. როდესაც იგი სდგას ეკლესიაში, გული მისი გრილ-არს; უგრძნობელად ისმენს იგი სიტყვასა ღვთისასა; გარნა შეჰხედეთ, როდესაც იგი ლაპარაკობს ჯვრებზედ და ჩინებზედ, როგორ ბრწყინავენ მისნი თვალნი; რაგვარი ბედნიერება გა-მოიხატება პირისახესა ზედა მისსა, თუ ვინმე მიულოცა მას ახალი ჩინი, ანუ ორდერი. როგორ არ უნდა სთქვას კაცმა, რომელ არა ქრისტე არს მისი ღმერთი, არამედ პატივი და ჯილდო.

გარნა სიმდიდრე და პატივი კიდევ ღირს რამედ; ხოლო რა უნდა ვიფიქროთ და რა უნდა ვსთქვათ ზოგიერთთა ქალთა ზედა, რომელთა ნუგეში და ბედნიერება მდგომარეობს მხო-ლოდ კარგი ტანისამოსის ჩაცმაში, თავის მოკაზმვაში, რომე-ლნი მხოლოდ მაშინ არიან ბედნიერ და კმაყოფილ, როდესაც აჯობებენ სხვათა ქალთა სილამაზითა და მორთულობითა, ანუ მთელს სიცოცხლეს ატარებენ მხოლოდ მით, რომელ განიკი-თხავენ მოყვასთა თვისთა და განიმეორებენ ყოველთა ჭორთა და ცრუთა ამბავთა. ღმერთი მათი არა ქრისტე არს, არამედ ამაოება ამა სოფლისა.

გარნა ესეც კიდევ არაფერია: ზოგიერთთა კაცთა ბედნიე-რება მდგომარეობს სრულიად ამაოთა და შემარცხვენელთა მოქმედებათა შინა. წარმოვიდგინოთ ერთი მაგალითი: დარწმუ-ნებული ვარ, რომ თვითოეული თქვენგანი იცნობს იმისთანა კაცს, რომლისაც დიდი ნუგეში და ბედნიერება არის ქაღალ-

დის თამაშობა; მოწყენილი და ღრუბლიანი არის იგი, ვიდრემ-
დის ქაღალდი არ მისცეს ხელში; გარნა, დაჯდა თუ არა თა-
მაშობად, მაშინვე გამხიარულდა, იწყო ლაპარაკი, გამოაჩინა
მხურვალება და გრძნობა გულისა თვისისა, ახლა წარმოიდ-
გინეთ იგივე კაცი მდგომარე ეკლესიასა შინა, რა გვარად
მოწყენილი არის იგი, მოუთმენელად ელის, რომ მალე გათავ-
დეს წირვა; მას არ ესმის სიტყვა ღვთისა. მითხარი, ვინ არის
მისი ღმერთი? ვგონებ, რომ მისი ღმერთი არა ქრისტე არს,
არამედ ის შემარცხვენელი ჩვეულება.

რა ვსთქვათ კიდევ? მოშურნე კაცის ბედნიერება და ნუ-
გეში არის ის, როდესაც ნახავს მოყვასსა თვისსა დავარ-
დნილს და წახდენილსა. ნაყროვანის ანუ გაუმაძღარის კაცის
ღმერთი მუცელი არის, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი:
რომელთა მუცელი ღმერთი მათი არს. ლოთი კაცის ღმერთი რა
არის, თუ არა ღვინო, ვინაითგან იგი ზოგჯერ ესოდენ დაე-
მონება ღვინოსა, რომელ ავად გახდება, კვდება ღვინის სმისა-
გან და მაინც ვერ დაუტოვებია ღვინო; ერთი სიტყვით, ყო-
ველი ცოდვის მოქმედი კაცის ბატონი და ღმერთი ის ცო-
დვა არ არის, რომელსაც იგი იქმს? მაცხოვარმან ერთხელ
უთხრა ურიათა, რომელ მხოლოდ მე შემიძლიან განთავისუფ-
ლება თქვენიო; ურიათა ეწყინათ ეს სიტყვა და უთხრეს მას:
ჩვენ შვილნი აბრამისანი ვართ და თავისუფალნი. მაშინ მა-
ცხოვარმან უპასუხა: **ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: ყოველმან, რო-
მელმან ქმნეს ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა** (იოან, ᲘᲒ, ლდ).
თუ არ მოიშალე შენცა, ძმაო, ცოდვის ქმნა, ცოდვა შეიქმნე-
ბა ბოლოს შენდა ბატონად და ღმერთად: როგორ გაცხოვნოს
შენ ქრისტემან, უკეთუ არა ქრისტე არს შენი ღმერთი, არა-
მედ ცოდვა? მე იმას კი არ გეტყვი, რომ ყოველიფერი სოფ-
ლიური საქმე დაივიწყო და ყოველს წამს მხოლოდ ღმერთზედ
იფიქრო, არამედ გამხილებ, რომ მხოლოდ ქრისტე იყოს შე-
ნი ღმერთი და ნივთი რომელიმე, ანუ ჩვეულება ანუ საქმე არ
გარდაიქცეს შენდა ბატონად და ღმერთად. რა არის კაცში
უმჯობესი და უმთავრესი? კაცის უმჯობესი და უმთავრესი
არის გულის გრძნობა და სიტკბოება; ხოლო უკეთუ შენს
გრძნობასა და სიტფოებასა გულისა შენისასა შესწირავ რომელ-
სამე ამ სოფლის ნუგეშს, ნივთსა, ანუ ცოდვასა, ღმერთსა რა-
ღას მიართმევ? ისმინეთ, რას ეტყვის ღმერთი ქრისტიანეთა
სარდიის ქალაქისათა: **ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი
ხარ და არცა ტფილი; ჯერ იყო, რათამცა გრილ იყავ ანუ ტფილი,
არამედ ესრედ ნელ-ტფილ ხარ და არცა გრილ ხარ და არცა ტფილ,
მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა** (გამოცხ. გ, იე,

ივ). მიჰხედე, ძმაო ჩემო: ღმერთს ის ურჩევნია, რომ სრულიად გრილი გული გქონდეს სჯულზედ, ვიდრე ნელ-ტფილი, გარნა შენ ტფილი ხარ და მხურვალე ცოდვისთვის, ხოლო გრილი ღვთისა და სიტყვისა მისთვის. პავლე მოციქული გვამხილებს ჩვენ: **შერაცხენით თავნი თქვენნი მკვდრად ცოდვისათვის და ცხოველად ღვთისა ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩვენისა. ნუ უკვე ჰსუფევს ცოდვა მოკვდავთა მაგათ ხორცთა ჩვენთა მორჩილებად მისა გულის თქმათა შინა მისთა** (რომ. ვ, ი, ია). ქრისტიანე უნდა იყოს მკვდარ ცოდვისათვის და ცოცხალ მადლისათვის; არა ცოდვა უნდა სუფევდეს გვამსა შინა მისსა, არამედ ქრისტე ღმერთი.

აჰა ესერა, გეტყვის შენ, ძმაო, ღმერთი, **ვსდგა კარსა ზედა და ვრეკ, უკეთუ ვინმე ისმინოს ხმისა ჩემისა და განაღოს კარი, შევიდე მისთანა და ვსჭამო სერი მისთანა და მან ჩემთანა.** (გამოცხ. გ, ით).

მოძღვრება

კბ-სა კვირიაკესა.

ივავი მდიდარსა კაცსა და გლახაკსა
ლაზარესა ზედა (ლუკ. ივ, ით–ლა).

მრავალთა, დიდთა სწავლათა, და მოძღვრებათა აძლევს მაცხოვარი დღეს წაკითხულითა სახარებითგან ივავითა მდიდარსა კაცსა და ღარიბსა ლაზარესა ზედა ყოველი მდგომარეობის და შეძლების ადამიანთა. კაცი მდიდარი, შეძლებული და ნუგეშის-ცემული ხშირად უნდა წარმოიდგენდეს, რა სახით აღწერა მაცხოვარმან ამ ივავში ცხოვრება ერთისა მდიდარისა კაცისა და ეშინოდეს, რომ დაემსგავსოს მას. მაცხოვარი იტყვის, რომელ მდიდარი იგი მხოლოდ სჭამდა, სვამდა და იმოსებოდა ბრწყინვალედ, მეტს არაფერს აკეთებდა იგი, მაშასადამე, ცხოვრება მისი იყო უკიდურესი გინება კაცობრივისა ბუნებისა. მდიდარმა კაცმა არ უნდა დაითხოვოს თავი თვისი შრომისა და მოღვაწეობისაგან. სახარება შეგვაგონებს ჩვენ, რომ სიმდიდრესა თვისსა კაცი უნდა უყურებდეს, ვითარცა ღვთისგან მოცემულსა საშუალებასა, რომელიც მან უნდა მო-

იხმაროს ქველის საქმისათვის. სიმდიდრე არის დიდი ღვთისა-
გან მოცემული ნიჭი, რომელი კაცმა უნდა მოიხმაროს ღვთის
მსახურებისათვის და მოყვასთა თვისთა ბედნიერებისათვის.
რითღა გავარჩიოთ კაცი პირუტყვისაგან, უკეთუ იგი ჭამისა
და სმის მეტს არაფერს აკეთებს? ესრეთი ჰაზრი და დარიგება
გამოდის ამ იგავითგან მდიდარსა კაცთათვის.

გარნა მდიდარნი კაცნი ქვეყანაზედ არიან მცირედ.
უმეტესი ნაწილი ადამის ძეთა ამ ქვეყანაზე ითმენს მრავალსა
სიღარიბესა და ნაკლულევანებასა. ყოველთა ღარიბთა და სა-
წყალთა კაცთა სახე ლაზარეს მოთმინებისა და წიაღთა შინა
აბრაამისა ნეტარებისა მისცემს დიდსა ნუგეშსა. განგებ გამო-
ხატა მაცხოვარმან უკიდურესი მისი სიღარიბე და სიგლახაკე.
თუმცა ქვეყანაზე არიან მრავალნი ღარიბნი და გლახაკნი,
გარნა ლაზარეს უგლახაკესი ძვირად იპოვება. იგი იყო ფრი-
ად დაგლახაკებული, გარნა სულგრძელ ითმენდა მწუხარე-
ბასა. იგი არ დრტვინვიდა ღმერთზე; მდიდარი კაცის შური
არ ქონდა მას, და არც წყევლიდა მას იგი. სითგან ქონდა
მას ესოდენი მოთმინება? რა აძლევდა მას ღონეს და რა გაამ-
ხნევებდა მას? ცხოველი სარწმუნოება, ძმაო ჩემნო! იგი მო-
ელოდა მომავალსა ცხოვრებასა. მან იცოდა, რომ ეს ცხოვ-
რება წუთის არის და მომავალს საუკუნესა შინა გამოიცვლება
ცხოვრება მისი. გარნა მდიდარი იგი, უეჭველია, იყო კაცი ურ-
წმუნო, არ ფიქრობდა მომავალსა ცხოვრებასა ზედა, ამისთვისაც
დაემსგავსა ცხოვრება მისი ცხოვრებასა პირუტყვისასა. აჰა, ძმა-
ნო საკვირველი მოქმედება აქვს სარწმუნოებასა და სასოებასა
გულსა შინა კაცისასა! გლახაკსა, ღარიბსა, დავრდომილს ლა-
ზარეს სარწმუნოება ესოდენ აღამაღლებს და განსწმედს, რო-
მელ თუმცა სხეული მისი არის უსახო და წყლულებითა აღვ-
სებული, გარნა სულითა და გულითა იგი დაემსგავსება ანგე-
ლოზთა ცათასა, მაშინ ოდესაც მდიდარი კაცი, შემოსილი
ბრწყინვალედ ბისონითა და ოქრომკერდითა, დაემსგავსა სული-
თა და ყოფაქცევითა უგუნურსა პირუტყვსა მისთვის, რომ
იგი იყო მოკლებული სარწმუნოებასა, არ ახსოვდა მას მომა-
ვალი ცხოვრება.

გარნა იგავი ესე აგვიხსნის ჩვენ კიდევ ერთსა დიდსა ეჭვსა
და გვიპასუხებს ჩვენ ერთსა დიდსა კითხვასა ზედა. მრავალნი
ფილოსოფოსნი, სწავლულნი, ვითარცა ძველსა, ეგრედვე ახალ-
სა დროებასა შინა, შემხედველნი მისა, რომ ამ ქვეეყანაზე ფრი-
ად მეტ-ნაკლებად არის გაყოფილი ბედნიერება და კეთილ-
დღეობა კაცთა შორის: ერთი არის დიდსა განცხრომასა და
კმაყოფილებასა შინა, მეორე იტანჯება სიღარიბითა და ნაკ-

ლულევანებითა და ესე მრავალ-გზის არის დამოკიდებული ერთსა მხოლოდ შემთხვევასა და ბრმასა ბედსა ზედა, ესე იგი, ზოგი არის მდიდარი არა თვისითა შრომითა და მოღვაწეობითა, არამედ უბრალოითა შემთხვევითა, – სხვა არის ღარიბი არა თვისთა დანაშაულობათა, არამედ რომლითამე უბედურებითა, ირყეოდენ და თითქმის უარს-ყოფდენ ღვთის განგებულებასა. ხოლო ეს საკვირველი იგავი აგვიხსნის ჩვენ ამ ეჭვსა მით, რომელ კაცის ცხოვრება გაგრძელდება მომავალსა საუკუნესა შინა. ღარიბი, რომელი აქ ითმენს და სულგრძელ არს, მიიღებს იქ თვისსა ჯილდოსა; მდიდარი, უწყალო და ურწმუნო დაისჯება მომავალსა ცხოვრებასა შინა. ახლა ვიცით ჩვენ, როგორ აღიხსნება ეს ზემოთქმული ეჭვი! მომავალი ცხოვრება რომ არ იყოს, მაშინ კი სწორედ უგუნური, უაზრო და მახინჯური იქმნებოდა ცხოვრება და ბედი კაცისა ქვეყანასა ამას ზედა: მაშინ ღარიბსს და ბედკრულს კაცს თავის ბედის წყევისა და გინების მეტი აღარაფერი საშუალება არ დარჩებოდა ამ ქვეყანაზე. გარნა, მადლობა ღმერთს, მომავალსა საუკუნესა შინა გასწორდება ყოველი, აქაური უმართლო საქმე, იქ გამართლდება ღმერთი სიტყვასა შინა თვისსა, იქ მოიმკის ყოველი კაცი რაიცა აქ დასთესა. – ამინ.

სიტყვა

კბ-სა კვირიაკესა.

> და მან ხმა-ჰყო და ჰსთქვა: მამაო აბრაამ! შემიწყალე მე, და მოავლინე ლაზარე, რათა დააწოს მწვერვალი თითისა მისისა წყალსა და განმიგრილოს ენაი ჩემი: რამეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისათა (ლუკ. ივ, კდ).

ესრეთ ევედრებოდა აბრაამს მდიდარი, მყოფი სატანჯველსა შინა. ტანჯვა მისი იყო ესოდენ დიდი და საზარელი, რომელ იგი ნატრობდა ერთსა წვეთსა წყალსა გასაგრილებლად ენისა თვისისა.

რისთვის დაისაჯა ძმაო ქრისტიანენო, ეგ-ზომად მდიდარი იგი? მისთვის, რომელ მან თვისი ცხოვრება ამ სოფელში გაატარა უქმად, უსარგებლოდ მცონარეობასა შინა: **კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა, და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ.**

ამის მეტი არაფერი არ არის თქმული მას ზედა სახარებასა შინა. არა სჩანს, რომ მას რაიმე სხვა საქმე ეკეთებინოს კეთილი, ანუ ბოროტი. იგი მხოლოდ სჭამდა, სვამდა და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ. არც ის არის თქმული, რომ იგი ყოფილიყოს ძვირისმოქმედი ანუ კაცის მკვლელი, ანუ ღვთის შეურაცხმყოფელი, ანუ სხვა სულის წარმწყმედი საქმის დამნაშავე. მაშასადამე მიზეზი მისისა ფიცხელისა სასჯელისა იყო, როგორც ვსთქვით, მხოლოდ ის, რომ მან უქმად და უსარგებლოდ განატარა ეს ცხოვრება. სჩანს, ძმანო ჩემნო, რომელ სულის ცხოვნებისათვის არ არის საკმაო ის, როდესაც კაცი მხოლოდ ცუდსა საქმესა ერიდება და კეთილი საქმის ქმნას არ ჰცდილობს, არამედ ისიც საჭირო არის, რომ კეთილი საქმე რაიმე აღასრულოს კაცმა. სჩანს, რომელ ისიც დიდი სულის წარმწყმედელი ცოდვა არის, როდესაც კაცს შეუძლია კეთილი საქმის ქმნა და იგი კი უქმად და უსარგებლოდ ატარებს ცხოვრებასა თვისსა. რისთვის არის ესრედ? ღირს, რომ ამაზე ვსთქვათ ორიოდე სიტყვა.

უქმად და უსარგებლოდ გატარება ცხოვრებისა მისთვის არის დიდი ცოდვა, ძმანო ქრისტიანენო, რომელ ღმერთმა ეს სიცოცხლე მოგვცა ჩვენ არა შვებისა და ლხინისათვის, არამედ, უმეტეს, შრომისა, მეცადინეობისა და მოღვაწეობისათვის. ამას გვასწავლის საღმრთო წერილი, მასვე ამტკიცებს გასინჯვა კაცის ბუნებისა და მისთა თვისებათა. მაშასადამე კაცი, რომელი თვისსა ცხოვრებასა ატარებს ყოველთვის უქმად, არის წინააღმდეგი ღვთისა და წინააღმდეგი საკუთარისა თვისისა ბუნებისა.

მეორედ, როდესაც კაცი ატარებს უქმად თვისსა ცხოვრებასა, იგი ამით არა თუ მხოლოდ უნაყოფოდ გამოაჩენს მშვენიერთა მათ ნიჭთა და ძალთა, რომელნი ღმერთმან დანერგა ბუნებასა შინა მისსა და რომელი მას შრომითა და მეცადინეობითა უნდა დაემუშავებინა და გაევრცელებინა, არამედ კიდეც დაამდაბლებს მათ, გააფუჭებს და დაამახინჯებს. წარმოიდგინე ცხოვრება ზარმაცისა და უქმის კაცისა. მას ღმერთმა მისცა ჭკუა, გარნა ჭკუა მისი არ არის გაშლილი სწავლითა, არ არის გართული სასარგებლოთა საქმეთა შინა, იგი არ ჰფიქრობს მას ზედა, რომ ქვეყნის სასარგებლო საქმეს

შეუდგეს, იგი არის გართული ჭორთა, კაცის განკითხვათა
და სხვათა ამის მზგავსთა ჩვეულებათა შინა. ეს მისთვის, რო-
მელ ჭკუა კაცისა ეძიებს რომელსამე საზრდოსა, ყოველთვის
უქმი და დაძინებული ვერ გასძლებს და თუ კარგს საქმეში
არ არის გართული, უეჭველად გაებმება ცუდთა საქმეთა ში-
ნა. მგზავსად ჭკუისა სხვანიცა უქმად მყოფნი კაცის ნიჭნი და
ძალნი არიან დამდაბლებულნი და გაფუჭებულნი. გულითა
თვისითა კაცმან უნდა შეიყვაროს ყოველი კეთილი საქმე და
ქველის-მოქმედება, გარნა ეს შეიძლება მაშინ, როდესაც გუ-
ლი კაცისა არის დამუშაკებული და გაწვრთნილი დაუცხრო-
მელითა მეცადინეობითა და შრომითა. კაცმა თვისი გული
თუ არ გაასწორა და არ გააკეთა, იგი უთუოდ იქმნება წარტა-
ცებული ყოვლითა ამაოითა საქმითა და სურვილითა. მცო-
ნარესა კაცსა არ უყვარს თავის შეწუხება. მას ეზარება თვი-
სი გულის გასინჯვა და ძალის დატანება. ამისთვის გული მი-
სი არის გაქვავებული და ყრუ ყოვლისა კეთილისა საქმისათ-
ვის. გავიხსოვნოთ, როგორ ცხოვრობდა მდიდარი იგი აწინდე-
ლისა იგავისა. როდესაც იგი იჯდა გაბრწყინვებული სუფრასა
ზედა და იხარებდა დღითი-დღე, გლახაკი ლაზარე ეგდო მი-
სის კარის წინაშე მშიერი და შიშველი. მდიდარი მას ჰხედვი-
და, გარნა გაქვავებული გული მისი არ ჰგრძნობდა სიბრა-
ლულსა.

რა საჭირო არის კაცმა თავი შეიწუხოს შრომითა, თუ კი
იგი არის მდიდარი და შეუძლია თავისი რჩენა და ქველის საქ-
მისაც აღსრულება? არა, ძმანო ჩემნო! სიმდიდრე კაცს და-
ითხოვს შრომისა და მეცადინეობისაგან. რა არის სიმდიდრე?
საითგან გასჩნდება? სიმდიდრე არის ნაყოფი შრომისა. მაშასა-
დამე, კაცი, უქმად დროების გამტარებელი, სხვის ნაშრომს
სჭამს, ქვეყანას სიმდიდრეს აკლებს და მაგიერს არაფერს შე-
მატებს. ერთი სიტყვით, იგი არის კაცი მავნებელი საზოგადო-
ებისა.

ყოველი კაცი ხომ ვერ იქმნება ქვეყნის სასარგებლო? კი-
დევ მეტყვის ვინმე, ქვეყნის სარგებლობისათვის უნდა იფიქრონ
მხოლოდ მათ, ვინც არიან დაწინაურებულნი, აქვსთ უფლება,
მთავრობა და გავლენა ქვეყანასა ზედა, ხოლო წვრილთა.
უღონოთა კაცთა რა სარგებლობა უნდა მისცენ ქვეყანასა?
მართალია, ძმანო ჩემნო, დაწინაურებულნი საზოგადოებასა
შინა, ანუ სიმდიდრითა, ანუ სწავლითა, ანუ ხარისხითა უდი-
დესსა სარგებლობასა უნდა აჩვენებდეს ქვეყანასა, გარნა რაც
გინდა წვრილი და მდაბალი იყოს ადამიანი, მაინც შეუძლია
მცირე სარგებლობა მისცეს ქვეყანასა. ისიც დიდი სარგებლო-

ბა იქნება, თუ იგი არის შრომის მოყვარე! ისიც კეთილია, თუ მარტო თავის თავს არჩენს! ფუტკარმა, რომ იფიქროს: ერთი ჩემი თაფლის წვეთი რას იქმსო და თავი დაანებოს თაფლის ძებნას, მაშინ მრთელი სკა დამშივდება. რაც შეგიძლია, ძმაო, ის ჰქმენი. უმთავრესი საქმე და ღირსება აქ ის არის, რომ შრომის მოყვარება გქონდეს, ქვეყნის წარმატება გსურდეს და, რაც შეგიძლია, კიდეც შეეწეოდე მას. გაიხსოვნე გლახაკის ლაზარეს ცხოვრება. არა სჩანს სახარებითგან, რომ მას დიდი რამ სასარგებლო საქმე აღესრულებინოს, ან კი რა შეეძლო მას, იგი იყო მდებარე, წყლული და სნეული. მაშასადამე, რით სცხოვნდა იგი? რისთვის გარდაიყვანეს იგი წიაღსა შინა აბრაამისასა? ლაზარე სცხოვნდა მით, რომელ თუმცაღა იგი იყო გლახაკი და უძრავი, გარნა უთუოდ მაინც არ გაუტარებია დრო. სითგან სჩანს ესე? რა საქმე შეეძლო უძრავსა გლახაკსა? ეს სჩანს, ძმანო, მისგან, რომელ მას ქონდა ხასიათი კეთილი, გული გაწმედილი, აღვსებული ღვთის სასოებითა, იგი სულგრძელად ითმენდა თვისსა უბედურებასა, არ დაჰკარგა ღმერთზე სასოება, არ იყო დრტვინვაში, არ ქონდა შური და სიძულვილი უწყალოისა მდიდრისა. თუ ესრეთ არ ყოფილიყო, სითგან ეღირსებოდა იგი წიაღსა აბრაამისასა? გარნა ესრეთი ხასიათი უშრომელად არ მიეცემა კაცს, თვითონ კაცმა უნდა დაიმუშაკოს თვისი გული და გაიკეთოს კეთილი ხასიათი. სჩანს, რომ გლახაკმა ლაზარემ ისარგებლა თვით თვისითა უბედურებითა; სჩანს, რომ მისმა უბედურებამან გააღვიძა მისი ჭკუა და გული, ჩააგდო იგი ფიქრში, ასწავლა მას სულგრძელება, მოთმინება და სასოება ღმერთზე. ყოველი გლახაკი და უბედური არ იქცევა ამ სახით. სამწუხაროდ, მრავალნი, ლაზარეს მზგავსნი გლახაკნი, დაჰკარგვენ მოთმინებასა, შევლენ დრტვინვაში, სწყევლიან თვისსა ბედსა და არა თუ ისწავლიან მოთმინებასა და სასოებასა, არამედ სრულიად გაფუჭდებიან. მაშასადამე, არ ითქმის, რომ ლაზარე იყო უქმი. სხეული მისი იყო უძრავი, გარნა სული მისი მარადის იყო ფიქრსა და მოძრაობასა შინა. უთუოდ ამისთვის ეღირსა იგი წიაღსა აბრაამისასა.

შენც, ძმაო, თუ არაფერი შეგიძლია, შენი გული მაინც გაიკეთე, ხასიათი გაისწორე: ესეც დიდი არის ღვთის წინაშე! მარტო ამით იქმნები შენ სასარგებლო ქვეყნისა და ეღირსები წიაღსა აბრაამისასა, რომელიც ნუ მოგვაკლოს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. – ამინ.

სიტყვა

კბ-სა კვირიაკესა.

ხოლო აბრაამ ჰრქვა მას: შვილო! მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა, და ლაზარე ეგრეედვე მსგავსად ბოროტი; და აწ ესერა, აქა ესე ნუგეშინის-ცემულ-არს ხოლო შენ იტანჯები (ლუკ. ივ. კე).

დღეს წაკითხული სახარებითგან გესმა თქვენ, ძმანო, იგავი მდიდრისა კაცსა და გლახაკსა ლაზარესა ზედა. გესმა, რომელ მდიდარი იგი დღითი-დღე ატარებდა ცხოვრებასა თვისთა განცხრომითა, მხიარულებითა და ლხინითა, ხოლო გლახაკი ლაზარე იგი, მდებარე კარის ბჭეთა სახლისა მისისათა, იყო მარად-დღე მშიერი, მწყურვალი და დაწყლული; გარნა შემდგომად გარდაცვალებისა იგი იქნა წიაღთა შინა აბრაამისათა ნეტარი და ცხოვნებული; და მდიდარი, შთავრდომილი ჯოჯოხეთსა შინა, იტანჯებოდა მწარედ.

რისთვის სთქვა, ძმანო, მაცხოვარმან იგავი ესე? რას გვასწავლის ჩვენ მით იგი? რა დარიგებას გვაძლევს ჩვენ ამით? ესე ყოველი ცხადად და პირდაპირ სჩანს თვით ამ იგავითგან. აქ უფალი ჩვენი, ერთი მხრით, ყოველთა ღარიბთა, საწყალთა და უბედურებითა კაცთა აძლევს დიდსა ნუგეშსა, ასწავლის მხნეობასა და სულგრძელებასა მისთვის, რათა მოთმინებითა იტვირთონ ყოველი თვისი უბედურება და ესრედ, ვითარცა ლაზარემ, შეიძინონ საუკუნო ნეტარება; მეორე მხრით, ყოველთა მდიდართა და ნუგეშინის-ცემულთა ქვეყანასა ზედა უფალი იგავითა ამით წინადვე გაათრთხილებს, რათა სიმდიდრე თვისი არ მოიხმარონ, ვითარცა მდიდარმან ამან კაცმან, ერთისა მხოლოდ ხორციელისა ფუფუნებისათვის და ესრედ არ წარმწყმიდონ საუკუნოდ სული თვისი.

მართლა, ძმანო ჩემნო, როდესაც კაცი კარგად შეხედავს და დაუკვირდება სოფლიურსა ცხოვრებასა და მდგომარეობასა კაცთასა, ნახავს, რომელ მდგომარეობა ადამის ძეთა ქვეყანასა ზედა არის ორისა ხარისხისა. ზოგიერთნი კაცნი არიან მდიდარნი და მით პოულობენ ყოველსა ნუგეშსა და კმაყოფი-

ლებასა ამა სოფლისასა; სხვანი არიან ღარიბნი და სიღარიბი-
საგამო თვისისა ქვეშევრდომნი ყოვლისა ნაკლულევანებისა და
სიგლახაკისა. მდიდართა კაცთა სიმდიდრე თვისი ხშირად გარ-
დაექცევათ საფრთხედ და განსაცდელად. ბუნება კაცისა არის მი-
დრეკილი ცოდვისადმი; გარნა მდიდარი კაცი თვით სიმდი-
დრესა შინა თვისსა ჰხედავს ადვილსა საშუალებასა დასაკმაყო-
ფილებლად ყოვლისა თვისისა ცუდისა მიდრეკილებისა. ლხინი
და დაუცხრომელი მხიარულება ესოდენ დაავიწყებინებს მას
თავსა თვისსა, რომელ იგი აღარ ხედავს, რავდენნი არიან მის
სიახლოვეს მშიერნი და უბედურნი. ოდეს იგი ყელამდე არის
მაძღარი და შთაფლული ფუფუნებასა შინა, იქმნება იმავე ჟამს
მრავალი გლახაკი კვდება შიმშილითა და წყურვილითა; გარნა
იგი არ ჰფიქრობს ამაზე. აჰა მიზეზი, რომლისათვისცა მაცხო-
ვარი დღეს იგავსა შინა აღწერს და ცხოვლად წარმოგვიდგენს
ჩვენ, ცხოვლად დაადგენს წინაშე თვალთა ჩვენთა, რა ხვედ-
რი მოელის ყოველსა უგრძნობელსა მდიდარსა მომავალსა ში-
ნა საუკუნესა. ამით მაცხოვარი ცხადად ეტყვის მდიდარსა:
ნუ დაივიწყებ თავსა შენსა, არ დაგეძინოს განცხრომასა და
ლხინსა შინა; სხვა სახით, მოიხმარე სიმდიდრე შენი, და არა
ისრე, ვითარცა იხმარდა მდიდარი იგი იგავისა. რომელიც კა-
ცი ჭამისა, სმისა და ლხინის მეტს არაფერს აკეთებს ქვეყანა-
სა ზედა, იგი ცხადად დაემსგავსება პირუტყვთა. ადამიანს მის-
თვის მისცა ღმერთმა უმაღლესი ბუნება, რათა იგი ეძიებდეს
უმაღლესსაცა სახესა ცხოვრებისასა.

გარნა, ძმანო, მდიდარნი და ბედნიერნი ფრიად მცირედნი
არიან ქვეყანაზე, მეტადრე ჩვენსა ქვეყანასა შინა, უმეტესი ნა-
წილი კაცთა არის ღარიბი და სიღარიბისა გამო ითმენს აღურაც-
ხელსა იწროებასა და უბედურებასა. ვინ აღწერს, რავდენნი
არიან ქვეყანასა ზედა ღარიბნი და უბედურნი! რავდენსა სხვა
და სხვა ნაირსა ითმენენ იგინი ჭირსა, იწროებასა, თუ სიმში-
ლით, ანუ წყურვილით, თუ სიშიშვლით, ანუ ავადმყოფობით,
ანუ კაცთა უსამართლოებით, და სხვათა და სხვათა მრავალ-
ფერთა ჭირთა. მაცხოვარი ამათ ყოველთა, გლახაკი ლაზარეს
სახითა, აძლევს გამოუთქმელსა ნუგეშსა და სწავლასა.

ამით უფალი ესრეთ ეტყვის: ჭირი თქვენი და უბედურება
არის მოკლე, დროებითი. მოვა მალე დრო, როდესაც გამოი-
ცვლება თქვენი მდგომარეობა; უკეთუ თქვენ მსგავსად ლაზა-
რესა სულგრძელად მოითმენთ ჭირსა, მსგავსადმე მისსა იქმნე-
ბით დაჯილდოებულნი საუკუნოითა ნეტარებითა. მართლა,
ძმაო, წარმოიდგინე ერთი ვინმე გლახაკი და უბედური ლაზა-
რე. ამ ქვეყანაზე აღარ დარჩა მისთვის არცა ერთი ნუგეში.

რაღა იქმნებოდა მისი სიცოცხლე, თუ ამასთანავე მას არც ის ნუგეში ქონდეს, რომ ზეცათა შინა არს ღმერთი, საზოგადო მამა ყოველთა, მასაც უყურებს მოწყალითა თვალითა და მისთვისაც ამზადებს ზეცათა შინა საუკუნოსა განსვენებასა! ამ ნუგეშით ყოველი გლახაკი ადვილად მოითმენს სიგლახაკესა თვისსა. და არათუ მოითმენს, არამედ აქითგან ისწავლის მეორესა და დიდსა მცნებასა მაცხოვარისასა, ესე იგი, რათა გლახაკსა და საწყალსა კაცსა არ ქონდეს შური და სიძულილი მდიდრისა და ბედნიერისა კაცისა.

მართლა, ძმაო ჩემო, ადამიანის ცხოვრება რომ გათავდებოდეს მხოლოდ ამ სოფლის ცხოვრებითა, – გლახაკმა და შეწუხებულმა კაცმა არ იცოდეს, რომ საფლავისა გადაღმა არის კიდევ სხვა განსაკუთრებითი ცხოვრება, ერთი სიტყვით, სახარება რომ არ გვარწმუნებდეს ჩვენ, რომელ მომავალსა საუკუნესა სხვაფერ დაიწყება ცხოვრება ჩვენი, იქ სიმართლისამებრ გასწორდება ხვედრი ყოვლისა კაცისა; იქ მომკის ყოველი კაცი, რაცა აქ დასთესა, უკეთუ ესრეთი ჰაზრი არ აძლევდეს მხნეობასა ყოველსა საწყალსა კაცსა, მაშინ არ ვიცი, რითღა ახსნიდა კაცის გონება ამ სოფლის მდგომარობასა. რით გაამართლებდა ჭკუა ჩვენი განგებასა ღვთისასა, ანუ ახლა ხორციელისა კაცის სიცოცხლისა დაწყობილებასა. მართლა, წარმოიდგინე, ძმაო, რომელ ერთი ვინმე გლახაკი ლაზარე მაშვრალი და ტვირთ-მძიმე ყოვლითა უბედურებითა და განსაცდელითა, მოკლებულ ყოვლითა ნუგეშითა შესცქერის განცხრომასა და ლხინსა მდიდარისა კაცისასა. გლახაკი იგი გრძნობს თავის გულში, რომ იგი არაფრით არ არის უარესი მდიდარისა მის, არა თუ უარესი, არამედ იგი გრძნობს ხშირად, რომელ ყოვლის-ფრით, ჭკუით, სიმართლით არის უმჯობესი მდიდარისა მის, გარნა აჰა-ესერა იგი იტანჯება და მდიდარი იგი, უგრძნობელი და უგუნური, არის აღვსებული ყოვლითა ბედნიერებითა. არ იფიქრებსა იგი: სად არის სამართალი, სად არის ღმერთი, რა არის ჩვენი ცხოვრება, ვინ დააწყო ესრედ უგუნურად ეს სოფელი, ღირსა, რომ იცოცხლოს კაცმა ამ ქვეყანაზე, არ სჯობია, რომ ერთ წამსვე მოვსპო ეს ჩემი უგუნური სიცოცხლე? უთუოდ ესრედ იფიქრებს ზოგჯერ გამწარებული გლახაკი ლაზარე: გარნა ნუგეშინინ, საწყალო, გლახაკო ლაზარე! აჰა-ესერა სახარება გაძლევს შენ გამოუთქმელსა ნუგეშსა: იგი ისე კარგად ახსნის შენსა ცხოვრებასა, რომელ იქმნება ნაცვლად ტირილისა შენ მადლობაც შესწირო ღმერთსა, რომ ცხოვრება შენი არის ესრეთი და არა მზგავსი მდიდარისა მის; თვით ამ სიგლახაკითა და უბედურებითა შე-

ნითა შენ უადვილესათ შეგიძლია მიაღწიო დიდსა მას ბოლო-
სა, რომელი დაუნიშნა ღმერთმა ყოველსა ადამიანსა, მაშინ
ოდეს მდიდარი იგი, მისდა საუბედუროდ. თვით სიმდიდრითა
თვისითა დაჰკარგავს მას.

აჰა, ძმანო, რა დიდი სწავლა და ნუგეში მოგვცა დღეს
ჩვენ მაცხოვარმან. – ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

ოცდა-ორს კვირიაკესა.

ძმანო მართმადიდებელნო ქრისტიანენო!

თუმცა იგავი, დღეს თქვენმიერ მოსმენილი სახარებითგან
მდიდარსა კაცსა და გლახაკსა ლაზარესა ზედა, მრავალგზის
იყო საგნად ჩვენისა თქვენს წინაშე უბნობისა, გარნა, ვინაით-
გან იგი არის ერთობ მშვენიერი და აღმაშენებელი კაცის ზნე-
ობისა და ვინაითგან მისი განხილვა შეიძლება სხვა და სხვა
კერძოით, ამისთვის დღესაც მივაქციოთ მას ზედა ყურადღება
და განვიხილოთ ერთი მისი კერძო.

პირველად, რამ გააფუჭა ზნეობა მდიდარისა ამის? რამ
გააქვავა ესოდენად მისი გული, რომ მას კაცი არ ებრალებო-
და? ერთი სიტყვით, როგორ მოჰხდა, რომ ის არაფერს არ
ჰფიქრობდა ამ ქვეყანაში, მხოლოდ ჭამას, სმას და ლხინს?
მიზეზი ამისა ის იყო, ძმანო, რომ მას არ ჰქონდა სასოება
ღმერთზე, იგი იყო კაცი ურწმუნო; იგი ჰფიქრობდა, რომ, რა
კი კაცი ხორციელად მოკვდება, მეორე ცხოვრება აღარ ექმ-
ნება მას. რომ იგი მართლა იყო კაცი ურწმუნო და უსასო,
ეს ჩანს თვით ამ იგავითგან: **გლოცავ შენ, მამაო აბრაამ,** ეტ-
ყვის მდიდარი ესე აბრაამსა ჯოჯოხეთითგან, **მიავლინე ლაზა-
რე სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ მიხსენ ხუთნი ძმანი, რათა
აუწყოს მათ და არა მოვიდეს იგინი ადგილსა ამას სატანჯველისასა.**
აქითგან ჩანს, რომ, როდესაც იგი სცხოვრებდა ქვეყანაზე,
იგი სრულიად არ ფიქრობდა, რომ არის კიდევ მეორე ცხოვ-
რება.

ახლა ვსთქვათ ლაზარესთვის. რამ გაამხნევა იგი? რამ მი-
სცა მას ეგოდენი სულგრძელება, მოთმინება, გონიერება, რო-

მელ იგი, მყოფი საშინელსა განსაცდელსა შინა, მშიერი და
მწყურვალი, ამასთანავე სნეული და უძლური, დავრდომილი
კარის ბჭეთა-თანა მდიდრისა, იმ ზომად, რომელ ძაღლნიცა
მოვიდოდნენ და ლოშნიდნენ მისსა წყლულებასა, იგი არ წახდა,
გული არ გაიფუჭა, ღმერთზე არ დრტვინვიდა, მდიდარის შუ-
რი არ ქონდა? რამ მოახდინა ეს სასწაული? იმან, ძმაო ჩემო,
რომ ლაზარეს ქონდა ღმერთზე სასოება, იგი განიზრახვიდა
და ანუგეშებდა თავის თავს მით, რომ აქვე არ გათავდება მი-
სი ცხოვრება, არამედ არის მომავალი საუკუნე, რომელსაც
მართლ-მსაჯული ღმერთი მიაგებს მას მისისა მოთმინებისათვის;
რომელ სჯობია და ურჩევნია მას ამ წუთის სოფელში მოი-
თმინოს ყოველი მომავალისა სასოებისათვის.

აჰა, ძმანო ჩემნო, რა მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებასა
და სასოებასა! რა უბედური, საწყალი და წახდენილი არის კა-
ცი უსასო; ხოლო როგორ გაამხნევებს და გაანათლებს კაცსა
სარწმუნოება და სასოება! მართლა, რაკი კაცმა თავის გულში
ერთხელ გარდასწყვიტა, რომ არ არის ცხოვრება მომავალისა
საუკუნოისა, და არცა ნაცვლად-მიგება ცოდვილისა და მარ-
თალისა, ესრედისა კაცისათვის მეტი აღარაფერი აღარ დარჩე-
ბა ამ ქვეყანაში, მხოლოდ ჭამა, სმა და ლხინი. ვერც კი გავამ-
ტყუნებთ მდიდარსა იგავისასა, რომ იგი სცხოვრებდა მგზავ-
სად პირუტყვთა. მას მეტი სასოება არ ჰქონდა! რაკი მომა-
ვალი საუკუნე მას არ სწამდა, სწორედ უმჯობესი იყო მის-
თვის, რომ იგი იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და
იხარებდა დღით-დღე ბრწყინვალედ. რისთვისღა შეაწუხებდა
იგი თავის თავს? რისთვის მოიკლებდა იგი სიხარულსა და
განცხრომასა? რისთვის მისცემდა იგი თავის თავს შრომასა და
გაჭირვებასა? და აჰა-ესერა მან იწყო ჭამა, სმა და ლხინი და
დაემზგავსა პირუტყვთა უგუნურთა. აჰა, ძმაო, რა ძნელი
არს, – კიდევ ვიტყვი, როდესაც კაცს აკლია სასოება და
სარწმუნოება! იგი შეიქმნება თავის მოყვარე, მას აღარ აქვს
კაცის სიბრალული, იგი ჰფიქრობს მხოლოდ თავის კმაყო-
ფილებაზე.

წინააღმდეგ ამისა იქცევა კაცი, რომელსა აქვს გულში
ჭეშმარიტი სასოება და სარწმუნოება. თუ მდიდარი არის
იგი, არ განლაღდება, არ დაივიწყებს თავსა თვისსა. სიმდი-
დრე მას არ გააფუჭებს: მას ყოველთვის აქვს სახეში მომა-
ვალი საუკუნე და ეშინია, რომ არ მოაკლდეს მას, და ჰცდი-
ლობს თვით სიმდიდრე თვისი მოიხმაროს ამ საქმისათვის.
თუ იგი არის ღარიბი, მაშინ იგი არ შთავარდება სასოწარ-
კვეთილებასა შინა, არამედჰცდილობს, რომ, რაც შეუძლია

და რითაც შეუძლია, სათნო-ეყოს ღმერთსა. მაშასადამე, ნუ ოფიქრებ, რომ მდიდარი წარმწყმდა მხოლოდ მისთვის, რომ სიმდიდრე ჰქონდა, ანუ ღარიბი სცხონდა მარტო სიღარიბით. სიმდიდრე თავის თავად ვერც აცხოვნებს, ვერც წარწყმედს კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა; მზგავსადვე სიღარიბე. სულის ცხოვნება დამოკიდებულია სასოებასა და სარწმუნოებასა ზედა. ვისაც ესენი აქვს გულში ცხოველად იგი სიმდიდრესაც მოიხმარს ცხოვრებისათვის და სიღარიბესაც. – ამინ.

სიტყვა

იბ-სა კვირიაკესა.

> მღვიძარე იყვენით, მტკიცედ სდეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით. ყოველივე თქვენი სიყვარული იყავნ. (ა. კორ. ივ, იგ, იდ,).

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

დღევანდელი ჩვენი ლოცვა და წირვის მოსმენა შევავსოთ მოკლე საუბრითა იმ საგანზე და სწავლაზე, რომელსა გვაძლევს ჩვენ წმიდა მოციქული პავლე ამა სიტყვათა შინა: **მღვიძარე იყვენით, მტკიცედ ჰსდეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით.**

რა არის, პირველად, მღვიძარედ ყოფნა? თუ ამის შეტყობა გინდა, წარმოიდგინე, ძმაო, მღვიძარეობის წინააღმდეგი მდგომარეობა, ესე იგი, მძინარება. მძინარება ის არის, როდესაც კაცი წევს უძრავად, არ ესმის, არ ხედავს, არ ლაპარაკობს; ერთი სიტყვით, არ ხმარობს არცა ერთსა თვისსა ნიჭსა და ღონესა და ემგზავსება მკვდარსა. წინააღმდეგ ამისა მღვიძარე კაცი ის არის, რომელიც მოძრაობს, შრომობს და ჯეროვანად ხმარობს ყოველთა თვისთა ხორციელთა და სულიერთა ორღანოთა, ერთი სიტყვით, არის კაცი ცოცხალი და ცხოველი. გარნა შეიძლება მღვიძარეობა კაცმა იხმაროს როგორც კეთილი საქმისათვის, ეგრედვე ცუდი საქმისათვის; ხო-

ლო წმიდა მოციქული პავლე ჩვენგან მოითხოვს მღვიძარებასა კეთილსა საქმესა შინა და უმეტესად ღვთის მსახურებასა და სჯულის აღსრულებასა შინა: მღვიძარე იყვენით, გვეტყვის იგი, მტკიცედ სდეგით სარწმუნოებასა შინა. ისე არსად არ არის კაცისათვის საჭირო და სასარგებლო მღვიძარეობა, როგორადაც სარწმუნოებასა შინა. როდესაც შენ მღვიძარე ხარ, ძმაო, რას აკეთებ და რისთვის ხმარობ შენს ჭკუას, შენს ღონეს, თვალს, ყურს, ხელს, ენას და სხვათა შენთა ორღანოთა? პირველად, მისთვის, რათა დაიფარო შენი თავი ყოველთა მავნებელთა შემთხვევათა და მოვლინებათაგან; მეორედ, მისთვის, რათა მოიპოვო, ანუ შეიძინო, რაიცა არის საჭირო შენისა სიცოცხლისათვის. მგზავსად ამისა სულიერსა ცხოვრებასაცა შინა მღვიძარეობა არის საჭირო პირველად მისთვის, რათა დაიფარო შენი სული და გული ყოველთა შენის სჯულისა სასოებისა და სარწმუნოების წინააღმდეგთა და მავნებელთა ჰაზრთა და შეგონებათაგან; მეორედ, მისთვის, რათა შეიძინო და მოიპოვო ყოველი, რაიცა გააღვიძებს, გააცოცხლებს და განამტკიცებს შენსა სულიერსა ცხოვრებასა, ესე, იგი, სარწმუნოებასა და სასოებასა: **მღვიძარე იყვენით, მტკიცედ სდეგით სარწმუნოებასა ზედა.**

როდესაც წმიდა მოციქული პავლე ამ სიტყვებს მისწერდა კორინთელთა, მაშინ დიდი დევნულება და ტანჯვა ქონდათ ქრისტიანეთა ურწმუნოთა წარმართთაგან. ფრიად საჭირო იყო მათთვის მღვიძარეობა და სიმტკიცე სარწმუნოებასა შინა. ახლა, თუმცა ქრისტიანე არ ითმენს დევნასა და ტანჯვასა სარწმუნოებისა თვისისათვის, გარნა ახლაც დიდად საჭიროა მღვიძარეობა და სიმტკიცე სარწმუნოებასა შინა, ვინაითგან სჯულის წინააღმდეგნი ყოველთვის იყვნენ და ახლაც, ამ ჩვენს დროს, უმეტესად განმრავლდენ. მაშასადამე, თუ ქრისტიანემ დაიძინა, მღვიძარე არ არის ის და ფრთხილად არ იქცევა, ადვილად შთავარდება განსაცდელსა შინა და მოაკლდება სარწმუნოებასა, ესე იგი, სულიერსა თვისსა სიცოცხლესა, სულიერსა საუნჯესა.

მხნე იყვენით და განძლიერდით, იტყვის კიდევ მოციქული პავლე. მხნეობა მღვიძარებაზე უმჯობესი და უდიდესი თვისება არის. მხნეობა არის ძალა და სიმტკიცე კაცის სულისა. მხნე კაცი ის არის, რომელიც ყოველს საქმეს და შრომას ასრულებს ხალისიანად და სასოებით, რომელსა საქმე არ მოეწყინება, რაც გინდა ძნელი იყოს, მეტადრე არ მოეწყინება კეთილი, სულიერი საქმე და ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს. მხნეობა უმეტესად გამოუჩნდება კაცს მაშინ, როდესაც იგი

არ დაღონდება, არამედ უმეტესად განძლიერდება ყოველს წინააღმდეგს და დამაბრკოლებელს შემთხვევაში. სადაც სუსტი და სულმოკლე ადამიანი დაღონდება და არ იცის, რა ქმნას, იქ მხნე კაცი უმეტესად გაღონიერდება; იმას ყოველი წინააღმდეგი შემთხვევა თითქოს გააჯავრებს და ღონეს მოუმატებს; მხნე კაცი ყოვლისა სამწუხარო შემთხვევისაგან და მავნებელისა მოვლინებისაგან გამოვა ძლევა-შემოსილი; ას-ჯერ რომ დაიმარცხოს და საქმე გაუფუჭდეს, მაინც არ დაღონდება, არამედ ხელახლა მიუბრუნდება თვისსა შრომასა და საქმესა და ბოლოს უთუოდ ერთხელ გაიმარჯვებს. არა ამაოდ იტყვის მოციქული: **მხნე იყვენით და განძლიერდით;** მხნეობა განაძლიერებს ადამიანს. მხნე კაცი უბედურებასა შინა არ იქმნება განლაღებული. ერთი სიტყვით, მხნეობა არის უძვირფასესი თვისება ადამიანისა.

გარნა შეიძლება, რომ მხნეობაც ბოროტად იხმაროს კაცმან და კიდეც ვხედავთ, სამწუხაროდ, რომელ ამა სოფლისა და ცოდვისა მოყვარენი უდიდესსა მხნეობასა და ღონესა ხმარობენ თვისთა საქმეთა შინა, ვიდრემდის ქრისტეს მოყვარენი და ღვთის მსახურნი, მაშინ როდესაც მხნეობა ისე არავისთვის არ არის საჭირო, როგორც ქრისტეს მოყვარე კაცისათვის. აღსრულება ქრისტეს მცნებათა მოითხოვს ჩვენგან დაუძინებელსა შრომასა და შეურყეველსა მხნეობასა. აქ კაცი ებრძვის და ეჭიდება არა თუ გარეგანთა წინააღმდეგთა შემთხვევათა და განსაცდელთა, რომელიც ადვილი არის, არამედ თვით თავის თავს უნდა ებრძოდეს და თავის სულს და გულს უნდა ეჭიდებოდეს. წარმოიდგინე, რა სიმხნე, რა-ზომი მხნეობა და ღონე უნდა იხმარო, შენ, ძმაო, მაშინ, როდესაც ხშირად შეგემთხვევა ისეთი გარემოება, სადაც საკუთარის შენის სულის და გულის სურვილი უნდა დაივიწყო და დათრგუნო; რაც გიამება, ის უნდა მოიძულო, რაც არ გიამება, ის შეიყვარო და აღასრულო, შენი საკუთარი ბუნება უნდა გამოსცვალო, დღე და ღამ შენს თავს უნდა ებრძოდე, ხშირად შენი თავი, ვითარცა მტერი, სდევნო და შეავიწროვო. ამას ვერ იქმნს, ვისაც არა აქვს დიდი და აღმატებული მხნეობა და სულგრძელება. მით უმეტესად არის საჭირო კაცისათვის სიმხნე, რომელ ზოგიერთი კაცი თუმცა კეთილი არის, კეთილი საქმე უყვარს და სურს, გარნა თუ სიმხნე არა აქვს, მისი კეთილობა უქმი და უნაყოფო იქმნება. იმას სურს კეთილი საქმის ქმნა, მაგრამ, როდესაც დაიწყება, პირველი დაბრკოლება მას დააღონებს და გააჩერებს. მისთვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით: **ღმერთო, მოეც ძალი სიკეთესა ჩემსა.**

თუ ასე საჭირო არის დიდი მხნეობა, რა სახით შევიძინოთ იგი? პირველად, ჩვენი აზრი, ანუ ჭკუა უნდა დარწმუნდეს, მიხვდეს და დაიჯეროს, რა დიდი და კარგი რამ არის მხნეობა! რა კი აზრი იმაში განმტკიცდა, გულიცა, ანუ სურვილი კაცისა მიიქცევა მისდამი, კაცი მოინდომებს, რომ შეიძინოს ის თვისება და, რა კი კაცმა რაიმე მტკიცედ მოინდომა, ისურვა, უთუოდ მოიპოვნის მას; ღმერთიც, რა კი შეხედავს, რომ შენ გსურს მხნეობის შეძენა სარწმუნოებასა შინა, შეგეწევის თვისითა საიდუმლოითა მადლის მოქმედებითა. – ამინ.

სიტყვა

ტაძრად მიყვანებასა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისასა.

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

ერთი ძველი, საღმრთო მოთხრობა, გადმოცემული ჩვენდამო წმიდათა მამათაგან, გვეტყვის ჩვენ, რომელ, ოდესაც ყოვლად-წმიდა მარიამ შობითგან იყო მხოლოდ სამისა წლისა, მშობელთა მისთა, იოაკიმე და ანნამ, თანახმად აღთქმისა თვისისა, მიიყვანეს იგი იერუსალემს ტაძარსა შინა და მიაბარეს მუნ აღსაზრდელად, და იმ ჟამითგან იგი სწავლობდა საღმთოსა წერილსა და ეჩვეოდა კეთილსა ზნეობასა. ეს არის ის შემთხვევა, რომელსა ჩვენ ახლა ვდღესასწაულობთ, ქრისტიანენო! მაშასადამე აწინდელი დღესასწაული ყოველთა მშობელთა, რომელთა უვიან ძენი და ასულნი და უყვარან იგინი, ასწავლის და აფრთხილებს, ადრითგანვე იფიქრონ სწავლა და აღზრდა მათი; ადრითგანვე დანერგონ გულთა შინა მათთა ყოველი კეთილი ზნეობა და ჩვეულება. რა სახით უნდა აღასრულონ მათ ეს დიდი მოვალეობა? იოაკიმე და ანნამ თვისი მხოლოდ-შობილი ასული მიაბარეს ტაძარსა შინა მსახურთა ტაძრისათა; გარნა ეს იყო საკუთარი ღვთის განგებულება; ამას ყოველი მშობელი ვერ მოჰბაძავს და არცა გვაქვს ჩვენ ჩვეულებად მიბარება შვილთა ტაძართა შინა აღსაზრდელად. მაშასადამე, როგორ უნდა მოიქცენ აწ მშობელნი? ისინი უნდა ეცადნენ, რომ თვით საკუთარი მათი სახლი და ოჯახი გარდაიქცეს საღმრთო საყდრად, აღმზრდელად და განმა-

ნათლებელად თვისთა შვილთა და ასულთა და ნაცვლად ტრა-
პეზისა მსახურთა თვით მშობელნი ადრითგანვე ზრდიდენ და
ანათლებდენ თვისთა მშობელთა.

მართალია, რაც შეეხება კარგის ზნეობის და ზრდილობის
სწავლასა, ამაზე ჩვენ, მცხოვრებთა იმერეთისათა, გვქონან რო-
მელნიმე ძველითგანვე მიღებულნი და განმთკიცებულნი ჩვეუ-
ლებანი: ყოველნი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებნი, მეტადრე კე-
თილშობილნი, ასწავლიან, რაც შეუძლიათ, თვისთა შვილთა
და მიაჩვევენ ზრდილობასა, თავაზიანობასა, დარბაისლობასა.
ერთს ჩვენს მაღალს, ძველს, წარჩინებულს პოეტს მშვენიერად
გამოუთქვამს: **გვარი ათასად დაფასდა, ორი ათასად ზრდილობა,** და ეს
მოკლე, ძლიერი და მშვენიერი სიტყვა კარგად გამოჰხატავს ჩვენსა
ხასიათსა; ჩვენ მოგვწონს, როდესაც ვხედავთ კარგად გამოზრ-
დილსა ყმაწვილსა; ჩვენში ყოველ კაცს დიდ-ქებად მიაჩნია,
როდესაც მასზედა იტყვიან, რა კარგი ზრდილობიანი კაცი
არისო. და თუ ვისმეს უთხრეს უზრდელი ხარო, ეს მიაჩნია
მას უკანასკნელ გინებად. გარნა რაში, სახელდობრ, მდგომარე-
ობს ეს ჩვენი ზრდილობიანობა? ვგონებ, რომელ ჩვენ ზრდი-
ლობიანობას ვეძახით მხოლოდ გარეგანსა ქცევასა. თუ ბავ-
შვი არის თავაზიანი, ლაპარაკში მომფერებელი, მას ვეძახით
ჩვენ კარგს ზრდილობიანსა; გარნა ეს საკმაო არ არის, ძმანო
ჩვენო. კი ესეც საჭირო არის და კარგი, რომ ბავშვი იქცეო-
დეს ზრდილობიანად; საზოგადოებაში ურიგოდ და შემარცხვე-
ნელს არას იტყოდეს და იქმოდეს, გარნა უმთავრესი საქმე
შვილის გამოზრდისა სხვა არის. კაცი არა თუ მხოლოდ გარე-
განითა ქცევითა უნდა იყოს კარგი, არამედ შინაგანი სულიე-
რი თვისება, გულის და სულის ხასიათი უნდა ჰქონდეს კეთი-
ლი. გარნა იმ სახით აღზრდა შვილისა, რომ ყოველთვინ
მან იქონიოს კეთილი ხასიათი, არის ფრიად მძიმე და ძნელი
საქმე და მოითხოვს დიდსა და გაუწყვეტელსა მეცადინეობასა
მშობელთაგან. ნუ გგონია, ძმაო ჩემო, რომელ ცოდვა და
მადლი, კეთილი ანუ ბოროტი ზნეობა, კარგნი ანუ ავნი მიდ-
რეკილებანი ადამიანის გულში გაჩნდებიან მხოლოდ მაშინ,
როდესაც იგი არის მოსული ჰასაკსა შინა? არა, თითქმის იმ
ჟამითგანვე, ოდეს შვილნი შენნი არის ჩჩვილი, შეატყობ მას,
რომელ მის გულში არის ნერგი ყოველთა მომავალთა თვისე-
ბათა, მაშასადამე, იქითგანვე უნდა იწყო მისი სწავლა და გა-
მოზრდა, იქითგანვე უნდა მიაჩვიო ყოველსა კეთილსა და გარ-
დააჩვიო ყოვლისა ბოროტისაგან. ყოველთა მათ ცოდვათა და
უწესოებათა, რომელთა აწ, საუბედუროდ, ვხედავთ მცხოვ-
რებთა შორის ამა ქვეყნისათა, მე თითქმის იმას ვაბრალებ და

იმით ავხსნი, რომელ იგინი სიყრმითგანვე იყვნენ მოკლებულ-
ნი კეთილ-გონიერსა ყურადღებასა და გამოზრდასა. რისთვის
არის ჩვენს ქვეყანაში ესოდენი შფოთი, სიძულვილი, შური
ურთიერთთა შორის? ვგონებ უმეტესად მისთვის, რომ სიყრ-
მითვე და ბავშვობითვე მშობელნი არ ცდილობენ და არ და-
ნერგვენ სიყვარულსა, ერთობასა შვილთა შორის. სითგან
არის ეს უბედურება ჩვენში, რომელ მართალსა და პირ-მოუ-
ფერებელს კაცს ათასში ერთს ვერ იპოვნი, არამედ ყოველი
კაცი მრუდედ, მზაკვრებით და ფარისევლაბით ლაპარაკობს
და იქცევა? ადვილად აიხსნება ეს. გაიხსოვნე, ძმაო, როგორ
იზრდებიან ბავშვები სოფლებში: როდესაც ბავშვი შეიქმნე-
ბა სამისა ანუ ოთხისა წლისა, ესე იგი, ფეხი რომ აიდგა, თა-
ვის თავად შეიძლო სიარული, ამ ჟამითგანვე დაწყებული იგი
არის სრულიად თავისუფალი და აშვებული; დადის ყოველ-
გან, დარბის ქუჩებში; რას ნახავს, რას გაიგონებს, რას ეჩვევა,
რა ჰაზრი და თვისება გაუჩნდა, ამას არავინ იკითხავს. თუ
ღმერთმა ჰქმნა და შობითგანვე კარგი ხასიათი ქონდა, იქმნე-
ბა, რომ გადარჩეს უბედურებას და არ ისწავლოს ყოველი სი-
ცუდე; გარნა ესრეთნი არიან მცირედნი; თითქმის სუყველანი
ამ ჟამითგან სრულიად განირყვნებიან, ყოველ ცუდს საქმეს
გაიგებენ და მიეჩვევიან, ისე რომ მშობელნი ვერც კი შეი-
ტყობენ, სად რა ისწავლა საწყალმა ბავშმა. ასე არის ამ ჩვენს
ქვეყანაში. გარნა სხვა ქვეყანაში სხვაფერ არის. სხვა უცხო
ქვეყნებში ბავშვები, როგორც რომ მიეჩვევიან სიტყვის გამო-
თქმას, მაშინვე დედ-მამა ასწავლის მათ ლოცვებს; როგორც
შეიქმნება ექვსისა წლისა, მაშინვე მისცემენ სკოლაში, რომე-
ლიც ყოველს სოფელში არის, და ესრედ შობითგან სრულს
ჰასაკსა მოსვლამდე შვილი ნასწავლი, დარიგებული, გაწვრ-
თნილი გამოვა ფრთხილი, გონიერი მტკიცე, მეცადინე, შრო-
მის მოყვარე და მამულის სასარგებლო.

ხშირად ისმის საზოგადოებასა შინა ჩივილი და დრტვინვა
მას ზედა, ვითომც ყმაწვილნი აწინდელთა სახაზინოთა სასწავ-
ლებელთა შინა, არა თუ კარგად არ სწავლობენ, არამედ ფუჭ-
დებიან ზნეობითა. მე არ მივიღებ აქ თავზე გამართლებასა
მათსა, რომელთა საზოგადოება მიაბარებს აღზრდად შვილთა
თვისთა. ამას კი ვიტყვი, – თვით იგინი როგორ ამართლებენ
თავთა თვისთა: რა ვქმნათ ჩვენა, მაშინ ოდესაც, ვიდრე მშო-
ბელნი მოგვაბარებდნენ შვილთა თვისთა, ესენი კიდეც არიან
გაფუჭებულნი ზნეობითა. რა გააფუჭებს ანუ როგორ გაფუჭ-
დება ესრეთი მცირე-წლოვანი ბავშვი? მაგალითი და ხედვა
მშობლის ქცევისა. ბავშვს, როგორადაც მდაბიურად იტყვიან,

ჭკუა თვალში აქვს: რასაც ხედავს, იმას მიეჩვევა; რაც ესმის, იმას დაიხსოვნებს. მაშასადამე, ამაო იქნება სიტყვიერი სწავ-ლა და დარიგება მშობლისა, და ეგრედვე მასწავლებელისა, უკეთუ იგი ენით ერთს იტყვის და საქმეს კი სხვას აჩვენებს. აჰა რისთვის ვსთქვით ჩვენ თავითგანვე, რომელ საკუთარის მშობლების სახლი და ოჯახი უნდა გარდაიქცეს საყდრად, აღმზრდელად შვილთა.

ეს ყოველივე უნდა გქონდეს სახეში თქვენ, მშობელ-ნო, რომელმა ღმერთმან მოგცათ ძენი და ასულნი! გამო-ზრდა მათი არის უმთავრესი საქმე თქვენის ცხოვრებისა. თვით ღმერთი ოდესმე მოიკითხავს თქვენგან, უკეთუ თქვენითა ცუ-დითა ყოფაქცევითა მიეცა რომელიმე დაბრკოლება შვილთა თქვენთა; გარნა უკეთუ თქვენ თვითონაც იქცევით პატიოსნად, მაშინ შვილნიცა თქვენნი ისწავლიან პატიოსნებასა და მიიღე-ბენ კეთილსა ზნეობასა. – ამინ.

სიტყვა

კდ-სა კვირიაკესა.

ხოლო იესო ჰრქვა მას: ნუ გეშინინ,
ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა,
შენ; ვიდოდე მშვიდობით (ლუკ. ᲘᲒ, მᲘᲒ).

ოდეს მაცხოვარი, გარემოცული უმრავლესითა ერითა, მიდიოდა სახლსა შინა იაიროისასა, მაშინ დედაკაცი ვინმე, რომელი იყო დიდი ხნითგან სნეული და რომელმან გადააგო ყოველი თვისი ქონება ექიმთა და ვერ მიიღო მათგან კურნე-ბა, მიეახლა მას ფარულად და შეახო ხელი შესამოსელსა მის-სა. ესოდენი მტკიცე სარწმუნოება ჰქონდა მას, რომელ ფიქ-რობდა, საკმაო არს, რათა ხელი ვახლო შესამოსელსა მისსა და უეჭველად მივიღებ კურნებასაო; მართლა, იმავე წამს შეა-ტყო მან თავის თავს მორჩენა. მაცხოვარმან, რომლისა წინაშე არა რაი იყო დაფარულ, სცნა საკვირველი სარწმუნოება დე-დაკაცისა მის და განკურნება მისი; მას ენება, რათა გამოჩენილ იყო ესრეთი სარწმუნოება სამაგალითოდ სხვათა-თვის. მო-

ბრუნდა რა, ჰკითხა მოწაფეთა თვისთა: ვინ შემეხო მე? მაშინ იხილა დედაკაცმან, რომელ ვერ დაეფარა, დავარდა მუხლთა თვისთა და გულ-წრფელად აღიარა ყოველი; ხოლო მაცხოვარმან უთხრა მას: **ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; ვიდოდე მშვიდობით.**

აჰა ვითარი უეჭველი და შეურყეველი სარწმუნოება არის საფუძველი ქრისტიანობისა; სარწმუნოებით დაიწყება და გათავდება ქრისტიანული სწავლა. ყოველს კაცს უნდა ჰქონდეს სრული მინდობილობა და გულითადი რწმენა მას ზედა, რაიცა ესმის საღმთო წერილთაგან; ყოველი ქრისტიანული საზოგადოება ყოვლითა ღონის-ძიებითა უნდა ჰცდილობდეს, რათამცა იყოს მას შინა შეურყეველი და დაუსუსტებელი სარწმუნოება. ვიდრემდის სარწმუნოება მტკიცედ სდგას რომელსამე ქვეყანასა შინა, ის ქვეყანა არ დავარდება, თუმცა გამოიაროს მრავალი უბედურება და მძიმე განსაცდელი. ეს ჭეშმარიტება მტკიცედ ახსოვდათ ჩვენთა წინაპართა: იგინი ყოველთვის იყვნენ სარწმუნოებასა შინა. თუმცა მრავალი იყო მათს შორის უწესოება, განხეთქილება, შური, ბრძოლა; თუმცა ყოვლითა მხრით მრავალნი მტერნი შეავიწროებდენ მათ, გარნა, ვინაითგან იყვნენ შეურყეველს სარწმუნოებასა შინა, სარწმუნოებამან დაიცვა და შეინახა იგინი. მე ესრედ ვგონებ, რომელ უკეთუ წინაპართა ჩვენთა მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის არ შეენახათ მართლ-მადიდებელი სჯული, ახლა აღარ იქმნებოდა ქვეყანაზედ არცა სახელი ჩვენი, არცა ენა; ახლა ჩვენ ვიქმნებოდით დამდაბლებულ, ვითარცა ვხედავთ რომელთამე, შთამომავლობით ჩვენთა მონათესავეთა, რომელთა დაივიწყეს მართლ-მადიდებლობა და მიიღეს მაჰმადიანობა, დავრდომილთა და პირუტყვებრ წარხდენილთა. აჰა, ვითარ დაგვავალა ჩვენ ჩვენმან სჯულმან და სარწმუნოებამან! სხვა მიზეზი რომ არ გვქონდეს, მარტო ამ მიზეზმან უნდა შეგვაყვაროს ჩვენი სარწმუნოება. გარნა, განსაცვიფრებლად ჩვენდა, ამ მოკლე დროებაში გამოსჩნდნენ აქაც, ამ ჩვენს ქალაქშიც, რომელნიმე პირნი, არა-რად მრაცხველნი სარწმუნოებისა, თითქმის ცხადად უარ-მყოფელნი ყოვლისა სჯულისა, გამომაცხადებელნი, რომელ კაცს არაფერი არ უნდა სწამდეს, არცა ეკლესია, არცა სახარება და არცა სხვა რაიმე. ამაზედ არის ერთი ლაპარაკი და დრტვინვა საზოგადოებაში, ამისთვის არ შეგვიძლიან ჩვენც დავიდუმოთ, არამედ ვალისა-მებრ ჩვენისა ცხადად უნდა გამოვსთქვათ ჩვენი ჰაზრი.

პირველად, ვკითხოთ, რისგან წარმოსდგა ურწმუნოება

მათ პირთა, რომელთა ზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ: დიდისა ჭკუისა, სწავლისა და გამოცდილებისაგან მათისა, ანუ გამოუცდელობისა და სუსტი ჭკუისაგან? მას ადვილად შევიტყობთ, ოდესაც ვიფიქრებთ, ვინ არიან იგინი, რომელნი გამოგვიცხადებენ ჩვენ ახალთა ამათ და საკვირველთა ჰაზრთა. იქმნება იგინი არიან კაცნი აღვსებულნი წლოვანებითა, დახელოვნებულნი სწავლასა და ცხოვრებასა შინა? ვინაითგან იგინი გვეტყვიან ჩვენ რომელთამე უცნაურთა, ახალთა და სამძიმოთა ჰაზრთა, მაშასადამე ისინი უნდა იყვნენ კაცნი ფრიად პატივცემულნი, გამოცდილნი, ჰასაკოვანნი და სარწმუნონი. არა! უმეტესი ნაწილი მათგანი, განსაკვირვებლად ჩვენდა, არიან თითქმის ჭაბუკნი, გამოუცდელნი, რომელთა კაცი ვერ მიენდობა არათუ ესრეთსა მძიმესა, არამედ თვით მცირესაცა საქმესა შინა. ან იქმნება, თუმცა იგინი არიან რეგვენნი, გარნა სწავლასა შინა არიან ზედ-მიწევნილნი, რომელთა მიიღეს სრული განათლება და მეცნიერება? არც ეს არის ესრედ! ვგონებ, არ იქმნება ნამეტანი, თუ ვსთქვათ, რომელ უმეტესთა მათგანთა ჯერეთ ანბანის მეტი თითქმის არაფერი იციან ზედ-მიწევნილად. ცხად არს ახლა, რას უნდა მივაწეროთ მათი ურწმუნოება, ანუ რისგან გამოვიდა მათი სჯულის წინააღმდეგობა: ჭკუისა და განათლებისაგან, ანუ ჭკუა-ნაკლულევანებისა, გარეგანისა, სუსტისა და უსაფუძვლო სწავლისაგან? დიდი ჭკუა და ზედ-მიწევნილი სწავლა არ გააჩენს კაცის გულში სახარების წინააღმდეგობასა, არამედ უმეტესად დაამტკიცებს მას ზედა. ერთი მხოლოდ დაუმწიფარი, მკვახე, ნედლი ჭკუა და უსაფუძვლო, ამღვრეული სწავლა განაშორებს გულსა კაცისასა სახარებისაგან.

მეორედ, ვიფიქროთ: თითონ მოიგონეს ამ პირთა, რომელთა-ზედა ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს წინააღმდეგობა სარწმუნოებისა, ანუ სხვათაგან გაიგონეს? არა! მათ ესმა სხვათა კაცთაგან რაოდენიმე წინააღმდეგი ჰაზრი და ახლა ისინიცა განიმეორებენ მას, ვინაითგან ჭკუა მათი სუსტი არის, არ შეუძლიათ განარჩიონ ჭეშმარიტი ჰაზრი ცრუთა ჰაზრთაგან, ამისთვის რაც ესმის მათ, იმასავე განიმეორებენ. ამასთანავე არიან იგინი ნამეტნავად თავის მომწონნი და ჰგონიათ. რომელ ამით თავს გამოიჩენენ. ეს არის ერთი ნიშანი ამღვრეულისა და ცრუისა განათლებისა. რომელ იგი განყვრნის და განალაღებს გულსა კაცისასა. ოდეს ჭეშმარიტი და ღრმა სწავლა და განათლება კაცს მოუმატებს სიმდაბლესა, ცრუ და უსაფუძვლო განათლება გაუჩენს გულში ამპარტავნებასა. იმ საწყალობელთა და საბრალოთა რეგვენთა ჰგონიათ, რომელ სარწმუნო-

ების წინააღმდეგის ლაპარაკითა დაამტკიცებენ თვისთა სწავ-
ლასა და დიდსა განათლებასა. რათგანაც მათ ძლიერ ჰსურსთ
თავი გამოიჩინონ და ცხად-ჰყონ თავისი განათლება და სხვა
ვერა რა მოიგონეს და არც შეუძლიათ სხვაში როგორმე თავი
გამოიჩინონ, ხოლო სჯულის წინააღმდეგი ორიოდე უსაფუძ-
ვლო სიტყვა ყოველს კაცს შეუძლია სთქვას, ამით უნდათ
გვაჩვენონ თვისი დიდი განათლება; მაშინ როდესაც ყოველი
გამოცდილი და კეთილ-გონიერი კაცი შეიტყობს მათსა შერ-
ყეულსა და აღრეულსა ჭკუასა და შეებრალება იგინი, და
თვით იგინიც, ოდეს მათი გონება მიიღებს სისრულესა, უკე-
თუ ოდესმე ეს მოხდა, შესწუხდებიან წარმოიდგენენ რა
აწინდელსა თვისსა უგუნურებასა.

დასასრულ, ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო არს, რო-
მელ ესე-ვითარნი ურწმუნოების გამომაცხადებელნი ნაყოფთა-
გან თვისთა, ესე იგი, მოქმედებათა და ყოფაქცევათაგან გამოა-
ჩენენ, რა შეუდგება მათსა ურწმუნოებასა. ვითარნიცა არიან
სიტყვანი მათნი, ეგრედვე საქმენი მათნი! პირითა მათითაგან
ისმის უგუნური სჯულისწინააღმდეგი ლაპარაკი და იმავე
დროსა ყოფა-ქცევა მათი შეაგინებს კეთილსა და წმიდასა ზნეო-
ბასა, ვინაითგან გვესმა ჩვენ ყოველთა, რომელნიმე მათნი უშ-
ვერნი და უსახონი საქმენი, მაშასადამე, მეორე წყარო მათის
ურწმუნოებისა, სამწუხაროდ ჩვენდა, არის განხუზნილი გული
და ხასიათი მათი.

იქმნება ვინმე სთქვას, რომელ არა მხოლოდ ჭაბუკნი გა-
მოუცდელნი და უჰასაკონი, არამედ ზოგნი დიდის ჰასაკისანი
და სწავლაში გამოსრულნი არიან სჯულის წინააღმდეგნი. რა
არის ძმაო, ამაში გასაკვირველი? ყოველთვის და ყოველგან
იყვნენ და არიან სჯულის წინააღმდეგნი ურწმუნონი კაცნი;
სრული და მტკიცე სარწმუნოება, ძმაო ჩემო, არის ნიჭი
ღვთისა. ისმინეთ რასა იტყვის უფალი ჩვენი იესო ქრისტე:
**აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქვეყნისაო, რამეთუ დაჰ-
ფარე ესე ბრძენთა და მეცნიერთაგან და გამოუცხადე ჩჩვილთა! ჰე
მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენს წინაშე.** გარნა ვის მისცემს
ღმერთი ესრეთსა ნიჭსა? ამაყსა და მოქადესა თვისითა სწავ-
ლითა და განათლებითა, ანუ კაცსა მდაბალსა და გულ-წრფელ-
სა? რა საკვირველია, მეორესა. წმიდა მოციქული პავლე გვე-
ტყვის **არავის ხელეწიფების თქმად უფალი იესო, გარნა სულითა
წმიდითა.** ესე იგი, ვერავინ აღვიარებს იესო ქრისტეს ღმერ-
თად, უკეთუ სული წმიდა არ შეეწია მას; გარნა სული წმი-
და ასწავლის მხოლოდ კაცსა მდაბალსა და კეთილსა.

და ესრედ, ძმაო ჩემო, ნუ გიკვირს, ოდეს გესმის ურწმუ-

ნოება და სჯულის წინააღმდეგობა რომელთამე პირთაგან. აქ
მხოლოდ ეს არის სამწუხარო, რათა გამოსჩნდნენ ჩვენ შორი-
საც ამისთანა სჯულის წინააღმდეგნი, მაშინ, როდესაც არა-
ოდეს განმავლობასა შინა ათას ოთხასის წლისა არ გაგონილა
ამისთანა არაფერი ჩვენს ქვეყანაში? მერმე როდის? ეხლა, ოდეს
ცოტაოდენი განათლება შემოვიდა ჩვენს შორის! რას იტყვის
უბრალო, დაბალი და უსწავლელი კაცი, ოდეს გაიგონებს
სჯულის წინააღმდეგსა სიტყვასა სწავლულთაგან? არ იფიქრებ-
სა იგი, რომელ სწავლა მავნებელია და დაავიწყებს ღმერთსა?
გარნა არა! არა ჭეშმარიტმა სწავლამა ჰქმნა ესე, არამედ ცრუ
და უსაფუძვლო სწავლამ! შენ მხოლოდ ის ეცადე, ძმაო მორ-
წმუნეო, რომ გაამართლო მათ წინაშე სარწმუნოება შენი კე-
თილითა საქმითა შენითა. გაჰხსოვდეს, რომელ ურწმუნოება
არის ორ-ნაირი: ერთი გამოსჩნდება სიტყვათა შინა, მეორე
საქმეთა შინა. მარტო ის არ არის ურწმუნო, რომელიცა სი-
ტყვითა მხოლოდ იტყვის; მე არაფერი მრწამსო: არამედ ისიც
ურწმუნო არის, რომელი ენითა აღიარებს სარწმუნოებასა, გარ-
ნა ყოველი საქმე მისი არის სჯულის წინააღმდეგი; ამისთვის
კვალად გეტყვი, გაამართლე სარწმუნოება შენი მშვენიერითა
შენითა ყოფაქცევითა, რათა თვით ურწმუნო იგი, მხედველი
კეთილისა შენისა ცხოვრებისა, მოიქცეს და ირწმუნოს, რომე-
ლიცა და ჰყოს ღმერთმან. – ამინ.

მოძღვრება

კდ-სა კვირიაკესა.

ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან
შენმან გაცხოვნა შენ; ვიდოდე მშვიდობით
(ლუკ. ᲘᲒ, მᲔ).

რა საკვირველი სარწმუნოება ჰქონდა, ძმაო ქრისტიანე-
ნო, დედაკაცსა მას, რომელსაც მაცხოვარმან უთხრა ეს სიტ-
ყვა! ვითარ უეჭველი და შეურყეველი იყო სარწმუნოება მისი! უმე-
ტეს ათორმეტისა წლისა იყო იგი შეპყრობილი სასტიკითა
სნეულებითა: ყოველი მისი ქონება გადააგდო ექიმთა ზედა,
გარნა ვერ მიიღო კურნება, და, როდესაც ამ სოფელში მოის-

პო ყოველი მისი იმედი, იგი მიექცა ზეციერისა მკურნალისადმი; სარწმუნოება მისი მიუძღვა მას ქრისტესა იესოსთან. მან იცოდა, რომელ მაცხოვარსა აქვს ძალი და შეძლება კურნებად ყოვლისა სენისა; გარნა ვერ ბედავდა პირდაპირ ვედრებასა; მან იფიქრა: საკმაო იქნება ჩემთვის, მხოლოდ შევეხო სამოსელსა მისსა და მიეახლა ზურგით კერძო და შეახო ფესვსა სამოსელისა მისისა, **და მეყსეულად დასცხრა წყარო იგი სისხლისა მისისა.** უფალი იყო ამ ჟამად გარე-მოცული და შევიწროებული უმრავლესითა ერითა; უთუოდ მას ამ ჟამად ათასი კაცი შეეხო, გარნა ერთმან მხოლოდ ამა დედაკაცმან მიიღო სასწაულებითი მოქმედება სარწმუნოებისა: სჩანს, რომ მას მხოლოდ ჰქონდა სარწმუნოება ცხოველი და მხურვალე.

ესრეთი გაქვსა შენცა, ძმაო მსმენელო, სარწმუნოება, თუ არა? ცხოველი არისა, თუ არა, სარწმუნოება შენი? ყოველისა ქრისტიანესა კაცისათვის უმთავრესი და უპირველესი საქმე არის, რომ იცოდეს, ცხოველი არის და ნამდვილი სარწმუნოება მისი, თუ არა? თითქმის უმეტესი ნაწილი ქრისტიანეთა ჰგონებს, რომელ მას აქვს სარწმუნოება ცხოველი, მაშინ ოდესაც სარწმუნოება მისი არის სუსტი. უმრავლესნი ქრისტიანენი არიან მოსვენებულნი და უზრუნველნი იმ აზრით, რომელ ვითომც იგინი არიან სარწმუნოებასა შინა, გარნა სარწმუნოება მათი ხშირად არის მკვდარი და უსარგებლო. ცხოველი სარწმუნოება ის არის, რომელიც მოქმედობს, ანუ მუშაობს ბუნებასა შინა კაცისასა და ცოტ-ცოტად სცვლის და აუმჯობესებს მას; ცხოველი სარწმუნოება, პირველად ანათლებს გონებასა კაცისასა, მეორედ, ჰმართავს და სწმედს ყოფა-ქცევასა ანუ მოქმედებასა კაცისასა.

ჭკუა ანუ გონება კაცისა არის ქვეშევრდომი მრავალთა შეცდომილებათა და ცრუთა ჰაზრთა. კაცსა უსწავლელსა, სოფლის მცხოვრებსა, წარმოუდგებიან და აწუხებენ ათასნი ცრუნი აზრნი, უსაფუძვლონი მოგონებანი და უსაფუძვლონი შიშნი, იგი ყოველგან, ყოველს უბრალო შემთხვევაში ჰხედავს რაღაცა უცნაურსა ძალასა; მას ყოვლიფერისა ეშინია და ყოველიფერსა ცრუსა მოგონებასა ემონება; წინააღმდეგ ამისა კაცი, სწავლული და დახელოვნებული მეცნიერებასა შინა, ხშირად გაიგონებს და ამოიკითხავს წიგნთაგან მრავალთა წინააღმდეგთა ჰაზრთა, რომელნი დააკნინებენ მისსა სასოებასა. გარნა სარწმუნოება ცხოველი გაანათლებს, ვითარცა პირველსა, ეგრედვე მეორესა. სარწმუნოება ცხოველი შეაგონებს და არწმუნებს ორთავე, რომელ ერთი მხოლოდ ღმერთი არის შემოქმედი და მმართველი ქვეყანისა, რომელ არა არის ქვეყანასა ზედა

არსად შიში და დაბრკოლება ქრისტიანესა ზედა.

სარწმუნოება ცხოველი ასწავლის და ჰმართავს სურვილ-
სა, ანუ ნებასა კაცისასა. კაცის გულში ყოველ-წამ იბადებიან
მრავალნი მავნებელნი მიდრეკილებანი. სარწმუნოება ცხოვე-
ლი ასწონს მათ ყოველთა, შეამოწმებს ქრისტეს მცნებათა
თანა; დასთრგუნავს და განაძებს, რომელნიც მათგანნი არიან
წინააღმდეგნი და მავნებელნი; ხოლო წმიდათა და კეთილთა
განამტკიცებს და განაცოცხლებს.

სარწმუნოება ცხოველი ჰმართავს ყოფა-ქცევასა და მოქმე-
დებასა კაცისასა; იგი მისცემს კაცსა ღონესა და მხნეობასა
აღსრულებად კეთილთა საქმეთა, ხოლო დათრგუნვად ბოროტ-
თა ვნებათა და განსაცდელთა.

ესრედ მუშაობს სარწმუნოება ცხოველი ბუნებასა შინა
კაცისასა. იგი ჰზრდის კაცის სულსა, იგი აკეთებს და აუმჯო-
ბესებს კაცის ხასიათსა. იგი ჰკურნებს სულიერთა ვნებათა კა-
ცისათა, ვითარცა მან განჰკურნა დღეს ხსენებული დედაკაცი
ხორციელისა სნეულებისა მისისაგან. დედაკაცსა ამას სარწმუ-
ნოება ჰქონდა განუზომელი და შეუორგულებელი; ამისთვის
მიიღო მან ერთს წამს სრული კურნება. ვსთქვათ, რომ ეს მა-
გალითი შენთვის არის დიდი; შენ თუმცა კი გაქვს სარწმუ-
ნოება, გარნა არა ეგოდენი; ამისთვის მოქმედებაცა მისი არის
შენში უმცირესი; მაშასადამე, უკეთუ ერთს წამსვე ვერ გან-
კურნა და ვერ განწმიდა ცოდვისა შენისაგან, ცოტ-ცოტად
და ნელ-ნელად მაინც უნდა გზრდიდეს და გცვლიდეს. სრულია-
ად უქმი არ უნდა იყოს იგი; გარნა რას ვხედავ? ვხედავ, რო-
მელ ცოდვა უძლიერეს არს შენს გულში, ვიდრე მადლი;
ვხედავ, რომელ შენ უმეტესად ემორჩილები ცოდვასა და ვნე-
ბასა, ვიდრე ქრისტეს მცნებასა. მართალია, შენ ასრულებ
რომელთამე გარეგანთა მოთხოვნილებათა სჯულისათა, გარნა ში-
ნაგანი შენი კაცი არ ემორჩილება მოთხოვნილებათა სჯული-
სათა. მართალია, რაც გინდა ეცადოს კაცი, არ შეიძლება,
რომ განეშოროს ყოველსა ცოდვასა; გარნა, საუბედუროდ,
არ სჩანს, რომ შენ ნანობდე ცოდვისათვის, ჰცდილობდე გან-
შორებად ცოდვათაგან, ერთსა და იმავე ცოდვას მრავალ-გზის
განიმეორებ და მით ამტკიცებ, რომ ცივი და მკვდარია შენი
სასოება. არ შეიძლება კაცი სუსტი არ შთავარდეს ზოგჯერ
ცოდვაში; გარნა უკეთუ მას აქვს სარწმუნოება ცხოველი, იგი
ნანობს, მწუხარე არის, ერთი სიტყვით, ჰცდილობს გამოვი-
დეს ცოდვისაგან. მის გულში არის ჭიდაობა ცოდვასა და
მადლსა შორის. ვისაც აქვს ცხოველი სარწმუნოება, იგი იქმ-
ნება შეცთომილებით და უსუსურებითა თვისთა შთავარდეს

ცოდვაში; გარნა წინა-განზრახვით და მომზადებით მაინც არ იქმს ცოდვასა; გარნა შენ დიდითა მეცადინეობითა და დიდითა მომზადებითა აღგისრულებია მრავალი ცოდვა. რაოდენგზის სინიდისი გამხილებდა და გეტყოდა შენ, რომელ ზოგიერთის საქმის აღსრულება არის ცოდვა და წინააღმდეგი; გარნა შენ მაინც აღგისრულებია იგი. სად იყო სარწმუნოება შენი, ოდეს გესლიანი ენა შენი განგებ და წინადვე მომზადებულთა ლექსთა შინა აშავებდა უმანკოსა სახელსა მოყვასისა შენისასა? რისთვის არ დააჩუმა მაშინ ენა შენი სარწმუნოებამან, უკეთუ ცხოველი იყო იგი! რისთვის არ დააკავა ხელი შენი სარწმუნოებამან შენმან, უკეთუ ცხოველ-იყო იგი, მიღებად ქრთამისა? რისთვის არ დაამშვიდა გული შენი და არ გააქრო ცეცხლი შურისა და მტრობისა? ერთი სიტყვით, რისთვის არ იცვლი ცუდს ყოფაქცევასა, რისთვის არ დასტოვებ ცოდვასა, თუ გაქვს სარწმუნოება? გარნა ესრედთა კითხვითა და გამოძიებათა დიდხანს ვერ გავათავებთ. მოკლედ ვსთქვათ: თუ ჭეშმარიტი ქრისტიანობა გსურს შეიძინო, – შეიძინე ცხოველი და ღონიერი სარწმუნოება, ვითარცა დედაკაცმან, რომელსა ესმა სიტყვა ესე საწადელი: **ნუ გეშინინ ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.** – ამინ.

სიტყვა

კე-სა კვირიაკესა.

ვინ არს მოყვას ჩემდა? (ლუკ. ი, ლ).

დღეს წაკითხულითა სახარებითგან გესმათ თქვენ, საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო, ვითარ ერთმან სჯულის-მეცნიერმან ებრაელმან ჰკითხა უფალსა: **ვინ არს მოყვას ჩემდა?** ძველნი ებრაელნი არა ყოველსა კაცსა რაცხვიდნენ თვისდა მოყვასად, არამედ მხოლოდ მემამულეთა და მონათესავეთა თვისთა; მათ უყვარდათ მხოლოდ მათივე ტომისა და შთამომავლობის ებრაელნი, გარნა ყოველნი სხვანი კაცნი სძულდათ და მიაჩნდათ მტრად.მაცხოვარმან განსანათლებელად მათისა გონებისა, უპასუხა მოძღვარსა მას შემდგომითა იგავითა: კაცი ვინმე მიდიოდა იერიქონითგან იერუსალიმს; მაშასადამე იგი იყო ებრაელი, და დაეცნენ მას ავაზაკნი, განძარცვეს იგი,

დასჭრეს და ზლიავს ცოცხალი დააგდეს გზასა ზედა. იმ ჟამად
გაიარა იმავე გზით ერთმან მღვდელმან, ნახა დაჭრილი იგი,
გარნა ყურადღება არ მიაქცია მას ზედა; მერმე გაიარა იქ
ერთმან ლევიტელმან, ესე იგი, ტაძრის მსახურმან, გარნა არ-
ცა მან მისცა შემწეობა, და დასტოვა უწყალოდ; ბოლოს გა-
იარა იქ ერთმან სამარიტელმან, ესე იგი, კაცმან უცხოისა ქვე-
ყანისამან და ებრაელთაგან ფრიად შეუძლებელმან, შეეწყალა
მას უბედური იგი, მიეახლა მას და შეუხვია წყლულებანი მი-
სნი, დაასხა მას ზეთი და ღვინო, და მერმედ აღსვა იგი კარა-
ულსა ზედა თვისსა და მიიყვანა სასტუმროსა სახლსა შინა.
იქ მოუარა მას შეძლებისამებრ და მეორე დღეს ჩააბარა იგი
სახლისა უფლისა, რათა იზრუნოს მისთვის, და რასაც წააგებს,
აღუთქვა უმეტესისა მიცემა მისდა. **ვინ უკვე ამათ სამთაგანი,
ჰკითხა უფალმან სჯულის მეცნიერსა, გგონიეს შენ მოყვას მისდა,
რომელი იგი შთავარდა ხელთა ავაზაკთა მათ? ხოლო მან ჰსთქვა:
რომელმან ჰყო წყალობა მის თანა. ჰრქვა მას იესო: ვიდოდე და
ჰყოფდე შენცა ეგრევე** (ლუკ. ი. ლვ, ლზ).

ჩვენ ყოველთა, საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო, გვერ-
გება სწავლა ამა იგავისა და არცა უმცირეს, ვიდრეღა ოდესმე
ებრაელთა მათ; ჩვენც ხშირად ვფიქრობთ და ვკითხავთ ჩვენს
თავს: **ვინ არს მოყვას ჩემდა?** ჩვენც გვაქვს ის ჩვეულება, რო-
მელ ყოველთა კაცთა ჩვენს შორის გულში გავყოფთ ორ-ნა-
წილად: ზოგიერთთა ვრაცხთ და უწოდებთ მოყვარედ, ხოლო
სხვათა მტერად. მოყვარეს მოყვრობა აჩვენე და მტერსა მტრო-
ბაო, ვიტყვით ჩვენ ხშირად; ან მოყვარე რით გავისტუმროვო,
ან მტერიო, დავძინებთ ჩვენ მრავალ-გზის. გარნა ნუ გგონიათ,
ძმანო, რომელ ეს იყოს მხოლოდ სიტყვა, და საქმით კი არ
იყოს ესრედ. არა! ვითარნიცა არიან ესე სიტყვანი, ეგრეთნი-
ვე საქმენი ჩვენნი: ვინ არ იცის და ვინ არ ჰხედავს, რომ ჩვე-
ნი ქვეყანა ამით არის შეწუხებული, რომელ არ არის ჩვენს
შორის ერთობა, სიყვარული და ერთგულება ქრისტიანული;
რომელ ყოველნი მცხოვრებნი ამა ქვეყნისანი ას-წილ იქმნე-
ბოდენ უბედნიერესნი ხორციელად და უმჯობესნი სულიერა-
დაც, უკეთუ ჰქონდეთ მათ სიყვარული ურთიერთობრივი,
უკეთუ არ იყოს მათ შორის განყოფა მოყვრობისა და მტე-
რობისა. არ გამოაჩენსა ეს ცხადად, რომელ სამწუხაროდ
ჩვენდა, ძალი და სული სახარებისა ვიდრე აქამომდე არ შე-
სულა სიღრმესა შინა გულისა ჩვენისასა, არ დაუმორჩილებია
ყოველი ბუნება და ჩვეულება ჩვენი? არ არის, ძმანო ჩემნო,
ჭეშმარიტი სული ქრისტიანობისა იქ, სადაცა ჰსუფევს განხეთ-
ქილება, შური, სიძულვილი; მიჰხედეთ მოწყალესა სამარიტელ-

სა. თუმცა იგი წყლული კაცი იყო მისი მოძულე, მოშურნე, მტერი, გარნა შეიწყალა იგი და მისცა ყოველი შემწეობა; მაშასადამე ყოველი კაცი არის მოყვასი ჩვენი და ძმა ჩვენი.

აქ იქმნება ვინმე იფიქროს: ნუ თუ შესაძლებელი არის, რომ ვისმე ყოველი კაცი ისრე უყვარდეს, ვითარცა მკვიდრი ძმა ანუ დედმამა თვისი? უკეთუ შენ ჭეშმარიტად და გულწრფელად გიყვარს შენი ძმა, დედმამა და მოყვარე, იცოდე, რომ ადვილად შეიყვარებ ყოველთა სხვათა კაცთა; ჭეშმარიტს სიყვარულს ის თვისება აქვს, რომ იგი გულსა კაცისასა გაავრცელებს, სულგრძელ-ჰყოფს და განსდევნის მისგან ყოველსა სიძულვილსა და შურსა. ბოლოს ესეც უნდა გვახსოვდეს, რომელ სულიერი ნათესაობა უდიდესი არს, ვიდრე ხორციელი; ძმა და მოყვასი მხოლოდ ხორციელად არს შენთან შეკავშირებული, ხოლო ღმერთმან სულიერად ყოველი კაცი შეაერთა და ყოველნი გვყო მოყვარედ და ძმად თავსა თვისსა შორის.

გარნა იგავსა ამას აქვს მეორე მნიშვნელობა, უდიდესი პირველისა. მოწყალე იგი სამარიტელი ნიშნავს თვით უფალსა ჩვენსა და მაცხოვარსა; ხოლო კაცი იგი დაჭრილი და გზასა ზედა მიგდებული ნიშნავს მრთელსა კაცობრივსა ნათესავსა. მდგომარეობა კაცობრივისა ნათესავისა, უწინარეს მაცხოვრის სოფლად მოსვლისა იყო ნამდვილ მსგავსი იმ კაცისა, რომელი ავაზაკთაგან იქმნა შეპყრობილ და დაწყლულებულ. კაცი იყო ჩავარდნილი ხელსა შინა სულიერთა ავაზაკთასა, რომელნი არიან ეშმაკნი და ყოველნი ნაყოფნი ეშმაკისანი: ცოდვა, ვნება, ხრწნილება სულიერი და სიკვდილი. ამა ურიცხვთა მტერთა ესოდენ სტანჯეს, დაჭრეს და ავნეს კაცი, რომელ იგი კნინღა იყო ცოცხალ; ხოლო შემწე და მკურნალი არავინ ჰყავდა მას: არცა მღვდელნი, არცა ლევიტელნი, არცა სხვა ვინმე იყო მისდა მფარველ და შემწე. ისრაელთა ჰყვანდათ მღვდელნი მრავალნი და ლევიტელნი, გარნა სულიერი მათი მდგომარეობა დღითი-დღე იქმნებოდა უარესი; წარმართთა ეგრედვე ჰყვანდათ მრავალნი მღვდელნი, ჰქონდათ ურიცხვნი კერპნი, გარნა იგინი უარესად ჰრყვნიდნენ, აფუჭებდნენ მათ; მოკლედ, კაცი იყო სულიერად მომწყდარი, ვნებული, თითქმის მკვდარი, მდებარე გზასა ზედა, და აჰა ესერა მოვიდა ქვეყანად სამარიტელი მოწყალე უფალი იესო; მან იხილა კაცი იგი საშინელსა მდგომარეობასა შინა, მას ესმა ტირილი ოხვრა მისი; არა უკან-წარხდა იგი, ვითარცა მღვდელი და ლევიტელი, თუმცა მან იცოდა, რომ გზა ესე არს საშიში, გზა ესე მიიყვანს მას ვიდრე გოლგოთამდე. იგი მიეახლა დავრდომილსა მას, შეუხვია მისი წყლულებანი, სცხო მას ზეთი

სიტყვისა და ნუგეშის-ცემისა, რათა დაულბოს სიმწარე მის-
თა წყლულებათა; მან დაასხა მას ღვინო ქადაგებისა და მად-
ლისა თვისისა, რათა განამტკიცოს დაღონებული და დასუს-
ტებული ცოდვათა და სულიერთა სალმობათაგან გული მისი.
ესრედ გვიყო ჩვენ მოწყალემან სამარიტელმან: იგი მოვიდა
ჩვენდა განსანათლებლად და განსაკურნებლად, თუმცა ჩვენ
არ ვიყავით ღირსნი მისისა მოწყალებისა; მან წინადვე იცოდა,
რომელ გზა ესე აღიყვანს მას ჯვარსა ზედა; გარნა სიყვარულ-
მან და მოწყალებამან მისმან მოიყვანა იგი მას გზასა ზედა.
აჰა, ვითარ არს სიყვარული მისი ჩვენდამი! ჩვენ გამოგვიხსნა
მან მაშინ, ოდეს ჩვენ ვიყავით მისი მტერნი და მოძულენი;
ხოლო რას გვთხოვს ჩვენ მაცხოვარი ნაცვლად ამა ყოველთა?
გვთხოვს მხოლოდ იმას, რათა გვქონდეს ჩვენ ურთიერთ-არს
სიყვარული და ერთობა; ამას მოითხოვს ჩვენისა ბედნიერები-
სათვის და არა თავისა თვისისათვის, ხოლო ჩვენ კი ხშირად
გვავიწყდება მისი სწავლა და მცნება, ხშირად ვემტერებით
ურთიერთ-არს და ვაწუხებთ ერთი მეორესა; გარნა ვისაც სურს
აღსრულება მისისა მცნებისა, იმას ყოველთვის ახსოვს, რო-
მელ ყოველი კაცი არის მისი მოყვასი, ხოლო უმეტესად კაცი
გაჭირვებული და უბედური. – ამინ.

სიტყვა

კე-სა კვირიაკესა.

> შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვ-
> ლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სუ-
> ლითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შე-
> ნითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და
> მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი (ლუკ.
> ი, კზ).

ხშირად გვესმის ჩვენ ყოველთა, ძმანო ქრისტიანენო, სა-
ღმრთოთა წერილითგან და ვიცით მტკიცედ, რომელ მცნება
ღვთის-სიყვარულისა არის უმთავრესი ყოველთა ქრისტეს მცნე-
ბათა და საფუძველი ყოვლისა ქრისტეს სჯულისა; გარნა ხში-

რად ვფიქრობთა ჩვენ, რისთვის უნდა გვიყვარდეს ღმერთი, რასა შინა მდგომარეობს ღვთის-სიყვარული და როგორ უნდა გრძნობდეს კაცი სიყვარულსა ღვთისასა? მოვიხმაროთ დღეს რაოდენიმე წამი განზრახვად ამა პირველისა მცნებისა ჩვენისა სჯულისა.

რისთვის უნდა გვიყვარდეს ჩვენ ღმერთი? მისთვის, რომელ ღმერთი არის უმჯობესი, უმშვენიერესი და უსანატრელესი არსება და ერთი მხოლოდ ღირსი სრულისა ჩვენისა სიყვარულისა. ხოლო ღმერთი შეიცავს თვის შორის ყოველთა უმაღლესთა თვისებათა, რომელთა ძალუძსთ დაკმაყოფილება ჩვენის გულის სურვილისა. გული კაცისა ეძიებს მარადის უმჯობესსა საგანსა სიყვარულისასა; გარნა ვერცა ერთი რომელიმე სხვა საგანი ვერ შეავსებს წყურვილსა მისისა სიყვარულისასა. გონება ანუ ჭკუა კაცისა მარადის მეძიებელი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა, მხოლოდ ღვთის შორის ჰპოვებს სრულსა და უმაღლესსა ჭეშმარიტებასა; სული კაცისა, რომელსა შინა ღმერთმან დანერგა მისწრაფება უმაღლესისა ბედნიერებისადმი, მხოლოდ ღვთის შორის ნაჰხავს ნეტარებასა და განსვენებასა თვისსა.

მეორედ, ღმერთი მისთვის უნდა გვიყვარდეს, რომელ ბუნება ჩვენი ღვთის-სიყვარულითა შეიქმნება უმჯობეს და უმაღლეს. ღვთის-სიყვარული განსწმედს გულსა კაცისასა, განანათლებს გონებასა მისსა. განამტკიცებს სულსა მისსა, გააბედნიერებს მას.

მესამედ, ღმერთი მისთვის უნდა გვიყვარდეს ჩვენ, რომელ მან პირველად შეგვიყვარა ჩვენ; ღმერთმან ჩვენ მოგვცა უმჯობესი და უმაღლესი ბუნება, ვიდრე სხვათა ქმნილებათა თვისთა; ჩვენ შეგვამკო მსგავსებითა და ხატებითა თვისითა, ჩაგვაბარა ყოველი ქვეყანა, დაგვიმორჩილა ფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი. თუმცა ვსცოდეთ, თუმცა წარვწყმიდეთ დიდი ნიჭი ღვთისა, სიწმინდე და უმანკოება, თუმცა დავამდაბლეთ ხატება და მსგავსება ღვთისა ჩვენს შორის ცოდვითა და უსჯულოებითა, გარნა არ განვაგდო სრულიად პირისაგან თვისისა; არა სრულიად დაგვივიწყა, არამედ იხმარა ურიცხვნი ღვთაებრივნი ღონისძიებანი, რათა აღადგინოს ჩვენს შორის ხატი თვისი და, ბოლოს, ყოველი თვისი ქველის-მოქმედება ჩვენდამო დააგვირგვინა მით, რომელ გარდამოავლინა მხოლოდ-შობილი ძე თვისი აღსადგინებელად კაცობრივისა ნათესავისა, ვითარცა გვეტყვის მოციქული იოანე: **და ესე არს სიყვარული, არა რამეთუ ჩვენ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ, რამეთუ მან ჩვენ შემიყვარნა, და მოავლინა ძეი თვისი მლხინებელად**

ცოდვათა ჩვენთა (იოანე. დ, ი).

აჰა, რავდენნი გვქონან მიზეზნი რათა გვიყვარდეს ღმერ-
თი! გარნა რასა შინა მდგომარეობს ღვთის-სიყვარული? რა
სახით უნდა გრძნობდეს კაცი, ან რანაირათ უნდა შეატყობ-
დეს, რომელ მას აქვს ნამდვილი ღვთის სიყვარული? როდესაც
ჩვენ ვგრძნობთ რომელსამე ქვეყნიერსა სიყვარულსა, მაშინ
ადვილად შევიტყობთ ამას. ვსთქვათ მაგალითებრ, მე მიყვარს
ერთი ვინმე კაცი. ამას ნამდვილად შევიტყობთ მით, რომელ
მიხარიან, როდესაც ვხედავ იმ კაცს, მსურს, რომ იგი ყოველ-
თვის ჩემთან იყოს; როდესაც იგი ჩემთან არის, მაშინ ბედნი-
ერი ვარ, უკეთუ იგი ჩემთან არ არის, მოწყენილი ვარ და
ხშირად ვფიქრობ იმაზედ. სწორედ ეგრეთივე უნდა იყოს სი-
ყვარული ჩვენი ღვთისადმი. ღვთის-მოყვარე კაცი იგი არს,
რომელ ხშირად ფიქრობს ღმერთზედ; ხშირად წარმოიდგენს
მისთა თვისებათა; გული მისი დატკბობილ-არს, როდესაც იგი
ფიქრობს ღვთაბრივთა თვისებათა ზედა. ღმერთი არს უზენა-
ესი არსება, რომელი შეიცავს თვის შორის ყოველთა სული-
ერთა სისრულეთა. მაშასადამე, ღვთის-მოყვარე კაცი არის იგი,
რომელ ეძიებს სულიერსა სისრულესა და წარმატებასა.

ღმერთი არს უწმიდესი არსება, რომელსა შინა არ არის
არცა ერთი ნაკლოლევანება; იგი არს ნათელი მიუმწუხრებე-
ლი; მაშასადამე, შენ გიყვარს ღმერთი, ოდესაც სცხოვრობ
სიწმიდით, ოდესაც ცდილობ, რომ ხვიდოდე ნათელსა შინა
სულიერსა და განეშორო ყოველთა საქმეთა სიბნელისათა;
გარნა, უკეთუ ნაცვლად სიწმიდისა სცხოვრებ უწმიდურობასა
შინა, მაშასადამე, შენ გიყვარს არა ღმერთი, არამედ მისი წი-
ნააღმდეგი.

ღმერთი არის თვით ჭეშმარიტება, მის შორის არის უმა-
ღლესი სიმართლე და მართლ-მსაჯულება, მაშასადამე, ღმერთი
უყვარს იმ კაცს, რომელიცა არაოდეს არ ტყუის, ერიდება
ყოველთვის ცრუსა სიტყვასა და მრუდესა საქმესა; უხარიან ჭე-
შმარიტებისათვის და ყოვლითა ღონითა შეეწევა, რათა ჭეშმარი-
ტებამან სძლიოს სიცრუესა; გარნა ვისაც ნაცვლად ჭეშმარიტე-
ბისა უყვარს სიცრუე, მას უყვარს არა ღმერთი, არამედ იგი,
რომელი არის მამა სიცრუისა, ესე იგი, სული უკეთურებისა.
**ყოველმან, რომელმან არა ჰქმნეს სიმართლე, იგი არა არს ღმრთი-
საგან,** გვეტყვის წმიდა იოანე ღვთის-მეტყველი (იოანე. გ. ი.).
ღმერთი არის ყოველგან-მყოფი და ყოვლისა-მეცნიერი: ვისაც
ახსოვს, რომელ ღმერთი ხედავს ყოველსა მისსა საქმესა, ის-
მენს ყოველსა მისსა სიტყვასა და არა რაი არს დაფარულ
მის წინაშე, ვისაც ეს ახსოვს და ისრე ცხოვრობს, ვითარცა

ღვთის წინაშე, მას უყვარს ღმერთი. ღმერთი არს ყოვლისა შემძლებელი და ყოვლისამპყრობელი და ვისაც სწამს, რომელ ყოველივე, რაიცა მას შეემთხვევა, ღვთისაგან არის, მას უყ-ვარს ღმერთი.

გარნა ვინ აღრიცხავს თითოეულად თვისებათა ღვთისათა? საყვარელი მოციქული და ღვთისმეტყველი იოანე ერთითა სიტყვითა გამოგვიხატავს არსებასა ღვთისასა, გვეტყვის რა, რომელ ღმერთი სიყვარული არს; **სიყვარული ღვთისაგან არს, და ყოველსა, რომელსა არა უყვარდეს, მან არ იცის ღმერთი, რა-მეთუ ღმერთი სიყვარული არს** (იოანე დ, ზ).

კვალად გვეტყვის წმიდა იოანე: **ჩვენ ვსცანთ და გვრწმენა სიყვარული, რომელი აქვს ღმერთსა ჩვენდა მომართ.** ღმერთი, გვეტყვის წმიდა იოანე, არის უხილავი, კაცს არ უნახავს იგი; გარნა უკეთუ ჩვენ გვიყვარს ურთიერთი, მაშინ ღმერთი ჩვენს შორის არს. **ღმერთი არა სადა ვის უხილავს: უკეთუ ვიყვარებო-დეთ ურთიერთარს; ღმერთი ჩვენს შორის ჰგიეს, და სიყვარული მისი ჩვენს შორის აღსრულებულ-არს** (დ, იბ). თუმცა კაცი ვერ წარმოიდგენს ღვთის არსებასა, თუმცა ვერ მოიფიქრებს, რაი არს ღმერთი, რა ბუნება აქვს მას; გარნა, უკეთუ სურს მიეა-ხლოს მას და იგრძნოს მისი არსება, ამას მიიღებს სიყვარუ-ლისაგან: **ღმერთი სიყვარული არს, და რომელი ეგოს სიყვარულ-სა ზედა, იგი ღმრთისაგან ჰგიეს და ღმერთი მისთანა.** (იოანე დ, ივ.).

მაშასადამე, თვით სიყვარული არს ნიჭი ღვთისა, თვით იგი არს ჩვენი მასწავლებელი და განმანათლებელი, და რომე-ლიცა ჰგრძნობს გულსა შინა თვისსა ესრეთსა სიყვარულსა, იგი მხოლოდ იცნობს ღმერთსა.

დასასრულ, იგივე მოციქული, წმიდა იოანე, გვეტყვის ჩვენ: **უკეთუ ვინმე სთქვას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი, და ძმაი თვისი სძულდეს, მტყუარ არს; რამეთუ რომელსა არა უყვარდეს ძმაი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვი-თარ ძალ-უძს შეყვარებად?** (იოანე დ, კ.) – აჰა მიზეზი, რომლი-სათვისა სიყვარულსა ღვთისასა და მოყვასისასა აქვს გაუწყვე-ტელი კავშირი. ათასნი მიზეზნი გვქონან, რომლისთვისცა უნდა გვიყვარდენ მოყვასნი ჩვენნი, გარნა უპირველესი მიზე-ზი ის არის, რომ თვით ღმერთს უყვარს იგინი. უკეთუ შენ ღმერთი გიყვარს, მაშასადამე გსურს, რომ სათნოეყო მას, გარ-ნა სათნო-ეყოფი ღმერთსა მაშინ. როდესაც შეიყვარებ მოყვას-სა შენსა, ვითარცა თავსა შენსა. ამინ.

სიტყვა

კე-სა კვირიაკესა.

ვინ არს მოყვას ჩემდა? (ლუკ. კ, კთ).

ესრეთ ჰკითხა უფალსა სჯულის-მეცნიერმან ვინმე, პასუ-
ხად ამა კითხვასა ზედა უფალმან უთხრა იგავი მოწყალისა და
კაცთ-მოყვარისა სამარიტელისათვის, რომელმან საკვირველი-
თა თვისითა ქველის-მოქმედებითა გვაჩვენა ჩვენ, რა არის მოყვ-
რობა და როგორ უნდა აღასრულებდეს ქრისტიანე მცნებასა მო-
ყვრობისასა. მოწყალება, რომელი მან უყო კაცსა, შთავარდნილ-
სა ხელთა შინა ავაზაკთა, მწყდარსა და ძლივსღა ცოცხალსა, არის
მაღალი მაგალითი მოყვასის სიყვარულისა, პირველად მით, რო-
მელ სამარიტელმან ამან უყო მოწყალება კაცსა უცხოსა და უც-
ნობსა, რომელი იყო შთამომავლობით ებრაელი, მაშასადამე
მტერი და მოშურნე მისისა ტომისა, ვინაითგან ებრაელთა
სძულდათ სამარიტელნი; მეორედ, მან უყო მოწყალება უანგა-
როდ: ისრეთს კაცს უყო მოწყალება, რომელსა არ შეეძლო
გარდახდა და მაგიერის სიკეთის მიგება; მესამედ, მან
ჰქმნა მოწყალება ისრეთ შემთხვევაში, რომელ მისს მოწყალე-
ბას მიეცა დიდი ფასი, ვინაითგან კაცი იგი, წყლული და დაჭ-
რილი, იყო მიგდებული გზის პირად, საშიშოსა ადგილსა ზე-
და, სადაც ავაზაკნი მრავალ-გზის დაჰხვდებოდნენ და მოჰკვლი-
დენ მოგზაურთა. მღვდელმან და ლევიტელმან, თუმცა გაია-
რეს იმ ადგილზედ და ნახეს ეს კაცი წყლული, გარნა ვერ
გაბედეს იქ დაყოვნება და მიცემა შემწეობისა; ხოლო უბრა-
ლო სამარიტელმა აღასრულა მცნება ღვთისა და გამოსჩნდა
მოყვასად უბედურისა ამა კაცისა: მაშასადამე, მან თვით საქმით
აღასრულა მცნება მოყვასობისა. სჯულის-მეცნიერმან, რომე-
ლი ჰკითხავდა უფალსა: ვინ არს მოყვას ჩემდა? სიტყვით კი
კარგად ახსნა, რა არის მოყვასის სიყვარული, გარნა სჩანს,
რომ საქმით კი არ აღასრულებდა იგი მცნებასა ამას; ეგრეთვე
მღვდელი იგი და ლევიტელი, რომელთა იხილეს წყლული
დაგდებული და შემწეობა არ მისცეს, უთუოდ კარგად აღგიხ-
სნიდენ და განგიმარტებდნენ ენამჭევრულითა სიტყვითა, რაი
არს მოყვასის სიყვარული, გარნა, როდესაც მოვიდა ჟამი აღ-
სრულებად მცნებისა ამის, მაშინ მათ გამოაჩინეს, რომ არა
აქვსთ გულში სიყვარული მოყვასისა; უბრალო იგი სამარიტე-

ლი ვერ აღგიხსნიდა კარგად სიტყვით, რა არს სიყვარული მოყვასისა, გარნა სჩანს, რომ გული ჰქონდა კეთილი და საქმით მან პირველმან აღასრულა მცნება ესე.

ჩვენ ხშირად განვიზრახავთ გულში, ძმანო ქრისტიანენო, და ვიკითხავთ: ვინ არს მოყვას ჩვენდა? ჩვენც ხშირად შემცდარნი ვართ ამ საგანზედ და მოტყუებულნი, ვითარცა წყლული იგი კაცი, შთავარდნილი ხელთა შინა ავაზაკთასა. უეჭველი არის, რომელ იგი არაოდეს არ მოიფიქრებდა და არ დაიჯერებდა, რომ მღვდელი და ლევიტელი, მისის სჯულის მოძღვარნი, მისი დამრიგებელნი და მასწავლებელნი, დასტოვებდნენ მას უწყალოდ და შეუწევნელად, გარნა სამარიტელი უცხო, სხვა ტომის კაცი, აჩვენებდა მას ესოდენსა მოწყალებასა. ჩვენ ხშირად შევცდებით მისთვის, რომ არ განვიცდით გულსა და ხასიათსა კაცისასა, არამედ მივხედავთ მხოლოდ მისსა გარემოებასა და ლაპარაკსა.

ვინ არს მოყვას შენდა? შენ მოყვასად, ძმაო ჩემო, ის კი ნუ გგონია, რომელ პირში გეფერება და გაქებს, ტკბილად გელაპარაკება, გარწმუნებს ენითა თვისითა, იგი შენთვის თავს გადასდებს, კეთილად და მჭევრმეტყველად აღგიხსნის, რა არს სიყვარული მოყვასისა, მოგაჩვენებს, რომ იგი შენთვის თავგამომეტებული არის: გარნა პირ-იქით სხვას ლაპარაკობს შენზედა, გულში შენი შური აქვს.

ვინ არს მოყვას შენდა? ზოგიერთის კაცის გარეშეობა და ლაპარაკი სრულად არ ეთანხმება შინაგანსა მისსა ხასიათსა.

ზოგი კაცი ყოველთვის ღიმილით და ტკბილად გელაპარაკება შენ, თვით პირზედ იგი გამოჰხატავს კეთილობასა და მოწყალებასა, გულში შეგიძვრება, გეფერება, ვითარცა მელა; შენ ჰფიქრობ: რა კეთილი ხასიათი აქვსო, რა კეთილი კაცი არისო, უთუოდ მაგას ჩემი სიკეთე უნდაო; გარნა ხშირად მოგატყუებს მწარედ და როდესაც დაგჭირდება მართლა მისი მოყვრობა, მაშინ გამოსჩნდება, რომ იგი სტყუოდა. სხვა კაცი სხვა ხასიათისა არის: გარეშეობა მისი შენ გეჩვენება სასტიკად; ბევრი ლაპარაკი მას არ უყვარს, პირში არ გაქებს შენ იგი, რაც გინდა ღირსი და კეთილი კაცი იყო, ხშირადაც გაგაჯავრებს ფიცხელითა სიტყვითა, პირდაპირ გეტყვის იგი შენსა სიცუდესა, გარნა პირიქით, იგი შენზედ ცუდს არაფერს იტყვის, არამედ ჰცდილობს, რომ გაგამართლოს და შეგინდოს შენი ნაკლულევანება; ყელზედ არ გადაგეხვევა იგი, არ გარწმუნებს ენითა თვისითა, რომ მას სურს შენი სიკეთე და თავი გადაგებული აქვს შენთვის; შენ ხშირად გგონია, რომ იგი არის ცუდი ხასიათის კაცი, მას შენ სძულხარ და შენი სიკეთე არ უნდა; გარნა, რო-

დესაც მოვა ჟამი და დრო, მაშინ შეიტყობ, რომ მას უყვარ-
ხარ შენ, იგი არის შენი მეგობარი, მას შეუძლიან შემწეობა
შენი.

ვინ არს მოყვას შენდა? შენი მოყვასი ის კი არ არის,
ძმაო, რომელიც გეფერება და დაგიახლოვდება მხოლოდ მა-
შინ, როდესაც შენ ხარ ბედნიერი და კმაყოფილი, როდესაც
შენ არ გეჭირვება მისი შემწეობა, არამედ მას სურს შენგან
სარგებლობა. რაოდენნი არიან ესრეთნი, რომელ ოდეს შენ
ხარ მისთვის საჭირო და სასარგებლო, მაშინ გემონება, გეფე-
რება და გაქებს, სიყვარულსა და ერთგულებასა მოგაჩვენებს,
და როდესაც შენ აღარ ხარ მისთვის საჭირო და მეტადრე,
უკეთუ თვით იგი არის შენთვის საჭირო, მაშინ იგი შენ აღარ
გიცნობს, აღარ შეგხედავს, ზურგს მოგაქცევს. კეთილი და
ქრისტიანული მოყვასი გამოგიჩნდება ჟამსა უბედურებისასა:
მაშინ მოგიახლოვდება იგი, მაშინ გეფერება, მაშინ განუგე-
შებს.

ვინ არს მოყვას ჩვენდა? ამას, ძმაო, აღგვიხსნის და გვა-
ჩვენებს ცხოვრება და ქცევა თვით უფლისა ჩვენისა იესო
ქრისტესი. წარმოიდგინე და მოიხსენე, როგორ იქცეოდა იგი
ყოველ კაცთან. მისი ლაპარაკი და უბნობა იყო შეზავებული
სიყვარულითა და მოწყალებითა; გარნა ამასთანავე იყო იგი
პირდაპირი; საწყალს, უბედურ კაცსა იგი ეფერებოდა, ანუ-
გეშებდა; ხოლო ამაყსა, მდიდარსა, უგუნურსა ზარ-დასცემდა
ფიცხელითა მხილებითა. უბედურსა, საწყალსა დედაკაცსა ეტ-
ყოდა: ნუგეშინინ ასულო! ხოლო ამაყთა ფარისეველთა, რო-
მელთა ჰქონდათ ხელში უფლება და შეეძლოთ მისი გაცემა
და დასჯა, ეტყოდა: ორგულნო, ფარისეველნო, ცოფნო და
ბრმანო! მოწაფეთა თვისთა, უბრალოთა მეთევზეთა, უწოდებ-
და: ძმანო ჩემნო, შვილნო მეგობარნო: ხოლო უსჯულოსა
ირროდეს, გალილიას მთავარსა, შეუთვალა ერთხელ: უთხარით
მელასა მას!

ესრედ იქცეოდი შენ, მაცხოვარო ჩვენო, და ესრედი სა-
ხე მოგვეც ჩვენ: გარნა ჩვენ, მარადის უგუნურთა და მარადის
დაბნელებულთა, არ გვახსოვს მაგალითი შენი; არა გვაქვს
გულში სახე შენი! ჩვენ ვეფერებით და ვაქებთ მხოლოდ მდი-
დართა და შემძლებელთა, ხოლო ღარიბსა და საწყალსა კაცსა
ვაჯავრებთ და ვაგინებთ; შენზედ, მაცხოვარო ჩვენო, ფარი-
სეველნი და ორგულნი იტყოდნენ: იგი მზაკვარი არისო და
იგი ჩვენ დაგვღუპავსო: გარნა შენ ჯვარ-ცმულ იქმენ ნებსითა
ცხოვნებისათვის მათისა. ჩვენ კი ისრე ვფარისევლობთ და
ვმზაკვრობთ, რომ ხშირად ვათქმევინებთ ჩვენს თავზედ: რა

კეთილი კაცი არისო, იგი ჩვენ გაგვაკეთებსო, გარნა გული კი
გვაქვს აღვსებული მტერობითა, შურითა და მზაკვრობითა.
შენი სიტყვა და საქმე ერთი იყო: რასაც სიტყვით ასწავებდი,
იმას საქმითაც უჩვენებდი; არა ესრეთნი ვართ ჩვენ: ენისა ჩვე-
ნისაგან ხშირად წვეთავს თაფლი, გარნა გული ჩვენი აღვსე-
ბული არის მწარითა შურითა და მტერობითა. როდის იქმნე-
ბა, მაცხოვარო ჩვენო, რომელ თვით საქმით დაგემსგავსოთ
შენ და არა მხოლოდ სახელი შენი გვეწოდებოდეს ჩვენ!
თვით შენ მადლითა შენითა შეგვეწიე, განაცხოველე ჩვენს
გულში ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული მოყვასისადმი! –
ამინ.

მოძღვრება

კე-სა კვირიაკესა.

ვინ არს მოყვას ჩემდა? (ლუკ. ი, კთ.).

ესრედ ჰკითხა უფალსა ერთმა სჯულის-მეცნიერმა. მას
სურდა შეტყობა: ვინ არს მისი მოყვასი, ვინ უნდა შეიყვა-
როს მან, ვითარცა თავი თვისი? იგი ჰგონებდა უთუოდ, რო-
მელ არა ყოველი კაცი არის მისი მოყვასი და ყოველს კაცს
იგი ვერ შეიყვარებს, ვითარცა თავსა თვისსა. რისთვის ჰფიქ-
რობდა, ძმაო ქრისტიანენო, ეს სჯულის-მეცნიერი ამ სახით?
გარნა სჯულის-მეცნიერმა ის არ იცოდა, რომ კაცის მოყვასი
არის ყოველი სხვა კაცი? არნა მის სჯულში, რომელიც მან
კარგად იცოდა, არ ამოეკითხა მას, რომელ ყოველნი ტომნი
და თესლნი კაცთანი შთამომავლობენ ერთისა წინაპარისა ადამ
და ევასაგან, მაშასადამე არიან ძმანი და მოყვასნი? მართალია,
ძმანო, ეს უთუოდ კარგად იცოდა იმ სჯულის-მეცნიერმა,
გარნა სჩანს, რომ ამ სოფლის ჩვეულებამან დაავიწყა მას სწავ-
ლა სჯულისა. შჯული ასწავლიდა მას, რომელ ყოველნი კაც-
ნი არიან მისნი მოყვასნი, გარნა იმ ჟამად, როდესაც იგი ამას
ჰკითხავდა, ურიათა შორის იყვნენ მრავალნი განყოფილებანი
და განწვალებანი, რომელთა მათ თითქმის დაივიწყეს: რა
არის მოყვსობა და ვინ არის მოყვასი. ურიანი არა თუ უცხო
ტომის კაცს არ სთვლიდნენ მოყვასად, არამედ თვით მათ შო-
რის იყვნენ ისრეთნი განყოფილებანი, რომ ზოგჯერ ერთი

მეორეს არ მიაჩნდა მოყვასად, მაგალითებრ, თვით იგი სჯულის-მეცნიერი და მისნი ტომნი ფარისეველნი და სადუკეველნი შეურაცხ-ჰყოფდენ და მოყვსად აღარ სთვლიდენ დაბალსა უსწავლელსა ხალხსა; მღვდელნი და ლევიტელნი იყვნენ განშორებულნი სხვა წოდების კაცთაგან, ერთი მხრის ანუ ერთი მაზრის მცხოვრებნი ემტერებოდნენ მეორე მაზრის მცხოვრებთა; გალილეველთა სხვა მაზრის მცხოვრებნი ეცინოდენ და შეურაც-ჰყოფდენ; სამარიტელთა ურიანი არც კი შეეხებოდენ; ვინაიდგან მიაჩნდათ იგი უწმიდურად.

ამ სახით დაკარგული იყო ურიათა შორის მოყვრობა და სიყვარული. დასამოძღვრებლად მათდა და გასასწორებლად მათისა ცრუ აზრისა და მათისა მავნებელისა ჩვეულებისა მაცხოვარმა სთქვა ის მშვენიერი იგავი, რომელი გესმათ თქვენ დღეს სახარებითგან და რომელსა შინა არცა მღვდელმა, არცა ლევიტელმა არ აჩვენა მოყვსური სიყვარული თვით მათის ტომის და შთამომავლობის კაცსა, ავაზაკებისაგან დაჭრილსა და გზაზედ მიგდებულსა. გარნა სამარიტელმა ურიათაგან შეურაცხოფილმა და მოძულებულმა კი იხსნა იგი სიკვდილისაგან.

თუმცა ჩვენ ქრისტიანენი ვართ, თუმცა სახარება გვასწავლის ჩვენ, რომელ ამ სოფლის ჩვეულებანი და განყოფილებანი არ უნდა გააუქმებდეს მოყვსობის სიყვარულსა და რომელ ქრისტიანე სიყვარულსა თვისსა მოყვსისადმი არ უნდა დააფუძნებდეს ამ სოფლის კავშირსა ანუ ანგარიშსა ზედა, არამედ ყოველი კაცი უყვარდეს მისთვის, რომელ იგი არის კაცი, ადამიანი; საუბედუროდ, ჩვენ ხშირად გულში გავარჩევთ, ვინ არს მოყვას ჩვენდა და ვინ არა; ზოგი კაცი მიგვაჩნია მოყვსად და ყოველ შემთხვევაში მივსცემთ შემწეობასა, და ზოგიერთ კაცზედ ხშირად ვფიქრობთ, რომ ის არ არის მოყვასი და მისი სიყვარული ჩვენ არ გვმართებს; ესრედ რომელ მოყვსურსა სიყვარულსა ჰმართავს ჩვენს გულში არა საღმრთო სჯული სახარებისა, არამედ უბრალო მსოფლიური ანგარიში. როგორადაც ძველი ებრაელნი იყვნენ განსწავლულნი სხვათა და სხვათა წოდებათა შორის, აგრეთვე აწინდელიცა ჩვენი ქრისტიანული საზოგადოება არის განყოფილი მრავალ-წოდებად, მაგალითებრ: არის წოდება კეთილშობილთა, სასულიერო და საერო, წოდება სამოქალაქო, სამხედრო, წოდება ვაჭართა და გლეხთა. საუბედუროდ ესრეთნი განყოფილებანი ქრისტიანეთა შორის, ხშირად გარდაიქცევიან მიზეზად განშორებისა, უკმაყოფილებისა და სიძულვილისა მათ შორის მით და დაარღვევენ საღმრთოსა სჯულსა სიყვარულისასა.

მაშასადამე, არ უნდა იყოსა საზოგადოებასა შინა სხვა და

სხვა წოდება? ცოდვა არისა ესრეთი განყოფილება ქრისტიანეთა შორის? არა, ძმანო ჩემნო! მე ამას არ გეტყვი. განყოფილება წოდებათა არიან დაწესებულნი სამოქალაქო სჯულითა მისთვის, რომელ ამ სოფლის მდგომარეობა და ქვეყნის მართვა მიუცილებელად მოითხოვეს ესრეთთა განყოფილებათა; მე მსურს მხოლოდ მივაქციო თქვენი ყურადღება, ძმანო ჩემნო, მას ზედა, რომელ იგინი არიან დროებითნი, წარმავალნი და ქრისტიანული მოყვასთა სიყვარული არ უნდა იყოს დამოკიდებული მათ ზედა. მოციქული პავლე გვასწავლის: **შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერებაი, მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა; სადა იგი არა არს წარმართი, და ურია, წინადაცვეთილობა, და წინადაუცვეთლობა. ბარბაროს, სკვითელ, მონება, აზნაურება; არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე** (კოლას გ, ია). ჩვენ ყოველნი ქრისტიანენი ერთბაშად იესო ქრისტეს მიერ და იესო ქრისტეს შინა ვართ ძმანი, თანასწორნი. დიდი ცოდვა არ იქმნება, რომ კეთილ-შობილმა ვინმე სთქვას: ჩემი რა მოყვასი უნდა იყოს გლეხი კაცი; დიდი ცოდვა არ იქმნება, ერთი სიტყვით, რომ ქრისტიანემ შეიყვაროს მხოლოდ თვისი წოდების კაცი, ყოველს საქმეში მას მიუდგეს, სიმართლით და უსამართლოდ მისი მხარე დაიჭიროს. წმიდა მოციქული პავლე ეპისტოლესა შინა თვისსა ეფესელთა-მიმართ ქრისტიანულს საზოგადოებასა დაამგზავსებს კაცის გვამს, ანუ სხეულს. როგორადაც კაცის სხეულში არის მრავალნი ასონი, გარნა ისინი შეადგენენ ერთსა სხეულსა; როდესაც ერთი რომელიმე ასო ასტკივდება კაცს, მაშინ მრთელი კაცის სხეული ავად არის; როდესაც რომელიმე ასო არის დიდებული, მაშინ მრთელი კაცის სხეული არის გახარებული, – სწორედ ამისი მგზავსი ერთობა უნდა იყოს ქრისტიანეთა შორის. გარნა, საუბედუროდ, ჩვენს ქვეყანაში ეს არავის არ ახსოვს, ჩვენში არ სუფევს ქრისტიანული მოყვსობა. ნაცვლად ამისა ჩვენში კიდევ ჰსუფევს მტერ-მოყვრობა, ყოველივე დამოკიდებულია მტერ-მოყვრობაზე; როგორადაც ძველ დროებაში ქრისტეს სოფლად მოსვლამდე არ იყო ძმობა და მოყვსობა, არამედ ანუ მოყვრობა, ანუ მტერობა, აგრედვე ჩვენში. თუ მოყვარე არ არის ვინმე შენი, ის ანუ მტრად მიგაჩნია, ან არც იცნობ, არც გიყვარს. დასამტკიცებლად მისა, თუ რა სუსტი ვართ ჩვენ ამ მცნების აღსრულებაში, სხვა მაგალითსა შორის გამოვარჩევ ერთსა უმეტესსა სამწუხაროსა მაგალითსა.

ვგონებ, ყოველი კაცი დამეთანხმება ამაზე, რომელ ჩვენი სულიერი წარმატება და განათლება მოითხოვს, რომ დიდი

ერთობა და მინდობილობა იყოს სასულიერო და საერო წოდებათა შორის, ანუ მღვდელთა და ერთა შორის. ყოველმა კაცმა იცის, რა სანატრელი და სასიხარულო არის ერთგულობა მღვდელსა და მისსა სამწყსოსა შორის; გარნა საუბედუროდ აქ ჩვენი სულიერი მტერი ჰცდილობს, რომ დაარღვიოს ერთობა და დასთესოს უკმაყოფილება. მართალი კი არის და პირ-უთვნელად კი უნდა აღიარო, რომელ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ეგოდენი განშორება, არცა უკმაყოფილება სასულიერო და საერო წოდებათა შორის, როგორადაც სხვა, ჩვენზე უფრო განათლებულთა ქვეყანათა შინა. ამაზე ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ ღმერთსა და კიდეც უნდა ვეცადოთ, რომ არ გაძლიერდეს ესრეთი განშორება და უკმაყოფილება ჩვენშიაც. სამწუხაროდ, არის ჩვენს ქვეყანაში მრავალნი ერისაგანნი პირნი, რომელთ ფრიად უყვარსთ გამტყუნება, დაწუნება და განკითხვა სამღვდელო პირთა, ხოლო დაბალსა ხალხსა ერთობ უყვარს უმართლო ჩივილი მღვდელთა ზედა. ის კი მართალია, ძმანო ჩემნო, რომელ ზოგიერთნი სამღვდელოთა პირთაგანნიცა არიან დასაწუნარნი და გასამტყუნებელნი, გარნა, ძმაო, როდისაც ნაჰხავ ესრეთსა მღვდელსა, რა უნდა სთქვა და რა უნდა ჰქმნა? მაშინ შენ უნდა შესწუხდე და თითქმის უნდა სტიროდე მისთვის, რომელ ეს არის დიდი უბედურება და სირცხვილი ქვეყნისათვის, რომელსა სახარება გამოჰხატავს ამ იგავით: ბრმა ბრმასა წინა **რომ უძღვის, ორნივე მთხრებლსა შინა შთაცვივიან;** ნაცვლად ამისა მესმის, რომ შენ ხმამაღლა განიკითხავ მრთელსა სასულიერო წოდებასა; ვხედავ, რომ შენ არა თუ არ სწუხხარ, არამედ თითქოს გიხარია და თითქოს შენს თავს ამართლებ მღვდლის სიცუდითა. ნეტავი მარტო ცუდსა და დასაწუნარს მღვდელსა განიკითხავდნენ ზოგიერთნი ერის კაცნი! წინააღმდეგ ამისა და განსაცვიფრებელად ჩვენდა, არა ერთ-გზის შენიშნულ არს, რომელ ზოგიერთ სოფლებში კარგი, პატიოსანი და სასარგებლო მღვდელი არის დაწუნებული და დევნული, ხოლო ავი და მავნებელი მღვდელი პატივ-ცემული და შეყვარებული. რა მიზეზით უნდა მოხდეს ესრეთი განსაცვიფრებელი საქმე? ვგონებ იმ მიზეზით, რომ ზოგიერთს ერის-კაცს, ეგრედვე ზოგიერთს გაუნათლებელ საზოგადოებას ის მღვდელი უმეტესად უყვარს, რომელსაც იგი ყოველს საქმეში დაიმორჩილებს, აიყოლიებს და დაითანხმებს. ეს მღვდელი ძალიან ჩვენი მორჩილია და კარგი არისო, გაგვიგონია ზოგიერთთა სოფლის მცხოვრებთაგან. და თუ მღვდელი არ დაემორჩილა მას ყოველს საქმეში, თუ მღვდელმა თვით იმეცადი-

ნა დამორჩილება სამწყსოისა თვისისა, როგორადაც სჯული მოითხოვს, მაშინ იგი არ მოსწონს მას. არ აჰხსოვს ზოგიერთს ერის კაცს, რომ მოწაფე მოძღვარს უნდა უგონებდეს და ემორჩილებოდეს და არა მოძღვარი მოწაფესა. ნუ იქმნება ამიერითგან, ძმაო, ესრედ! მღვდელი ყოველთა მოყვასთა უმახლობელესი უნდა იყოს შენზე.

ნუ იყოფინ აგრეთვე, რომ მარტო მოყვარე და მონათესავე გიყვარდეს და სხვა არა. ვისაც მარტო ნათესავი ანუ მოყვარე უყვარს და სხვა არა, მას დიდი მადლი არა აქვს. ნათესავის და კეთილის-მყოფელის სიყვარული პირუტყვთაც კი აქვსთ, ნათესავის სიყვარულს ბუნებითი გრძნობა მოითხოვს და აიძულებს.

ღმერთო! მოგვეც ჩვენ ჭეშმარიტი სიყვარული მოყვასისა, რათა არა ვკითხულობდეთ მსგავსად სჯულისა-მეცნიერისა: **ვინ არს მოყვას ჩემდა?**

სიტყვა

კგ-სა კვირიაკესა.

ხოლო ეშმაკნი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკეთუ განგვასხამ ჩვენ, მიბრძანე ჩვენ მისვლად კოლტსა იმას ღორთასა (მათ. ᲩᲐ, ლა).

დღეს წაკითხული სახარება იპყრობს თვის შორის, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, საშინელსა და განსაცვიფრებელსა მოთხრობასა. ერთხელ უფალი იესო ქრისტე მიმოსვლასა თვისსა სოფლითი-სოფლად მიეახლა ერთსა სოფელსა, სახელდობრ გერგესეველთასა; მაშინ მიუხდნენ მას ორნი კაცნი, შეპყრობილნი და საშინელად გატანჯულნი სულთაგან არა-წმიდათა, იგინი სცხოვრობდენ ტყეში და კლდეებში, სამოსელს არ იცვამდნენ, საზარელად ჰყვიროდენ და აშინებდენ ყოველთა მიმომსვლელთა. უფალსა იესო ქრისტეს შეეწყალა იგინი და მაშინვე უბრძანა სულსა არა-წმიდათა განსვლად მათგან. სულნი, უკეთურნი, ვერ ჰბედვენ მისის ბრძანების წინააღმდეგობასა; იგიგნი მხოლოდ სთხოვენ მას, რა-

თა უბრძანოს მას შესვლად კოლტსა ღორთასა: **უკეთუ განგვასხამ ჩვენ, მიბრძანე მისვლა კოლტსა იმას ღორთასა.** რას ნიშნავს, ძმანო, ეს გასაოცარი თხოვნა სულთა უკეთურთა? რისთვის მოინდომეს ამათ შესვლა კოლტსა ღორთასა? ნუ თუ სხვა უკეთესს ადგილს ვერ იპოვნიდენ იგინი განსასვენებელად? რამ დაამდაბლა, რამ გააფუჭა იგინი იმ ზომამდე, რომ ვიდრემდის იყვნენ იმ ორთა კაცთა შინა, სტანჯვიდნენ მათ უწყალოდ და მერმე, როდესაც მაცხოვარმან უბრძანა გამოსვლა მათგან, იგინი ვერ ჰპოულობენ სხვა თავის შესაფერს, ადგილსა, თვინიერ უწმინდურთა ცხოველთა? ნუთუ თვით ღმერთმან თავითგანვე შექმნა ისინი ესრედნი? არა, ძმაო ჩემნო! ვიცით ჩვენ საღმრთო წერილთაგან, რომელ იგი დასაბამიდგან იყვნენ ანგელოზნი, ნათლით შემოსილნი. მაშასადამე, რამ წაახდინა და რამ დაამახინჯა მათი ბუნება ამ ზომად? ცოდვამ! ღვთის-წინააღმდეგობამ! იგინი განდრკნენ ღვთისაგან, შეიქმნენ ღვთის ურჩნი და შეიყვარეს ღვთის-წინააღმდეგობა, სიცუდე, ბოროტება და სიცრუე; ამისთვის, ნაცვლად სინათლისა, მათ შეიმოსეს სიბნელე და შეიქმნენ უკეთურნი და ბოროტნი.

ეჰა, ძმანო ქრისტიანენო, რა საშინელი მოქმედება აქვს ცოდვას ყოველსა ქმნილებასა ზედა! აჰა, როგორ გააფუჭებს ცოდვა თვით მაღალთა, ნათლით შემოსილთა ანგელოზთა ბუნებათა! ეხლა ის იფიქრე, ძმაო ჩემო, და წარმოიდგინე: თუ ცოდვა ესრედ გააფუჭებს თვით ანგელოზის ძლიერსა ბუნებასა, რა სახით არ უნდა გააფუჭოს და გაამახინჯოს მან შენი სუსტი და უღონო ბუნება? კაცის ბუნებაზე აქვს განუზომელი და აღუწერელი მოქმედება.

ვსთქვათ მოკლედ, რა ცვლილებას მოახდენს ცოდვა ბუნებასა შინა კაცისასა.

კაცს ღმერთმან მისცა ორნი უმთავრესნი ნიჭნი, რომელნი მას დაემსგავსებენ თითქმის ღვთაებასა; ესე იგი, პირველად ჭკუა ანუ გონება, და მეორედ ნება, ანუ თავისუფლება.

ჭკუითა ანუ გონებითა კაცი იცნობს თავის თავსა, ღმერთსა, ბუნებასა; ნებითა ანუ მნებლობით იგი თავისუფლად იწყებს ყოველსა საქმესა, დააწყობს თავისსა ცხოვრებასა, ანუ დაემორჩილება, ანუ ურჩი ექმნება სჯულსა და ნებასა ღვთისასა. ორთა ამათ უმაღლესთა ნიჭთა ცოდვა ეგოდენ გააფუჭებს, რომელ ხშირად კაცი თითქმის სრულიად მოაკლდება მათ და დაემსგავსება პირუტყვთა. საჭირო არ არის, რომ შორითგან ვიწყოთ და ვეძიოთ ამის დამტკიცება. თვით უბრალონი მაგალითნი, ყოველ-დღის შემთხვევანი დაამტკიცებენ ამას. ზოგჯერ რომელიმე ცოდვა იმ სახით შეჰკრავს კაცსა, რომელ იგი

ხშირად ვეღარ ხმარობს თავისუფლად ვერცა ჭკუასა, ვერცა ნებასა თვისსა. მაგალითებრ, ზოგჯერ კაცი იმ სახით გაფიცხლდება, რომელ აღარც კი ახსოვს, რას ლაპარაკობს და რას იქმს და, როდესაც გული დაუმშვიდდება, მაშინ თითონაც რცხვენია იმ საქმისა, რომელიც მან ჰქმნა გულფიცხელობასა შინა. კაცი ცოდვისაგან წარტაცებული და დაპყრობილი თვითონაც ხშირად სწუხს თავის მდგომარეობაზედ; მრავალ-გზის მოინდომებს გამოსვლად ცოდვითგან, გარნა ეგოდენ არის შეკრული, რომელ ვერ ასრულებს თვისსა სურვილსა. უფალი იესო ქრისტე იტყვის: **ამინ, ამინ, გეტყვი თქვენ, ყოველმან, რომელმან ჰქმნას ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა.** აგრეედვე მშვენიერად აღწერს წმიდა მოციქული პავლე მდგომარეობასა კაცისა ცოდვილისასა: **ვჰხედავ სხვასა სჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი იგი წინაგანეწყვების სჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყვენავს მე სჯულისა მით ცოდვისათა, რომელი იგი არს ასოთა შინა ჩემთა** (რომ. ზ. ი. კგ). ესე იგი, მე მსურს, რომ კეთილი საქმე ვქმნა, გარნა ვხედავ ჩემს შორის რაღაცა ძალსა და სჯულსა, რომელი მიშლის მე კეთილსა საქმესა: უბადრუკი მე კაცი ვინმე მიხსენ მე ხორცითა ამისაგან სიკვდილისათა. ესე იგი, რა საწყალობელი და რა საცოდავი კაცი ვარ მეო, ვინ უნდა გამომიხსნას მე ამ ცოდვის მონებისაგანო. აჰა, რა სახით წაახდენს ცოდვა კაცსა და მოაკლებს მას მისთა დიდთა ნიჭთა, გონებასა და თავისუფლებათა. გარნა მოქმედება ცოდვისა კაცის ბუნებასა შინა არ გათავდება ამით; ცოდვა არათუ დააბნელებს სულსა კაცისასა, არამედ იგი მოქმედობს ხორცსა შინა მისსა, იგი მოაკლებს მას სიმრთელესა, შემოაკლებს მისსა სიცოცხლესა და შთააგდებს უდროოდ სამარესა შინა. ზოგიერთნი ხორციელნი ცოდვანი ისე ხშირად და მსწრაფად დაარღვევენ კაცის სხეულსა, რომელ არც კი არის საჭირო ამისი დამტკიცება. ყოველმან კაცმან იცის ეს. გარნა არა ყოველნი კაცნი ჰფიქრობენ, რომელ თითქმის სულიერნიცა ცოდვანი, მაგალითებრ, შური, სიძულილი, ამპარტავნება, პატივის-მოყვარება და სხვანი ცოდვანი მოქმედებენ ვითარცა საწამლავი, არა თუ მხოლოდ სულსა შინა კაცისასა, არამედ თვით ხორცსა შინა მისსა. ცოდვასა კაცის გულში გაძლიერებულს, ეწოდება სახელად ვნება. რისთვის? მისთვის, რომელ იგი ავნებს, სტანჯავს სულსა და ხორცსა კაცისასა. ზოგიერთს საწამლავს გემო ტკბილი აქვსა მაგრამ მოქმედება სასიკვდინე; აგრეთვე ზოგიერთი ცოდვა ერთს წამს დაატკბობს კაცსა, გარნა მერმე ავნებს მას და გააფუჭებს.

გარნა არც ამითა გათავდება დამღუპველი მოქმედება ცოდვისა ბუნებასა შინა კაცისასა. შენი ცოდვა და ბოროტება, ძმაო ჩემო, მარტო შენს ბუნებაში რომ მოქმედობდეს, მარტო შენ რომ გავნებდეს და შენთა მოყვასთა არ შეეხებოდეს, მაშინ კიდევ არ იქნებოდა იგი ეგოდენ დასაძრახავი; გარნა უბედურება ის არის, რომელ ცოდვა შენი შეეხება მოყვასთა შენთა და მათცა ავნებს; იგი აგრედვე გარდავა შენთა შვილთა და მომავალთა და, ვითარცა თესლი ბოროტი, გამოიღებს მრავალთა ბოროტთა ნაყოფთა.

აჰა, ძმაო, რაოდენი და რა მძიმე მიზეზები გაქვს, რათა გეშინოდეს ყოვლისა ცოდვისა, ვითარცა უბოროტესისა შენისა მტერისა. ღმერთო, დანერგე ჩვენს გულში შიში ცოდვისა! ამინ.

სიტყვა

კვ-სა კვირიაკესა.

> უგუნურო! ამას ღამესა შინა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელი მოიმზადე ვისა იყოს? (ლუკ, იბ. კ).

ერთსა მდიდარსა კაცსა, როგორც მოგვითხრობს დღეს წაკითხული სახარებისა იგავი, მოუვიდა ურიცხვი მოსავალი იმ ზომად, რომ ადგილიც არა ჰქონდა, სად შეენახა იგი. მაშინ მან ითქვა თავის გულში: რა ვქნა, რომ ამოდენი სიმდიდრე მომემატა! და მერმე ესრედ გადაწყვიტა: აღვაშენებ უდიდესთა საუნჯისთა შესანახავთა, შევკრებ მუნ ყოველსა ჩემსა ნაყოფსა და სიმდიდრესა და ვეტყვი სულსა ჩემსა: **სულო გაქვს მრავალი კეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა; განისვენე, სჭამე და სვი, და იხარებდე. გარნა უფალმან რქვა მას: უგუნურო! ამას ღამესა შინა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელი მოიმზადე. ვისა იყოს?**

რასა შინა მდგომარეობდა, ძმანო-მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, უგუნურება მდიდრისა ამის კაცისა? პირველად მას შინა, რომელ მას ჰქონდა შეცდომილი, უგუნური ჰაზრი სიმდიდრეზე და მის ხმარებაზედ. იგი ჰფიქრობდა, რომელ თუ კი კაცმა შეიძინა სიმდიდრე, მან უნდა განისვენოს, ჰსვას, სჭა-

მოს, განიხაროს და მეტი არაფერი აკეთოს. რა ესრედ უნდა ჰფიქრობდეს გონიერი ქრისტიანე კაცი. ან არ უნდა წარმოიდგინოს თავის გულში, რომ სიმდიდრე მას დაითხოვს შრომისგან და აძლევს ნებას განსვენებისას? რაც გინდა მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტევოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვევა უქმობასა, და უქმობა შთააგდებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარგავს იგი და ყოველსა სულიერსაცა ღირსებასა.

მეორედ, მდიდარი იგი კაცი ჰფიქრობდა, რომ სიმდიდრე კაცმან უნდა მოიხმაროს მხოლოდ ჭამისა, სმისა და სიხარულისათვის. სჩანს, რომ მას მარტო თავის თავი აჰხსოვდა; სჩანს, რომ იგი არ ჰფიქრობდა, რაოდენი არიან გარემოს მისსა მშიერნი, მწყურვალნი, ღარიბნი, რომელთა იგი თანამდები იყო სიმდიდრისა თვისისაგან შემწეობისა მიცემად. არა ესრედ იფიქრებს ღვთის-მოყვარე ქრისტიანე კაცი; მას აჰხსოვს, რომ სიმდიდრეს ღმერთი მისცემს მისთვის, რათა სიმდიდრითა თვისითა ადიდოს იგი. რა სახით? იმ სახით, რომელ შეეწიოს ღარიბთა, საწყალთა კაცთა, რომელთა აკლიათ საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, სწავლა, ნუგეში და ყოველნი სულიერნი და ხორციელნი ნივთნი.

მესამედ, მდიდარი იგი ეტყოდა თავის სულს: სულო! გაქვს საუნჯე მრავალი, მომზადებელი მრავალთა წელთათვის; მაშასადამე, თვითონვე აღუთქვამდა თავის თავს გრძელ-ჟამიერს და მხიარულს ცხოვრებასა; მას დაავიწყდა, რომ მოღალატე არის სოფელი, დაავიწყდა, რომელ კაცზედ არ არის დამოკიდებული მისი სიცოცხლის გაგრძელება. არა ესრედ უნდა იფიქროს ქრისტიანე კაცმა. იგი თვის სიცოცხლეს და სიმდიდრეს ისრე უნდა უყურებდეს, ვითარცა ღვთისაგან დროებით მიბარებულს ნიჭსა, რომელსა ზედა ღმერთი ანგარიშს მოსთხოვს მას. როდესაც მდიდარსა და შემძლებელს კაცს აქვს ესრეთი ჰაზრი, მაშინ იგი ვეღარ გაჰბედავს, რომ სიმდიდრე მოიხმაროს ჭამისა, სმისა და ლხინისათვის; არამედ ცდილობს, რომ მოიხმაროს იგი, როგორადაც იამება მას, ვინც მიაბარა იგი დროებით, ესე იგი, ზეციერსა მამასა ჩვენსა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, თუმცა არ ითქმის, რომ ჩვენს შორის იყვნენ მრავალნი ფრიად მდიდარნი კაცნი, გარნა ჩვენშიაც არის განრჩევა მდიდართა, შემძლებელთა და ღარიბთა შორის. მისთვის შეიძლება, რომ ჩვენს შორისაც გამოჩნდეს კაცი, რომელმან თავის გულში იფიქროს: სულო, განისვენე, სჭამე და იხარებდე, ანუ ამის დამგზავსებუ-

ლი და მიახლოვებული რომელიმე ჰაზრი; ამისთვის საჭირო არის, რომ ჩენც გვახსოვდეს დღეს წაკითხული იგავის სწავლა, ესე იგი, არავინ ჩვენგანი არ იყოს მსასოებელი თვისისა შეძლებისა, არავინ იფიქროს თვისისა ცხოვრების გატარება მხოლოდ ჭამით და სმით, არამედ შრომითა, მოღვაწებითა, კრძალულებითა; შეძლება თვისი არ მოიხმაროს მხოლოდ თავის ნუგეშისა და კმაყოფილებისათვის, არამედ აჰხსოვდეს ღარიბნი და საწყალნი კაცნი და შეეწეოდეს მათ; ბოლოს, არ დაივიწყოს, რომ სიკვდილი და სიცოცხლე კაცისა არის ხელთა შინა ღვთისათა; პირველი არის მარადის ახლო ყოველს კაცზე; მაშასადამე, ღმერთზე ჰქონდეს დამყარებული ყოველი თვისი სასოება. – ამინ.

სიტყვა

კზ-სა კვირიაკესა.

მიუგო შესაკრებელის-მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განჰკურნა იგი იესო და ეტყოდა ერსა მას: ექვსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდენ, და ნუ დღესა შაბათსა (ლუკ. იგ. იდ).

უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, ვითარცა გვესმა დღეს წაკითხულისა სახარებითაგან, ერთს შაბათის დღეს განჰკურნა შესაკრებელსა შინა ურიათასა დედაკაცი უძლური, რომელი უმეტეს თვრამეტის წლისა იყო დარონებული და ვერ შეეძლო ზე-ახილვად. მოძღვარსა მის შესაკრებელისასა არა თუ არა იამა ესრეთი ქველის-მოქმედება მაცხოვრისა და ბედნიერება იმა დედაკაცისა, არამედ მრისხანებით აყვედრა მუნ შეკრებილსა ერსა: **ექვსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ, და არა დღეთა შაბათსა.** ამით შესაკრებელის-მთავარი შეაგონებს ერსა, ვითომც მაცხოვარმა დაარღვია მეოთხე მცნება, მაშინ, როდესაც მან უმჯობესად აღასრულა იგი. მეოთხესა მცნებასა შინა ღმერთი უბრძანებდა ურიათა: **მოიხსენე დღე იგი შა-**

ბათი და წმიდა ჰყავ იგი; ექვსთა დღეთა შინა იქმოდე ყოველ-თა საქმეთა, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა. მაშასადამე, ამა მცნებასა შინა ღმერთი პირ-დაპირ უბრძანებს ქმნად კეთილთა საქმეთა. ვინაითგან იტყვის: წმიდა ჰყავ იგი; ცხად არს, რომელ ოდესაც მაცხოვარი შაბა-თის დღეს განჰკურნებდა სნეულსა, იგი პირდაპირ აღასრუ-ლებდა მცნებასა მას; გარნა ურიანი მრავალ-გზის აყვედრებდენ მას და ეტყოდნენ: მან დაარღვია მცნება შაბათისა, იგი არ ას-რულებს სჯულსა ჩვენსა! რა იყო ამის მიზეზი? ისა, ძმანო ჩემნო, რომელ ყოველთა ურიათა და უმეტეს ბრმათა მოძ-ღვართა და სჯულის მასწავლებელთა მათთა ახსოვდათ მხო-ლოდ ასო სჯულისა და არა შინაგანი ჰაზრი მისი; იგინი აღ-სრულებდნენ მხოლოდ გარეგანსა მოთხოვნილებასა სჯულისასა და არა მისდევდნენ საგანსა, ანუ ჰაზრსა მისსა; იგინი საკმაოდ რაცხდნენ, ოდესაც ერი შაბათს დღეს დასტოვებდა ნიადაგსა მუშაობასა, უძრავად განატარებდა დროებასა, ხოლო წმიდა ჰყოფდა იგი თუ არა დღესა შაბათსა რომლითამე კეთილითა საქმითა, ამას იგინი არ მისდევდენ.

გარნა ჩვენ, ძმანო ჩემნო, ჩვენ, რომელნი ვართ ქრისტია-ნენი, რომელთა მაცხოვარმან მოგვცა სჯული მაღალი და სუ-ლიერი, ჩვენ, რომელთა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს შინა-განი ჰაზრი და მოთხოვნილება სჯულისა და არა მხოლოდ ასო მისი, არა დავემსგავსებითა ხშირად ამ შემთხვევაში ური-ათა მათ? ნაცვლად შაბათისა ჩვენ გვაქვს უქმად კვირა და სხვანი რომელნიმე დღესასწაულნი: რა უნდა ჰქმნას ქრისტია-ნემან დღეთა ამათ შინა და რანაირად გაატაროს იგინი? წმი-და ჰყავ იგინი, გვიბრძანებს ჩვენცა ღმერთი. ხოლო წმიდა ჰყოფ შენ მათ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც უქმად განატა-რებ დროებასა, დასტოვებ ნიადაგსა შრომასა და მუშაობასა, არამედ მაშინ, ოდეს აღასრულებ მათ დღეთა შინა რომელსა-მე კეთილსა და მადლიანსა საქმესა. თუ გულში ნამდვილად გაქვს სული სჯულისა შენისა, დიდ ცოდვად უნდა მიგაჩნდეს, როდესაც კვირას, ანუ დღესასწაულს დღეს, დააკლდები წირ-ვა-ლოცვასა; გარნა რავდენ-გზის თვით უმცირესმა მიზეზმა დაგაბრკოლა შენ მისვლად ეკლესიასა შინა. ცოდვად მიგა-ჩნია შენ, როდესაც დღესასწაულს დღეს ვინმე მუშაობს, გარ-ნა ადვილად შეუნდობ შენს თავს, როდესაც მოაკლდები წირ-ვა-ლოცვასა; სჩანს, რომ შენ გაჰხსოვს ასო სჯულისა და არა ჰაზრი მისი. გარნა ერთიცა მხოლოდ მისვლა ეკლესიაში და დადგომა წირვა-ლოცვაზედ არ იქმნება აღსრულება მცნებისა ამის, უკეთუ ჯეროვნად არ ილოცე და არ ისარგებლე წირვა-

ლოცვითა. შეიძლება, რომ კაცმა მოისმინოს წირვა-ლოცვა, არაოდეს არ დააკლდეს წირვასა, გარნა მაინც სულიერად აღასრულოს მცნება ესე. როდისაც შენ ისმენ, ძმაო, წირვა-ლოცვასა, თუ კარგად არ გასინჯე შენი სულიერი მდგომარეობა, თუ არ ილოცე ყოვლითა სიმდაბლითა, სასოებითა და შემუსვრილითა გულითა, ერთი სიტყვით, უკეთუ წირვის მოსმენამ და ლოცვამ არ მოგანიჭა შენ უმჯობესი სულიერი მდგომარეობა, მაშინ შენცა გაქვს გულში მხოლოდ ასო მცნებისა და არა სული მისი.

ურიანი კიდევ აყვედრიდნენ მაცხოვარსა და მოწაფეთა მისთა, ვითომც ისინი არ მარხულობდენ. ფარისეველთა ჰკითხეს ერთგზის უფალს: რაისთვის მოწაფენი იოანესნი და ჩვენნი მარხულობენ, ხოლო მოწაფენი მისნი არ ინახავენ მარხვასა?

რისთვის იყო ეს კითხვა? მისთვის, რომელ ურიანი მისდევდნენ მხოლოდ ასოსა სჯულისასა და არა სულსა მისსა. კარგია მარხვა; დიდი ფასი აქვს მარხვას, გარნა მაშინ, როდესაც იგი არის ნიშანი შინაგანისა მდგომარეობისა, მონანებისა, გლოვისა, მწუხარებისა; ხოლო თუ მარხვა არის ერთი ოდენ საჭმლისა გამოცვლა, მაშინ მას არა აქვს ფასი. მარხვა ფარისეველთა მდგომარეობდა საჭმელში და სასმელში; იგინი მარხვაში ანუ გამოიცვლიდენ, ანუ მოიკლებდენ საჭმელს და სასმელსა, გარნა ყოფაქცევასა საქმეთა თვისთა არ გამოიცვლიდენ. არ ვემსგავსებითა ჩვენცა, ქრისტიანენი, აქაც ურიათა მათ? როდესაც დადგება მარხვა, მაშინ უმრავლესი ნაწილი ქრისტიანეთა გამოიცვლის მხოლოდ საჭმელსა და ჰგონებს, რომელ ამით მხოლოდ დაკმაყოფილდება მოთხოვნა მცნებისა ამის. წმიდა ეკლესია გვასწავებს ჩვენ, რათა დღეთა მარხვათასა ვერიდებოდეთ უმეტესად ცოდვასა და ცუდთა საქმეთა, და არა მხოლოდ სასმელსა და საჭმელსა; გარნა ვინ შეატყობს აწინდელთა ქრისტიანეთა, რომელ იგინი განმავლობასა მარხვისასა იქცევიან კრძალულებითა და სიწმიდითა? უკეთუ, ძმაო ჩემო, ყოფაქცევასა შენსა ჰმართავს სული სჯულისა შენისა და არა მხოლოდ ასო მისი, ეცადე, რომ მარხვათა შინა მოერიდო ცუდთა საქმეთა, და არა მხოლოდ რომელთამე საჭმელთა. ან უგუნური, ან ფარისეველი არის ის ქრისტიანე, რომელიცა დღესა მარხვისასა გამოიცვლის საჭმელსა, ხოლო ცუდსა ყოფაქცევასა არ გამოიცვლის.

ფარისეველნი ეგრედვე აყვედრებდნენ მაცხოვარსა და მოწაფეთა მისთა, ვითომც ესენი დაუბანელითა ხელითა სხდებიან სუფრასა ზედა, არ გარეცხენ ჭურჭელთა თვისთა, ჩვეუ-

ლებისამებრ ურიათასა, და არ მისდევენ ეგრეთვე სხვათა, ამის მსგავსთა, გარეგანთა უსარგებლოთა ჩვეულებათა. ვიცით ჩვენ, ძმაო, სახარებითგან, თუ ვითარ უპასუხებს მაცხოვარი ფარისეველთა ამ შემთხვევაში და ვითარ გვასწავლის ჩვენ შესახებ ამის მსგავსება ჩვეულებათა. უპირატესი ჩვენი მეცადინეობა მას შინა უნდა მდგომარეობდეს, რათა განვიწმიდოთ სული და გული ჩვენი და არა მხოლოდ გარეშეობა. კაცსა შეაგინებს არა რაიმე პირითა შთამავალი სტომაქში, არამედ იგი, რაიცა ამოვალს გულისა მისისაგან. ფარისეველო ბრმაო, განსწმიდე პირველად შინაგანი იგი სასმელისა და პაროქსიდისა, რათა იყოს გარეგანიცა მისი წმიდა. აჰა, რას უპასუხებდა მაცხოვარი ფარისეველთა. ერთი სიტყვით, ძმაო ჩემო, ეცადე, რომ აგიგო და შეიძინო სული ქრისტეს სჯულისა; ნუ ატყუვებ თავსა შენსა: ნუ ჰგონებ, რომელ ოდესცა აღასრულებ ერთსა მხოლოდ ასოსა სჯულისასა, მაშინ შენ იყო ნამდვილი მოწაფე ქრისტესი. სული გააცოცხლებს, ასო მოაკვდინებს. კეთილი ხასიათი, განათლებული გონება, განწმედილი გული, მართალი და წრფელი სვლა, შიში ღვთისა და სიყვარული მოყვასისა – აჰა, რაი არს და რასა შინა მდგომარეობს ქრისტიანობა, რომელიც მოგვცეს ჩვენ ქრისტემან. – ამინ.

სიტყვა

კვ-სა კვირიაკესა.

> მიუგო შესაკრებელის-მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განჰკურნა იგი იესო, და ეტყოდა ერსა მას: ექვსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ, და ნუ დღესა შაბათსა (ლუკ. იგ, იდ).

უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, ვითარცა გვესმა დღეს წაკითხულისა სახარებითაგან, ერთს შაბათის დღესა განჰკურნა ერთი მძიმედ უძლური ქალი შესაკრებელსა შინა, ანუ სალოცველსა ურიათა. წინამძღვარი შესაკრებლისა მის, ნაცვლად მადლობისა და პატივის-ცემისა, განრისხდა და სთქვა:

ექვსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაბათსა. რას ნიჰშნავს, ძმანო, ეს საკვირველი მრისხანება ამ მოძღვრისა? როგორ მოხდა, რომელ ეს კაცი, სასწაულის მხედველი და საწყალისა დედაკაცისა გაბედნიერების მოწამე, ნაცვლად სიხარულისა და შეყვარებისა, მრისხანებს და მწუხარე არს? ძმანო ჩემნო საყვარელნო! ეს მოჰხდა შურისაგან; შურმან დააბნელა ესოდენ გული მისი, რომელ ნაცვლად სიყვარულისა და რწმუნებისა, მას გაუჩნდა გულში მრისხანება და სიძულილი. რაი არს შური? შური არს მწუხარება, რომელსა კაცი ჰგრძნობს გულში, ოდეს იგი ჰხედავს სიკეთესა, წარმატებასა და ბედნიერებასა თვისის მოყვასისასა. ესრედ, იმ შესაკრებელისა-მოძღვარმან, იხილა რა დიდი სასწაული უფლისა და იფიქრა, რომელ ამ სასწაულისათვის მოემატა უფლისა სიყვარული, პატივი და რწმუნება ყოვლისა ერისაგან, ხოლო თვით მას, შესაკრებელის-მოძღვარსა, ესენი მოაკლდენ, ეწყინა და განრისხდა გულითა თვისითა.

თვით ამ მაგალითითგან სჩანს, თუ ვითარ საშინელი და მავნებელი არის ცოდვა ესე შურისა, ოდესაც კაცი, მხედველი მოყვასის სიკეთისა და ბედნიერებისა, გრძნობს გულში არა სიხარულსა, არამედ მწუხარებასა და მრისხანებასა, ცხადად აჩვენებს მათ, თუ ვითარ შორ-არს მისგან სული იესო ქრისტესი; და უკეთუ ვინმე ხშირად გრძნობს გულში ესე-ვითარსა მწუხარებასა და არა ცდილობს, რათამცა შეიტყოს თვისი სულიერი მდგომარეობა, განიშოროს გულითგან საშინელი ესე ვნება, არ შთავარდებაა იგი ბოლოს საფრთხესა მტერისასა და არ დაკარგავსა იგი სრულიად მადლსა ქრისტესსა? შური და მადლი ქრისტესი, შური და სიყვარული ვერ დაადგრებიან გულსა შინა ერთისა და იმავე კაცისასა. ეს არის პირველი მიზეზი, რომლისათვისცა ჩვენ თანამდებ-ვართ ვეკრძალებოდეთ საშინელსა ამა ვნებასა.

მეორე მიზეზი, რომელი გადააქცევს ცოდვასა ამას უსაშინელეს მტრად სულისა ჩვენისა, ის არის, რომელ შურსა შეუდგებიან მრავალნი სხვანი ცოდვანი; ვინაითგან შური მისდრეკს კაცსა უნებრივად მრავალთა სხვათა ცოდვათადმი. დასამტკიცებელად ამისა შეგვიძლიან ჩვენ მოვიყვანოთ მრავალნი მაგალითნი, ვითარცა საღმრთოითა წერილითგან, ეგრედვე სამოქალაქო ისტორიითგან. საითგან შემოვიდა სოფელში კაცთა შორის ცოდვა და სიკვდილი, თუ არა შურისაგან, რომელი იგრძნო ეშმაკმან, მხედველმან ბედნიერებისა და უმანკოებისა ჩვენის წინაპირისამან, და აცდუნა იგი? არა შურმან დას-

დვა ქვეყანაზედ დასაწყისი უსაშინელესისა ცოდვისა, ესე იგი, კაცის კვლისა, დასთესა რა სიძულილი პირ-მშოთა ძმათა, კაენსა და აბელსა შორის და მოაკვლევინა რა პირველსა მეორე? რა შურისაგან განსყიდესა უმანკო იოსებ ძმათა მისთა ეგვიპტედ? რისგან მოხდა, თუ არა შურისაგან, რომელ მეფე საულ სდევნიდა და მრავალ-გზის მოინდომა სიკვდილი დავით წინასწარმეტყველისა? ბოლოს, რამ დააბნელა გონება და ჭკუა ფარისეველთა და მწიგნობართა ესოდენ, რომელ მათ არ მიიღეს მაცხოვარი და არა რწმენა მისი? ვითარ არ გაუკვირდება კაცსა, ვითარ არ იფიქრებს იგი, თუ რა საშინელი აქვს შურსა ძალა და მოქმედება გულსა ზედა კაცისასა, ოდეს იგი წაიკითხავს სახარებასა შინა, რომელ ფარისეველნი თვალითა ხედვიდენ სასწაულთა ქრისტესთა, ხედვიდენ ბრმათა თვალ-ახილულთა, მკელობელთა განკურნებულთა, მუნჯთა მღაღადებელთა, ყრუთა მსმენელთა, ლაზარეს, ოთხის-დღის მკვდარსა, საფლავით გამომავალსა, ოთხი ათასსა კაცსა ხუთითა პურითა გამაძღართა, მზესა დაბნელებულსა, მიწასა შერყეულსა და სხვათა საკვირველთა საქმეთა, გარნა მაინც არ აღიარებენ იესოს მაცხოვრად, მაინც სძულდათ იგი და ბოლოს ჯვარს-აცვეს? რომელი-ღა მაგალითი გვინდა ამის მეტი, რომ შევიტყოთ, რის შემძლებელ-არს შური გულსა შინა კაცისასა?

ესოდენნი მაგალითნი შეგვიძლიან კიდევ განვამრავლოთ მაგალითებითა სამოქალაქო ისტორიითგან; შეგვიძლიან ვაჩვენოთ მაგალითი, რომელთა შინა ზოგიერთნი მეფენი, აღძრულნი შურითა, აღაოხრებდნენ მრავალთა ქვეყანათა, შურსა თვისსა შესწირვიდენ კეთილ-დღეობასა თვისთა ქვეშემრდომთასა; შური აღძვრიდა მტერობასა მცხოვრებთა შორის ერთისა და იმავე ქვეყანისათა და გააჩენდა მათ შორის ბრძოლასა და ესრედ მოწყვეტდა მრავალთა ერთა. გარნა რა საჭირო არს, ძმანო, რომ შორითგან მოვიყვანოთ მაგალითნი? გარემოს ჩვენსა მომოვიხედოთ, ჩვენს თავზედ ვიფიქროთ, ჩვენი თავი ვიცნათ!

მრავალთა ცოდვათა შინა ვართ ჩვენ დანაშაულ ღვთისა წინაშე; მრავალ-ფერად ვამწარებთ ღმერთსა ჩვენ, მცხოვრებნი ამა ქვეყნისანი, ვითარცა კაცნი ცოდვილნი, გარნა, ვგონებ, უპირველესი ჩვენი ვნება არის შური; რაღაც განსხვავებული მიდრეკილება გვაქვს ჩვენ ამ საშინელის ვნებისადმი. ღმერთო! მოვა ოდესმე ის დრო, რომ, ბოლოს ჩვენ ვიცნათ თავი ჩვენი? მოვა ოდესმე ის ჟამი, რომ შევიტყოთ, ბოლოს, რასა შინა მდგომარეობს ჩვენი უბედურება, რა გვტანჯავს

ჩვენ და რა გვაკლებს კეთილ-დღეობასა და წარმატებასა სუ-
ლიერსა და ხორციელსა? მოვა ოდესმე ის დრო, რომ მადლ-
მან შენმან, ღმერთო, განანათლოს გული ჩვენი და ბოლოს
ვსთქვათ: აჰა, მტერი ჩვენი, აჰა ჩვენი მომაკვდინებელი, აჰა,
ის გვტანჯვიდა ჩვენ, აჰა ვინ გვაშორებდა ჩვენ იესო ქრის-
ტეს მადლისაგან და ყოვლისა სიკეთისაგან! ჭეშმარიტად, ძმა-
ნო ჩემნო, შური არის ერთი დიდი და უწყალო მფლობელი
და სასტიკი უფალი საწყალთა ჩვენთა გულთა; ჩვენ ყოველნი
ვართ საბრალონი და უბედურნი მონანი შავისა ამის გველი-
სანი. ვისი ენა გამოსთქვამს, ვისი კალამი აღწერს ურიცხვთა
ვნებათა, რომელნი წარმომდინარეობდნენ ამ მოწამლულისა წყა-
როისაგან და გააშორებენ ჩვენს ქვეყანასა შინა ყოველსა კე-
თილსა? არ არის არცა ერთი ეჭვი, რომელ მცხოვრებნი ამა
ქვეყნისანი ას-წილ იქმნებოდნენ უბედნიერეს, უკეთუმცა არ
იყოს მათ შორის შური და ნაყოფი მისი, შურის-ძიება! უე-
ჭველია, რომელ უმრავლესი ნაწილი ჩვენთა ნაკლულევანება-
თა, ცოდვათა და ბოროტთა მოქმედებათა გამოდის ამ წყარო-
ისაგან. ძველად, აღძრულნი შურითა მცხოვრებნი ამ მცირე
ქვეყნისანი, განიკერძოებოდნენ მრავალ-ნაწილად, ებრძოდენ
და აოხრებდნენ ერთი მეორესა: რაჭის მთავარნი ეჩხუბებოდენ
შორაპნის მთავართა და აოხრებდნენ; წარჩინებულის კაცხის
მცხოვრებნი განუცხადებდენ ომსა იმერეთის მეფეთა; იყო
ერთი დიდი ჩხუბი, განხეთქილება, მეფის ღალატობა, მტერ-
თადმი მიდრეკილება, და ესე ყოველი ურთიერთობრივისა შუ-
რისაგან. აწ, ამ ჩვენ დროში, მადლითა ღვთისათა და მოწყა-
ლეობითა შემძლებელისა მთავრობისათა, არ შეიძლება იყოს
ჩვენს შორის ის ცხადი ომი და მოოხრება, გარნა შურმან სხვა
გზა და ბილიკი გამოირჩია, სხვა ფერი მიიღო, სხვაფერად
მოქმედობს აწ. ახლა შური იგონებს ცილის-წამებასა; შური
სთესავს სიძულილსა ძმათა შორის, მეზობელთა შორის; შური
ცეცხლად ეკიდება მრავალთა კაცთა და შეაგონებს მრავალთა
უმსგავსთა საქმეთა, შური სთხრის ორმოსა, სადაცა მოყვასმან
შთააგოს მოყვასი თვისი. გარნა ყოვლად-უსაშინელესი და
გულის მომაკვდინებელი მოქმედება შურისა ჩვენს შორის ის
არის, რომელ იგი არა ზოგავს უმახლობელესთა ნათესავთა;
მან დაარღვია ბედნიერება მრავალთა ოჯახთა, განაშორა ძმა
ძმისაგან, მამა შვილს შეაძულა; დაარღვია ყოველნი საღმრთო-
ნი კავშირნი.

რა არის, ძმანო, მიზეზი ესრედის საშინელისა ჩვენისა მი-
დრეკილებისა შურისადმი? შეიძლება ახსნას კაცმან, რისთვის
გვაქვს ჩვენ, მცხოვრებთა ამა ქვეყნისათა, უმეტესი მიდრეკი-

ლება ამ ვნებისადმი, ვიდრე მცხოვრებთა სხვა ქვეყნისათა? შეიძლება, ძმაო ჩემნო ვაჩვენოთ რამოდენიმე მიზეზნი, რომელნი, თუმცა სრულიად არ ახსნიან, რისთვის ვართ ჩვენ უმეტესად მიდრეკილნი შურისადმი, ვიდრე სხვანი, გარნა ცხადყოფენ, თუ რა განაძლიერებს ჩვენს შორის ვნებასა ამას. ერთი მიზეზთაგანი, რომელი შობს და განავრცელებს ვნებასა ამას ამ ქვეყანაში, ვგონებ, უნდა იყოს უსაქმობა, ანუ უქმად დროების გატარება. ერთი მაგალითი ახსნის ამას. ვსთქვათ, ერთს რომელსამე სოფელსა შინა არიან ორი ვინმე ოჯახის-პატრონნი. ერთი მათგანი არის კაცი ვინმე ჭკვიანი, შრომის მოყვარე, მეცადინე, ესრედ რომელ კარგად დაესახლა და მრავალი შეიძინა; ხოლო მეორე არის კაცი მცონარე, უქმი და უმეტესად კარგავს, ვიდრე შეიძენს: ამ მეორე კაცს გაუჩნდება გულში შური და სიძულვილი. ნაცვლად მისა, რომ თვითონ გაისარჯოს და შეიძინოს რაიმე, იგი ცდილობს, რომ დააბრკოლოს და წაახდინოს მეზობელი თვისი. მრავალ-გზის მომხდარა ეს მაგალითი ჩვენს შორის.

მეორედ, თვით უმძიმესი მიზეზი შურის გაძლიერებისა ჩვენს შორის ის არის, რომელ სჯული ქრისტესი, მადლი და სული სახარებისა, ვითარცა ცხად-არს, ვიდრე აქამომდე არ შესულა სიღრმესა შინა გულისა ჩვენისასა, არ დაუმორჩილებია ჩვენი ბუნება. დავარდნილსა ბუნებასა კაცისასა ყოველთვის ქონდა და აქვს მიდრეკილება ყოვლისა ბოროტისადმი, გარნა მადლი ქრისტესი უნდა იყოს აღვირად ჩვენდა ვნებათა. შური არის სნეულება სულისა ჩვენისა; გარნა ყოველსა სნეულებასა აქვს თვისი წამალი. წამალი შურისა არის ქრისტეს სიყვარული. განძლიერდა ჩვენს გულში ქრისტიანებრივი სიყვარული, – მოუძლურდა შური და სიძულილი; დამცირდა ქრისტეს მადლი და სიყვარული ჩვენს გულში, გაცოცხლდა შური, აღიმაღლა თავი შურმან და სიძულვილმან. იესო, მაცხოვარო ჩვენო! განაშორე ჩვენგან შური და სიძულილი; დაშრიტე ცეცხლი იგი დამწველი გულისა ჩვენისა, მოსწყვიტე მადლითა შენითა გველი, რომელი ძველთაგანვე ბუდობს გულთა შინა ჩვენთა, და ნაცვლად მისა მოგვეც სიყვარული და ერთობა. – ამინ.

სიტყვა

კზ-სა კვირიაკესა.

ამიერითგან, ძმანო ჩემნო, განძლიერ-
დით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიე-
რებისა მისისათა (ეფეს. ვ, ი).

ვინც კარგად გასინჯავს ცხოვრებასა აწინდელთა ქრის-
ტიანეთასა და კარგად წარმოიდგენს სულიერსა მათსა მდგო-
მარეობასა, ნახავს, რომელ იგინი სრულიად არა თუ არ ფიქ-
რობდენ, რა დიდი და ძნელი საქმე არის კეთილი ქრისტიანე-
ბრივი მოქალაქეობა, და რაოდენსა შრომასა და სიფრთხილესა
მოითხოვს ჩვენგან აღსრულება სულიერისა მოვალეობისა ჩვე-
ნისა, არამედ ესრედ იფიქრებს კაცი, რომელ იგინი დარწმუ-
ნებულ იყვნენ, ვითომც ამაზედ უადვილესი საქმე არ იყოს
ქვეყანაზედ. რაში გამოუჩნდება აწინდელთა ქრისტიანეთა, რო-
მელ მათ ახსოვთ, თუ რაოდენსა სიმტკიცესა და მოთმინებასა
მოითხოვს ჩვენგან აღსრულება ქრისტეს მცნებათა? არც ლა-
პარაკში, არც ყოფა-ქცევაში და მოძრაობაში არა სჩანს, რომ
იგინი ფიქრობდნენ ამაზედ, ფიცხლად განარჩევდნენ კეთილსა და
ბოროტსა, ცოდვასა და მადლსა. ყოველი მათი სიტყვა და სა-
ქმე დაფუძნებულ-არს მხოლოდ ამ სოფლის ანგარიშზედ: დი-
ლითგან საღამომდის მიცემული აქვსთ მათ თავი ამაოისა სო-
ფლისადმი; განმავლობასა შინა მთელის დღისასა ერთხელაც
არ გაახსენდებათ მათ ღმერთი, ერთხელაც არ მიაქცევენ იგი-
ნი გულსა ღვთისადმი, თუმცა ენითა ხშირად ახსენებენ სახელ-
სა მისსა. თვით უმცირესი განსაცდელი მოაკლებს მათ სასო-
ებასა და სიყვარულსა ღვთისასა; უკანასკნელი დაბრკოლება
საკმაო არს შეირყიოს მათი სარწმუნოება, განაშოროს გული
მათი ღვთისაგან, ერთი სიტყვით, ცხოვრება აწინდელთა ქრი-
სტიანეთა ცხადად გამოაჩენს, თუ ვითარ სუსტ და გამოუცდე-
ლი არიან იგინი მსახურებასა შინა ღვთისასა.

გარნა წმიდა მოციქული პავლე გვამცნებს ჩვენ, რა დი-
დი და მძიმე საქმე არს კეთილი ქრისტიანობრივი ცხოვრება,
რა ფრთხილ და მღვიძარე უნდა იყოს კაცი, რომელსა სურს
კეთილად იღვაწოს და მიაღწიოს სასუფეველსა ღვთისასა. **განძ-
ლიერდით უფლისა-მიერ,** გვეტყვის იგი, ესე იგი: დიდი ღონე
და ძალა იხმარეთ სულიერსა ცხოვრებასა შინა, და არა
თუ მხოლოდ თქვენი საკუთარი ძალა, არამედ ძლიერება უფ-
ლისა. **განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა
მისისათა.** იგი გვასწავლის ჩვენ, რომელ მოქალაქობა ქრისტი-
ანობრივი არის დაუცხრომელი ბრძოლა, და ბრძოლა არა
სისხლთა და ხორცთა მიმართ, არამედ მთავრობათა მიმართ

ბნელისა სოფლისა მპყრობელთა; რომელ ქრისტიანე ყოველ-
თვის უნდა იყოს აღჭურვილ სულიერითა საჭურველითა, ვი-
თარცა მხედარი ომსა შინა, გამზადებული საომრად, მდგომა-
რე წინაშე მტერისა, ვინაითგან სულიერნი მტერნი მისნი, ვი-
თარცა ლომნი, მზად არიან ყოველს წამს შთანთქმად მისა.
ეგრეთვე სხვათარცა საღმრთოთა წერილთა შინა ამოვიკით-
ხავთ, რომელ ქრისტიანობრივი მოქალაქობა არის უმთავრე-
სი და უმძიმესი საქმე ჩვენი ამ სოფლად ცხოვრებისა, რომელ
ქრისტიანე უმჯობესსა კერძოსა და უმაღლესსა ძალასა სული-
სა და გულისა თავისისასა უნდა იხმარებდეს აღსასრულებლად
ქრისტეს მცნებათა; რომელ ყოველ-დღე და ყოველს წამს შე-
ემთხვევიან მას ყოველნი განსაცდელნი და დამაბრკოლებელ-
ნი მიზეზნი, რომელთა იგი უნდა მარადის ებრძოდეს: მტერ-
ნი ხილულნი და უხილავნი, სოფელი ესე, ბოროტნი კაცნი,
თვით შინაგანი მისნი ვნებანი, ავნი მიდრეკილებანი მარადის
აცდუნებენ მას და განაშორებენ ღვთისაგან; შესვლა სასუფე-
ველსა შინა ღვთისასა არის ძნელი და მძიმე, გზა მიმყვანებე-
ლი მას შინა ვიწრო; და არა მრავალნი არიან რომელნი ვლე-
ნან მას ზედა, კარის ბჭე მისი იწრო და მცირედნი არიან,
რომელნი შევლენ მას შინა; თუმცა მრავალნი არიან წოდე-
ბულ, გარნა მცირედნი რჩეულნი. მას და ამის მსგავსსა მრა-
ვალსა ხშირად გვეტყვის ჩვენ საღმრთო წერილი, რათა ვიყვ-
ნეთ ფრთხილი და მტკიცედ, არა დავიძინოთ ცოდვათა შინა
ჩვენთა და, წარტაცებულნი სოფლისა ამის ამაოებითა და ბო-
როტებითა, არ მივცეთ დავიწყებასა მაღალი და ძლიერი სუ-
ლიერი მოვალეობა ჩვენი.

ყოველნი ესე სიტყვანი და მცნებანი საღმრთოისა წერი-
ლისა თვით საქმით განამართლებს ყოველთა წმინდათა ცხოვრე-
ბათა შინა თვისთა. ერთი ქონდათ მათ ამ სოფელში აზრი და
ზრუნვა, რათა არა სცოდონ, არამედ კეთილად აღასრულონ
მცნებანი ღვთისანი. არცა ერთს წამს არ დაავიწყდებოდათ
მათ ეს ჰაზრი, თუმცა ზოგნი მათგანნი მრავალთა და დიდთა
საქმეთა შინა ამა სოფლისათა იყვნენ გართულნი და აღასრუ-
ლებდნენ დიდთა თანამდებობათა. ხოლო ზოგნი მათგანნი სრუ-
ლიად დაუტევებდნენ ამ სოფელს, ცხოვრებდენ უდაბნოთა
შინა, მისთვის, რომ ეშინოდათ, რათა სოფელმან არ აცთუ-
ნოს იგინი და არ შთააგდოს ცოდვასა შინა; გარნა შენ,
რომელი ცხოვრებ ამ სოფელში, შენ, რომელი შთაფლულ-
ხარ ამაოებასა შინა ამ სოფლისასა, გარემოცულ-ხარ მრავალ-
თა და მძიმეთა განსაცდელთაგან, ყოველ-დღე ხედავ ათასთა
ცუდთა მაგალითთა, ხოლო კეთილსა ვერც ერთხელ ვერ ნა-

ხავ გარემოსა შენსა, შენ არა ზრუნავ და არა რაისა გეშინის; შენ ფიქრობ, რომ ადვილად შეგიძლია ცხოვნება სულისა შენისა, და, თუმცა ხშირად გრძნობ, რომ მრავალ გზის სცოდავ, გარნა მწუხარე არა ხარ, მალე გავიწყდება სიცოდვე შენი და გული არ გეწვის. უმცირესი ამ სოფლის ზარალი, ან ერთი მცირე სოფლიურის სარგებლობის მოკლება უმეტესად გაწუხებს შენ და მოგაკლებს ნუგეშსა, ვიდრე სიცოდვე და ავი სულიერი მდგომარეობა შენი.

ქრისტეს სჯული, დიდი და მაღალი შენი სულიერი მოვალეობა არა თუ მაშინ უნდა გახსოვდეს, როდისაც შენ სდგეხარ ეკკლესიაში, არამედ უმეტესად მაშინ, როდისაც შენ ხარ შენს სახლში და სოფელში და აღასრულებ ნიადაგთა შენთა საქმეთა; გარნა, საუბედუროდ, სხვათა აწინდელთა ქრისტიანეთა შორის, შენ ღმერთს მოიგონებ მხოლოდ ეკკლესიაში და როდესაც გახვალ იქიდგან, დაიწყებ ჩვეულებრივთა შენთა საქმეთა, მაშინ სხვა ანგარიში გაქვს და სხვა საფუძველზედ მოქმედებ. ღა ზომად დაემორჩილე შენ, ძმაო, სჯულსა ქრისტესა, რა სიღრმეზედ შევიდა შენს გულში მადლი ღვთისა, გაიბა თუ არა შენს გულში ფესვი სიტყვამან ღვთისამან, ამაზედ შენ არ ფიქრობ; არ განიკითხავ არასოდეს, უახლოვდები, თუ შორდები სასუფეველსა ღვთისასა. გარნა თუ გახსოვს სჯული შენი და გაძლიერებული ხარ სიმტკიცითა ძლიერებისათა უფლისათა, ადვილად წინ აღუდგები ყოველთა განსაცდელთა ცოდვისათა, ადვილად წარმართავ სულიერსა სვლასა შენსა ყოველთა მტერთა და მაცდუნებელთა შორის.

წმინდა მოციქული პავლე გვასწავებს ჩვენ იმასაც, რა სახით განძლიერდება ქრისტიანე და რა სახით შეუძლიან დაიცვას თავი ყოველთა განსაცდელთა შორის; **მოირტყენით წელნი თქვენნი ჭეშმარიტებითა,** გვეტყვის იგი და შეიმოსეთ ჯაჭვი სიმართლისა. სოფელი ესე არის ზღვა სიცრუისა უსამართლოებისა. აღელვებულსა ამა ზღვასა შთაინთქმის ქრისტიანე, უკეთუ არ არის იგი შემოსილ სიმართლითა და ჭეშმარიტებითა. **შეიხსენით ფერხთა თქვენთა განმზადებულობა სახარებისა მის მშვიდობისა,** ესე იგი, ყოველთა თქვენთა მიმოსვლათა და ზრუნვათა შინა ამა სოფლისათა გახსოვდეთ და დაიდევით გულთა შინა თქვენთა მშვიდობა იგი, რომელი მოგცა თქვენ მადლმან სახარებისამან. **ყოველთა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა,** განაგრძობს მოციქული სიტყვასა თვისსა. სარწმუნოებითა წინააღუდგება და სძლევს კაცი ყოველთა განსაცდელთა. **ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგით და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყვა ღვთისა.** აჰა, ვითარ უნდა იყოს

აღჭურვილი ქრისტიანე ბრძოლასა შინა თვისსა; სამოსელი მისი უნდა იყოს სიმართლე და ჭეშმარიტება, თავ-სახურავად უნდა ჰქონდეს სარწმუნოება, ხელში უნდა ეპყრას მახვილად სიტყვა ღვთისა. ესრეთ მხოლოდ აღჭურვილი ქრისტიანე სძლევს სულიერთა მტერთა, უვნებლად გაივლის ყოველთა განსაცდელთა შორის და გვირგვინოსან იქმნება სასუფეველსა შინა ღვთისასა, რომლისა მიღწევასა გვაღირსოს ჩვენ ყოველთა ღმერთმან მადლით თვისითა. – ამინ.

სიტყვა

კზ-სა კვირიაკესა.

> მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ (ლუკ. იდ, კდ).

დღეს წარკითხულის სახარების იგავი გვამცნებს ჩვენ, ძმანო, რომელ, თუმცა ღმერთი ყოველს კაცს იხმობს თვითან, თუმცა ზეციერმან მამამან ყოვლისა ადამიანისათვის განამზადა პური დიდი, ესე იგი, სასუფეველი ცათა, და უწოდა მრავალთა, გარნა, საუბედუროდ, მცირედნი არიან, რომელნი ისმენენ ხმასა მისსა და მივლენ მასთან. რა მიზეზი არს, ძმანო, ამისა? როგორ უნდა აჰხსნას კაცმა ესრედი გასაოცარი საქმე, რომელ შემოქმედი იხმობს ქმნილებასა თვისსა, მამა უწოდებს შვილთა თვისთა, აღუთქვამს მათ დაუსრულებელსა და გამოუთქმელსა ნეტარებასა, გარნა მცირედნი არიან, რომელნი მივლენ მასთან? ერთი სიტყვით, რას ნიშნავს, რომ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ? აქ ისიც უნდა დაუმატოთ, ძმაო ჩემო, რომელ რჩეულნი, ესე იგი, ცხოვნებულნი, არიან მცირედნი, ამით იგი გამოგვიცხადებს, რომელ ჩინებულნი იქნებიან მცირედნი არა თუ ურწმუნოთა და უსჯულოთა კაცთა შორის, რომელთა არა მიიღეს სახარება ქრისტესი – ეს არ იქმნებოდა საკვირველი, – არამედ საკვირველი და შესაძრწუნებელი ის არის, რომელ ცხოვნებულნი, ანუ ჩინებულნი, იქმნებიან მცირედნი თვით მორწმუნეთა ქრისტიანეთა შორის. რისთვის არის ეს, ძმანო ჩემნო? ვინ იქმნება ჩვენ შორის ცხოვნებული, და ვინ არა? ეს ადვილად აიხსნება, ძმაო

ჩემო. ცხოვნებული იქნება ანუ ის კაცი, რომელმან შობითგან სიკვდილამდე თავის თავი დაიმარხა უბიწოდ და უცოდველად, ანუ ის, რომელმან თუმცა სცოდა, გარნა სრულიად განიწმიდა თავი შენანებითა. ეს ორი საქმე აცხოვნებს კაცსა. შენ ცხოვნდები, ძმაო, ანუ მით, უკეთუ თავის დღეში არ შეგიცოდავს ღვთისადმი, ანუ მით, უკეთუ გაგიწმედია თავი შენი სინანულითა და კეთილის ნაყოფის გამოღებითა. უწმიდური, უმართლო და ცოდვილი კაცი ვერ შევა სასუფეველსა შინა ღვთისასა; მაშასადამე, ცხოვნდები შენ მაშინ, ოდესაც ხარ წმიდა შობითგან ანუ მონანებით. გამოვიკვლიოთ ეს ორივე შემთხვევა და იქითგან შევიტყობთ, მრავალნი იქმნებიანა რჩეულნი ანუ ცხოვნებულნი?

პირველად, ვითარცა ვსთქვით, რჩეული ის იქმნება, ვისაც თავის თავი სიყრმითგანვე შეუნახავს სიწმიდით და არაოდეს არ ყოფილა ქვეშევრდომი ცოდვისა. გარნა მაჩვენე, ძმაო, სად არის ესრედი კაცი ქვეყანაზე! საღმრთო წერილი ახსენებს მხოლოდ ორსა პირსა: ერთს მაცხოვარსა ჩვენსა უფალსა იესო ქრისტესა, რომელი იყო უბიწო და არა-ქვეშევრდომი ცოდვისა, მისთვის რომელ მან შეაერთა თვის შორის კაცობრივი ბუნება ღვთაებასათანა, მეორესა ყოვლად-წმიდასა ღვთის-მშობელსა, რომელი თუმცა იყო ქვეშევრდომი ცოდვისა, გარნა საკუთარითა ღვთის-განგებითა იყო დაცული ყოვლისა ცოდვისაგან, მისთვის რომელ იგი ღმერთმან დანიშნა დედად მხოლოდ-შობილისა ძისა თვისისა. ხოლო ყოველთა სხვათა ადამის ძეთა ზედა საღმრთო წერილი ესრედ იტყვის: **აჰა ესერა უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან.** თვით მცირე წლოვანებასა შინა შენსა შენს გულში არის თესლი ყოვლისა ცოდვისა და უსჯულოებისა. არათუ დიდს წლოვანებასა შინა მოსრული კაცი, არამედ მცირე წლოვანი, უჰასაკო კაციც არ არის თავისუფალი ცოდვისაგან. დიდი მეცადინეობა და ღონე რომ იხმაროს კაცმა, დღე და ღამე რომ იყოს მოღვაწებასა, ლოცვასა და ვედრებასა შინა, იქმნება, მაშინ როგორმე დაიცვას თავი თვისი რომელთამე დიდთა და ცხადთა ცოდვათაგან; გარნა რა საშუალება აქვს კაცსა და რომელი ღონის-ძიებით შეუძლია, რომ დაიცვას თავი თვისი ყოველთა ცოდვათაგან, ესე იგი, თვით სულიერთა, დაფარულთა ცოდვათაგან. ვინ ამოფხვრის, ვინ გააქარვებს კაცის გულისაგან სულიერთა ვნებათა: ამპარტავნებასა, პატივის-მოყვარებასა, ორგულობასა, შურსა, სიძულილსა და სხვათა მრავალთა სულიერთა ცოდვათა, რომელნი თითქმის შობითგან სიკვდილამდე ბუდობენ გულსა შინა კაცისა-

სა და მარადის მზად არიან ისარგებლონ პირველითა შემთხვევითა, დაიმორჩილონ კაცი და შთააგდონ იგი მრავალთა სხვათა ცოდვათა შინა. მაშასადამე, ამ მხრით არცა ერთსა ადამიანსა არა აქვს იმედი, რომ იგი იყოს რჩეულთა შორის, თვინიერ მცირე-წლოვანთა ჩვილთა, რომელნი, მიიღეს რა მადლი ნათლისღებისა, გარდაიცვალნენ უწინარეს, ვიდრე მათ იცნეს ცოდვა და მადლი. მაშასადამე, თუ ვინმე ადამიანთაგანი იქმნება ცხოვნებული, ეგრედვე მით, უკეთუ თავი თვისი გაიწმიდა ცოდვათაგან მონანებითა და კეთილის-ნაყოფისა გამოღებითა. და ესრედ ჩვენ აქ უნდა გამოვიკვლიოთ, რა არის მონანება? რომელ კაცზე უნდა ვსთქვათ, რომ მან მოინანა თავისი ცოდვა და ცხოვნდა მონანებითა?

მონანება, ძმაო, ის არის, როდისაც კაცმა ისე ღრმად იცნო თავისი ცოდვა, რომელ შესწუხდა გულითა და სულითა, მოიძულა და მოიძაგა ის ცოდვა. მონანებით განწმედილი ცოდვათაგან მხოლოდ ის კაცი არის, რომელმან ერთხელვე და სრულებით უარყო ცოდვა, ეშინია მისი, ვითარცა საზარელისა მტერისა და ილტვის მისგან, როგორადაც განძვინებულისა ლომისაგან. აჰა, ვინ არის მონანული. ჭეშმარიტად მონანულს ყოველთვის ახსოვს, რა დიდი და ძნელი საქმე არის კეთილი ქრისტიანული ცხოვრება, რა ფრთხილი და მღვიძარე უნდა იყოს კაცი, რომელსა სურს შესვლა სასუფეველსა ღვთისასა. იგი არ დაივიწყებს, რომელ მოქალაქეობა ქრისტიანული არის დაუცხრომელი ბრძოლა; და ბრძოლა არა სისხლთა და ხორცთა მიმართ, არამედ ხელმწიფებათა და მთავრობათა სოფლის მპრყობელთა ბნელისათა, რომელ ქრისტიანე ყოველთვის უნდა იყოს აღჭურვილი სულიერითა საჭურველითა და მდგომარე განმზადებული ბრძოლად, ვითარცა მხედარი წინაშე მტერისა, ვინაითგან მტერნი მისნი, ვითარცა ლომნი, მზად არიან შთანთქმად მისა. ქრისტიანული მოქალაქეობა არის უმთავრესი და უმძიმესი საქმე ჩვენისა ამ სოფლის სიცოცხლისა; ქრისტიანე უმჯობესსა კერძოსა და უდიდესსა ღონესა სულისასა უნდა იხმარებდეს აღსასრულებელად ქრისტეს მცნებათა; ყოველს დღეს ყოველს წამს შეემთხვევიან მას მრავალნი და დამაბრკოლებელნი მიზეზნი, მტერნი ხილულნი და უხილავნი: სოფელი ესე, ბოროტნი კაცნი, თვით შინაგანნი მისნი ვნებანი, ავნი მიდრეკილებანი მარადის აცთუნებენ მას, განაშორებენ ღვთისაგან; შესვლა სასუფეველსა შინა ღვთისასა არის ძნელი და მძიმე, გზა, მიმყვანებელი მას შინა, იწრო; არა მრავალნი ვლენან მით; კარის ბჭე მისი იწროა, და მცირედნი არიან, რომელნი შევლენ მას შინა.

აჰა, რას ფიქრობს კაცი ჭეშმარიტად მონანული და მსურველი ცხოვნებისა. ახლა მითხარი, ძმაო, მრავალნი არიან ესრედნი პირნი ჩვენს შორის? საუბედუროდ, ვინც კარგად გასინჯავს ცხოვრებასა აწინდელთა ქრისტიანეთასა და წარმოიდგენს მათსა ყოფა-ქცევასა და თვისებასა, ნახავს, რომელ იგინი არათუ არ ფიქრობენ, რაოდენსა შრომასა და სიფრთხილესა მოითხოვს კეთილი ქრისტიანული ცხოვრება, არამედ ასე ეჩვენებათ, თითქოს იგინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომელ ამაზე უადვილესი საქმე არა არის რა ქვეყანასა ზედა. საითგან სჩანს, რომ აწინდელთა ქრისტიანეთა ახსოვდესთ, რაოდენსა სიწმიდესა და სიმტკიცესა მოითხოვს ჩვენგან აღსარება ქრისტეს მცნებათა? ყოველი მათი სიტყვა და საქმე დაფუძნებულარს მხოლოდ ამ სოფლის ამაოებასა ზედა. განმავლობასა შინა მთელისა დღისასა, დილითგან საღამომდე, ერთხელ არ გაახსენდებათ მათ ღმერთი და არ მიაქცევენ მისდამი გულსა, თუმცა ენითა თვისითა ხშირად ახსენებენ სახელსა მისსა. თვით უმცირესი განსაცდელი მოაკლებს მათ სასოებასა და სიყვარულსა ღვთისასა, თვით უკანასკნელი დაბრკოლება საკმაო არის – შეარყიოს სარწმუნოება მათი.

ახლა შენ თვითონ საჯე, ძმაო ჩემო: მრავალნი იქმნებიანა რჩეულნი ჩვენ შორის? სიყრმითგან უცოდველი არავინ არის; მონანებით ცოდვათაგან განწმედას იმ-ზომად არავინ ეძიებს და ცდილობს, რა ზომადმდეცა ძნელი და მძიმე არის შეძენა ჭეშმარიტებისა მონანებსა და განგრძობა მას შინა სიკვდილადმდე. რა უნდა იფიქრო აქითგან და რა ჰქმნა? კი არ უნდა დაღონდე, ძმაო, და სასოება დაკარგო, არამედ გაფრთხილდე, განძლიერდე, განიღვიძო.

ამიერითგან, ძმანო ჩემნო, განძლიერდით უფლისამიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისათა (ეფ. ვ. ი.); ესე იგი, ღვთის ძლიერებით და მისის სიმტკიცით უნდა განვძლიერდეთ და მით ვეძიოთ შერაცხვა თავთა ჩვენთა რჩეულთა შორის, რომელიმცა მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. – ამინ.

სიტყვა

კჱ-სა კვირიაკესა.

მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედ-

ნი რჩეულ (ლუკ. იდ, კდ).

ესრეთ დაასრულა მაცხოვარმან იგავი, რომელი მოვისმინეთ დღეს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, სახარებითგან. კაცმან ვინმე ჰყო პური, ანუ სერობა დიდი და მოუწოდა მრავალთა სტუმართა, ხოლო წოდებულთა იწყეს თითოეულად უარისყოფა. ერთმან სთქვა: აგარაკი ვიყიდე და თანა-მაძს მისვლად და განხილვად მისა; გევედრები შენ, განმიტევე მე სერობისა შენისაგან. სხვამან სთქვა: უღლეული ხარი ვიყიდე ხუთი და თანა-მაძს გამოცდა მისა; განმიტევე მე სერობისა შენისაგან. კვალად სხვამან სთქვა: ცოლი შევირთეEდა არ შემიძლიან მოსვლა შენთან. მაშინ განრისხდა სახლის უფალი იგი და უბრძანა მონათა წარსვლა უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და იძულება მოსვლად სერობასა თვისსა გლახაკთა და უცხოთა, ბრმათა, მკელობელთა, და აღივსო სახლი მისი მეინახეთა მიერ. **ხოლო გეტყვი თქვენ: არავინ მათ კაცთამან გემო იხილოს სერობისა ამის ჩემისა; რამეთუ მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.**

კაცი იგი, რომელმან ჰყო პური დიდი ანუ წვეულობა არს თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე; პური ანუ სერობა ნიშნავს სწავლასა მას ანუ სჯულსა, რომელი მოგვცა ჩვენ უფალმან იესო ქრისტემან; სტუმარნი ანუ წოდებულნი ვართ ჩვენ, საზოგადოთ ყოველნი ტომნი და ნათესავნი კაცთანი. რა სახით იხმობს, ანუ უწოდებს კაცთა უფალი იესო ქრისტე სერობასა ზედა თვისსა? ვიდრემდის იგი იყო ქვეყანასა ზედა, იგი თვით იხმობდა პირითა თვისითა, სწავლითა, ქადაგებითა, სასწაულებითა, ცხოვრებითა თვისითა; მერმე მან წარგზავნა წოდებად ყოვლისა ქვეყანისა მონანი თვისნი, მოციქულნი, მოწაფენი, მამანი და მოძღვარნი. ამათ მოიარეს ყოველი ქვეყანა და ყოველთა ტომთა გამოუცხადეს წოდება ღვთისა. დიდსა ამას საქმესა ახლა აღსრულებს წმიდა ეკლესია, რომელი თვით ქრისტემან დააწესა ქვეყანასა ზედა განვრცელებად თვისისა ქადაგებისა. ყოველი წესი, ყოველი დაწყობილება და ღვთის-მსახურება ეკლესიისა არს წოდება კაცთა სერობასა ზედა ღვთისასა. გარნა ღმერთი უწოდებს-ეგრედვე თითოეულსა კაცსა მრავალფერად და მრავალ-სახედ; ღმერთი გიწოდებს შენ, ძმაო, პირველად თვით იმ ჭკუითა და სინიდისითა, რომელი მან მოგვცა მისთვის, რათა სცნა ჭეშმარიტება და განეშორო ცუდსა საქმესა, შეხვიდე სასოებასა შინა და იქმნე რჩეულთა შორის. მეორედ, ღმერთი გიხმობს შენ ყოვლითა გარემოებითა ცხოვრებისა შენისათა. ყოველივე ღვთისაგან არს და ღვთისაგან გაქვს შენ, ძმაო ჩემო! ვსთქვათ, რომ შენ ხარ კაცი წარჩინე-

ბული მოყვასთა შენთა შორის, გაქვს სხვათა უმეტესი სიმდიდრე, ხარისხი და პატივი. ეს უაღრესი შენი, ესრედი შენი უმჯობესი მდგომარეობა არის წოდება შენი ღვთისაგან; ყოველი ესე ღმერთმან მისთვის მოგვცა, რათა კეთილად ისარგებლო მდგომარეობითა ამით შენითა და ვითარცა აქ (ამ სოფელში), ძმათა შენთა შორის ხარ რჩეულ, ეგრედვე და უმეტესად იყო რჩეულ სერობასა შინა ღვთისასა. დიდი უგუნურება და ებედურება არ იქნება შენთვის, თუ აქ, ამ წუთისოფელში, მოკლე დროდ იქმნები რჩეულ, ხოლო იქ საუკუნოდ იქმნები განშორებულ რჩეულთაგან. ანუ ვსთქვათ: შენ ხარ კაცი ღარიბი და მდაბალი; ხშირად შეგემთხვევა მწუხარება და უბედურება, ხშირად ხარ მოკლებული ყოვლითა ნუგეშითა და კმაყოფილებითა; შეგიძლიან და თანამდებცა ხარ, რათა ესრედიცა შენი მდგომარეობა მიიღო, ვითარცა წოდება ღვთისაგან. შენ ესრედ უნდა იფიქრო გულში: ვმადლობ ღმერთსა ჩემსა! უთუოდ ღმერთმან უწოდა წინადვე, რომელ სიმდიდრე და პატივი იქმნებოდა ჩემთვის მახედ, ვინაითგან ვჰხედავ მე მრავალთა კაცთა, რომელი სიმდიდრესა და პატივსა ჰხმარობენ არა საცხოვნებელად, არამედ წარსაწყმედელად სულთა თვისთა; ამისთვის მყო მე ღმერთმან ღარიბ და ბედკრულ. უკეთუ ესრედ ჰფიქრობ და სულ-გრძელ ხარ და ჰმადლობ ღმერთსა, უთუოდ შენც იქმნები რჩეულთა შორის. გაიხსოვნე, რომელ ოდესაც მდიდართა უარ-ჰყვეს წოდება ღვთისა, მაშინ ღმერთმან გაგზავნა მონანი თვისნი და შემოიყვანა სახლსა შინა თვისსა უცხონი, ღარიბნი და გლახაკნი. შენ ეცადე, რათა სიგლახაკითა და მოთმინებითა შენითა შეხვიდე სახლსა შინა უფლისასა და სჭამო ტკბილი პური სერობასა ზედა მისსა.

ესრედ უწოდებს, ძმანო ჩემნო, ღმერთი სერობასა ზედა თვისსა საზოგადოდ ყოველთა ტომთა და კერძოდ თითოეულსა კაცსა: გარნა სამწუხაროდ, მრავალნი წოდებულთაგანნი უარჰყოფენ და არ ნებავსთ მისვლა და ჭამა პურისა ზეციერისა. ვინ არიან უარის-მყოფელნი და რა მიზეზსა ამბობენ იგინი? უარის მყოფელნი არიან ღარიბნი და გლახაკნი, არამედ უმეტესად მდიდარნი, და მიზეზი, რომელიცა დააბრკოლებს მათ სმენად წოდებისა ამის, არის თვით სიმდიდრე მათი, ვინაითგან ერთმა სთქვა: აგარაკი ვიყიდე, თანა-მაძს განხილვა მისი; მესამემ: ცოლი შევირთე და ვერ შევიძლე მოსვლა. გარნა ერთი მახლობელი მაგალითი თვით ამ ჩვენის ქალაქის ცხოვრებისაგან დაამტკიცებს ამ ჰაზრსა: ვინ დადის ამ ეკკლესიაში ერთგულად? დადიან ღარიბნი, საწყალნი და მდაბალნი;

ესენი აღავსებენ ეკლესიასა, ხოლო იგინი, რომელნი არიან
აღმატებულნი და უაღმატებულესნი პატივითა და სიმდიდრი-
თაცა ჩვენს შორის, მათ ხშირად ვერ ნაჰხავ აქ. აჰა, ვითარ
ვიდრე აქამომდე სრულდება სიტყვა ღვთისა! ამისთვის, ძმანო
ჩემნო, თქვენ, რომელთა ღმერთმან მოგცა ამ ქვეყანაშივე რო-
მელიმე უაღრესობა, ესე იგი, ანუ სიმდიდრე, ანუ პატივი, –
ერთი სიტყვით, რომელთა გაქვსთ უმჯობესი მდგომარეობა,
ვიდრე სხვათა მოყვასთა თქვენთა. დიდი ზრუნვა და შიში უნ-
და გქონდეს გულთა შინა თქვენთა, რათა თვით უმჯობესმან
თქვენმან მდგომარეობამან არ დააყრუოს გულთა შინა თქვენ-
თა წოდება ღვთისა. იქმნება თქვენ ესრედ იფიქროთ გულში:
ჩვენ გვესმა და კიდეც მივიღეთ წოდება ღვთისა; ჩვენ ქრის-
ტიანენი ვართ და წევრნი იესო ქრისტეს ეკკლესიისანი; ჩვენ
მივიღეთ სჯული ღვთისა და, შეძლებისამებრ ჩვენისა, კიდევაც
ვცდილობთ, რომ აღვასრულოთ იგი. გარნა, ძმანო ჩემნო,
ნუ დააკმაყოფილებთ და ნუ განუსვენებთ თავსა თქვენთა მხო-
ლოდ მით, რომ თქვენ ხართ მონათლულნი და აღიარებთ სჯულ-
სა ქრისტესსა, არამედ კარგად განიცადეთ გული და ცხოვრე-
ბა თქვენი, უკეთუ თქვენ ხართ რჩეულთა შორის, ვინაიდგან
თუმცა ყოველნი ქრისტეს სჯულის აღმსარებელნი არიან
წოდებულ, გარნა არა ყოველნი რჩეულ. თუ კარგად გასინ-
ჯავ ცხოვრებასა შენსა, იქმნება ნახო, რომელ შენცა ხშირად
შეგემთხვევა, რაც შეემთხვა სამთა მათ, ამა იგავსა შინა ხსე-
ნებულთა, უარის-მყოფელთა: ესე იგი, სოფლის სარგებლობა
და კმაყოფილება ხშირად დაგავიწყებს შენ წოდებასა ღვთისა-
სა. რაოდენ-გზის მოგების ტრფიალმან და ანგაარებამან დაგა-
ვიწყა შენ მცნება ღვთისა? რაოდენ-გზის მოიძულე შენ მოყვა-
სი შენი მახლობელი მცირისა ოდენ მოგებისათვის? კარ-
გად განიხილე გრძნობანი და მოძრაობანი გულისა შენისანი,
რასა აქვს უმეტესი ძალი და მოქმედება შენს გულში: ღვთის
წოდებას, ანუ სოფლის წოდებას თუ წოდებასა ღვთისასა,
მაშასადამე, რისგან არის, რომელ, როდესაც შენ მოგაკლდა
ვითარიმე ამ სოფლის სარგებლობა ანუ პატივი, მაშინ შენ
გრძნობდი დიდსა და საშინელსა მწუხარებასა; გარნა, ოდე-
საც შენ შთავარდი რომელსამე ცოდვათა და მით მოგაკლდა
მადლი ღვთისა, არაფერს ჰზრუნავდი და მსწრაფლ დაგავიწყ-
და? როდესაც შენ ეძიებ სოფლის რომელსამე სარგებლობასა
ანუ პატივსა, მაშინ შენ ჰხმარობ ყოველს ღონესა სულისა შე-
ნისასა, მაშინ შენ სძლევ ყოველსავე დაბრკოლებასა და მი-
ზეზსა; გარნა სულიერსა პატივსა და სიწმიდესა ეძიებ გულ-
გრილად და თვით უმცირესი მიზეზი დაგაბრკოლებს შენ ამ

საქმეში. ერთი სიტყვით, უმჯობესსა კერძოსა სულისა და გულისა შენისასა მოახმარებ სოფელსა, ხოლო ღვთისათვის დიდად არა ზრუნავ!

გარნა ვევედრნეთ, ძმანო, ღმერთსა ყოველნი, რასა გვყოს ჩვენ რჩეულთა შორის. – ამინ.

მოძღვრება

ქრისტეს შობის წინა-კვირიაკესა ზედა.

> შვილნო ჩემნო, რომელთათვის კვალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქვენ შორის (გალ. დ, ით).

მართლმადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

წმიდა ეკლესია ადრითგან გვამზადებს ჩვენ, მიგებებად ქრისტეს შობის დღესასწაულისა. მრავალის დღის მარხვა მისთვის დააწესა წმიდამან ეკლესიამა, რათა ჩვენ, განწმედილნი სულითა და ხორცითა, ღირსებით შევეგებოთ ქრისტესა, ქვეყნად მომავალსა. ყოველნი საღმრთონი საკითხავნი, საგალობელნი, ლოცვანი, რომელნი გესმოდათ თქვენ ეკკლესიასა შინა განმავლობასა შინა ამა მარხვისასა, წინადვე გვახარებდენ, მოასწავებდნენ და მოგვამზადებდენ ჩვენ, ქრისტეს შობას. მაშასადამე, უკეთუ წმიდა ეკლესია ესრედ ჰცდილობს ჩვენსა მომზადებასა, ჩვენც ჩვენითა მხრითაც უნდა ვეცადოთ და განვამზადოთ გული და გონება ჩვენი მიღებად ქრისტესა გულთა შინა ჩვენთა. მოვიხმაროთ აწ რაოდენიმე წამი განზრახვად და გამოკლევად აზრისა მის, რომელსა მოგვცემს ჩვენ წმიდა მოციქული პავლე ამ სიტყვებში: **შვილნო ჩემნო საყვარელნო, რომელთათვის კვალად მელმის, ვიდრემდე გამოისახოს ქრისტე თქვენ შორის.** როგორ უნდა გამოისახოს ქრისტე ჩვენს გულში? ანუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს ქრისტიანესა და იესო ქრისტეს შორის?

როგორც უფალი ჩვენი იესო ქრისტე ერთხელ იშვა ქალწულისაგან ბეთლემს, მერმე აღიზარდა, შემდეგ იწყო სწავლა და ქადაგება, იქმოდა მრავალთა სასწაულთა, ბოლოს ივნო, ჯვარს ეცვა, მოკვდა, დაიმარხა, აღსდგა მკვდრეთით და ამაღ-

ლდა ზეცად, მსგავსად ამისა იგივე ჩვენი უფალი იესო ქრის-
ტე ხელ-ახლა ყოველი ქრისტიანე კაცის გულში უნდა იშვას,
აღიზარდოს, იწყოს სწავლა და ქადაგება, სასწაულები ქმნას,
ივნოს, ჯვარს ეცვას, აღსდგეს მკვდრეთით და ამაღლდეს ზე-
ცად.

შენ ქრისტიანე ხარ, ძმაო ჩემო, და უეჭველია არა ერთ-
გზის გიფიქრია იესო ქრისტეზე, ათასჯერ წარმოგითქვამს მი-
სი სახელი, ათასჯერ გილოცავს მის სახელზე, გარნა ნუ გა-
გიკვირდება, თუ გითხრა რომელ იესო ქრისტე, იქნება, ჯერ
არც კი დაბადებულა შენთვის, ანუ შენს გულში. როდის და-
იბადება, ანუ რა სახით დაიბადება ქრისტე კაცის გულში,
გკითხავ მე შენ? მხოლოდ იმ წამს, ძმაო, როდისაც შენ იგრ-
ძენ ჭეშმარიტი და ნამდვილი სიყვარული იესო ქრისტესი. რა
სიყვარული არის ეს, იფიქრებ შენ. მე მეგონა, რომ კიდეც
მიყვარდა იესო ქრისტე? როგორ აგიხსნა მე, ძმაო, რა არის
სიყვარული? სიყვარულს კაცი ვერ ახსნის სიტყვითა, თუმცა
გულში კი გრძნობს. მაგრამ, იქმნება, რომლითამე მაგალი-
თითა გაცნობო, რა არის სიყვარული: იქმნება შენ ვინმე გყავ-
დეს ყოველთა უსაყვარლესი პირი, ანუ მეუღლე, ანუ შვილი,
ანუ მეგობარი. წარმოიდგინე, რომ იგი დიდი ხანი არ გენა-
ხოს და მერმე უცებ დაინახო, რას გრძნობ მაშინ? გული
დაიწყებს ძგერასა; სული გაგინათლდება; რაღაც გამოუთქმელს
სიხარულს იგრძნობ. სწორედ ეგრედვე უნდა იგრძნოს, ერთ-
ხელ მაინც, კაცმა, როდისაც იგი იფიქრებს იესო ქრისტესა
ზედა, და მაშინ მხოლოდ დაიბადება ანუ გამოისახება ქრისტე
მის გულში. უკეთუ ესრედი გრძნობა არ გაუჩნდა კაცს გულ-
ში, მისთვის ქრისტე არ არის დაბადებული.

როდისაც ესრედ ქრისტე გამოისახა, ანუ დაიბადა სიყვა-
რულის საშუალებითა შენს გულში, მერმე იგი უნდა გადიდ-
დეს, ანუ გაიზარდოს მუნვე. იგი გაიზრდება მაშინ, როდისაც
შენ ხშირად ფიქრობ მას ზედა სიყვარულითა და ლმობიე-
რებითა. როგორადაც კაცი კაცს დაუახლოვდება, მაშინ იგი
შეიტყობს მისსა ხასიათსა, მისთა აზრთა, სურვილთა, ერთი
სიტყვით, იცნობს მას და ყოველთა მისთა თვისებათა, ეგრედვე
უნდა ეცადო და გაიცნო იესო ქრისტე. როდისაც კაცს გაიც-
ნობ და დაუახლოვდები, ამ ორში ერთი მოხდება: ან შეატ-
ყობ, რომ იმ კაცს ბევრი ცუდი თვისება აქვს და ბევრი ცუ-
დი ხასიათი, და შეწუხდები ამაზე და აღარ შეიყვარებ, ან შე-
ატყობ, რომ ის კაცი კეთილი არის, მრავალი კარგი თვისება
აქვს და უმეტესად შეიყვარებ მას და მიუახლოვდები. მგზავ-
სად ამისა, ოდეს ხშირად ფიქრობ და მახლობლად გაიცნობ

იესო ქრისტესა, იცნობ, ვითარი განუსაზღვრელი ღვთაებრივის სიკეთისა და სისრულის სახე იყო იესო ქრისტე, რასაკვირველია, უმეტესად შეიყვარებ მას, და ესრედ, ღვთაებრივი მისი სახე გადიდდება და გაიზრდება შენს გულში.

ესრედი დაახლოვება და გაცნობა იესო ქრისტესი, რასაკვირველია, არ დარჩება უქმად შენს გულში; იგი იწყებს სწავლასა და ქადაგებასა შენ შორის. ჰოი, ვითარცა სიტყვათა გეტყვის იგი! ვითარცა გრძნობასა გააჩენს იგი შენს გულში! ვითარსა გაუმაძღარსა წყურვილსა ღვთაებრივისა მადლისასა, ვითარსა მისწრაფებასა, ვითარსა ნუგეშსა, ვითარსა მწუხარებასა, ვითარსა ნეტარებასა! მწუხარებასა – მაშინ, უკეთუ შენ შთავარდი ცოდვაში და უღალატე მას; ნეტარებასა – მაშინ, როდისაც შენ ჰგრძნობ მისსა სიახლოვესა. ქრისტე ღმერთი მარადის დაუცხრომელად ჰქადაგებს გულსა შინა მოყვრისასა; ასწავლის მას, ანათლებს, სწმედს მისსა ზნეობასა და ყოფა-ქცევასა. როგორადაც რომელმანმე ბრძენმა მოძღვარმა აიყვანოს ჭაბუკი მცირე წლოვანი, შეუდგეს მისსა სწავლასა და განათლებასა, დღითი-დღე აღიყვანდეს მას ხარისხითგან ხარისხამდე, გაშლიდეს მისსა ჭკუასა, მართავდეს მისსა ზნეობასა, ვიდრემდის შეიყვანოს იგი სრულსა ჰასაკსა შინა, ეგრედვე ქრისტე ღმერთი ზრდის სულსა იმ კაცისასა, რომლის გულში იგი გამოისახა და იზრდება.

ესრედი ქადაგება, სწავლა და ხელმძღვანელობა ქრისტეს მადლისა არაოდეს არ დარჩება უნაყოფო კაცისათვის. კაცის გული და ზნეობა ცოტ-ცოტად იცვლება, და კეთდება. აქ, ძმაო, ქრისტე ღმერთი იწყებს სასწაულის-მოქმედებასა შენს ბუნებაში. სასწაული არ არის ის, ძმაო, რომ გაგანათლოს შენ სწავლითა, ანუ აღგიხილოს გონიერი თვალი, ვითარცა მან ოდესმე აღუხილა ხორციელი თვალი შობითგან ბრმასა; ანუ ოდეს ქრისტე ღმერთი მადლითა თვისითა კაცსა, ცოდვით მკვდარსა, ცოდვასა შინა შთაფლულსა, აღადგინებს, გააცოცხლებს, ცოდვას მოაძულებს და კეთილს საქმეს შეაყვარებს: ვგონებ, რომელ ეს იქნება ამის მგზავსი სასწაული, როგორადაც მან ააყენა ოდესმე ოთხის დღის მკვდარი ლაზარე.

გარნა, ძმაო ჩემო, მოქცევა კაცისა ცოდვილისა არ არის ადვილი, ერთობ ძნელი არის ყოვლისა კაცისათვის – დასტოვოს ცოდვა, რომელსა იგი მიეჩვია, რომელი გარდაიქცა თითქმის მისდა ბუნებად, და მიიქცეს კეთილისა ყოფა-ქცევისადმი. დიდად უჭირს მას ეს; დიდსა მწუხარებასა ჰგრძნობს იგი, ოდესაც სურს დაივიწყოს თვისი საყვარელი ცოდვა და დაი-

წყოს წმინდა და პატიოსანი ცხოვრება. უკეთუ შენ ჰგრძნობ, ძმაო, გულში ესრედსა მწუხარებასა, გარნა, არა მიმხედველი ამისა, ჰცდილობ იწყო წმინდა ცხოვრება და ყოველსავე სულ-გრძელად ითმენ უფლისა იესო ქრისტესათვის, იცოდე, რომ თვით უფალმა იესო ქრისტემ იწყო შენს გულში ეს მწუხა-რება და ვნება.

გარნა, ოდეს შენი მწყხარება და თმენა ერთობ გადიდ-და, ოდეს ცოდვამან ერთობ იწყო ძალადობა გულში და ტან-ჯვა შენი, გარნა შენ არა მიხედე ამას, არამედ სძლიე ცოდვა-სა, მაშინ შენ ჯვარცმულ ხარ უფლისა იესო ქრისტესათანა; სოფელი შენიდამო ჯვარცმულ არს და შენ სოფლისათვის, ვი-თარცა იტყვის პავლე მოციქული: **ქრისტესთა მათ ხორცნი თვის-ნი ჯვარს აცვნეს ვნებითურთ და გულისთქმით;** გარნა უკეთუ შენ ქრისტესა თანა ჯვარცმულ ხარ, უთუოდ რომ ქრისტესთანა აღსდგები მკვდრეთით.

აჰა, ძმანო, რას ნიშნავს სიტყვა პავლე მოციქულისა: **ვიდ-რემდის გამოისახოს ქრისტე თქვენ შორის;** აჰა, ვითარი განწყო-ბილობა უნდა იყოს შენ და ქრისტეს შორის. იგივე წმიდა მოციქული პავლე იტყვის: თუ მე ცოცხალი ვარ ახლა, ჩე-მით არ ვარ ცოცხალი, არამედ ქრისტე სცხოვრებს ჩემს შო-რის. შენს გულშიდაც უნდა სცხოვრებდეს ქრისტე! ცხოვრება მისი ხელ-ახლად უნდა განმეორდეს შენს გულში ნაცვლად საკუთარისა შენისა ნებისა, ცოდვის უწმიდურის სურვილისა, ქრისტეს ნება, ქრისტეს სურვილი, ქრისტეს ნათელი ჰსუფევ-დეს შენს გულში, ერთი სიტყვით, ქრისტეს ტაძრად, ქრისტეს სადგურად უნდა გახდეს შენი გული, რომელიც და ინებოს ქრისტემან. – ამინ.

სიტყვა

კთ-სა კვირიაკესა.

სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ
(ლუკ. იზ, ით).

ესრედ რქვა უფალმან ერთსა კაცსა, რომელი ეძიებდა მისგან კურნებასა მხურვალითა სასოებითა და მიიღოცა კურ-ნება სარწმუნოებისამებრ თვისისა. ესრედვე ეტყოდა მაცხო-

ვარი მრავალ-გზის სხვათაცა მრავალთა პირთა, რომელთა შინა შენიშნავდა ცხოველსა სარწმუნოებასა. უფალი ჩვენი მხოლოდ მუნ იქმოდა კურნებასა და მიანიჭებდა ცხოვრებასა, სადაც ჰხედვიდა სარწმუნოებასა.

ჭეშმარიტად, ძმაო, სარწმუნოება აცხოვნებს კაცსა, გარნა არა ყოველი სარწმუნოება, არამედ სარწმუნოება ცხოველი; არის სარწმუნოება ცხოველი და არის სარწმუნოება მკვდარი. თვით საღმთო წერილი გვასწავებს ამას. სარწმუნოება ცხოველი არის იგი, რომელი სუფევს გულსა შინა ჩვენსა, რომელი სძლევს ყოველთა ბოროტთა ვნებათა, რომელმან ესრედ დაიმორჩილა ბუნება კაცისა, რომელ ამოქმედებს მას მგზავსად სჯულისა სახარებისასა. გარნა მკვდარ არს სარწმუნოება იგი, რომელიმცა სჩანს ბაგეთა ზედა კაცისათა და არ შესულა გულსაშინა მისსა, რომელი ვერ მართავს მოქმედებათა და ყოფაქცევათა მისთა და არა სჩანს საქმეთა შინა მისთა. **სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს,** იტყვის მოციქული იაკობ: **მაჩვენე სარწმუნოება შენი საქმეთაგან შენთა, და მე გაჩვენო შენ საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოება ჩემი,** დასძინებს იგი.

ცხად არს, ძმანო ჩემნო, რომელ სიტყვა, საქმე და ყოველი ყოფა-ქცევა და მოქმედება კაცისა გამოაჩენს, აქვსა მას სარწმუნოება ცხოველი, ანუ მკვდარ არს სარწმუნოება მისი? წარმოვიდგინოთ რომელიმე მაგალითი: ვსთქვათ, რომ არის ერთი ვინმე კაცი, მებატონე, რომელსა ჰყავს მრავალი ყმა და მოსამსახურე. უკეთუ მებატონესა მას არ ებრალება ყმანი თვისნი, არ უვლის მათ კარგად, არ აჭმევს და არ აცმევს, საკმაოდ; ერთი სიტყვით, არ მიაჩნია იგინი, ვითარცა უმცროსნი ძმანი, ბრძანებისა-მებრ სახარებისა, არამედ უყურებს მათ, ვითარცა რომელსამე საქონელსა ანუ ნივთსა, უსამართლოდ ეპყრობა მათ, ცდილობს, რომ მხოლოდ მიიღოს მათგან რაც შეუძლიან უმეტესი სარგებლობა, ართმევს მათ სიმართლით და უმართლოდ ყოველსა, რაც შეუძლიან, როგორ არ იფიქროს კაცმან, რომელ სარწმუნოება მისი არ არის ცხოველი, არამედ მკვდარ, თუმცაღა იგი არა-ოდეს არ მოაკლდებოდეს წირვა-ლოცვასა, მტკიცედ იმარხვიდეს ყოველსა წესსა ეკკლესიისასა. გარნა რავდენნი არიან ესევითარნი პირნი ქვეყანასა შინა ჩვენსა! წარმოვიდგინოთ მეორე მაგალითი: ვსთქვათ, რომელ არის ერთი ვინმე ჩინოვნიკი, რომელი გარეშეობითა თვისითა გამოსჩნდება, ვითარცა ნამდვილი მორწმუნე ქრისტიანე; გარნა ვალდებულებასა თვისის თანამდებობისასა არ ასრულებს სიმართლით, არ აღუკრძალავს თავსა თვისსა ქრთამსა, მრავალ-გზის გაამართლებს ბრალიანსა და დასჯის უბრა-

ლოსა, და ყოველთა საქმეთა შინა ეძიებს მხოლოდ თვისსა სარგებლობასა, როგორ არა სთქვას კაცმან, რომელ მკვდარ არს სარწმუნოება მისი, რომელ სარწმუნოება ვერ მართავს საქმეთა მისთა, ცოდვა და თავხედობა უმძლავრეს არიან გულსა შინა მისსა, ვიდრე მადლი და ჭეშმარიტება. გარნა, ვინ არ იცის, რავდენნი არიან ჩვენ შორის ესე-ვითარნიცა პირნი... ვსთქვათ კიდევ ერთი მაგალითი: წარმოვიდგინოთ, რომელ არის ერთი ვინმე საწყალი კაცი, ღარიბი და მოკლებული ყოვლითა სოფლიურითა ბედნიერებითა, გარნა არ არის იგი დაღონებული სიღარიბითა თვისითა, მხნეობს ყოველთვის, მუშაკობს და არ კარგავს სასოებასა უფლისადმდე; არავის აწუხებს, არამედ ხელითა თვისითა ჰზრდის თავსა თვისსა და კმაყოფილ არის თვისითა მდგომარეობითა. როგორ არა სთქვას კაცმან, რომელ არს სარწმუნოება ცხოველ გულსა შინა მისსა!

ბუნება კაცისა, ძმაო ჩემო, დაცემულ არს და მიდრეკილ ცოდვისადმი, გარნა სარწმუნოება ცხოველი მარადის უნდა განაღვიძებდეს მას და არა უტევებდეს ცოდვისა ქმნად; სარწმუნოება უნდა იყოს ვითარცა აღვირი ვნებათა მისთა; ყოველი ასო უნდა ემორჩილებოდეს სარწმუნოებასა მისსა. მხოლოდ მაშინ ცხოველ არს სარწმუნოება კაცისა, ოდეს მართავს სვლათა მისთა, ვითარცა აღვირი ცხენის სვლასა.

მოციქული პავლე წერს კორინთელთა: **თავნი თქვენნი გამოიცადენით, უკეთუ ხართ სარწმუნოებასა შინა, თავნი თქვენნი განიკითხენით.** გამოვიცადოთ ჩვენცა, ძმანო, თავნი ჩვენნი, ვკითხოთ ჩვენცა თავთა ჩვენთა: ვართა სარწმუნოებასა შინა? პირველი შეხედულება ვითომც გამოაჩენს, რომელ ჩვენ ვართ ნამდვილად სარწმუნოებასა შინა, გარნა ოდეს ღრმად განვიხილავთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომელ სარწმუნოება ჩვენი არ არის ესოდენ ცხოველი და ძლიერი ჩვენ შორის, რომელ შეეძლოს მას მართვა ჩვენისა ყოფა-ქცევისა და მოსპობა ვნებათა და ღვარძნილთა ჩვენთა. პირველი და ნამდვილი ნაყოფი ცხოველისა სარწმუნოებისა არს სიყვარული და ერთობა; გარნა სად არის სიყვარული და ერთობა ჩვენს შორის? ესრედ მოკლებულ ვართ ჩვენ ერთობითა და სიყვარულითა, რომელ ვითარცა სიტყვათა შინა ჩვენთა ვახსენებთ მხოლოდ მოყვრობასა ანუ მტერობასა, ესრედვე ყოფა-ქცევა ჩვენი და ურთიერთთა შორის დაწყობილება ანუ მისვლა-მოსვლა გამოაჩენს ანუ მოყვრობასა; ანუ მტრობასა, და მით ვართ ჩვენ დაცემულ და დამცირებულ. მეორე მიუცილებელი ნაყოფი ცხოველისა სარწმუნოებისა არის და უნდა იყოს სიმართლისა და მართლ-მსაჯულებისა სიყვარული; გარნა ვართ ჩვენ მოკლებულ ესე-ვი-

თარითაცა სათნოებითა, მოყვარეთა ვაქებთ, თუმცაღა არ იყვ-
ნენ ღირსნი ქებისა; მტერთა ვაძაგებთ, თუმცა იყვნენ ღირსნი
ქებისა.

არა უწყით თავნი თქვენნი, – ესრედ განაგრძობს მოციქული
სიტყვათა მათ, რომელნი მოვიხსენებთ ჩვენ, **არა უწყითა თავნი
თვისნი, რამეთუ იესო ქრისტე თქვენ შორის არს?** გული კაცისა,
რომელსა აქვს ცხოველი სარწმუნოება, ტაძარი არს იესო ქრი-
სტესი. ცხოვლად მორწმუნე კაცი ცხადად უნდა გრძნობდეს
თვის შორის სიტკბოებასა იესო ქრისტესსა; სული ეტყვის მას
სიახლოვესა უფლისასა, გული ეწამება მას უფლისათვის.

გარნა უკეთუ ხარ შენ, ძმაო ჩემო, სარწმუნოებასა შინა,
გესმაა წოდება უფლისა, ვითარცა ოდესმე ესმა ისაიას: **ნუ გე-
შინინ, რამეთუ გამოგიხსენ შენ, გიწოდე სახელი შენი, ჩემი ხარ
შენ?** გილოცავსა შენ ოდესმე ესოდენითა გულს-მოდგინები-
თა, რომელ გულსა შინა შენსა ცხადად ეთქვა მაცხოვარსა,
ვითარცა რქვა ოდესმე განრღვეულსა მას: **ნუ გეშინინ, შვილო,
მოგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი?** უკეთუ ცხოველ არს სარწმუ-
ნოება შენი, ძალ გიძსა მუხლ-მოდრეკილმან უთხრა უფალსა
შენსა, მსგავსად დავითისა: **ვითარცა სწყურინ ირემსა წყაროთა
მიმართ წყალთასა, ესრედ სწყურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერ-
თო! მოსწყურდა სულსა ჩემსა ღვთისა მიმართ ცხოველისა. ოდეს
მე მივიდე და გამოვეცხადო სახელსა შენსა?** ოდეს ყოფილხარ
შენ დამძიმებულ ჭირთა და განსაცდელთაგან, ისმოდა ხმა უფ-
ლისა გულსა შინა შენსა, მღაღადებელი: **მოვედით ჩემდა ყო-
ველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ;
აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ისწავეთ, რამეთუ მშვიდ ვარ
და მდაბალ გულითა?** უკეთუ შენ ამას ყოველსა არა გრძნობ,
უკეთუ შენ **არცა ხმა მისი გესმა, არცა ხატი მისი გიხილავს,** ვი-
თარცა აყვედრებდა უფალი ურიათა, არა ხარ შენ სარწმუნოე-
ბასა შინა. უკეთუ ამა სოფლისა საზარელი მდგომარეობა, სა-
ზოგადო დავიწყება სიმართლისა და სიყვარულისა, ცოდვა და
უსჯულოება ყოველთა არ სწვავს გულსა შენსა, უკეთუ სული
შენი არა მღელვარე არს შეხედვითა სოფლისა ამის განხრწნი-
ლებისა, მაშასადამე, სად არს სარწმუნოება შენი? სად არს სი-
ყვარული შენი? უკეთუ შენ დაადგრებოდე სარწმუნოებასა
შინა, იესო ქრისტე იყომცა გულსა შინა შენსა; გარნა იესო
ქრისტე არ დაშთება უქმად და უნაყოფოდ გულსა შინა კა-
ცისასა, სიტყვასა-მებრ, პეტრე მოციქულისა: **არა უქმად, არცა
უნაყოფო იპოვნეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა მეცნიერება.**
იესო ქრისტემან თვით სთქვა: **მამაჩემი მოაქამომდე იქმნს და
მეცა ვიქმნ.** რასა იქმნს იგი ანუ სად მოქმედებს აქამომდე? იგი

იქმნს ცხოვნებასა შენსა, იგი მოქმედებს გულსა შინა შენსა
მადლითა თვისითა; იგი სდევნის სულსა შენსა უფლისადმი,
იგი სწმედს და განაცხოველებს სულსა შენსა.

ამისთვის, ძმანო, უკეთუ იტყვით, რომელ ხართ სარწმუნოე-
ბასა შინა, ხოლო არა თქმად ვერ ძალგიძთ, უკეთუ იესო ქრისტე
არს თქვენთანა, თანა-გაძსთ. სიტყვისამებრ იოანე მოციქულისა,
ვითარცა იგი თავადი ვიდოდა, თქვენცა სვლად. – ამინ.

სიტყვა

კთ-სა კვირიაკესა.

> არა ათნივე განიკურნესა? და ცხრანი
> იგი სადა არიან? ვერ იპოვნეს ეგოდენ,
> რათამცა მოიქცეს და მისცეს დიდება ღმერ-
> თსა? (ლუკ. იზ. იჱ).

მაცხოვარმან, ვითარცა მოგვითხრობს დღეს წარკითხული
სახარება, ერთხელ განკურნა ათნი კეთროვანნი კაცნი. მათ-
გან მხოლოდ ერთმან, იხილა რა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა,
დავარდა მუხლთა ქვეშე იესოსთა და შესწირა მას მადლობა;
სხვათა კი ცხრათა განკურნებულთა არ იფიქრეს მადლობისა
მიცემა ღვთისადმი. ერთმან მათგანმან ქცევამ განაკვირვა თვით
უფალი იესო ქრისტე: **არა ათნივე განიკურნესა?** ჰკითხა მან, და
**ცხრანი იგი სადა არიან? ვერ იპოვეს ეგოდენ, რათამცა მოიქცეს და
მისცეს დიდება ღმერთსა?**

მართლა განსაკვირვებელი იყო, ძმანო, ესრეთი უმადუ-
რება ცხრათა მათ განკურნებულთა. კეთროვანება იყო საში-
ნელი და საზიზღარი სნეულება. იგი იყო სიკვდილზე უსაში-
ნელესი, მით, რომელ კეთროვანს არ შეუშვებდენ არც სოფელ-
ში, არც სახლში; იგი სცხოვრებდა და დადიოდა მარტო ტყედ
და ველად, ვითარცა ერთი მხეცი, და იტანჯებოდა უწყალოდ.
ესრედისა საშინელისა სნეულებისაგან განათავისუფლა უფალ-
მან ცხრანი იგი კაცნი; გარნა მათ მადლობაც არ შესწირეს
მას; ვიდრე იგინი იყვნენ ჭირში და სალმობაში, გულსმოდგი-
ნედ ევედრებოდნენ მას და შეაბრალებდენ თავთა თვისთა, გარ-
ნა, მიიღეს რა ლხინება, აღარ გაახსენდათ მოწყალება ღვთისა.
საკვირველი არის ესრედი მოქცევა მათი, გარნა იგი არ არის

ძვირი, უმაგალითო. ხშირად მოხდება ესრედვე საქმე ყოველ-
თა კაცთა შორის. კაცის გულს ხშირად აქვს ის ცუდი
თვისება, რომელ არ უყვარს, ეზარება მადლობის გადახდა.
იქმნება, ძმაო, შენც ხშირად ხარ დამნაშავე ამისთანა საქმეში.
თუ ვისგანმე ეძიებ რასამე, თუ საჭირო არის შენთვის რო-
მელიმე კაცი, მაშინ შენ მისი ერთგული მოსამსახურე ხარ,
არწმუნებ მას, რომ საფლავამდე არ დაივიწყებ მას და როდე-
საც კი მან აღასრულა შენი თხოვნა, გიყო მოწყალება, მაშინ-
ვე დაივიწყებ და მადლობას აღარ გადიხდი. ზოგიერთს ამაზე
უფრო ცუდი ხასიათი აქვს: ას-ჯერ რომ მიიღოს რო-
მელიმე კაცისაგან მოწყალება და ქველის-მოქმედება, თუ კი,
მერმე, ერთხელ რომლისამე მიზეზისა გამო უარი გაიგონა მის
თხოვნაზე, უწინდელს ყოველს ქველის-მოქმედებას დაივიწყებს
და არის უკმაყოფილო იმ კაცზე და ხშირად კიდეც ავად იხ-
სენებს მას.

ერთობ საზრახავი და ცუდი არის, ძმანო, ესრედი ხასია-
თი კაცისა; იგი გამოაჩენს დაბალსა და საზიზღარსა ბუნებასა
მისსა. კაცი, კეთილ-შობილი ხასიათის მექონი, სულ-გრძელი
და წრფელი სიხარულით გადიხდის მადლსა ყოველისა კეთილი-
სა და ქველისმოქმედებისათვის. მას არ დაავიწყდება თვით
უმცირესი კეთილი, რომელი მან მიიღო მოყვსისა თვისისაგან.
გარნა უმაღლესი კეთილის-მოქმედი ჩვენი არის ღმერთი. მის-
გან ჩვენზედა ზეგარდამოვალს ყოველი კეთილი. მისი მადლო-
ბის და დიდების მიმცემი უნდა იყოს ყოველი სულ-დგმული
კაცი ქვეყანასა ზედა. მადლობა ღმერთსა, დიდება ღმერთსა!
ეს ორი სიტყვა მარადის უნდა იყოს გულსა შინა და ბაგესა
შინა შენთა. არათუ მაშინ, როდესაც შენ ხარ, ძმაო, კმაყო-
ფილი, პატივცემული, აღტაცებული, არამედ მაშინაც, როდი-
საც შენ ხარ ღარიბი, საწყალი, ავად-მყოფი და გლახაკი. **ყო-
ველსა შინა მადლობდით ღმერთსა, რამეთუ ესე არს ნება ღმრთი-
სა ქრისტე იესოს მიერ თქვენდა მიმართ** (თეს. ე, იჱ). იტყვის
წმინდა მოციქული.

რა სახით უნდა შესწიროს ღმერთსა მადლობა და დიდება
კაცმან უბედურმან, გლახაკმან და მწუხარემან, იფიქრებს ვინ-
მე გულში? საკვირველი არ არის, რომ ბედნიერმან და კმაყო-
ფილმან კაცმან მადლობა შესწიროს ღმერთსა, გარნა უბედურ-
მან და მწუხარემ ვით შესწიროს მადლობა ღმერთსა? ამაზე,
ძმაო, შენ ისრედს პასუხს გეტყვი, რომელმან, იქმნება, კიდეც
გაგაკვირვოს. როდისაც კარგად დაუკვირდები კაცის ცხოვრე-
ბასა, როდესაც შეხედავ, რა ხასიათი აქვს სხვათა და სხვათა
პირთა, იცი რას ნახავ მაშინ და რას გაიგონებ? ნახავ და გაი-

გონებ, რომელ კაცნი საწყალნი, გლახაკნი და უბედურნი
უფრო ხშირად ამბობენ სიღრმისაგან გულისა: მადლობა შენ-
და, ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო! იყავ ნება შენი! გარნა
კაცნი ბედნიერნი და მდიდარნი ხშირად სრულიად ივიწყებენ
ღმერთსა და მადლობასაც არ შესწირავენ მას. ესრედი საკვირვე-
ლი თვისება აქვს უბედურსა კაცის ბუნებასა. იგი ღმერთს გა-
იხსოვნებს ხშირად უბედურებასა შინა, და ბედნიერებასა შინა
დაივიწყებს. რა გამოდის აქითგან? ის, ძმაო, რომ მდიდარმა
და ბედნიერმა კაცმა რომ დაივიწყოს მარადის მადლობის შე-
წირვა ღვთისადმი, ხომ უშველებელი ცოდვა იქმნება. იგი და-
ემგზავსება იმ ცხრათა კეთროვანთა უმადურთა; გარნა თვით
საწყალსა, უბედურსა კაცსა, თუ კი კეთილი გული აქვს და
ღმერთი ახსოვს, უბედურება და სისაწყლე არ დაუშლის მად-
ლობა შესწიროს ღმერთსა. მაშასადამე ბედსა და უბედურება-
სა შინა მყოფი მარადის მადლობდე ღმერთსა. ამასთანავე რაც
გინდა საწყალი და უბედური იყოს კაცი ამ ქვეყანაზე, მაინც
კარგად რომ იფიქროს, მოწყალება ღვთისა მას ზედაც არის
ურიცხვი და განუზომელი. უმაღლესი და უდიდესი ღვთის-მო-
წყალება კაცთა ნათესავსა ზედა ის არის, რომ ღმერთს დასა-
ბამითგან ქონდა საკუთარი მზრუნველობა და მხედველობა
მის განათლებაზე და სულიერს წარმატებაზე და ცხოვნებაზე.
ბოლოს, მხოლოდ-შობილი ძე თვისი მოავლინა ქვეყნად, რა-
თა გამოიხსნას კაცი ცოდვათაგან და მიანიჭოს ცხოვნება. ის
საუნჯე მადლისა, განათლებისა და ცხოვნებისა, რომლითაც
გაგვამდიდრა უფალმან, თანასწორ არის განყოფილი ყოველთა
კაცთა შორის, ვითარცა მდიდართა, ეგრეედვე ღარიბთა და სა-
წყალთა ზედა. ერთბაშად ყოველთა მიანიჭა ღმერთმა სულიე-
რი ნიჭი; ღარიბი ამ მოწყალებაში არ არის დაკლებული მდი-
დარის წინაშე. მეფე და მონა, მდიდარი და გლახაკი ერთ-ნა-
ირად არიან მოზიარენი ამ მოწყალებაში; ის კი არა, გლახაკი,
ზოგჯერ, თუ ეცადა და ეძიებს, მდიდარზე წინ არის. მაშასა-
დამე სულიერსა საქმესა შინა ყოველნი თანასწორნი არიან და
ყოველი ადამიანი უნდა მადლობდეს ღმერთსა. რაიცა შეეხება
ხორციელსა ცხოვრებასა, ძმანო, ეს ღმერთმან მიანდო შენს
მეცადინეობას და გონიერებას. თუ ღარიბი და საწყალი ხარ,
ვის აბრალებ ამას? ღმერთი არ არის ამის მიზეზი, არამედ, იქ-
ნება, შენვე, შენი ცოდვა, სიზარმაცე, ანუ სხვა რომელიმე
სოფლიური გარემოება. ერთი სიტყვით, ყოველთა ადამიანთა
გვმართებს მარადის მადლობა ღვთისა: ყოველთა შინა მადლო-
ბდეთ ღმერთსა. – ამინ.

სიტყვა

კთ-სა კვირიაკესა ზედა.

ხოლო აწ განიშორეთ თქვენცა... ყო-
ველი უშვერი სიტყვა პირისაგან თქვენისა.
ნუ უტყუით ერთი ერთსა (კოლ. გ, ᲘᲐ, თ).

სხვათა ცოდვათა შორის, რომელთაგან გვაფრთხილებს ჩვენ დღეს წარკითხულსა სამოციქულოსა შინა წმიდა მოციქული პავლე, იგი ახსენებს ეგრედვე ცოდვათა მათ, რომელთა კაცი იქმნს ენითა თვისითა. **განიშორეთ თქვენცა... ყოველი უშვერი სიტყვა პირისაგან თქვენისა, ნუ უტყუით ერთი ერთსა.**

ენითა თვისითა ყოველს კაცს შეუძლიან მრავალ-ფერად და ხშირად შესცოდოს ღმერთსა. დიდი ყურად-ღება და მეცადინეობა უნდა იხმაროს კაცმან, რომელსა ჰსურს განრინება ენით შეცოდებისა და კეთილად მართვა სიტყვათა თვისთა. წმიდა მოციქული იაკობ კათოლიკე ეპისტოლესა შინა თვისსა ვრცლად აღწერს ყოველთა ცოდვათა და ვნებათა ბოროტის ენისასა. იგი გვეტყვის ჩვენ, რომელ კაცი მრავალ-ფერად სცდება და ხშირად სცოდავს, გარნა ვინც არ სცოდავს სიტყვითა თვისითა, ვისაც შეუძლიან აღვირ-სხმა ენისა თვისისა, იგი არის სრული კაცი და შემძლებელი დამორჩილებად ყოველთა სხვათა თვისთა ვნებათა: **ფრიად ვცდებით ყოველნივე; რომელნი სიტყვითა არა სცდებოდეს, იგი სრული კაცი არს, შემძლებელ-არს იგი აღვირ-სხმად ყოვლისავე გვამისა.** (თ. გ, ბ). კაცი, გვეტყვის იგივე მოციქული, აღვირ-უსხამს ცხენსა და ადვილად დაიმორჩილებს მას; ეგრედვე ადვილად ჰმართავს იგი მცირითა საჭითა დიდთა ნავთა წარმატებულთა ფიცხელთა ქართაგან: **გარნა ენა მცირე ასო არს და დიდად მაღლოის.** ენასა ბოროტსა იგი უწოდებს ცეცხლს და, ვითარცა მცირე ნაკვერცხალი აღაგზნებს დიდსა ცეცხლსა და დასწვავს დიდთა სახლთა, ეგრედაცა მცირე იგი ასო ხშირად მოახდენს დიდთა ვნებათა. ენასა ეგრედვე უწოდებს იგი სამკაულად სიცრუისა, ვინაითგან ენა ხშირად ესოდენ დაფარავს და შეამკობს სიცრუესა, რომელ მისცემს მას სახესა ჭეშმარიტებისასა; ენა, სიტყვისამებრ მისისა, შეაგინებს ხშირად მრთელსა გვამსა კაცისასა, იგი ჰმართავს ურ-

მის თვალსა ჩვენისა ყოფა-ქცევისასა. კაცი დაიპყრობს ყოველ-
სა ბუნებასა, მხეცთა და ფრინველთა და ქვეწარმავალთა და
თევზთა; გარნა ზოგჯერ ვერ დაიმორჩილებს ენასა თვისსა;
ორღანოითა მით, რომლითა აკურთხევს კაცი ღმერთსა, ხში-
რად სწყევლის იგი მოყვასს თვისა, რომელი შექმნილ-არს
მზგავსად და ხატად ღვთისა, ერთისა და იგივე პირისაგან
გამოვალს წყევა და კურთხევა. აჰა, ძმანო ჩემნო, ვითარითა
სიტყვითა აღწერს წმიდა მოციქული ბოროტისა ენისა მოქმე-
დებათა.

გარნა ყოველთა მათ ცოდვათაგან, რომელთა კაცი იქმნს
ენითა თვისითა, უმეტესად გახშირებულ არს ჩვენ შორის გან-
კითხვა ანუ ცუდად ხსენება მოყვასისა, რომელსა დაბიურად
ეწოდება ჭორი. ცოდვა იგი მით უმეტესად არის მძიმე და სამ-
წუხარო და ფრიად განვრცელებულ ჩვენ შორის, რომელ იგი
თითქმის არავის არ მიაჩნია ცოდვად. არავინ არ ფიქრობს, რო-
მელ სცოდავს, ოდეს იგი განიმეორებს და განავრცელებს მრა-
ვალთა ცუდთა ხმათა და ამბავთა, რომელნი მას ესმა სხვა და
სხვათა კაცთა ზედა. რით ატარებენ დროებასა თვისსა სტუმრე-
ბი ყოველთა სახლთა შინა? თითქმის მარტო მით, რომელ ანუ
თვითონ მოიგონებენ, ანუ განიმეორებენ სხვა და სხვათა ცრუ-
თა ამბავთა. ეს არის ფრიად შეყვარებული და სასიამოვნო გა-
ტარება დროებისა მრავალთა სახლთა შინა ჩვენის ქალაქისათა.
დიდითა კმაყოფილებითა მოჰყვებიან სტუმრები ახალთა ამბა-
ვთა, არ დასტოვებენ არცა ერთსა კაცსა რომელზედაც არა
სთქვან რაიმე ცუდი; ვერაფერი ვერ დაიფარავს კაცსა მათისა
ენისაგან, არ დაზოგავენ იგინი არცა ხარისხსა, არცა წოდება-
სა, არცა ჰასაკსა, არცა საქმესა, არცა პატიოსნე-
ბასა; სინიდისი არ ამხილებს მათ; ჰფიქრობენ, რომელ ეს
არის ერთი უბრალო, მიღებული საზოგადოებასა შინა დროე-
ბის გატარება. გარნა ვკითხოთ მათ, რას ნიჰშნავს ის სიხარუ-
ლი და კმაყოფილება, რომლითა იგინი განაგრძელებენ სიტ-
ყვასა მათსა ყოველითა ცუდითა ამბავითა ყოველთა ზედა ნა-
ცნობთა თვისთა? არა ნიჰშნავს, ეს, რომელ გული მათი არ
არის კეთილ, რომელ მათ უხარიანთ, ოდესცა იგინი ჰხედვენ
ცუდსა რასამე მოყვასსა შინა თვისსა. ოდესცა შენ, ძმაო ჩე-
მო, ავად აჰხსენებ მოყვასსა შენსა, მაშინ შეეხები მისი სახელის
პატიოსნებასა, გარნა არ გახსოვსა, რომელ პატიოსანი სახელი
კაცისათვის არის პირველი და უდიდესი საუნჯე? – მე ხომ ტყუ-
ილს არ ვიგონებ, მეტყვის ვინმე, მე მხოლოდ განვიმეორებ,
რაც მესმა სხვათაგან, ანუ რაიცა მე ნამდვილად ვიცი. არა,
ძმანო, ეს არ განგამართლებს შენ. თუმცა სრულიად მართალი

იყოს ის ხმა, რომელიც შენ გაიგონე, თუმცა მართლა ცუდი
იყოს ის კაცი, რომელზედაც გაიგონე ცუდი ამბავი, მაინც
ქრისტიანობრივმა სიყვარულმა და შებრალებამ უნდა დაადუ-
მოს ენა შენი. მაგრამ არა! გული ხშირად გეტყოდა შენ, რო-
მელ ის ამბავი, რომელიც შენ გაიგონე, სიცრუვე უნდა იყოს;
ის კაცი, რომელსაც აბრალებენ იმ ცუდს საქმეს, არ არის
ცუდი კაცი და არ იკადრებდა იმ საქმეს. გარნა შენ არ მიჰხე-
დე მას, არამედ ცხადად გაგეხარდა გაგონება იმ ცუდის ხმი-
სა, მაშინვე წასულხარ და კმაყოფილებით გითხრობია ყოველ-
თათვის ის ამბავი. გარნა ესეც კიდევ ცოტა არის! ნეტავი
მარტო მაინც ის გეთქვა, რაც შენ გესმა! მაგრამ არა: შენ კი-
დევ შენი დაუმატე იმ ამბავს, შენ გაავრცელე და შეამკე იგი,
და აჰა-ესერა ენა შენი, სიტყვისაებრ წმიდა იაკობისა, იქმნა
სამკაული სიცრუისა. მცირე იგი და არაფრით შესანიშნავი
ხმა, რომელი შენ გესმა, მრავლითა დამატებითა და შემკობი-
თა შენითა გარდაიქცა ერთ საშინელ და საზარელ ამბავად;
მცირე ნაკვერცხალი შეიქმნა დიდ ცეცხლად, დამწველად შე-
ნის მოყვასის სახელისა. მიჰხედე და იგრძენ კიდევ ფარისევ-
ლობა შენი: თუმცა შენ ავად აჰხსენებ მოყვასსა შენსა, ცხად-
არს, რომელ ამას იქმნ განგებ და გსურს მოაკლო იმ კაცს პა-
ტივის-ცემა და სიყვარული საზოგადოებასა შინა, გარნა ესრე
მიჰფარავ სიტყვასა შენსა და ისრე მოაჩვენებ შენს თავსა, ვი-
თომ შენ გწყენოდეს სმენა ამ ამბისა, არ გინდოდეს ცუდი
რამე სთქვა იმ კაცზედ, ხანდისხან კიდეც აქებ იმ კაცს ფარი-
სევლობით, გარნა ვინაითგან მრთელი ქვეყანა ამბობსო და მა-
რთალიც უნდა იყოს ეს ამბავიო, მეც არ შემიძლიან, რომ არ
განვაცხადოვო.

საუბედუროდ შენ, როგორც სჩანს, არ ჰფიქრობ, თუ რა
შეუდგება შენს ჭორსა და ავად-ხსენებასა მოყვსისა შენისასა.
იქმნება კაცი იგი, რომელსა შენ ავად ახსენებ, არის კაცი
პატიოსანი და პატივცემული, ხოლო შენ ენითა შენითა მოა-
კელი მას პატივი; იქნება იგი არის სამღვდელო პირი, მას ჰყვა-
ნან მრავალნი შვილნი, რომელთა უყვარდათ იგი, რომელთა
ჰქონდათ მას ზედა დიდი სასოება, რომელნი ესვიდენ მისგან
მიღებად დიდისა სულიერისა მადლისა, გარნა ბოროტმან ენა-
მან დაამცირა მათი სიყვარული, დაასუსტა სასოება მათი და
იქნება სრულიად შეარყია მათი სარწმუნოება. ანუ, იქნება,
შენ დააგდე ცუდი ხმა პატიოსანსა ქალსა ზედა, რომელსა ჰყავს
მეუღლე, უვიან ძენი, ძმანი; არა მიმხედველი მისა, თუ ვი-
თარი სიკვდილი არის ქალისთვის პატიოსანი სახელის მოკლე-
ბა, თუ ვითარი უბედურობა და სიკვდილზე უარესი მწუხარება

იქნება მისის მეუღლისა, მისთა შვილთა და ძმათათვის, ოდე-
საც იგინი გაიგონებენ მას ზედა ცუდსა ხმასა, გესლიანი ენა
შენი მაინც ჰცდილობს შეასმინოს ყოველთა ცუდი რაიმე მას
ზედა. ბოლოს, რავდენნი მოყვარენი მტრად გარდააქცია ენამან
შენმან; რავდენ-გზის მეგობართა შორის დასთესა სიძულილი
და შური; და რავდენ-გზის შვილი განაშორა დედ-მამას, ძმა
გადაამტერა ძმასა.

ვინ გადურჩება. ძმანო ჩემნო, განუკითხველი კაცსა, ბო-
როტის მეტყველსა? რას არ დააბრალებს იგი კაცსა, რაში
არ აიღებს იგი ეჭვსა? თუ ნახა, რომ ვინმე ყოველ-დღე და-
დის ეკკლესიაში, უყვარს წირვა-ლოცვის სმენა, ერთგულად და
მხურვალედ ვედრება ღვთისა, – ის ფარისეველი არისო, მოა-
ჩვენებსო. თუ ნახა, რომ ვინმე არა ყოველთვის იარება ეკკლე-
სიაში, – იმას ღმერთი არა სწამსო; სცდილობს თუ ვინმე სი-
მართლით მოიქცეს, ყოველსა კაცზედ მართალი სთქვას, – იგი
კაცის მოძულე არისო, იმას კაცის სიკეთე არა ჰსურსო; თუ
შეიბრალა ვინმე და მოწყალება უყო, სიმართლე დაარღვიაო.
მშვიდი და მდაბალი კაცი მას არ მოსწონს: სუსტი არისო,
არაფერი არ შეუძლიანო, ჭკუაც აკლიაო; მტკიცე და მაგარი
ხასიათის კაცი მას ეჩვენება სასტიკად და ფიცხელად. ერთი
სიტყვით, ყოველს კაცს დაიწუნებს, ყოველს საქმეს გაამტყუ-
ნებს – **მცირე არს ენა და დიდად მაღლოის.**

დასასრულ, არ შემიძლია, არ დავუმატო, ძმანო ჩემნო,
რომელ აქა თქმული თუმცა შეეხება ყოველთა კაცთა გარნა,
უმეტესად და უმახლობელესად შეეხება ქალთა. იგინი ფრიად
მოყვარენი არიან ყოვლისა განკითხვისა, ავად-ხსენებისა და ჭო-
რისა. ზოგიერთის ქალისათვის თითქმის დღიური საზრდო
არის ბოროტ-სიტყვაობა და ცუდად ხსენება მოყვსისა. არა მი-
მხედველნი მისა, რომელ ყოვლის ქალისათვის კეთილი სახე-
ლი უძვირფასეს არს თვით სიცოცხლისა, იგინი არა დასცხრე-
ბიან მოგონებად და გაგონებად ერთი მეორეზედ ცუდის ხმისა
და ამბისა. მცირე ესე ჩვენი ქალაქი ადუღებულ არს გაუ-
თავებელთა ჭორთა, ავად-ხსენებათა და ბოროტ-სიტყვაობა-
თაგან.

გაფუცებ თქვენ, ქრისტიანენო, ნუ დაივიწყებთ, თუ რა
დიდი ცოდვა არის ავად-ხსენება და განკითხვა მოყვსისა. დასა-
სრულ სიტყვისა ამის გეტყვი თქვენ სიტყვათა მაცხოვრისა-
თა და გთხოვ, კარგად გაიგოთ ჰაზრი მისი და არ დაივიწყოთ
იგინი: **კეთილი კაცი კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გა-
მოიღებს კეთილსა, ხოლო ბოროტი კაცი ბოროტისაგან საუნჯისა
გულისა თვისისა გამოიღებს ბოროტსა; ნამეტნავისაგან გულისა იტ-**

ყვიან ბაგენი.

სიტყვა

ლ-სა კვირიაკესა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

ნაცვლად სახარების ანუ სამოციქულოის აღხსნისა, დღეს რომელნიმე გარემოებანი მაღვიძებენ მე გითხრა თქვენ რაოდენიმე სიტყვა მოწყალებასა ზედა, ანუ უმჯობეს არს, მოვიკითხო თქვენგან მოწყალება გლახაკთა და საწყალთათვის. რომელნი არიან ეს გარემოებანი? შემდგომნი.

თვით თქვენ ყოველთა იცით, რა სასტიკი და იშვიათი ზამთარი არის ახლა ჩვენს ქვეყანაში და ადვილად წარმოიდგენთ, თუ ვითა შეწუხდება და ძნელად მოითმენს ესრედსა ზამთარსა ღარიბი და საწყალი კაცი. წარმოიდგინე, ძმაო, რომ ერთი ღარიბი კაცი დღიურითა შრომითა თვისითა მოიპოვებდა დღიურსა საზრდოსა თავისთვის და თავის სახლობისათვის; წარმოიდგინე, რომ ეს კაცი უჩვეულოისა სიცივისაგან გახდა ავად. რაღა უნდა ჰქნას მან და მისმა სახლეულობამ? ესრედი მაგალითი მრავალი არის ჩვენს ქალაქში. მცირე ქალაქი არის ჩვენი ქალაქი; არა მრავალნი არიან მუნ მცხოვრებნი, გარნა მრავალნი არიან საწყალნი და ღარიბნი, მოკლებულნი ამ ჟამად საჭმლითა და სასმლითა. მე გეტყვი ორსა ანუ სამსა მაგალითსა, რომელნიცა თვით მე ნამდვილად ვიცი. ერთს სახლში... რას ვანბობ – სახლში? ერთს დაუხურავს ქოხში, რომელსა შინა შენ, ძმაო, იქმნება, ზაფხულსაც ვერ გასძლო, არა თუ ესრედს სასტიკს ზამთარში, ნაჰხავ ერთს მდებარეს, უძლურს დედაკაცს და მასთან ორთა ჩჩვილთა, რომელთა სრულებით არა აქვსთ არც საჭმელი, არც ტანისამოსი, არა თუ ტფილი ტანისამოსი, არამედ თითქმის არასფერი ტანისამოსი. მეორე სახლში ნაჰხავ ერთს მუშა კაცს, რომელი დღიურითა შრომითა თვისითა ჰზრდიდა მოხუცებულს დედ-მამას და რომელი სიცივისაგან არის მდებარე უძრავად, ვინაითგან სასტიკმა ავადმყოფობამ თითქმის წაართვა მას ხელი და ფერხი. მესამე სახლში დედა-კაცი, რომელი აგრედვე თვისითა შრომითა ჰზრდიდა თავის თავს და რავდენსამე მცირე-წლოვანთა მონათესავეთა, არის დავრდომილი სასტიკითა სენითა და მოკლე-

ბული ყოვლითა საშუალობითა.

აჰა, მაგალითნი ნამდვილნი, რომელნი მე ვუწყი; გარნა რავდენნი არიან სხვანი, რომელნი მე არ ვიცი?

მეტს არაფერს გეტყვი, ძმაო! ვსასოებ, რომ შენ გიყვარს ქრისტე ღმერთი: ახლა შეიტყობს ქრისტე, რა ზომად გიყვარს შენ იგი! შენც გასინჯე თავი შენი, რა უნდა დაზოგო ქრისტესთვის, რომელმა თავი თვისი არ დაზოგა შენთვის; რას არ გამოიმეტებ მისთვის, რომელმან საკუთარი სიცოცხლე გამოიმეტა შენთვის?

ვახსენებ ქრისტეს მისთვის, რომელ შენ კაცს აძლევ მოწყალებასა, არამედ თვით ქრისტესა, რომელი გეტყვის შენ ოდესმე, უკეთუ არ განიკითხე გლახაკი: **მშიერ ვიყავ და არა მეცით მე საჭმელი, უძლურ ვიყავ და არა მნახეთ მე.**

სად არიან ეს საწყალნი? მე არ ვიცნობ მათ, მეტყვის ვინმე. მოძებნე, შეიტყვე! უსაწყლესი ყოველთა გლახაკი ის არის, რომელი შენთან ვერ მოვა და შენ ვერ შეგაწუხებს. მოწყალების გაცემასაც უნდა ჭკუა და სიბრძნე: არა ყოველი გლახაკი არის ღირსი შებრალებისა. ვინც ზარმაცობით და ცუდის ცხოვრებით თავი გაიფუჭა და წაიხდინა, იგი არ არის ღირსი შებრალებისა. ზოგიერთს კაცს რომ მოწყალება მისცე, თითქმის ცოდვაც არის; გარნა ვინც არა თავის ბრალით, არამედ რომელითამე უბედურითა შემთხვევითა შთავარდა სიღარიბეში, იგი არის ღირს შებრალებისა და მოწყალებისა, ვინაითგან, ვიდრემდის მას ქონდა ღონე და სიმართლე, არავის არ აწუხებდა.

ესრედ, ძმანო ჩემნო, ნაცვლად გრძელისა, უბნობისა მოწყალებასა ზედა, წარვიდეთ, თვით საქმით აღვასრულოთ მოწყალება და მით ვსცნობთ, რა არის ეს სათნოება. ვაჩვენოთ უფალსა იესო ქრისტეს ჩვენი ერთგულება და სიყვარული. ზოგიერთს თავის თავი მიაჩნია კეთილ-ქრისტიანედ; გარნა როდესაც ღარიბი და გლახაკი მოითხოვს მისგან შემწეობას, ეწყინება, ვერეფერს ვერ გამოიმეტებს, თუმცა იმავე ჟამს არა ზოგავს მრავალსა ხარჯსა რომლისამე ამაოისა ნივთისა ანუ კმაყოფილებისათვის. რა სჩანს აქედგან? ის, რომელ იგი არ არის ნამდვილი ქრისტიანე: იგი არა ქრისტეს ემსახურება, არამედ თავის მუცელსა. ნუ ვიყოფინ ესრედ, არამედ დავამტკიცოთ, რომ ვიცით შებრალება კაცისა და მზა ვართ მსახურებად ქრისტესა. – ამინ.

სიტყვა

ლბ-სა კვირიაკესა ზედა.

> რქვა მას იესო: დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის, რამეთუ ესეცა შვილი აბრაამისი არს. რამეთუ მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა (ლუკ. ით; თ, ი).

უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოვიდა სოფლად მისთვის, რათა მოიძიოს, მოაქციოს და აცხოვნოს კაცი ცოდვილი და წარწყმედული. დღეს წარკითხულითა სახარებითგან გვესმა, ვითარ აღასრულებდა იგი საქმესა ამას. იყო კაცი ვინმე სახელითა ზაქე, მთავარი მეზვერეთა და ფრიად მდიდარი. საგულისხმო არს, რომელ სიმდიდრე მისი არ იყო შეძინებულ სიმართლითა. უკეთუ სხვანიცა მეზვერენი იყვნენ ცოდვილნი და უმართლონი, ცხად არს, რომელ მთავარი მათი იქმნებოდა უუცოდვილეს მათზე; გარნა სჩანს, რომ სინიდისი მისი არა იყო სრულიად დაბნელებულ; სჩანს, რომ მას ამძიმებდა ტვირთი ცოდვათა მისთა და გული ეტყოდა მას, როგორმე განთავისუფლდეს ამ ტვირთისაგან. დიდი ხანია სურდა მას ხილვა უფლისა და სმენა მოძღვრებისა მისისა. ერთ-გზის ოდესცა მაცხოვარი გამოვიდა იერიქოთ და, გარემოცული სიმრავლითა ერისათა, მიდიოდა გზასა ზედა, ზაქემ განიზრახა ხილვა მისი; გარნა ვინაითდან იყო დაბალი ტანითა, ვერ მიეახლა მას სიმრავლისა გამო ერისა; ამისთვის მირბოდა წინა და ავიდა ხესა ზედა, რომელი იდგა მახლობლად გზისა, რათა მუნითგან იხილოს პირი უფლისა. შეხედა რა მას მაცხოვარმან, იცნა სურვილი გულისა მისისა და რქვა მას: **ზაქე! ისწრაფე და გარდამოხედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფა.** განკვირვებული ზაქე მიიღებს მაცხოვარსა სახლსა შინა თვისსა. ესე-ვითარი მოწყალება მაცხოვრისა განაღვიძებს გულსა შინა მისსა მონანებასა; ხოლო ფარისეველნი და სადუკეველნი დრტვინვიდენ და იტყოდენ, **ვითარმედ ცოდვილისა კაცისა-თანა შევიდა დადგომად.** გარნა ზაქე ეტყვის მას: **აჰა, უფალო! ზოგი ნაყოფთა ჩემთა მივსცე გლახაკთა, და, უეკთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი.**

ახლა, ძმანო, ვიფიქროთ თუ რამ აცხოვნა ზაქე და რამ მიიზიდა მას ზედა ესე-ვითარი მოწყალება მაცხოვრისა, რომ

იგი შევიდა სახლსა შინა მისსა. ზაქე სცხოვნდა მისთვის, რო-
მელ, თუმცა იყო იგი ცოდვილ, გარნა მას ყოველთვის ქონ-
და გრძნობა ცოდვისა თვისისა და უღირსებისა თვისთა. ვი-
დრემდის კაცს არ დაუკარგავს გრძნობა ცოდვისა თვისისა,
ვიდრემდის ახსოვს თვისი უღირსება, ადვილად მოიქცევა და
მიიღებს მოწყალებასა ღვთისაგან. მაცხოვარი ერთ-გზის შევი-
და სახლსა შინა სვიმონ ფარისევლისასა, გარნა ფარისეველმან
არ მიიღო განტევება ცოდვათა, ვინაითგან იგი იყო ამპარტა-
ვანი და არა გრძნობდა თვისსა ცოდვასა; ხოლო ზაქე, მგრძნო-
ბელი თვისისა ცოდვისა, მიიღებს მისგან მიტევებასა. ყოვე-
ლი კაცი მას უნდა ცდილობდეს, რომ სინიდისმან მისმან არ
დაუმალოს ცოდვა მისი. უცოდველი არავინ არის; არა ძალ-
უძს კაცსა ხორციელსა იცხოვროს ქვეყანასა ზედა და არა
სცოდოს. გარნა ყოველი კაცი უნდა სცდილობდეს, რომ შეი-
ტყოს ცოდვა თვისი, არ ატყუებდეს და არ ამართლებდეს
თავსა თვისსა, არ მალავდეს თვისსა ბრალსა, ერთი სიტყვით,
ადვილად და სუბუქად არ უყურებდეს ცოდვასა თვისსა. დი-
დი ბედნიერება და დიდი სულგრძელება არის, ოდესაც კაცი,
ცოდვაში შთავარდნილი პირდაპირ ეტყვის თავსა თვისსა: მე
სწორედ დამნაშავე ვარო. ვინც ამას იქმნს, ის გამოვა ცოდვი-
საგან; გარნა, საუბედუროდ, კაცი ცოდვილი ამას ძნელად
იქმნს. ცოდვა მით არის ძნელი და წარწყმედელი, რომელ
იგი დააბნელებს გულსა და გონებასა კაცისასა; ნაცვლად მი-
სა, რომ იცნას ცოდვა თვისი და მოინანოს, კაცი ცოდვილი
სცდილობს, რომ თავი გაიმართლოს და ცოდვა თვისი სხვას
დააბრალოს, სხვანი ჩემზედ უარესნი არიანო, სხვანიც ესრე
შვრებიანო და მეც ასრე ვქმენიო; წუთის სოფელი არისო,
როგორ შეიძლება რომ კაცი არ შეცდესო. ამას და ამისთა-
ნა მრავალს იტყვის კაცი ცოდვილი. ადვილად შეუნდობს
იგი თავსა თვისსა ცოდვათა თვისთა, ხან მიაწერს იგი ცოდვა-
სა თვისსა სიჭაბუკესა, ხან უმეცრებასა და ხან სხვის შეგონე-
ბასა. ესრე არა ქმნა ზაქემ; მან პირდაპირ აღიარა ცოდვა
თვისი და მოინდომა მონანება. **აჰა, უფალო! ზოგი ნაყოფთა
ჩემთა მივსცე გლახაკთა, და, უკეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო
ოთხი წილი.**

ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან არა დაიძინა ცოდვათა
შინა თვისთა, ადვილად არ უყურებს შეცდომათა თვისთა,
არამედ ყოველს წამს სცდილობს თავი გამოისწოროს და უმჯო-
ბესი შეიქნეს. ყოველი ცოდვა მზაკვარ არს; ეშმაკი სცდი-
ლობს, რომ ცოდვა ჩვენი არა-რად მიგვაჩნდეს; გარნა, იფიქრე,
ძმაო ჩემო, ადვილი არისა ცოდვა, უკეთუ იგი დააბნელებს

შენ შორის ხატსა და მზგავსებასა ღვთისასა, უკეთუ იგი განგაშორებს ღვთისაგან და შთაგაგდებს გეენიასა შინა? როდისაც შენ ნათელს-იღე, მაშინ ღმერთს ის კი აღარ აღუთქვი, სხვაზედ უარესი არ ვიქნებიო, არამედ უარ-ყავ სოფელი და ყოველნი საქმენი მისნი; უარ-ყავ ეშმაკი და ყოველი მსახურება მისი; აღუთქვი ღმერთსა მიღება მცნებათა მისთა და სიწმიდით დამარხვა მათი. მეფე დავით შთავარდა ერთხელ ცოდვასა შინა; გარნა ოდესცა ნათან წინასწარმეტყველი მივიდა მასთან და ამხილა იგი, მან არცა ერთი სიტყვა სთქვა თავის განსამართლებლად, არამედ ღაღად-ყო სიღრმისაგან გულისა: მიწყალე მე ღმერთო, დიდითა წყალობითა... ოდესაც შენ მიხვალ გზაზედ ფერხით, თუ წარეცი ქვასა და დაეცი მიწასა ზედა, მაშინვე ადგები და სცდილობ, რომ გამაგრდე ფეხებზედ... სწორედ ეგრედვე უნდა ჰყო სულითაცა შენითა: უკეთუ შეგემთხვია რაიმე ცოდვა, მაშინვე უნდა აღსდგე სულითა და განმტკიცდე გზასა ზედა სათნოებისასა... ამინ.

სიტყვა

პატიოსნებასა ზედა.

> იყავნ სიტყვა თქვენი: ჱე, ჱე, და არა, არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს (მათ. ე, ლზ).

რა მაღალსა და შეურყეველსა პატიოსნებასა მოითხოვს ჩვენგან, ძმანო ქრისტიანენო, უფალი იესო ქრისტე! იგი მოითხოვს ჩვენგან ისეთს პატიოსნებას, რომელ ყოველსა სიტყვასა ჩვენსა დავამტკიცებდეთ მხოლოდ ამით: **ჰო და არა: იყავნ სიტყვა თქვენი: ჰე, ჰე; და არა, არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისგან არს.** იმ გვარი რწმუნება და მინდობილება უნდა იყოს ქრისტიანეთა შორის, რომელ მათი ჰო და არა საჭიროდ აღარ ყოფდეს ფიცსა და მოწმების მოყვანასა. გარნა ამ გვარი რწმუნება შეიძლება ქონდეს მხოლოდ იმ კაცს, რომლისა პატიოსნება არის უეჭველი და კარგად ცნობილი ყოველთა მისთა მოყვასთაგან. ზოგიერთი კაცი თითქმის ყოველს თვისს თქმაზე ფიცს დაუმატებს და მოწამეს მოიყვანს, გარნა მისის მსმენელის გული არ დაიჯერებს მისსა სიტყვასა. რისგან არის ეს? მისგან, რომ მას აკლია პატიოსნება.

რა არის პატიოსნება? პატიოსნება ის არის, როდესაც კაცი ყოველთვის სიმართლით და გულწრფელად იტყვის, ყოველსა აღთქმას და პირობასა მიუცილებლად აღასრულებს, ეშინია და რცხვენია სიცრუის თქმა, მრუდედ და მზაკვრად მოქცევა; რაც არ იცის ბეჯითად, იმას არ დაგაჯერებს, რისაც აღსრულება არ შეუძლია, იმაზედ პირობას არ მოგცემს; მოკლედ, რომლის სიტყვა და საქმე ერთია. რა საფუძველი აქვს ესრედსა კაცის თვისებასა? რამ უნდა განაღვიძოს და დაიცვას კაცის გულში პატიოსნება? პატიოსნება კაცისა, პირველად, უნდა იყოს დამყარებული მას ზედა, რომელ ყოველ კაცს, დიდს და მცირეს, უნდა ახსოვდეს თავისი პატივი, თავის თავს პატივსცემდეს, ესე იგი, ერთ-ნაირი თავის მოყვარება უნდა ჰქონდეს. წმინდა ქრისტიანული თავის-მოყვარება, და თავის-მოწონება უნდა იყოს მის გულში. ეს შეიძლება მაშინ, როდისაც მას ახსოვს თვისი საკუთარი ღირსება, თვისის ბუნების სიმაღლე და დიდება. თუ გახსოვს შენ, ძმაო, რა ღირსება აქვს კაცის ბუნებასა, მაშინ შეგრცხვება ყოვლის სიცრუისა, მოტყუებისა და პირობის გატეხვისა. კაცის ბუნებას აქვს დაუფასებელი ღირსება! გასინჯე, რა ფასი აქვს კაცის ბუნებასა, თუ თვით ცისა და ქვეყნის შემოქმედმა ღმერთმა მხოლოდ-შობილი ძე თვისი არ დაზოგა ჩვენისა ცხოვრებისა და განათლებისათვის. აბა, როგორ არ ექმნება დიდი ღირსება კაცის ბუნებასა, თუ კი უფალმან ღმერთმან იგი შეაერთა ღვთაებრივსა ბუნებასა-თანა! გარნა, ვგონებ, ესრედსა სიმაღლესა ჩვენისა ბუნებისასა ისე არა რა დაამდაბლებს, როგორც სიმრუდე, სიცრუე და მზაკვარება. ესრედი შინაგანი გრძნობა ჩვენი არის საფუძველი და წყარო პატიოსნებისა! თუ კი თავი ჩემი მიმაჩნია კაცად და ადამიანად, ჩემს თავს ვერ შევარცხვენ სიცრუითა.

მეორედ, პატიოსნად ქცევასა, ყოველი აღთქმის და პირობის აღსრულებას ის ჰაზრი უნდა განაღვიძებდეს და იცავდეს ჩვენს გულში, რომელ თვინიერ პატიოსნებისა კაცი არ გამოვა არც კარგი ქრისტიანე და არც კარგი მოქალაქე ანუ საზოგადოების წევრი. ქრისტიანობა რა არის, რასა შინა მდგომარეობს? ქრისტიანობა არის აღსრულება იმ პირობისა, რომელიც გვაქვს ჩვენ დადებულ ღვთის წინაშე. ნათლის-ღებასა შინა თვითოეულმა ჩვენგანმა მაცხოვარსა მისცა ის სიტყვა და შეიკრა იმ პირობითა, რომ იგი იქმნება წმიდა, მართალი, მოყვარე ღვთისა და მოყვასისა. თუ კაცს არა აქვს გულში პატიოსნება, ის არ აღასრულებს ამ პირობას. მაშასადამე პატიოსნებასა და ქრისტიანობასა აქვს დიდი კავშირი! ცუდი და დაუდევნელი ქრისტიანე სწორედ ის არის, რომელსაც არ ახ-

სოვს პირობა და არ უყვარს პირობის აღსრულება.

ამ სოფლის ცხოვრება და მოქალაქობა რასა შინა მდგომარეობს? მრთელი ჩვენი ამ ქვეყნის ცხოვრება და ყოფა-ქცევა, ურთიერთ-შორის მისვლა-მოსვლა, წყობილება, ყოვლის საქმის გაკეთება სრულებით დამოკიდებული არის იმ თვისებაზე, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ, ესე იგი, პატიოსნებაზე. თვითოეული ჩვენგანი ყოველს დღეს და ყოველს წამს ანუ მისცემს ანუ გამოართმევს ვისმეს სიტყვასა და პირობასა. ვგონებ, ძმანო, რომ არავის არც კი ჰყავს ისრედი მოყვასი, ანუ ნაცნობი, რომელთანაც იგი არ იყოს შეკრული რომლითამე პირობითა. ყოველივე ჩვენი თანამდებობა და მოვალეობა სხვა არა რაი არს, მხოლოდ პირობა, აღთქმა ვისდამიმე მიცემული, – მამა-შვილობა, ძმობა, მოყვრობა, მეგობრობა, უფროს-უმცროსობა, მოძღვრობა, ვაჭრობა, – ეს ყოველისფერი დაფუძნებულია პირობის მიცემაზე და აღთქმის აღსრულებაზე; ჩვენ ყოველნი ურთიერთთან შეკრულნი ვართ რომლითამე პირობითა. მაშასადამე, კაცი პატიოსანი არის სასარგებლო და საასიამოვნო ქვეყნისთვის, ხოლო ვინც მოკლებულია პატიოსნებითა, იგი არს ჭირი და შემაწუხებელი მოყვასთა თვისთა. რომელს საზოგადოებაშიაც სუფევს პატიოსნება, იქ ყოველი საქმე არის წარმატებული; სადაც არ არის პატიოსნება, იქ კაცის ცხოვრება გატანჯულია.

პატიოსნება არის სამკაული სამღვდელო პირისა, მას ჩვეულებისა-მებრ უწოდებენ და მისწერენ: პატიოსანო მამაო! მისთვის, რომელ პირველ მისი თვისება უნდა იყოს პატიოსნება. გამოუთქმელი უბედურება იქმნება მისისა სამწყსოისათვის, უკეთუ იგი არის მოკლებული პატიოსნებითა; მისი ყოველი სიმრუდე და სიცრუვე მოქმედობს მის სამწყსოში, ვითარცა საწამლავი.

პატიოსნება არის უმთავრესად საჭირო თვისება ყოვლისა ხელმწიფის მსახურისა, ანუ ჩინოვნიკისა. იგი იმ პირობით არის მიღებული სამსახურში, რომ სიმართლით და პატიოსნად ემსახუროს ხელმწიფესა; ამაზე მან ფიცი მისცა ხელმწიფეს; თუ ამ პირობას დაარღვევს, იგი შეიქმნება მოღალატე ხელმწიფისა, და გამტეხელი ფიცისა.

შინაური მოსამსახურე, პატიოსნებით შემკული, არს დიდი ნუგეში თვისისა უფალისა; მოკლებული პატიოსნებითა არის მისი სასჯელი და უბედურება.

გარნა, ვგონებ, პატიოსნება ისე არსად არის საჭირო, როგორც აღებ-მიცემაში, ანუ ვაჭრობაში, მაშასადამე სხვა წოდების კაცთა ზედა მოვაჭრე უნდა უმეტესად ეცადოს და შეიძი-

ნოს პატიოსნება. გარნა სამწუხაროდ, მოვაჭრენი უმეტეს ნაწილად სრულიად არა ჰფიქრობენ ამაზე; წინააღმდეგ ამისა, უმრავლესნი მათგანი დარწმუნებულნი არიან, რომელ პატიოსნებით იგინი ვერა რას მოიგებენ და დაღარიბდებიან, და თუ არ დაღარიბდებიან, მალე მაინც არ გამდიდრდებიან. საუბედუროდ, ამისი მზგავსი ჰაზრი აქვსთ ყოველთა სხვა წოდების პირთაცა. მრავალნი კაცნი ესრედ ჰფიქრობენ, რომელ კაცი ქვეყანაზე პატიოსნებით ვერა რას მოიგებს, რომელ პატიოსნება მრავალთა ჭირთა და მწუხარებათა შინა შთააგდებს კაცსა. საშინელი არის, ძმანო, ესრეთი ჰაზრი! იგი ჰსუფევს მხოლოდ მუნ, სადაცა არის უმეცრება, ცუდი ზნეობა; მაგრამ თუ გინდ მართალი იყოს იგი, თუ გინდ პატიოსნების დავიწყებითა კაცი ბევრს მოიგებდეს და მალე გამდიდრდებოდეს, მაინც პატიოსნება არ უნდა დაჰკარგოს კაცმა. ნუ თუ მოგებისათვის შევარცხვინო თავი ჩემი, ნუ თუ ფულში გაჰვყიდო ჩემი ღირსება და პატივი? **რა სარგებელ-არს კაცისა, ვიტყვი სახარებისაგან, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი, და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა მიჰცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?** (მარ. ⅧⅠ, ლვ. ლზ). გარნა, არა, ძმანო ჩემნო! დიდი უბედურობა არის, ვინც ესრედ ჰფიქრობს, რომელ კაცი პატიოსნებით დაიჩაგრება ამ ქვეყანაზე. რათგან ვაჭრებზე მოხდა ეს ლაპარაკი, ერთს უბრალო მაგალითს მოგიყვან, რომლითაც დამტკიცდება, რომელ პატიოსნება აქაც უფრო სასარგებლო არის, ვიდრე სიცრუე. ყოველმა გამოცდილმა ვაჭარმა იცის, რომელ აღებ-მიცემითა გამდიდრდება უადრეს იგი, რომელიც ჰყიდის იეფად, რათგან იგი მრავალს საქონელს გაჰყიდის; ხოლო რომელიც ჰყიდის ძვირად და მოტყუებით, იგი ბევრს საქონელს ვერ გაჰყიდის და ბევრს ვერას მოიგებს, რათგანაც მას მუშტარი ბევრი არ ეყოლება.

ახალა გადავიდეთ კიდევ ერთს ჰაზრზე: როდესაც პატიოსნებაზედ ვიწყებთ ლაპარაკს, ერთი გარემოება გააკვირვებს და შეაწუხებს ყოველსა გონიერსა კაცსა. თავითგანვე ვსთქვით ჩვენ, რომ პატიოსნება უნდა იყოს დაფუძვნებული მას ზედა, რომელ კაცს თავის პატივი უნდა ახსოვდეს, თავის პატივისმცემელი უნდა იყოს. ჩვენ, ამ ქვეყანაში მცხოვრებნი, დიდნი თუ მცირენი, თითქოს, ერთობ პატივის-მოყვარენი ვართ, ესე იგი, ჩვენ გვახსოვს ჩვენი თავის პატივი, გარნა სამწუხაროდ ხშირად არ გვახსოვს, რითი უნდა დაიცვას კაცმა თავისი პატივი. მოგიყვან მაგალითს: მიაქციე ყურადღება ზოგიერთს აქაურს კეთილ-შობილს კაცზე, თავადი იყოს ანუ აზნაური, შეჰნიშნე, რა გულდიდია იგი თვისს კეთილ-შობილებაზე,

დღე და ღამ, მღვიძარეს და მძინარეს კი ახსოვს, რომ იგი
არის ძველის და პატიოსნის შთამომავლობისა.; ვსთქვათ ეს კი-
დევ და არ არის ურიგო; კაცს უნდა ახსოვდეს თვისი კეთილ-შო-
ბილური გვარი; მაგრამ რათგან მას ეს ყოველთვის ახსოვს,
სცდილობდეს იგი, გაამართლოს თვისი კეთილ-შობილება პა-
ტიოსნებითა? ახსოვსა მას, რომელ ყოველი სიცრუე, სიმრუ-
დე, მზაკვარი და დაბალი ქცევა შეარცხვენს მისსა ძველსა
გვაროვანებასა? სამწუხაროდ, ზოგჯერ ისრედსა მდაბალსა და
საუპატიოსა საქმესა იქმს იგი, რომელიც არა თუ მას, არა-
მედ უკანასკნელის წოდების კაცსაც არ ეკადრება. მრცხვენია
ამისი, გარნა მაინც არ უნდა დავმალო: ვინ არ იცის ეს სა-
ცოდავი ჩვენი თვისება, რომ სიტყვიერად ჩვენ ყოველისფერს
აღუთქვამთ კაცსა, ყოველში დავარწმუნებთ, მაგრამ საქმით
არასფერს არ შევასრულებთ? ვის არ უნახავს, ანუ არ გაუგო-
ნია, რომელ ზოგიერთნი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებნი, არა
თუ სიტყვიერს მრავალ-გზის მიცემულს პირობას დაარღვევენ,
არამედ თავის საკუთარითა ხელითა მოწერილს პირობაზე
უარს იტყვიან, – რა ვიცოდი, რაზე მოვაწერე ხელიო; სხვის
ხათრით მოვაწერეო; მე არ მინდოდა მოწერაო!

ძმაო, თუ შენი თავის პატივი გაქვს, თუ გსურს, რომ
სხვამაც პატივი გცენ, დაიმარხე და გაამტკიცე საკუთარი შე-
ნი პატიოსნება! უძვირფასესი ქონება კაცისა არის პატივი; სი-
კვდილი გირჩევნოდეს პატივის მოკლებასა; თუ ადამია-
ნობა გსურს, შენი პატივი დაიმარხე პატიოსნებითა შენი-
თა. – ამინ.

სიტყვა

ახალთა სასამართლოთა ზედა.

> რამეთუ რა იგი ფარულად იქმნების
> მათ მიერ, საძაგელ არს სიტყვადაცა. ხო-
> ლო ყოველივე მხილებული ნათლისაგან
> გამოსცხადდების; რამეთუ ყოველივე გან-
> ცხადებული ნათელ-არს (ეფეს. ე. იბ. იგ).

თუმცა საგანი იგი, რომელზედაც დღეს განვიზრახეთ უბ-
ნობა თქვენთანა პირდაპირ არ შეეხება ჩვენსა სულიერსა მსა-

ხურებასა, გარნა ჩვენ მაინც გარდავსწყვიტეთ ლაპარაკი მას ზედა, პირველად მისთვის, რომ ამ საგანზედ არი დამოკიდებული მშვიდობა, მყუდროება და ყოველი წარმატება ჩვენისა ამ სოფლად მოქალაქობისა: მაშასადამე მას აქვს დიდი კავშირი თვით ქრისტიანობას-თანა, ვინაითგან თვინიერ მშვიდობისა და მყუდროებისა ქრისტიანე ვერ აღასრულებს თვისსა სჯულსა; მეორედ, თუმცა ჩვენ ვართ თქვენნი მოძღვარნი და წინამძღომნი ზეციერისა მხოლოდ მიმართ სასუფეველისა, გარნა, ვითარცა მოძმეთა თქვენთა, არ შეგვიძლია არ მივიღოთ მონაწილეობა ხორციელსაცა შინა თქვენსა ცხოვრებასა; ყოველი თქვენი წარმატება და ბედნიერება ამ სოფელში გვახარებს ჩვენცა, გარნა ყოველი თქვენი მწუხარება და გაჭირვება ჩვენთვისცა არის სამწუხარო.

რომელი არის ეს საგანი? ახალი წყობილება და წესი მართლ-მსაჯულობისა, სიმართლისა და სასამართლოთა, რომელი თქვენ გამოგეცხადა მდგომარე კვირიაკეს, უმაღლესითა ხელმწიფის ბრძანებითა.

ეს ცვლილება არის ერთობ დიდი; იგი ყოველს კერძოდ შეგეხებათ თქვენ; მან უნდა გააუმჯობესოს ყოველი კერძონი თქვენისა ამ სოფლად მოქალაქობისა. მრავალნი ცვლილებანი მოახდინა აწინდელმან ხელმწიფემან გაუჯობესობისა და განათლებისათვის თვისთა ქვეშევრდომთა; გარნა თითქმის ყოველთა უდიდესი და უმეტესად სასარგებლო არის ეს ცვლილება, რომელზედაც აწ ჩვენ ვიტყვით. როგორადაც სიმართლე და მართლმსაჯულება არის უმაღლესი და უსაჭიროესი ყოველთა სხვა საზოგადოების მოთხოვნილებათა, მგზავსადვე გაუმჯობესობა და შემსუბუქება მართლმსაჯულების აღსრულებისა არის უდიდესი ყოველთა სხვათა განათლებულის მთავრობის ზრუნვათა და მოვალეობათა; და აჰა-ესერა კეთილმან და დიდსულოვანმან ხელმწიფემან ჩვენმან შეავსო ეს უმთავრესი თვისი ჩვენდამი მოვალეობა.

გარნა რასა შინა მდგომარეობს ეს ახალი წყობილება? რით განსხვავდება იგი უწინდელისაგან? მოკლე პასუხი ამისა იქმნება შემდგომი: ძველი სამართალი სრულდებოდა პირველად ფარულად ანუ საიდუმლოდ, ოთხს კედელშუა; მეორედ, წერილობითის სახითა, მესამედ გრძლად და გვიან, ახალი წესი, წინააღმდეგ ამისა პირველად უნდა აღსრულდეს განცხადებულად, ანუ სახალხოდ; მეორედ, უმეტესი ნაწილი ზეპირად, ესე იგი, ლაპარაკით და არა წერილობით; მესამედ, მსწრაფლად, ანუ ვითარცა თქმულ იყო ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესსა მანიფესტსა შინა, ამიერითგან სამართალი ყოველი

კაცისათვის უნდა იყოს განცხადებული, მსწრაფელი, სწორი და პირუთნეველი.

ამ მოკლე აღწერისაგან შენვე შეგიძლია, ძმაო, ასწონო, თუ რით აჯობებს ახალი სამართლის წესი ძველსა წესსა. აქ არის ადგილი განვიმეოროთ ჩვენ ის საღმრთო წერილის სიტ-ყვა, რომლითაც დავიწყეთ ეს უბნობა: **რომელი იგი ფარულად იქმნების მათ-მიერ, საძაგელ არს სიტყვადცა.** წმიდა მოციქულმა ეს სთქვა წარმართთა ზედა, რომელნი მრავალთა საძაგელთა საქმეთა იქმოდენ ფარულად. მართალია, ნამეტანი იქმნება ახლა ჩვენ რომ ვსთქვათ, რომელ ძველთა სასამართლოთა ში-ნა ყოველნი საქმენი წარმოებდენ უსამარლოდ; გარნა ის კი მართალია, რომელ მრავალნი საქმენი გარდაწყდებოდენ მათ შინა უსამართლოდ და საძაგლად. რისთვის? მისთვის, რომ ფა-რულად სწარმოებდა მათ შორის საქმე; არავინ იყო მხილებე-ლი და გამამტყუნებელი მათი; გარნა ახლა დაწყობილთა სა-სამართლოთა ზედა განვიმეოროთ კვალად თავიდგანვე მოყვა-ნილი სიტყვა: ხოლო ყოველივე მხილებული ნათლისაგან გამო-ცხადების; რამეთუ ყოველივე განცხადებული ნათელ არს. რათ-განაც ახალთა სასამართლოთა შინა სამართალი უნდა აღსრულ-დეს განცხადებულად, სახალხოდ, უთუოდ მათ შინა ყოველი საქმე გარდასწყდება სისწორით; მოსამართლემ თუ მრუდედ წაიყვანა საქმე, ათასი კაცი ეყოლება მას მხილებელი და გან-მამტყუნებელი.

ახლად დაწესებული სამართალი კიდევ მისთვის უნდა იყოს ჩვენ აქაურთა მცხოვრებთა-თვის საყვარელი, რომელ იგი, ერთი მხრით, დაემგზავსება ძველად მყოფს ჩვენში სამართალ-სა და ჩვეულებასა. ძველს დროებაში ჩვენში სამართალი, თუმ-ცა იყო სუსტი, ხშირად პირმოთნე და უმართლო, გარნა ერ-თი კარგი თვისება ქონდა მას, იგი მალე გათავდებოდა; წარ-მოებდა სახალხოდ, ხშირად ხეთა ქვეშე და ეზოებში.

გარნა ჩვენ, მოძღვართა თქვენთა, ახალი სამართლის წეს-დება გვახარებს მით უმეტესად, რომელ თუ, შეწევნით ღვთი-სათა ახალთა მოსამართლეთა კეთილ-გონიერად წაიყვანეს იგი, მას ექმნება კეთილი ზნეობითი მოქმედება აქაურთა მცხოვ-რებთა ზედა. ახალსა ამას სჯულსა სწორედ ის თვისება აქვს, რომელი იგი გასწავლის შენ, ძმაო, ყოვლისა ცუდისა სიტყვი-სა და საქმის მორიდებასა. – ამიერითგან შენ სწორედ იძულე-ბული იქმნები აღვირი უსხა შენსა ცუდსა ხასიათსა ღა ჩვეუ-ლებასა. აქამომდე შენ ერთობ ადვილად დაჩაგრავდი, ვისაც მოერეოდი. რისთვის? მისთვის, რომ დაჩაგრული კაცი მალე ვერ იპოვნიდა სამართალსა. სად იყო იმერეთში, ანუ სად არის

ახლაც ჯერედ სჯულის შიში, ცუდი საქმის მორიდება, ადამიანის პატივის ცემა? ჩვენში პატივისცემა აქვსს ტანისამოსს, სახელსა და სახესა, პატივისცემა აქვს სიმდიდრესა; ადამიანს კი პირადი პატივი არა აქვს. საწყალი და ღარიბი კაცი ხშირად იყო დათრგუნული და დასრესილი მდიდარისა და მძლავრისა კაცისაგან. გარნა ამიერითგან იქმნება, ღვთის მადლით, ახალმა სჯულმა ჩვენ გვასწავოს პატივის-ცემა კაცისა, ვითარცა კაცისა, ადამიანისა; აჰა, რა უნდა ახარებდეს ყოველს ქრისტეს მოყვარესა კაცსა; აჰა, რა გვაიმედებს მოძღვართა თქვენთა!

გარნა, ძმაო, თუ გსურს, ამ დიდს ცვლილებას მიეცეს წარმატება, თუ გსურს, რომ ახალმა წყობილებამ უმეტესი კეთილი გიყოს შენ და ყოველსა საზოგადოებასა, მიიღე გულითადი მონაწილეობა მას შინა; რა სახით? ამ სახით, რომ სადაც შეგეძლოს შეეწიე მსაჯულთა, რათა სიმართლე არ დაიმალოს. მოწამედ თუ იქმნები მოწოდებული, კეთილ-სინიდისიანად აღიარე ყოველივე, რაიცა იცი. აჰა ესერა, კარნი სასამართლოისანი გაღებულნი არიან. ხშირად შეხვიდოდე სასამართლოში და ყურს დაუგდებდე, როგორ სწარმოებს სამართალი. თუ შეიტყო, რომ მოსამართლე გონიერად მიუძღვის სამართალსა, აქე, დალოცე, წაახალისე; თუ სიმრუდე რაიმე შეატყო, თამამად გაამტყუნე; ბევრი იყვირე საზოგადოებაში. ესრედი ბეჯითი საზოგადოების ყურადღება მღვიძარედ და ფრთხილად დაიჭერს მოსამართლეთა, და აქითგან საზოგადოებას მიეცემა აღუწერელი ღა განუზომელი სიკეთე.

ღმერთი, ადღეგრძელე კეთილი და დიდ-სულოვანი ჩვენი ხელმწიფე! ღმერთო! მიეც ძალა ახალსა სჯულსა და მხნეობა მსაჯულთა. – ამინ.

სიტყვა

პირუტყვების შებრალებისათვის თქმული სობოროში.

> მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო (იგავი სოლ. იბ, ი).

სოლომონ ბრძენი, მეფე ურიათა, წიგნსა შინა თვისსა

იგავთასა, სხვათა მშვენიერთა დარიგებათა შორის, სწერს ამ
დარიგებასაც: მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართასა, ხო-
ლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო; ესე იგი, კაცი მართალი
და კეთილი სწყალობს ცხოვართა, ანუ საქონელსა: მას ებრა-
ლება იგინი; ხოლო კაცი უკეთური და ბოროტი არის უწყა-
ლო პირუტყვთან, ანუ შინაურს საქონელთან!

ძმანო ჩემნო ქრისტიანენო! დღეს მე მსურს მოგელაპარა-
კო ამ საგანზე; მსურს აღგიხსნა ის ზნეობის სწავლა, რომელ-
საც გვაძლევს ჩვენ სოლომონ ბრძენი ამ სიტყვებში, რომე-
ლიც ახლა მოვიყვანეთ; ესე იგი, როგორ უნდა იქცეოდეს
ადამიანი საქონელთან და როგორ უნდა უვლიდეს მას. თუ
ვინმე იფიქრა: ეს საგანი არის მცირე და არა შესაფერი ამ წმი-
და ადგილისა, მას მე ვუპასუხებ: თუ მცირე იყოს იგი და შეუ-
საბამო, დიდი ბრძენი და წარჩინებული მეფე სოლომონ არ
აჰხსენებდა მას წიგნსა შინა თვისსა. ვინც ჰფიქრობს, რომ ამ
საგანზე არა ღირს უბნობა ეკკლესიასა შინა, მას უთუოდ არ
უნახავს, რა უწყალოდ ეპყრობიან ჩვენში პირუტყვთა; მას არ
უფიქრია, რა დიდი ვნება გამოდის აქითგან და რა წინააღმდეგია
კეთილისა და ქრისტიანულისა ზნეობისა უწყალო მოქცევა სა-
ქონელთან.

მართლა, ჩვენს ქვეყანაში დაბალი ხალხი ერთობ უწყა-
ლოდ და უგვანოდ ეპყრობა საქონელსა. ვისაც ყურადღება
მიუქცევია ამ საგანზედ, იცის, რა გამხდარი, უღონო, გაფუ-
ჭებული, დაცემული არის ჩვენს ქვეყანაში შინაური პირუ-
ტყვი; ეს მისთვის, რომელ ჩვენს ქვეყანაში ყოველგან საქო-
ნელს ინახავენ ცუდად, საჭმელს არ აძლევენ საკმაოდ, ეპყრო-
ბიან უწყალოდ და სასჯელსა და შრომასა უზომოდ მიაყენე-
ბენ. ზამთარში დამშეული და გამხდარი პირუტყვი გაზაფხულ-
ზე ისრედ არის შეწუხებული, რომ ძლივს დადის; გარნა მა-
შინვე შეაბმენ უღელში და, თუ კარგად არ იმუშავა, უწყა-
ლოდ სცემენ. ხშირად ნახავ ქალაქში და სოფელში, როდე-
საც უღონო და უჭმელი ხარი ვერ ზიდავს ურემსა, მაშინ მი-
სი პატრონი, თითქოს გაცოფებული, უწყალოდ სცემს და
კლავს მას. მერმე დაუკვირდი და შეჰხედე მის უგუნურებას!
იგი უბედურს პირუტყვს სცემს თავში და თვალებში და ხში-
რად თვალებს და სხვა ასოებს უხდენს. და როგორ ეპყრობიან
აქაურნი მხედარნი თვისთა ცხენთა, ამას კაცის ენა ვერ გამო-
სთქვამს! ზოგიერთი უგუნური აქაური მხედარი ერთს შეჯდო-
მაზე ისე გააფუჭებს კარგს ცხენს, რომ ერთს წელიწადს აღარ
გამოადგება, თუ სრულიად არ მოკვდა. რომელსაც გონიერი
და ჭკვიანი კაცი ათსა და ოცს წელიწადს კარგად იხმარს და

ისარგებლებს, იმას ჩვენებური კაცი ერთს წელიწადს გაათა-
ვებს. ერთხელ ერთმა აქაურმა გადარეულმა აზნაურ-შვილმა,
როდესაც მისმა უჭმელმა და გატანჯულმა ცხენმა ვეღარ შეი-
ძლო კარგად გაჭენება აღმართზე, ჩამოხტა, სატევარი ჰკრა
მას მუცელში და მოჰკლა. აჰა, რა გონიერი ჩვეულება გვაქვს
ჩვენ! ახლაც იტყვი, რომ საჭირო არ იყოს ამა საგანზედ მო-
ძღვარმან მოგცეს დარიგება?

**მართალნი სწყალობენ ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი
არა წმიდათა უწყალო.** ამ სიტყვათაგან ისწავლე, ძმაო ჩემო,
რომ უწყალოდ მოქცევა პირუტყვთან არის ცოდვა. შენ
იქმნება გაგაკვირვოს ამ სიტყვამ; შენ უთუოდ ისე იფიქრებ-
დი, რომ როგორც გინდა მოიქცე პირუტყვთან, ცოდვა არ
არის: გარნა დაგაჯეროს სიტყვამან სოლომონისმან, რომელ
უწყალოდ მოქცევა პირუტყვთან ბოროტი კაცის თვისება და
საქმე არის. მართლა, როდესაც შენ სცემ, აწვალებ, სტანჯავ
პირუტყვსა, ამით ცხადად გამოაჩენ, რომ შენ გაქვს ცუდი ხა-
სიათი, ბოროტი, ფიცხელი და უწყალო გული; თუ ბოროტი
კაცი არ იყო, პირუტყვიც შეგეცოდებოდა; იფიქრებდი, რომ
ცემა, უჭმელობა, ცუდად მოვლა საქონელსაც ისე სტანჯავს,
როგორც კაცსა. თუ გინდა, რომ პირუტყვმა კარგად იმუშა-
ოს და ცემა აღარ დასჭირდეს, კარგად შეინახე და მოუარე.

**მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართა მათთასა, ხოლო ნა-
წლევი არა წმიდათა უწყალო.** კეთილი და მოწყალე ადამიანი
არა თუ მხოლოდ კაცს უნდა სწყალობდეს, არამედ პირუტყვ-
საც; საქონელი და პირუტყვი არის გატანჯული და წამხდარი
მხოლოდ იმ ქვეყნებში და იმ ხალხში, სადაც არ არის კეთი-
ლი ზნეობა, სწავლა. გაგვიგონია მოგზაურთან, რომელთა უნა-
ხავთ განათლებული ევროპის ქვეყნები, რომელ მუნ მარტო
შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილ-ზნეობასა და
განათლებასა ადგილის მცხოვრებთა, ვინაითგან მუნ ყოველი
საქონელი არის საკვირველად მოშენებული და გაკეთებული.

მაშასადამე, რა ნაირად უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ პირუტყვ-
თა? ისე, როგორც გვასწავლის ჩვენ სოლომონ ბრძენი. იგინი
უნდა გვებრალებოდეს ჩვენ, კარგად უნდა უვლიდეთ და კარ-
გად ვინახავდეთ. ღმერთმან პირუტყვნი დაგვიმორჩილნა ჩვენ
და მოგვცა ჩვენ მოსამსახურედ, ვითარცა იტყვის საღმრთო
წერილი: **მთავრობდეთ თევზთა ზღვათასა და ფრინველთა ცისათა
და ყოველთა პირუტყვთა.** გარნა ღმერთს ნება არ მიუცია ჩვენ-
თვის, რომ ვტანჯოთ პირუტყვი. შენდა შეგიძლია მოიხმარო
პირუტყვი სასარგებლოდ, გარნა, როდესაც სტანჯავ, ამით
სცოდავ ღვთის წინაშე. შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ

ღმერთს მხოლოდ კაცი უყვარს და სხვათა ქმნილებათა თვისთა კი არ მიხედავს. ღმერთი არის მამა საზოგადოდ ყოველთა თვისთა ქმნილებათა. მართალია, კაცი არის გვირგვინი ყოველთა ხილულთა მისთა ქმნილებათა; კაცი ღმერთს უყვარს უმეტესად ყოველთა; კაცის ნათესავის გამოხსნისათვის და განათლებისათვის ღმერთმან მხოლოდ-შობილი თვისი ძე მოავლინა ქვეყნად; გარნა ღმერთს მაინც არ იამება, რომ უფროსმან და უმჯობესმან მისმან ქმნილებამან, ესე იგი, კაცმან, სტანჯოს და აწვალოს უმცროსნი მისნი ქმნილებანი – პირუტყვნი. შენ სახლში და ოჯახში უფროსმან შენმან შვილმან რომ სტანჯოს და აწვალოს უმცროსი შენი შვილი, უთუოდ გეწყინება და დაუშლი: მზგავსად ამისა ღმერთსაც ეწყინება და გიშლის ტანჯვას უმცროსთა თვისთა ქმნილებათა.

ბოლოს, თუ სხვა მიზეზი არ შეგაგონებს და არ გასწავლის პირუტყვთა მოწყალებასა, შენმა საკუთარმა სარგებლობამ უნდა გასწავლოს მათი შებრალება. რა სახით? მით რომელ, თუ საქონელს ყოველთვის უჯავრდები, სცემ, სტანჯავ, ამით ბოლოს თვით შენ გაგიფუჭდება ხასიათი და ზნე, მიეჩვევი ცოტ-ცოტად გულ-ფიცხლობას, მოუთმენელობას, უსამართლოებას, ასე, რომ ბოლოს პირუტყვისაგან ადამიანზედ გადიტან შენს გულ-ფიცხელობას და გახდები ერთი ცუდი, გაუტანელი კაცი. ეს აზრი ჩვენგნით არ არის მოგონებული. ამას ამტკიცებს გამოცდილება. მრავალ-გზის მომხდარა ისეთი მაგალითი, რომ კაცმა სიყმაწვილითგან გაიფუჭა და წაიხდინა ზნე – მით, რომელ უყვარდა ტანჯვა პირველად მფრინველების ბარტყებისა, მერმე წვრილის შინაურის პირუტყვებისა და ბოლოს იწყო ტანჯვა და გვემა კაცებისა, შთავარდა კაცის მკვლელობასა და დიდსა სასჯელსა შინა. მეორედ, როდესაც შენ საქონელი გებრალება და კარგად უვლი მას, მაშინ იგი დიდს ხანს გასძლებს, კარგად მუშაობს; მაშასადამე, მომატებულს სარგებლობას გაძლევს, და თუ კი ცუდად უვლი და სტანჯავ, ვერც დიდს ხანს სძლებს, ვერც კარგა მუშაობს, მაშასადამე, თვით შენ სარგებლობა გაკლდება; შენ თვითონვე სჯი შენს თავსა. – ამინ.

მოკლე მოძღვრება

თქმული ჩყდზ-სა ბედნიერებასა ზედა.

მოგილოცავ, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ახალსა ამას წელსა და ვთხოვ ღმერთსა, რომ თქვენ ყოველთა ბედნიერად და მშვიდობით გაატაროთ იგი.

გარნა რა არის ბედნიერება? სითგან მოუვა კაცსა და სითგან მიეცემა კაცს იგი? ღირს, რომ ამაზედ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა, მეტადრე დღეს, როდესაც ყოველი კაცი ბედნიერებას მოულოცავს მოყვასსა თვისსა და ბედნიერებაზედ ფიქრობს.

ჩვენ, ძმანო ჩემნო, თითქმის ერთობ ყოველთა, შეცდომილი აზრი გვაქვს ამ საგანზედ. თუ ვინმე კარგად სცხოვრებს ამ ქვეყანაზე, წარმატებაში არის და კეთილ-დღეობაში, ვიტყვით, მას ბედი აქვსო, ის ბედნიერი არისო; და თუ ვინმემ ცუდად წაიყვანა თვისი საქმე და მოაკლდა მას კეთილ-დღეობა, მასზე ვიტყვით: რაღაცა ბედი არა აქვსო, უბედური კაცი არისო. აქითგან ნათლად სჩანს, რომ ვინც ესრედ იტყვის, იმას გონია, ვითომც ბედი და უბედურება დადის ქვეყანაზე თვალ-ახვეული და ვისაც უეცარი პირველი შეხვდება, იგი გაკეთდება, და თუ მეორე შეხვდება, წახდება. არა, ძმაო ჩემო! თუ კარგად დაუკვირდები ქვეყნის ცხოვრებასა, შეიტყობ, რომ ბედნიერება და უბედურება დამოკიდებულია თვით კაცზედ და მის ყოფა-ქცევაზე. ვინც ამ ქვეყანაზე არის მხნე, მეცადინე, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ის, უმეტეს ნაწილად, არის გაკეთებული და ბედნიერი; წინააღმდეგ ამისა, კაცი მცონარე, უგუნური, უზრუნველი, თავის ქონების დაუზოგველად დამფანტველი, თუ გინდ დიდ ბედნიერებასა შინა იყოს შობილი, ბოლოს უთუოდ წახდება და გაუბედურება. როგორადაც კერძო პირის, ეგრედვე მთელის ქვეყნის ანუ მთელის საზოგადოების ბედნიერება სწორედ, ნამდვილად და უეჭველად არის დაფუძნებული დაუცხრომელსა სწავლასა და დაუცხრომელსა მუშაობასა ზედა. ამას დაგვიმტკიცებს ჩვენ გამოცდილება; ამას დაგვიმტკიცებს ჩვენ მაგალითი იმა ქვეყანათა, რომელნიც ჩვენზედ არიან დაწინავებულნი განათლებასა და კეთილ-დღეობასა შინა. აბა კითხე იმ კაცს, რომელიც ყოფილა იმ განათლებულს ქვეყანაში, ანუ წიგნებითგან ამოუკითხავს მათი ცხოვრება და მდგომარეობა, ისინი დაგარწმუნებენ შენ, რომ ყოველი მათი წარმატება და ბედნიერება წარმომდინარეობს მათისა გასაოცრისა მხნეობისა და დაუძინებელის შრომისაგან. იმ განათლებულს ქვეყანაში ანდაზად აქვსთ თქმული: დროება არის სიმდიდრე, და ვინც დროებას მცონარეობით ატარებს, იგი კარგავს ბედსა და სიმდიდრესაო. მართალია, არა ერთ-გზის მომხდარა, რომ ზოგიერთი კერძო

პირი გაკეთებულა და გამდიდრებულა არა თვისითა მეცადინეობითა, არამედ ერთითა უბრალო შემთხვევითა; გარნა მთელი ხალხი და ქვეყანა რომ განათლდეს და გაბედნიერდეს თვინიერ შრომისა, მხნეობისა და მოთმინებისა, ეს არ მომხდარა.

გარნა ჩვენ, ძმანო, ახლა საყდარში ვდგევართ, წირვის მომსმენელნი და ღვთის მლოცველნი; აქ თითქმის უადგილო იყო უბნობა სოფლის ბედნიერებასა ზედა, მაგრამ წარგვიტაცა სოფლის ჩვეულებამ. ჩვენ აქ უნდა ვუბნობდეთ სულიერსა წარმატებასა და ბედნიერებასა ზედა, გარნა საკვირველი ის არის, რომ ესეც თითქმის იმაზედვე არის დამოკიდებული, რაზედაც ხორციელი ბედნიერება. რაი არის სულიერი წარმატება და ბედნიერება? ის, როდესაც კაცი სულითა თვისითა გამართლდება ღვთის წინაშე და ეღირსება უხრწნელსა გვირგვინსა საუკუნოისა ცხოვრებისასა. გარნა ვინ გამართლდება ღვთის წინაშე? ის, ვინც არის მხნე, ბეჯითი, შრომის მოყვარე, მომთმენელი სულიერთა მოღვაწებათა შინა. სულიერი წარმატება და ბედნიერება სწორედ იმ კაცს უნდა მივაწეროთ, რომელმან თვისი ხასიათი გაისწორა, გაიკეთა, დაიმუშავა, როგორადაც ბეჯითი მიწის-მუშაკი გასწმენდს და გააკეთებს თვისსა ყანასა. წინააღმდეგ ამისა, რომელიც კაცი ესოდენ არის დაუდევნელი და მცონარე, რომ არ გამოიცვალა ცუდი თვისი ხასიათი, არამედ თავი თვისი დაანება და მიანდო იმ უგუნურთა და მხეცურთა მიდრეკილებათა, რომელნიც ბუნებითგან აქვსთ ზოგიერთთა პირთა, იგი სულიერადაც არის უბედური და წამხდარი.

ახლა, შეხედე, ძმაო, და იხილე: ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი - შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება.

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, განამტკიცე ჩვენს გულში ეს მხნეობა, განაღვიძე ჩვენს შორის შრომისმოყვარება, გვყავ სულიერადაც და ხორციელადაც წარმატებულნი და გაბედნიერებულნი. – ამინ.

სიტყვა

თქმული ქუთაისის სობოროში.

> რომელი არა არს ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს (ლ. ია, კგ).

სახარება, ძმანო მართლ-მადიდებელნო, მრავალ-გზის მოიყვანს ისრედთა სიტყვათა ქრისტესთა, რომელნი არიან ერთობ მოკლენი, გარნა ძლიერნი, აღვსებულნი უღრმესითა აზრითა და უვრცელესითა სწავლითა. ერთი ესრედთა სიტყვათაგანი არის ეს მოკლე სიტყვა: **რომელი არა არს ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს: და რომელი არა შეკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს.** ვგონებ, რომ განმარტება იმ აზრისა, რომელსა იპყრობს ეს მოკლე თქმა, დარჩება სასარგებლოდ ჩვენთვის. მაშასადამე, შევიტყოთ, რას გვასწავლის ჩვენ მაცხოვარი ამ სიტყვითა და მით შევავსოთ დღევანდელი ჩვენი ღვთის მსახურება.

პირ-და-პირი, ანუ ასო-ასო ჰაზრი მოყვანილისა სიტყვებისა არის შემდგომი: მაცხოვარი ეტყვის თვისთა მსმენელთა: ვინც არ მიიღებს ჩემსა სწავლასა და სჯულსა, ვინც არ არის მოზიარე და თანახმა ჩემის ჰაზრისა, იგი არის ჩემი მტერი: ეგრედვე, რომელიც მიიღებს ჩემსა სწავლასა და არ აღასრულებს მას, რომელიც არ სცდილობს, რომ შეიძინოს და დაამდიდროს თავი თვისი სათნოებითა, რომელთა მე ვასწავლი, იგი წახდება სულიერად, დაღარიბდება: **რომელი არა შეჰკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს.** აჰა, პირ-და-პირი, ანუ ასო-ასო აზრი მოყვანილისა სიტყვისა. ახლა ის გამოვიკვლიოთ, რისთვის სთქვა მაცხოვარმან ესრედი ძნელი და ფიცხელი სიტყვა? განა არ შეიძლება, ვინმემ სწავლა ქრისტესი არ მიიღოს, მაგრამ მაინც არ იყოს მისი მტერი? განა კიდევ არ შეიძლება, რომ კაცი, არ შედგომილი მისთა მცნებათა და სწავლათა, სხვა რომელიმე საშუალებით გამდიდრდეს სულიერად, ანუ კარგი, კეთილი კაცი შეიქმნეს?

ფიცხელი და მძიმე არის ეს თქმა, ძმანო ქრისტიანენო, მაგრამ იგი არის მართალი და ჭეშმარიტი. პირველად, სწავლა მაცხოვრისა არის ჭეშმარიტი, ღვთისაგან მოვლინებული; მაშასადამე, ვინც უარ-ყოფს ამ სწავლასა, იგი უარ-ყოფს ჭეშმარიტებასა, იგი უარ-ყოფს თვით ღმერთსა, მისთვის, რომ ღმერთი არის ჭეშმარიტება; მაშასადამე, იმ კაცს ჭეშმარიტება სძულს და უყვარს სიცრუე. საშუალო გზა არ არის კაცისათვის: იგი ან უნდა იყოს ჭეშმარიტების მორჩილი, ან მტერი; ვინც მიიღებს და დაემორჩილება ჭეშმარიტებას, იგი არის ქრი-

სტესთან, ვინც არა, იგი არის მისი მტერი.

მეორედ, მაცხოვარმან გვასწავლა ჩვენ ისრედნი მცნებანი, რომელნი არიან უმაღლესნი და უწმიდესნი. კაცის ბუნების განათლება და აღდგენა და განწმენდა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცი ასრულებს მცნებათა ქრისტესთა. მაშასადამე, ვინც არის ჭეშმარიტი აღმსრულებელი ქრისტეს მცნებათა, იგი გამდიდრდება სულიერად; ვისაც არ ახსოვს ქრისტეს მცნება, ვინც სცხოვრობს თავის ცოდვილს ნებაზე, იგი განაბნევს სულიერსა ღირსებასა: **რომელი არ არის ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეკრბეს ჩემთანა, იგი განაბნევს.**

კაცის ბუნებასა, ძმანო ქრისტიანენო, ორი უმთავრესი ნიჭი, ანუ თვისება აქვს: აზრი და საქმე, ფიქრობა და მოქმედება. აჰა, ორნი კერძონი კაცის ბუნებასა! აზრითა, ანუ ფიქრითა შენითა, შენ უნდა იყო მონაწილე და თანახმა იესო ქრისტეს აზრისა და სწავლისა; მოქმედებითა ანუ ნებითა შენითა უნდა იყო თანამშრომელი და თანა-შემწე მისი. მაშასადამე, იცი, ძმაო, რას გიბრძანებს შენ მაცხოვარი ამა სიტყვებითა: **რომელი არა არს ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს.** გიბრძანებს, პირველად, სწავლასა, განათლებასა ჭკუისასა ანუ აზრისასა და მერმე გიბრძანებს შრომასა, მუშაობასა.

რა სახით იქმნება იესო ქრისტე აზრისა თანახმა და მოზიარე, თუ პირველად არ შეიტყვე, რას ასწავლიდა იგი, თუ არ გაანათლე გონება შენი ყოვლითა მისითა სწავლითა, თუ არ შეგიძლია გაარჩიო ჭეშმარიტი აზრი ცრუ აზრისაგან, თუ არ შეგიძლია დააფასო ქრისტეს სწავლა, ასწონო იგი და იგრძნო, რა დიდი საუნჯე არის სახარება და ვითარ უმჯობეს არს იგი ყოველთა კაცობრივსა სწავლათა; მაშასადამე, მაცხოვარი მოითხოვს შენგან სწავლასა, ჭკუის განათლებასა. კიდევ გაგიმეორებ, თუ ჭკუა არ გაანათლე, ვერ დააფასებ მაცხოვრის სწავლასა და ვერ შეიტყობ მას გულითა. მასასადამე ეცადე, ძმაო, რაც შეგიძლია, გაანათლო სული შენი სწავლითა. პირველი და საღმრთო მოვალეობა კაცისა ის არის, რომ ჭკუა და გონება განათლებული ჰქონდეს სწავლითა. უსაშინელესი მტერი კაცისა, მისი დამღუპველი და წამხდენი არის უმეცრება და უსწავლელობა. ეს ჩვენი ქვეყანა, იმერეთი, იღუპება უმეცრებითა და უსწავლელობითა. ნახევარი, ნახევარზე მეტიც, რაც მოხდება ამ ქვეყანაში ბოროტი საქმე, ჩხუბი, კაცის კვლა, ქურდობა, სიცრუე, ფიცის-გატეხა წარმომდინარეობს უსწავლელობისაგან. უმეცარსა და უჭკუოსა კაცსა არაოდეს არ შეუ-

ძლია ქრისტეს-თანა ყოფნა; მაშასადამე, თუ გსურს ქრისტეს-თანა ყოფნა, შეუდეგი სწავლასა და ჭკუის განათლებასა. არ დავმალავ, რათგანაც, მართალია, რომ ზოგიერთი სწავლული კაციც უარყოფს ქრისტეს სჯულსა, არის ურწმუნო და წინააღ-მდეგი სახარებისა; გარნა ესრედი სწავლა არის ცრუ და არა ჭეშმარიტი; ამასთანავე უმეცრება და უსწავლელობა მაინც უმეტესად უშლის კაცს მიეახლოს ქრისტესა, მისთვის, რომ უმე-ცარი ვერ შეიგნებს, რაი არს სწავლა სახარებისა, ხოლო განა-თლებულს შეუძლია დააფასოს იგი და ოდესმე მიიღოს მისი სწავლა; უმეცარს კაცს, ნაცვლად ჭეშმარიტისა ქრისტეს ჰაზრი-სა, გული აქვს ავსებული მარტო ცრუ აზრითა და წარმოდგე-ნითა და ფიქრითა.

რომელი არა შეკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს. ცხადია, რომ ამ სიტყვებით მაცხოვარი შენ გასწავლის შრომას, მუშაობას. კაცი უქმი, მცონარე, რომელსა არ უყვარს გარჯილობა, ვერ გამდიდრდება სულიერადაც. სათნოების და წმიდა ზნეობის შეძენას დიდი შრომა და მოღვაწება უნდა. წმიდათა მამათა, უდაბნოსა შინა მცხოვრებთა, რასაკვირველია, ჩვენზე უკეთ ესმოდათ, რა სახით უნდა სცხოვნდეს კაცი, და რას გვასწავ-ლიდენ, როგორ ცხოვრობდენ იგინი? როგორც რომ გამო-ვიდოდენ წირვითგან, ან ცისკრითგან, მაშინვე დაიწყებდენ მუ-შაობასა. ერთს წამს უქმად არ გაატარებდენ. თავის თავს თა-ვის ხელის ნაშრომით არჩენდნენ. ახლაც ისე იქცევიან მთა-წმიდას მრავალნი მამანი. ლოცვას რომ გაათავებენ, მუშაობას დაიწყებენ; მუშაობას რომ გაათავებენ, ლოცვას შეუდგებიან. ერთი სიტყვით, ვისაც კი ესმის, რა სახით გვასწავლიდა ჩვენ მაცხოვარი, იმან იცის, რა დიდი მადლი აქვს შრომას და მუ-შაობას. ვინც უქმად ატარებს თავის დროებას, იგი ქრისტია-ნი არ არის. ვინც თავის შრომით არ არჩენს თავის თავს, ვინც სცხოვრობს და რჩება სხვისი ნამუშევრით და შრომით, იგი ამაოდ ამძიმებს დედა-მიწასა. ამინ.

სიტყვა

განზრდისათვის შვილებთა.

მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენ-თა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა

თვით ამ სიტყვებითგან ჰსჩანს, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, რა საგანზედ განვიზრახეთ ჩვენ დღეს უბნობა თქვენთანა. აწინდელი სიტყვა ჩვენი თქვენთანა იქმნება მას ზედა, თუ ვითარ უნდა ზრდიდენ მშობელნი ქრისტიანენი მცირე წლოვანთა შვილთა თვისთა. ვგონებ, რომ თქვენც გრძნობთ, რა დიდი საგანი არის ეს და რა სახით არის საჭირო, რომ ქრისტიანე ხშირად ჰფიქრობდეს მას ზედა. პირველთა ცნობათა და ჩვეულებათა, რომელთა მიიღებს მცირეწლოვანი ყრმა სახლსა შინა მამისა თვისისა, პირველთა მაგალითთა, რომელთა იგი ჰხედავს გარემოს თვისსა, აქვსთ უდიდესი მნიშვნელობა მრთელსა მისსა სიცოცხლესა შინა. ყოველი მომავალი ცხოვრება მცირე წლოვანისა ყრმისა, მისი ყოფა-ქცევა, მისი ხასიათი და, ერთის მხრით, თითქმის, სულის ცხონებაც დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რა სახით გაიზარდა იგი, რა შეაგონეს და რა ასწავლეს მას და რას მიაჩვიეს იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე.

ამ ჭეშმარიტებას თითქმის კარგად ჰგრძნობენ ყოველნი, ჩვენს ქვეყანასა, იმერეთსა, შინა მცხოვრებნი. ვინც კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის ჩვეულებას, მან ისიც კარგად იცის, რომ თითქმის ყოველთა მცხოვრებთა და მეტადრე კეთილ-შობილთა კარგად ესმისთ, რა დიდი საქმე არის შვილების გაზრდა. ზრდილობა დიდი სიტყვა არის ჩვენს ქვეყანაშიო;კარგს გაზრდილს კაცს ყოველთგან ჩვენში დიდი ქება აქვს; ამისთვის მშობელნი ძლიერ ჰფიქრობენ და ადრითგანვე შეუდგებიან შვილების აღზრდასა. გარნა რა სახით ზრდიან ჩვენში მშობელნი შვილთა? როგორ ესმისთ მათ ეს საქმე? რას უფრო ასწავლიან და მიაჩვევენ თვისთა შვილთა? ამაზედ საჭირო წინაპირველად ვსთქვათ ორიოდე სიტყვა.

ჩვენს ქვეყანაში ამ საგანზე დამყარებული არის ძველთაგანვე ერთი ჩვეულება. აქ ყოველთა მცხოვრებთა, და მეტადრე კეთილ-შობილთა, შვილების გაზრდაში ბეჯითი ყურადღება მიქცეული აქვსთ მხოლოდ ერთს კერძოზე. იგინი ყოველთვის ამ საქმეში მხოლოდ ამას სცდილობენ, რომ თვისთა შვილთა ასწავლონ მოსაწონი მიხვრა-მოხვრა, კარგი სიტყვა-პასუხის მიცემა, თავაზიანად ლაპარაკი და მოქცევა. ჩვენში კარგად გაზრდილი ყრმა ის არის, რომელმან ისწავლა კარგად თავის დაკვრა, კარგად შესვლა და გამოსვლა, სტუმრებთან დგომა და ჯდომა, შესაფერი ზრდილობიანი ლაპარაკი და პასუხის-გება, ერთი სიტყვით, რომელიც არის კარგი დარბაისელი, ამას

ეძახიან ჩვენში გაზრდას! და მართლა ამ კერძოით დიდი წარ-
მატება აქვს ჩვენს ქვეყანაში შვილების გაზრდას. აქ უკანას-
კნელი გლეხი კაცის შვილიც კი გაგაკვირვებს თვისი თავაზია-
ნობით და ზრდილობით, ხოლო კეთილ-შობილნი რა საკვირ-
ველია, უმეტესად.

გარნა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, თვით თქვენ არა გრძნო-
ბთაა, რომ ეს არის მხოლოდ ერთი და თვით უმცირესი კერ-
ძო შვილის გამოზრდისა? ესრედი გარეგანი ზრდილობა და
დარბაისლობა მხოლოდ მაშინ არის მოსაწონი და საქები, რო-
დესაც იგი შეერთდება სულიერსა, შინაგანსა ზრდილობასა-თა-
ნა, ესე იგი, გულისა და სულის სიკეთესთანა. უმთავრესი სა-
ქმე შვილის გამოზრდაში ის არის, ძმაო, რომ შენს ბავშვს
გული გაუკეთო, ხასიათი გაუსწოროსო. თუ კეთილი, შინაგანი
ხასიათი გაუჩნდა შენს შვილს, მაშინ გარეგანი ზრდილობა
თავის თავათ მოუვა, როდესაც წმიდა მოციქული პავლე შე-
აგონებს მამათა: **განზარდეთ შვილნი თქვენნი სწავლითა და მო-
ძღვრებითა უფლისათა.** ამით იმას კი არ გეტყვის იგი, რომ
შენს შვილს მხოლოდ დარბაისლობა და თავაზიანობა ასწავლო,
არამედ გასწავლის, რათა მის გულში დანერგო ქრისტიანული
შინაგანი სახიერება. იგივე წმიდა მოციქული პავლე მისწერს
ტიმოთეს: **ხორციელი წვრთნილება წუთ-ერთ-ჟამს სარგებელ არს;
ხოლო ღვთის-მსახურება ყოვლითავე სარგებელ არს, რამეთუ აღ-
თქმა აქვს ცხოვრებისა აწინდელისა და მერმისა** (ტიმოთ. დ, ᲛᲔ);
ესე იგი, გარეგანი ზრდილობა მხოლოდ ამ ქვეყნისათვის არის
სასარგებლო, ხოლო ღვთის-მსახურება, რომელიც დამოკიდე-
ბული არის შინაგანსა კეთილსა ხასიათსა ზედა, ამ ქვეყანაშიც
სასარგებლო არის და მერმისა საუკუნოისა ცხოვრებისათვისცა.

მაშასადამე, რა სახით უნდა გამოზრდიდენ შვილთა მშო-
ბელნი მათნი და რა უნდა ასწავლონ მათ? თუ გსურთ, ძმაო,
რომ შენი შვილი გამოვიდეს კეთილი და ბედნიერი კაცი,
ორი საქმე ასწავლე მას, ორი თვისება დანერგე მის გულში.
პირველად ეცადე, რაც შეგიძლია, რომ შენს შვილს შეაყვარო
სიმართლე, მიაჩვიო გულ-წრფელობას. პირველი და უწინა-
რესი ყოველთა ცოდვა, რომელიც გაჩნდება მცირე წლოვანის
გულში, არის სიცრუე, მოტყუება, მზაკვარება. თუ არ ეცადე
და არ აღმოფხვერი მისი გულისაგან ეს ცოდვა, იგი გარდა-
იქცევა მას ჩვეულებად და შეიქმნება წყაროდ ყოველთა მის-
თა მომავალთა ცოდვათა.

მეორედ, ეცადე და ყოველი ღონის-ძიება იხმარე, რომ
შენი შვილი მიეჩვიოს ყოველს საქმეში ბეჯითობასა, ესე იგი,
ყოველი თვისი საქმე აღასრულოს ხალისით და კეთილ-სინი-

დისით ბოლომდის მიიყვანოს. ამისი სწავლა ერთობ საჭირო არის, ძმაო ჩემო! ჩვენ ყოველთა, ამ ქვეყანაში მცხოვრებთა, ერთი დიდი ნაკლულევანება გვაქვს, ესე იგი, დაუდევნელობა. დაუდევნელობა ის არის, როდესაც კაცი თვისს საქმეს, თვისს მოვალეობას არ ასრულებს ბეჯითად და კეთილ-სინიდისითა. დიდი ცოდვა არის, ძმანო, დაუდევნელობა! თუ კი კაცს რომლისამე საქმის კარგად გაკეთება შეუძლია და არ მოინდომებს, და ცუდად აკეთებს, იგი არის კაცი საწყალი და საცოდავი. ჩვენ, ამ ქვეყანასა შინა მცხოვრებთა, ღმერთმან არ მოგვაკლო არცა ნიჭი, არცა ღონე; თითქმის ყოველისა საქმისა შეგვიძლია სწავლა და გაკეთება; გარნა ვართ დაუდევნელნი, გვაკლია ბეჯითობა, ხშირად ვართ აღტაცებულნი და წარმტაცებულნი სოფლის ამაოებითა; თითქმის ყოველს საქმეს დავიწყებთ მხურვალედ და ბეჯითად, გარნა მალე დავღონდებით და ბოლომდის საქმეს ვერ მივიყვანთ წარმატებით. ეცადე, ძმაო, რომ შენი შვილიც არ გამოვიდეს ამ ხასიათსა, არამედ იყოს ყოველს საქმეში მტკიცე და ბეჯითი.

და ესრედ, ძმანო ჩემნო, ვგონებ, რომ ორთა ამა თვისებათა ზედა, ესე იგი, სიმართლესა და ბეჯითობასა ზედა უნდა იყოს დაფუძვნებული გამოზრდა შვილთა. იგინივე არიან საფუძველნი ვითარცა ამ სოფლის ცხოვრებისა, ეგრედვე მომავალის სოფლის ცხოვრებისა, მოპოვნებისა. კაცი ცრუ და მზაკვარი ვერც ამ ქვეყანაში იქმნება ქებული და წარმატებული, ვერცა სასუფეველსა ღვთისასა დაიმკვიდრებს. აგრედვე კაცი დაუდევნელი, მოკლებული ბეჯითობითა და ხასიათის სიმტკიცითა ვერც ამ ქვეყანაში ბედნიერს ცხოვრებას გაატარებს და ვერცა მომავალის ცხოვრებისათვის იქმნება მომზადებული.

დასასრულ, ისიც უნდა დაუმატოთ, ძმანო ჩემნო, რომელ შვილები მცირეწლოვანნი ისე სიტყვიერის დარიგებით ვერა რას ისწავლიან, როგორც მაგალითით. ამისათვის თუ მშობელნი არ აძლევენ მათ კეთილსა სახესა, ძნელად შეიძლება, რომ იგინი კარგნი გამოვიდენ. ეს უმეტესად უნდა ახსოვდესთ ყოველთა მშობელთა. – ამინ.

მოძღვრებანი,

თქმულნი სოფლის ეკკლესიათა შინა.

მოძღვრება,

თქმული სოფლის ვანის ეკკლესიის კურთხევაზედ.

მოგილოცავ თქვენ, საყვარელნო ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, კურთხევასა ეკკლესიისა ამის თქვენისასა. ვსთხოვ ღმერთსა, რათამცა წმიდა ეკკლესია ამიერითგან იყოს თქვენთვის წყაროდ სულიერისა მადლისა, ნუგეშინისმცემელად, განმწმედელად, განმანათლებელად და მაცხოვნებელად. კიდეც ვესავ ღმერთსა, რომელ იგი აღასრულებს ჩემსა ამას ვედრებასა. თქვენცა მისთვის დაშვერით და შეამკეთ, რათა მიიღოთ მისგან სულიერი აღშენება, სარგებლობა და მადლი სულთა თქვენთათვის; გარნა, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, უკეთუ ჭეშმარიტად გსურსთ და მოელით, რომ ამ ეკკლესიამ მოგცესთ სულიერი მადლი და სიწმიდე, და მეც დარწმუნებულ ვარ, რომელ ნამდვილად ამას მოელით და ისურვებთ, თქვენც თქვენი მხრით განიზრახეთ, იფიქრეთ და შეიტყეთ, რა უნდა ქმნას კაცმან, როგორ იხმაროს ეკკლესია და როგორ უნდა იქცეოდეს მას შინა, რათა ეკკლესია მისთვის იყოს ჭეშმარიტად სასარგებლო.

პირველად, კაცი, რომელსა სურს ეკკლესიაში მისვლა და წირვის მოსმენა, წინადვე უნდა მოემზადოს ამ საქმეს. კვირას ანუ დღესასწაულს დღეს, ვიდრე ეკკლესიაში მისვლამდე, ეცადე, ძმაო, და ისრე დააწყე შენი სული და გული, რომ ეკკლესიაში შესვლის დროს აღარაფერი არ გიშლიდეს გულს-მოდგინებით ლოცვის მოსმენასა. თუ კაცის აზრი დაფანტული არის, თუ ეკკლესიაში მან შემოიტანა ყოველი შფოთი და ზრუნვა, რომელიც მას აწუხებს სოფელში, რასაკვირველია, რომ კარგად და სასარგებლოდ ვეღარ ილოცავს. ამისთვის ეცადე, ძმაო, და დაამშვიდე შენი გული, განიშორე შენგან ყოველი სოფლიური ზრუნვა და აზრი და მოსვენებული გულითა მიუახლოვდი ეკკლესიას; გარნა უწინარეს ეკკლესიაში

შესვლისა, დასჯედ ერთს წამს ეკკლესიის ეზოში და მოიკრი-
ფე გონება, კითხე შენ თავს: სად მიდიხარ? ეკკლესიაში
ღმერთს უნდა წარუდგე, იქ ანგელოსნი და წმიდანი იქმნებიან
შენნი მოწამენი. ხოლო უმეტეს ყოვლისა, ეცადე, რომ ყოველს
კაცთან შერიგებული იყო და ძვირი არა ვისზედა არ გქონ-
დეს. როგორ ილოცავს ის კაცი, რომლისა გული აღვსებულია
შურითა და მტერობითა, რომელი აღშფოთებულ არს და
აღელვებულ? ხშირად მოხდება, რომელ წირვის დაწყებადმდე
ეკკლესიის ეზოში წაეჩხუბებიან ზოგნი ერთი მეორეს, აგინე-
ბენ ერთმანერთს და მერმე მივლენ ლოცვაზედ. რაღა ლოცვა
იქმნება მათი ლოცვა? რაღა მადლი და ნაყოფი ექმნება იმ
ლოცვას? თვით დღეს რომელნიმე აქა მდგომარეთაგანი ნადი-
რობდენ მინდორში და მერმედ მოვიდენ წირვის მოსასმენად;
როდესაც ღვთის-მოყვარენი კაცნი იდგნენ ცისკარზედ, იგინი
ყვირილითა და ნადირობითა ემზადებოდენ ეკკლესიაში მი-
სვლასა. რაღა მადლი ექმნება მათ ლოცვას? მათი გული აღვ-
სებულია მით, რაც ნახეს და გამოსცადეს იმ ნადირობაზედ.
მათ არ ესმისთ ლოცვა და გალობა აქაური, ვინაითგან მათი
სასმენელი ახლაც აღვსებულია ხმითა ნადირობისათა. თვალნი
მათნი თუმცა უყურებენ ხატებსა, გარნა ისრევე ხედვენ მინ-
დვრებს და ნადირთა; ერთი სიტყვით, ხორცი მათი კი აქ არის,
გარნა სული და გული და სურვილი მათი იქ არის, ტყეში და
მინდვრებში. ქრისტიანენი არიანა იგინი? არც თათრები, არც
ურიანი არ დაარღვევენ და არ შეაგინებენ თვისთა დღესასწა-
ულთა.

მეორედ, კეთილად მომზადებული ლოცვისა-თვის ეკკლე-
სიაშიც წირვა-ლოცვაზედ კეთილად უნდა იდგეს და გულის-
ხმიერად ილოცვიდეს. როდესაც შეხვალ ეკკლესიაში, იმას
ნუ კი ფიქრობ, წინ დავდგეო; თუ ეკკლესიაშიც შენი პატი-
ვი და თავის-მოყვარება არ დაგავიწყდა, თუ იქაც ფიქრობ თა-
ვის გამოჩენას წინ-დადგომით, მაშასადამე რაღა ლოცვა იქმნე-
ბა შენთვის? მრავალნი კარგვენ მადლსა და სულიერსა სარგე-
ბლობასა მით, რომელ ეკკლესიაში ეძიებენ წინ-დადგომას და
თავის მოწონებასა. ეკკლესიაში იდეგ დუმილით და კრძა-
ლულებით; ნუ გავიწყდება, სადა ხარ; ლაპარაკი, იქით-აქეთ
მიხედვ-მოხედვა, ერთი მეორის კაბების სინჯვა ეკკლესიაში
ცოდვა არის. ეკკლესიაში კითხულობენ ლოცვებს, საღმრთო
წერილს; ეცადე, რომ რაიმე გაიგო, რაიმე შევიდეს შენს გულ-
ში. ფრიად ცუდი ჩვეულება გვაქვს ყოველთა, რომელ სულ
არ ვისმენთ და არ ვცდილობთ გავიგოთ აზრი წარკითხულის
წიგნებისა; იქმნება ზოგიერთთა სამოციქულო და სახარება კი

მოისმინონ დუმილით, გარნა დავითნის და ჟამნის კითხვასა
არავინ ისმენს სრულიად; დიაკონიც ისე კითხულობს, რომ
თითქმის იცის: მაინც არავინ არ ისმენსო; მაშინ ოდესცა და-
ვითნში მრავალნი სანუგეშონი, მრავალნი დიდნი და აღმაშე-
ნებელნი აზრნი არიან, და ვინც კეთილად ისმენს მათ, მიიღებს
დიდსა მადლსა. კითხვა, ლოცვა და გალობა მისთვის არის ეკკლე-
სიაში დაწესებული, რომელ გაიგონოს ერმა და მიიღოს აღშე-
ნება; ხოლო უკეთუ ნაცვლად ლოცვის გაგონებისა, ნაცვლად
სასოებისა და სიყვარულის შეგონებისა უქმად გაატარებს კა-
ცი ეკკლესიაში დროებას, რა სარგებლობა იქმნება მისთვის
ეკკლესიაში დგომა. ვინც გულის-ხმიერად ისმენს წირვა-ლო-
ცვას და არ დაკარგავს არც ერთს აზრსა, იგი მიიღებს დიდსა
განათლებასა სულიერსა. ყოველი სჯული და სწავლა ქრის-
ტიანობრივი გამოითქმების იმ ლოცვებში და გალობაში, რო-
მელნიც გვესმის ეკკლესიაში; მაშასადამე, ვინც გულის-ხმიე-
რად ისმენს იმათ, იგი შეიტყობს, რაი არის სჯული და სწა-
ვლა ჩვენი. ისიც გახსოვდეს, ოდეს სდგეხარ და ლოცულობ
ეკკლესიაში, გული შენი გრილად არ იყოს. მლოცველი რა-
სმე უნდა გრძნობდეს გულში: დროსა ლოცვისასა იგი უნდა
გრძნობდეს ან შიშსა თვისთა ცოდვათა და უღირსებათათვის,
ანუ მწუხარებასა, ანუ სიყვარულსა ღვთისასა, ანუ სიტკბოე-
ბასა, ანუ ნუგეშსა, ანუ სხვა რომელსამე სულიერსა გრძნობასა.
უკეთუ გულ-გრილად სდგეხარ ეკკლესიაში, არაფერს არ გრძნობ,
ლოცვაცა შენი იქმნება გრილ, უნაყოფო. არიან მრავალნი,
რომელნი ლოცულობენ მხურვალედ, გულს-მოდგინედ, რო-
მელნი ჰპოულობენ ნუგეშსა და სიტკბოებასა ლოცვათა შინა;
ხოლო არიან სხვანი, რომელნი ერთისა მხოლოდ გარეშეობი-
სათვის მივლენ ეკლესიაში. ლოცვა ისრე უნდა უყვარდეს
კაცს, როგორადაც საჭმელი და სასმელი უყვარს მშიერს, რო-
გორადაც მოსწყურდება კაცსა, უკეთუ დიდ-ხანს არ მიიღო სა-
ჭმელი და სასმელი, ისრე უნდა მოსწყურდეს, უკეთუ დიდხანს
დააკლდა წირვასა და ლოცვასა.

მესამედ, ის ვიფიქროთ, რა ბოლო ანუ რა ნაყოფი უნ-
და ჰქონდეს კეთილსა ლოცვასა და წესიერსა გულითადსა
წირვა-ლოცვის მოსმენასა ეკკლესიასა შინა. ნაყოფი ჭეშმარი-
ტისა და გულს-მოდგინებითისა ლოცვისა არის სულიერი
წარმატება, უმჯობესობა, სულიერი სისრულე კაცისა. ჭეშმა-
რიტი ლოცვა დაალბობს გულსა კაცისასა, გამოსცვლის ხასი-
ათსა, გააკეთებს მას; როგორც სიტფო მზისა დაადნობს თოვლსა
და ყინვასა და გაატფობს ჰაერსა, ეგრედვე მხურვალე ლოცვა
დაადნობს და გააქრობს ვნებათა ბოროტის გულისასა. გინდა

შეიტყო, კარგად და ნაყოფიერად გილოცავს, თუ არა? ადვი-
ლად შეგიძლიან შეიტყო: უკეთუ გული შენი ლოცვისაგან
იგრძნობს მოსვენებასა და სიმშვიდესა, უკეთუ შენ ატყობ
შენს თავს, რომ უმჯობესი და უკეთესი ხარ, ცოდვისა უმეტე-
სად გრცხვენია და უმეტესად ჰგრძნობ სიყვარულსა ღვთისა
და მოყვასისასა, მაშასადამე, კეთილად გილოცავს. თუ მართლა
გულსმოდგინედ და მადლიანად ილოცე, ოდეს გამოსული ეკ-
კლესიითგან ნახავ შენს მტერსა ანუ ძვირის-მოქმედსა, შენს
გულში არა თუ სიძულილს გრძნობ, არამედ შეგებრალება
იგი და მზად ხარ გარდაეხვიო მას კისერზედ და ყოველივე
მიუტევო. გარნა უკეთუ გამოსრული ეკკლესიითგან ნახე ვინ-
მე შენი მტერი და ძვირის-მოქმედი და გულში კვალადვე ის
სიძულილი ანუ მტერობა იგრძენ, იცოდე, რომ ლოცვა შე-
ნი ყოფილა უნაყოფო და ცრუ. ახლა რა უნდა ვსთქვათ იმ
ქრისტიანეთათვის, რომელნი, მოისმენენ რა წირვასა და გა-
მოვლენ ეკკლესიითგან, მაშინვე მზად არიან ცუდი საქმისა და
სიტყვისათვის: იმავე წამს, თვით ეკკლესიის ეზოში დაი-
წყებენ ყვირილსა და ჩხუბსა; რასაკვირველია, რომ მათ სრუ-
ლიად არ ულოცავსთ; იგინი მხოლოდ ხელს აქნევდენ, რაღა-
საც მოძრაობას იქმოდენ ხელითა და სხეულითა, მაგრამ სუ-
ლით არ ულოცავსთ. მრავალნი პირნი არიან, რომელნი წირ-
ვა-ლოცვას არ მოაკლდებიან, ძლიერ უყვარსთ ეკკლესიაში
სიარული, მაგრამ მაინც უმჯობესნი არ არიან ცხოვრებითა!
სჩანს, რომ იგინი მხოლოდ გარეშეობით ლოცულობენ პირ-
მოთნეობით. არიან კიდევ ერის-კაცნი, რომელნი ხორცს არა-
ოდეს არ სჭამენ; დღე და ღამე ვითომც ლოცულობენ; გარნა
ისრედი საშინელი ხასიათი და ყოფა-ქცევა აქვსთ, რომელ
მრთელი ის სოფელი, სადაც იგინი სცხოვრობენ, შეწუხებუ-
ლია მათგან. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მათ არ იციან, რაი
არს ლოცვა. იგინი ფარისევლობით ლოცულობენ და არა სიმ-
დაბლით და სიყვარულით. ხოლო თქვენ, ძმანო ჩემნო, ისრე
ილოცეთ, რომ ლოცვამ გული გაგიკეთოსთ და ყოფა-ქცევა
შეგიმკოსთ. – ამინ.

მოძღვრება

თქმული სოფელს ჩხარს.

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!

ვგონებ, თქვენ ყოველთა გაგიგონიათ და იცით, რომელ, ვისაც სურს, რათა იყოს ნამდვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანე და აცხოვნოს სული თვისი, მას უნდა ქონდეს ორი ესე: მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და კეთილი ყოფა-ქცევა. ღვთის მადლით, მართლ-მადიდებელი სჯული ანუ სარწმუნოება გვიპყრიეს ჩვენ ყოველთა მტკიცედ; ვერაფერს იტყვის, რომ ჩვენ არ გვახსოვდეს რომელიმე წეს-დებულება ანუ ბრძანება სჯულისა; რაც ვისწავლეთ წმიდათა მამათაგან, ის ყოველი გვახსოვს და გვწამს, გარნა კეთილს ყოფა-ქცევაში და სჯულის აღსრულებაში ვართ ფრიად სუსტნი და ნაკლულევანნი. ხოლო უფალი იესო ქრისტე წმიდა სახარებასა შინა გვასწავებს ჩვენ, რომელ ჭეშმარიტი მის მოწაფე არს მხოლოდ იგი, რომელი აღასრულებს მცნებათა მისთა. არა საკმაო არს სულის ცხოვნებისათვის ერთი მხოლოდ სარწმუნოება, არამედ სარწმუნოება შეერთებული საქმეთა-თანა; ყოველი კაცი უნდა ეცადოს და განიწმიდოს თავი თვისი ბოროტებისა და ბილწებისაგან; ყოველმან უნდა განიკითხოს თავი თვისი, განიცადოს გული თვისი და სცნას, რა ცოდვა ბუდობს მას შინა, რა ნაკლულევანება სჭირს მას.

ამისათვის მე მსურს, ძმანო, დღეს მოკლედ გითხრა თქვენ, რა ნაკლულევანება და რა ცოდვა შევნიშნე საზოგადოდ ამ ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა შორის. პირველი და უსაშინელესი ჩვენი ცოდვა ის არის, რომელ სიყვარული და ერთობა ჩვენ შორის არ იპოვება; არ დარჩა თანხმობა და კეთილ-განწყობილება მოყვასთა შორის, აღარ გვახსოვს უმთავრესი მცნება ღვთისა: **შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.** ამ მცირე ჟამის განმავლობასა შინა, რაც აქ მე მოვსულვარ, ისრე არაფერი მაკვირვებს და მაწუხებს, როგორც საზოგადო განხეთქილება, მტერობა, შური, შურის-ძიება და სიძულილი, რომელი სუფევს ქვეყანასა ჩვენსა; არა-თუ მეზობელთა შორის აღარ არის სიყვარული და მოყვარობა, არამედ ნათესავნი და მახლობელნი უმეტეს განხეთქილებაში არიან: ძმა ძმას ემტერება, მამა და შვილნი ვეღარ სდგებიან ერთად; დედანი ხშირად სწყევლიან შობილთა თვისთა, ძენი აღარ ემორჩილებიან მშობელთა. საშინელ არს და საზარელ წარმოდგენა ამის ყოვლისა! ამოდენი ჩივილი, დავა და მტერობა, რაც ამ პატარა ქვეყანაში არის, არსად არ გაგონილა ქვეყანაზედ. სხვა ქვეყანაში, ძმანო, როგორ შეიძლება, მამა შვილს ანუ ძმა ძმას გაეყაროს; პირველად სირცხვილი არის და მეორედ ოჯახის დაცემა. თქვენც იცით, რომელ, რაც მეტი მუშაკი არის ოჯახ-

ში, ის ოჯახი უფრო გაკეთებულია და აღშენებულია; გარნა
აქ როგორ შეიძლება ძმამ ძმასთან გასძლოს; თუ როგორმე
ძმები კარგად იქმნებიან ერთმანეთში, რძლები მაინც ვერ
გასძლებენ ერთად ვერაოდეს. ამ მიზეზისა გამო ოჯახები არიან
დაცემულნი და ღარიბნი; თუმც, ღვთის მადლით, მიწა და მა-
მული გვაქვს ფრიად ნაყოფიერი, გარნა მაინც ღარიბნი ვართ.
ამ მშვენიერს მამულში რომ იდგნენ ვინმე უცხო თესლნი,
ძლიერ მდიდარნი და გაკეთებულნი იქმნებიან. ცხად არს, რო-
მელ ჩვენმა უთანხმოებამ და განხეთქილებამან არა თუ სული-
თა წარგვწყმიდა, არამედ აქაც, ამ სოფელში, გაგვაფუჭა და
დაგვამდაბლა.

მეორე ჩვენი ვნება და ჭირი უმეტესად კეთილ-შობილთა
შორის არის უსაქმობა ანუ უქმად დროების გატარება. ახლა,
ძმანო, ისრედი დროება და ჟამი მოიწია, რომ ყოველი კეთილ-
შობილი კაცი უნდა დაადგეს რომელსამე საქმესა და იყოს
შრომაში და გამოზარდოს თავი თვისი შრომითა თვისითა.
ძველს დროში კეთილ-შობილთა არ შეეძლოთ სხვა საქმე რა-
იმე გაეკეთებიათ, თვინიერ ომობისა და ლაშქრობისა, ვინა-
ითგან მაშინ მრავალთა მტერთაგან იყო შეიწროებულ ქვეყა-
ნა ჩვენი და არა ქონდათ მათ დრო, თვინიერ ომობისა; გარნა
აწ მოგვცა ღმერთმან მშვიდობა. შრომა და მუშაობა არ დაამ-
დაბლებს კაცსა, არამედ უქმობა უმეტესად წაახდენს და დაამ-
დაბლებს კეთილშობილსა წოდებასა. უქმად მყოფი ადვილად
იქმნს ყოველსა ცოდვასა, გონება და გული მისი მიდრეკილ
არს ყოვლისა ბილწებისადმი; ხოლო კაცი, რომელსა არა აქვს
მოცალება და ყოველთვის არის საქმეში, ადვილად ვერ შესც-
დება. რისგან განმრავლდა კეთილ-შობილთა შორის ურიგობა
და სჯულის-გარდახდომილება, რისგან გვესმა მრავალნი
შემარცხვენელნი საქმენი მათ შორის, თუ არა უქმობისაგან?

მესამედ, ჩვენი ცოდვა ის არის, რომელ არ გვიყვარს სი-
მართლე არც ლაპარაკში და არც ყოფა-ქცევაში. ყოველთვის
მრუდედ ვლაპარაკობთ და მრუდედ ვიქცევით. მაცხოვარი
გვასწავებს: **ნეტარ-იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სი-
მართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ.** ისრე უნდა უყვარდეს
კაცსა სიმართლე, როგორც მშიერს კაცს სურს და უყვარს
პური. მაგრამ სად არიან ჩვენში სიმართლის მოყვარენი? ყო-
ველნი მას სცდილობენ, რომ დამალონ სიმართლე, ანუ
დააბნელონ იგი. საქმემ იქამომდე მიაღწია, რომელ მესმა, ვი-
თომც ზოგნი, მოწოდებულნი მოწმედ, ფიცის ქვეშეცა იტ-
ყვიან სიცრუესა; გარნა ამას არ დავიჯერებ. ისრე როგორ
გაფუჭდება სინიდისი, ისრე როგორ გაგიწყრება ღმერთი,

რომ ფიცის ძალი დაგვავიწყდეს!

ბოლოს, ძმანო, ამასაც დავუმატებ თქმულზედ: მესმა მე, ვითომც თქვენ შორის იყოს მკითხაობა. ამაზედ ვალი მაქვს გითხრა, რომ წმიდანი მამანი აღუკრძალავენ ესე ვითართა ზიარებასა, და, ვინც მივა მკითხავთან, იმას თითქმის სჯულზედ უარი უთქვამს. ვინც ჭკვიანურად იფიქრებს და კარგად გამოსცდის, იგი მალე მიხვდება, როგორ ატყუებენ მკითხავები მოკლე ჭკუის კაცთა. ბევრი გამიგონია მე მათგან წახდენილი კაცი და ბევრი ავად-მყოფი მათითა უმეცრებითა მომკვდარიყოს.

ვეცადოთ, ძმანო, რომ სჯული ქრისტესი აღვასრულოთ საქმით და გამოვაჩინოთ ჩვენი სარწმუნოება ყოფა-ქცევაში. გახსოვდეს, რომ მარტო სარწმუნოება ვერ გვაცხოვნებს, თუ არ შევაერთეთ მასთან ყოფა-ქცევა. ქრისტიანე ცუდად მცხოვრები უარესად განარისხებს ღმერთს, ვიდრე მოუნათლავი უსჯულო, და უარესად დაისჯება, რაიცა ღმერთმან განაშოროს ჩვენგან. – ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

თქმული სოფელს ფარცხანაყანევს, ფებერვლის გ-ს ეკკლესიის კურთხევაზედ.

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! მადლითა და შეწევნითა ღვთისათა თქვენ დაასრულეთ შენობა ამ ეკკლესიისა და ჩვენ დღეს ვაკურთხეთ იგი. აწ ვიფიქროთ, რისთვის აღაშენეთ თქვენ და რისთვის ვაკურთხეთ ჩვენ იგი. გარნა, პირველ სიტყვის დაწყებისა, მივიქცეთ ღვთისადმი და ვსთხოვოთ მას, რათა მოგვცეს გულის-ხმის-ყოფა სმენად და აღსრულებად სიტყვისა მისისა.

ეკკლესიასა მისთვის ვაშენებთ ჩვენ, რომ იმაში ვემსახუროთ ღმერთსა, ესე იგი, ღმერთი ვადიდოთ, ვილოცოთ, მადლობა შევსწიროთ; ერთი სიტყვით, გარდვიხადოთ ყოველი მოვალეობა, რომელი გვმართებს ჩვენ ღვთის წინაშე. გარნა რისთვის უნდა ემსახუროს კაცი ღმერთსა, რათ მართებს კაცსა, ლოცვა, დიდება და მადლობა ღვთისადმი? ღმერთს მისთვის უნდა ემსახურებოდეს კაცი, რომელ ღმერთი არის მისი შემოქმედი, უფალი და მამა. ღმერთმან შექმნა ცა და ქვეყანა,

მზე, მთვარე, ხე და ყოველნი ცხოველნი პირუტყვნი და შემ-
დგომ ღმერთმან შექმნან შექმნა კაცი. კაცს ღმერთმან მისცა უმჯობე-
სი ბუნება და უდიდესი შეძლება; კაცს დაუმორჩილა ღმერ-
თმან ყოველი ბუნება, კაცს მისცა ღმერთმან სამკვიდრებელად
ქვეყანა; გარნა ეს კიდევ არაფერია: ღმერთმან თავის თავი
გამოუცხადა და ამცნო მხოლოდ კაცსა. მარტო კაცმან იცის
სახელი ღვთისა, მარტო კაცსა აქვს გულში დანერგული აზრი
ღმერთზედ; სხვა ხილული ქმნილება: წყალი, მიწა, ხე, პირ-
უტყვი ვერა-რას იფიქრებენ ღმერთზედ; მხოლოდ კაცი მოი-
ფიქრებს და წარმოიდგენს ღმერთსა; მაშასადამე კაცმან უნდა
ადიდოს ღმერთი ყოვლისა ქვეყნისა და ყოველთა ქმნილებათა
მაგიერად. გარნა ესეც კიდევ არაფერია: ჩვენ კაცთა გვაქვს
კიდევ ამაზედ უმაღლესი მიზეზი, რომლისათვისცა ღმერთი
უნდა შევიყვაროთ და ვადიდოთ. რომელი მიზეზი? ღმერთი
ხომ ყოვლად-შემძლებელი არის და ყოველთა უმაღლესი, კა-
ცი ხომ ვერაფერს ვერ მოუმატებს ღმერთსა; გარნა ღმერთი
ესოდენ მოწყალე არის და კაცთ-მოყვარე, რომელ მან ინება
მიახლება კაცთა, ინება, რომ კაცსა და ღმერთს შორის იყოს
კავშირი; როგორც რომ ერთი კაცი მეორე კაცთან, თავის
სწორთან, დასდებს რომელსამე პირობას და აღთქმას, ეგრედ-
ვე ღმერთმან ინება და დასდვა პირობა და აღთქმა კაცსა და
თვის შორის. როდეს და რა-ნაირად? პირველად იმავე ჟამს,
როდესაც შექმნა ღმერთმან კაცი. წინაპარნი ჩვენნი, ადამ და
ევა, ღმერთმან შეიყვანა სამოთხეში, მისცა მათ ედემი და დას-
დვა მათთან პირობა და აღთქმა, და თუმცა ადამმა და ევამ
დაარღვიეს ეს პირობა და მცნება ღვთისა, გარნა ღმერთმან არ
დაუტევა კაცი, არამედ მაშინვე აღუთქვა მოვლინება ქვეყანა-
სა ზედა ძისა თვისისა, მხსნელისა, რომელი აღადგინებს კვა-
ლადვე კავშირსა და ერთობასა კაცთა და ღმერთს შორის.
მამათ-მთავარნი და წინასწარმეტყველნი სულითა წმიდითა მრა-
ვალ-გზის განუმეორებდენ ერსა ამ ღვთის აღთქმასა. შემდგომ
მოიწია ჟამი წინასწარ-თქმული და იშვა მაცხოვარი ქალწუ-
ლისაგან მარიამისა. მან გვიქადაგა ჩვენ ახალი აღთქმა, მან
მოგვცა ჩვენ სახარება, მან აღადგინა აღთქმა და კავშირი
კაცთა და ღმერთს შორის; იგი ჯვარს-ეცვა ჩვენთვის; სისხლითა
თვისითა მან აღიხოცა ჩვენნი უსჯულოებანი, თავის თავზედ
მიიღო ჩვენნი ბრალნი და ესრედ შეგვარიგა ღმერთსა-თანა.
აჰა, ძმანო ჩემნო, რაოდენნი და ვითარნი მიზეზნი გვქონან,
რათა ვადიდებდეთ ღმერთსა, ვლოცულობდეთ და ვმადლობ-
დეთ მას მარადის!

გარნა გახსოვდესთ მარადის, ძმანო: ღმერთმან თავისი

მხრით ყოველივე აღასრულა და ყოველივე მოგვცა, რათა ჩვენ ვსცხოვნდეთ და ვიყვნეთ ბედნიერნი; აწ ჩვენზედ არის დამოკიდებული, თუ მივიღებთ ჩვენ მათ ყოველთა და კეთილად ვიხმართ ჩვენდა საცხოვნებლად. ეკკლესიაში დასდვა ღმერთმან ყოველნი სწავლანი, ღონის-ძიებანი, საშვალობანი, რომლითაც კაცმან უნდა იცხოვნოს სული თვისი. ღმერთი ყოველს კაცთან თვითოეულად დასდებს პირობასა და აღთქმასა. როგორადაც რომ პირველი აღთქმა დასდვა ღმერთმან ადამ და ევასთან, ეგრედვე ჩვენ თვითოეულთან დასდებს იგი პირობასა და კავშირსა. როდეს, რა ნაირად? როდესაც კაცი ნათელს იღებს, მაშინ ღმერთს მისცემს პირობასა და აღთქმასა. არ გახსოვსა, რას კითხავს ნათლიას მოძღვარი ჟამსა ნათლისღებისასა? – უარ-ჰყოფა შენ ეშმაკსა და ყოველსა მსახურებასა მისსა, და ყოველსა საქმესა მისსა, კითხავს მაშინ მოძღვარი; ხოლო ვინც ნათელს-იღებს ანუ მის მაგიერად მიმრქმელი უპასუხებს: უარ-ვყოფ სატანასა და ყოველთა საქმეთა მისთა და ყოველთა მსახურებათა მისთა. შეერთდებია ქრისტესთან? ხოლო შენ უპასუხებ: შევერთდები, თაყვანის-ვსცემ და მრწამს იგი. მაშასადამე კაცი ნათელ-ღებული არის ღვთის მოპირდაპირე. გარდა ამისა, ყოველთა შვიდთა საიდუმლოთა შინა ეკკლესია მისცემს კაცსა ღვთის მადლსა და შემწეობასა. რითღა გაიმართლებ თავსა შენსა შენ, ძმაო ჩემო, უკეთუ გააუქმე ესოდენი ღვთის მოწყალებანი. რას უპასუხებ ღმერთსა, ოდეს იგი გეტყვის შენ: მე შენ აღგამაღლე და განგწმიდე, ძე ჩემი წარმოგივლინე, რომელი შენთვის ჯვარს-ეცვა, ყოველი საშუალება მოგეც, რათა სული იცხოვნო, გარნა შენ არა სარგებლობ ყოვლითა ამით და ცუდად სცხოვრობ. ნათლის-ღებასა შინა შენ უარ-ჰყავ სატანა და ყოველი საქმე მისი, აღმითქვი დიდებად და თაყვანისცემად ჩემდა, გარნა კვალადვე ხშირად მიექცევი ეშმაკისადმი და ივიწყებ აღთქმასა შენსა. სახელი ჩემი გიწოდე და დავსდევ შენზედა, გარნა ცუდითა ცხოვრებითა შენითა ხშირად ამცრობ და განჰკიცხავ სახელსა ჩემსა. რას უპასუხებს, ძმაო, კაცი ცოდვილი ღმერთსა? ამისთვის ეცადეთ, ძმანო ჩემნო, და ისარგებლეთ დიდითა მით მადლითა, რომელი ღმერთმან დასდვა ეკკლესიასა შინა. ადიდეთ ღმერთი, ვითარცა სიტყვითა თქვენითა, ეგრედვე უმეტესად საქმითა თქვენითა. უგუნურება არ იქმნება, რომ ეკკლესია უმჯობესი აღაშენეთ და თქვენ თვით კი არ შეიქმნეთ უმჯობესნი! რას გარგებს ეკლესია, თუ თქვენ თვითონ არ ეცდებით და არ მიიღებთ სწავლასა და მადლსა ეკკლესიისასა? დასასრულ სიტყვისა ჩვენისა კვალადვე მივიქცეთ ღვთისადმი, კვალადვე ვევედროთ

მხურვალედ ღმერთსა, რათა ამ წმიდა ტრაპეზითგან მან მიიღოს მარადის მსხვერპლი და შესაწირავი – უწმიდესი ხორცი და სისხლი მისი და გარდამოავლინოს თქვენ ზედა მადლი თვისი. როგორც თქვენ თქვენი ეკლესია უმჯობესი აღაშენეთ და შეამკეთ, ეგრედვე თქვენ ღმერთმან სულიერად და ხორციელად აღგაშენოსთ და შეგამკოსთ. – ამინ.

მოძღვრება

თქმული ფებერვლის ბ-სა მირქმაზედ და სოფლის ფარცხანაყანევის ეკკლესიის კურთხევაზედ.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

დღეს ჩვენ, ქრისტიანეთა აქა მდგომარეთა, გვაქვს ორი დღესასწაული: პირველად, საზოგადო ყოველთა ქრისტიანეთათვის დღესასწაული, ესე იგი მირქმა, ანუ მიგებება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი სვიმონ მართლისაგან ტაძარსა შინა იერუსალიმისასა; მეორედ, საკუთარი თქვენი დღესასწაული, ესე იგი ენკენიანობა, ანუ კურთხევა წმიდისა ამის, ახლად თქვენგან აღგებულისა, ეკკლესიისა. აწ, შეწევნითა ღვთისათა, ვსთქვათ რაოდენიმე სიტყვა ამ ორთავე დღესასწაულისათვის, ესე იგი, პირველად, შევიტყოთ, რა არის მირქმა, როგორ იქმნა, ანუ რა შემთხვევა იყო იგი, რომელსა ჩვენ უწოდებთ მირქმად და მეორედ, რა არის ეკლესია და რისთვის ვაკურთხეთ ჩვენ დღეს ეს შენობა.

რა არის მირქმა? ვგონებ გაგიგონიათ თქვენც ყოველთა და იცით, რომელ უფალი ჩვენი იესო ქრისტე იშვა ურიასტანს ქალწულისაგან მარიამისაგან; გარნა იგი უფალი არა მსწრაფლ და მოულოდნელად მოვიდა ქვეყანასა ზედა, არამედ დიდი ხნითგან იტყოდენ მოსვლასა მისსა წინასწარმეტყველნი, ასი და ათასი წელიწადი მოელოდენ მრავალნი ტომნი ქვეყანისანი მხსნელსა და მაცხოვნებელსა მათსა. პირველი აღთქმა მოსვლისა და განკაცებისა მაცხოვარისა მისცა ღმერთმან თვით პირველთა წინაპართა ჩვენთა, ადამს და ევას, როდესაც მათ შესცოდეს და განგდებულ იყვნენ სამოთხითგან; შემდგომ ამისა მრავალ-გზის განუახლებდა ღმერთი აღთქმასა ამასა მრა-

ვალთა მართალთა კაცთა: ღმერთმან განუმეორა ეს აღთქმა
მამათ-მთავართა აბრაამს, ისააკს და იაკობს. წინასწარმეტყველ-
ნი: მოსე, ისაია, იერემია, დანიილ, სხვათა და სხვათა საუ-
კუნეთა შინა, მრავალ-გზის და ვრცლად იტყოდენ ენითა თვი-
სითა და აღწერდენ საღმრთოთა წიგნთა შინა შობასა იესო
ქრისტესსა, მისსა ცხოვრებასა, მისთა სასწაულთა, მისთა ვნე-
ბათა. სვიმონ მიმრქმელი იყო ერთი იმ მართალთა და წინას-
წარმეტყველთაგანი; რომელთა ღმერთმან წინადვე განუცხადა
მოსვლა იესო ქრისტესი. ამ სვიმონ მართალს სულმან წმიდა-
მან ამცნო, რომელ იგი არ გარდაიცვლება, ვიდრემდის თვა-
ლითა თვისითა ან ნაჰხავს ჩჩვილსა იესოს და ხელთა ზედა
თვისთა არ აღიყვანს მას; იგი იყო ღრმასა მოხუცებულობასა
შინა, ოდეს მაცხოვარი იშვა ქალწულისა მარიამისაგან. ებ-
რაელთა ქონდათ ერთი ჩვეულება, რომ ორმოცი დღის ჩჩვილ-
სა მიიყვანებდენ მშობელნი ტაძრად, შესწირვიდენ მუნ შეძ-
ლებისა-მებრ თვისისა მსხვერპლსა და მიიღებდენ მღვდლისაგან
ლოცვასა და კურთხევასა. ოდეს აღუსრულდა იესოს ორმო-
ცი დღე, მაშინ აღიყვანეს იგი ტაძრად დედამან მისმან მარიამ
და მოხუცმან იოსებ და მოიღეს შესაწირავად ღვთისა ორი
გვრიტი ვინაითგან იგინი იყვნენ ღარიბნი და მეტის შეწირვა
მათ არ შეეძლოთ. სულმან წმიდამან წინადვე ამცნო მართალ-
სა სვიმონს მოყვანება იესოსი ტაძრად; სვიმონ მივიდა ტაძარ-
ში, მიეგება მარიამს, გამოართვა ჩჩვილი, დაისვენა ხელთა ზე-
და თვისთა და წარსთქვა: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სი-
ტყვისაებრ შენისა მშვიდობით; რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მა-
ცხოვარებაი შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა
ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა, და დიდე-
ბად ერისა შენისა ისრაილისა. და მერმედ დალოცა და აკურთხა
მარიამი და იოსები. ამ ჟამადვე იყო მუნ ერთი ფრიად მოხუ-
ცებული ქალი ანნა, რომელი მრავალ-წელ ემსახურებოდა
ტაძარსა მარხვითა, ლოცვითა და მოთმინებითა დღე და ღამე;
იმანაც იცნო სულითა წმიდითა ჩჩვილი მაცხოვარი, განიხარა
და ეტყოდა მისთვის ყოველთა მსასოებელთა და ღვთის-მო-
შიშთა კაცთა.

აჰა, ძმაო ჩემნო ქრისტიანენო, ის შემთხვევა, რომელსაც
აწ ვდღესასწაულობთ ჩვენ ყოველნი. თვით ამ შემთხვევისაგან
უნდა ვსცნათ, რა დიდი და რა საჭირო არის ყოვლისა კაცი-
სათვის ეკკლესია. უფალი იესო ქრისტე იყო ძე ღვთისა, დე-
და მისი ყოვლად-წმიდა ქალწული; სვიმონ იყო მართალი
და აღვსებული სულითა წმიდითა, აგრეთვე ანნა და იოსებ
იყვნენ მართალნი და წმიდანი; გარნა იგინიცა ყოველნი მივი-

დნენ ეკკლესიაში, იქ ილოცეს ღმერთი, იქ განიხარეს სული-ერითა სიხარულითა, იქ ახარეს ერთი მეორესა წყალობა და მაცხოვარება ღვთისა, იქ დალოცეს ერთმა მეორე; მაშასადამე, ჩვენ რომ ყოველნი ცოდვილნი ვართ, უმეტესად არ გვმარ-თებსა გვქონდეს ეკკლესია, ეკკლესიაში მივეშურებოდეთ, იქ ვადიდებდეთ და ვლოცავდეთ ღმერთსა, იქ განვიხარებდეთ სუ-ლიერითა სიხარულითა, მიულოცავდეთ და ვლოცვიდეთ ერთი მეორესა? ჭეშმარიტად, ძმანო ჩემნო, ეკკლესია არის და ყო-ველთვის უნდა იყოს ჩვენთვის ერთი ფრიად შეყვარებული და სანატრელი ადგილი, რომელმან ჩვენ ყოველნი უნდა შეგვა-ერთოს სულიერად წინაშე ღვთისა. მრავალსა კეთილსა და ქველის-საქმესა მოგვმადლებს ჩვენ ეკკლესია: იგი არის ჩვენი დედა, ვინაითგან მან გვშვა ჩვენ წმიდისა ემბაზისაგან და გვზრდის ჩვენ სულიერითა საზრდოითა; იგი არის ჩვენი სული-ერი განმანათლებელი და მაცხოვნებელი, ვინაითგან შვიდთა საიდუმლოთა შინა იგი მოგვანიჭებს ჩვენ სულიერსა მადლსა იესო ქრისტესსა. გარნა ყოველზე უმთავრესი და უმჯობესი ქველის-მოქმედება ეკკლესიისა ის არის, რომელ იგი ერთმან-ეთს შეაერთებს და შეაყვარებს ძეთა თვისთა. წუთი, ამაო სოფელი კაცს კაცისაგან განაშორებს, ხოლო ეკკლესია კაცს კაცთან შეაერთებს. ეკკლესიაში ყოველივე ისრე არის მოწყო-ბილი, რომ კაცი კაცთან შეაერთოს და კაცი კაცს შეა-ყვაროს.

გარნა ის ყოველთვის უნდა კი გახსოვდესთ, ძმანო ჩემნო, რომელ წმიდა ეკკლესია მხოლოდ მათ არგებს, განანათლებს და აცხოვნებს, რომელნი ისმენენ ხმასა ეკკლესიისასა, ხშირად დადიან ეკკლესიაში, გულის-ხმიერად ისმენენ წირვა-ლოცვასა და სწავლასა და მერმედ თავის სახლში და სოფელში კარგად იქცევიან. თქვენც ესრედ მოიქეცით, ძმანო ჩემნო, თუ გსურსთ, რომ ეკკლესია იყოს ყოველთვის სასარგებლო. რადგანაც ესო-დენი შრომა მიიღეთ და აღიშენეთ ახალი ეკკლესია, მასაც უნდა ეცადნეთ, რათამცა თქვენი სული და გული განახლდეს და აღშენდეს ღვთისათვის; ესრედ რომელ, ვითარცა ამ ეკკლე-სიაში იქნება ამიერითგან მადლი და სიწმიდე, ეგრედვე თქვენ გულშიაც განახლდეს და განმტკიცდეს იგივე მადლი და სიწ-მინდე. – ამინ.

მოძღვრება

თქმული დაბასა ხონს, აპრილის კგ-სა, გიორგობის დღე-სა და ეკკლესიის განახლებაზედ.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა

დღეს, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტრიანენო, თქვენ გაქვსთ ორ-გვარი დღესასწაული და სიხარული: პირველად, ამ თქვენი სამრევლო და სამამაპაპოს ეკკლესიის განახლება და მეორედ მისი ტრაპეზის დღეობა, ესე იგი წმიდისა დიდებულისა და ძლევამოსილისა გიორგის ხსენება და სასწაული. ვიფიქროთ და ვსთქვათ რაოდენიმე სიტყვა ამ თქვენს ორს დღესასწაულზედ: მოვნახოთ მათ შინა სულიერი დარიგება და ნუგეში, რათა ამაოდ არ დაიკარგოს ეს მრჩობლი სიხარული ჩვენთვის, არამედ მივიღოთ რომელიმე სარგებლობა და სულიერი აღშენება.

ეკკლესია ესე თქვენი, კარგად იცით თქვენცა, იყო მცირე, ვიწრო, შეუმკობელი. დიდი ხნითგან გრძნობდით ამას თქვენ ყოველნი და დიდი ხნითგან გსურდათ მაგისი განვრცელება, გარნა მხოლოდ აწ აღსრულდა ესე თქვენი სურვილი. თუმცა მრავალნი წინააღმდეგნიც იყვნენ ამისა, გარნა, ღვთის მადლითა და შეწევნითა, დასრულდა ეს საქმე. და ახლა დარწმუნებული ვარ, ყოველთა გიხარისთ და თვით მათცა უხარისთ, რომელნი იყვნენ სულ-მოკლენი და ანუ ეშინოდათ, ანუ არა სურდათ დაწყება ამ კეთილისა საქმისა. გარნა, ძმანო ჩემნო, ახლა რა უნდა ქნათ? გათავდა თქვენი საქმე? მეტი აღარაფერი არ უნდა ქმნათ ამ ეკკლესიაში? – როგორ არა! ახლა უნდა დავიწყოთ დიდი და უსაჭიროესი საქმე. რომელი? შენ, ძმაო, ახალს სახლს რომ აიშენებ, რისთვის აიშენებ? მისთვის არ აიშენებ, რომ შეხვიდე იმ სახლში და იწყო იქ ცხოვრება და ყოველი შენი შინაური საქმე სოფლიური და ხორციელი? ეს ეკკლესიაც მისთვის განაახლეთ და განავრცელეთ, რომ აქ სულიერად უნდა დასახლდეთ, აქ უნდა იცხოვროთ სულითა, აქ უნდა აღასრულოთ ყოველი სასულიერო საქმე.

რა არის სულიერი ცხოვრება და როგორ უნდა იცხოვროს კაცმან სულიერად ეკლესიაში? სულიერი სიწმიდე და მადლი, ანუ სულიერი ცხოვრება, ერთი მხრით ემგზავსება, ძმაო ჩემო, ხორციელს ცხოვრებასა და მოქალაქეობასა. რა სახით? აი ამ სახით: ვსთქვათ, შენ ვაჭარი კაცი ხარ და გაქვს ათასი მა-

ნეთი ფული და მაგ ათასი მანეთის მეტი სხვა არაფერი არა
გაქვს, დღეს ის არის შენი ქონება და სიმდიდრე. ახლა რო-
გორ მოიქცევი, თუ გონიერი და ჭკუიანი ვაჭარი ხარ? შენ
იფიქრებ: ამის მეტი მე არაფერი არა მაქვს, ამით უნდა ვიც-
ხოვრო და გავმდიდრდეო. ადგები და ამუშავებ იმ ფულს, რათა
მოიგო მით სხვა; იმ მონაგებით თვითონ ცხოვრებ და სიმდიდ-
რეც გემატება. ხოლო უჭკუო და უგნური კაცი სხვა-ფერ
მოიქცევა: იგი იწყებს ფულის ხარჯვას და შემდეგ შემოელე-
ვა და დაშთება სრულიად უსაშველო და მშიერი. ეგრედვე
არის, ძმაო, სულიერი ცხოვრებაცა და მოქალაქობა კაცისა-
თვის. ღმერთმან მოგცა შენ სულიერი სიმდიდრე, ესე იგი,
მადლი, ნათლის-ღება, ზიარება და სხვა; ახლა შენ უნდა ადგე
და ისე გონიერად მოიქცე, რომ ეს სულიერი მადლი თანდა-
თან განამრავლო მონანებითა, ლოცვითა, კეთილი ყოფა-ქცე-
ვითა; და თუ არა – თუ იწყე ცუდად ცხოვრება, ცოდვის ქმნა,
უსამართლობა, მაშინ დაკარგავ ცოტ-ცოტად იმ სულიერს სიმ-
დიდრესა, გაღარიბდები და სულიერად დაიმშევი. სულიერად
შენ მაშინ სცხოვრებ ეკკლესიაში და მდიდრდები, როდესაც
ლოცულობ და ლოცვაში მოინანიებ შენთა შეცოდებათა. გარ-
ნა რაი არს ცოდვის მონანება? რას ეწოდება მონანება? რაში მდგო-
მარეობს იგი? მონანება ის არის, როდესაც კაცი იფიქრებს და
იტყვის: მე ესა-და-ეს საქმე სწორედ ცუდად ვქმენიო, ამ საქ-
მეში მე სწორედ დამნაშავე ვარო ღვთის წინაშე, ეწყინება,
მოეძაგება ცოდვა და მერმე იტყვის: არა, ამა იქით აღარ
ვიქმნ იმ საქმესო; ღმერთო, მომიტევე ახლა და ამას იქით კი
სწორედ მომძულდა ის ცოდვა და აღარ ვიქმნო! აი რა არს
მონანება! გარნა შენ, ძმაო ჩემო, ეკკლესიაში კი, მართალია,
ყოველთვის ეუბნები ღმერთს: ვსცოდე, შემინდევ! მაგრამ არ
იშლი იმ ცოდვას, თითქმის არც გახსოვს, რაში სცოდე; ტყუი-
ლად ბაგით განიმეორებ: შემინდევ, უფალო, და შემიწყალე!
და არ იცვლები, არა სტოვებ ისევ უსჯულოებას. კარგი ის
არის, რომ იცნა შენი შეცდომა და ცოდვა, მოიძულო იგი
და მერმე აღარ მიიქცე მისდამი. ერთი კარგი და დიდი საშუა-
ლება და ღონის-ძიება გაქვს, ძმაო, თუ გსურს, რომ განამრა-
ვლო სულიერი სიმდიდრე – მადლი. აქ, ამ ეკკლესიაში, შეგი-
ძლია სულიერად გამდიდრდე, თუ ყურად-ღებით ისმენ და
აღასრულებ, რაც გესმის აქ ლოცვა, გალობა, საღმრთო წე-
რილის კითხვა. გარნა, საუბედუროდ, კარგად არ ისმენთ და
არ გახსოვთ, რასაც გაიგონებთ. ზოგიერთი კაცი ისრე ფიქ-
რობს, რომ თუ მოვიდა ეკკლესიაში და წირვის გათავებამდის
დადგა, პირ-ჯვარი დაიწერა, მეტი არაფერი არ არის საჭირო;

სინიდისი მისი ამით კმაყოფილია. იმას კი არ კითხავს თავის თავს, თუ რა გაიგონა, რა შეუვიდა ჭკუაში და გულში, რომელი ცუდი აზრი გაუსწორდა, რომელი ცუდი საქმე დაავიწყა. როდესაც შენ, ძმაო ჩემო, მრთელი დღე დუქანში ივაჭრე, საღამოზედ დასთვლი, რა გაყიდე, რავდენი ფული მოიგე, რაოდენი სარგებლობა მიიღე. ეგრედვე უნდა ქნა სულიერად: როდესაც გამოხვალ ეკკლესიითგან, იფიქრე და შეიტყვე, რა გაიგონე, რაოდენი სულიერი სარგებლობა მიიღე? უმჯობესი შეიქმენ, თუ არა, გამდიდრდი თუ არა?

დღეს, ძმანო ჩემნო, თქვენ დღესასწაულობთ წმიდის მთავარ-მოწამის გიორგის ხსენებას. რა აზრი გაქვსთ, ძმანო, ამ დღესასწაულზედ? სულიერსა სიხარულსა და ნუგეშსა ეძიებთ, თუ ხორციელს ნუგეშსა? მეტყვის ვინმე, ორივესაო: მინდა წმიდა გიორგიც ვადიდო და მერმე გავიხარო და ვინუგეშო ხორციელადაცო. კეთილი, ძმაო ჩემო, მაგრამ ეჭვი მაქვს და მეშინის რომ ამ ხორციელმა შენმა გახარებამ არ დაგავიწყოს სრულიად სულიერი სიხარული და მადლი. თუ ნამეტნავად სვამ და სჭამ, თუ უშვერად იმღერი და მთვრალობ, არა თუ არ მოგემატება მადლი, არამედ ცოდვაში შთავარდები. რაში მდგომარეობს პატივის-ცემა და დიდება წმიდა გიორგისა? ის ვინ იყო? მხედარი, რომელმან ქრისტეს გულისათვის მიიღო ურიცხვი წამება და შემდგომ სიცოცხლე შესწირა ღმერთსა; მაშასადამე, როგორ უნდა მოიქცე და რა ნაირად პატივი სცე იმას, თუ გსურს, რომ იამოს და მოეწონოს შენი პატივის-ცემა და შემწე გეყოს? ვგონებ, რომ უმჯობესი და უმთავრესი მისი პატივის-ცემა ის იქმნება, როდესაც შენ დღეს კეთილს საქმეს იქმნ, რომელსამე შენს ცოდვას მოიშლი და მადლს მიიღებ. გარნა თქვენ, როგორც ვხედავ, ისრე გონებთ, რომ წმიდა გიორგისათვის დიდი პატივის-ცემა არის, როდესაც ითამაშებთ, იმღერით, ცხენებს აჭენებთ. ვის გაუგონია, რომ თამაშობა, სიმღერა, ცხენის ჭენობა და ბევრი ღვინის სმა მოეწონოს რომელსამე წმიდას? თუ ამისთანა საქმე ყვარებოდა წმიდა გიორგის, არც იქმნებოდა იგი წმიდათა შორის.

არა, ძმაო, როგორც გითხარ, თუ გსურს წმიდა გიორგის პატივის-მცემელი იყო, მოიშალე ერთი რომელიმე შენი ცოდვა და მადლიანი საქმე აღასრულე; მაშინ მხოლოდ იქმნება იგიცა შენი შემწე და მფარველი, რომელიცა მოგვცეს ღმერთმან. ამინ.

მოძღვრება

რაჭის უეზდის, სოფლის სადმელის ეკკლესიის კურთხევაზედ.

მადლითა და შეწევნითა ღვთისათა თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, გაათავეთ შენობა ეკკლესიისა ამის თქვენისა და იმავე მადლითა და წყალობითა ღვთისათა იქმნა იგი დღეს კურთხეულ. რა უნდა ქმნათ აწ, როგორ უნდა მოიხმაროთ იგი, ამაზედ ჩვენ მოკლედ ვსთქვათ ახლა.

კაცი რომ სადმე დააპირებს დასახლებას, პირველად სადგომს აღაშენებს, ეზოს შეზღუდავს და მოამზადებს ყოველიფერს, და მერმედ შევა იმ სახლში, და იწყებს იქ ცხოვრებას. სწორედ ესრედვე უნდა ქმნათ აწ თქვენ სულიერად, ძმანო ქრისტიანენო: ეს ეკკლესია არის სულიერი თქვენი სადგომი, თქვენ ამისთვის აღაშენეთ ახალი ესე, და უმჯობესი ძველისა, ეკკლესია, რომ სულითა თქვენითა დასახლდეთ მას შინა. ამ სოფელში კაცს აქვს ორ-გვარი ცხოვრება: ხორციელი და სულიერი. ხორციელად შენ სცხოვრებ, ესე იგი, ლაპარაკობ, მოქმედებ, შრომობ შენს სახლში; სულიერად კი ყოველი შენი მოქმედება, გრძნობა და ლოცვა აქ უნდა იყოს, ამ ეკკლესიაში. კაცის სხეულს აქვს თავისი საზრდო, საჭმელი და სასმელი; თუ ესენი მას მოაკლდა, მოკვდება კაცი ხორციელად. სულსა კაცისასა აგრედვე აქვს თავის საკუთარი საზრდო, რომელიცა, თუ მოაკლდა სულსა ჩვენსა, იგიცა მოკვდება. რაი არს სულიერი საზრდო? სულიერი საზრდო არს სწავლა, განათლება, ცნობა ღვთისა და თავის თავისა. აქ, ძმაო ჩემო, ამ ეკკლესიაში უხვად მოგეცემა შენ ეს საზრდო, თუ მიიღებ და კეთილად მოიხმარ მას. წმიდამან ეკკლესიამან გონიერად დააწესა ყოველივე შენდა განსანათლებელად; მრავალ-ფერსა საზრდოსა წინა-დაგიგებს ეკკლესია შენდა სასწავლებელად: აქ წარგიკითხვენ შენ ყოველს საღმრთო წიგნებსა, წინასწარმეტყველებასა, დავითნსა, სამოციქულოსა, სახარებასა: რაოდენი ჭეშმარიტი საუნჯე, რაოდენი საღმრთო აზრი, რაოდენი სულიერი საზრდო მოგეცემა შენ, თუ გულის-ყური გაქვს, თუ მიიღებ და დაიმარხავ ყოველსავე, რაიცა გესმის. აქ წარიკითხვენ მრავალთა მშვენიერთა ლოცვათა, რომელნი გამოთქმულ არიან წმიდათა მამათაგან. იცოდე, რომ თუ, გულისხმიერად ისმენ იმ ლოცვებს, დიდი ნუგეში მოგეცემა, დიდი

სასოება გასჩნდება შენს გულში. აქ იტყვიან მრავალთა საღმრთოთა-გალობათა; რა დიდი სულიერი კმაყოფილება და განათლება მოგეცემა, ოდესცა შენ გრძნობით ისმენ მათ!

გარნა სწავლა და განათლება არის მხოლოდ ერთი კერძო სულიერისა ცხოვრებისა. მეორე კერძო ჩვენის სულიერისა ცხოვრებისა არის ყოველთ სულიერი მოქმედება, ანუ გრძნობა, სიხარული ანუ მწუხარება, მონანება, სასოება, სიყვარული, ერთგულება; ერთი სიტყვით, ყოველი სულიერი ფიქრი და გრძნობა. აქ, ამ ეკვლესიაში, ყოველნი ესე სულიერნი შენნი გრძნობანი უნდა განამტკიცო და მიუძღვნო უფალსა; აქ უნდა იყოს ყოველი შენი სულიერი გრძნობა, აქ უნდა გამოუცხადო უფალსა ყოველი შენი სულიერი მდგომარეობა.

ამ სოფელში, ძმანო ჩემნო, კაცის სიცოცხლე ხან სიხარულით არის და ხან მწუხარებით შეზავებული. თუ ღმერთმან ოდესმე მოგცა შენ რომელიმე სულიერი სიხარული, რომელიმე ბედნიერება, აქ, ამ ეკკლესიაში, გარდაიხადე მადლი ღვთის წინაშე. იქმნება ღმერთმან აღასრულა როდესმე შენი გულითადი წადილი, – მადლობა მიეც ღმერთსა აქ. იქმნება ღმერთმან კითილად წარმართა შენი შრომა და ოფლის ღვრა, ყანა შენი ნაყოფიერ იქმნა, ვენახი შენი პოხიერ იქმნა, საქონელი ღმერთმან განგიმრავლა, სახლეულობა შენი ღმერთმან კეთილად დაიცვა და შეინახა. ამათ ყოველთათვის მხურვალე მადლობას შესწირვიდე აქ ღმერთსა; ესე ყოველი უნდა მიიღო, ვითარცა ცხადი მისი წყალობა შენზედ და მადლობდე მას.

გარნა, უკეთუ ნაცვლად სიხარულისა, შეგემთხვია რაიმე მწუხარება, ისიც აქ აღუარე ღმერთსა შენსა. ყოველივე ღვთისაგან არის, ძმაო ჩემო; ვინ აღწერს, რავდენი მწუხარება ადგია კაცს, ანუ რაოდენი უბედურება შეემთხვევა ადამიანს. იქმნება შენ, ძმაო, ხარ ერთი საწყალი სოფლის კაცი, მოკლებული ყოვლითა სოფლიურითა ნუგეშითა, ღარიბი, დაჩაგრული, ბედკრული. სად იპოვი ნუგეშსა? ვინ მოგცემს შვებას, ვინ დაატკბობს შენ წყლულს? სოფელი? გარნა სოფელმან იქმნება უმეტესად დაგჩაგრა შენ, საწყალო! კვალადვე აქ მოიქეც, ძმაო, ამ ეკკლესიაში და აღუარე იესო ტკბილსა მწუხარება შენი. ისრედი მწუხარება არ ექმნება კაცს გულში, რომელიც არ დააცხროს და არ განაქარვოს მხურვალემ და ერთ-გულმა ლოცვამან. თუ ერთხელ მიეჩვიე და ისწავლე, რა არის ერთგული და მხურვალე ლოცვა, უმჯობესს ნუგეშს ვერსად ვერ პოვებ. ადვილად მოითმენს და ადვილად იკისრებს კაცი ყოველსა უბედურებასა და ყოველსა მწუხარებასა, თუ

შეუძლიან გულს-მოდგინედ ილოცოს ღვთის წინაშე. წარმოიდგინე, რომ, თუმცა ამ ქვეყანაში შენ ხარ ყველაზედ უსაწყლესი და დაჩაგრულთ გარნა, თუ სულ-გრძელებით მოითმენ შენ მწუხარებას, არ დაჰკარგავ სასოებას, მაშინ მომავალსა საუკუნესა შინა შენ იქმნები უმაღლესი მრავალთა კაცთა.

გარნა უმთავრესი და უსაჭიროესი სულიერი გრძნობა, რომელიც შენ ამ ეკკლესიაში უნდა მიართვა ღმერთსა, არის მონანება. მონანება, ძმანო ჩემნო, ის არის, ოდესაც კაცი სწუხს და სტირს ცოდვათა თვისთათვის. აქ, ამ ეკკლესიაში, ყოველს წირვაზედ შენ უნდა მიუძღვანო ღმერთსა შენანება ცოდვათათვის და გამოითხოვო მისგან შენდობა. განმავლობასა შინა მრთელის კვირისა შენ სცხოვრებ სოფელში და აღასრულებ ყოველთა სოფლის საქმეთა; რაც გინდა კრძალულებით და მორიდებით იყო, არ შეგიძლიან უცოდველად განატარო შენ ერთი დღეც ექვსს დღეს რომ ატარებ სოფლის ურვაში და შფოთში და მრავალგზის სიტყვით და საქმით გარდახდები სჯულსა, მეშვიდე დღეს, კვირას, ან დღესასწაულს, მოძებნე ეკკლესია, დასდეგ აქ, შთაიხედე შენს გულში, მოიგონე, რაც წინა-აღმდეგი საქმე გიქმნია, მოინანე და გამოითხოვე ღვთისაგან, რათა მომავალი ექვსი დღე უცოდველად დაგიფაროს. მოვა დიდი მარხვა და მაშინ კიდევ უფრო გულს-მოდგინებით უნდა მოინანოს ცოდვანი შენნი და ეღირსო ზიარუბას. რა უგუნური და უსასო უნდა იყოს კაცი, რომელიც მრთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ეზიარება!

ესრედ, ძმანო ჩემნო, ეცადენით და კეთილად მოიხმარეთ ეს ეკკლესია. ეკკლესიის აღშენება უსარგებლო იქმნება, თუ ეკკლესიით კარგად არ ისარგებლებთ. გარნა სარგებლობა ამ ეკკლესიისაგან მაშინ მოგეცემათ, ოდესცა ამ ეკკლესიაში კარგად ისმენთ ლოცვებს და მიიღებთ, სულიერს განათლებას, აღუარებთ ღმერთსა სიხარულსა და მწუხარებასა თქვენსა, მოინანებთ ცოდვათა და ესრედ უმჯობესი შეიქმნებით სულითა თქვენითა, რომელიც მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. – ამინ.

მოძღვრება

რაჭის უეზდის სოფლის ზნაკვის ეკკლესიის კურთხევა-ზედ.

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო! ვინაითგან დღეს, მადლითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ვაკურთხეთ ეს ეკკლესია, თქვენგან აღშენებული, მე მსურს გითხრა რაოდენიმე სიტყვა მისთვის, თუ რაი არს ეკკლესია, რა მნიშვნელობა აქვს ეკკლესიას, როგორ უნდა ისარგებლოს კაცმან ეკკლესიითა?

ჩვენ, ყოველნი, ძმანო, ვართ ქრისტიანენი; გარნა რისთვის უწოდებთ ჩვენს თავს ქრისტიანედ? მისთვის, რომელ ჩვენ გვრწამს უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, გვრწამს, რომელ მხოლოდ მას ერთსა შეუძლიან განათლება და ცხოვნება, იგი არს ჩვენი მაცხოვარი, გარეშე მისა ვერავის ვერ შეუძლიან გამოხსნა ჩვენი ცოდვისა და სიკვდილისაგან; გარნა რა სახით, ანუ რომლითა საშვალობითა მოგვცემს იგი ჩვენ მადლსა, განათლებასა და ცხოვნებასა, ესე იგი, რა სახით შეიქმნება თვითოეული ჩვენგანი მოზიარედ მისის მადლისა და ცხოვნებისა? ეს შეიძლება მხოლოდ ეკკლესიის საშუალობითა. ეკკლესია არის ის ადგილი, სადაცა შენ მიიღებ იმ სწავლასა, რომელიც მოგვცა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, იმ მადლს, რომელიც მან დაგვიტევა ჩვენ ჩვენდა საცხოვნებელად. უფალმან იესო ქრისტემან დააწესა ყოველსა ქვეყანასა ზედა წმიდა ეკკლესია, რომელი ყოველსა კაცსა გარდასცემს სასოებასა, სწავლასა, მადლსა და ცხოვნებასა მისსა. ვინც ეკკლესიას არ ეკუთვნის, იგი არ არის ქრისტიანე, მისთვის რომელ ვერ მიიღებს მადლსა იესო ქრისტესსა.

ახლა ის ვიფიქროთ, რა სახით გარდამოგვცემს ეკკლესია მადლსა უფლისა იესო ქრისტესსა? პირველად მით, რომელ წმიდა ეკკლესია მოგვანიჭებს ჩვენ ნათლისღებასა. ნათლის-ღება ყოველს კაცს გააქრისტიანებს; ვინც ნათელ-იღო, იგი არის მოწაფე უფლისა იესო ქრისტესი და მოზიარე მისის მადლისა.

მეორედ, მით, რომელ, ოდესაც მოსულხარ შენ ჰასაკში, წმიდა ეკკლესიამ გასწავლა შენ ქრისტიანობა, გაგაცნო იესო ქრისტე და მისი სახარება. ეკკლესიაში ყოველ წირვა-ლოცვაზედ კითხულობენ საღმრთო წერილსა. თუ გულს-მოდგინედ და ყურად-ღებით ისმენ წირვასა და ლოცვასა, ჭკუა შენი განათლდება, შეიტყობ ყოველსა, რაიცა ქმნა ღმერთმან შენისა განწმედისა და ცხოვნებისათვის; გარნა ესეც არ არის საკმაო. ეკკლესია არათუ განანათლებს გონებასა შენსა და.გარდამოგ-

ცემს იესო ქრისტეს მადლსა, არამედ სრულებით შეგაერთებს მასთან. ოდესაც შენ ეზიარები სისხლსა და ხორცსა იესო ქრისტესსა, მაშინ, ვითარცა თქმულ არს სახარებასა შინა, შენ ხარ ერთ-ხორც და ერთ-სულ უფლისათანა. აჰა, ვითარსა დიდ-სა მადლსა და სულიერსა ხარისხსა მოგცემს შენ წმიდა ეკკ-ლესია! და სხვათაცა შვიდთა საიდუმლოთა შინა წმიდა ეკკ-ლესია მოგანიჭებს შენ მრავალ-ფერსა მადლსა სულისა წმიდი-სასა, არაოდეს, არცა ერთს შემთხვევაში, არ დაგიტევებს შენ ობლად. ყოველს საქმეში და შემთხვევაში, ჟამსა სიხარულისასა, ანუ მწუხარებისასა, ჭირში ანუ ლხინში, წმიდა ეკკლესია წი-ნა-გიძღვის შენ ლოცვითა, კურთხევითა, ნუგეშინის-ცემითა, მოძღვრებითა. თუ ცოდვაში შთავარდი, ეკკლესია მიგიღებს შენ, ვითარცა შვილსა და სახელითა იესო ქრისტესითა მო-გცემს შენ შენდობასა, უკეთუ მოინანე ცოდვა შენი. ავად გახდი – წმიდა ეკკლესია ილოცავს შენთვის, აკურთხებს ზეთსა, გაცხებს შენ'მით სახელითა იესო ქრისტესითა და მოგანიჭებს შენ კურნებასა სნეულებათასა და შენდობასა ცოდვათასა. ოდეს შენ განხვალ ამიერ სოფლით, წმიდა ეკკლესია გიძღვის შენ ლოცვითა და მსხვერპლის შეწირვითა, შეავედრებს ღმერთსა შენს სულსა. ბოლოს, ოდეს შენ დაავიწყდები ყოველთა შენ-თა მახლობელთა, მაშინაც არ დაავიწყდები შენ წმიდასა ეკკ-ლესიასა, ვინაითგან ყოველს წირვა-ლოცვაში იგი იხსენებს გარდაცვალებულთა მამათა და ძმათა ჩვენთა და ევედრება ღმე-რთსა, რათა მისცეს მათ სასუფეველი ცათა. ერთი სიტყვით, იმ დღითგან დაწყებული, როდესაც იხილე შენ ეს სოფელი პირველად, ვიდრე უკანასკნელისა შენისა აღმოფშვინვადმდე, წმიდა ეკკლესია, ვითარცა დედა, გივლის შენ და სცდილობს გამოგზარდოს შენ სულიერად, რათა ღირსი მორწმუნე იქმნე იესო ქრისტესი.

გარნა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, თქვენც თქვენი მხრით უნდა იხმაროთ ყოველი ღონის-ძიება და მეცადინეობა, რათა არა უსარგებლოდ დაშთეს თქვენთვის ესოდენი მადლი უფლი-სა იესო ქრისტესი, რომელსა თქვენ გარდამოგცემსთ წმიდა ეკკლესია. რა სახით უნდა ისაგებლოთ ამ მადლითა, ან რა უნდა ქმნათ? ნაყოფი კეთილი უნდა გამოიღოთ, ხოლო ნაყო-ფი ქრისტეს მადლისა არის კეთილი, წმიდა და პატიოსანი ცხოვრება ამა სოფელსა შინა. ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყვარელ-ნო, რასა გეტყვისთ სახარებასა შინა უფალი იესო ქრისტე: **მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი.** აჰა, რა სიახლოვე არის ჩვენ და უფლისა იესო ქრისტეს შორის! როგორც რომ რტო ანუ ნორჩი ვენახსა ზედა, ისრე ჩვენ უფალსა იესო ქრისტესა ზედა

უნდა ვიყვნეთ დამოკიდებულნი. **მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მოქმედი არს,** იტყვის უფალი; – **ყოველმან რტომან, რომელი ჩემთან არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი. უკეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემთანა, გაზარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჰხმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწვას** (იოან. იე. ა, ბ, ვ). ყოველი ქრისტიანე არის რტო ჭეშმარიტისა ვენახისა იესო ქრისტესი. გარნა შენც იცი და გინახავს, ძმაო, თუ რომელიმე რტო ვენახისა განხმა, მოსჭრიან და განაგდებენ; ხოლო, უკეთუ რტო არის ნედლი, ფურცლიანი და ნაყოფს გამოიღებს, იგი ახარებს ვენახის პატრონსა. ეგრედვე ქრისტიანე, უკეთუ არის კეთილი და სათნო, განახარებს მამასა ზეციერსა. ეცადე, ძმაო, ვინაითგან წმიდამან ეკკლესიამან გიყო შენ ისრედი სიკეთე, რომ გაგზარდა იესო ქრისტეს რტოდ, ეცადე რაიმე ნაყოფი გქონდეს, რათა ყოველთვის ეგო ვენახსა ზედა. თვით საქმით აღასრულე მცნება უფლისა შენისა, შეიძინე სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, მოთმინება, სიმდაბლე, სიმართლე. შენი სათნოება ის არის, როდესაც შენ ხარ შრომის მოყვარე, მღვიძარე, ფრთხილ, ვინაითგან შენ შენი ხელით უნდა შეინახო შენი თავი და ოჯახო, – მომთმენი და თავმდაბალი, ვინაითგან ხშირად შეიძლება იყო ღარიბ და შეიწროებულ, შენს მეზობელს არაოდეს არ ავიწროებდე, არამედ შეეწეოდე შეძლებისამებრ შენისა. ცრუ-მოწმობისა გეშინოდეს და ყოველთვის მართალს იტყოდე, შენს მეზობელს არ ატყუებდე, არავის არ წაეჩხუბებოდე, შენ სახლში და ოჯახში იყო მყუდრო, ცოლშვილი და ძმები გიყვარდეს, ვითარცა თავი თვისი, კარგად იქცეოდე მათთან და სცდილობდე, რომ კეთილად გაზარდო შვილი შენი. რაც გმართებს სამსახური ხელმწიფისა, ანუ ბატონისა, სცდილობდე, რომ გარდაიხადო. ერთი სიტყვით, ისრე ატარებდე შენს ცხოვრებას, რომ ყოველმან კაცმან სთქვას შენზედ: იმ კაცს ღმერთი ახსოვსო და ნამუსი აქვსო.

კიდევ გეტყვი ერთხელ, ძმანო ჩემნო, ვინაითგან თქვენ ეს ახალი ეკკლესია აღაშენეთ და, არა მიმხედველნი თქვენისა სიღარიბისა, არ დაზოგეთ არც შრომა, არც საფასე, – მაშასადამე იმდენიც ეცადეთ, რომ ეკკლესია სწორედ სასარგებლო იყოს თქვენთვის, ესე იგი, ამიერითგან იყვნეთ თქვენ უმჯობესნი სულიერად. რა ჭკუა და რა გონება იქმნება, რომ ეკკლესია უმჯობესი აღაშენოთ და ისრედნივე დარჩეთ, როგორადაც უწინ იყავით? მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს თქვენ ყოველთა თანა. – ამინ.

მოძღვრება

თქმული სოფელს ბანოჯას ეკკლესიის კურთხევაზედ ჩყდბ-სა წელსა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

ძალითა და შეწევნითა ღვთისათა, დღეს იქმნა კურთხევა და განათლება ეკკლესიისა ამის თქვენისა. ახლა პირველად მადლობა შესწირეთ მოწყალესა ღმერთსა, რომელმანცა მოგცა თქვენ სურვილი და შეძლება აღშენებად ამა ეკკლესიისა. თქვენ თვითონ იცით, ძმანო, თუ ვითარი ძველი, ვიწრო და უგვანი იყო უწინდელი თქვენი ეკკლესია; დიდის ხნითგან ფრიად და მიუცილებელად საჭირო იყო თქვენთვის აღშენება ამ ეკკლესიისა, გარნა სიღარიბე და სიმცირე გაშინებდათ თქვენ. ხოლო აწ ღმერთმან მოგცა თქვენ შეძლება და თითქმის კიდეც დაასრულეთ ამ მოკლე ჟამად ეს ფრიად სასარგებლო საქმე; და თუმცა ჯერედ არ არის სრულიად გათავებული ეს ეკკლესია, გარნა ღმერთი მოწყალეა: რაიცა აკლია, იმასაც შეავსებთ მალე.

მეორედ, ძმანო, უნდა ეცადოთ და კეთილად ისარგებლოთ ამ ეკკლესიის მადლითა, მიიღოთ ამისგან სწავლა, განათლება, განწმედა და ცხოვნება. ეკკლესია მისთვის შენდება, რომ ქრისტიანეთა მიიღონ სულიერი მადლი და სარგებლობა: რა ჭკუა იქმნება, რომ ეკკლესია უმჯობესი აღაშენოთ და თქვენ თვითონ კი არ შეიქმნეთ უმჯობესნი! მარტო ეკკლესიის აღშენება არ გაცხოვნებს თქვენ, უკეთუ ეკკლესიის აღშენებასა-თანა სულიცა და გულიც არ აღიშენეთ ისრე, როგორც ღმერთი მოითხოვს ჩვენგან. რა არის სულის აღშენება და რით, ან რა საშუალობით აღაშენებს კაცი სულსა თვისსა? სულიერი აღშენება ის არის, როდესაც კაცი, პირველად ჭკუითა თვისითა განათლდება, ესე იგი, იცნობს ღმერთსა, თავის თავს, თავის სჯულს, თავის მოვალეობას; მეორედ, გულითა და მოქმედებითა თვისითა შეიყვარებს ღმერთსა და მისს სჯულსა და სცდილობს, რათა აღასრულოს იგი, გარნა ამ სულიერს აღშენებას მიიღებ შენ ეკკლესიისაგან: ეკკლესია არის, პირველად, შენი მასწავლებელი და განმზრდელი. ხორციელად შენ გამოგზარდეს შენთა მშობელთა, სულიერად შენ გამოგ-

ზრდის და განგანათლებს ეკკლესია; ყოველი წირვა-ლოცვა, ყოველი წესი და საღმრთო მოქმედება ისრე არის დაწყობილი და დაწესებული ეკკლესიაში, რომ შენ ისწავლო შენი სჯული, ჭკუა განგენათლოს და შეიქმნე კეთილი ქრისტიანე. ოღონდ ეცადე, გულის ხმიერად ისმინე, რაც ეკკლესიაში საღმრთო წიგნებს კითხულობენ და უთუოდ შეიტყობ და ისწავლი, რაც საჭირო არის შენთვის. აქ გაიგონებ და შეიტყობ როგორ დაბადა ღმერთმან ცა და ქვეყანა ექვს დღეს; როგორ შექმნა მიწისაგან ღმერთმან პირველნი კაცნი, ჩვენნი წინაპარნი, ადამ და ევა, მისცა მათ სამოთხე, მშვენიერი საცხოვრებელი: როგორ მოხდა ცოდვა ადამ და ევასი; როგორ განაგდო იგინი ღმერთმან ედემითგან; როგორ მას შემდეგ კაცი დაეცა, შეიქმნა ცოდვილ და ღვთის წინააღმდეგ, როგორ სცდილობდა ღმერთი კაცის მოქცევასა, განათლებასა, ცხოვრებასა. ღმერთმან მოუვლინა კაცთა წინასწარმეტყველნი, მისცა სჯული ძველისა აღთქმისა; აღუთქვა მოვლინება ქვეყანაზედ მხსნელისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი. სახარებითგან შევიტყობთ, როგორ მოვიდა ქვეყანაზედ უფალი ჩვენი, ძე ღვთისა, იშვა ქალწულისაგან, მოგვცა ახალი აღთქმა სახარებისა, მოგვცა ქრისტიანობა, შემდგომ თავის თავი შესწირა ჩვენთვის ჯვარცმითა, სისხლითა აღხოცა ჩვენნი ბრალნი, შეგვარიგა ღმერთთან, შეგვაერთა მასთან; – მოკლედ, ამას ყოველსა და სხვასაცა, რაიცა საჭირო არს, შეიტყობ და გაიგებ, თუ კარგად ისმენ წირვა-ლოცვასა.

მეორედ, ეკკლესია არის შენი განმწმედელი, მაცხოვნებელი. რა ნაირად? ჩვენ ყოველნი ცოდვილნი ვართ, ცოდვასა შინა განვატარებთ დღეთა ჩვენთა; გარნა რა ნაირად, ანუ რა სახით მოგვცემს ეკკლესია მოტევებასა ცოდვათასა? იმ სახით, რომელ კაცმან ცოდვილმან უნდა მოინანოს ცოდვა თვისი, ღმერთს უნდა მოსთხოვოს შენდობა; ხოლო უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, ჩვენთა ცოდვათა განსაწმედელად, მისცა წმიდასა ეკკლესიასა შვიდნი საიდუმლონი: ნათლის-ღებითა შენ შეიქმენ ქრისტიანე; უკეთუ ნათელ-ღებული კაცი შთავარდა ცოდვაში, განიწმიდება წინაშე ღვთისა მონანებითა და აღსარების თქმითა; აღსარება მისთვის დააწესა ღმერთმან, რომელ კაცი ცოდვილი შევა მონანებაში, აღუთქვამს ღმერთსა, რომელ ამიერითგან აღარა იქმს იმ ცოდვას და მიიღებს განტევებასა და შენდობასა თვისთა ცოდვათა. გარნა აღსარება ყოველ კვირას არ შეგიძლიან სთქვა, ხოლო ვედრება, მონანება შეგიძლიან ყოველს წირვაზედ შესწირო ღმერთსა. ბოლოს, ისიც დიდი საქმე და სულიერი სარგებლობა არის, რო-

მელ ეკკლესია თქვენი შემაერთებელი სიყვარულის და ერთობის მასწავლებელია. სოფელში ყოველი კაცი თავისთვის ცხოვრებს და სცდილობს, ყოველს კაცს აქვს თვისი საკუთარი საქმე, ყოველი კაცი ეძიებს თავის საკუთარს სარგებლობასა, ყოველს კაცს თავისი საკუთარი სახლი აქვს, საკუთარი ყანა, საკუთარი საქონელი. ერთი სიტყვით, სოფელი და სოფლიური საქმე კაცს კაცისაგან განყოფს, განაშორებს, ხშირადაც გადაამტერებს, ხოლო ეკკლესია არა თუ განყოფს, არამედ შეაერთებს, დაახლოვებს, შეაყვარებს კაცს კაცთან. რა ნაირად მოგვცემს ამას ეკკლესია და რა სახით გვასწავლის? იმ სახით, რომელ ეკკლესიაში ყოველნი ერთნი ხართ, ეკკლესია ყოველთა-თავის ერთს წირვას, ერთს ლოცვას და ერთს მოქმედებას აღასრულებს. ერთი ემბაზისაგან გცემს ყოველთა ნათელს, ერთი ბარძიმისაგან გაჭმევს ხორცსა ღა გასმევს სისხლსა ქრისტესსა. წარმოიდგინე, როგორ დაშორებული არის სოფელში მდიდარი ღარიბისაგან, შემძლებელი უღონოსაგან, და დიდი მცირისაგან, გარნა აქ, ეკკლესიაში, ყოველნი ერთ-ხართ და ერთად-ერთი ლოცვა გესმისთ, ერთს წესს და საიდუმლოს მიიღებთ ყოველნი. აჰა, რა სახიერი და კეთილის-მოქმედი არის ჩვენთვის ეკკლესია, გარნა, თუ გსურს, ესე ყოველი მიიღო მისგან, იყავ ერთგულ და მორჩილ მისი.
– ამინ.

მოძღვრება

თქმული ოსთადმი კუდაროს ხეობის ეკკლესიაში. (*).

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა

მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! თქვენ, ამ ხეობის მცხოვრებნი, შეწევნითა, მადლითა და მოწყალებითა ღვთისათა ახლა ხართ ქრისტიანენი მართლ-მადიდებელნი. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ღმერთმა მოგცა თქვენ განათლება ქრისტეს სჯულითა და ზოგნი თქვენგანნი ახლაც არ არიან მონათლულნი, გარნა მამანი თქვენნი უწინდელს ძველს დროებაში ქრისტიანენი იყვნენ და მართლ-მადიდებელნი. ეს კარგად იცით თქვენცა ყოველთა. ის ძველი ეკკლესია, რომელსაც თქვენ ჰხედავთ მახლობლად ამ სოფლისა, და რომლისა

თქვენ ესოდენი შიში და მორჩილება გაქვსთ, რომ ყოველთვის შესწირავთ მსხვერპლსა, და რაც შესაწირავი შედის, ფულით ანუ ნივთით, ვერავინ ვერ გაბედავს ხელი ახლოს, თუმცა არც კარი აქვს ახლა იმ ეკკლესიას, არც კლიტე, და არათუ იმ ეკკლესიაში, შიგნით, არამედ რაც გარემოს იმ ეკკლესიის ხეები არის, ვერავინ ვერ გაბედავს ხელი ახლოს და იქითგან გამოიტანოს რაიმე. – ეს ძველი ეკკლესია კარგად გაჩვენებს თქვენ, რომელ აქ ძველთაგანვე იყო ქრისტიანობა, მამანი თქვენნი ქრისტიანენი იყვნენ. როგორ მოხდა, რომ ქრისტიანობა თქვენ შორის მოისპო მერმედ? ეს მოხდა ცუდი დროებისაგან; ამ მთებში, აგრედვე მრთელს იმერეთში და საქართველოში იყო არეულობა, ომი, ჩხუბი მტერთაგან, ყოველი სწავლა და სჯული დამცირდა და შემდგომ დაიკარგა თქვენ შორის, ვინაითგან აღარ გყავდათ მართლ-მადი-

---

*) მთარგმნელი ოსურად ეტყოდა მსმენელთა.

დებელნი მღვდელნი. გარნა აწ ღმერთმან მოგვცა კვალადვე მშვიდობა და უშიშროება მტერთაგან, ახლა მთავრობამან კვალადვე გამოგიგზავნა მღვდელი და სცდილობს, რომ იყოს უწინდელსავით ქრისტიანობა და განათლება თქვენში.

გარნა, ძმანო ჩემნო, ვინაითგან თქვენ ახლა მოინათლენით, გაქრისტიანდით, მაშ ეცადეთ, რომ შეიტყოთ, თუ რაი არს ქრისტიანობა, როგორი უნდა იყოს ქრისტიანე ცხოვრებითა თვისითა. მარტო ის კი არ არის საკმაო, რომ კაცი მოინათლოს და ზოგჯერ ეკკლესიაში შევიდეს და პირ-ჯვარი გადაიწეროს. მარტო სახელით კი არ უნდა იყოს კაცი ქრისტიანე, არამედ უმეტესად საქმით.

რაი არს ქრისტიანობა, ანუ ვინ არის ჭეშმარიტი ქრისტიანე? ქრისტიანობა ჭეშმარიტი მდგომარეობს ორს საგანში: პირველად, მართალს და ჭეშმარიტს აზრში ღმერთზედ და კაცზედ, და მეორედ, კეთილსა და წმიდა ცხოვრებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანე ის არის, ვისაც აქვს ორი ესე: მართალი, ჭეშმარიტი სარწმუნოება და კეთილი ცხოვრება. სითგან შეგიძლიანთ თქვენ შეიტყოთ, ისწავლოთ და მიიღოთ მართალი და ჭეშმარიტი აზრი ქრისტეს სჯულზედ? ეს შეგიძლიანთ მიიღოთ ამ ეკკლესიისაგან და ამ თქვენი მოძღვრისაგან. ეკკლესია, ძმანო ჩემნო, იმისთვის არის აღშენებული, რომ ქრისტიანეთა იარონ იმაში და ისწავლონ ლოცვა, მიიღონ განათლება და ჭეშმარიტი ცნობა თავის სჯულზედ. ეკკლესიაში ყოველს წირვა-ლოცვაზედ იკითხავს მკითხველი საღმრთო

წერილსა, ესე იგი, იმ წიგნებს, რომელნიც სულის წმიდის შეგონებით და სწავლით დასწერეს წმიდათა წინასწარმეტყველთა და წმიდათა მოციქულთა. იმ წიგნებში ყოველივე კარგად არის დაწერილი, რაც უნდა იცოდეს კაცმან ღმერთზედ, კაცზედ, ქვეყნიურსა და ზეციურზე. ეკკლესიაში წარიკითხვენ სხვა და სხვა ლოცვებსა: ამ ლოცვებთაგან სხვაზედ უფრო გულის-ხმიერად უნდა ისმინოთ ის მოკლე ლოცვა, რომელიც დაიწყება ესრედ: **მრწამს ერთი ღმერთი, მამა...** ეს ლოცვა, მე უბრძანებ მღვდელსა, თქვენს ოსურს ენაზედ წაიკითხონ ყოველს წირვაზედ. თუ კარგად გაიგონებთ ამ ლოცვას, მაშინ შეიტყობთ, რაი არს ქრისტიანობა, რა უნდა სწამდეს ქრისტიანეს. იქ არის თქმული რომელ ჩვენ უნდა გვწამდეს ერთი ღმერთი, სამთა განუყოფელთა პირთა შინა: მამა, ძე და სული-წმიდა. იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მოვიდა ქვეყანაზედ, ყოვლად-წმიდა ქალწულისაგან მიიღო ჩვენი კაცობრივი ბუნება, სცხოვრებდა კაცთა შორის, პალესტინის ქვეყანაში; გვასწავლა სჯული, მოგვცა სახარება; მერმე ჩვენთვის იტანჯა, ჯვარსეცვა. მესამესა დღესა საფლავითგან აღსდგა, ამაღლდა ზეცას. ვინც იმას შეიყვარებს, იმის სიტყვას მიიღებს, ნათელს-იღებს, მისს მცნებას აღასრულებს, იგი არის ქრისტიანე, მას თვითონ იესო ქრისტე იშვილებს, ძმად აღიყვანს და მომავალს საუკუნესა შინა მისცემს დაუსრულებელს ნეტარებასა. ამას ყოველსა და სხვასაც რაც საჭირო არის, გაიგონებ და დაისწავლი ეკკლესიაში.

გარნა, ძმანო ჩემნო, ისიც უნდა გახსოვდესთ, რომელ რათგანაც მოინათლენით და ქრისტიანენი ხართ, უწინდელნი თქვენნი, რაც გქონდათ, ცრუ და შეცდომილნი აზრნი და ჩვეულებანი უნდა დაუტევოთ, დაივიწყოთ და უარ-ჰყოთ. მრავალნი ცუდნი და შეცდომილნი აზრნი გქონდათ თქვენ და ახლაცა, სამწუხაროდ, გაქვსთ. მე გეტყვი თქვენ მხოლოდ ერთს მაგალითს: ვისაც სურს თქვენ შორის შეარცხვინოს ვინმე ანუ სიმართლე რაზედმე შეიტყოს იმისაგან, აღიღებს დამხრჩვალსა კატას, ანუ ძაღლს, ანუ სახედარს და ჩამოჰკიდებს იმის სამამაპაპოს საფლავზედ. ამისთანა სასირცხო ჩვეულებაზედ ისეთი მორიდება გაქვსთ და რწმუნება, რომელ დიდ-ფასს მისცემს ზოგიერთი, რომ არ უყოს კაცმა ეს საქმე. ეს ჩვეულება, ძმანო ჩემნო, საშინელი უგუნურება არის და თუ არ მოიშალეთ იგი, არ იქმნებით ქრისტიანენი. ქრისტიანეთა ესრედ ჰრწამსთ: ვინც ჯვარზედ და სახარებაზედ სიცრუეს იტყვის, საუკუნოდ ჯოჯოხეთში შთავარდება. რაღა გინდათ ამაზედ უმეტესი!

ახლა ის ვსთქვათ, როგორ უნდა სცხოვრებდეს ჭეშმარიტი ქრისტიანე, რა ყოფა-ქცევისა უნდა იყოს? ვისაც სურს ნამდვილ ქრისტიანულად იცხოვროს, მან ორგვარი სიყვარული უნდა შეიძინოს გულითა თვისითა: ერთი ღვთისა და მეორე კაცისა, ესე იგი, ღმერთი უნდა შეიყვაროს ყოვლითა გულითა თვისითა და კაცი როგორადაც თავი თვისი. რა არის ღვთის სიყვარული? ღვთის სიყვარული ის არის, როდესაც შენ გახსოვს, რომ ღმერთი არის შენი მამა და შემოქმედი, ყოველთვის გხედავს შენ, ესმის ყოველი შენი სიტყვა, გასინჯავს შენს გულს, და თუ ესრედ გახსოვს, სცდილობ, რომ ყოველი მისი ბრძანება და მცნება აღასრულო. რა არის კაცის სიყვარული, ეს მოკლედ გამოგვიცხადა უფალმან იესო ქრისტემან: რაც გინდა, რომ გიყოს შენ კაცმან, შენც ის უყავი კაცსა; შენ, რასაკვირველია, გსურს და გიამება, რომ ყოველმან კაცმან შეგიყვაროს, ნუგეში-გცეს, პატივი-გცეს შეგეწიოს გაჭირვების დროს; შენც ისრე უყავ ყოველს კაცს და მაშინ იქმნები ჭეშმარიტი ქრისტიანე.

გარნა, ძმანო ჩემნო, აქაც უნდა გითხრა, რომელ თქვენ შორის აქამომდე არიან ბევრნი ცუდნი ჩვეულებანი, რომელნი თქვენ მაშინ ისწავლეთ, როდესაც აღარ იყო თქვენში ქრისტიანობის ნათელი, და ახლა რათგანაც ეს ნათელი ღმერთმან კვალადვე მოგივლინათ, უნდა დაივიწყოთ. პირველად, აქამომდე ისმის თქვენ შორის ქურდობა, რომელიც არის დიდი სირცხვილი და საძაგლობა. კარგი კაცი და საქები ქრისტიანე ის არის, რომელიც თავის ხელით, თავის მუშაობით თავის თავს და თავის ოჯახს არჩენს. ღმერთმან ისრე დაუნიშნა კაცს, რომელ ოფლითა თვისითა სჭამდეს პურსა თვისსა. რა წესი, ან რა ცხოვრება იქმნება სოფელში, რომ შენს მეზობელს შენ მოპარო და წაართვა და შენმა მეზობელმაც შენ მოგპაროს და წაიღოს? ვიღას შეუძლიან მაშინ ცხოვრება ქვეყანაზედ? არა, ძმანო ჩემნო, ეცადეთ და მოსპეთ ეს სირცხვილი თქვენ შორის, რომ მეზობელნი თქვენნი აღარ იტყოდენ თქვენზედ ცუდსა და სირცხვილსა.

მეორედ ცუდი ჩვეულება ის გაქვსთ, რომ მიცვალებულის ხსენებასა ზედა არა გაქვსთ ზომიერება, ურიცხვს საქონელს დაკლავთ, ურიცხვს სტუმარს მოუწოდებთ, დაითვრებით, წაეჩხუბებით ერთი მეორესა. ზოგიერთი თითქმის კიდეც გაღარიბდა ამ ჩვეულებისაგან. არ არის, ძმანო, ეს კარგი ჭკუა. მოსპეთ ეს ჩვეულება, რომელიც ხორციელადაც გავნებსთ და სულსაც წარსწყმედს.

ძმანო ჩემნო, მე მისთვის მივიღე ესოდენი შრომა, ესო-

დენი გზა და მთები გამოვიარე, რომ მსურდა თქვენი ნახვა და დარიგება. თუ ჩემს სიტყვას დაიმარხავთ, თქვენთვისაც კარგი იქნება და მეც მიამება. გარნა მე მრავალჯერ ვერ გნახავ თქვენ; ყოველთვის თქვენთან ვერ ვიქმნები. ჩემს მაგივრად ეს თქვენი მღვდელი და მოძღვარი დამიტევებია აქ. მაგისი დარიგება და სიტყვა ისმინეთ და აღასრულეთ. ის ცუდს არაფერს არ გასწავლისთ, არამედ ყოველსავე თქვენს სასარგებლოს გეტყვისთ. – ამინ.

სიტყვა

სოფელს სვირის ეკკლესიასა შინა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

როდესაც მე ვსწირავ ზოგიერთი სოფლის ეკკლესიასა შინა, ხშირად მაქვს გული შეწუხებული და მწუხარე, მისთვის, რომელ ვიცი და მესმის ცუდი ამბავი იმ სოფლის მცხოვრებთა ქრისტიანეთა ზედა, მესმის მათი ცუდი ყოფა-ქცევა, უწესოება, სჯულის წინააღმდეგობა, უკმაყოფილება მრევლსა და მოძღვარს შორის. გარნა, როდესაც მე მომიხდება წირვა ამ თქვენს ეკკლესიაში, მე ვარ მხიარული და გულს მოდგინებით ვასრულებ წირვის წესსა. რისთვის? – მისთვის, რომ თქვენზე არ მესმის ცუდი ამბავი, არამედ მესმის და კიდევაც ვხედავ, რომელ, ღვთის მადლით და ღვთის შეწევნით, თქვენ შორის არის ნიშნები კეთილისა ქრისტიანობისა.

პირველად, თვით ეს ეკკლესია, ყოველთა სხვათა სოფლის ეკკლესიათა უდიდესი და უმჯობესი, თქვენის ერთგულებით აღშენებული წინედ ამისა და ახლა კიდევ შესაფერი სამრეკლო, დაწყებული და თითქმის გათავებული, ცხადად ამტკიცებენ, რომელ თქვენ გაქვსთ დიდი სასოება და ერთგულება ღვთისა. გარნა ეკკლესიის და სამრეკლოს აშენება არასფერს დაამტკიცებდა, თუ სხვაფერაც კარგნი არ ყოფილიყავით. ჩემთვის ის უფრო არის სანატრელი და სანუგეშო, რომელ თვით ამ თქვენს დიდს სოფელში სუფევს მშვიდობა და მყუდროება, არ მესმის, რომ თქვენ შორის იყოს შფოთი, შუ-

რი და ცილობა, არამედ მესმის, რომ თქვენ გიყვარსთ მყუდ-
რო ცხოვრება, კვირას და დღესასწაულს დღეს წირვა-ლოც-
ვაზედ სიარული და, რომელიც ჩემთვის უმეტესად არის სასი-
ამოვნო, თქვენ გაქვსთ ერთგულება და მორჩილება წინაშე
სულიერთა თქვენთა მოძღვართა. დიდი სიკეთე არის და დი-
დი მადლი, ძმანო ჩემნო, როდესაც მოძღვართა და მოწაფეთა
შორის სუფევს თანხმობა და სიყვარული! მაშინ ქრისტიანუ-
ლი სჯულიც უკეთესად აღსრულდება. გარნა, სადაცა არ არის
თანხმობა და ერთგულება მღვდელთა და ერთა შორის, იქ
ქრისტიანული წესი ვერ აღსრულდება კეთილად. რა სახით
უნდა აღასრულოს მოძღვარმა თვისი მოვალეობა, თუ კი მის
მოწაფეს არ აქვს მორჩილება და არ ისმენს მისსა დარიგებასა.
სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენს ქვეყანაში ხშირად და უსაფუძვლოდ
იციან ერის კაცებმა მოძღვართა ზედა საჩივარი და უკმაყოფი-
ლება; გარნა ამ თქვენს დიდს სოფელში არ გამიგონია ჯერედ
ესრედი ამბავი. ამაზედ მე ვმადლობ ღმერთსა და თქვენც მო-
გილოცავ ამას. ძმანო, ეცადეთ, რომ ყოველთვინ ესრედ იყოს
თქვენ შორის.

ახლა, ძმანო, ქრისტიანენო, ისმინეთ მოკლე განმარტე-
ბა დღეს წარკითხულის სახარებისა. ვინც კარგად ყური დაუ-
გდო დღეს წარკითხულს სახარებას, იმას უთუოდ ახსოვს, რა
დიდი და საკვირველი სასოება და სარწმუნოება ქონდა ერთს
საწყალს უბრალო დედა-კაცს. იგი დიდი ხნითგან იყო სნეუ-
ლი; ვერც ერთმა ექიმმა ვერ მოარჩინა იგი. მაშინ მან გაიგო-
ნა იესო ქრისტეზე, რაოდენსა სასწაულსა იქმოდა იგი. პირ-
დაპირ ვერ გაბედა მისვლა და თხოვნა შემწეობისა, არამედ
იფიქრა თავის გულში: საკმაო იქმნება, რომ მისს შესამოსელს
უკანითგან ხელი ვახლოო; მართლა, მიეახლა იგი და უკანი-
თგან ხელი შეახო იესო ქრისტეს შესამოსელსა და მაშინვე
მორჩა სნეულობისაგან. აჰა, რა ცხოველი სარწმუნოება ქონ-
და უბრალოსა მას დედაკაცსა!

სარწმუნოება, ძმანო, ორ ნაირი არის: ერთი ცხოველი,
მეორე მკვდარი. ცხოველი სარწმუნოება ის არის, რომელიც
მოქმედებს კაცის გულში, დაიმორჩილებს კაცის ნებას და ხა-
სიათსა, გაანათლებს და გააცოცხლებს მისსა გულსა და სულ-
სა, ცოდვას მოაძულებს და კეთილს საქმეს შეაყვარებს. მკვდა-
რი სარწმუნოება ის არის, რომელიც გულში არ მუშაობს,
ვერცა ერთსა კეთილსა საქმესა ვერ შეაგონებს და ვერ აქმნე-
ვინებს; ერთი სიტყვით, საქმით არ გამოსჩნდება. ზოგიერთს
ქრისტიანე კაცს რომ შეხედავ, ვერაფრით ვერ შეატყობ, აქვს
თუ არა სარწმუნოება. საყდარშიც დადის, პირჯვარსაც იწერს,

მაგრამ საქმე და ყოფა-ქცევა მისი არ აცხადებს მისსა სარწმუ-
ნოებასა; გული ცივი აქვს, ცოდვას არ ერიდება, ღვთის ნე-
ბაზედ არ დადის, არამედ თავის ბოროტს სურვილს ასრულებს;
ზოგიერთი მოუნათლავი თათარიც კი სჯობია მას ყოფა-ქცე-
ვით. არა ესრედ იქცევა ის კაცი, რომელს აქვს გულში ცხო-
ველი სარწმუნოება! გული მისი არის მხურვალე ყოველს კე-
თილს საქმეზე; ფრთხილად გაარჩევს ცოდვასა და მადლსა და
სხვა კაცშიაც რომ ნახავს რომელსამე კეთილს საქმეს, უხარია;
არავის არ ატყუებს, არავის არ აჭირვებს, არამედ არის ყო-
ველს კაცთან ლმობიერი და მოწყალე. ვევედროთ, ძმანო,
ღმერთსა, რომ მან გააცოცხლოს ჩვენს გულში სასოება და
სარწმუნოება. – ამინ.

სიტყვა,

თქმული გურიაში სოფლის ბახვის ეკკლესიის კურთხე-
ვაზედ, ჩყდზ-სა წელსა, სეკტ. ᲘᲗ-სა.

მოგილოცავ, მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო,
აწინდელსა დღესასწაულსა ამას, რომელი დღეს შეიქმნა თქვენ-
თვის ას-წილ უდიდეს და აღსავსე სიხარულითა ახლისა ამის
თქვენისა ტაძრის კურთხევითა. დარწმუნებული ვარ და კიდეც
ვხედავ თვალითა ჩემითა, რომელ დღეს თქვენ ყოველთა და
უმეტესად ამ სოფლის მცხოვრებთა დიდი სიხარული და მხია-
რულება გაქვსთ გულთა შინა თქვენთა, რათგანაც ხედავთ, რო-
მელ გრძელ-ჟამიერი თქვენი შრომა ამ საყდრის აშენებაზე
დღეს დაგვირგვინდა მით, რომ ეღირსეთ წირვის მოსმენასა
მას შინაი მეცა მონაწილე ვარ, საყვარელნო მემამულენო ჩემ-
ნო, გულწრფელისა ამა თქვენისა სიხარულისა, ვინაითგან
ვიყავ მოზიარე მეცა შრომისაცა და მოღვაწებისა თქვენისა
აღშენებასა შინა მისსა. ჭეშმარიტად, დიდი სიხარული და მხი-
არულება გვმართებს ღვთის წინაშე დღეს ჩვენ ყოველთა; აღუ-
რაცხველი მადლობა უნდა შევსწიროთ მოწყალესა ზეციერსა
მამასა, რომელმან მოგვცა ჩვენ ღონე და ძალა მოყვანებად სი-
სრულესა შინა დიდისა ამის საქმისა. მრავალი წელიწადი გა-
დიოდა, რაც თქვენ თვითონ ხედავდით, რა სიჭირო იყო ამ
სოფელში ნაცვლად დაძველებულისა და ვიწროისა უწინდე-

ლისა ეკკლესიისა აღშენება ახლისა და ვრცელისა, გარნა სი-
ღარიბე და სისაწყლე თქვენი დიდხანს გაშინებდათ და გიშლი-
დათ თქვენ დაწყებად ამ საქმისა. ბოლოს, არა მიმხედველნი
თქვენისა სიღარიბისა და ყოვლითა მხრით შეუწევნელობისა,
თქვენ კიდეც დაიწყეთ ერთი მცირე ეკკლესიის შენობა; გარ-
ნა იგი უცბად დაირღვა და დაგტოვა თქვენ უმეტესსა მწუხა-
რებასა და სასოწარკვეთილობასა შინა. იქმნება მაშინ ზოგი-
ერთი თქვენ შორის მხედველი ესრედისა სამწუხაროისა საქმი-
სა, კიდეც ფიქრობდა თავის გულში: რისთვის და რა სახით
დაგვემართა ეს უბედურებანი? ნუ თუ ღმერთს არ სურს, რომ
აღშენდეს აქ ახალი ეკკლესიაო? გარნა ღმერთმან, რომელი
ხედავს მომავალსა, ვითარცა აწინდელსა, წინადვე იცოდა, რო-
მელ ჟამთა ცვლილებისაგან გამოსჩნდებიან ახალნი გარემოე-
ბანი, რომელნი შეგაძლებინებენ თქვენ აღგებად აქ უმჯობესი-
სა ეკკლესიისას და აჰა-ესერა, შეწევნითა ღვთისათა, აღეგო
ახალი ესე და უმშვენიერესი ეკკლესია. აწ უკვე გულითადი
მადლობა შევსწიროთ მაცხოვარსა ჩვენსა, უფალსა იესო ქრი-
სტესა, და ყოვლად წმიდასა დედასა მისსა, რომლისა სახელი
წოდებულ არს ტაძარსა ამას ზედა.

გარნა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ღმერთს მადლობას მარ-
ტო ენით არ უნდა შევსწირვიდეთ, არამედ საქმითაც. როდის
და რა სახით გამოსჩნდება, რომ ჩვენ ჭეშმარიტად ახლა ღვთის
მადლობელნი ვართ? ეს გამოსჩნდება მაშინ, როდესაც ჩვენ
კეთილგონიერად ვისარგებლებთ ამ საყდრითა, როდესაც ეს
საყდარი მოგვცემს ჩვენ სულიერსა სარგებლობასა. რისთვის
აღაშენეთ თქვენ ეს საყდარი? რისთვის მიიღეთ ესოდე-
ნი შრომა და რად გიხაროდათ, როდესაც ხედვიდით წარმა-
ტებასა და აღსრულებასა მისსა? ნუთუ სასიქადულოდ და თა-
ვის საქებლად აღაშენეთ ეს საყდარი? ღმერთმა ნუ ქმნას! მა-
შასადამე, რისთვის აღაშენეთ იგი? ვგონებ მისთვის, რომ რო-
მელსამე სიკეთესა და სარგებლობასა მოელოდით ამ საყდრით-
გან. რა მადლი, რა სიკეთე მიეცემა კაცს ეკკლესიისაგან, ამა-
ზე ახლა მოკლედ ვიფიქროთ.

პირველად კაცი, რომელი ერთგულად და გულსმოდგი-
ნედ ივლის საყდარში და ისმენს წირვა-ლოცვასა, მხურვალი-
თა გულითა და სასოებითა ევედრება ღმერთსა, ყურად-ღებით
და გონიერად ისმენს ყოველსა, რასაც საყდარში წაიკითხვენ,
რასაც გაიგონებს, სცდილობს, რომ ახსოვდეს და ისე მოიქ-
ცეს თავის სახლში, როგორც ეკკლესიაში გაიგონა; ის კაცი
ცოტ-ცოტად სრულიად გამოიცვლება და უმჯობესი და უკე-
თესი კაცი შეიქმნება ჭკუა და გონება მისი განათლდება, რათ-

განაც ყოველს წირვაზე ესმის საღმრთო წერილისაგან მრავალი ღვთიური აზრი და მცნება, რომელთა ისეთი ძალა და მადლი აქვსთ, რომ სრულიად შესცვლიან და გააკეთებენ კაცის ბუნებასა. გული და ხასიათი მისი გაკეთდება; რაც ცუდი ჩვეულება და ზნე სჭირს, იმას ცოტ-ცოტად დაივიწყებს და, ნაცვლად ამისა, მიიღებს პატიოსანსა და კეთილსა ხასიათსა. ადამიანს, ძმანო ჩემნო, ისრედი ბუნება აქვს, რომელ თუ ყოველს დღეს თავის თავს თვითან არ უფრთხილდება, ანუ თუ ერთი ვინმე სხვა ყოველთვის არ აღვიძებს, არ შეაგონებს, არ ასწავლის, მაშინ იგი თან-და-თან ფუჭდება, ბოროტდება და ბოლოს შეიქმნება მონა ცოდვისა. ეკკლესია მისთვის შენდება, მისთვის უნდა ვიაროთ წირვა-ლოცვაზე, რომელ იქ საღმრთო წერილის მოსმენითა, წირვის და ლოცვის წესდებულებითა, ეკკლესიაში წმიდანების და სიწმიდის ხედვითა, გაიღვიძოს ჩვენს გულში ღვთის მადლმან, სიწმიდემან, სათნოებამან და დასუსტდეს და განქარდეს ყოველი ღვარძნილი და წინააღმდეგი ჩვეულება.

მრავალნი ბოროტნი ჩვეულებანი და ქრისტიანობის წინააღმდეგნი ზნეობანი გვაქვს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, ამ მცირე გურიის მაზრაში მცხოვრებთა. იქმნება კიდეც გაგიკვირდესთ თქვენ და გეწყინოსთ, მაგრამ მაინც ვიტყვი და ვგონებ ნამეტანი არ იქმნება ეს თქმა: ჯერედ არც კი გაჩენილა ჭეშმარიტი ქრისტიანობა გურიაში. ათასი წელიწადი მეტია, რაც ეს ქვეყანა მოინათლა, მაგრამ ქრისტიანობა ჯერეც არ არის აქ დამყარებული. მართალია პირჯვრის დაწერა კი ვიცით, საყდარში კი დავდივართ, მაგრამ ქრისტიანობა არ არის ჩვენში. ფიცხელია ეს სიტყვა, მაგრამ როდესაც დაუკვირდებით საზოგადოდ აქაურსა ზნეობითსა მდგომარეობასა, როდესაც ვიფიქრებთ ერთი მხრით, როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ქრისტიანე და მეორე მხრით ვნახავთ, რა სახით ცხოვრობენ აქაურნი ქრისტიანენი, მაშინ თითქმის არ იქმნება ეს ნამეტანი სიტყვა. რით გაირჩევა ჭეშმარიტი ქრიატიანული საზოგადოება სხვათა ურწმუნოთა საზოგადოებათაგან? უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან უბრძანა მოწაფეთა თვისთა: **ამით სცნან ყოველთა, რამეთუ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ-არს.** აჰა, ქრისტიანობის ნიშანი! რომელს ქვეყანაშიც, ანუ სოფელშიც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა, იქ უნდა იყოს სიყვარული, ერთობა, ერთგულება, გარნა ნაცვლად ამისა აქ ჩვენ ყველგან ვხედავთ შურსა, სიძულილსა, განხეთქილებასა და შფოთსა. თუმცა ყოველნი მონათლულნი ვართ, ჩვენ ყოველნი ქრისტიანედ უწოდებთ თავთა ჩვენთა,

გარნა სული და ბეჭედი ქრისტიანობისა, ესე იგი, სიყვარუ-
ლი ღვთისა და მოყვასისა არ არის ჩვენში. ამასთანავე ერთი
საშინელი ცუდი თვისება გვაქვს ჩვენ, საკუთრად გურულებს.
გურული კაცი არის საშინლად გულფიცხელი და მოუთმენე-
ლი და გულფიცხელობითა თვისითა მრავალგზის შთავარდება
საშინელთა ცოდვათა შინა. რამდენჯერ მომხდარა ამ ჩვენს
მცირე ქვეყანაში, რომელ ერთი უბრალო სიტყვის თქმისა-
თვის კაცს კაცი მოეკლას.

ძმანო ჩემნო! რათგანაც ესრედ დაცემულია ამ ჩვენს ქვე-
ყანაში ქრისტიანობა და კეთილი ზნეობა, ახლა მაინც გავი-
ღვიძოთ მადლითა და შემწეობითა ახლისა ამის ტაძრისათა,
და ვითარცა იგი იქმნა დღეს განახლებული, ეგრედცა ჩვენ
განვახლდეთ ზნეობითა.

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო! ვითარცა ცხოველს-მყოფელ-
მან მადლმან შენმან აკურთხა და განაახლა საყდარი ესე, ეგ-
რედვე განაახლე ცხოვრებაცა ჩვენი მეოხებითა ყოვლად-წმი-
დისა დედისა შენისათა; ჰყავ, რათა დღეს იქმნეს დასაბამი მო-
ქცევისა ჩვენისა, განახლებისა და სულიერისა წარმატებისა;
განსწმიდე ზნეობა ჩვენი უგვანი, რათა აღარა ვიქმნეთ ამიერით-
გან ბრმანი, ბოროტნი, ურთი-ერთისა დამჩაგვრელნი და მჭა-
მელნი, არამედ შევიყვაროთ ერთობა, გვიყვარდეს ღმერთი და
მოყვასი ჩვენი; დაამშვიდე და დაალბე ფიცხელი გული ჩვენი,
და მოგვეც ჩვენ ნაცვლად მისა სიმდაბლე და შემუსვრილება
გულისა, რათა ვიყვნეთ ჩვენ ამიერითგან ჭეშმარიტნი ქრისტია-
ნენი საქმითა და არა მხოლოდ სიტყვითა. – ამინ.

მოძღვრება

თქმული რაჭის უეზდის სოფლის ცახის ეკკლესიის კურთ-ხევაზედა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანნო!

მოგილოცავ კურთხევასა ახლისა ამის თქვენის შრომით
და წარსაგებელით აშენებულის ეკკლესიისასა! ვსთხოვ ღმერთსა,

რომ ახალმან ამან ეკკლესიამან განაახლოს სულიერიცა თქვენი ცხოვრება, მოგცეს განათლება, მოგიმატოს მადლი და ნუგეში ზეციერისა მამისა. უეჭველი არის, რომ კიდეც ესრედ მოხდება, თუ თქვენი მხრითგანაც არ დააკლებთ მეცადინეობასა და გონიერად ისარგებლებთ ახლისა ამის ეკკლესიისაგან, და არა ისრე, როგორც აქამომდე სარგებლობდით. სამწუხაროდ, არა თუ თქვენ, არამედ თითქმის ყოველგან ჩვენს ქვეყანაში ეკკლესიას ისე ვერ ეპყრობიან, როგორც ჯერ არს, ამისთვის სულიერიცა სარგებლობა მცირედი აქვსთ ქრისტიანეთა ეკკლესიისაგან თქვენ კიდევ სხვათა უმეტესად იყავით მოკლებული ეკკლესიის მადლისაგან: უწინდელი თქვენი ეკლესია იყო ერთობ ვიწრო, შორს და მაღალს გორაზე აშენებული; ვერც მოხუცებულნი, ვერც ყმაწვილნი, ვერც დედაკაცნი ადვილად ვერ დადიოდნენ ძველს საყდარში, ავს ტაროსში და სიცივეში სულ ვერავინ ვერ მიდიოდა. ამისთვის იმ ეკკლესიას თითქმის არაფერი მნიშვნელობა არა ქონდა თქვენთვის. თქვენ თვითონ ხედავდით და გრძნობდით ამას და, დიდი ხანია, გსურდათ აშენება ახლისა ეკკლესიისა მარჯვე, დაბალს ადგილზედ და აჰა, შეწევნითა ღვთისათა, დღეს აღსრულდა თქვენი სურვილი. ეს ახალი ეკკლესია არის მახლობლად თქვენდა; ამასთანავე საკმაოდ ვრცელი, მაშასადამე ყოველს კაცს შეუძლიან მოვიდეს და მოისმინოს წირვა-ლოცვა.

გარნა, როგორც წინედ ვსთქვით, თუ კაცმა არ იცის ჯეროვნად მოხმარება და სარგებლობა ეკკლესიისა, სიარული ეკკლესიაში და წირვა-ლოცვის მოსმენა მისთვის დარჩება უსარგებლოდ. ვინც ეკკლესიაში მოვა და წირვა ლოცვას ისმენს დაფანტულითა გონებითა, ეკკლესიითგან რომ გავა, არაფერი მადლი არ გაყვება; ზოგიერთნი საცოდავნი, უსწავლელნი კაცნი ისრე ფიქრობენ, რომ ოღონდ წირვას დაესწროს, ორიოდე პირჯვარი დაიწეროს, მეტი არასფერი საჭირო არ არისო. რას კითხულობენ ეკკლესიაში და რას გალობენ? რა დარიგება, რა აზრები იყო წარკითხულსა სახარებასა და სამოციქულოში, რას ნიშნას და რას მოასწავებს სხვა და სხვა მოქმედება ეკკლესიასა შინა? ამას არავინ არ კითხულობს. მაგალითად ვსთქვათ: შენ ხედავ საყდარში მრავალს ანთებულს სანთლებს ხატთა წინაშე და თითონაც მიიტან და ანთებ სანთელსა: რას ნიშნავს ეს და რას მოასწავებს? იქმნება ამაზე

არც კი გიფიქრია შენ. ახლა მაინც შეიტყე: ანთებული წმინ-
და სანთელი შენ გასწავლის იმას, რომ თვით შენი გულიც და
სულიც უნდა იყოს აღნთებული ღვთის წინაშე ლოცვითა,
ერთგულებითა და სიყვარულითა. ეკკლესიაში შენ ხშირად
პირჯვარს იწერ; გიფიქრია და იცი, რას ნიშნავს პირჯვარის
დაწერა? სამი თითი ერთად, რომლითაც პირჯვარს იწერ, ნიშ-
ნავს წმიდა სამებასა; ორი მათგანი – იესო ქრისტეს ბუნებასა,
ესე იგი, კაცის და ღვთის ბუნებასა; პირველად შუბლზე დაი-
სხამ თითებს, რათა განიწმინდოს შენი აზრი, მერმე გულზე,
რათა განიწმინდოს გული, და მერმე მხრებზე, რათა განძლი-
ერდე ქრისტეს გულში; ჯვარის სახეს მისთვის გამოჰხატავ, რა-
თა დაგიფაროს და დაგიცვას ჯვარცმულმა ქრისტე იესომ.
მღვდელი ანუ დიაკონი ხშირად აიღებს საყდარში საცეცხლურ-
სა, უკმევენ ტრაპეზსა, საკურთხეველსა, ხატებსა, ერსა. რას
ნიშნავს ეს მოქმედება? ნიშნავს ამას: როგორც საკმეველი
არის კეთილ-სუნნელოვანი და კვამლი მისი ადის ზეცას, ეგ-
რედვე შენიცა ლოცვა უნდა იყოს ღვთის წინაშე შეზავებული
გულის სიტკბოებით და ზეცად აღიწეოდეს. მღვდელი ანუ
ეპისკოპოსი შემოსილი და მწირველი მოასწავებს და წარმოა-
დგენს თვით უფალსა იესო ქრისტესა. მთელი წირვა არის მო-
კლედ გამოხატვა და წარმოდგენა უფლისა იესო ქრისტეს
ცხოვრებისა. როდესაც მღვდელი, ანუ დიაკონი სახარებასა
წაიკითხავს, წარმოიდგინე, რომ გესმის ხმა და ქადაგება თავად
უფლისა იესო ქრისტესი. როდესაც მღვდელი სამკვეთლოთ-
გან გამოასვენებს ტარიგსა და შეასვენებს საკურთხეველში და
დაასვენებს ტრაპეზზე, იცოდე, რომ ის არის თვით უფალი
იესო ქრისტე, შემავალი იერუსალიმს, რათა მიიღოს ტანჯვა
და ჯვარცმა ჩვენთვის. ბარძიმში არის მისი სისხლი და ფეშ-
ხუმზე მისი ხორცი. ერთი სიტყვით, ყოველსა ეკკლესიურს
მოქმედებასა და წესსა აქვს თვისი მნიშვნელობა; მაშასადამე,
როდესაც შენ სდგეხარ ეკკლესიაში, არც გონებითა და არც გუ-
ლითა არ უნდა იყო უქმი, დაფანტული: გონებითა უნდა გა-
ნიზრახვიდე, რას ნიშნავს და რას გასწავლის ის, რასაც ხედავ
და რაიცა გესმის; გული უნდა გქონდეს მდუღარე, მონანული,
შემუსვრილი შენისა უღირსებისა და ცოდვისათვის. ამ სახით
და ამ შემთხვევაში შენ ეკკლესია მოგცემს დიდსა სულიერსა
სარგებლობასა; შენ და ეკკლესიას შორის დაიბადება მტკიცე

და ღვთაებრივი კავშირი: შენ შეიყვარებ ეკკლესიასა, მოგე-
წონება წირვა-ლოცვის მოსმენა; ეკკლესიას ექმნება შენს გულ-
ში გავლენა და მოქმედება: იგი ცოტ-ცოტად გამოგიცვლის
შენ გულს, გაგიკეთებს სასოებას და ხასიათს და ესრედ ცოტ-
ცოტად მოამზადებს სულსა შენსა ზეციერისა სუფევისათვის,
რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. – ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

თქმული ხონის სობოროში, ჩყდვ წელსა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

დღეს ჩვენ განვიზრახეთ უბნობა თქვენთანა ორთა, ანუ
სამთა საგანთა ზედა, რომელთა თუმცა არა აქვსთ კავშირი
არცა თქვენის ტაძრის აწინდელსა დღესასწაულსა-თანა, არცა,
იქმნება, ურთიერთთა შორის, გარნა შეხედვისა-მებრ აწინდე-
ლისა დროებისა და თქვენთა სულიერთა საჭიროებათა და ნაკ-
ლულევანებათა, ჩვენ ვსთვლით ერთობ საჭიროდ და სასარგე-
ბლოდ თქვენთვის. რომელნი არიან ეს საგანნი? პირველად
გამოცდილებამა ჩვენის ქვეყნის მდგომარეობისა და აქაურთა
მცხოვრებთა ზნეობისა გვასწავლა ჩვენ, რაზომად საჭირო
არს და მიუცილებელ, რომ ჩვენ, სულიერნი მოძღვარნი თქვენ-
ნი, ხშირად, დაუცხრომელად გაფრთხილებდეთ და გაღვიძებ-
დეთ თქვენ ეკკლესიაში, წირვა-ლოცვაზე შიშით, დუმილით
და მორიდებით დგომად და სმენად ღვთის მსახურებისა. ერ-
თობ დამნაშავე ვართ ჩვენ, იმერეთის მცხოვრებნი, ამ საქ-
მეში; არ ვიცით, არა ვართ მიჩვეულნი ეკკლესიაში მორიდე-
ბით ქცევასა და ის უმეტესად არის აქ სამწუხარო, რომელ
არა თუ ერის კაცნი, არამედ თვით სამღვდელონი, ეკკლესიის
მსახურნი აქაურნი, არ არიან მიჩვეულნი ეკკლესიაში ჯეროვ-
ნად მოქცევასა. ესენი რომ იყვნენ მარადის კრძალვით საყ-
დარში მდგომარენი, ამათგან უთუოდ ერის კაცნიცა ისწავლი-

დენ კრძალვით დგომასა წირვა-ლოცვაზე, გარნა საუბედუროდ, ნაცვლად ეკკლესიისა მაგალითისა, უკანასკნელნი ხედვენ ცუდ-სა ამას ჩვეულებასა თვით მოძღვართა შინა თვისთა.

გლოცავ თქვენ, ძმანო ჩემნო, ისწავლეთ და მიეჩვიეთ ეკ-კლესიაში დუმილით და კრძალვით ლოცვასა. ვგონებ, რომ ზოგიერთნი ამ დაბის მცხოვრებნი მოვაჭრენი კი ყოფილ-ხართ რუსეთში და გინახავსთ, რა სახით დგანან იქ მართლ-მადიდე-ბელნი საყდრებში. ათასი კაცი რომ იდგეს საყდარში წირვა-ზე, ისრედი დუმილით არის, რომ გეგონება, ორი კაციც არ არისო. ჩვენც ისე უნდა ვისწავლოთ დგომა ეკკლესიაში.

ეს იყო პირველი საგანი, რომელსა ზედა ჩვენ გვსურდა უბნობა თქვენთანა. მოკლედ მოგახსენეთ თქვენ ამ საგანზე, თუმცა კი შეგვეძლო გაგრძელება სიტყვისა. ეს მისთვის, რომ კაცი ღვთის მოყვარე და გონიერი მოკლე სწავლითაცა დი-დად ისარგებლებს, ხოლო უკრძალველისა და დაფანტულისა კაცისათვის გრძელი სიტყვაცა იქმნება ერთი მხოლოდ მო-წყინება.

მეორე საგანი, რომელსა ზედა გვსურდა ჩვენ უბნობა თქვენთანა, არის ესე: უმეტესმა ნაწილმა ჩვენს ქვეყანაში მცხო-ვრებმა არ იცის, რა არის ფიცი, როგორ უნდა იხმაროს კაც-მა ფიცი, როდის აქვს ფიცს ძალა და როდის არა. უწესოდ და უგუნურად ფიცის ხმარება დიდსა ზარალსა და ვნებასა აძ-ლევს, ძმანო ჩემნო, ზნეობასა აქაურთა მცხოვრებთასა. მრავა-ლი ცოდვა გაჩენილა სხვათა და სხვათა სოფელთა შინა უგუ-ნურებითა დაფიცებითა, მრავალი კაცი დაიღუპა, მრავალი კა-ცი წარწყმიდა უწესო დაფიცებამ. ამისთვის ჩვენ, სულიერნი თქვენნი მოძღვარნი, ვართ ვალდებულნი აღვამაღლოთ ხმაი ჩვენი და გაგაფრთხილოთ ამ საგანზე.

რაი არს ფიცი? ფიცი ის არის, როდესაც კაცი ვინმე, მთა-ვრობის განჩინებისა-მებრ, დასწრებითა შემოსილისა მღვდლი-სათა დადგება წინაშე ჯვარისა და სახარებისა, ანუ სასწაულ-მოქმედისა ხატისა და მოუწოდებს ღმერთსა მოწმედ, რომელ იგი იტყვის სიმართლესა, ანუ აღასრულებს რომელსამე აღთქმა-სა. აჰა, ჭეშმარიტი ფიცი! მაშასადამე კერძოობითსა ფიცსა, თვინიერ მთავრობის განჩინებისა და თვინიერ შემოსილი მო-ძღვრისა ანუ მღვდლის დასწრებისა, არა აქვს ძალა და მადლი; იგი არის ცრუ და წინააღმდეგი მოქმედება. გარნა რაოდენ-გზის მომხდარა სოფლებში, რომელ რაოდენთამე პირთა კერ-ძოობით და საიდუმლოდ შეუფიცავსთ, ანუ დაუსდვიათ ფიცით აღთქმა ერთი-მეორესთან რომელსამე პირობასა ზედა. ესრედი მოქმედება, სრულიად წინააღმდეგი და მავნებელი ზნეობისა,

არის მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში; სხვაგან არ გამიგონია, რომ
იყოს. გარნა აქ კიდევ ის არის სჯულის საშინელი წინააღმ-
დეგი და უგუნური საქმე, რომ ესრედსა ცრუსა ფიცსა ერთ-
მანეთს მისცემენ ზოგიერთნი არა რომელსამე კეთილსა საქ-
მესა ზედა, არამედ ბოროტსა და ცოდვილსა საქმესა ზედა;
მაგალითებრ, ხშირად მომხდარა, რომელ მთელი სოფლის მცხო-
ვრებთა შეუფიცავსთ საიდუმლოდ ერთმანერთს შორის მაზედ,
რომელ ერთად უმტეროთო, შევაწუხოთო და გავაფუჭოთო
რომელიმე კაციო. კარგს და სასარგებლოს საქმეზედაც რომ
შეფიცონ კაცთა ერთმანეთს, თვინიერ მთავრობის ნებარ-
თვითა და მღვდლის დასწრებითა, იგიცა იქმნება წინააღმდეგი
სჯულისა, თორემ ცუდს საქმეზე, მტერობაზე, რასაკვირველია,
ასწილ უცოდვილესი არის.

აჰა, ძმაო, რა ცუდი და მავნებელი ჩვეულება არის ზო-
გიერთს ადგილებში. ამაზედაც გლოცავ, მოერიდე ესრედს
საქმესა, ნურაოდეს ნუ ეზიარები უსჯულოსა საქმესა, და ნუ
გექმნება ნაწილი უღმრთოთა-თანა. და თუ გნებავს შეიტყო,
რა საშინელი ცოდვა არის უსაფუძვლო და უგუნური ფიცი,
ერთი მხოლოდ მაგალითი მოიხსენე. გაგიგონია და იცი, ვინ
და ვითარი კაცი იყო იოანე ნათლის-მცემელი, რომელსა ზე-
და თვით მაცხოვარმან ბრძანა, რომელ დედა-კაცთაგან ნაშო-
ბი არავინ აღმდგარა მასზედა უდიდესი წინასწარმეტყველი.
უთუოდ ისიც გაგიგონია, რომ ესრედსა კაცსა უღმრთომან
ირროდი მეფემ თავი მოჰკვეთა; მაგრამ იქმნება არ იცი, რამ
აიძულა, რამ გააბედვინა მას ესრედი საქმე; იქმნება შენ ფიქ-
რობ, რომ ირროდის სძულდა იოანე? არა! მას კიდეც უყვარდა
იგი, იცოდა, რომ იგი იყო დიდი წინასწარმეტყველი. აბა
რისთვის ქმნა ესრედი უცნაური საქმე, რომ მოკვეთა საღმრთო
თავი წინასწარმეტყველსა?.. საშინელი ესე საქმე მოხდა უგუ-
ნურისა დაფიცებისაგან. ირროდის მოეწონა ცეკვა ანუ როკვა
ერთისა ქალის იმ ზომად, რომ ფიცით აღუთქვა, რასაც
მთხოვ, იმას მოგვცემო. როდესაც ამ ქალმა, შეგონებულმა
თვისის დედისაგან, სთხოვა თავი იოანე ნათლის-მცემელისა,
მაშინ კიდეც სწუხდა უგუნური მეფე იგი თვისი უგუნური
ფიცის აღთქმისაგან, და თუმცა უმჯობესი იყო მისთვის დაე-
ვიწყნა თვისი უღმერთო ფიცი, გარნა აღასრულა იგი, მოჰკვე-
თა თავი იოანესა და მისცა ლანგრითა ბილწსა დედაკაცსა.
აჰა რას მოახდენს ზოგჯერ უგუნურის ფიცი! სწორედ ესრედ-
ვე მოხდება ხშირად ჩვენ სოფლებში: შეჰფიცვენ ერთმანეთს
რომელსამე ცუდს საქმეზე, მერმე თვითონაც ხედვენ, რომ ცუ-
დათ მოიქცნენ, მაგრამ რა ვქნათო, დაფიცებულნი ვართო. უგუ-

ნურო და საწყალო! ან არ უნდა დაგეფიცა ესრედ უგუნურად, და, თუ დაიფიცე, გირჩევ, დაივიწყო შენი ფიცი და არა შთავარდე უარესსა ცოდვასა შინა, ვითარცა ირიდი იგი.

აწ გარდავიდეთ მესამესა საგანსა ზედა, რომელი, ვგონებ, უმეტესად საჭირო არის და სასარგებლო, ვიდრეღა ორნიცა პირველნი, შეხვედრისა-მებრ აწინდელისა დროებისა. იცით თქვენცა ყოველთა და ხედავთ, რაოდენნი და რა დიდ-დიდნი ცვლილებანი მოხდენ, ძმანო ქრისტიანენო, სამოქალაქოსა შინა წყობილებასა და წესდებულებასა ყოველთა შინა წოდებათა ერისათა, და კიდევ მოსალოდნელ არიან ამისა მერმედაც. სხვათა შორის და სხვათა უმეტესი არის ცვლილება ბატონ-ყმობის დაწყობილებასა შინა. ეს დიდი ცვლილება და სხვანიცა ვალდებულ გვყოფენ ჩვენცა, ძმანო ქრისტიანენო, მოძღვართა თქვენთა, არ ვიყოთ დუმილით, არამედ მოგცეთ შესაფერი და სათანადო დარიგება ორთავე მხარეთა. რა დარიგება შეიძლება ესრედ საქმეში ჩვენს მხრით? ის, ძმანო ჩემნო, რომ ჩვენ უნდა შეგაგონოთ და გასწავლოთ, რომ ეს დიდი ცვლილება გავათავოთ მშვიდობით და სიყვარულით, რომ ერთობა, მშვიდობა და კეთილი მეზობლობა არ მოშალოს მან თქვენ შორის.

ერთი კარგი ჩვეულება იყო და არის ახლაც ჩვენ ქვეყანაში, და უნდა ვეცადოთ, ის არ მოისპოს ახლა. ყმები და ბატონები არაოდეს არ იყვნენ დაშორებულ ურთიერთარს, არამედ იყვნენ დაახლოებულნი, მეზობლურად განწყობილნი. ჭირში და ლხინში მათ მარადის ქონდათ ერთმანეთის მონაწილეობა და ხელის მიცემა. ეს კარგი ჩვეულება არ უნდა მოისპოს, ძმანო, არამედ მარადის დარჩეს ჩვენში. ყმებთა მარადის უნდა ახსოვდესთ, რომელ ეს დიდი ცვლილება, რომელიც მოხდა მათ ცხოვრებაში, თუმცა იქმნა დაწყებითა და ბრძანებითა ხელმწიფისათა, გარნა არა თვინიერ ნებისა მებატონეთა, არამედ ამათის თანხმობითა; ამის გარდა მებატონეთაგან დარჩება მათ სამუშევრად რაოდენიმე მიწა-მამული, ამისათვის მარადის უნდა იყვნენ მათი მადლიერნი და პატივის მცემელნი. ხოლო, მეორეს მხრით, მებატონეთა უნდა ახსოვდეთ, რომელ ყმები მამაპაპობით არიან მათი ნამსახურნი და ამით შეინახონ მათზედ კეთილი გული და განწყობილება.

დასასრულ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, გვახსოვდეს ის მცნება ქრისტესი, რომელი არის ყოველთა ზედა უზენაესი, სიყვარული, ერთობა, ერთგულება და მშვიდობა, რომელი არა მოგვაკლოს ჩვენ ღმერთმან, მეოხებითა დიდისა მთავარმოწამისა გიორგისათა. – ამინ.

მოძღვრება,

თქმული რაჭის უეზდის სოფლის სორის ეკკლესიასა შინა.

ძმანო ქრისტიანენო! თუმცა მე არა ერთ-გზის მიწირავს ამ თქვენს ძველს ეკკლესიაში, გარნა მოძღვრება და დარიგება ჯერედ ერთხელაც არ მომიცია თქვენთვის, ვითარცა სხვათა სოფლის ეკკლესიათა შინა, ჩვეულებისა და მოვალეობისამებრ ჩვენისა. მს მოხდა მისთვის, რომელ წირვა ჩვენი აქა ყოველ-თვის დაემთხვია უბრალო, სანიადაგო დღეებში, როდესაც თქვენ იყავით მუშაობაში და მოსვლა საყდარში არ გცალო-დათ. თუმცა დღესაც უბრალო დღე არის, მაგრამ დღეს მე განგებ დაგიბარეთ თქვენ წირვის მოსმენად, რადგანაც მსურ-და დღეს მაინც გადამეხადა ჩემი ვალი თქვენ წინაშე. მე ვალი მმართებს თქვენი: ჩემი ვალი ის არის, რომ გასწავლო, დაგა-რიგო სჯულში და ქრისტიანობაში. თუ ეს ვალი არ გარდვი-ხადე, მეშინია, ღმერთმან არ მომკითხოს ოდესმე. ახლა, პირ-ველად, მადლობას გეტყვი, რომ ისმინეთ ჩემი დაბარება და მოხვედით აქ. ნუ ნანობთ ერთი საათის, ანუ საათ-ნახევარის მოცდენას მუშაობისაგან! მუშაობა ყოველს დღეს შეგიძლიათ; გარნა მღვდელ-მთავრის წირვის და დარიგების მოსმენა არა ყოველს დღეს შეგიძლიათ. მარტო მუცლისათვის არ უნდა ზრუნვიდეს კაცი; სულსაც უნდა თვისი საზრდო; სულის საზრდო არის სწავლა, ნუგეში, განათლება; თუ გულმოდგი-ნედ ისმენთ დღევანდელს სწავლას და დარიგებას, იმედი მაქვს – არ ინანებთ რომ მოხვედით ეკკლესიაში. გარნა რა საგან-ზედ მოგცეთ მე დღეს თქვენ დარიგება? ამას გარდაგვიწყვეტს დღეს წარკითხული სახარება.

ვინც ყურადღებით ისმინა დღევანდელს წირვაზე წარკით-ხული სახარება, მას უთუოდ ახსოვს მოკლე მოთხრობა უნა-ყოფო ლეღვის ხეზე. ერთხელ, როდესაც უფალი იესო ქრის-ტე მიდიოდა გზაზე და მოეშია, დაინახა მახლობლად ერთი ლეღვის ხე, რომელიც იყო მწვანე, ფურცლოვანი და მშვენი-

ერი; მივიდა მასთან, სურდა იმის ნაყოფისა ჭამა, გარნა ნახა, რომ არცა ერთი ნაყოფი არა ება იმ ხეს. ეწყინა ეს უფალსა იესო ქრისტეს და დასწყევლა ხე იგი. მეორე დღეს, როდესაც უფალი მობრუნდა იერუსალიმითგან, მოწაფეთა მისთა შეხედეს, რომ ხე იგი იყო გამხმარი, გაუკვირდათ და შეეშინათ მათ ამ ამბავისაგან. ეს მოკლე მოთხრობა, ძმანო ჩემნო, ჩვენთვის დაიწერა სახარებაში, სამოძღურებელად და სასწავლებელად ჩვენდა. რას გვასწავლის ჩვენ ეს მოთხრობა? გვასწავლის ამას: თუ კი უფალმან ხე დასაჯა უნაყოფოებისათვის, არა უმეტესად დასჯისა კაცსა, თუ უნაყოფო იქმნება იგი? ხეს არა აქვს ჭკუა და გრძნობა, იმან არ იცის, რას იქმნს, გარნა მაინც არ მოითმინა ღმერთმან, და დასწყევლა იგი, რათგანაც უნაყოფო იყო. კაცს აქვს ჭკუა, აქვს სჯული, კაცს შეუძლია გაარჩიოს ავი და კარგი; მაშასადამე კაცს უმეტესად დასჯის ღმერთი, თუ ნაყოფი არ გამოიღო. რა ნაყოფი უნდა გამოიღოს კაცმან? ნაყოფი კაცისა არის ყოველი კეთილი, მართალი და პატიოსანი საქმე, რომელსაცა იგი იქმნს ამ ქვეყანაში. მონათლული ქრისტიანე კაცის ნაყოფი ის იქმნება, როდესაც იგი ასრულებს იესო ქრისტეს მცნებასა, სახარების სწავლასა, შეძლებისა გვარად თვისისა. მართალია, ერთ-ნაირი და ერთი ზომის ნაყოფი არ შეუძლიანთ გამოიღონ ყოველთა ქრისტიანეთა; როგორათაც ხეხილებში არის დიდი განსხვავება: ზოგიერთი ხეხილი გამოიღებს უფრო ძვირფასსა და ტკბილს ნაყოფს, სხვა უფრო დაბალს და უბრალოს, ეგრედვე ქრისტიანეთა შორის, ზოგიერთმა ქრისტიანემ დიდი ნაყოფი უნდა გამოიღოს და ზოგიერთმა მცირე. გარნა-უნაყოფო კი არც ერთი ქრისტიანე არ უნდა დარჩეს. საღმრთო წერილში არის თქმული, რომელ ვისაც ღმერთმან მეტი მისცა, მისგან მეტს მოითხოვს; ვისაც ღმერთმან მიანიჭა დიდი სიმდიდრე, ანუ სწავლა, ანუ ნიჭიერება, მათ უნდა ეცადონ და უდიდესი ნაყოფი გამოიღონ ღვთის წინაშე. გარნა ვისაც ესენი ნაკლებად აქვს, არც მათ უნდა იფიქრონ, რომ მათგან კი ღმერთი არ მოითხოვს ნაყოფსა. მე რომ ღმერთმა თქვენზედ მეტი მომცა შეძლება, სწავლა და ნიჭი, ჩემთვის დიდი ცოდვა იქმნება, რომ თქვენზედ მეტი ნაყოფი არ მივართვა ღმერთს; გარნა არც თქვენ უნდა იყოთ ღვთის წინაშე უნაყოფონი. თუ ვინმე თქვენგანმან ესრედ იფიქრა თავის გულში: რა ნაყოფი შემიძლია მე მივართვა ღმერთსა! მე ვარ ერთი ღარიბი, საწყალი გლეხი; დღე და ღამ ვმუშაობ და ძლივს ჩემს თავს და ცოლ-შვილს ვარჩენ და გარდასახადს ვიხდი. სხვა რა შემიძლია, რომ კეთილი რაიმე ვქმნა? თუ ვინმე ესრედ იფიქრა, ის შემცდარი არის. რათგანაც შენ, ძმაო,

ხარ ერთი საწყალი, ღარიბი გლეხი კაცი, შენგნით ისიც საკმაო ნაყოფი იქმნება, თუ კარგად და გულმოდგინედ ასრულებ ყოველსა საგლეხო საქმესა, თუ ბეჯითად მუშაობ და მადლობ ღმერთსა, თუ მეცადინე კაცი ხარ და შენს ცოლ-შვილს კარგად ინახავ, თუ გადასახადს და სამსახურს, ვისიც და რაც გმართებს, კარგი გულით იხდი და ასრულებ, თუ მეზობლობაში არავის არ აწუხებ და კიდეც, რაც შეგიძლია, გაჭირვებულს კაცს შეეწევი და ხელს მოუწყობ, ესეც კარგი ნაყოფი იქმნება შენგნით; ამითაც დაკმაყოფილდება ღმერთი. ბოლოს, რაც გინდა საწყალი და ღარიბი კაცი იყო, ერთი საქმე მაინც ყოველთვის შეგიძლია, რომელიც თითქმის უდიდესია ყოველ0თა სხვათა საქმეთა და უმფრო იამება ღმერთს, და რომელსაც ღმერთი ყოვლის კაცისაგან მოითხოვს, დიდისა და მცირისა, შეძლებულისა და შეუძლებლისაგან. რომელი არის ეს საქმე? ის, ძმაო ჩემო, რომ შენი სული და გული დაიცევ ცოდვისაგან; შენი სული და გული შეუნახე და მიართვი ღმერთსა; თუ სხვა არაფერი შეგიძლია, ეს მაინც ქმენი; შენი სული არ დაუკარგო შენსა შემოქმედსა, არ გაიფუჭო სული და გული ისრე, რომ ღვთისათვის დაკარგული არ იყოს იგი. ეს ადვილად შეგიძლია: თვით ის შენი სისაწყლე და სიღარიბე, რომელიც შენ გაწუხებს, არათუ არ დაგიშლის კიდეც შეგეწევა ამ საქმეში. თუ სულგრძელად მოითმენ შენს სისაწყლეს, თუ არ დაღონდები, მხნედ იქმნები, ითმენ ღვთის გულისათვის ყოველს იწროებას, სასოება არ მოგაკლდა, იცოდე, რომ ეს დიდი ნაყოფი იქმნება შენგნით ღვთის წინაშე და მარტო ამით ცხონდები, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან. – ამინ.

განმარტება,

ანუ აღხსნა უფლისა იესო ქრისტეს ლოცვისა,
ესე იგი, მამაო ჩვენოისა, სამთა მოძღვრებათა შინა,

თქმული აფხაზეთში ახლად მონათლულთა წინაშე.

მოძღვრება პირველი

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
წმიდა იყავნ სახელი შენი

ეს ლოცვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ხშირად გეს-
მის თქვენ ძმანო ქრისტიანენო, ყოველს წირვაზედ და ცის-
კარზედ. ამ ლოცვით დავიწყებთ ჩვენ ყოველთა სხვათა ლოც-
ვათა, როგორადაც ეკკლესიაში, ეგრედვე ჩვენს საკუთარს
სახლში. ეს ლოცვა არის უწმიდესი და უმაღლესი ყოველთა
სხვათა ლოცვათა, მისთვის, რომელ იგი გვასწავა ჩვენ უფალ-
მან იესო ქრისტემან. მე მსურს განგიმარტო, ანუ აღგიხსნა
თქვენ ეს ლოცვა. ოდეს კაცი იტყვის რომელსამე ლოცვასა,
კარგად თუ არ ესმის აზრი მისი, უსარგებლო იქმნება მისთვის
ის ლოცვა.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა.

ვის უწოდებთ ჩვენ, ძმანო, მამად ამ სიტყვებში? უწოდებთ
ღმერთსა, რომელი არს ცათა შინა და ყოველსა ქვეყანასა ზე-
და. რისთვის უწოდებთ ჩვენ ღმერთსა მამად? ვინ მოგვცა ჩვენ
ისრედი კადნიერება, რომ მამად უწოდოთ ღმერთსა? ღმერთი
არის ყოვლად შემძლებელი და ყოველთა უმაღლესი, კაცი
არის მიწა და ნაცარი; მაშასადამე ვინ მოგვცა ესრედი ღირ-
სება, რომ ღმერთს უწოდებთ მამად? ეს ღირსება მოგვცა ჩვენ
ძემან ღვთისამან, უფალმა იესო ქრისტემან. რა სახით? ესრედ,
რომელ იგი იყო ძე ღვთისა და მერმედ იშვა კაცად, მაშასა-
დამე, მიიღო ჩვენი სისხლი და ხორცი, და კაცის ბუნება შეუ-
ერთა ღვთის ბუნებასა. ახლა ვინც მოინათლება, იგი შეი-
ქმნება იესო ქრისტეს ძმად და მას მიეცემა უფლება, რომ
ღმერთს უწოდოს თავის მამა. აჰა, ძმანო, რა დიდი წყალობა
და ღირსება მოგვცა ჩვენ უფალმან იესო ქრისტემან! მან
გაგვხადა ჩვენ ძედ ღვთისად. ამისთვის შენ, ძმაო ჩემო, ოდეს-
ცა ამბობ: **მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,** – კარგად უნ-
და დაფიქრდე: ღირსი ხარ მამა უწოდო ღმერთსა? და თუ მა-
მად უწოდებ ღმერთსა, მაშასადამე შენ ისრე უნდა გიყვარდეს
იგი და ისრე უნდა ემორჩილებოდე იმის სიტყვას, როგორც შვი-
ლი ემორჩილება მამას. მრავალი კეთილი საქმე და მრავალი
წყალობა გიყო შენ შენმა ზეციერმა მამამ; იმან შენ დაგბადა,
მოგანიჭა ჭკუა და სინიდისი, ჩაგაბარა მრთელი ქვეყანა და
დაგიმორჩილა პირუტყვნი ტყისანი და თევზნი ზღვისანი; განსა-

ნათლებლად და საცხოვნებლად შენდა მოგივლინა საკუთა-
რი ძე თვისი, რომელმან მოგცა შენ სჯული, შენთვის ჯვარს
ეცვა და სისხლი დასთხია. მაშასადამე შენ უნდა მადლობდე
მამასა შენსა და ნაცვლად ესოდენისა წყალობისა ახარებდე მას
კეთილითა შენითა ცხოვრებითა, როგორადაც კარგი ჭკვიანი
შვილი განახარებს თავის მამასა.

წმიდა იყავნ სახელი შენი!

რას ნიშნავს, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ეს სიტყვა? რის-
თვის ვეტყვი ჩვენ ღმერთსა: წმიდა იყავნ სახელი შენი? ნუ თუ
სახელი ღვთისა არ არის წმიდა? დიახ, ძმანო ჩემნო, სახელი
ღვთისა არის წმიდა და უწმიდესი ყოველთა სახელთა; გარნა
სიტყვათა ამათ შინა ჩვენ ვევედრებით ღმერთსა, რათა სახე-
ლი მისი იყოს წმიდა ჩვენ შორის ჩვენითა კეთილითა და წმი-
დითა ცხოვრებითა. ჩვენ უწოდებთ ჩვენს თავს ქრისტიანედ,
ესე იგი, ჩვენ მივითვისეთ ქრისტე ღმერთის სახელი. მაშასა-
დამე, ოდესცა ჩვენი ცხოვრება და ყოფა-ქცევა არის კეთილი
და წმიდა, მაშინ ქრისტეს სახელი იდიდება ჩვენ შორის; გარ-
ნა უკეთუ ჩვენი ცხოვრება უწმინდურია, უკეთუ არ გვახსოვს,
ვისი სახელი გვაქვს და ცუდად ვიქცევით, მაშინ სახელი
ღვთისა დამდაბლდება და შეიგინება. თუ ვისმე დიდი გვარის
კაცს ჰყავს შვილი ცუდი, უჭკუო, უღირსი, – დიდად ეწყინება
იმ კაცს, ხშირად გაუწყრება და აყვედრებს: შენ არა ხარ ღირ-
სი ჩემის სახლისაო, შენ შეარცხვინე და დაამდაბლე შენი მა-
მის სახელიო. სწორედ ესრედვე აყვედრებს ღმერთი იმ ქრის-
ტიანეს, რომელიც ცუდითა თვისითა ცხოვრებითა შეაგინებს
მისს დიდს და ზეციერს სახელსა. – თქვენ, ძმანო, ჩემნო, ღვთის
მადლით, მონათლულნი და ქრისტიანენი ხართ; გარნა ზოგნი
თქვენნი მეზობელნი აწცა მოუნათლავნი არიან, ურწმუნონი:
იგინი გიმზერენ, როგორ სცხოვრებთ თქვენ. თუ სცხოვრებთ
წმიდად, მყუდროდ, თუ თქვენ შორის არის სიყვარული, ერ-
თობა, მაშინ იგინი იფიქრებენ: უთუოდ ქრისტეს სჯული არის
ზეციერი, წმიდა და ნამდვილად ღვთიური, და იქმნება კიდეც
შეენატროს მათ თქვენი კარგი ცხოვრება და თვით ქრისტიანო-
ბაც მიიღონ... გარნა თუ ამათ ნახეს, რომ თქვენ ცხოვრე-
ბა სრულიად არ გამოიცვალეთ,. არამედ ისრე ცუდად იქცე-
ვით, როგორც უწინ მოუნათლავნი იქცეოდით, მაშინ იგინი
იფიქრებენ: უთუოდ მათი სჯული არ არის კარგი; თუ კარგი
იყოს, ისინი გამოიცვლებოდნენ და უმჯობესნი შეიქმნებოდენ.
უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვასწავლის ჩვენ: **ესრედ ბრწყინევ-
დინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნეს საქმენი თქვენნი
კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა.** თუ შენს კე-

თილს საქმეს და ცხოვრებას იხილავს უცხო კაცი, მაშინ იგი ადიდებს შენს ღმერთსა და შენს სჯულსა; და ნაჰხა, რომ ცუდად ცხოვრებ, მაშინ მას შენი სჯული არ მოეწონება. ამისთვის ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმარო, ძმაო ჩემო, რომ სახელი ღვთისა არ შეიგინოს შენითა ცუდითა ცხოვრებითა. რა სარგებლობა იქმნება შენთვის, რომ მარტო სახელით იყო ქრისტიანე და არა საქმით? უმჯობეს არს, რომ კაცი არ მოინათლოს, ვიდრე მონათლულმან უწმინდურად იცხოვროს და შეაგინოს სჯული თვისი. ხოლო თქვენ, ძმანო ჩემნო, რათგანაც მოინათლენით და მიიღეთ ქრისტეს სჯული, ეცადეთ, რომ არ შეარცხვინოთ ახალი თქვენი სჯული ცუდითა თქვენითა ცხოვრებითა. – ამინ.

მეორე მოძღვრება.

> მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრედცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს.

რას ნიშნავს, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ეს სიტყვა: **მოვედინ სუფევა შენი?** რისთვის ვსთხოვთ ჩვენ ღმერთსა: **მოვედინ სუფევა შენი,** როდესაც ჩვენ ვიცით, რომ იგი არის მეფე ცისა და ქვეყნისა? ნუთუ არ მოსულა ჯერედ სუფევა ღვთისა? სუფევა ღვთისა არის, ძმანო ჩემნო, ორგვარი: ერთი ხილული, მეორე უხივავი. ხილული სუფევა ღვთისა არის ყოველი ბუნება, ცა და ქვეყანა. ღმერთმან შექმნა ყოველი, რასაც აწ ჩვენ ვხედავთ და ღმერთი მართავს ყოველსა. უხილავი სუფევა ღვთისა არის კაცის გულში და სულში; უხილავი სუფევა ღვთისა მდგომარეობს კაცის აზრში, გრძნობაში, გულისთქმაში და ყოფა-ქცევაში. სუფევა ღვთისა მოვა და იქმნება ჩვენ შორის მაშინ, ოდესცა ჩვენ ვსცხოვრობთ სიწმიდით, მყუდროებით და სიყვარულით; მაშასადამე, როდესაც ჩვენ ვამბობთ: **მოვედით სუფევა შენი,** ამით ჩვენ გამოვითხოვთ ღვთისაგან, რათა განმართოს და განსწმინდოს ცხოვრება ჩვენი, ესრედ რომელ, ვინც შეხედოს ჩვენს კეთილს ცხოვრებასა, სთქვას: სწორედ მათ შორის ღმერთი არის, სწორედ ღმერთი სუფევს იმათ გულში! გარნა, ძმანო ჩემნო, რათგანაც სიტყვით ამას გამოვითხოვთ ღვთისაგან, საქმითაც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენ შო-

რის ღმერთი სუფევდეს. ღმერთი არის წმიდა, უბიწო, მარ-
თალ; შენც უნდა ეცადო და დაემსგავსო მას სიწმიდითა და
უბიწოებითა. თუ, ძმაო, ყოველთვის გახსოვს შენი სჯული,
თუ გახსოვს, რომ ღმერთი ყოველთვის გამოცდის შენს გულ-
სა, იგი ყოველთვის ხედავს შენს საქმეს, მას ყოველთვის ეს-
მის შენი სიტყვა და შენ გეშინის, რომ არ აწყინო ღმერთსა
არცა სიტყვით, არცა საქმით, მაშინ შენ ეწევი, აშენებ და ავრ-
ცელებ სუფევასა ღვთისასა; ხოლო როდესაც შენ ცუდად
იქცევი და ცუდს მაგალითს აჩვენებ შენთა ძმათა, მაშინ შენ
არღვევ სუფევასა ღვთისასა ქვეყანაზედ. გეშინოდეს, ძმაო ჩე-
მო, არ გამოსჩნდე შენ დამარღვეველად და წინააღმდეგად
ღვთისა სასუფეველისა.

იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

ამ სიტყვებში ჩვენ ვევედრებით ღმერთსა, რათამცა, რო-
გორადაც ანგელოსნი ცათა შინა ყოველთვის კეთილად აღს-
რულებენ ნებასა ღვთისასა, ეგრედვე ჩვენ ქვეყანასა ზედა ვიყ-
ვნეთ აღმასრულებელნი წმიდისა მისისა ნებისა. რა არის ნება
ღვთისა? ნება ღვთისა ჩვენ ზედა ის არის, რათა ჩვენ ამ ქვეყა-
ნაზედ ვიყვნეთ კეთილნი აღმასრულებელნი მისისა სჯულისა
და მისთა მცნებათა და მომავალსა შინა საუკუნესა მივიღოთ
მისგან დაუსრულებელი ნეტარება. სითგან შეიტყობს კაცი ნე-
ბასა ღვთისასა? ღვთის ნებას შეგატყობინებს შენ, ძმაო, პირვე-
ლად შენი ჭკუა და შენი სინიდისი: როდესაც შენ რომელსამე
კარგს საქმეს იქმნ, მაშინ კმაყოფილი ხარ და გიხარის; როდე-
საც ცუდი რამე საქმე შეგემთხვევა, მაშინ გწყინს და გეშინის.
ეს შენი სინიდისისაგან არის; მით შენი სინიდისი გასწავლის,
რათა მოერიდო ცოდვასა და ყოველთვის კეთილი საქმე აღა-
სრულო. ამაზედ კიდევ უმჯობესად ნებასა ღვთისასა შენ იც-
ნობ საღმრთო წერილითგან: ეკკლესიაში ყოველს წირვა-ლო-
ცვაზედ კითხულობენ საღმრთო წერილს, ესე იგი იმ წიგნებს,
რომელიც დასწერეს წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სუ-
ლის წმიდის შეგონებით. თუ კარგად ისმენ წირვასა და ლო-
ცვასა, შეიტყობ, რა არის ნება ღვთისა, რა მცნება მოგვცა
ღმერთმან, როგორ უნდა სცხოვრობდე და როგორ უნდა სათ-
ნო-ეყო ღმერთსა. გარნა, ძმანო ჩემნო, ვინაითგან სთხოვ ღმე-
რთსა: **იყავნ ნება შენი,** საქმითაც უნდა ეცადო და ყოველთვის
აღასრულო ნება ღვთისა: პირველად, გიყვარდეს მუშაკობა და
შრომა, ეცადე და შენის შრომით შეინახე შენი თავი და შე-
ნი ოჯახი. ოდესაც ღმერთი მოგცემს საკმაოდ საზრდოს, ესე
იგი საჭმელს, სასმელს, ტანისამოსს, – მადლობა შესწირე ღმერ-

თსა და ცოტა-ოდენი შენი ნაშრომისაგან განუყავი ობოლ-
სა და გლახაკსა. თუ მოგაკლდა საზრდო, ანუ სხვა რაიმე უბე-
დურება შეგემთხვა, მაშინაც სთქვი: **იყავნ, ღმერთო, ნება შენი.**
ნუ დაღონდები, სულგრძელობით მოითმინე, ნუ დაკარგავ
სასოებას ღმერთზედ და ღმერთი შეგეწევა. ღმერთმან ჩვენზედ
უმჯობესად იცის, რა არის ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო.
კაცი ხშირად ითქიქრებს გულში: რატომ არ მომცა მე ღმერ-
თმან, როგორადაც სხვათა, სიმდიდრე ანუ პატივი; გარნა ეს-
რედი აზრი წინააღმდეგი არის. შენი მხრით შენ კი უნდა
ეცადო, რომ ჭკუითა, შრომითა და კეთილის მოხერხებითა
შეიძინო, რაც საჭირო არის ამ ქვეყანაში კაცისათვის, და მერ-
მე, რასაც მოგვცემს ღმერთი, იმით კმაყოფილი იყავ და მად-
ლობდე ღმერთსა.

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს.

ამ სიტყვებით ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა, რათა მოგვცეს
ჩვენ დღიური საზრდო. ისრე კი არ უნდა ითქიქრო, ძმაო, რომ
კაცს შეუძლიან უქმად იყოს, არ იმუშაოს და ღმერთი თვითონ
მისცემს საზრდოსა. არა, ძმაო, შენ შენი მხრით ყოველთვის
უნდა მუშაობდე, შრომა და მოღვაწება არ დასტოვო; მისთვის
მოგცა ღმერთმან ხელი და თავი, მისთვის ჩაგაბარა მიწა და
წყალი, რათა იმუშაო, ისარგებლო; გარნა რადგანაც შენ სუ-
სტი ხარ და ღმერთი ყოვლისა-შემძლებელი არის, ამისთვის
უნდა მას ევედრო კეთილად წარმართოს შენი მუშაობა, შე-
ნი ყანა ნაყოფიერ ქმნას, სახლეულება შენი და საქონელი და-
იცვას. ესეც შენიშნე, რომელ კაცი ღვთისაგან პურსა არსები-
სასა უნდა ითხოვდეს, ესე იგი რაც საჭირო არის ცხოვრე-
ბისათვის; მაშასადამე, კარგი არ იქმნება, რომ კაცმა ლოცვა-
ში ითხოვოს ღვთისაგან ანუ სიმდიდრე, ანუ პატივი, ანუ დიდ-
კაცობა. რისთვის? მისთვის, რომელ ვინც სიმდიდრეს და დიდ-
კაცობას ითხოვს, იგი უთუოდ ამპარტავანი არის; თუ ღმერ-
თმან ინება და იცის წინადვე, რომ სიმდიდრეს და დიდ-კაცო-
ბას შენ კეთილად მოიხმარ, თვითონ მოგცემს; გარნა შენ კი
მით უნდა იყო კმაყოფილი, რაიცა გაქვს. – ამინ.

მესამე მოძღვრება

და მომიტევენ ჩვენ თანა-ნადებნი ჩვენნი,
ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ

ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელ-
სა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

რაი არს თანამდები, რომელისა მიტოვებას ჩვენ ვსთხოვთ ამ სიტყვებით ღმერთსა? თანამდები არის ყოველი ცოდვა, რომელსა კაცი იქმნს ღვთის წინაშე; მაშასადამე, ამ სიტყვებით ჩვენ ვევედრებით ღმერთსა მოგვიტეოს ყოველნი ცოდვანი ჩვენნი. რისთვის დაუმატებთ: ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა? ამ სიტყვებით მაცხოვარი გვასწავლის ჩვენ, რათა ჩვენც მიუტევებდეთ მოყვასთა ჩვენთა ყოველსა, რასაც ისინი შესცოდებენ ჩვენს წინაშე. ამით ღმერთი შენ, ძმაო ჩემო, დაგიდებს პირობასა: თუ გსურს, რომ იგი მოწყალე იყოს შენდამი და მოგიტეოს შენნი ცოდვანი, შენც უნდა მიუტევო, რაიცა შეგცოდეს ძმათა შენთა. აქედგან სჩანს, რა დიდი მადლი არის, როდესაც ჩვენ მიუტევებთ მოყვასთა ყოველთა შეცოდებათა და რა დიდი ცოდვა არის, როდესაც გულში გვაქვს შური და შურის-ძიება მოყვასისა. კაცი, ძმანო ჩემნო, სუსტი არის: ერთს საათს ვერ გაატარებს უცოდველად; თითქმის ყოველს წამს სცოდავს ღვთის წინაშე ანუ ფიქრით, ანუ სიტყვით, ანუ საქმით. მაშასადამე, ყოველთვის უნდა გამოითხოვოს ღვთისაგან მოტევება ცოდვათა თვისთა; გარნა ღმერთი იმ პირობით მოგიტევებს ცოდვათა შენთა, თუ შენც მიუტევებ მოყვასთა შენთა შეცოდებათა მათთა. როდესაც ეკლესიაში მოხვალ და ილოცავ, რასა სთხოვ მაშინ შენ ღმერთსა? შენ სთხოვ: უფალო შემიწყალე, ღმერთო შეგცოდე, შემინდევ. მაშასადამე, თუ გსურს, რომ ღმერთმან გაიგონოს შენი ლოცვა, შენც ნურა-ოდეს ნუ იძიებ შურსა ძმისა შენისასა.

თქვენ, ძმანო, ამ მთებში მცხოვრებთა, სხვათა უმეტესად და უმტკიცესად უნდა გახსოვდესთ, რა დიდი და რა საშინელი ცოდვა არის შურის-ძიება. უწინ, როდესაც თქვენ იყავით გაუნათლებელნი ქრისტეს სჯულითა, მაშინ შურის-ძიება არა თუ არ მიგაჩნდათ ცოდვად, არმედ სჯულად გქონდათ დადებული და საქებურად მიგაჩნდათ, როდესაც კაცი შურის-ძიებით მოკლავდა კაცსა, – სისხლი მართებსო, სისხლი უნდა ვეძიო, – ესრედ იტყოდით ხოლმე, და როდესაც მოკლავდენ შურისათვის კაცს, მაშინ იტყოდენ: სისხლი გარდაიხადაო. რა საკვირველია, ახლაც გახსოვს თქვენ, რამდენი უბედურება, მტერობა, სისხლის ღვრა მოხდება აქეთგან თქვენ შორის. ზოგ-ჯერ მთელი გვარი ამოწყდებოდა შურის-ძიებისაგან. ზოგ-ჯერ ერთი სოფელი მეორე სოფელს ამოსწყვეტდა. ერთი სიტყვით,

თქვენი ცხოვრება დაემსგავსებოდა მხეცების ცხოვრებასა. ახლა, ძმანო ჩემნო, ვინაითგან თქვენ მიიღეთ ქრისტე ღმერთის სჯული, სრულიად უნდა დაივიწყოთ ეს მხეცური ჩვეულება და კიდეც უნდა გრცხვენოდესთ მისი. ის კაცი, რომელიც ისრე გულფიცხელია და ისე გაჯავრდება, როგორც გაცოფებული მხეცი, და გაჯავრებული არ დაზოგავს კაცსა, სრულიად მხეცი არის და ღვთის სახე აღარ არის მის გულში; ხოლო კაცი გონიერი და ღვთის მოშიში გულს გაიმაგრებს, არ გაჯავრდება და თუ გინდ გული მოუვიდეს და გაფიცხდეს, მაინც ისრე არ მოიქცევა, რომ მხეცს დაემსგავსოს.

და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

რაი არს განსაცდელი? განსაცდელი ეწოდება ისრედს შემთხვევას, რომელი შთააგდებს კაცსა რომელსამე ცოდვაში; მაგალითებრ, ახლა რომ ვამბობდით გაჯავრებაზედ, ანუ მრისხანებაზედ; მრისხანება ადვილად შთააგდებს ცოდვაში კაცსა, მაშასადამე, ამ სიტყვებით ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა, რათა განაშოროს ჩვენგან ყოველივე ცუდი შემთხვევა და არ შთაგვაგდოს რომელსამე ცოდვაში; ხოლო ვინაითგან ღმერთს სიტყვით ვევედრები, საქმითაც ეცადე ამაზედ. კაცს წინადვე შეუძლიან მოიფიქროს და შეიტყოს, სად ანუ რომელ კაცთან, ანუ რომელ საქმეში ნახავს განსაცდელს. ვსთქვათ, რომ შენ იცნობ ერთს ვისმე კაცსა, რომელიც არის ძლიერ ცუდი ხასიათისა, მეშფოთე, ცუდს საქმეს არ ერიდება; ამისთანა კაცს უნდა მოერიდო და თუ დაუამხანაგდი მას, რასაკვირველია შენც შეგიყვანს ცუდს საქმეში.

არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

ეს არის უკანასკნელი მუხლი უფლის ლოცვისა. მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან, ესე იგი ბოროტის კაცისაგან, ბოროტის საქმისაგან და უმეტესად ბოროტის ეშმაკისაგან ანუ სულიერისა მტერისაგან. ეშმაკი არის საშინელი მტერი სულისა ჩვენისა. ოდესცა შენ, ძმაო გულში გაგიჩნდა ბოროტი აზრი ანუ ბოროტი განზრახვა, იცოდე, რომ ის აზრი, შეგაგონა შენმა სულიერმა მტერმან. ამ შემთხვევაში მაშინვე პირ-ჯვარი უნდა გადაიწერო და სთქვა: **მიხსენ მე, ღმერთო, ბოროტისაგან.**

ახლა, ძმანო ჩემნო, შეძლებისა-მებრ ჩემისა, აღგიხსენი ეს წმიდა ლოცვა. ყოველმან კაცმან ზეპირად უნდა იცოდეს ეს ლოცვა და დილით და საღამოთი უნდა სთქვას იგი; გარნა სასარგებლო არ იქმნება, რომ კაცმა მხოლოდ ენით სთქვას ეს ლოცვა და საქმით კი არ აღასრულოს. ვინაითგან

თქვენ, ძმანო, ახლა ხართ ქრისტიანენი, ეცადენით, რომ საქ-
მით იყვნეთ ქრისტიანენი და არა მარტო სახელით. უმჯობე-
სია, რომ კაცი სრულიად არ მოინათლოს, ვიდრე მონათლუ-
ლი ცუდად იქცეოდეს; მონათლული უმეტესსა მიიღებს ღვთი-
საგან სასჯელსა. ჭეშმარიტი ქრისტიანე მხოლოდ ის არის,
რომელსა სწამს ღმერთი და კარგად იქცევა. ეცადეთ თქვენ-
ცა, რომ გქონდესთ ეს ორი: მართლ-მადიდებელი სარწმუნო-
ება და კეთილი ყოფაქცევა. – ამინ.

განმარტება

ანუ აღხსნა ცხრათა ნეტარებათა, თქმული ოსეთ-
ში, კუდრის ხეობაში.

მოძღვრება პირველი.

ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რა-
მეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

წმიდასა ეკკლესიასა შინა ხშირად გვესმის ჩვენ, ძმანო, სი-
ტყვანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, რომელთა შინა იგი
უწოდებს ნეტარად გლახაკთა, მგლოვარეთა, მშივდთა, მოწ-
ყალეთა და აღუთქვამს მათ სასუფეველსა ღვთისასა, ანუ ნუგე-
შინის-ცემასა, გინა ღვთისა ხილვასა ანუ სხვასა რომელსამე
მოწყალებასა. ამ სიტყვებში მაცხოვარი გვასწავლის ჩვენ
ცხრასა ნეტარებასა, ანუ ცხრათა სათნოებათა. მე მსურს აღგი-
ხსნა თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, ეს სწავლა მისთვის, რომელ
დიდად საჭირო არის, ყოველმან ქრისტიანემან იცოდეს და ახ-
სოვდეს იგი.

პირველი ნეტარება არის შემდგომი: **ნეტარ იყვნენ გლა-
ხაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.** ვინ არის,
ძმანო, გლახაკნი სულით? თუ გინდა შეიტყო, ვის უწოდებს
ესრედ მაცხოვარი, მოიგონე, ვის ვეძახით ჩვენ გლა-
ხაკად. გლახაკს ჩვენ ვეძახით იმისთანა კაცს, რომელსაც
თავის საკუთარი არაფერი არა აქვს: არც სახლი, არც კარი,
არც ტანის-სამოსი, არც საჭმელი. არამედ ყველგან დადის და
მოწყალებას ითხოვს და იმითი ცხოვრობს. აქედგან, სულიერი
გლახაკი, ანუ გლახაკი სულითა ის არის, რომელიც გრძნობს

თავისს გულში, რომ თავის საკუთარი არაფერი არა აქვს: არც ღირსება, არც სათნოება, არც სიწმიდე, არც სამსახური ღვთის წინაშე, არამედ ღვთისაგან გამოითხოვს მოწყალებასა და იმით სცხოვრობს სულიერად; მაშასადამე, გლახაკი სულითა არის კაცი თავმდაბალი, წყნარი, რომელსაც თავის თავი დიდად არ მიაჩნია და. თუ-გინდ კეთილი კაცი იყოს და ბევრი კეთილი საქმე ექმნას, მაინც თავის გულში მდაბალი არის. ხორციელი გლახაკი ყოველთვის არის დაღონებული და მწუხარე თავის სიღარიბისაგან; ეგრედვე, ვინც არის სულიერად გლახაკი, ისიც არის მწუხარე და დაღონებული თავის უღირსებებისა და სიცოდვისაგან. – ხორციელს გლახაკს არა აქვს თავის თავზედ იმედი, არამედ ყოველსავე მოწყალებას ელის კეთილთა კაცთაგან; ეგრედვე, ვინც არის გლახაკი სულითა, მასაც არა აქვს იმედი, რომ თავისი თავი გაიმართლოს ღვთის წინაშე, არამედ ყოველი სასოება ღმერთზედ აქვს. ესე ვითართა კაცთა ღმერთი აღუთქვამს სასუფეველსა ცათასა: **ნეტარ-იყვნენ გკახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.** რისთვის აღუთქვამს მათ ღმერთი ესრედსა დიდსა ჯილდოსა? მისთვის, რომელ, ვისაც აქვს გული მდაბალი, ვინც ხედავს თავის უღირსებას და მწუხარე არის, ესრედი კაცი ყოველთვის მოერიდება ცოდვასა, ყოველთვის ევედრება ღმერთსა, რათა განსწმიდოს იგი ცოდვათა მისთაგან. ჩვენ ყოველნი ვართ ღარიბნი, ძმანო ჩემნო, სულიერად მოკლებულნი მადლითა და სათნოებითა და აღვსებულნი ცოდვათა; მაშასადამე, თუ თვით ღმერთი არ შეგვეწია თვისითა მადლითა და მოწყალებითა, არ შეგვიძლიან განვმართლდეთ ღვთის წინაშე. გარნა მადლი ღვთისა მიეცემა და შეეწევა კაცსა თავმდაბალსა, ანუ გლახაკსა სულითა. აქეთგან სჩანს, რა დიდი და საშინელი ცოდვა არის ამპარტავნება, ესე იგი, როდესაც კაცს თავის თავი დიდათ მიაჩნია და თავის გულში ფიქრობს, ვითომც იგი იყოს მართალი და წმიდა ღვთის წინაშე. ამპარტავნება არის სულის მომაკვდინებელი ცოდვა, მისთვის რომელ ამპარტავანს ღვთის მადლი არ შეეხება; გარნა ვინც განშორებული არის ღვთის მადლისაგან, ის სულიერად მკვდარია.

მეორე ნეტარებასა ღმერთი აღუთქვამს მათ, რომელნიც არიან მწუხარენი, ანუ მგლოვარენი გულითა: **ნეტარ-იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.** მგლოვარება ანუ მწუხარება, ძმანო ჩემნო, არის ორ-გვარი: ერთი ხორციელი ანუ სოფლიური და მეორე სულიერი, ხორციელი ანუ სოფლიური მწუხარება ის არის, ოდესცა კაცი სწუხს ამ სოფლის ზარალისა ანუ უბედურებისაგან;

მაგალითებრ, ავათ-მყოფობისა, ანუ სიკვდილისა, ანუ სიღარი-
ბისაგან, ანუ სხვათა რომელთამე ამ სოფლის უკმაყოფილებათა,
გინა უბედურებათაგან. სულიერი მწუხარება ანუ მგლოვიარე-
ბა ის არის, ოდესცა ქრისტაინე დაღონებულია და მწუხარე
თავის საკუთარის სიცოდვისა და უღირსებისაგან. მაცხოვარი
მეორე ნეტარებას აღუთქვამს სულიერისა მწუხარებისათვის. ამ
ქვეყანაზედ ჩვენ ყოველნი ადამიანნი ისრედს კაცს უწოდებთ
ნეტარად და ბედნიერად, რომელიც ყოველთვის არის მხია-
რული და კმაყოფილი, ყოველთვის იცინის და ლხინობს; გარ-
ნა მაცხოვარი ნეტარად უწოდებს მათ, რომელნი არიან მგლო-
ვარენი გულითა. რისთვის? მისთვის, ძმანო ჩემნო, რომელ
ვისაც ახსოვს თვისი უღირსება, ვინც სწუხს სიცოდვისა თვი-
სისაგან, იგი ყოველთვის ერიდება ცოდვას, ინანებს, როდე-
საც უნებლიედ ცოდვა ქმნა და ესრედ მიიღებს ღვთისაგან სუ-
ლიერსა მადლსა. გარნა რისთვის სთქვა ღმერთმან: **რამეთუ
იგინი ნუგეშინის ცემული-იქნებიან?** როდის იქმნებიან იგინი
ნუგეშინისცემულ? იგინი იქმნებიან ნუგეშინისცემულ სრუ-
ლითა ნუგეშის-ცემითა მომავალსა საუკუნესა შინა, ოდესცა
მიიღებენ იგინი განსვენებასა ცოდვათასა და ნეტარებასა; გარ-
ნა აქაც, ქვეყანასა ზედა, მიიღებენ იგინი რომელსამე ნუგეშსა.
იქმნება ზოგმა თქვენგანმან, ძმანო, კიდეც გამოსცადა, რომელ
მწუხარებით დამძიმებულსა მიეცემა რაოდენიმე შვება და მო-
სვენება, უკეთუ მან შეიძლო ტირილი; ხოლო მგლოვარე კა-
ცი უმეტესად შეწუხდება, უკეთუ არ მოუვიდა ცრემლი, ვი-
ნაითგან მწუხარება დაეცა გულსა მისსა და ვერ გამოვიდა გა-
რეშე: ესე-ვითარი თვისება აქვს ცრემლთა, რომელ იგინი
შიგნიდან გამოიყვანენ მწუხარებასა გარეთ და შეამსუბუქებენ
გულსა მგლოვარისასა. გარნა უმეტესი შვება და ზოგ-ჯერ გა-
მოუთქმელი ნუგეშიც მიეცემა მგლოვარეს, ოდეს იგი შეაერ-
თებს ცრემლსა ლოცვასა-თანა. ვინც ერთხელ ცრემლით ილო-
ცა წინაშე ხატისა, მას კიდეც გამოუცდია, რომელ არცა ერ-
თი ნუგეში არ დაატკბობს გულსა კაცისასა მზგავსად ამისა.
ამისთვის, ძმანო, ყოველთა მწუხარებათა შინა თქვენ მოიქცე-
ოდეთ ნუგეშინის-ცემისათვის მაცხოვრისადმი. წყარო არის იგი
სიტკბოებისა და ნუგეშინისა მათთვის, რომელნი გაუხსნიან
მას გულსა. მან უწყის ყოველი სისუსტე და უღონობა ჩვენი;
მან თვით გამოსცადა ყოველივე მწუხარება კაცისა; თვით მან
იტირა საფლავსა ზედა მეგობრისა თვისისა; იგი ეტყვის მწუ-
ხარეთა: **მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი,
და მე განგისვენო თქვენ. აღიღე უღელი ჩემი თქვენ ზედა და
ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა... რამე-**

თუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. (მათ. ია, კჰ–ლ). ამინ.

მოძღვრება მეორე.

ნეტარ-იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა; – ნეტარ-იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ.

მშვიდი, ძმანო ჩემნო, არს კაცი იგი, რომელი არავის არ აწუხებს, არავის არ აწყენს, არამედ ყოველთა შეძლებისამებრ, სათნო-ექმნება, ყოველს კაცს აამებს, ყოველთა შეიყვარებს და შეეწევა, – მოკლედ, რომელსა აქვს კეთილი და სახიერი გული, წინააღმდეგ მშვიდისა ითქმის კაცი ამაყი, მოუსვენებელი, რომელთან ვერავის ვერ შეუძლიან ქონდეს კეთილ-განწყობილება. გარნა რაისთვის აღუთქვამს ღმერთი ესრედთა კაცთა ქვეყნის დამკვიდრებასა? როგორ შეიძლება, კაცმან მშვიდმან, რომელი არც ეძიებს აღმატებასა და თვით სიმშვიდე არ აძლევს ნებას, რომ ისურვო უფლება, ანუ აღმატება, დაიმკვიდროს ქვეყანა? ხშირად აღსრულდება ეს ღვთის აღთქმა ქვეყანასა ზედა! მშვიდი და წყნარი იყო დავით წინასწარმეტყველი, არა ქონდა იმედი, რომ მიეღო სხვა რაიმე ღირსება, თვინიერ ცხოვართა მწყსობისა, გარნა ღმერთმან აღამაღლა იგი ტახტსა ზედა სამეუფოსა. მშვიდნი, დამდაბლებულნი იყვნენ ქრისტიანენი პირველთა შინა საუკუნეთა: არა ქონდათ სადგომი და საზრდო, იყვნენ მარადის დევნულ და ტანჯულ უსჯულოთაგან; გარნა მიხედეთ ახლა, ვინ დაიმკვიდრა ქვეყანა, თუ არა ქრისტიანეთა: სადღა არიან მდევნელნი მათნი კერპთ მსახურნი და მაჰმადიანნი? ვის უპყრიეს ახლა უმჯობესი ნაწილი ქვეყანისა? ვის აქვს შეძლება და წარმატება? ქრისტიანეთა, თუ მდევნელთა მათთა? ახლა მთელი ქვეყნის დიდება აქვსთ ქრისტიანეთა; რაც განათლება არის ქვეყანაზედ, ანუ ძლიერება, ანუ წარმატება, ყოველი ქრისტიანობის ხელში არის. სხვანი ყოველნი ტომნი, ურწმუნონი მაჰმადიანნი ანუ კერპთ-მსახურნი, არიან გაუნათლებელნი, სუს-

ტნი და უძლურნი, ხოლო ყოველი ძლიერება და პატივი ღმერთმან მისცა ქრისტიანეთა. აჰა, რა სახით აღსრულდა სიტ-ყვა ღვთისა.

ახლა თქვენზედ ვიტყვი, ძმანო ჩემნო. თქვენ, ამ მთებში მცხოვრებთა, ახლა მონათლულთა, უფრო მტკიცედ უნდა გახსოვდესთ ეს სიტყვა მაცხოვრისა: **ნეტარ-იყვნენ მშვიდნი.** რისთვის? მისთვის, რომელ თქვენ გულფიცხელნი ხართ; ხში-რად გაფიცხდებით და სიფიცხითა თქვენითა ხშირად შთავარ-დებით დიდთა ცოდვათა შინა. რამდენჯერ მომხდარა, რომ გაფიცხებული კაცი წასჩხუბებია თავის ძმას, უგინებია და უცე-მია; გარნა ეს კიდევ არაფერია: საშინელი ის არის, და იქმნება თქვენც გაგეგონოსთ ამისთანა მაგალითი, რომ გაფიცხებულს კაცს ჩხუბში მოეკლას კაცი. აჰა, რა საშინელს ცოდვასა შინა შთავარდება კაცი, თუ გაფიცხელდა; ამისთვის, ძმაო, როდესაც გული მოგივა და გაფიცხლდები, მოიგონე ეს სიტყვა მაცხო-ვრისა: **ნეტარ იყვნენ მშვიდნი,** და გული დაიმშვიდე და გექმნე-ბა ღვთისაგან დიდი მადლი.

მეოთხე ნეტარება იტყვის: **ნეტარ-იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ.**

რაისთვის არა სთქვა უფალმან: ნეტარ-იყვნენ, რომელთა უყვარსთ სიმართლე; არამედ ნეტარ-იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის? ნეტარად უწოდებს მაცხო-ვარი მხოლოდ მათ, რომელთა უყვარსთ სიმართლე, ვითარცა მშიერსა კაცსა უყვარს და სურს საჭმელი და მწყურვალესა სა-სმელი. კაცს რომ მოშივდება, მაშინ მისთვის უძვირფასეს ყო-ვლისა არის საჭმელი. მას ერთი ლუკმა პური ურჩევნია ოქ-როსა და თვალთა; მზგავსად ამისა ესოდენ უნდა უყვარდეს ყო-ველსა კაცსა სიმართლე, რომ მიაჩნდეს იგი უძვირფასესად ყო-ვლისა ნივთისა; ყოველსა სიტყვასა და საქმესა შინა ყოველ-გან და ყოველთვის უნდა ეძიებდეს სიმართლესა და უხარო-დეს მისთვის.

რას აღუთქვამს მაცხოვარი მათ, რომელთა შიისთ და სწყუ-რისთ სიმართლისათვის? აღუთქვამს, რომელ იგინი განსძღე-ბიან. ეს აღთქმა მათთვის არის უმჯობესი ყოვლისა სასყიდე-ლისა. როგორადაც კაცის ფრიად მშვენიერისათვის უდიდესი ბე-დნიერება არის განძღობა საჭმლითა, ეგრედვე მათთვის, რო-მელთა შიისთ სიმართლისათვის, უდიდესი ბედნიერება იქმნება, ოდეს იგინი იხილვენ და მიიღებენ სრულს სიმართლესა; ოდეს შეიტყობენ, რომ სიმართლემან სძლო და დასთრგუნა უმართ-ლობა და სიცრუე. გარნა მშვიდნი და მწყურვალენი სიმარ-თლისათვის, რა საკვირველია, ვერ განძღებიან ამა ქვეყანასა

ზედა, ვინაითგან აქ ვერ იხილვენ სრულსა სიმართლესა, არა-
მედ განსძღებიან სასუფეველსა ცათასა. მხოლოდ მუნ იხილ-
ვენ იგინი სრულსა ჭეშმარიტებასა შინაგან და გარეშე თვის-
სა; მაშინ ნახვენ იგინი თვალითა, ვითარ კაცი, რომელი ატ-
ყუებდა ყოველთა ამ ქვეყანაზე და აღვსებული იყო მზაკვარე-
ბითა და ფარისევლობითა, მუნ იქმნება შერცხვენილ და დამდაბ-
ლებულ. ხოლო კაცი, რომელი იყო გულწრფელ, დევნული და შე-
ურაცხ აქ სიმართლისათვის, იქმნება ამაღლებული და ნეტარ
წინაშე თვალთა უფლისასა სასუფეველსა შინა მისსა; და თუ
ესოდენ ძვირფასია, ძმანო ჩემნო, ღვთის წინაშე სიმართლე,
ეცადეთ, რომ შეიყვაროთ იგი/ მოერიდეთ სიცრუესა და მო-
ტყუებასა. ნურცა სიტყვით, ნურცა საქმით ნუ ატყუებ მოყ-
ვასსა შენსა; ხოლო უმეტესად უნდა გახსოვდეს ეს მცნება მა-
შინ, როდესაც არის რომელიმე ძიება მთავრობისაგან და შენ
მოწმედ ხარ მოწოდებულ. მოწმემ გულ-წრფელად უნდა სთქვას,
რაც იცის. ვინც მოწმობაში იტყვის სიცრუეს, იგი დიდს და
საშინელს ცოდვაში შთავარდება, მისთვის რომელ მთავრობა
ვერ შეიტყობს სიმართლეს და იქნება ამით უბრალო კაცი დაი-
საჯოს და ბრალიანი გამართლდეს. ზოგჯერ კაცის მორიდე-
ბით და მეზობლების შიშით დამალავს კაცი სიმართლესა, იმას
კი არ ფიქრობს, რომ ღვთისა უფრო უნდა ეშინოდეს კაცსა,
ვიდრე კაცისა. – ამინ.

მოძღვრება მესამე.

ნეტარ-იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგი-
ნი შეიწყალნენ.

ამ ნეტარებას არ უნდა დიდი განმარტება, ძმანო ქრისტი-
ანენო; ვინც მოწყალე არის თავის ძმაზედ, მას ღმერთიც შეი-
წყალებს; ვისაც ებრალება თვისი მოყვასი, მას ღმერთიც შე-
იბრალებს; ვინც მოეხმარება თავისს მოყვასს, ნუგეშ-სცემს,
ხელს შეუწყობს, გლახაკს შეეწევა, უგუნურს და უჭკუო კაცს
დაარიგებს, ავად-მყოფს ნახავს, ქვრივს და ობოლს გამოზრ-
დის, ამისთანა კაცს ღმერთიც შეეწევა და შეიწყნარებს ამ ქვე-
ყანაშიც და უმეტესად მომავალსა საუკუნესა შინა. მოწყალე-
ბითა ანუ შეწუხებულის და გაჭირვებულის შემწეობა არის ყო-
ველთა უდიდესი სათნოება. სახარებითგან ხშირად გესმისთ

თქვენ ეკკლესიაში, რომე მეორესა საშინელსა მოსვლასა უფლისა იესო ქრისტესსა ქვეყანასა ზედა განსჯად ყოველთა კაცთა ცხოვნებულნი დადგებიან მარჯვენით ქრისტესსა, ხოლო წარწყმედულნი მარცხენით მისსა. მაშინ უფალი იესო ქრისტე განუცხადებს მდგომარეთა მარჯვენით თვისსა: **მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა: მშიოდა მე და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მომეცით სასმელი, შიშველ ვიყავ და შთამაცვით მე, საპყრობილესა შინა ვიყავ და მნახეთ მე.** გარნა მდგომარეთა მარცხენით მისსა ეტყვის: **წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა შინა საუკუნესა: მშიოდა მე და არა მეცით მე საჭმელი, მწყუროდა და არა მასვით მე, საპყრობილესა შინა ვიყავ და არა მნახეთ მე.** აჰა, ძმანო, რა დიდი სათნოება არის მოწყალება; მოწყალე კაცი თავის სულს აცხოვნებს; უწყალო თავის სულს წარწყმედს; მოწყალებას კაცი კაცს კი არ აძლევს, თვით იესო ქრისტეს აძლევს; უწყალო კაცი თვით იესო ქრისტეს უარ-ყოფს: ამისთვისცა იტყვის მაცხოვარი საშინელსა სამსჯავროსა ზედა: **მშიერ ვიყავ და არა მეცით მე ჭამადი, შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე.**

იქმნება ვინმე თქვენ შორის იფიქროს: რა მოწყალება შემიძლიან მე, როდესაც თვითონ ვარ ერთი საწყალი კაცი, მაკლია საჭმელი და სასმელი; თუ ასრე იფიქრა ვინმე, ის უმართლოდ იფიქრებს. რაც გინდა ღარიბი იყოს კაცი და საწყალი, მაინც შეუძლიან აღასრულოს მოწყალება. ვსთქვათ, რომ შენ ღარიბი და საწყალი კაცი ხარ; გარნა ზოგიერთნი შენზედ უღარიბესნი და გაჭირვებულნი არიან. თუ ბევრის მიცემა არ შეგიძლიან, ცოტა-ოდენი მოწყალება მაინც უყავ. თუ ფულით, ანუ ნივთით არ შეგიძლიან მოწყალება, სიტყვით მაინც უყავ მოწყალება, ესე იგი, შეწუხებულს კაცს ნუგეში-ეც, უგუნური და უჭკუო კაცი დაარიგე და მოაქციე. იქმნება შენ მართლა საწყალი და ღარიბი კაცი ხარ, მაგრამ იქმნება გყავს ცოლი, შვილები, იქმნება გყვანან უმცროსნი ძმანი; თუ გსურს აღასრულო ეს მცნება, ამათთან იყავ წყნარი, მშვიდი, მოწყალე; თუ არ გახსოვს ეს მცნება და ცუდი ხასიათი გაქვს, მაშინ შენ უთუოდ ამათთან იქმნები უწყალო; ესე იგი, ცუდად მოეპყრობი მათ, გაუჯავრდები, აგინებ, სცემ. მოკლედ ვსთქვათ, ყოველ კაცს შეუძლიან ეს მცნება აღასრულოს, ან დაარღვიოს.

ნეტარ-იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ღმერთი ჩვენგან, ქრისტიანეთაგან, მოითხოვს, რომ არა

თუ მხოლოდ საქმით ვიყვნეთ წმიდანი, არმედ გულიცა წმიდა გვქონდეს. რისთვის? თუ კი კაცი კარგად იქცევა და კეთილს საქმეს იქმს, რა საჭიროა, რომ გულიც წმიდა ქონდეს? სულ ერთი არ არის, რაც უნდა იფიქროს კაცმა გულში ოღონდ ცუდი საქმე არა ქმნას? უფალი იესო ქრისტე მისთვის მოითხოვს ჩვენგან, ძმანო, წმიდა გულს, რომელ ჩვენი ყოფაქცევა პირველად გულში მოიფიქრებს ანუ განიზრახავს კეთილსა, გინდა ბოროტსა საქმესა, და მერმე აღასრულებს. როგორიც გული აქვს კაცსა, ისრეთი საქმეც ექმნება. ამისთვის, ძმაო ჩემო, ეცადე, რომ წინაპირველად განიწმიდო გული შენი: რაც გაქვს გულში, ანუ ცუდი სურვილი ანუ განზრახვა ბოროტი, განაგდე გულისაგან. თუ გაგიჩნდა გულში მსწრაფლ ცუდი რაიმე განზრახვა, ანუ სხვამ ვინმე შეგაგონა რაიმე ცუდი, ეცადე და მაშინვე მოინანე და დაივიწყე; თუ დიდხანს დაუტევე გულში ბოროტი აზრი, ანუ სურვილი, როგორც რომ თესლი მიწაში, ისრე გაიბამს ფესვსა შენს გულში ის აზრი და ცოდვაში შთაგაგდებს.

ვისაც წმიდა გული აქვს, იმას მაცხოვარი აღუთქვამს ღვთის ხილვას: **ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.** ვინაითგან ღმერთი არის უწმიდესი არსება, მას იხილავს მხოლოდ კაცი წრფელი გულითა, ღმერთი არის ნათელი ბრწყინვალე; ამისთვის ღმერთს ვერ მიეახლება კაცი იგი, რომელსა აქვს გული დაბნელებული უწმინდურითა აზრითა. – ამინ.

მოძღვრება მეოთხე.

ნეტარ-იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.

მშვიდობის-მყოფელი არის ის კაცი, რომელსა უყვარს მშვიდობით და მყუდროებით ცხოვრება, რომელი არა თუ თვითონ არავის შეაწუხებს, არ წაეჩხუბება, არამედ ცდილობს შეარიგოს, ვინც არიან წაჩხუბებულნი და უკმაყოფილონი ერთმანეთში. ამისთანა კაცს მაცხოვარი აღუთქვამს დიდს და გამოუთქმელს ჯილდოს: იგინი ძედ ღვთისად იწოდებიან. რისთვის აღუთქვამს მათ, ძმანო ჩემნო, ესრეთს დიდს ჯილდოს მაცხოვარი? მისთვის, რომელ ღმერთს უყვარს მშვიდობა და მყუდროება. საღმრთო წერილში ღმერთი თავის თავს უწო-

დებს ღმერთად მშვიდობისა და მამად მოწყალებისა. თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მისთვის მოვიდა ქვეყანასა ზედა, მისთვის მიიღო ბუნება კაცისა, მისთვის ივნო, ჯვარს ეცვა და აღსდგა, რათა შეაერთოს და შეარიგოს კაცი ღმერთთან. ცოდვამან და ურჩებამან კაცი განაშორა ღმერთისაგან; ღმერთი განრისხებული იყო კაცზედ, გარნა უფალმან იესო ქრისტემან მოახდინა მშვიდობა ღვთისა და კაცთა შორის. აქედამ, ვინც კაცს კაცთან შეარიგებს, მშვიდობას და შერიგებას მოახდენს მოყვასთა თვისთა შორის, ამით იგი დაემსგავსება თვით უფალსა იესო ქრისტესა, ანუ შეეწევა მას. აჰა რა დიდი და პატიოსანი საქმე არის მშვიდობის მოხდენა ქვეყანასა ზედა! ყოველი ქრისტიანე უნდა ცდილობდეს, რომ შეიძინოს ეს სათნოება; გარნა სხვაზედ უმეტესად ამას უნდა ცდილობდეთ თქვენ, ამ მთებში მცხოვრებნი და ახალ მონათლულნი. რისთვის? მისთვის რომელ, როგორადაც გითხარით ამას წინაც, გულფიცხელნი ხართ, ხშირად მოგივათ ხოლმე ერთმანეთში ჩხუბი და უკმაყოფილება, ხშირად გაქვსთ ერთმანეთში შური და გიყვარსთ შურის-ძიება. მაშასადამე, თქვენ მტკიცედ უნდა გახსოვდესთ, რა დიდი სათნოება არის მშვიდობის მოხდენა. თუ მშვიდობის-მყოფელს ღვთის ძე ეწოდება, მაშასადამე, შფოთის მყოფელი ეშმაკის შემწე არის. ჩვენს სულიერs მტერს, ეშმაკს, უხარიან, ოდესცა ხედავს ჩვენ შორის ჩხუბსა, შფოთსა, შურსა, მისთვის, რომელ, ოდესცა ჩვენ შორის არის ჩხუბი და განხეთქილება, მაშინ ადვილად გვაცდენს იგი და ადვილად შთაგვაგდებს იგი ყოველსა ცოდვასა შინა; გარნა როდესაც ხედავს ჩვენ შორის ერთობასა და სიყვარულსა, მაშინ ვერაფერს დაგვაკლებს.

ნეტარ-იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ამ სიტყვებისაგან ვხედავთ ჩვენ, ძმანო, ჩემნო, რა დიდი სიყვარული უნდა გვქონდეს სიმართლისათვის. სიმართლისათვის კაცმან ყოველი დევნა უნდა მოითმინოს. ხშირად მოხდება ხოლმე თქვენ შორის, როდესაც ვისმე საქმეში მოწამედ დაიბარებენ, თუმცა კი იცის სიმართლე, გარნა შიშისაგან არ იტყვის. მეშინიან, რომ შური არ იძიოსო და ცუდი რაიმე არ მიყოსო. გარნა, ძმაო ჩემო, ვისი უნდა გეშინოდეს უმეტესად, – ღვთისა თუ კაცისა? თუ სიმართლეს დამალავ, ღმერთს განარისხებ; თუ სიმართლეს იტყვი და ვინმემ ამისთვის მოგიძულა და ცუდი რაიმე გიყო, ნუ გეშინიან: ღმერთი სასუფეველს მოგცემს.

ნეტარ-იყვნენ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ და

**სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემ-
თვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი
მრავალ არს ცათა შინა.**

რით შეგიძლიან დაამტკიცო, რომ შენ ხარ ნამდვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანე? მით, როდესაც ქრისტეს გულისათვის მოითმენ ჭირსა და განსაცდელსა ქვეყანასა ზედა. ჭეშმარიტი ქრისტიანე მხოლოდ ის არის, რომელიც თავის თავს არ დაზოგავს ქრისტეს სჯულის შენახვისათვის.

ახლა, ძმაო ჩემო, მე, შეძლებისა-მებრ ჩემისა, აღგიხსენი ცხრა ნეტარება, თქმული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს-მიერ. შენზედ არის დამოკიდებული, როგორ მიიღებ და ისარგებლებ, რაც მე აღგიხსენი. თუ არ შეგიძლიან შეიძინო ყოველივე ცხრანი ნეტარებანი, ერთი რომელიმე მათგანი მაინც აღასრულე. გახსოვდეს, ძმაო, რომ ვინც ისმენს ღვთის სიტყვასა და არ აღასრულებს, ის უმეტესად არის დამნაშავე ღვთის წინაშე.

უკანასკნელ, ვევედროთ ღმერთსა, რათა თვით იგი შეგვეწიოს მადლითა თვისითა და გამოგვაჩინოს კეთილ აღმასრულებელად თვისთა მცნებათა. მოიფიქრე, ძმაო, და სცან, როგორ მართლ-მსაჯულ არს ღმერთი: ყოველს კაცს ღმერთი მიაგებს, რისაც ღირსი არის და რაც შეიძინა. გლახაკსა სულითა ღმერთი მისცემს სასუფეველსა; მგლოვარეს ეტყვის, რომელ იგი ნუგეშინის-ცემულ იქმნება; მშვიდთა აღუთქვამს ქვეყანის დამკვიდრებასა... ამინ.

განმარტება

**ანუ აღხსნა ეფრემ ასურის ლოცვისა, ოთხთა მოძღვრე-

ბათა შინა, რომელნიც თქმულან ოსეთში და სვანეთში.**

მოძღვრება პირველი.

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემი-
საო, სულსა უქმობისასა და მიმოწვლილვე-
ლობისასა, მთავრობის-მოყვარებისასა და ცუ-

დად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე.

განმავლობასა შინა დიდისა მარხვისასა, ყოველ-დღე წირვაზედ, ლოცვაზედ, მწუხრზედ და ცისკარზედ არა ერთ-გზის გესმისთ თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, მოკლე ლოცვა: უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო... ამ ლოცვას ასე ხშირად წმიდა ეკლესია მისთვის განიმეორებს წირვა-ლოცვაზედ, რომელ იგი არს ფრიად საჭირო და სასარგებლო ყოველთა ქრისტიანეთათვის. ვინც კარგად გაიგებს აზრსა ამ ლოცვისასა და ეცდება, რომ შეითვისოს იგი და მერმე აღარსულოს თავის ცხოვრებაში, ის მიიღებს დიდს სულიერ სარგებლობას. ამისთვის მსურს განგიმარტო ანუ აღგიხსნა, ძმანო ჩემნო, ეს მოკლე ლოცვა.

სამ ნაწილად ანუ სამ მუხლად არის გაყოფილი ეს ლოცვა: პირველს მუხლში ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა, რათა განაშოროს ჩვენგან ოთხი ცოდვა: უქმობა, მიმომწვლილველობა, მთავრობის-მოყვარეობა და ცუდად მეტყველება. **უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვილველობისასა, მთავრობის-მოყვარეებისა და ცუდად-მეტყველებისა ნუ მიმცემ მე.** მეორესა მუხლსა შინა ვევედრებით ღმერთსა, რათა, ნაცვლად ოთხთა ამათ ცოდვათა, მოგვცეს ოთხი სათნოება: სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული: ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მონასა შენსა. ბოლოს მესამესა მუხლსა შინა ვსთხოვთ ჩვენ ღმერთსა, რათა მოგვცეს ჩვენ ცნობა თავისა ჩვენისა და არა განკითხვად მოყვასთა ჩვენთა: **ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე.**

დღეს ვსთქვათ, ძმანო, პირველ მუხლზედ. რა არის, ძმანო ჩემნო, სული უქმობისა? სული უქმობისა ის არის, როდესაც კაცს არ უყვარს შრომა და მუშაკობა, არამედ უყვარს ცუდად ყოფნა, ანუ უსაქმოდ გატარება თავის დროებისა. მაშასადამე, სული უქმობისა აქვს ზარმაცს და მცონარე კაცსა. დიდი და საშინელი ცოდვა არის, ძმაო ჩემო, ზარმაცობა ანუ ცუდად დროების დაკარგვა. ღმერთმან შექმნა კაცი შრომისა და მუშაკობისათვის. საღმრთო წერილში თქმულ-არს: ვინც არ მუშაკობს, იმან პურიც არ უნდა სჭამოსო. მართლა, ვინც არ მუშაკობს, იგი არ არის ღირსი, რომ სჭამოს პური, მისთვის რომელ ყოველმან კაცმან თავის ხელით უნდა შეიძინოს თავისი საზრდო; მაშასადამე, ვინც არ მუშაკობს, იგი სჭამს სხვის ნამუშაკევს და ამით დაემზგავსება ქურდსა. მეორე მი-

ზეზი, რომლისათვისცა უქმობა არის საშინელი ცოდვა, მდგომარეობს მას შინა, რომელ უქმი კაცი უადვილესად შთავარდება ყოველსა ცოდვასა შინა, ვიდრე კაცი შრომის-მოყვარე. მოხუცებულნი და გამოცდილნი კაცნი ესრეთ იტყვიან: უქმობა არის დედა ყოველთა ცოდვათაო. რა სახით? ესრედ რომელ კაცი, რომელიც ყოველთვის არის გაბმული საქმეში, ყოველ დღე შრომობს, მუშაკობს და არაოდეს არა აქვს მოცალება, ესრეთი კაცი ვერ მოიფიქრებს რომელსამე ცუდსა საქმესა, ვერც აღასრულებს, მისთვის რომელ დრო არა აქვს, მოცლილი არ არის, გარნა კაცი უქმი ადვილად შთავარდება ყოველს ცოდვაში, ვინაითგან მოცლილი არის და ადვილად გაუჩნდება გულში ცუდი რომელიმე აზრი, ადვილად აცდუნებს მას სულიერი მტერი და ადვილად მიიზიდავს ყოველი ბოროტი კაცი ცუდს საქმეში. მაშასადამე, ეცადენით თქვენ, ძმანო ჩემნო, რომ ცუდად არ დაკარგოთ არცა ერთი წამი. თუ გსურს, ძმაო, შეიტყო, რა კარგი და საქები არის კაცი შრომის-მოყვარე, წარმოიდგინე: ოდესცა შენ კარგად იმუშავებ დილითგან საღამომდის, მაშინ გიხარიან და მადლობ ღმერთსა, და თუ რომელიმე დღე უქმად გაატარე, იმ დღეს შენ თვითონ მოწყენილი ხარ; მაშასადამე, ეცადე და შეიყვარე შრომა და მუშაკობა. მართალი უნდა გითხრა: თქვენ, ამ მთებში მცხოვრებთ, არ გიყვარსთ მუშაკობა და შრომა ისრე, როგორც სხვა ხალხთა უყვარსთ. თქვენ მრავალ დღეს კარგავთ უქმად; დასხდებით და დაიწყებთ გრძელს საუბარს, რომელიც ყოვლად უსარგებლო არის, ვგონებ, ამისთვის ხართ ესრეთ ღარიბნი, ცოლ-შვილი შიშვლად გყავსთ, ხშირად საჭმელი გაკლიათ. გარნა კარგად რომ მუშაობდეთ, უქმად დროს არ კარგავდეთ, მაშინ დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, – არ იქმნებოდით ისრე ღარიბნი.

მეორე ცოდვა, რომელიც იხსენება პირველს მუხლში, არის მიმომწვილველობა, ანუ, სხვა-ფერ ვსთქვათ, მოწყინება. მოწყინება ის არის, ოდესცა კაცს მოეწყინება ანუ მოსძულდება თავის თავი, ანუ რომელიმე კეთილი საქმე. ეს ცოდვა, ძმანო ჩემნო, კაცს ხშირად დაემართება ეშმაკის მანქანებისაგან; მაგალითებრ: ზოგჯერ კაცს მოეწყინება ლოცვაზედ დგომა, ანუ მარხვის შენახვა, ანუ ნიადაგ შრომა და მუშაობა. ხანდისხან კიდევ ზოგიერთს კაცს მოეწყინება თავის სიცოცხლე, იფიქრებს: რა სიცოცხლე არის ჩემი სიცოცხლეო; ამაზედ იწყებს მწუხარებას და დრტვინვას. ესეც დიდი და მავნებელი ცოდვა არის, ძმანო ჩემნო; პირველად მისთვის, რომელ ქრისტიანე ყოველთვის უნდა იყოს მღვიძარე, ფრთხილ, სულ-

გრძელ. კაცს ღმერთმან მისცა ყოველივე, რაც საჭირო არის
მის ბედნიერებისათვის, ესე იგი ჭკუა, სიმართლე, ქვეყანა.
ვინც კარგად მოიხმარს ღვთის ნიჭსა, ესე იგი ვინც კარგად
ირჯება, ცდილობს, მუშაობს, – ის არ შთავარდება მოწყინე-
ბაში. თუ შეემთხვია მას რომელიმე ზარალი, ანუ უბედურე-
ბა მაინც სულგრძელ არს და მალე გამოვა იმ ზარალითგან.
მაშასადამე მოწყინება დაემართება მხოლოდ იმ კაცს, რომე-
ლიც არის ზარმაცი, ცუდი ხასიათისა და ცუდი ყოფა-ქცევისა.
მეორედ, მოწყინება მისთვის არის ცუდი და მავნებელი ცო-
დვა, რომელ იგი კაცს შთააგდებს კიდევ სხვათა ცოდვათა
შინა: ვისაც გულში აქვს მოწყინება, იგი ხშირად დრტვინავს
ღმერთზედ და ამით დიდად სცოდავს; მას დაეკარგება სასოე-
ბა ღმერთზედ. რადგანაც ესრეთი ცუდი და მავნებელი ცოდვა
არის მოწყინება, მაშასადამე ოდესცა გულში გაგიჩნდება იგი,
მაშინვე ეცადე და განაგდე გულისა შენისაგან. ქრისტიანე ყო-
ველთვის უნდა იყოს მღვიძარე, ყოველთვის ღმერთზედ სასო-
ება უნდა ჰქონდეს. – ამინ.

მოძღვრება მეორე.

სულსა მთავრობის-მოყვარეებისა და ცუ-
დად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე.

მესამე ცოდვას, რომელზედაც არის თქმული ამ ლოცვა-
ში, ეწოდება მთავრობის-მოყვარეება. მთავრობის-მოყვარეება
ის არის, ოდესცა კაცი ეძიებს უფლებასა ანუ ბრძანებლობასა
სხვათა კაცთა ზედა. ეს ცოდვა ხშირად დაემართება დიდთა
ანუ უფროსთა კაცთა, რომელნიც არიან მთავრობასა შინა. –
თუ მთავრობის-მოყვარეება ცოდვა არის, მაშასადამე ვინც
არიან მთავარნი ანუ უფროსნი, მაგალითებრ: ჩინოვნიკი, ცო-
დვაში არიან? – არა, ძმაო ჩემო, აქ ორგვარად უნდა იფიქრო:
თუ ვინმე კაცი მთავრობას ანუ ჩინოვნიკობას ეძიებს მხოლოდ მის-
თვის, რათა თავის თავს მისცეს სარგებლობა, გამდიდრდეს,
პატივი და დიდება შეიძინოს, თუ მარტო ამას ფიქრობს ვინმე
და სხვა არაფერი ახსოვს, იგი დიდ ცოდვაში არის; გარნა ვინც
მთავრობას ეძიებს მისთვის, რომ მოყვასთა თვისთა მისცეს სარ-
გებლობა, დაიცვას მშვიდობა და მყუდროება სოფელში, სი-
მართლე და მართლ-მსაჯულება მიანიჭოს ყოველსა კაცსა, ქვრი-
ვი, ობოლი და საწყალი დაიფაროს უმართლო და მძლავრთა

კაცთაგან, ამისთანა კაცი არ არის ცოდვაში, არამედ კეთილს და მადლიანს საქმეს ეძიებს. გარნა ვისაც ახსოვს, რა დიდი და ძნელი საქმე არის მთავრობა, რა დიდს და საშინელს პასუხის გებაში შთავარდება ღვთის წინაშე ის კაცი, რომელიც უმართლოდ ხმარობს მთავრობას, – ამისთანა კაცს არც ექმნება გულში მთავრობის-მოყვარეება, არამედ კიდეც ეშინის, რომ მთავრობის-მოყვარეებით სული არ წარიწყმიდოს. ახლა თქვენზედ ვიტყვი: თუმცა თქვენ, ამ მთებში მცხოვრებნი, ხართ მდაბალნი და ღარიბნი ხალხნი, გარნა ერთს შემთხვევაში თქვენც, გაქვსთ ეს ცოდვა, ესე იგი მთავრობის-მოყვარეება. რა სახით? ესრეთ, რომელ თქვენ შორის დედა-კაცნი არიან ფრიად დაღონებულნი და შეწუხებულნი მამა-კაცთაგან, ხოლო მამა-კაცებს აქვსთ ნამეტნავი მთავრობა ანუ უფლება დედა-კაცებზედ. ამ საქმეში თქვენი ჩვეულება და თქვენი ყოფა-ქცევა არის ფრიად ცუდი და ქრისტიანობის წინააღმდეგი. ქალები თქვენ არაფრად არ მიგაჩნიათ და ძლიერ აწუხებთ. ზოგიერთს სოფელში თითქმის ასრე არის, რომელ მამა-კაცები მრთელი დღე არაფერს არ აკეთებენ და უქმად არიან, დედა-კაცები კი დილითგან საღამომდის არიან მუშაობაში და ტანჯვაში, ასრე რომ თითქოს ესენი არჩენენ თავის ქმრებს და შვილებს. ეს დიდად შემარცხვენელი და უსჯული საქმე არის, ძმანო ჩემნო. ღმერთმან დედა-კაცი იმიტომ შექმნა სუსტი და მამა-კაცს მისთვის მისცა უმეტესი ღონე, რომ პირველი შინ, სახლში უნდა იყოს, სახლს უნდა უვლიდეს და შვილებს უნდა ზრდიდეს, ხოლო მეორე გარეთ უნდა მუშაკობდეს, რაც უმძიმესი საქმე არის, იმას აკეთებდეს. საღმრთო წერილიც ისრე შეგვაგონებს ჩვენ, რომელ ყოველს ადამიანს უნდა ცოლი თვისი უყვარდეს და ისრეთს პატვიში უნდა ყავდეს, როგორც თავისი თავი. ყოველს განათლებულს სახლში დედა-კაცს აქვს დიდი პატივი, გარნა თქვენ შორის დედა-კაცები არიან უპატიოდ და საწყლად. კიდევ გეტყვი, არ ვარგა, რომ ეს ასრე იყოს და ასრე დაშთეს. ოდესაც ღვთის მადლით თქვენშიც შემოვა სწავლა და განათლება, ეს საქმე მაშინ გამოიცვლება, გარნა ახლაც კი უნდა გახსოვდესთ, ძმანო, და ეცადნეთ, რომ უმჯობესად იქცეოდეთ დედაკაცებთან.

უკანასკნელ, მეოთხე ცოდვა, რომელსა ახსენებს პირველი მუხლი, არის ცუდად-მეტყველება. ცუდად-მეტყველება არის ყოველი უქმი, უსარგებლო, უშვერი სიტყვა, გამომავალი პირისაგან კაცისა. ღმერთმან ენა ჩვენ მისთვის მოგვცა, რათა ვაკურთხოთ, ვადიდოთ და ვილოცოთ იგი; დავლოცოთ, დავარიგოთ მოყვასი ჩვენი. გარნა ჩვენ, ნაცვლად ამისა, ენას ხში-

რად ვხმარობთ ცოდვისათვის: ენითა ჩვენითა ვიტყვით სიცრუ-
ეს, გინებას, ცილის-წამებას, უშვერს სიტყვას. მდაბალს ხალხ-
ში უმეტესად იციან გინება და უშვერი სიტყვების თქმა. ენა
თავის თავად არ სცოდავს, არამედ იმას იტყვის, რაც გულში
აქვს კაცსა; მაშასადამე, ვინც ლაპარაკობს ყოველთვის გონიე-
რად, მშვენიერად და მძიმედ, იმას უთუოდ გულიც და ხასია-
თიც კარგი აქვს, გარნა, ვინც ხშირად იტყვის უშვერს სიტ-
ყვას, ხშირად აგინებს თავის მოყვასს, სჩანს იმას ხასია-
თიც ცუდი აქვს. მეორესა და საშინელსა მოსვლასა იესო ქრი-
სტესსა ყოველი კაცი მისცემს პასუხს არა თუ მხოლოდ საქმე-
თა, არამედ ყოველთა სიტყვათა თვისთათვის. ეცადეთ, ძმანო
ჩემნო, არა სცოდოთ ენითა თქვენითა, არამედ ჭკუიანად და
მშვიდად ეტყოდეთ ერთი მეორესა ყოველთა თქვენთა საქმე-
თა. ახლა ვსთხოვთ ღმერთსა, რათა შეგვეწიოს ჩვენ და განა-
შოროს ჩვენგან სული უქმობისა, მოწყინებისა, მთავრობის-
მოყვარეებისა და ცუდად-მეტყველების. – ამინ.

მოძღვრება მესამე.

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა,
მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე
მე, მონასა შენსა.

ამას წინათ მე აღგიხსენი თქვენ პირველი მუხლი ეფრემ ასურის ლოცვისა. დღეს ვეცდები აღგიხსნა მეორე მუხლი ანუ მეორე ნაწილი. აქ ჩვენ ვთხოვთ ღმერთსა, რათა ჩვენ მოგვცეს ოთხი სათნოება, ესე იგი: სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული. **ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა.**

სიწმიდე, ანუ სული სიწმიდისა არის ორ-გვარი: გარეგანი, ანუ ხორციელი და შინაგანი, ანუ სულიერი. სიწმინდე გარეგანი, ანუ ხორციელი ის არის, როდესაც კაცს უყვარს წმინდად ჩაცმა, წმინდად ჭამა და სმა და წმინდად ცხოვრება თავის სახლში. კარგი, გონიერი და სასარგებლო საქმე არის, თუ კაცი ცდილობს ხორციელსა სიწმიდესა ზედა. იქმნება თქვენგანმან ვინმემ იფიქროს: სად შეუძლიან საწყალს და ღარიბს კაცსა, რომ წმინდად ჩაიცვას, წმინდად სჭამოს, სიწმინდე შეინახოს თავის სადგომში? ესრეთ ფიქრი არ იქმნება საფუძვ-

ლიანი: სიწმინდის შენახვა არ მოითხოვს სიმდიდრესა, იქნებ
შენც გამოგიცდია და გინახავს, ძმაო, რომელ ზოგიერთი კა-
ცი საკმაოდ მდიდარია და შეძლებაც აქვს, გარნა მაინც უწ-
მინდურად ცხოვრებს; და სხვა თუმცა იმაზე ღარიბია და შეუ-
ძლებელი, გარნა წმინდად და სუფთად ცხოვრებს. ეს შეძლე-
ბაზედ არ არის დამოკიდებული, არამედ ჩვეულებაზეც და
ჭკუაზედ. თუ გინდ ბევრი არაფერი გქონდეს შენ, ძმაო
ჩემო, მაგრამ, რაც გაქვს, ის სუფთად და წმინდად შეინახე.
თქვენ ამ მთებში მცხოვრებთა არ გიყვარსთ წმინდად და სუფთად
ცხოვრება, რაიცა დიდად დასაძრახი არის. იქმნება რომელიმე
თქვენგანი ყოფილა სხვა ქვეყანაში, ვსთქვათ – ქართლში და
იმერეთში. ქართლში თუმცა უფრო შემძლებელი ხალხი
არის, გარნა უწმინდურად ცხოვრებენ; იმერეთში, თუმცა შე-
უძლო ღარიბი ხალხია, გარნა მოგეწონება, როდესაც შეხე-
დავ, როგორ წმინდად და სუფთად სახლობენ. ან იქნება ვინ-
მემ თქვენგანმან იფიქროს: რა დიდი რამ სათნოება არის ქრი-
სტიანეთათვის ხორციელი სიწმინდე, ოღონდ ცოდვას მოერი-
დოს და კარგის ყოფა-ქცევისა იყოს! ამისთანა ფიქრიც არ
იქნება მართალი. სიწმინდე სისუფთავე ხორციელი ძლიერ
საჭირო და სასარგებლო არის კაცისათვის. ესრეთ უნდა ვი-
ფიქროთ, რომ ვისაც უყვარს გარეგანი და ხორციელი სიწ-
მინდე და სისუფთავე, ის სულიერისა სიწმინდისათვისაც უფრო
ცდილობს. გარდა ამისა ვინც უწმინდურად ცხოვრებს, ის უფ-
რო მალე გახდება ავად და მალე დაკარგავს სიმრთელესა, რა-
იცა დიდი ცოდვა არის, ვინაითგან თვით ღმერთი გვიბრძანებ
ჩვენ, რათა დავიცვათ და შევინახოთ ჩვენი სიცოცხლე. ამის-
თვის, ძმანო ჩემნო, რადგან ახლა მე თქვენ გიჩვენე, რა სა-
სარგებლო არის ხორციელი სიწმინდე და სისუფთავე, ამას
იქით ეცადეთ, რომ სუფთად და წმინდად იყოს თქვენი ცხო-
ვრება.

მეორე სათნოება, რომელსა ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა ამ
ლოცვაში, არის სიმდაბლე. სიმდაბლე აქვს იმ კაცს, რომე-
ლიც თავის თავზედ დიდს არაფერს ფიქრობს, ესე იგი თავის
თავი არ მიაჩნია დიდად. ამ სათნოებას კაცი შეიძენს მაშინ,
როდესც კარგად იფიქრებს თავის ცოდვებზედ. ჩვენ ყველა-
ნი, ძმანო ჩემნო, ცოდვილნი ვართ ღვთის წინაშე; არ გავა
არა თუ მრთელი დღე, არამედ ერთი საათიც, რომ არ შევ-
ცოდოთ ღმერთსა ანუ გონებით, ანუ სიტყვით, ანუ საქმით;
მაშასადამე ყოველთვის უნდა სიმდაბლით და მონანებით
ვთხოვდეთ ღმერთსა შენდობასა. ნუ იფიქრებ, ძმაო, იმასაც,
რომ, ვინაიდგან შენ ხარ დაბალი სოფლის კაცი, მაშასადამე

უიმისოდაც გაქვს სიმდაბლე. რაც გინდა ღარიბი და საწყალი კაცი იყოს ზოგიერთი, შეიძლება, რომ გულში არ ქონდეს სიმდაბლე, არამედ დიდად მიაჩნდეს თავის თავი; ამისთვის თქვენც ეცადეთ, ძმანო ჩემნო, გულში ყოველთვის იყოთ მდაბალნი და წყნარი.

მესამე სათნოება არის მოთმინება. რა არის მოთმინება, ეს თქვენც იცით, ძმანო ჩემნო. მოთმინება მეტად საჭირო არის ყოველთვის კაცისათვის, ამისათვის რომელ ქვეყანაზედ არ არის იმისთანა კაცი, რომელსაც არ შემთხვეოდეს ვითარიმე უბედურება და უკმაყოფილება. მრთელი ჩვენი სიცოცხლე ისე არის ამ ქვეყანაში დაწყობილი, რომელ თუ მოთმინება არა აქვს კაცსა, ვერ გასძლებს ქვეყანაზედ. ყოველს საქმეში და ყოველს შემთხვევაში საჭირო არის კაცისათვის მოთმინება. მოთმინება უნდა გქონდეს შენ, ძმაო, როდესაც მუშაობ ყანაზედ; მოთმინება უნდა იხმარო, როდესაც კაცთან საქმე გაქვს და საქმეს არიგებ; უმეტესი მოთმინება უნდა გქონდეს შენ სახლში: ცოლთან, შვილებთან, ძმებთან. თუ მოთმინება არა გაქვს, ერთი კაციც ვერ გასძლებს შენთან და საქმეს ვერ გააკეთებს; გარნა ყოველთა უმეტესი მოთმინება ქრისტიანეს უნდა ჰქონდეს თავისი სჯულის აღსრულებაში. თუ დიდი მოთმინება და სიმტკიცე არა აქვს ქრისტიანესა, ვერ წინააღუდგება ცოდვასა და განსაცდელსა, ვერ იქმნება კეთილი ქრისტეს მოწაფე. როდესაც შენ, ძმაო, შეგემთხვევა რომელიმე უბედურება, ანუ განსაცდელი და გაგიჭირდება ცხოვრება, მოიგონე უფალი იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი. რა არ მოითმინა მან ჩვენი გულისათვის? განკიცხვა, გინება, შეურაცხ-ყოფა, დევნა, ტანჯვა, ჯვარცმა. თუ მაცხოვარმან ესოდენი მოითმინა შენთვის, შენც ცოტაოდენი მაინც მოითმინე მისთვის, თუმცა, თითქმის ყოვლის ჭირისა და უბედურებისა, რომელიც შენ გემართება, მიზეზი შენვე ხარ, გარნა თუ სულგრძელად მოითმენ, ღმერთი ისრე მიიღებს, ვითომც იმისთვის მოგითმენია.

დასასრულ, ძმანო ჩემნო, ვსთქვათ მეოთხე სათნოებისათვის ესე იგი სიყვარულისათვის. სული სიყვარულისა ანუ შეყვარება ღვთისა და მოყვასისა არის ყოველთა უდიდესი, უმაღლესი და უსაჭიროესი სათნოება. თითქმის მრთელი ჩვენი სჯული ამაში მდგომარეობს: შეიყვარე უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა და სულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, ესრედ რომელ, ვისაც გულში არა აქვს ღვთის და მოყვსის სიყვარული, იგი არ არის ქრისტიანე. თუ-გინდ კაცმა სხვა ყოველი

სათნოება შეიძინოს, ყოველნი მცნებანი აღასრულოს, გარნა თუ არ აქვს მოყვსისა და ღვთის სიყვარული, იგი ქრისტიანე არ არის. რაში გამოჩნდება ღვთის სიყვარული? იმაში, როდესაც ჩვენ ვისმენთ სიტყვასა და ბრძანებასა ღვთისასა, რომელიც ღმერთმან ჩვენ გამოგვიცხადა საღმრთო წერილში და რომელსაც ჩვენ მარადის გვასწავლის წმიდა ეკკლესია, და აღვასრულებთ მას. მოყვსის სიყვარულისათვის გვასწავლა ჩვენ უფალმა იესო ქრისტემან ამ სიტყვებით: **ყოველი, რომელი გინდესთ თქვენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა-მიმართ;** რაც შენ გინდა, რომ გიყონ შენთა მოყვასთა, შენც ის უყავ მათ. რასაკვირველია, შენ გსურს ყოველმა კაცმა შეგიყვაროს, პატივი გცეს, გაჭირვების დროს ნუგეშ-გცეს; შენც ისრეედ მოიქეც ყოველთა შენთა მოყვასთა.

თქვენ, ძმანო ჩემნო, აქ მცხოვრებთა სხვათა უმეტესად უნდა გახსოვდეთ, რომ ვისაც არ აქვს სიყვარული ღვთისა და მოყვსისა, ის არ არის ქრისტიანე. თქვენ ხშირად იცით ერთმანეთში ჩხუბი, სიძულილი; მცირედი არის თქვენ შორის სიყვარული და ერთობა; გარნა, რადგანაც მოინათლენით და მიიღეთ ქრისტეს სჯული, უნდა ეცადოთ, რომ ქრისტეს სიყვარული შეიტყოთ და შეიძინოთ. უფალმან იესო ქრისტემ ესრეთ ასწავლა მოწაფეთა თვისთა: ამით უნდა გიცნან თქვენ ყოველთა კაცთა, რომ სიყვარული და ერთობა იყოს თქვენ შორის. მონათლული კაცი მით უნდა განსხვავდეს მოუნათლავის, ურწმუნოს კაცისაგან, რომელ უნდა ქონდეს კეთილი და მოსიყვარულე გული და ხასიათი. ვევედროთ ღმერთსა, რათა მოგვცეს ჩვენი სული სიყვარულისა და ერთობისა. – ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე.

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდად თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა.

დავაბოლოვოთ, ძმანო ქრისტიანენო, დღეს განმარტება ეფრემ ასურის ლოცვისა. ამ ლოცვის მესამე მუხლში ჩვენ ვთხოვთ ღმერთსა, რათა მან მოგვანიჭოს ჩვენ განცდა ანუ ცნობა თავისა ჩვენისა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა. განცდა თავისა ის არის, როდესაც კაცი გამოსცდის ანუ შეიტ-

ყობს თავის თავს, ესე იგი შეიტყობს, კარგად იქცევა, თუ ცუდად, კარგი ხასიათი აქვს, თუ ცუდი. ცნობა თავისა თვისისა არის საფუძველი კეთილისა ქრისტიანობრივის ცხოვრებისა. თუ კაცმან თავის თავი არ იცის, თუ არ შეიტყო, რა ცოდვა უქმნია, რა ნაკლულევანება აქვს გულში, – რა ნაირად გაიმართავს იგი თავის თავს, რანაირად მოინანიებს და როგორ შეიქმნება უმჯობესი. გარნა ნუ ფიქრობთ, ძმანო ჩემნო, რომ ადვილი იყოს ეს საქმე: დიდი მეცადინეობა უნდა იხმაროს კაცმა, თუ სურს თვისის თავის შეტყობა; ყოველ კაცს თავისი ხასიათი აქვს; ყოველ კაცს თავისი საკუთარი ჩვეულება და თვისება აქვს. ზოგიერთი, მაგალითებრ, ანჩხლი ანუ გულფიცხელი არის და ამით ხშირად სცოდავს ღვთის წინაშე; ზოგიერთი არის ზარმაცი, ანუ მცონარე და ამით არისხებს ღმერთსა. სხვა არის გულ-დიდი, ანუ ამპარტავანი და ამის-გამო მრავალს ცოდვასა იქმს; ერთი არის ცრუ, მეორე არის მოშურნე; ერთი სიტყვით, ყოველ კაცს თავისი ხასიათი აქვს და თავის ცოდვა სჭირს. დიდი სარგებლობა და სულიერი მადლი მოგვეცემა, როდესაც კარგად გასინჯავ შენ თავს და გულში იტყვი: მე სწორედ ამაში და ამაში ვარ დამნაშავე ღვთის წინაშე. თუ ესრეთ ქმენი, უთუოდ კარგად მოინანებ შენს ცოდვასა და კარგი შეიქმნები; ხოლო კარგად თუ არ იცან შენი თავი, არა თუ ქრისტიანობაში, არამედ არც სხვა საქმეში გამოდგები.

ვინც კარგად თავის თავი იცნა, ის აღარც თავის მოყვასს განიკითხავს. მოყვსის განკითხვა ის არის, როდესაც კაცი თავის ცოდვას და ნაკლულებას არ ხედავს და სხვის ცოდვას და ნაკლულევანებას კი ხედავს და ზრახავს. ეს ცუდი ჩვეულება თითქმის ყოველ კაცსა აქვს; ყოველი კაცი იმას ცდილობს, რომ განიკითხოს მოყვასის ცოდვა, გარნა კეთილი და ჭეშმარიტი ქრისტიანე უმეტესად თავის თავს განიკითხავს და არა სხვას. თქვენც ესრეთ ეცადენით, ძმანო ჩემნო, თუ გსურსთ რომ იყვნეთ კეთილნი ქრისტიანენი. – ამინ.